

სიცადოთვების სასახლე მთავრობის მინისტრი

მნათის მუნიციპალიტეტის ინსტიტუტი

K 1037  
3

იყენის - კავკასიონი  
ენათმეთნი ერა

VII

სიცადოთვების სასახლე მთავრობის მინისტრი

1955

საქართველოს სსრ მიწნიანიათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვ. 2018 - 407 992 8728

იყენილ-კავკასიური  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

VII

K 1097  
3

საქართველოს სსრ მიწნიანიათა აკადემიის გამომცემა

თბილისი - 1955

Ч А Б А С К И Й  
С О Д Е Р Ж А Н И Е

83.

1. თიხ. შარაძენიძე. ენათა კლასიფიკაცია ენობრივ წრეებად ვილჲ. შმიდტისა . . . . .	1
Т. С. Шарадзе и др. Классификация по языковым кругам В. Шмидта . . . . .	32
2. ა. კიზირაძე. -ებ ნიშნიანი მრავლობითი რიცხვის სინტაქსური ძალისათვის ძველ ქართულში . . . . .	35
А. И. Кизириа. Синтаксическое взаимоотношение имени с суффиксом -ებ -ებ и глаголов в древнегрузинском языке . . . . .	40
3. ა. მარტიროსი. მასდარული კონსტრუქციის გენეზისათვის ძველ ქართულში . . . . .	43
А. Г. Мартirosов. К вопросу о генезисе масдарной конструкции в древнегрузинском языке . . . . .	59
4. ი. ქავთარაძე. დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთო თავისებურება ახალ ქართულში . . . . .	61
И. И. Кавтарадзе. Об одной особенности образования времен и наклонений III серии в грузинском языке . . . . .	79
<u>5. 6. ნათაძე.</u> მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში . . . . .	<u>81</u>
Н. Р. Натадзе. К вопросу об образовании времен и наклонений третьей серии в картвельских языках . . . . .	99
6. გ. შალამბერიძე. კახური დიალექტის თავისებურებანი უვარლის მეტყველების მთხედვით . . . . .	101
Г. Е. Шаламберидзе. Особенности кахетинского наречия грузинского языка по данным речи сел. Кварели . . . . .	117
7. გრ. იმაიშვილი. პირველი ოურმეობითისა და სტატიურ ზმათა წარმოება ინგილოურში . . . . .	119
Г. М. Имайшвили. Образование заглавных форм и статических глаголов в ингилойском наречии грузинского языка . . . . .	123
8. გ. შარაძენიძე. ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში . . . . .	125
Т. С. Шарадзе и др. К классификации склонений в сванском языке . . . . .	133
9. გ. ჯალდანი. სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი . . . . .	137
М. М. Калдани. Фонетические особенности лахамульского под наречия сванского языка . . . . .	192

10. І. ლომთათიძე. აფხაზური ზმნის ძირითად დრო-კილოთა სისტემა . . . . .	207
К. В. Ломтадзе. Система основных времен и наклонений в абхазском языке . . . . .	227
11. შ. გაფრინდაშვილი. ლაბიალიზაციის ბუნებისათვის ზოგი იძერულ-კავკასიურ ენაში . . . . .	229
Ш. Г. Гаприндашвили. О природе лабиализации в некоторых иберийско-кавказских языках . . . . .	274
12. Г. В. Рогава. К истории абруптивного смычного р (пл) в албанских языках . . . . .	279
გ. როგავა. მკვეთრი ხშული ყ (пл) თანხმოვნის ისტორიისათვის აღილურ ენებში	
13. ილ. ცერებავაძე. ადგილობით ბრუნვათა საწარმოებელი ფუძის საკითხისათვის ხუნდურში . . . . .	283
Ил. Церебавадзе. К вопросу об исходной основе местных падежей в аварском языке . . . . .	287
14. З. М. Магомедбекова. Вопросы фонетики ахвахского языка ზ. მაჰმედბეკოვა. ახვახური ენის ფონეტიკის საკითხები	289
15. ტ. გუდავა. გრამატიკული კლასის ნიშნის ფონეტიკური ცვლილები ხუნდურსა და აბდიურ ენებში . . . . .	311
Т. Г. Гудава. О некоторых фонетических изменениях показателей грамматических классов в аварском и андийских языках . . . . .	
16. ეջირანიშვილი. კითხვითი ნაცვალსახელები ლეზგიური (კიურული) ჯგუფის ენებში . . . . .	333
Е. Ф. Джейранишвили. Вопросительные местоимения в языках лезгинской (кюринской) группы . . . . .	356
17. А. А. Магометов. Местоименная аффиксация в глаголах табасаранского языка . . . . .	359
ა. მაჰმედტოვი. ნაცვალსახელური აფიქსაცია ტაბასარანული ენის ზმნებში	
18. ე. ლომთაძე. ზოგი საერთო-ძირიანი ფუძე-იბერიულ-კავკასიურ ენებში . . . . .	417
Э. А. Ломтадзе. Некоторые общие корневые элементы в иберийско-кавказских языках . . . . .	450
19. ვ. თოფურია. ნამცოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში	453
В. Т. Топуриа. О формообразовании прошедшего времени в древнегрузинском языке . . . . .	459
20. А. С. Чикобава. П. Услар и вопросы научного изучения горских иберийско-кавказских языков . . . . .	461
არბ. ჩიქიბავა. პ. უსლარი და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის საკითხები	

ქრიტიკა და ბიბლიოგრაფია  
Критика и библиография

## თიხ. შარაძენიშვილი

ენათა კლასიფიკაცია ენობრივ როლის გადასაცვლად ვიღო. შეიდგის:

1

ავსტრიულმა ეთნოგრაფმა და ენათმეცნიერმა ვილქ. შმიდტმა შრომაში „მსოფლიოს ენათა ოჯახები და ენობრივი წრეები“<sup>1</sup>, ცადა ჩამოეყალიბებინა ენათა თავისებური კლასიფიკაცია. ამ შრომის პირველ ნაწილში განხილულია მსოფლიოს ენათა ოჯახები და მათი კვლევის ისტორია. შეორე ნაწილში ავტორი გამოყოფს ენობრივ წრეებს, რომლებიც, მისი აზრით, უფრო ფართო და ჯგუფებებს წარმოადგენს და ენათა განვითარების უფრო აღრინდელ საფეხურებს გვიჩვენებენ, ვიდრე ენათა ოჯახები.

შმიდტის შრომის ამ ნაწილის გასაგებად საჭიროა მოკლედ გავეცნოთ იმავე ავტორის ეთნოგრაფიულ კლასიფიკაციას<sup>2</sup>, რომელიც ამოსავალია ენათა კლასიფიკაციისათვის.

შმიდტი მეურნეობის ხასიათისა და ოჯახის ფორმის მიხედვით გამოყოფს შემდეგ წრეებს:

1. უძველესი კულტურული წრეები (*Urkulturkreise*). ესაა ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი კულტურა, რომლის შესწავლაც ამჟამად ხერხდება. მეურნეობა ამ კულტურულ წრეებში დაგროვებითია, ე. ი. მხოლოდ აგროვებენ მას, რასაც ბუნება იძლევა. ოჯახი ეგზოგამიურია. შრომა ქალსა და ქაცს შორის თანაბრად არის განაწილებული: ქალი მცენარეულს აგროვებს, შამაკაცი—სორცეულს (ნადირობით).

უძველეს კულტურებში გამოიყოფა არქტიკული წრე, რომელიც ჩრდილოეთშია: გავრცელებული; მასში შედის ურალელ-ალთაუელთა ნაწილი, აგრეთვე, შედარებით უფრო ახალი ბუმერანგის კულტურა (*Bumerangkultur*).

2. პირველადი კულტურული წრეები (*Primärkulturkreise*). ხასიათდებიან იმით, რომ ხდება ბუნების პროდუქტთა შეგროვებიდან მათ მოვლა-მოყვანაზე გადასვლა. აქ სამი წრე შედის. ესენი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარდენ და დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთს სრულიად მოწყვეტილი იყენენ. მეურნეობის ესა თუ ის სახე თითოეულ ამ სამ წრეთაგანში გეოგრაფიულმა პირობებმა განსაზღვრა.

ა) პრიმიტიული მიწათმედების მატრიარქატული კულტურა (*Mutterrechtliche Kulturkreis des primitiven Ackerbaues*) აქ ქალები მცენარეთა მოგროვებიდან მიწათმოქმედებაზე გადავიდნენ. ისინი გახდნენ მათ მიერ დამზადებული პროდუქტების პირველი კერძო მესაკუთრენი. ოჯახი

<sup>1</sup> Die Sprachfamilien und Sprachenkreise der Erde, Heidelberg, 1926.

<sup>2</sup> ეს კლასიფიკაცია მოცემულია W. Schmidt-ისა და W. Koppers-ის „Völker und Kulturen“-ში, 1924 წ., ხოლო ჩვენ ვსარგებლობდით შმიდტის უფრო გვიანდელი შრომით „Rasse und Volk“, 1927.

მატრიარქატულია. შევნიშნავთ, რომ ამ წრეში შეჰყავს შმიდტს იაფეტიდები ზოგ ჩრდილო კავკასიელთა განცყლებით.

ორ დანარჩენ წრეში მეურნეობა მამაკაცებმა განვითარეს. ორივე პატ-რიარქატული კულტურაა, მაგრამ მათ შორის არის განსხვავებაც.

ბ) უმაღლეს-მონადირული ტოტემური კულტურა (Totemistische höhere Jägerkultur). ამ წრეში ისევ მონადირეობა გვაქვს, რაც უძველეს წრეშიაც იყო, მაგრამ სანადირო იარაღების განვითარების შედეგად იგი (მონადირეობა) უფრო მაღალ საფეხურზეა აყვანილი. ოჯახი კლანურია (Clangrupierte-Familie).

ამ წრისათვის დამახასიათებელია სილამაზისადმი მისწრაფება: სხეულის მორთვა-მოკაზმვა, პლასტიკის განვითარება.

გ) მომთაბარე-მწყემსურ კულტურა უ (Kulturturkreis der Hirtennomaden) მამაკაცები ცხოველებზე ნადირობიდან მათ მოვლა-მოშენებაზე გადავიდნენ. დამახასიათებელია პატრიარქატული დიდი ოჯახი (Großfamilie).

ამ წრის პირველი ფენა ურალურ-ალთაურია, მეორე—ინდო-ევროპული და ყველაზე ახალი—სემიტურ-ქამიტური.

3. მაღალი კულტურები ზემოთ ჩამოთვლილ დამოუკიდებელ პირველად კულტურათა გვიანდელი შერევით შეიქმნა.

ენობრივი წრეების დადგენის მიზნით შმიდტი იღებს სხვადასხვა ენობრივ, მისი აზრით, უფრო დამახასიათებელ კატეგორიებს ფონეტიკიდან, მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან. აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ კატეგორიის არჩევის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხს, რამდენად შესწავლილია ამ კატეგორიის რაობა მსოფლიოს ენებში.

შემდეგ ავტორი არკვევს თითოეული კატეგორიის სახესხვაობებს და მათ გავრცელებას სხვადასხვა ენაში, უფარდებს ამ ენობრივი ნიშნების გავრცელებას კულტურულ წრეებს და ადგენს, თუ რომელი კულტურული წრისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი ესა თუ ის კატეგორია. ბოლოს, აჯამებს ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში მიღებულ შედეგებს და მიღის დასკვნამდე, რომ არსებობს ენობრივ ნიშანთა ერთობლივობები, რომლებიც ქმნიან ენობრივ წრეებს და, უდარებს რა ამ ენობრივ წრეებს კულტურულს. ცდილობს ცხადყოს, რომ მათ შორის არის შინაგანი კავშირი, რომ გარკვეულ კულტურულ წრეს გარკვეული ენობრივი წრე შეესაბამება.

თანმიმდევრობა განხილული საკითხებისა ასეთია: I. ფონეტიკა (Das Lautwesen); II. გრამატიკა (მორფოლოგია); III. სინტაქსი; IV. დასკვნითი ნაწილი. აქ შმიდტი აყალიბებს ენობრივ წრეებს და უფარდებს მათ კულტურულ წრეებს.

ჩვენც ამ თანმიმდევრობით განვიხილავთ საკითხებს.

### უონეტიკა

ორი მიმართულებით წარმოებს კვლევა: 1. ბერძნათა განვითარება, 2. ბერძნათა კომპლექსები სიტყვის თავში (Aplaut) და ბოლოში (Auslaut).

ხმოვნები თავში გვითხოვთ: 1. ნორმალური (ა, ე, ი, ო, უ-ს სხვადასხვა სახეები) და 2. ანორმალური ხმოვნები (ბ, ი).

ცალკეული ენების მიხედვით საკითხის განხილვის შემდეგ ნაჩვენებია, რაც რომელ კულტურულ წრეებშია გავრცელებული ის, შეგერები. უძველეს

კულტურაში ეს ხმოვნები არ გვხვდება. თუმცა პენუტსა და ჰიკა ენებს, გეზ-ენებს, დაგანს აქვთ ი და ყ, მაგრამ ამას ავტორი მეზობელ, უფრო მაღალი კულტურის ენებთან შერევით ხსნის.

ასეთივე მდგომარეობაა მონადირეთა ტოტემურ კულტურაში. ი, უ ხმოვნები დამახასიათებელია მომთაბარე-მწყემსური და მიწათმოქმედების მატ-რიარქატული წრეებისათვის. პირველ წრეში ამ ხმოვანთა გავრცელების ცენტრია ურალურ-ალთაური ენები, მეორეში—ავსტრო-აზიური და ტიბეტურ-ჩინური ენები. ამ ცენტრებიდან არის გავრცელებული ი და უ ხმოვნები სხვა ენებში. ავტორი ცდილობს ალადგინოს უწყვეტი ხაზები, რომლებითაც უნდა გავრცელებულიყო დასახელებული ცენტრებიდან ი და უ. სადაც შუამავალი ზონები არ ჩანს, შმიდტი მიზეზად საკითხის შეუსწავლელობას ასახელებს.

დასახელებული ორი კულტურული წრიდან უფრო ადრე ი და უ ურალურ-ალთაურში უნდა განვითარებულიყო, —გვეუბნება ავტორი. ამის მაჩვენებლად მას მიაჩნია ამ ხმოვანთა სპორადული გავრცელება ავსტრო-აზიურ ენებში. და ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც მათ ენიჭება ურალურ-ალთაურ ენებში ხმოვანთა ჰარმონიის საფუძველზე.

გამონაკლისს ქმნის ტასმანიური ენა, რომელიც უძველეს კულტურას ეკუთვნის და ი, უ ხმოვნები კი აქვს. მათი არსებობა სხვა ენის გავლენითაც ვერ აისხება.

თან მოვწები იყოფიან მჟღერებად და ყრუებად. ეს განსხვავება ბევრ ენაში, სრულიად არ არის.

ამ საკითხის შესახებ მასალა არ არის სრული და ვერ იძლევა ზოგადი დასკვრების გამოტანის შესაძლებლობასო, —წერს ავტორი. ეს კი ჩანს, რომ უძველეს კულტურას (ბუმერანგის კულტურის გამოკლებით) მჟღერებსა და ყრუებს შორის მნიშვნელობის მიხედვით განხსნავება არ ახასიათებს. ის არ ჩანს დაკავშირებული არც ტოტემური და მომთაბარე-მესაქონლეთა (Nomadistisch—viezüchterische—მწყემსურის სინონიმად იხმარება) კულტურებისათვის. უფრო მატრიარქატულ წრეში უნდა გაჩენილიყო ეს განსხვავება და აქედან გავრცელებულიყო მეორეულ და მესამეულ მესაქონლებში—ინდო-ევროპელებში და სემიტ-ქამიტებში.

მჟღერებისა და ყრუების გამოყოფისათვის ხელი უნდა შეეწყო ნაპრალოვანი (ფრიუატივი) ბეგერების წარმოშობას. უძველესი კულტურისათვის ნაპრალოვანი ბეგერები (განსაკუთრებით ს) არ უნდა იყოს დამახასიათებელი. ფრიუატივები უნდა გაჩენილიყო რომელიმე პირველად კულტურ წრეში, ხოლო სახელდობრ რომელში, — არ ჩანს. საფიქრებელია, რომ არქტიკულ კულტურაში დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე ისინი უკვე არსებობდნენ.

ანლაუტისა და აუსლაუტის კანონები, ავტორის აზრით, სიტყვის, როგორც სიქოლოგიური მთლიანობის, არსებობის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მათი საშუალებით გამოიყოფა სიტყვები ერთმანეთისაგან. სხვადასხვა ენას სხვადასხვაგვარი ანლაუტ-აუსლაუტი აქვს, ამიტომ შმიდტს შესაძლებლად მიაჩნია გამოიყენოს ეს განსხვავება ენათა კლასიფიკაციისათვის.

ანლაუტი შეიძლება იყოს სამგვარი: 1. მარტივბეგერიანი, 2. თანხმოვანი+ნარნარიან უხვირისმიერი ბეგერა, 3. სხვა თანხმოვანთა შეერთებები—ორი ან მეტი თანხმოვანი. აუსლაუტი ოთხი სახისა არის: 1. ხმოვნიანი, 2. სონორული (ნაზალი ან ლიკვიდა), 3. ერთთანხმოვნიანი, 4. რამდენიმე თანხმოვნიანი.

შეიძლება არსებობდეს ენა მხოლოდ ხმოვნიანი აუსლაუტით.. ყველა და-ნარჩენი ტიპი შერეულია და საკითხს წყვეტს ის, თუ რომელი სჭარბობს.

ანლაუტსა და აუსლაუტს შორის შესატყვისობა არსებობს: მარტივ ან-ლაუტიან ენებს აუსლაუტიც მარტივი აქვთ და პირუჟუ.

მსოფლიოს ენათა განხილვიდან ჩანს, რომ მარტივი ანლაუტი და აუს-ლაუტი დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროზეა გაბატონებული, რომლი (რამ-დენიმე თანხმოვნიანი) კი ჩრდილოეთისაზე. ავტორი ფიქრობს, რომ ეს და-მოყიდებულია გეოგრაფიულ პირობებზე. ჩრდილოეთისა და მთაგორიანი ად-გილების კლიმატი თანხმოვანთა რთულ კომპლექსებს წარმოშობს. სამხრეთის ენებში რთული ანლაუტ-აუსლაუტის არსებობა (შუა და სამხრეთ ამერიკის ენებში, ინდო-ევროპულში) ავტორს ამ ენათა ჩრდილოური წარმოშობის მა-ჩვენებლად მიაჩნია.

მხოლოდ ხმოვნიან აუსლაუტს სამხრეთის კლიმატი იწვევს. მისი გა-ვრცელების ზონა გარს აკრავს ეკვატორს და ოდნავ სცილდება ჩრდილოეთ და-სამხრეთ ტროპიკულ წრეებს. მაგრამ იქვე გვხვდება საკმარი გავრცელებული ერთ და მარტივ ორთანხმოვნიანი აუსლაუტი (და ანლაუტი). ეს იმიტომ, რომ წმინდა ხმოვნიანი აუსლაუტი, ისევე როგორც რთულთანხმოვნიანი, მეო-რეულ მოვლენას წარმოადგენს, კლიმატური პირობებით გამოწვევულს. ხმო-პირვანდელი, უძველესი კულტურისათვის ზამახასიათებელი იყო სწორედ სა-შუალო სიძნელის ანლაუტ-აუსლაუტით (Mutia+Liquida)—გვეუბნება ავტორი-აქედან უნდა იყოს მიღებული ერთთანხმოვნიანი ანლაუტ-აუსლაუტი..

რადგან ანლაუტისა და აუსლაუტის კანონებზე დიდ გავლენას ახდენს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები, ამიტომ ძნელდება მათი ისტორიული ურთიერთობის გარევევა და კულტურის წრეებთან შედარება. მაინც შმიდტი-ცდილობს ამ ამოცანის გადაწყვეტას.

მისი აზრით, უძველესი კულტურისათვის, დამახასიათებელი ჩანს მარ-ტივი ორთანხმოვნიანი (თანხმოვანი+ნაზალი ან ლიკვიდა) ანლაუტ-აუსლა-უტი. გვხვდება აგრეთვე ერთთანხმოვნიანი აუსლაუტიც. გამონაკლისს წარმო-ადგენს ტასმანიური, რომელსაც ხმოვნიანი აუსლაუტი აქვს.

ხმოვნიანი აუსლაუტი მონადირეთა პატრიარქატულ ტოტემურ კულტუ-რულ წრეს ახასიათებს. თუმცა ის გვხვდება სპორალულად ბუმერანგის კულ-ტურაშიც.

მატრიარქატულ კულტურაში გვხვდება ხმოვნიანი აუსლაუტი (ავსტრა-ლიის ენებში), მაგრამ ამ კულტურული წრისათვის ნიშანდობლივია ერთთან-ხმოვნიანი აუსლაუტი, რომელიც გავრცელებულია ავსტრო-აზიურ ენებში, ინდო-ჩინურში, იაფეტურში და სხვ.

სონორი აუსლაუტი ხმოვნიან და ერთ ან მეტთანხმოვნიან ენათა შერე-ვის შედეგია; მართლაც, შმიდტის აზრით, იგი იქ გვხვდება, სადაც ტოტე-მური და პატრიარქატული კულტურების შერევასთან გვაქვს საქმე' (მაგ., ავ-სტრალიაში).

მომთაბარე-მესაქონლეთა კულტურასთან დაკავშირებულია რამდენიმე, თანხმოვნიანი ანლაუტი და აუსლაუტი. იგი გვხვდება ურალურ-ალთაურ ენებში, ინდო-ევროპულში, სემიტურში<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ყველა ამ ოჯახში გვხვდება აფრეთვე როგორც წმინდა ხმოვნიანი, ისე ერთთანხმოვნიანი აუსლაუტი.

რადგან თანხმოვანთა რთული კომპლექსები უფრო კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების შედეგია, ვიდრე კულტურისა, გასაგებია, რომ ისინი (კომპლექსები) გვევდება პალეოაზიურ ენებში და ამერიკის ბევრ ენაში, რომლებიც არ ეკუთვნიან მომთაბარეთა კულტურას.

რამდენიმე თანხმოვნიანი ანლაუტ-აუსლაუტის წარმოშობა უკვე არქტიკულ კულტურაში უნდა ვივარაუდოთ.

### გრამატიკა

ავტორის განცხადებით, გრამატიკიდან ისეთი საკითხებია განხილული, რომლებიც მსოფლიოს ცალკეული ენების მიმართ საკმაოდ დამუშავებულია და ზოგადი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. მასალის ნაკლებობა აქ მეტად იგრძნობა, ვიდრე ფონეტიკაში. ამიტომ კვლევის სფეროც საკმაოდ შეზღუდულია და დასკვნებიც საგარაულოა და არა საბოლოო.

განხილულია შემდეგი საკითხები: რიცხვის წარმოება ნაცვალსახელთან და სახელთან, ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმები, კლას-კატეგორიათა წარმოება (Genusbildung), თვლის სისტემები.

რიცხვის წარმოება ნაცვალსახელთან და სახელთან. რიცხვის წარმოება, ავტორის აზრით, პირველად ნაცვალსახელებთან გაჩნდა და შემდეგ გავრცელდა სხვა სახელებზე.

მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის გარდა გვხვდება მრჩობლობითი და სამობითი, შეიძლება მეტიც. ეს ფორმები, ავტორის აზრით, წარმოქმნილია მრავლობითის შემდგომ, მისი დაზუსტების გზით: ბევრი, სახელდობრ, ორი.

კულტურის წრეებთან რიცხვის წარმოების შედარება ასეთ შედეგებს იძლევა: რიცხვის წარმოების ძლიერი განვითარება ახასიათებს უძველეს კულტურას. აქ ჩამოყალიბებულია მრჩობლობითიცა და სამობითი რიცხვიც.

ბუმერანგის კულტურაში არ გვხვდება რიცხვის მრავალფეროვანი წარმოება. ასევეა ტოტემურ კულტურაშიც: მას არა აქვთ მრჩობლობითი რიცხვი.

მარტირიარქატული კულტურის ძველ ენებში, რომლებიც ნაკლებ არიან დაშორებული უძველეს კულტურას, გვხვდება მრჩობლობითიცა და სამობითი რიცხვიც.

ძლიერ არის განვითარებული რიცხვის წარმოება აგრეთვე მომთაბარე-მესაქონლეთა კულტურულ წრეში, სადაც ძველი ენები არა თუ ახლოს დგანან უძველეს კულტურასთან, არამედ ზოგი მათგანი არქტიკულ კულტურასაც კი ეკუთვნის (ურალურ-ალთაური ენებიდან: სამოედური, ესკიმოსური, ალუტური).

სომხურში, იტალიურში, გერმანულში მრჩობლობითი რიცხვის დაკარგვა იაფეტურ (კავკასიურ) ენებთან შერევის შედეგია. ამ უკანასკნელთ მრჩობლობითი რიცხვი არ შეუქმნიათ, ისინი მრავლობითის იქით აღარ წასულან.

განსხვავება ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმებს შორის მრავლობითი (მრჩობლობითი და სამობითი) რიცხვის პირველ პირში. ამ ფორმათა კვლევის და სათანადო დასკვნების გამოტანას მეტად ანელებს მასალის სიმცირე.

ინკლუზივ-ექსკლუზივის გავრცელება ხვდება მრჩობლობითი და სამობითი რიცხვის გავრცელებას.

ტოტემურ კულტურულ წრეს არ გააჩნია ინკლუზივ-ექსკლუზივი (თუმცა არის გამონაკლისები, რომლებიც სხვა ენების გავლენით აიხსნება).

ინკლუზივ-ექსკლუზივი ეკუთვნის ერთ-ერთ უძველეს წრეთაგანს. ბუმე-რანგის კულტურას ის არა აქვს.

მატრიარქატული კულტურის ენებში ამ ფორმათა გავრცელება ემთხვევა. მრჩობლობითი (სამობითი) რიცხვის გავრცელების სფეროებს და გვხვდება უფრო ძველ ენებში. იაფეტურ ენებს არ ახასიათებს ამ ფორმათა წარმოება; გამონაკლისს ქმნის ჩრდილოეთ კავკასიაში ხუნძური და ჩაჩნური, სამხრეთში— სკანური.

მომთაბარე-მესაქონლეთა კულტურულ წრეში, მიუხედავად იშისა, რომ რიცხვის წარმოება ძლიერ არის განვითარებული, ინკლუზივ-ექსკლუზივი სრულიად არ გვხვდება.

კლას-კატეგორიათა კულტურულ წრეში, მიუხედავად იშისა, საკითხის სირთულისა და ბევრ ენაში მისი შეუსწავლელობის გამო კლას-კატეგორიათა კვლევა კიდევ უფრო ძნელია, ვიდრე სხვა კატეგორიებისათვის,— აღნიშნავს შემიღები.

კლას-კატეგორიათა მრავალფეროვანი ჯგუფები შეიძლება 4 სახელის დავიყვანოთ:

1. სულიერი და უსულო, ცოცხალი და არაცოცხალი (Vitalitätskategorien).
2. ადამიანი და ნივთი, გონიერი და არაგონიერი (Personalkategorien).
3. მდედრობითი და მამრობითი (Sexualkategorien).
4. საგანოა გარეგანი ფორმის მიხედვით დაყოფა. გვხვდება რიცხვით სახელებთან.

5. მეტუთე ჯგუფში გამოყოფილია რთული სისტემები, რომელთა მიშართ არ ჩანს, ისინი ზემოთ ჩამოთვლილ დაჯგუფებათა შენაერთს წარმოადგენენ თუ დამოუკიდებელ დაჯგუფებას.

შმიდტს არამართებულად მიაჩნია ამ კლასიფიკაციების აღიარება განვითარების აღმავალ საფეხურებად. ის არკვეს პირველი სამი ტიპის კლას-კატეგორიათა გავრცელებას და მათ ურთიერთობას კულტურულ წრეებთან.

უძველეს კულტურაში სახელთა არცერთი კლასიფიკაცია არ გვხვდება.

სულიერისა და უსულოს კატეგორია ჩრდილოეთ ნახევარსფეროზეა უფრო გავრცელებული. სამხრეთ ნახევარსფეროზე მას სხვა კლასიფიკაციები გადაეჯაჭვება, მაგ., კავკასიაში გონიერისა და არაგონიერის, მდედრობითისა და მამრობითის.

სულიერისა და უსულოს კატეგორიები, შმიდტის ვარაუდით, აღრინდელ მატრიარქატულ კულტურას უნდა უკავშირდებოდეს. საკითხის საბოლოოდ გადაჭრა ვერ ხერხდება, რადგან მასალა არა არის საკმარისი.

ძველ ინდო-ევროპულ ენებში, შმიდტის თქმით, არ ჩანს ამ კატეგორიათა არსებობის კვალი.

ადამიანისა და ნივთის კატეგორია დამოუკიდებლად არ გვხვდება. ის, ჩერებრივ, შერეულია სხვა ორ კლასიფიკაციასთან. ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ დანაწილება ადამიანად და ნივთად მეორეულია და წარმოადგენს სქეს-კატეგორიების გარდაქმნას. ეს გარდაქმნა მომზღარა ტოტემურ კულტურაში შემდეგნაირად: ზოგ ენას მდედრობითისა და მამრობითის გარდა აქვს „საშუალო“ სქესიც. თუ მდედრობითი დაემთხვეოდა მამრობითს ან საშუალოს,

მაშინ მივიღებდით ორ კლასს, — ადამიანისას და ნივთისას. ავტორი ცდილობს ასეთ ცვლილებას სოციალური სატურებელი დაუძებნოს: მდედრობითად და მაშინობითად განაწილება მატრიარქატულ კულტურულ წრეში წარმოიშვა ქალის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო. პატრიარქატულ ტოტემურ კულტურულ წრეში ქალის როლი ეცემა, რასაც მოჰყვა მდედრობითი კლასის შერევა საგანთა კლასთან (საშუალო სქესი).

მდედრობითი და მამრობითი (საშუალო) სქესის მიხედვით განსხვავება ყველაზე მეტად არის გავრცელებული. ამ კლასიფიკაციაში შეიძლება გამოიყოს ოთხი სახე:

1. სქესის კატეგორია აქვს მხოლოდ პირის (ან მითითებით) ნაცვალსახელებს.

2. სქესის კატეგორია ვრცელდება ადამიანის (ან ცხოველის) გამომხატველ არსებით სახელებზედაც.

3. არსებობს გრამატიკული სქესი, რომელიც ყველა სიტყვას შეიცავს, საგნერის გამომხატველსაც.

4. მდედრობითისა და მამრობითის გარდა გვაქვს საშუალო ანუ ნივთთა კლასიც (Sachklasse).

პირველი და მეორე ჯგუფი მხოლოდ რეალურ სქესს გამოხატავს. მესამესა და მეოთხეს კი „გრამატიკული“ ეწოდება, რადგან ისინი რეალურად სქესის არჩევნე საგანთა აღმნიშვნელ სიტყვებსაც შეიცავენ.

პირველი ორი ჯგუფი ადრინდელ მატრიარქატს შესატყვისება, ისინი უნდა წარმოშობილიყო იმ ორკლასოვანი სისტემის სატურებელზე, რომელიც განსხვავებდა დამპყრობელ მამაკაცებს და მათ მიერ მოტაცებულ ქალებს. ან არადა, შეიძლება, მატრიარქატის უფრო ადრინდელი ხანის გავლენის შედეგი იყო, როდესაც მამაკაცები სხვა ტომის მიწათმულობელ ქალებზე ქორწინდებოდნენ და ორი ენის შესწავლა უხდებოდათ.

სქეს-კატეგორიათა მეორე ტიპი (გრამატიკული სქესი) უფრო ფართოდ არის გავრცელებული (ინდო-ევროპული, სემიტურ-ქამიტური, ჩრდილოეთ კავკასიური ენები, ზოგი იაფეტური ენა და სხვ. სრულიად არ არის სქესი ურალურ-ალთაურ ენებში).

ამ კლასიფიკაციას ავტორი უკავშირებს მომთაბარე-მწყემსური კულტურის მეორეულ და მესამეულ ნაწილს. პირველად დაყოფა მდედრობითად და მამრობითად აქაც მატრიარქატული წრის გავლენით უნდა წარმოშობილიყო, ხოლო შემდეგ მის განსაკუთრებულ განვითარებას ხელი შეუწყო მესაქონლეობამ, რადგან მეურნეობის ამ სახისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქონლის სქესისათვის ყურადღების მიქცევას.

4. თვლის სისტემები. თვლის სისტემებს ენათა დაჯგუფებაში ავტორი ღირ მნიშვნელობას ანიჭებს.

ისეთი ენა, რომელსაც რიცხვითი სახელები არ გააჩნია, არ არსებობს. მაგრამ არსებობს ენები უსისტემო თვლით. ამ ენებში არის მეტად მცირე რაოდენობით რიცხვითი სახელები (ორამდე, — როდესაც „ორი“ „ბევრის“ გამომხატველად იქცევა — სამამდე, ოთხამდე და შეიძლება მეტიც), რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არის შექმნილი.

თვლის სისტემასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც რომელიმე რიცხვით აღებული თვლის საფუძვლად და მისგან იწარმოება სხვა რიცხვითი სახელები.

თვლის სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, თუ ჩარიცხვია თვლის საფუძველი.

ყველაზე მარტივი წყვილობითი სისტემაა, რომლის მიხედვითაც: სამი=ორი+ერთი; ოთხი=ორი+ორი; ხუთი=ორი+ორი+ერთი და ა. შ. ხშირად წყვილობითი სისტემა შერეულია სხვა, უფრო გვიანდელ და მაღალ სისტემებთან. ოთხობითი სისტემა, რომელიც წყვილობითის შინაგან განვითარებას წარმოადგენს, იშვიათად გვხვდება ( $5=4+1$ ,  $6=4+2$  და ა. შ.). კიდევ უფრო იშვიათია ექვსობითი სისტემა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის სისტემებია, რომლებიც ხელებისა და ფეხების თითთა დათვლის შედეგადაა წარმოშობილი. შეიძლება იყოს: ხუთობითი (ერთი ხელი), ათობითი (ორი ხელი) და ოცობითი (ხელები და ფეხები) სისტემები. არსებობს ორმოცულობითი სისტემაც (ჩრდილოეთ ამერიკაში).

წმინდა ხუთობითი სისტემა არ გვხვდება. ჩვეულებრივ, ის შერეულია ათობით ან ოცობით სისტემებთან. პირველ შემთხვევაში მივიღებთ ხუთ-ათობით სისტემას, რომელსაც საფუძვლად ათი უდევს და უდიდესი რიცხვი  $10 \times 10 = 100$  არის. მაგრამ თითოეული ათეული ხუთეულებისაგან შედგება. რიცხვები 5-დან 10-მდე მიიღება ხუთზე მიმატებით ან ათზე გამოკლებით, შეიძლება წყვილობითი სისტემის მიხედვითაც იწარმოებოდნენ. თვით ათიც ნაწარმოებია— $2 \times 5$  ან ორი ხელი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყოველ ენაში რიცხვები 5-დან 10-მდე შედგენილია, მაგრამ ზოგ ენაში ეს მათი ადრინდელი შედგენილობა ალარ არის ნათელი და მეტყველის მიერ პრაქტიკულად ალარ შეიგრძნობა. ამ შემთხვევაში გვაქვს წმინდა ათობითი სისტემა.

ხუთობითის ოცობითთან შეერთებით ვიღებთ ხუთ-ოცობით სისტემას, შეიძლება, ათობითი სისტემა შეუერთდეს ოცობითს. გვექნება ათ-ოცობითი სისტემა:

უსისტემო თვლა და წყვილობითი სისტემა ყველაზე მარტივი და ადრინდელია. ისინი უკავშირდებიან უძველეს კულტურას. უსისტემო თვლას ვერ გამოყენოთ წყვილობითი სისტემისაგან. მონათესავე ენგბილან სშირად ზოგში ერთი გვხვდება, ზოგში მეორე. ამიტომ უნდა ვითიქროთ, რომ უსისტემოდ გვეჩვენება თვლა, რაღაც მეცნიერებას ვერ მოუხდენია მისი სათანადო ანალიზი და ვერ აღმოუჩენია იქ წყვილობითი სისტემა.

წყვილობითი სისტემა ფსიქოლოგიურად ადამიანის წყვილეული ორგანოების არსებობაზე უნდა იყოს დაფუძნებული. შეიძლება მას ხელი შეუწყოს სოციოლოგიურმა ფაქტორმაც: უძველეს წრეში გაბატონებული იყო მონოგამია, რომლის ღრმასაც თანასწორუფლებიან შეულლეთა წყვილი წარმოადგენდა ღჯახის საფუძველს.

ოცობითი სისტემა პატრიარქატულ-ტოტემურ კულტურულ წრეს განეკუთვნება. მატრიარქატული კულტურის ენგბში მისი არსებობა (კავკასიურში, სვანურის გამოკლებით) აღრინდელ ტოტემურ კულტურასთან შერევის შედეგია. ზოგ ინდო-ევროპულ ენაში ოცობითი სისტემის არსებობის კვალი იაფეტურ ენათა გავლენის მაჩვენებელია და არა თვით ამ ენებისათვის დამახასიათებელი.

ტოტემურ კულტურაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანის სხეულს ტანსაცმლის ხმარების, სხეულის მორთულობის, სკულპტურის განვითარების გამო. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რიცხვითი სახელების წარმოებაც სხეულის ნაწილებიდან მომდინარეობს. ოცობითი სისტემა ძნელი

გამოსაყენებელია თვლის აბსტრაქტულ სისტემად. იგი მძიმე და მოუქნელია. ამიტომ ათობით სისტემასთან შეხვედრისას ეს უკანასკნელი გამოდევნის მას. თითქმის არც ერთი მაღალი კულტურის ტომი შატრიარქატული და მწყემსური კულტურისა არ იცნობდა ოცობით სისტემას.

ხუთობითი, ათობითი და ოცობითი სისტემები ერთმანეთთან გენეტურად არ არიან დაკავშირებული. თითოეული დამოუკიდებლად უნდა განვითარებულიყო წყვილობითი ან ოთხობითი სისტემებისაგან. შემდეგ, ერთმანეთთან შეხვედრის დროს, ეს სისტემები ერთმანეთში იჩეოდნენ და ერთმანეთთან შინაგანად დაკავშირებულთა მოჩვენების მთაბეჭდილებას ქმნიდნენ.

წმინდა ათობითი სისტემა ხშირად ხუთ-ათობითის გაცვეთის შედეგადაა მიღებული (5-დან 10-მდე რიცხვით სახელთა რთული წარმოშობა აღარ შეიგრძნება). მაინც, ავტორი ფიქრობს, რომ წარმოშობით წმინდა ათობითი სისტემაც არსებობს. ის დამახასიათებელია მომთაბარეთა კულტურული წრისათვის. ძველ ურალურ-ალთაურ ენებში ხუთ-ათობითი სისტემა ბატონობს, მანც ამ თჯახისათვის დამახასიათებლად მიჩნეულია ათობითი სისტემა. ინდო-ევროპულს წმინდა ათობითი სისტემა აქვს. სემიტურ-ქმიტურში ორივე გვეცდება.

მატრიარქატულ კულტურაში წმინდა ათობითი სისტემა ხუთ-ათობითის გაცვეთის შედეგად უნდა იყოს მიღებული. გაცვეთისათვის ხელი უნდა შეეწყო მომთაბარე-მესაქონლეებთან შერევას. მატრიარქატულ კულტურას შმიდტი ხუთ-ათობით სისტემას უკავშირებს.

ხუთ-ათობითი სისტემის შექმნა არის ნაბიჯი წინ ოცობით სისტემასთან შედარებით. გისი წარმოშობა დაკავშირებული იყო იმ განვითარებასთან, რომელსაც მეურნეობამ მიაღწია მატრიარქატულ კულტურაში. მცენარეთა ზედმეტი პროდუქტების მოგროვება და მათი გაცვლა-გამოცვლა ჩქარ თვლას მოითხოვდა. კიდევ მეტი საჭიროება იყო თვლისა მომთაბარე ტომებში, რომლებსაც ასეული და ათასეული საქონლისაგან შემდგარი ჯოგები ჰყავდათ. მომთაბარე-მესაქონლეებშია რიცხვითი სისტემის განვითარება უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს, მათ შექმნეს წმინდა ათობითი სისტემა.

## სინტაქსი

შმიდტი გახაზავს, რომ როგორც ფონეტიკასა და გრამატიკაში, ისე აქაცის იკვლევს არა მთლიანად სინტაქსს, არანერ მხოლოდ ისეთ საკითხებს, რომლებიც სათანადოდ არაა შესწავლილი სხვადასხვა ენებში.

საკვანძო საკითხად აღებულია უაფიქსო ნათესაობითის ადგილი მის მიერ განსაზღვრული სახელობითი ბრუნვის მიმართ. ნათესაობითის ადგილთან მჭიდროდ არის დაკავშირებული პირის ნაცვალსახელიდან ნაწარმოები კუთვნილებითი. ნაცვალსახელის (Possessiv) წარმოება და ადგილი. მასვე უკავშირებს ავტორი ნაცვალსახელური სუბიექტის ურთიერთობას ზმნასთან, აკუზატივის ადგილს ზღნის მიმართ და ზედსართავისას არსებითი სახელის მიმართ. ამგვარად, გენეტივის ადგილის კვლევამ, მისი აზრით, ნათელი უნდა მოჰყონოს სახელური და ზმნური სინტაქსის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ამ ნაწილის აღნაგობა ასეთია: а) მსოფლიოს ენათა განხილვა გენეტიკის, პოსესივისა და ნაცვალსახელური სუბიექტის ადგილის მიხედვით. б) გენეტივის ადგილის გავრცელების ცენტრებისა და მათი გამოსხივების ზონების

(Ausstrahlungszonen) დადგენა. გ) გენეტივის ადგილის დაკავშირება კულტურულ წრეებთან. დ) გენეტივის ენობრივი გავლენანი. ე) დასკვნითი ნაწილი.

გენეტივისა და პოსესივის ადგილის გავრცელება ერთდროულად არის. განხილული პოსესივი პირის ნაცვალსახელს წარმოადგენს ჩვეულებრივად (იშვიათად ის ზედსართავია, მაგ., ინდო-ევროპულ ენებში). ამიტომ „გასაგებია მისი თანხვედრა სახელურ გენეტივთან. ორდესაც გენეტივი და პოსესივი ერთგვარ მდგომარეობას გვიჩვენებენ, გვაქვს ან გენეტივის სრული წინდასმა (volle Genitivvorstellung), ან სრული უკანდასმა (volle Nachstellung). მაგრამ შეიძლება გენეტივისა და პოსესივის ადგილი განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ანას ავტორი გენეტივის მსხვრევად ადგილს (gebrochene Genitivstellung) უწოდებს. უკანასკნელი მდგომარეობა მეორეულია და გენეტივის ადგილის შეცვლით. არის გამოწვეული. შეცვლა კი უცხო ენის გავლენას მიეწერება.

გენეტივის ადგილის შედარება კულტურის წრეებთან შემდეგ სურათს იძლევა: უძველეს კულტურას, ბუმერანგის კულტურის გამოყლებით, გენეტივის სრული წინდასმა ახასიათებს. გენეტივის უკანდასმა ამ კულტურის ზოგ ენაში სხვა ენათა გავლენის შედეგია.

გენეტივის წინდასმა ახასიათებს, აგრეთვე, პატრიარქატულ კულტურულ წრეებს, — როგორც მონადირეთა ტოტემურ კულტურას, ისე მომთაბარე-მესაქონლეებს.

ურალურ-ალთაურში გენეტივის უკანდასმა გვხვდება, მაგრამ უფრო აღრინდელი წინდასმაა. სემიტურ და ჩრდილოეთ ქამიტურ ენებში კიდევ უფრო ხშირია გენეტივის სრული უკანდასმა. მაგრამ უფრო ძველი სამხრეთ ქამიტური ენები წინდასმას გვიჩვენებენ და, რადგან სემიტური ენები ქამიტურზე გვიანდელი არიან, ამიტომ მთელი სემიტურ-ქამიტურისათვისაც წინდასმა უნდა მივიჩინოთ დამახასიათებლად. უკანდასმა კი იაფეტური ენების გავლენითაა გამოწვეული, — ალნიშნავს შმიდტი.

გენეტივის უკანდასმა ძველ მატრიარქატულ კულტურას უკავშირდება. მატრიარქატის გვიანდელ ფორმებში ის ყოველთვის არ გვხვდება. ზოგ იაფეტურ ენაში (მათ შორის სამხრეთ კავკასიურში) არსებული გენეტივის მსხვრევადი წინდასმა ინდო-ევროპული ან უფრო აღრინდელი ენების გავლენითაა გამოწვეული.

გენეტივის უკანდასმა გვხვდება აგრეთვე ამერიკისა და ავსტრიალიის ენებში, რომლებიც ბუმერანგის კულტურას შეესატყვისებიან.

განიხილავს რა გენეტივის ურთიერთობას პრონომინალ სუბიექტთან, აკუზატივთან, ზედსართავთან, ავტორი შემდეგი სახით აყალიბებს მიღებულ შედეგებს:

1. უძველესი ადგილი გენეტივისა არის მისი მოთავსება არსებითი სახელის წინ. ეს ფსიქოლოგიური მოთხოვნილებისაგან გამომდინარებას. გენეტივის წინდასმა შეესატყვისება გულუბრყვილო, ბუნებრივ, სპონტანურ ანტოვნებას.

გენეტივი უკვე ნაცნობ ცნებას (genus-s) განმასხვავებელ თვისებას უმატებს (შდრ. Schlüssel და Hausschlüssel), ის differentia-specifica-s წარმო-

<sup>1</sup> ვ. შმიდტი, მსოფლიოს ენათა ოჯახები და ენობრივი წრეები, გვ. 488 და შემდ.

ადგენს და ოოგორუ ახალი, ჯერ უცნობი, ყურადღების მიქცევის მიზნით, წინაც დაისმისა.

2. პოსესივი უმეტესად პირის ნაცვალსახელის გენეტივს წარმოადგენს, ამიტომ ისიც ყველა ენაში პირველად წინ დაისმოდა.

3. ასევე ზმინის წინ დაისმოდა პრონომინალი სუბიექტიც. ომ პრონომინალი სუბიექტის ადგილი დამკიდებულია გენეტივზე, ეს იმით ირკვევა, რომ გენეტივის გადადგილებას პრონომინალი სუბიექტის გადაადგილებაც მოჰყვება<sup>2</sup>.

4. გენეტივისა და პრონომინალი სუბიექტის წინდასმა იმას კი არ ნიშნავს, რომ ზმური გამოთქმა (Verbalausdruck) უძველესად პოსესიურ გამოთქმას (Possessivausdruck) წარმოადგენდა, არამედ იმას, რომ მაშინ ჯერ კიდევ. არ იყო დიფერენციაცია ხომხდარი და გენეტივი და პოსესივი ისეთსავე მიმართებაში იყვნენ არსებითი სახელის სახელობით ბრუნვასთან, როგორშიაც პრონომინალი სუბიექტი იყო თავის ზმნასთან. ამის მიხედვით არ უნდა ვიფიქროთ, რომ აზროვნება მაშინ ვერ განასხვავებდა ცნებითს გამოხატულებას. მსჯელობის გამოსახულებისაგან (Begriffs und Satzausdruck).

მოქმედებითი გვარის ზმნები და გარდამავალი ზმნები ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ პრონომინალი ნაცვალსახელის დასმას ზმინის წინ თავისი საკუთარი, გენეტივისაგან დამოუკიდებელი საფუძველი იქვს, რაღანაც ზოგ ენაში, მიუხედავად გენეტივის გადანაცვლებისა, პრონომინალი სუბიექტი წინდასმას ინარჩუნებს. ეს საფუძველი უნდა მდგომარეობდეს სუბიექტის მისწრაფებაში, მოთავსდეს წინადადებისა და ზმნის დასაწყისში. თუ ეს ასეა, მაშინ უძველესადაც გენეტივისა და პრონომინალი ნაცვალსახელის წინდასმის მიზეზი სხვადასხვაგარი იქნებოდა: გენეტივი დაისმოდა წინ, როგორც ფსიქოლოგიურიც ახლის გამომხატველი, ხოლო სუბიექტური ნაცვალსახელი,—როგორც ფსიქოლოგიურად უმნიშვნელოვანესის, მოქმედების ჩამდენის, მისი მიზეზის აღმნიშვნელი.

5. გენეტივის წინდასმა გვხვდება უძველესი კულტურის ყველა ენაში, ბუმერანგის კულტურის გამოკლებით, მონაცირეთა ტოტემურ კულტურასა და მომთაბარე-მწყებსთა კულტურაში.

6. გენეტივის გადაადგილება საზღვრულის შემდგომ არ არის შინაგანი განვითარებით გამოწვეული; ბიძგი გარედან იქნა მიცემული. ეს გადაადგილება დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან, რომლებიც მატრიარქატში შეიქმნა: მიწის დამუშავებისა და კერძო საკუთრების წარმოშობის საფუძველზე დაიბადა მოთხოვნილება ახალი მიწების დაპყრობისა, რასაც გადასახლებანი მოჰყვა (გადასახლებები ზოგჯერ ოლიგიათა გავრცელების მიზნითაც ხდებოდა). გადასახლებებმა ენათა შერევა გამოიწვია და სწორედ შერევათა შედეგად მოხდა გენეტივის გადაადგილებაც.

გენეტივის უკანდასმა მარტირიარქატის გარდა ბუმერანგის კულტურასაც ახასიათებს. ეს იმიტომ, რომ სწორედ ბუმერანგის კულტურაში იწყება დიდი გადასახლებანი. თუთ ეს კულტურული წრე უძველესი კულტურის ვანვითა-

<sup>1</sup> „ლოგიკური“ აზროვნების დროს კი პირუკუ, რაკი differentia specifica უფრო ვიანდელია, ნაცნობ ცნებას ერთვის, იგი მის შემდეგაც დაიშესო—წერს შმიდტი.

<sup>2</sup> არის შემთხვევები, როდესაც გადაადგილება მხოლოდ პრონომინალურ სუბიექტს განუცდია (მაგ., ინდო-ევროპულ ენებში). ეს იავეტურ ენათა სუსტი, შორეული გავლენაა, —ამ-ბობს ავტორი) ანდა პრონომინალ სუბიექტსა და პოსესივს (ურალურ-ალთაურში).

რების მაღალ საფეხურს კი არ წარმოადგენს, არამედ უძველესი კულტურის მატრიარქატულთან შერევის შედევია და ამიტომ ორივე წრის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს.

7. გენეტივის გადანაცვლებამ შემდეგ შერევის გზით სხვა ენებზედაც მოახდინა გავლენა. ამან შექმნა შესაძლებლობა სხვადასხვა ადგილას მოთავსებულიყო, ერთის მხრივ, გენეტივი და პოსესივი, ხოლო, მეორე მხრივ, პრონომინალი სუბიექტი. ამით გარეგნულადაც გარჩეულ იქნა ცნებითი გამოხატულება (სახელი) და მსჯელობა (ზმნა).

რომ ასეთი დიფერენციაცია შინაგანი მოთხოვნილებისაგან გამოიმდინარეობდა და სასარგებლო იყო აზროვნების განვითარებისათვის, ეს იქიდან ჩანს, რომ იგი გატარებულია ასე თუ ისე ყველა მაღალი კულტურის ხალხებში მცირე გამონაკლისით.

8. აკუზატივის ადგილიც შინაგანად დაკავშირებულია გენეტივთან. უძველესად უაფიქსო აკუზატივიც ზმნის წინ იყო. ხოლო გენეტივის გადაადგილებას აკუზატივის გადაადგილებაც მოჰყვება. აქედან ის კი არ უნდა დაგვასკვნათ, რომ აკუზატივი არის გენეტივი ზმნასთან (=Genitivus obiectivus), არამედ ის, რომ მაშინ გენეტივიცა და აკუზატივიც გაუდიფერენცირებელ, ერთვარ ურთიერთობაში იყვნენ არსებით სახელთან და ზმნასთან.

9. ზედსართავი დასაწყისში არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული გენეტივთან. უძველესად გენეტივის წინდასმას ზედსართავის უკანდასმა შეესატყვისებოდა. შემდეგ გენეტივი ასოციაციურ გავლენას ახდენს ზედსართავზე, რის გამოც წინდასმულ გენეტივიან ენებში ზედსართავი მთლიანად ან ნაწილობრივ წინ გადაისმის. უკანდასმულ გენეტივიან ენებში კი მისი პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცდება.

10. გენეტივის ადგილის ცვლილება მხოლოდ გარეგანი მიზეზებით შეიძლება იქნეს გამოწვეული. სადაც ენათა შერევა არა გვაქვს, გენეტივის წინდასმა ზინაგანი განვითარებით არასოდეს არ მოგვცემს უკანდასმას და, ასევე როდესაც გარეგანი გავლენით უკანდასმას შეიღიღებთ, ის თავისთავად წინდასმით არ შეიცვლება.

ერთადერთი გამონაკლისი არის თითქოს რომანული ენები, რომლებმაც გენეტივის წინდასმა შეცვალეს უკანდასმით. მაგრამ საბოლოოდ აქაც გარეგან გავლენასთან გვაქვს საჭმე. დაკარგულ ბრუნვათა სუფიქსების საკომპენსაციოდ რომანულმა ენებმა წინდებულები გამოიყენეს. წინდებულთა ხმარება ენათა შერევითაა გამოწვეული (შმიდტის აზრით, უძველესად მხოლოდ თანდებულები არსებობდნენ). წინდებულები გენეტივის უკანდასმასთანაა დაკავშირებული. მაგ., სიმბურში, ირლანდიურში, გერმანულში, ბალტურ-სლავურში წინდებულები იაფეტური ენების გავლენით შეიქმნა, როგორც ეს მარმა და ბრაუნმა დაამტკიცეს. წინდებულთა ხმარებამ განსაზღვრა გენეტივის გადანაცვლების შესაძლებლობა, რადგან გან დაუშვა წინდებულიანი გენეტივის უკანდასმა. მივიღეთ timbre de poste, შემდეგ სიტყვათა შეერთებისას წინდებულის ჩავარდნით მივიღეთ timbre poste. ამავე გზით უნდა მომსდარიყო გენეტივის ადგილის შეცვლა სხვა ენებშიც.

გენეტივის გადანაცვლებას ძალიან დიდა დრო სჭირდება. პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: გენეტივის ადგილი მჭიდროდ არის დაკავშირებული ენობრივ ალლოსთან (Sprachgefühl). ახლის განმტკიცებას წინ უნდა უძლოდეს გენეტივის ძველი ადგილის შერყვევა. შემდეგ მხოლოდ ადგილით განსა-

ზღვრული (უაფიქსო) გენეტივი თანდათან ისპობა (ასე ა ინდო-ევროპულ ენებში): ეს იწვევს ძველი ენობრივი ალლოსაგან გადაჩვევას. დაიწყებას ექლევა გენეტი ვის ძველი ადგილი. ამიტომ ენა ველარ უწევს წინააღმდეგობას სხვა. ენას რომლის გავლენითაც ჯერ თანდებულები იქცევა წინდებულებად, ბრუნვათა. სუფიქსები—პრეფიქსებად, ხოლო შემდეგ, მათი ჩავარდნით, უაფიქსო გენეტივის უკანდასშიას ვიღებთ. შემდეგ ეს გადანაცვლება ვრცელდება და სხვა კატეგორიებზეც მოქმედებს (პოსესივი, პრონომინალი სუბიექტი, აკუზატივი).

### ენობრივი ჭრები და კულტურული ჭრები

მეოთხე განყოფილებაში ავტორი იმის საფუძველზე, რაც წინა განყოფილებებში იქნა დადგენილი ცალკეული ენობრივი ნიშნების მიმართ, ყალიბებს ენობრივ წრეებს. შემდეგ, უდარებს რა ამ წრეებს კულტურულ წრეებს, აკეთებს დასკვნას, რომ მათ შორის არსებობს აშკარა შესატყვისობა.

1. უძველესი ენობრივი წრეები. აქ შემავალი ენები, შმიდტის სიტყვით, არა მხოლოდ თავიანთი სახეურნეო პირობების (დავროვების საფეხური) და გეოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით (განცალკევებული კუნძულები, მთიანი ადგილები, უდაბნოები, დედამიწის მეტად დაშორებული კუთხეები), არამედ თავიანთი ენობრივი ელემენტების მარტივი, გაუდიფერენცირებელი ხასიათითაც წარმოგვიდგენენ ენათა უძველეს საფეხურებს, რომელთა შესწავლა ამჟამად ხერხდება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ისინი ენათა წარმოშობის მდგომარეობას ავლენენ.

უძველეს წრეებს შემდეგი ნიშნები ახასიათებს.

ფონეტიკიდან: 1. მხოლოდ ნორმალური ხმოვნები: ა, ი, ე, ო, უ.

2. მულერ და ყრუ თანხმოვანთა დიფერენციაცია ჯერ არ არის მომზღაობი. არ არის, აგრეთვე, გამოყოფილი ნაპრალოვანი თანხმოვნები, განსაკუთრებით საცილებელი არის უძველესი საფეხურები.

3. ანლაუტისა და აუსლაუტის მიხედვით სამი ჯგუფი გვაქვს: ა) მარტივთან ხმოვნიანი, ბ) ადვილი ორთანხმოვნიანი და გ) ძნელი რამდენიმე თანხმოვნიანი, განსაკუთრებით ს-ს შემცველი (არქტიკულ წრეში). არის აგრეთვე გარდამავალი. საფეხურები პირველიდან მეორე და მეორედან მესამე ჯგუფისაკენ, როდესაც ანლაუტი ერთი ჯგუფის კომპლექსებს გვიჩვენებს, აუსლაუტი—შეორისას.

გრამატიკიდან: 1. რიცხვის წარმოების მრავალფეროვნება: მხოლოდითი, მრჩობლობითი, სამობითი, მრავლობითი.

2. რიცხვით სახელთა წარმოების წყვილობითი სისტემა.

3. აქ იქმნება პირველად ლოკალური ეგზოგაშიური ოჯახის საფუძველზე ინკლუზივ-ექსკლუზივი. ექსკლ. ჩენ = მე და ჩემი ტომის წევრები, ინკლ. ჩენ = მე და ჩემი ტომის უცხოელები.

4. არ არსებობს სახელთა არავითარი, კლასიფიკაცია.

სინტაქსიდან: 1. გენეტივის სრული წინდასმა, აგრეთვე პოსესივის, პრონომინალი სუბიექტისა და აკუზატივის წინდასმა. ზედსართავი კი უმეტეს შემთხვევაში მოსდევს არსებით სახელს.

2. არ არის მომხდარი დიფერენციაცია პოსესივიან სახელურ გამოხატულებასა (Nominalausdruck) და პრონომინალ სუბიექტიან ზმნურ გამოხატუ-

<sup>1</sup> ს. ბგერა აქვს არქტიკულ წრეს.

ლებას (Verbalausdruck) შორის. ასეთივე მდგომარეობაა აკუზატივისა და გენეტივის მიმართ.

უძველესი ენობრივი წრეები იყოფა სამ ჯგუფად, რომელსაც მათში შემავალი ენების გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით ავტორი უწოდებს სამხრეთ, შუა და ჩრდილოეთ (არქტიკულ) წრეებს.

2. პირველადი ენობრივი წრეები. აქ შემავალი ენები ახდენენ ენობრივ ელემენტთა დიფერენციაციას. სამი წრე გვაქვს: სამხრეთის, ჩრდილოეთისა და შუა. პირველი ორი უფრო ახლოს დგას უძველეს კულტურასთან.

ა. სამხრეთ პირველად წრეს ახასიათებს:

ფონეტიკიდან: 1. ტ და უ ხმოვნების არარსებობა.

2. ჯერ კიდევ არ უნდა იყოს განსხვავება მულერ და ყრუ თანხმოვნებს შორის.

3. ერთთანხმოვნიანი ანლაუტ-აუსლაუტი. აგრეთვე, ხმოვნიანი ანლაუტი.

გრამატიკიდან: 1. მრჩობლობითის (სამობითის) და ინკლუზივ-ექსკლუზივის არარსებობა.

2. არ არის აგრეთვე სახელთა კლასიფიკაცია. მხოლოდ იქ, სადაც ამ წრის ენები კონტაქტში არიან მდედრობითი და მამრობითი სქესის მქონე ენებთან, ისინი გარდაქმნიან სქეს-კატეგორიებს ადამიანისა და ნივთის კატეგორიად და ამ სახით ითვისებენ მას.

3. თვლის ხუთ-ოცობითი სისტემა, რომლის შიგნით კვლავ არსებობს წყვილობითი სისტემა.

სინტაქსში იგივე მდგომარეობაა, რაც უძველეს კულტურაში იყო: გენეტივის, პოსესივის, პრონომინალი სუბიექტისა და აკუზატივის წინდასმა. მხოლოდ ამათი გავლენით ზედსართავიც წინ გადმოდის.

ამ წრეში ორი ფენა: უფრო ძველი და უფრო ახალი.

ბ. ჩრდილოეთ პირველად წრეში შედის: ურალურ-ალთაური (პირველი ფენა), ინდო-ევროპული (მეორე ფენა), სემიტურ-ქამიტური (მესამე ფენა) ენები, ჩრდილოეთ კავკასიურ ენათა ნაწილი — ყველა ესენი ჩრდილოური წარმოშობისა არიან. მათი დამახასიათებელი ნიშნებია ფონეტიკიდან:

1. ურალურ-ალთაურსა და ინდო-ევროპულში არის ტ, უ ხმოვნები, რომელიც ურალურ-ალთაურში უნდა იყვნენ წარმოშობილი.

2. სემიტურ-ქამიტურში, ინდო-ევროპულსა და ოურქულ ენებში გამიჯნულია მელერი და ყრუ თანხმოვნები, ჩამოყალიბებულია აგრეთვე ნაპრალოვნები.

3. არსებობს რთული, რამდენიმე თანხმოვნიანი ანლაუტ-აუსლაუტი.

გრამატიკიდან: 1. უმეტეს ენებში მხოლობით და მრავლობით ორცხვთან ერთად არის მრჩობლობითი.

2. არ არის ინკლუზივ-ექსკლუზივი.

3. გვაქვს სახელთა კლასიფიკაცია სქესის მიხედვით (მდედრობითი და მამრობითი, აგრეთვე საშუალო), რომელიც რიგ ენებში გრამატიკულ სქესად იქცა.

4. არსებობს თვლის წმინდა ათობითი სისტემა, რაც უშუალოდ წყვილობითი სისტემისაგან წარმოიშვა.

სინტაქსიდან: 1. შუა პირველადი (იაფეტური და ენისეის რაიონის) ენების გავლენით გენეტივის აღგილი იცვლება. ინდო-ევროპულ ენებში პრონომინალი სუბიექტი დაისმის ზმნის შემდეგ. სემიტურსა და ჩრდილოეთ ქა-

შიტურ ენებში გენეტივის სრულ უკანდასმას ვიღებთ. დანარჩენ ქამიტურ ენებში მსხვრევადი უკანდასმაა. საშუალო მდგომარეობა გვაქვს ურალურ-ალთაურ ენებში. ამ გადაადგილებათა შედეგად ყველა აქ შემავალმა ენამ მიაღწია იმას, რომ გარეგნულად, ადგილის მიხედვით, გარჩეულია სახელთან კუთვნილებითი გამოხატულება (Possessivausdruck) და ზმნასთან მსჯელობის გამოხატულება (Satzausdruck).

2. აკუზატივის ადგილი საერთოდ გენეტივისას ეთანხმება.

3. ზედსაართავზე იმოქმედა გენეტივის წინდასმა და გადაიყენა ის წინ. უკანდასმა მხოლოდ სემიტურსა და ჩრდილოეთ ქამიტურ ენებშია, რაც გამო-წვეულია მათ მიერ მიღებული გენეტივის უკანდასმის გავლენით.

გ. შუა პირველადი წრე ყველაზე მეტად არის დაშორებული უძველეს წრეებს. მასში არის მომხდარი უმთავრესი ცვლილებანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელთა კლასიფიკაციის შექმნა და გენეტივის ადგილის შეცვლა. ამ წრის ენებს დიდი გავლენა მოუხდენია წინა ორ წრეზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთისაზე. დამახასიათებელი ნიშნები—

ფონეტიკიდან: 1. ტ და ც ხმოვანთა არაფართო შასშტაბით გა-ვრცელება.

2. მელერ და ყრუ, აგრეთვე ხშულ და ნაბარალოვან თანხმოვანთა დიფე-რენციაცია, რაც პირველად ამ წრეში უნდა მომხდარიყო და შემდეგ გა-ვრცელებულიყო სხვა პირველად წრეებში.

3. ერთათანხმოვნიანი ანლაუტ-აუსლაუტი.

გრამატიკიდან: 1. მხოლობითი, მრჩობლობითი და მრავლობითი რიცხვი.

2. ინკლუზივ-ექსკლუზივი, რომელიც მრჩობლობით რიცხვთან ერთად უძველესი კულტურიდან მომდინარეობს.

3. ამ წრეში შეიქმნა პირველად სახელთა კლასიფიკაცია, სახელდობრ, სქეს-კატეგორიები და სულიერისა და უსულოს კატეგორიები. სქეს-კატეგორიები რეა-ლურ სქეს ემთხვევიან. გრამატიკული სქესი ჩრდილოეთ პირველად წრეში წარ-მოიშვა. რეალური სქესის გრამატიკულად გარდაქმნის საფეხურები მოცემული გვაქვს სხვადასხვა ენებში: კავკასიურ ენებში სქესობრივად მოუმწიფებელნი გა-მოყოფილი არიან მომწიფებულთაგან, მაგრამ სქესის მიხედვით განსხვავება მათზე მაინც ვრცელდება. ინდო-ევროპელები სქესობრივად მოუმწიფებელს უყურე-ბენ, როგორც უსქესოებს და არაცოცხალთა, საგანთა კლასში ათავსებენ. ამით ირლვევა რეალურსა და გრამატიკულ სქესს შორის კავშირი. შემდეგ, სემიტურ-ქამიტურ ენებში, როდესაც ქალი სოციალურ ლირებულებას მო-კლებული გახდა, მდედრობითი სქესი საგანთა კლასს შეუერთდა.

4. თვლის ხუთ-ათობითი სისტემა.

სინტაქსიდან: გენეტივის წინდასმის შეცვლა უკანდასმით. ამას მოჰყვა პრეფიქსების სუფიქსებად ქცევა, აგრეთვე პრონომინალი სუბიექტის გადაად-გილება. ზაგრამ წინდასმულ გენეტივიან ენათა გავლენით განსაკუთრებით აქტი-ურ ზმნებში კვლავ გენეტივის წინდასმა მივიღეთ. ამით ამ ენებმაც შეძლეს ზმნური და სახელური წინადადების გარეგნულად გარჩევა.

ამ წრეში შედიან: სამხრეთ-აღმოსავლეთ აგსტრალიის ენები, ავსტრონე-ზიული ენები პოლინეზიურის გამოკლებით, ავსტრო-აზიური (მუნდა ენების გამოკლებით), იაფეტურ ენათა დიდი ნაწილი, ამერიკის რიგი ენები და სხვ.

3. მეორეული და მესამეული ენობრივი წრეები. მეორეული წრეები მიღებულია უძველესი და პირველადი ენობრივი წრეების ერთმანეთთან შერევის გზით. შესამეული წრის ენები ამ ნარევ ენათა შემდგომი შერევის შეღეგადაა წარმოშობილი. უკანასკნელ შემთხვევაში წრეებთან არც კი გვაქვს საქმე. აქ უკვე დიფერენციალის მიყვავართ ცალკეულ ენათა ოჯახების, უკეთ, ფუტერენების, წარმოშობამდე. ავტორი ასახელებს მეორეული და მესამეული წრეების მაგალითებს. ასეთებად მიაჩნია მას, სხვათა შორის, გერმანული ენები, რომლებსაც იაფეტურ ენებთან შენარევად თვლის.

გადავდივარი შმიდტის შრომის უკანასკნელ განყოფილებაზე, სადაც ავტორი ადარებს ერთმანეთს მის მიერ დადგენილ ენობრივსა და კულტურულ წრეებს და მათ შორის სრულ შესატყვისობას პოულობს. აქვე არის ცდა აიხნას ენობრივი მოვლენები კულტურის ფაქტებით.

ავტორის აზრით; უძველეს კულტურულ წრეს უძველესი ენობრივი წრე შეესატყვისება. მათ შორის შინაგანი კავშირი არსებობს: ანორმალურ ხმოვანთა და თანხმოვანთა დიფერენციალის არარსებობას შმიდტი უკავშირებს—ამ ენებსა და კულტურებში ფიზიკური ორგანოების (Physische Werkzeuge) განუვითარებლობას<sup>1</sup>.

გენეტივის წინდასმა ძველი ადამიანების ბავშვურ-გულუბრყვილო აზროვნების გამოძახილია, — გვეუბნება ავტორი. ნაცვალსახელთა და არსებით სახელთა რიცხვის სიმრავლე (მრჩებლობითი, სამობითი) დაკავშირებულია თვლის, სისტემის განუვითარებლობასთან (წყვილობითი სისტემა). თვლის წყვილობითი სისტემა სხეულის წყვილეული ორგანოებიდან მომდინარეობს; მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სოციალური მიზეზიც — მონოგამიური ოჯახის არსებობა.

ასევე, სოციალური მიზეზი, ლოკალური ეგზოგამია, განსაზღვრავს ინკლუზივ-ექსკლუზივის წარმოებას. კლას-კატეგორიების არარსებობა გვიჩვენებს, რომ სულიერი და უსულო არ იყო იმდენად დაპირისპირებული, რომ ეს განსხვავება ენაშიც გამოხატულიყო. სრულიად არ განირჩეოდა მდედრობითი და, მაცრობითი სქესი.

აღსანიშნავია, რომ ბუმერანგის კულტურას არა აქვს შესაბამისი ენობრივი წრე. ბუმერანგის კულტურა უძველესი კულტურისა და მატრიარქატული. კულტურის ნარევს წარმოადგენს. მასში შემავალი ენები კი ასეთ ნარევის არ ამჟღავნებენ, ისინი ან უძველეს ენობრივ წრეს ეკუთვნიან, ან პირველადს.

სამხრეთ პირველადი წრე ტოტემურ კულტურულ წრეს უკავშირდება. ეს ენობრივი წრე მეტად ახლოს დგას უძველეს ენობრივ წრესთან ისევე, როგორც ტოტემური კულტურა ახლოსაა უძველეს კულტურასთან.

ხმოვნიან აუსლაუტს (და ანლაუტს), რაც ფორმის სიმსუმბუქეს ქმნის, შმიდტი ხსნის სილამაზისადმი მისწრაფებით, რომელიც დამახასიათებელია მთელი ამ კულტურული წრისათვის.

თვლის ხუთ-ოცობითი სისტემა მჭიდროდაა აგრეთვე დაკავშირებული ადამიანის სხეულის ფორმისადმი ყურადღების შიქცევასთან. მამრობითი და მდედრობითი სქესის გარდაქმნა ადამიანთა და ნივთთა კატეგორიად ქალის შევიწროების შედეგია.

ჩრდილოეთ პირველადი ენობრივი წრე მომთაბარე-მესაქონლეთა კულტურულ წრეს შეესატყვისება, ხოლო შუა პირველადი ენობრივი წრე — მატრიარქატულ კულტურულ წრეს.

<sup>1</sup> ვ. შმიდტი, დასახ. შრ., გვ. 530.

შმიდტი ცალკე განიხილავს პირველად წრეებში მდედრობითი და შამრობითი ნაწილის მიერ წარმოებულ ცვლილებებს. პირველად წრეებში ორი არსებითი ცვლილება მოხდა:

1. კლას-კატეგორიების წარმოშობა და 2. გენეტივის უკანდასმა. ორივე შუა წრეში წარმოიშვა, მაგრამ მათ შექმნაში სხვადასხვა იყო ქალისა და მამაკაცის როლი. პირველი ცვლილება ქალთან არის დაკავშირებული, მეორე— მამაკაცთან.

1. მდედრობითი და მამრობითი სქესი მატრიარქატულ კულტურაში ქალთა ემანსიბაციისა და მიწათმოქმედების განვითარების საფუძველზე წარმოიშვაო,—გვაუწყებს ავტორი. სხვა წრეებმა ეს კლასიფიკაცია. თავიანთ ბუნებას შეუფარდეს. ტოტემურმა წრემ იგი ადამიანისა და ნივთის კატეგორიად გარდაქმნა, მდედრობითის აღნიშვნა მოსპო. მომთაბარე-მესაქონლეთა კულტურულ წრეში ბუნებრივი სქესი გრამატიკულად იქცა და გაფართოვდა (ცხოველების მიმართაც იხმარებოდა), ამით მისი სოციალური მნიშვნელობა შესუსტდა. ამის შედეგად სემიტურ-ქამიტურ ენებში საშუალო და მდედრობითი სქესი ერთმანეთს დაემთხვა.

სულიერისა და უსულოს კატეგორიებიც მატრიარქატულ წრეში გვხვდება, ოლონდ მისი გავრცელების სფერო ჩრდილოეთშია. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩრდილოეთის გეოგრაფიული პირობები არ ქმნიდა მიწის დამუშავების შესაძლებლობას, პირობი აქ მონადირეობასა და მეთევზეობას მისდევდნენ. მდედრობით-მამრობითი სქესის წარმოშობით შეიქმნა სახელთა კლასიფიკაციისადმი მისწრაფება, ხოლო რაკი აქ სამეურნეო-სოციალური პირობები სხვა იყო, კლასიფიკაციაც სხვაგვარი მივიღეთ. სახელდობრ: ცხოველებისადმი ყურადღების მიცემამ მოგვცა დაყოფა სულიერად და უსულოდ. ამიტომ არის, რომ ასეთ კლასიფიკაციას ვხვდებით ძეგლ მომთაბარე შეჯოგებთან. გასაგებია ისიც, რომ შემდეგ მათ მიატოვეს ეს კლასიფიკაცია და მიიღეს მდედრობითად და მამრობითად დაჯგუფება, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა მეჯოგენობასთან დაკავშირებით.

2. გენეტივის უკანდასმა მამაკაცთან არის დაკავშირებული, რადგან მამაკაცები იწყებენ პირველად მოგზაურობას და ეცნობიან სხვადასხვა ენებს, რასაც მოჰყვა გენეტივის ადგილის შეცვლა. თავისი ბუნებითაც, შმიდტის აზრით, გენეტივის უკანდასმა, რომლის დროსაც ახალი, უცნობი, ცნობილის წინ დაისმის, სპონტანურ-ბუნებრივ აზროვნებას შეესატყვისება და ბავშური და ქალური აზრთა წყობის დამახასიათებელია, ხოლო წინდასმა მამაკაცურ აზროვნებას ავლენს.

## 2

შმიდტის კლასიფიკაციის შეფასება უნდა დავიწყოთ იმ მეთოდების განხილვით, რომელსაც ავტორი იყენებს.

შმიდტი აღნიშნავს, რომ მის მიერ წარმოებული კვლევის წინააღმდეგ ორი მეთოდოლოგიური შენიშვნა შეიძლება მოიყვანონ: პირველი ეხება საკვლევი მასალის შერჩევის პრინციპებს. ავტორი ხშირად მიუთითებდა, რომ ის იღებს ისეთ ენობრივ ნიშნებს, რომლებიც სათანადოდაა შესწავლილი მსოფლიოს ენებში და იძლევა საერთო დასკვნების გამოტანის საშუალებას. მაგრამო,—ამბობს თვით ავტორი,—შეიძლება გვითხრან, რომ ამგვარად შერჩეული ნიშნების ერთად მოხვედრას შემთხვევითი ხასიათი აქვს. და მათ საფუძველზე შეუ-

ქლებელია დავახასიათოთ ენობრივი წრე, როგორც ორგანული მთლიანი, რომელშიც შემავალ ელემენტებსაც მჭიდრო შინაგანი კავშირი. აქვთ ერთმანეთ-თანო.

ასეთი საყვედურის მიზეზია, ავტორის აზრით, ზუსტი ისტორიულ-მეცნიერული კვლევის ორი საფეხურის ერთმანეთში არევა. პირველ ეტაპზე ყოველმხრივ შეისწავლება ცალკეული ელემენტები, მათ შორის შინაგანი კავშირის გათვალისწინების გარეშე. მხოლოდ ასეთი დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ არის შესაძლებელი კვლევის მეორე ეტაპზე გადასვლა, როდესაც აზალაში ელემენტების შესწავლის საფუძველზე თანდათან ირკვევა მათ შორის არსებული კავშირიც, ბოლო ელება მასალის ფრაგმენტარულ ხასიათს. ასეთი პოზიტიური კვლევა, შმიდტის აზრით, უფრო ფასეულია, ვიდრე თავიდანვე ელემენტთა შინაგანი კავშირის ინტუიციით განვივრეტა, რადგანაც ამას უფრო ხშირად სახითათო აპრიორიზმებამდე მივჰყავართო. თავის შრომას ავტორი კვლევის პირველი ეტაპის დასაწყისად თვლის<sup>1</sup>.

ავტორის მიერ მოყვანილი საბუთები სრულიადაც ვერ აბათილებენ იმ საყვედურს, რომელსაც, მართლაც, იმსახურებს შმიდტის კვლევის მეთოდი. ვთქვათ, კვლევის პირველ საფეხურზე მხოლოდ ცალკეული ელემენტების შესწავლა ხერხდება. შმიდტს რომ მხოლოდ ენათა შესწავლა ჰქონდეს დასახული მიზნად, მაშინ მოყვანილი მიზეზის გამო გამართლებული იქნებოდა ცალკეულ ენობრიც ნიშანთა შესწავლით საქმის დაწყება და თანდათან შესწავლილი ნიშნების რიცხვის გამრავლება. მაგრამ ავტორის მიზანია ამ ენობრივ ნიშანთა შეფარდება კულტურის წრეებთან, ე. ი. ისეთ ენობრივ ნიშანთა გამოყოფა, რომლებიც კულტურის გარკვეულ ღონეს ასახავენ. განა ასეთ დროს შეიძლება ნიშანთა შემთხვევით აღება? რა. თქმა უნდა, —არა; და თუ ავტორი მაინც იძულებულია საკითხთა შესწავლის დონე აიღოს კრიტერიუმად, ის არაფრით არ არის დაზღვეული იმისაგან, რომ კულტურისა და ენის ურთიერთობისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ნიშანთა ნაცვლად მეორეხარისხოვან ენობრივ ნიშნებს მიაქციოს ყურადღება.

ამგვარად, კულტურული წრეების შესატყვისი ენობრივი წრეების ჩამოყალიბების წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს მსოფლიოს ენათა საფუძვლიანი შესწავლა, რის შედეგადაც საკლასიფიკაციო ნიშნები შემთხვევით კი აღარ იქნება აღებული, არამედ განმსაზღვრელი მნიშვნელობა მიენიჭება ამ ნიშანთა ურთიერთობას კულტურის ფაქტებთან.

საკითხთა სათანადოდ შეუსწავლელობა არა მხოლოდ ენობრივ ნიშანთა არჩევისას ზღუდავს შმიდტს, არამედ უკვე არჩეულ კატეგორიათა კვლევის დროსაც. ავტორი იღებს რომელიმე ენობრივ ნიშანს და არკვევს მისი გავრცელების სფეროებს. შემდეგ, იმის საფუძველზე, თუ რომელ კულტურულ წრეში სჭარბობს ამ ნიშნის გავრცელება, მას გამოჰყავს დასკვნა, რომ ეს ნიშანი ამ წრისათვის არის დამახასიათებელი. მაშინადამე, შმიდტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ნიშნის გავრცელების რაოდენობრივ მხარეს. სწორედ აქ ყველაზე უფრო მწვავედ გამოვლინდება სხვადასხვა ენებში ამა თუ იმ საკითხის შესწავლის არასაკმარისობა. ენები ხომ მუდმივ ცვალებადობას განიცდიან: ზოგ ნიშანს კარგავენ, სხვებს იძენენ. ენის თანამედროვე მდგომარეობის აღწერა ვერ წარმოგვიდგენს ბევრ ისეთ მოვლენას, რომელიც

<sup>1</sup> ვ. შმიდტი, დასახ. შრ., გვ. 497—498.

ადრინდელ საფეხურებზე შეიძლებოდა ყოფილიყო დამახასიათებელი ამ ენებისათვის. ხოლო ისტორიულად შესწავლილია ენათა შედარებით მცირე რაოდენობა. ისტორიული ანალიზის გარეშე კი შეუძლებელია სწორი დასკვნების გამოტანა. როდესაც ესა თუ ის ნიშანი ამჟამად არ ახასიათებს რომელიმე ენას, უნდა გაიჩვეს, რა არის ამის მიზეზი. რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს:

ა. ეს ნიშანი ამ ენებს არც არასოდეს ჰქონიათ.

ბ. ენებს წარსულში ჰქონდათ ეს ნიშანი, მაგრამ დროთა განმავლობაში დაკარგეს იგი. ამის მაგალითად გამოვგადგებოდა კლას-კატეგორიათა საკითხი ჭართველურ ენებში. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დამტკიცეს მკვლევრებმა, რომ ეს კატეგორიები ძევლისძველად ქართველურ ენებსაც ჰქონდათ.

გ. ბოლოს, შესაძლებელია, ესა თუ ის ნიშანი ახალშენაძენი იყოს. ენას დაი უძეველეს საფეხურებზე არ გააჩნდა.

ამ შესაძლებელ შემთხვევათა გაუდიფერენცირებლად შეუძლებელია სწორი დასკვნების გამოყენა. ხოლო მათი დიფერენციაცია კი აუცილებლად საჭიროებს ღრმა ისტორიულ ანალიზს. ასეთი ანალიზი ვ. შმიდტთან არა გვაქვს. მისთვის გადამწყვეტია ამა თუ იმ ნიშნის გავრცელებულობა, რაც მასალის სათანადოდ შეუსწავლელობის გამო ბევრი ენის მიმართ ჯერ კიდევ დაუდგენელია. ცხადია, ასეთ კრიტერიუმზე აგებული კლასიფიკაცია მეტისმეტად საეჭვო უნდა იყოს.

მეორე საყვედური მისი მეთოდების მიმართ, შმიდტის თქმით, ის შეიძლება იქნეს, რომ საჭირო იყო ჯერ ენობრივი წრეების დადგენა ენობრივი ნიშნების მიხედვით, ხოლო შემდეგ მათი შედარება კულტურულ წრეებთან.

ვერც ამ დამსახურებულ საყვედურს აბათილებს ავტორი. იგი აღნიშნავს; რომ ცალკეულ ნიშანთა შედარებით კულტურულ წრეებთან ის არ კმაყოფილება, ენობრივ წრეებსაც აყალიბებს<sup>1</sup>. მაგრამ სწორედ აქ არის მისი მეთოდის სუსტი მხარე. შმიდტისათვის ამოსავალია კულტურული წრეები. ენობრივ ნიშნებს ის განიხილავს თითოეული ამ წრის მიმართ და მხოლოდ ამის შემდეგ ამა თუ იმ წრისადმი მიკუთვნებულ ნიშანთა შეჯამებით ქმნის ენობრივ წრეებს. ამოსავალი რომ თვით ენობრივი თავისებურებანი ყოფილიყო მაშინ სრულიად სხვა სურათს მივიღებდით (ამის შესახებ—ქვემოთ).

კულტურული წრეების მიხედვით ენობრივის დადგენა მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ ავტორი წინასწარ დამტკიცებდა, რომ კულტურასა და ენას შორის სრული შესატყვისობა არსებობს, რომ შესაძლებელია კულტურის ფაქტების საფუძველზე ენობრივ მოვლენათა დადგენა. ასეთი რამ შმიდტის არ დაუმტკიცებდა. მისი მიზანი სწორედ ის არის, რომ ამ ორ სფეროში წარმო, ებული კლასიფიკაციებით გვიჩვენოს კულტურისა და ენის სრული დამთხვევა. რომ ეს დამაჯერებელი ყოფილიყო, ავტორს უნდა მოქდინა ენათა კლასიფიკაცია მხოლოდ ენობრივი ნიშნების მიხედვით, ხოლო შემდეგ ამ კლასიფიკაციის შეპირისპირება კულტურათა კლასიფიკაციასთან დაგვანახებდა, მართლა არსებობს მათ შორის სრული შესატყვისობა თუ არა.

შმიდტის კვლევის მეთოდის სუსტი მხარე თავს იჩენს აგრეთვე შემდეგში: ავტორი, როგორც აღნიშნეთ, გავრცელებულობის მიხედვით მიკუთვნებს ამა თუ იმ მოვლენას ამა თუ. იმ კულტურულ წრეს. მაგრამ საქმე ის არის,

რომ მის კლასიფიკაციაში ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება გამონაკლიასები. ამ გამონაკლიასებს ავტორი სხვა ენების გავლენით ხსნის. ასე, მაგ., იგთ თვლის ოცნებით სისტემას. ტოტემურ კულტურას უკავშირებს, წმინდა ათობითს—მომთაბარეთა კულტურას, ხოლო ხუთ-ათობითს—მატრიარქატულს. მაგრამ ყოველ წრეში ბლომად გვხვდება გამონაკლიასები და, აი, იწყება მათი „ახსნა“. ავტორი გარტმუნებს, რომ მატრიარქატული კულტურის ზოგ ენაში (მაგალითად; კავკასიურ ენებში სვანურის გამოკლებით) ოცნებითი სისტემის არსებობა ტოტემური კულტურის ენებთან შერევით არის გამოწვეული; მომთაბარე კულტურის ენებმა, სახელდობრ ზოგმა ინდო-ევროპულმა ენამ, ოცნებითი სისტემა იაფეტური ენებისაგან მიიღეს; მატრიარქატული კულტურის ენებში წმინდა ათობითი სისტემა მომთაბარეთა კულტურის ენებთან შერევაში მოგვცა; დრავიდულ ენებს უნდა ჰქონდათ წმინდა ათობითი სისტემა, რომელიც მათ მუნდა ენებს გადასცეს, თვითონ კი მატრიარქატული კულტურისაგან ხუთ-ათობითი შეითვისეს, და ასე დაუსრულებლივ. ასეთი მაგალითებრ მრავლად გვხვდება თითოეული ენობრივი ნიშნის განხილვისას.

შმიდტს დასამტკიცებელი აქვს, რომ ესა თუ ის ნიშანი ამა და ამ კულტურას ეკუთვნის, მასთან არის შინაგანად დაკავშირებული. ამისათვის მას საკმარისად მიაჩნია გვიჩვნოს, რომელ კულტურულ წრეშია ეს ნიშანი უფრო მეტად გავრცელებული. კი მაგრამ, მართლა არსებითია თუ არა ამ წრისათვის ეს ნიშანი? ამაში ეჭვს ბადებს გამონაკლიასთა დიდი რაოდენობით არსებობა (იგივე ნიშანი სხვა წრეებში და სხვა ნიშანი. ამ წრეში). ხოლო ამ გამონაკლიასებს ავტორი ხსნის იმით, რაც მას უნდა დაემტკიცებინა, ე. ი. რაკა ამ კულტურისათვის დამახასიათებელია ეს ნიშანი (დამახასიათებელია იმიტომ, რომ ამ კულტურის ენათა უმრავლესობას იგი აქვს), ამიტომ მისი არარსებობა ამზე კულტურის ზოგ ენაში (რომელთა რიცხვი არც თუ მცირეა) ან მისი არსებობა სხვა კულტურის ენებში მეორეული მოვლენაა, სხვა ენის გავლენით გამოწვეული. რომ ეს გავლენა დადასტურდეს, საქმარისია ამ ენის ახლო-მახლო იმყოფებოდეს სხვა კულტურის რომელიმე ენა. ასეთი მეზობლობა თითქმის ყოველი ენის მიმართ დაიძებნება (ამჟამად ან წარსულში). შმიდტი ყოველგვარ კონკრეტულ-ისტორიულ პირობათა შეუსწავლელად სხვა ენათა გავლენას მიაწერს იმ მრავალრიცხვუან ფქრებს, რომლებიც მისი თეორიის წინააღმდეგ მეტყველებენ.

ცხადია, ეს დაუშვებელია. რომ ენები ერთმანეთზე მოქმედებენ, ერთმანეთს შეერევიან, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება შეერევით აეხსნათ ყველაფერი, საჭიროა თითოეული ენისა და თითოეული ენობრივი ნიშნის მიმართ დამტკიცდეს ასეთი შეერევის რეალურობა.

გამონაკლიასთა ახსნა შეერევით თვით შმიდტის თვალსაზრისსაც ეწინააღმდეგება, რადგან ეთნოგრაფიული კლასიფიკაციის დროს ის აშბობდა, უძველესი და პირველადი კულტურები სრულიად მოწყვეტილი არიან ერთმანეთსოფთუ ასეა, როგორ უნდა მოხერხებულიყო მათში შემავალ ენათა შეერევა?

რომელიმე ენობრივი ნიშნის გავრცელებულობის კვლევისას ავტორის ცდილობს გაარკვიოს აგრეთვე, რომელ პუნქტში უნდა ჩასახულიყო ეს ნიშანი. იგი ფიქრობს, რომ ესა თუ ის მოვლენა ერთ რომელიმე ადგილს წარამოიქმნება და შემდეგ ვრცელდება ყველა ენაში,. ამიტომ ის ცდილობს აღადგინოს უწყვეტი ზონები, რომლების მიხედვითაც უნდა გავრცელებულიყო ეს მოვლენა მთელ მსოფლიოში.

ასეთი ვარაუდი არ არის შართებული თვით შმიდტის თვალსაზრისითაც ჭი. შმიდტის მთავარი დებულებაა, რომ კულტურისა და ენის განვითარების ღონეები ერთმანეთს შეესატყვისებიან, რომ ენობრივ მოვლენათა მიზეზები კულტურის სფეროში უნდა ვეძებოთ. თუ ასეა, თუ გარკვეული კულტურული წრე ენობრივ ნიშანთა გარკვეულ ერთიანობას ქმნის, რატომ უნდა ვიყიქ-როთ, რომ ეს ნიშანი ერთ ენაში ჩაისახა პირველად და შემდეგ მექანიკურად გადავიდა იმავე კულტურის სხვა ენებში? მსგავს მიზეზებს მსგავსი შედეგები უნდა გამოეწვია.

როგორც ვხედავთ, ის მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებსაც ემ-ჟარება შმიდტის კლასიფიკაცია, მანკიერია.

\* \* \*

ახლა ვნახოთ, რა შენიშვნებს იწვევს ცალკეულ ენობრივ ნიშანთა შესახებ მსჯელობა. დავიწყოთ ფონეტიკით.

თანხმოვნების განხილვისას შმიდტი უპირისპირებს მელერებსა და ყრუებს, მსკდომებსა და ნაპრალოვნებს. ამ ბერათა დიფერენციაცია თითქოს არ ახასიათებდა უძველეს კულტურას, ეს კი, შმიდტის თქმით, გამოხატვის საშუალებათა სიღარიბეს მოასწავებდა.

ეს მოსაზრება არ არის მართებული. თანხმოვანთა კლასიფიკაციისას შმიდტისათვის ამოსავალია ინდო-ევროპულ, სემიტურ-ქამიტურ და ურალურ-ალ-თაურ ენათა ბერითი სისტემები. მართლაც, ინდო-ევროპულ ენათა უმრავლესობაში დაახლოებით ოცი თანხმოვანია. თუ ვიგულისხმებთ, რომ მელერები და ყრუები, მსკდომები და ნაპრალოვნები არაა გათიშული ერთმანეთისაგან, დაგვრჩება დაახლოებით რეა თანხმოვანი. და თუ რეა თანხმოვანი ენას წარმოვიდგენთ, უნდა აღვიაროთ, რომ, მართლაც, გამოხატვის საშუალებათა მეტის მეტი სიღარიბე გვაქვს. სინამდვილეში კი შეიძლება პირუკუცი იყოს, ე. ი. განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ენებში ბერათა მეტი რაოდენობა შეიმჩნევა (უნდა გვახსოვდეს, რომ აქ ენის წარმოშობის მომენტზე არ არის საუბარი), გარდა ამისა, მელერთა და ყრუთა, მსკდომთა და ნაპრალოვანთა გაუდიფერენცირებლობა ჯერ კიდევ არ მოასწავებს ენის სიღარიბეს ბერებით. საქმე ისაა, რომ ბერები სხვა თვისებებითაც უპირისპირდებიან ერთმანეთს. ასე, მაგალითად, აფხაზურში მელერ-ყრუთა, და მსკდომ-ნაპრალოვანთა დაბირისპირება რომ უგულებელგვეყო, მაინც 32 თანხმოვანი დაგვრჩებოდა<sup>1</sup>, ე. ი. მეტი, ვიდრე ამჟამად ბერ ინდო-ევროპულ ენაში გვაქვს.

ეს იმიტომ, რომ აფხაზურში 66 თანხმოვანია და მსკდომ-ნაპრალოვანთა და მელერ-ყრუთა გარდა გამოიყოფა ცხვირისმიერი, ნარნარა, ლაბიალიზე-შული, არალაბიალიშებული, მაგარა, რბილი და საშუალო თანხმოვნები, აგრეთვე აფრიკატები.

მაშასალამე, ყრუ და ნაპრალოვანი თანხმოვნების არარსებობა კიდევ არ მოასწავებს ბერათა სიმცირეს.

<sup>1</sup> ესარგებლობთ გ. ახვლედიანის „Звуковые возможности кавказских языков – исков“, I. Принципы классификации согласных абхазского языка, სსრ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, 1940, ტ. I, № 1. შრდ. მისივე, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, ნაწ. II, VII, აფხაზურის თანხმოვან ფონემათა კლასიფიკაცია.

მორტოლოგიაში სადაც მრავლობითი რიცხვის წარმოშობის; აგრეთვე კლასუატეგორიათა. და თვლის სისტემათა ის ინტერპრეტაცია, რომელსაც შმიდტი იძლევა.

შმიდტის მრჩობლობითი და სამობითი რიცხვი მრავლობითის შემდგომ განენილად, მის დაზუსტებად მიაჩნია. მრჩობლობითი რიცხვი, ე. ი. ბეჭრი, სახელმომართო მინისტრი.

ასეთი ახსნა არამართებულია. ცნობილია, რომ ადამიანის აზროვნება კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ მიემართება. ეს პროცესი რიცხვის წარმოებაშიც აისახა. მრჩობლობითი, სამობითი რიცხვები ის გარდამავალი საფეხურებია, რომლებიც წინ უსწრებენ მრავლობითის გაჩენას. მრჩობლობითი (სამობითი) რიცხვი რომ მეორეული გროვენია იყოს, მრავლობითის შემდეგ მისი დაზუსტების მოთხოვნილებით წარმოშობილი, მაშინ მას გვიანდელ ეპოქებში სულ უფრო და უფრო მეტი ნიშნენელობა უნდა მოეპოვებინა. სინამდვილეში კი პირუკუ გვაქვს. მრჩობლობითი და სამობითი რიცხვი ენათა განვითარების აღრინდელ საფეხურებზე გვხვდება, შემდეგ ენათა დიდი რაოდენობა მათ კარგავს. ეს იმიტომ, რომ მრავლობითი რიცხვისა და ცალკე რიცხვით სახელთა არსებობა მათ არ ხდის აუცილებლად.

შმიდტი მართებულად გამოყოფს კლას-კატეგორიათა სხვადასხვა სისტემებს, მაგრამ არამართებულად არის ახსნილი ამ სისტემათა ურთიერთობა.

მდედრობითი და მამრობითი სქესი, ავტორის თქმით, „მატრიარქატულ კულტურაში შეიქმნა. სხვა პირველადმა წრეებმა კლას-კატეგორიები მატრიარქატული კულტურისაგან შეითვისეს, ოლონდ გარდაქმნეს ისინი თავისებურად. ტოტემურმა კულტურამ, ქალის როლის დაცემის შეცევად, მდედრობითი სქესი მამრობითს ან „საშუალო“ სქესს შეუერთა და, ამგვარად, ადამიანისა და ნივთის კატეგორია წარმოქმნა.

სქეს-კატეგორიათა გარდაქმნის შედეგად ადამიანისა და წიგთას კატეგორიის წარმოშობის ახსნა არადამაკმაყოფილებელია. მდედრობითი სქესი მამრობითს ან საშუალოს—საგანთა კლასს—შეუერთდაო,—ამბობს ავტორი, გამოდის, რომ საგანთა კლასი უკვე არსებობდა.

მდედრობითი და მამრობითი სქესის და საგანთა კლასის არსებობა იმის შომასწავებელია, რომ ორი კლასითიკაცია არის ერთმანეთს გადაჯაჭვულია. 1. ადამიანისა და ნივთისა, რომელიც კველა სახელს მოიცავს და 2. სქესისა, რომელიც მხოლოდ ადამიანის კატეგორიას ეხება (ასეა, მაგ., აფხაზურში). თუ, ამის შემდგომ მდედრობითი სქესი მამრობითს დაემთხვევა, მართალია, სქეს-კატეგორიები მოისპონა, მაგრამ ამით ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა წარმოშობა ვერ აიხსნება, რადგან ეს კატეგორია უკვე არსებობდა ამ ცვლილებამდე. ხოლო მდედრობითი სქესის შერევა საშუალოსთან თვით ადამიანისა და ნივთის კატეგორიისათვის არ არის ბუნებრივი. ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვათა გარკვეული ნაწილი შედის ნივთის კატეგორიაში. ეს იმაზე შეიძლება მიუთითებდეს, რომ ისინი, ვინც ამ სიტყვებით აღინიშნებიან, იმავე ლირებულებისად არიან მიჩნეული, როგორც ნივთები. აქაც იგულისხმება, რომ ადამიანისა და ნივთის კატეგორია უკვე არსებობს.

გამოდის, რომ ადამიანისა და ნივთის კატეგორიის წარმოშობაზე რომ ლაპარაკობს, შმიდტი ამ კატეგორიათა არსებობას უკვე წინასწარ უშევს..

გაუმართლებელია მომთაბარეთა კულტურის ენებში საშუალო სქესის გამოყოფა. მატრიარქატულ კულტურაში მხოლოდ ორი,—მდედრობითი და მამ-

რობითი, — სქესი იყო და ისინი რეალურ სქესს გამოხატავდნენ. როგორ წარმოიშვა და რა არის ეს მესამე სქესი?

ზემოთ ვნახეთ, რომ საშუალო სქესი საგანთა კლასს წარმოადგენდა, ხოლო მომთაბარეთა კულტურის ინდო-ევროპული ენების მიმართ ეს უსულოთა კლასია. სპეციალური განსილვის დროს ავტორი უარყოფს ძველს ინდო-ევროპულ ენებში სულიერისა და უსულოს კატეგორიათა არსებობას<sup>1</sup>, ხოლო შემდეგ აღნიშნავს:

„ინდო-ევროპულ ენებში... მოუმწიფებელ, ახალგაზრდა არსებას უყურებენ, რამდენადმე, როგორც უსქესოს, და გადააქვთ უსულოთა, საგანთა კლასშით“<sup>2</sup>.

მაშასადამე, ამ ენებში უსულოთა (არაცოცხალთა) კლასი არსებობდა და სწორედ საშუალო სქესი წარმოადგენდა არაცოცხალთა კლასს. აქაც ორი კლასიფიკაცია გვაქვს ერთდროულად: სულიერის (ადამიანები და ცხოველები) და უსულოსი. ხოლო სულიერები განიყოფებიან სქესის მიხედვით.

ამგარად, გრამატიკული სქესიც ორი შეიძლება იყოს (ისევე, როგორც რეალური), ხოლო ე. წ. საშუალო სქესი სხვა კლასიფიკაციის წევრია. ის შეიძლება საგანთა ან არასულიერთა კლასს წარმოადგენდეს. შმიდტის მიერ „საშუალო სქესის“ შეტანა სქეს-კატეგორიებში გაუმართლებელია (თვით ავტორი საშუალო სქესის სინონიმად ხმარობს ნივთთა კლასს). ხოლო ინდო-ევროპულ ენებში უსულოთა კლასის არსებობის უარყოფა სინამდვილეს არ შეესაბამება. ინდო-ევროპული ენებისათვის სწორედ ამ კლასიფიკაციის არსებობა მიაჩნიათ უფრო აღრინდელად<sup>3</sup>.

თვლის სისტემებს შმიდტი ასე ანაწილებს: წყვილობითი უძველეს კულტურას განეკუთვნება, ოცნებითი — ტოტემურს, წმინდა ათობითი — მომთაბარეთა კულტურას, ხუთ-ათობითი — მატრიარქატულს. ასეთი განაწილება შემდეგ შენიშვნებს იწვევს:

წმინდა ათობითის და ხუთ-ათობითის დაპირისპირება ხელოვნურია. წმინდა ათობითს ავტორი ისეთ სისტემას უწოდებს, რომელშიც შემავალ რიცხვით სახელთა დაშლა არ არის შესაძლებელი, მაგრამ თვითონვე აღნიშნავს: რომ ეს შეიძლება გამოწვეული იყოს არა ამ სახელთა მართლაცდა მარტივია აგებულებით, არამედ იმით, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ამ სიტყვათა ანალიზსო ამის შემდეგ გაუგებარია გამოყოფა წარმოშობით წმინდა ათობითი სისტემისა, რომელიც უპირისპირდება გაცვეთის შედეგად მიღებულ წმინდა ათობითს. რის მიხედვით შეგვიძლია მათი ერთმანეთისაგან გარჩევა? ჩვენ.. ხომ ვერც ერთის ანალიზს ვერ ვახდენ!

განსაკუთრებით სადაცა სინტაქსში წამოყენებული დებულებები. შმიდტი ერთმანეთს უპირისპირებს გენეტივის წინდასმას და უკანდასმას. ეს უკანასკნელი მატრიარქატული კულტურისათვის დამახასიათებლად მიაჩნია, ხოლო პირველს ყველა დანარჩენი წრეების კუთვნილებად აცხადებს. როგორია ფაქტიური მდგომარეობა?

ჩვეულებრივად, გვხვდება გენეტივის მსხვრევადი მდებარეობა, ე. ი. ისეთი შემთხვევები, როდესაც გენეტივი, პოსესივი, პრონომინალი სუბიექტი და აკუ-

<sup>1</sup> ვ. შუმიდრი, დასახ. შრ., გვ. 339.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 515.

<sup>3</sup> А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, 1938, გვ. 205—206.

ზატივი ურთსა და იმავე ადგილის კი არ არიან მოთავსებული, არამედ ზოგი წინ დაისმის, ზოგიც უკან (ინდო-ევროპული, სემიტურ-ქაშიტური...). ამის გამო ისმის კითხვა: ეს კატეგორიები მართლა არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და მართლა დამოკიდებული არიან უკელა ისინი გენეტივზე თუ არა? გენეტივის მსხვრევად ადგილს ავტორი შერევით ხსნის. მაგრამ თუ მთავარი მართლაც გენეტივის ადგილი არის და ის განსაზღვრავს დანარჩენებს, მაშინ პრონომინალმა სუბიექტმა და აუზატივმა მხოლოდ გენეტივის გადაადგილების შემდეგ უნდა იცვალონ ადგილი. სინამდვილეში კი ეშირად საწინააღმდეგო ვითარება გვაქვს, ე. ი. პრონომინალი სუბიექტისა და აუზატივის უკანდასმა (რაც ავტორის აზრით მეორეულია), ხოლო გენეტივის წინდასმა. რით უნდა აიხსნას ეს?

არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ სხვადასხვა საკითხთა განხილვისას შეტაც დიდი რაოდენობით გვხვდება გამონაკლისები, მაგრამ გენეტივის ადგილის კვლევის დროს რეალური ვითარებისა და გამოტანილი დასკვნების დაპირისპირება კულმინაციურ წერტილს აღწევს. ყურადღება რომ არ მივაჟიოთ გამონაკლისებს უძველესსა და ტოტებურ კულტურაში, განსაკუთრებული ვითარება ისახება მომთაბარეთა და მატრიარქატული კულტურების განხილვის დროს.

ამ წრებში მეტად იშვიათად გვხვდება გენეტივის სრული წინდასმა ან უკანდასმა. გვაქვს გენეტივის მსხვრევადი მდებარეობა. მიუხედავად ამისა, ყოველ-გვარი დასაბუთების გარეშე, ავტორი აცხადებს, რომ მომთაბარეთა კულტურის ენებისათვის დამასასიათებელია სრული წინდასმა, მატრიარქატულისათვის—უკანდასმა. შემდეგ მატრიარქატული კულტურის ენებმა მოახდინეს გავლენა მწყემსურჩე და გამოიწვიეს მათში მსხვრევადი წინდასმა, ხოლო მომთაბარეთა კულტურის ენებმა მატრიარქატულში მსხვრევადი უკანდასმა შექმნეს. რით მტკიცდება ყოველივე ეს? არაფრით. და ალბათ შეუძლებელიც არის ასეთი რამის დამტკიცება.

გაუგებარია გენეტივის უკანდასმის წარმოშობა. ავტორი კატეგორიულად უარყოფს იმას, თითქოს გენეტივის ადგილის შეცვლა ენის შინაგანი განვითარებით იყოს გამოწვეული. გენეტივის ადგილის შეცვლა მატრიარქატულ კულტურაში ხდება. და შედეგია ენათა შერევისაო. მაგრამ პირველად ხომ მხოლოდ წინდასმა არსებობდა? მაში, რომელ ენებთან შერევას უნდა მოეცა უკანდასმა? ან თავიდანვე უნდა არსებულიყო გენეტივის უკანასმა, ანდა პირველად ის ენის შინაგანი განვითარებით უნდა მიგველო.

\* \* \*

როგორც ვხედავთ, იმ ენობრივ ნიშანთა ანალიზი, რომლებსაც ემყარება შეიძტის კლასიფიკაცია, მეტწილად მცდარია. ეს კი იმას მოასწავებს, რომ თვით კლასიფიკაციაც არ შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი. მართლაც არა წარმოადგენს შეიძტის მიერ გამოყოფილი ენობრივი წრები?

თავისი შრომის შესავალში შეიძტი წერს, ენობრივი კვლევის დაკავშირება კულტურულთან მოგვცემს საშუალებას ენათა ბევრად უფრო აღრინდელი საფეხურები გავითვალისწინოთ, ვიდრე ეს გენეალოგიურ კლასიფიკაციას შეუძლიაო. აქედან თითქოს გამოდის, რომ ენობრივი წრები ენათა ისტორიის გათვალისწინების შედეგად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. სინამდვილეში კი ისტორიული თვალსაზრისი შმიდტთან სავსებით უგულებელყოფილია. ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ ენათა წრებში არა გვაქვს განვითარება. ერთადერთი


შუა პირველადი წრე არის, საღაც თითქოს ცვლილებები მომხდარა (აქაც ავტორი კატეგორიულად უარყოფს, მაგალითად, რომ გენეტივის უკანდასმა ენის შინაგანი განვითარებით შეიძლებოდა წარმოშობილი). არც ერთ სხვა წრეში არ ჩანს ამ წრისათვის დამახასიათებელი წინსკლა. ცვალებადობას თუ საღმე აქვს ადგილი, იგი შერევით არის ახსნილი. ხოლო შერევა, კიდევაც რომ დავეთანხმოთ ავტორს მის ასეთ გაზვიადებულ შეფასებაში, გარეშე ენობრივი და შემთხვევითი მოვლენაა. ხომ არ შეიძლება, მაგალითად, ვამტკიცოთ, რომ მომთაბარეთა კულტურის თავისებურებებიდან შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობდა მისი შერევა მატრიარქატული კულტურის ენებან (მაგ., ინდოევროპულისა—იაფეტურითან).

შმიდტის კლასიფიკაციის ანტისტორიულობა უფრო ნათლად გამომჯდანდება, თუ მოვიგონებთ ზემოთქმულს მის შესახებ, რომ შმიდტი არ ცდილობს დაადგინოს რომელი მოვლენები მომდინარეობენ მისთვის საინტერესო ენგბში ძველთაგანვე, რომელი მოვლენებია ახლადშენაძენი, და, ბოლოს, ხომ არ დაკარგეს ენებმა ესა თუ ის კატეგორია, რომელიც მათ წინათ ჰქონდათ. ნაცვლად ასეთი დიფერენცირებული მიდგომისა, ავტორი ძირითადად კმაყოფილდება იმ მოვლენათა აღწერით, რომლებიც თანამედროვე ენებს ახასიათებს და ამჟამინდელი ვითარება მას გადააქვს უძველეს ეპოქებში. (მაგალითად, შმიდტი უძველეს კულტურას მიაკუთვნებს ინდოევროპული ენების ხმოვანთა სისტემას). მხოლოდ მაშინ არ არის მიჩნეული თანამედროვე მდგომარეობა თავდაპირველ მოვლენად, როდესაც გვხვდება გამონაკლისები. მაშინაც ისტორიულ კვლევა-ძებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ყოველგვარი გადახრა იმისაგან, რაც შმიდტს ამა თუ იმ კულტურისათვის მიაჩნია დამახასიათებლად, ერთი ხელის მოსმით, შერევით არის ახსნილი. ხოლო ამ შერევის რეალური არსებობა კი არ მტკიცდება თითოეული შემთხვევების მიმართ, არამედ მხოლოდ სხვა ტიპის ენებზე წარმოებს მითითება.

ისტორიული თვალსაზრისის უგულებელყოფით აიხსნება, აგრეთვე, შემდეგი წინააღმდეგობა: ე.წ. ფუძეენები, შმიდტის თქმით, მესამეულ კულტურულ წრეში უნდა ჩამოყალიბებულიყო. თანამედროვე მონათესავე ენები, ფუძე-ენათა დიფერენციაციით წარმოიშვნენ, ისინი ბევრად უფრო ახალი არიან, ვიდრე ფუძე-ენები, მაშასადამე, ისინი მესამეულ (ან უფრო ახალ) კულტურულ წრეს უნდა განეკუთვნებოდნენ.

შმიდტი კი უძველეს წრებს მიაკუთვნებს სწორედ თანამედროვე, ფუძე-ენებზე ბევრად გვიანდელ ენებს (ინდო-ევროპული ენები, სემიტურ-ქამიტური, იაფეტური და სსკ.). გამოდის, რომ ფუძე-ენები მესამეულ კულტურულ წრეებში წარმოშობილან, ხოლო ამ ფუძე-ენათა განაყარნი უძველეს და პირველად წრეებს ეკუთვნიან. აქაც აშეარა ანაქრონიზმი გვაქვს.

კულტურული წრეები შმიდტმა უფრო ადრე ჩამოყალიბა, ვიდრე ენობრივი წრეები. რომ ენობრივი წრეები კულტურულს უნდა დაემთხვნენ, ამას ავტორი არ ამტკიცებს, წინასწარ გულისხმობს. მისი მიზანი იყო კულტურულის შესატყვისი ენობრივი წრეების ჩამოყალიბება. მართლაც, ერთი შეხედვით, ავტორი აყალიბებს კიდევაც ასეთ წრეებს:



განვიხილოთ ეს წრეები. კულტურული წრეები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეურნეობის სახით და ოჯახის ფორმებით. გვაქვს თუ არა არსებითი დაპირისპირებანი ენობრივ წრეებში? — არა. ენობრივი ნიშნებით მხოლოდ ორი წრე უპირისპირდება ერთმანეთს: უძველესი და შუა. ამ უკანასკნელში მომხდარა რიგი ცვლილებები უძველეს ენობრივ წრესთან შედარებით. ჩრდილოეთის და სამხრეთის ენობრივი წრეები კი ზოგ ნიშნებს უძველესი წრისაგან ინირჩუნებენ, ზოგს კარგავენ, ზოგსაც შუა წრიდან იღებენ. ტოტემურ და მომთაბარეთა კულტურულ წრეებს არ შეუქმნიათ მათ შესატყვის ენებში თავისთავადი, მხოლოდ ამ წრეებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მაში, ენობრივი ნიშნები არ იძლევიან ჩრდილოეთი (მომთაბარეთა კულტურის შესატყვისი) და სამხრეთი (ტოტემურის შესატყვისი) ენობრივი წრეების გამოყოფის საფუძველს. ამას ავტორიც გრძნობს და აღიარებს, რომ ამ შემთხვევაში მისოვის გადამწყვეტი იყო კულტურული წრეების არსებობა:

„მე აქამდე არ ვიცი ენობრივ სფეროში ისეთი ცხადი და საერთო მნიშვნელობის ფაქტების რიგი, როგორსაც მთელი კულტურისათვის წარმოადგენს მეურნეობაში დაგროვებითი საფეხურიდან მოვლა-მოშენებით საფეხურზე (Zuchtsstufe) გადასვლა და აქედან გამომდინარე შედეგები. მე აღვიარებ ამიტომ, რომ მე პირველადი ენობრივი ჯგუფი პირველად კულტურულ წრეებთან ანალოგით დავადგინე და რომ ეს დადგენა არ შეიცავს ისეთ წმინდა ლინგვისტურ საფუძველს, როგორიც ეთნოლოგიური საფუძველიც პირველადი კულტურული წრეების დადგენას აქვს“<sup>1</sup>.

ჩრდილოეთი და სამხრეთი წრეების მოთავსება პირველად წრეებში სხვა. წინააღმდეგობასაც ხედება. შმიდტის ოქმით, უძველესი და პირველადი (ტოტემური, მომთაბარეთა, მატრიარქატული) კულტურები სრულიად მოწყვეტილი იყვნენ ერთმანეთს, მათ შორის არავითარი ურთიერთობა არ ყოფილა ათასეული წლების განმავლობაში. ჩრდილოეთ და სამხრეთ ენობრივ წრეებს კი აქვთ, ერთის მხრივ, უძველესი ენობრივი წრის, ხოლო, მეორე მხრივ, შუა ენობრივი წრის ნიშნები, ე. ი. ისინი შუა და უძველესი ენობრივი წრეების შერევის შედეგად არიან მიღებული. ენათა შერევა შესაძლებელია მხოლოდ ამ ენებზე მოლაპარაკეთა მშეიღრო ურთიერთობის საფუძველზე, შმიდტი კი ამ ენებზე მოლაპარაკეთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის არსებობას უარყოფს. ისევ იმ დასკვნამდე მივეღით: ჩრდილოეთი და სამხრეთი წრეები არ შეიძლება შესატყვისებოდნენ მომთაბარეთა და ტოტემურ კულტურებს.

რაკი ჩრდილოეთი და სამხრეთი წრეები ნარევია, ისინი მეორეულ წრეებად უნდა ჩავთვალოთ. მაშინ ისინი მაღალი კულტურის შესატყვისი აღმოჩნდებოდნენ (ოვით ეს კულტურაც შმიდტს ნარევად მიაჩნია) და არა პირველადისა. მაგრამ წინააღმდეგობა ამით არ მოიხსნება: ჩრდილოეთის და სამხრეთის


<sup>1</sup> 3. შმიდტი, დასახ. შრ., გვ. 531—532.

ენები იმ ადამიანთა კუთვნილება იყო, რომელთაც მომთაბარული და ოოტე-მური კულტურები ჰქონდათ. თუ ენასა და კულტურას შორის სრული შესა-ტყვისობაა, აუხსნელი რჩება, როგორ შეექმნათ ამ ადამიანებს სრულიად სხვა კულტურის შესატყვის ენები? და კვლავ მწვავედ დგება საკითხი, თუ როგორ მოხდა ენათა შერევა მაშინ, როდესაც მათი მატარებელი ადამიანები მოწყვე-ტილი იყვნენ ერთმანეთს.

შემდეგ: შმიდტი ვერ ახერხებს ბუმერანგის კულტურის შესატყვის ენობრივი წრის გამოყოფას. აქ შემავალი ენები ან უძველეს ენათა წრეს გა-ნეკუთვნებიან, ან შუასო.

ამგვარად, შმიდტის შესატყვისობათა სქემა ასეთ სახეს იღებს:

კულტურული წრეები: ენობრივი წრეები:



ეს ეხება მთელი წრეების შესატყვისობას. კიდევ უარესი მდგომარეობა გვაქვს ცალკეული ენების მიმართ. აუარება შემთხვევები, როდესაც გარკვეულ კულტურულ წრეში შემავალი ენები სხვა კულტურის შესატყვისი ენობრივი წრის თავისებურებებს ავლენენ.

ყველა ამის გამო შეიძლება დავასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამოსავალი იყო გარკვეული კულტურული წრეების არსებობა და იგი ცდილობდა მათთვის შეეფარდებინა ენობრივი წრეები, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად ავტორმა ავითნებური გააზრიანება მისცა მრავალ ენობრივ ფაქტს, უგულიერეს ბევრი ენათმეცნიერული ჭეშმარი-ტება, მან მაინც ვერ შეძლო კულტურული წრეების შესატყვისი ენობრივი წრეების დადგენა.

\* \* \*

რით არის გამოწვეული ეს მარცხი? მხოლოდ ავტორის მიერ დაშვე-ბულმა მეთოდოლოგიურმა შეცდომებმა განსაზღვრა იგი თუ თვით ამოცანის ხა-სიათმა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლებელია თუ არა საერთოდ ენისა და კულტურის სფეროში ერთმანეთის შესატყვის კლასიფიკაციათა მოხდენა?

წინასწარ გავხაზოთ: მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის უდავო ჭეშ-მარიტებას წარმოადგენს ის, რომ ენა განუყრელად არის დაკავშირებული კულტურასთან და საერთოდ საზოგადოების ისტორიასთან. აქ ამის შესახებ კი არა გვაქვს საუბარი, არამედ იმაზე — კულტურის საფეხურთა მიხედვით კლა-სიფიკაცია დაემთხვევა თუ არა ენათა კლასიფიკაციას.

კულტურასთან მიმართების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მნიშვნე-ლოვნად განსხვავდება ენის ლექსიკური შემადგენლობა და გრამატიკული წყობა. პირველი პირდაპირ და უშეალოდ ეხმაურება საზოგადოებრივ ცხოვ-რებაში მომხდარ ყოველგვარ ცვლილებას. კულტურის სფეროში ახალ მოვ-ლენათა წარმოშობა ენაში ახალ სიტყვათა შექმნას იწვევს, ძველი კულტური-

სათვის დამახასიათებელ მოვლენათა ხმარებიდან გამოსვლას ენაშიაც სათანადო სიტყვათა დაკარგვა მოჰყვება. მაგრამ აქაც ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც ენა ბევრად უფრო მეტ ხანს ინარჩუნებს სიტყვებს, ვიდრე ამ სიტყვებით აღნიშნული საგნები და მოვლენები ინახებიან კულტურაში. გარდა ამისა, გარდასულ კულტურებთან დაკავშირებულმა სიტყვებმა შეიძლება მნიშვნელობა შეიცვალონ და ახალი მნიშვნელობით იხმარებოდნენ ახალ კულტურაში. მაგალითები ბლობიდ შეიძლებოდა დაგვესახელებინა, მაგრამ ამ საკითხზე აქ მსჯელობის გაშლა არ მიგაჩნია მიზანშეწონილად, რადგანაც შეიძტის კლასიფიკაციაში ლექსიკა სრულიად არ არის გათვალისწინებული. ავტორს მხედველობაში აქვს ენათა ფონეტიკური შემადგენლობა და გრამატიკული წყობა. აქ კიდევ უფრო ნაკლები შესაძლებლობა გვაქვს იმისა, რომ ენის ბერით შემადგენლობაში და გრამატიკულ წყობაში მომხდარი ყოველგვარი ცვლილება პირდაპირ და უშეალოდ დაუკავშირდეს კულტურის ცვალებადობას და ამგვარად სრული შესატყვისობა მივიღოთ ორივე სფეროში.

ჯერ ერთი, როგორც აღნიშნული იყო, კულტურის ცვლილები ენის ლექსიკურ შემადგენლიბაში უეჭველად აისახება, მაგრამ იგივე არ ითქმის კრამატიკული წყობის და, მით უფრო, ფონეტიკური შემადგენლიბის შესახებ. ვანსაკუთრებით ეხება ეს მატერიალურ კულტურას. მატერიალურ კულტურაში მომხდარი ძვრები მცირეოდენ გამოხატულებას პოვებენ ენათა გრამატიკულ სტრუქტურაში. გრამატიკული წყობა, პირველყოვლისა, აზროვნებასთან არის მჭიდრო კავშირში. გრამატიკულ წყობაში აისახება საგანთა შორის არსებული ზოგადი კავშირები, რომელსაც აზროვნების საშუალებით ვწვდებით. ამიტომ არის, რომ ძირითადი გრამატიკული კატეგორიები დიდ ხანს გაცყვება ენებს, ისინი საჭირო არიან კულტურის სხვადასხვა საფეხურზე. ასეთია, მაგალითად, მოქმედების სუბიექტისა და ობიექტის აღნიშვნა, კულტურის შემთხვევაში ურთიერთობის გადმოცემა და სხვ. რა თქმა უნდა, ისინი ენისა და აზროვნების განვითარების გარეკვეულ საფეხურებზე შეიქმნა, მაგრამ წარმოშობის შემდეგ ეს გრამატიკული კატეგორიები ეპოქათა განმავლობაში წარმატებით ემსახურებიან სხვადასხვა კულტურას.

ამგვარად, ენის სტრუქტურაში არ აისახება კულტურის (ვანსაკუთრებით მატერიალური კულტურის) ყოველი ფაქტი. ამიტომ გარკვეული მოვლენები, რომელიც კულტურათა კლასიფიკაციაში შევლენ, ვერ პოვებენ შესატყვისებს ენათა გრამატიკულ წყობაში.

მეორე მხრივ, ენის გრამატიკულ კატეგორიათა დიდი ნაწილი გამოხატავს საგანთა შორის ისეთ ზოგად შიმართებებს, რომელთა აღნიშვნა საჭიროა კულტურის სხვადასხვა დონეზე და. ამიტომ ძირითად გრამატიკულ კატეგორიათა დიდი რაოდენობა მომსახურებას უწევს სხვადასხვა კულტურას.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ კულტურისა და აზროვნების ერთსა და იმავე საფეხურზედაც ენებს აქვთ შესაძლებლობა სხვადასხვაგვარად გამოხატონ ერთი და იგივე მოვლენები. ამიტომ არ იქნებოდა მართებული, რომ კულტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურისათვის დაგვეკავშირებინა ენათა გრამატიკულ წყობაში დადასტურებული ყოველგვარი განსხვავებანი. ამ რივისა არის, მაგალითად, შმიდტის კლასიფიკაციაში რიცხვით სახელთა სხვადასხვა სისტემები. მათი ნაირფერობა კულტურის სხვადასხვა დონეს კი არ უკავშირდება, როგორც ამას შმიდტი ვარაუდობს, არამედ სწორედ ზემოღამახელებული სხვადასხვაგვარი შესაძლებლობის კონკრეტულ განხორციელებას

წარმოადგენს (ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ისიც მხედველობა—შია მისაღები, რომ ბევრ ენაში რიცხვით სახელთა ნამდვილი ეტიმოლოგია ჯერაც არაა დადგენილი).

უკანასკნელ, უნდა ვნახოთ, ერთგვარია თუ არა ენის გრამატიკული წყობისა და კულტურის ცვალებადობის ტემპები. თეორიულად ორგვარი შესაძლებლობა არსებობს:

1) ენა და კულტურა ერთგვარი ტემპებით იცვლებიან. მაშინ, თუ კულტურის სფეროში განვლილი საფეხურები ახლით შეიცვალა, თუ დაბალი კულტურის ადგილი უფრო მაღალმა დაიკავა, ასეთივე ცვლილება უნდა განიცადოს ენამაც, ე. ი. წინა კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები მან უნდა დაკარგოს და ახალი შეიძინოს. თანამედროვე ენები შეიძლება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. მათ შორის ყველაზე განვითარებული ყველაზე მოწინავე კულტურის გამომხატველი იქნებიან, ხოლო ადრინდელი კულტურის შესახებ ისინი ვერავითარ წარმოდგენას ვერ მოგვცემენ გარდა იმისა, რაც ძველი კულტურიდან თვითონ ახალმა შეინარჩუნა. ამ თვალსაზრისით, ენა თავის თანამედროვე კულტურას გამოხატავს მხოლოდ. კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა საფეხურზე მდგომი თანამედროვე ენებისა, მაგრამ სრულიად გაუმართლებელია თანამედროვე ენათა დაკავშირება რომელიმე ძველ კულტურასთან და იმის გამოცხადება, რომ ამით თითქოს ამ ენათა უტველესი საფეხურები გვეძლევა. ადრინდელი საფეხურების გათვალისწინებისათვის თვით ენაში უნდა დავადგინოთ ეს საფეხურები და შემდეგ შევუდაროთ ისინი მისი დროის კულტურას.

თანამედროვე ენათა დაკავშირება კულტურულ წრეებთან და მათი აღიარება უძველესად მხოლოდ მაშინ შეიძლება შოხერხდეს, თუ დავუშვებთ, რომ ამ უძველესი საფეხურების შემდეგ არც ენებს განუცდია ცვალებადობა და არც კულტურას. მაშინ თვითონ ცნება „უძველესს“ აზრი ეკარგება. ასეთი თვალსაზრისი ანტიისტორიულია და, როგორც ზემოთაც დავრწმუნდით, შმიდტი ფაქტიურად სწორედ ამ თვალსაზრისზე დგას.

2. ენა და კულტურა სხვადასხვა ტემპებით იცვლება. სინამდვილეში სწორედ ამ მეორე შემთხვევას აქვს აღილია. სხვა საკითხთან დაკავშირებით შმიდტიც აღიარებს ამ შესაძლებლობას<sup>1</sup>.

ენისა და კულტურის სხვადასხვაგვარი ცვალებადობის ორი შემთხვევა გვხვდება:

ა) ენა უფრო ნელა იცვლება, ვიდრე კულტურა. იგი ინახავს ისეთ მოვლენებს, რომლებიც წინა კულტურის გავლენითაა შექმნილი და ახალ კულტურას აღარ ახასიათებს.

ამიტომ შესაძლებელია ენის მიხედვით კულტურის ზოგი ფაქტის აღდენა, მაგრამ შეუძლებელია ამა თუ იმ კულტურისადმი ენის სრული შესატყვისობის აღმოჩენა.

ნათქვამის ნათელსაყოფად მიენართოთ მაგალითებს. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მრჩობლობითი რიცხვი აუცილებელი საფეხური იყო იმისათვის, რომ აზროვნება შრავლობითობის აბსტრაქტულ ცნებაზე გადასულიყო. ეს რიგ ენათა გრამატიკულ წყობაშიაც აისახა. როდესაც მრავლობითი რიცხვი ჩამოყალიბდა, ამის შემდეგ მრჩობლობითი, როგორც მხო-

<sup>1</sup> ვ. შმიდტი, დასახ. შრ., გვ. 27.

ლობითსა და მრავლობითს შორის მოქცეული, ზედმეტი გახდა. მაგრამ ენათა გრამატიკულმა წყობამ იგი კიდევ დიდ ხანს შეინახა. მაგალითად, მრჩობლობითი დაცული იყო რიგ ინდოევროპულ ენაში (ძველ ბერინულში, ინდურში, ჰლავურში<sup>1</sup>). რა თქმა უნდა, უხევ შეცდომას დაუშვებდა ის, ვინც ძველ ბერინულში მრჩობლობითს არსებობის საფუძველზე დაასკვნიდა, თითქოს იმდროინდელი ბერინები განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხი, რომლის ენის გრამატიკულ წყობაშიაც მრჩობლობითი რიცხვი არ იყო წარმოდგენილი.

იგივე თექმის მ-ძინავ-ს ტიპის ზმნებზე ქართულში. მ-ძინავ-ს ორგირიანი ზმნა არის ინგერსიული წყობისა. სპეციალისტთა აზრით, ამ ზმნაში ასახულია განვითარების ისეთი საფეხური, როდესაც მიაჩნდათ, რომ ძილს იწვევს გარკვეული ძალა, ისაა მოქმედების ჩამდენი, სუბიექტი. აღმარინი კი ამ ძალის მოქმედების საგანს, ობიექტს წარმოადგენს. ამ გაგების შესაბამისად არის გაფორმებული ზმნაც. ის, ვისაც მართლა სძინავს, ობიექტური პირის ნიშნითაა წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ქართველებს, რომელთა მეტყველების გრამატიკულ წყობაში ეს არქაიზმი დღემდის შემოგვრჩა, ძილის პროცესი ამჟამადაც სხვ ჰქონდეთ გააზრებული.

ბ) ენაში ადგილი აქვს ისეთ ცვლილებებსაც, რომლებიც არ დაიყვანება კულტურის ცვლილებებზე. ასეთი ცვლილებები ენის ყველა სფეროში მოგვეპოვება, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისინი ფონეტიკაში.

საბოლოოდ: რადგანაც ენის გრამატიკული სტრუქტურა შეიცავს ძველი კულტურის გაღმონაშობებს, ამავე დროს იგი არ ასახავს კულტურის ყოველ ფაქტს და რადგანაც ენის გრამატიკული წყობისა და ბეგრითი შემადგენლობის ყოველგვარი ცვლილება არ დაიყვანება კულტურის ცვლილებაზე, უნდა დავასკვნათ, რომ შეუძლებელია მოვახდინოთ ისეთი კლასიფიკაცია ერთ სფეროში, რომელიც დაემთხვევა მეორე სფეროში მომზდარ კლასიფიკაციას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შმიდტის მიერ დასახული ამოცანა საერთოდ განუხორციელებელია.

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს ენის გრამატიკული წყობისა და კულტურის დაკავშირების უარყოფას. მათი ურთიერთობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

1. ენის გრამატიკულმა წყობამ შეიძლება ნათელი მოპონონის კულტურის (განსაკუთრებით სულიერი კულტურის) რიგ საკითხს (რადგან ენა უფრო ნელა იცვლება, ვიდრე კულტურა).

2. რიგ ენობრივ მოვლენათა ახსნა უნდა ვეძიოთ კულტურაში (რადგან მათი გამომწვევი მიზეზები კულტურაშია).

შმიდტის შრომაში მიუღებელია არა მხოლოდ მთლიანად ენობრივ და კულტურულ წრეთა შეფარდება, არამედ თვით ცალკეულ ენობრივ მოვლენათა დაკავშირებაც კულტურის ფაქტებთან. მოვიყვანოთ რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუში:

თვლის წყვილობითი სისტემის შექმნის ერთ-ერთ მიზეზად ავტორი მონოგრაფიური ოჯახის არსებობას მიიჩნევს; ლოკალური ეგზოგამია, მისი აზრით, განსაზღვრავდა ინკლუზივ-ექსკლუზივის ჩამოყალიბებას; სიტყვათა ხმოვნიანი ანლაუტი და აუსლაუტი სილამაზისადმი მისწრაფებით ყოფილა გამოწვეული

<sup>1</sup> А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, гл. 204.

სხვა ადგილას შმიდტი თანხმოვანთა სხვადასხვაგვარ კომპლექსებს გეოგრაფიულ პირობებს უკავშირებს: ჩრდილოეთის კლიმატი თანხმოვანთა რთულ კომპლექსებს წარმომადგრად, სამხრეთისა კი მხოლოდ ხმოვნიან აუსლაუტს გვაძლევს); გენეტივის უკანდასმა თურმე ბაგშვებისა და ქალების სპონტანურ აზროვნებას ახასიათებს, გენეტივის წინდასმა კი მამაკაცური აზროვნებისათვის ყოფილა ნიშანდობლივი.

ვულგარული სოციოლოგიზმის ეს თვალსაჩინო ნიმუშები (რომელთა შეგავსი შმიდტის შრომაში ბლომად გვხვდება), ვფიქრობთ, კომენტარს არ საჭიროებს. მხოლოდ ნ. მარის ე. წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“ თუ შეუძლია ამ მხრივ მეტოქეობა გაუწიოს შმიდტის „სოციოლოგიზმს“. აღსანიშანვია, რომ სიახლოეს შმიდტის ნააზრევთან ნ. მარი და მისი მიმდევრებიც გრძნობდნენ. მაშინ, როდესაც ნიპილისტურ დამკიდებულებას იჩენდნენ მეიესა. და ვანდრიესის ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიების მიმართ, ისინი დადებითად აფასებდნენ პატერი. ვ. შმიდტის თეორიას<sup>1</sup>.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ შმიდტის კლასიფიკაციამ ენათმეცნიერებაში მცირეოდენი გამოძახილი პოვა და მას არავითარი პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონია. მართალია, უურნალ „ანთროპოსში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში<sup>2</sup> ველფელი აცხადებს, ამ შრომით იწყება ახალი ერა ენათმეცნიერებაში, მაგრამ პრაქტიკამ ეს წინასწარმეტყველება არ გაამართლა. 1936 წ. ენათმეცნიერთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე ჰესტერმანმა გულაკლულად აღიარა, სამწუხაროო, შმიდტის თეორიას არ ჰქონია ისეთი გამოხმაურება, როგორის ღირსიც ის იყო, არც დადებითი და არც უარყოფითი რეცენზიები მის შესახებ არ დაწერილა<sup>3</sup>. ეს მთლად ზუსტი არ არის. გარდა ველფელის ზემოდასახელებული რეცენზიისა, შმიდტის შესახებ არსებობს სხვა რეცენზიებიც<sup>4</sup>, რომ არაფერი ვთქვათ მარისტა მხარდაჭერაზე.

მაგრამ ეს კი აშეარა, რომ არც ზოგადსა და არც კერძო ენათმეცნიერებაზე შმიდტის კლასიფიკაციას თვალსაჩინო გავლენა არ მოუხდენია. ამით, ვფიქრობთ, საკსებით დამსახურებულად, გამომჟღავნდა ამ კლასიფიკაციის უნაყოფობა.

<sup>1</sup> იხ. M. Я. Несмировский, Язык и культура. К увязке лингвистики с общественными науками, Владикавказ, 1928. A. Ходолович, Патер Шмидт и яфетическая теория: Языковедение и материализм, вып. II, Москва-Ленинград, 1931.

<sup>2</sup> D. J. Wölfele, Schmidt P. W., S. V. D. Die Sprachfamilien und Sprachenkreise der Erde (Bibliographie). Anthropos, 1927, Wien. ტ. XXII, ნაკვ. 3, გვ. 636—645.

<sup>3</sup> Ford. Hestermann, Die Schmidtsche Kulturrestheorie und Sprachwissenschaft in Südamerika. Actes du quatrième Congrès international de linguistes tenu à Copenhague 1936, Copenhague, 1938, გვ. 199—203. თვითონ ჰესტერმანი შმიდტის დიდი პატივისმცემელი ჩანს და აცხადებს კიდევაც: შმიდტის თეორიამ დიდი დამარტება გამიშაა ამერიკის ენათა შესწავლისათვის, მაგრამ აუში გამოიხატება ეს დამარტება, ამაზე იგი არაფერს ამბობს და საერთოდ თეორიულ საკითხებზე სრულიად არ მსჯელობს, თუმცა გაკვრით მაინც შენიშვნას, ზოგი რამეს შესწორება შმიდტთან საჭიროდ მიმჩნია.

<sup>4</sup> L. E. P. W. Schmidt, Die Sprachfamilien und Sprachenkreise der Erde. Zeitschrift für vergleichende Sprachforschung. Göttingen, 1928, № 56. 1/2, გვ. 142—159. Marcel Cohen, Bulletin de la Société de linguistique de Paris, ტ. XXVIII, fasc. 1 (№ 84), Paris, 1927. C. C. Uhlebeck, Sartryk af Acta Philologica Scandinavica, Copenhagen, 1927.

ჩვენ არ მოვვევა შემთხვევა გავცნობოდით ამ რეცენზიებს.

Т. С. ШАРАДЗЕНИДЗЕ

## КЛАССИФИКАЦИЯ ПО ЯЗЫКОВЫМ КРУГАМ В. ШМИДТА

(Резюме)

1. В своей работе «Языковые семьи и языковые круги мира»<sup>1</sup> В. Шмидт ставил себе целью создать более широкие группировки языков, чем семьи родственных языков. Он выделил следующие круги языков: 1) древнейшие языковые круги, которые по географическому распространению делятся на южный, средний и северный (арктический) круги. 2) Первичные языковые круги, в которых также выделяются южный круг, северный круг (куда входят урало-алтайские, индоевропейские, семито-хамитские языки, а также часть северокавказских языков) и средний круг (южно-восточные австралийские языки, большая часть яфетических языков, ряд американских языков и т. д.). 3) Вторичные и третичные языковые круги, которые являются смешанными.

2. В. Шмидт связывал языковые круги с культурными кругами, выделенными им вместе с В. Копперсом; древнейшие языковые круги соответствуют древнейшим культурным кругам, первичные — первичным, а вторичные и третичные языковые круги соответствуют высоким культурным кругам. Внутри первичных кругов имеются такие соответствия: средний языковой круг относится к матриархальному культурному кругу примитивного земледелия, северный языковой круг — к культурному кругу кочевников-скотоводов, а южный языковой круг к охотничьей тотемистической культуре.

3. Методы, применяемые В. Шмидтом для классификации языков, вызывают ряд серьезных возражений:

а) фонетические, морфологические и синтаксические признаки, которыми якобы характеризуются различные языковые круги, выбраны автором случайно, без установления того, существует ли внутренняя связь между ними и этапами развития культуры.

б) При отнесении того или иного явления к определенному кругу решающее значение придается его распространению в современных языках без учета истории данного явления. Автор не утруждает себя выяснением причин, обусловивших отсутствие какого-либо явления в интересующих его языках.

в) При классификации языков В. Шмидт исходит не из языковых признаков, а из культурных кругов. Многочисленные исключения, когда явления, причисляемые автором к определенному кругу, встречаются и в языках других кругов, показывают несостоятельность такого принципа классификации.

4. Неудовлетворителен анализ отдельных языковых признаков, представленный в работе В. Шмидта. Например:

а) Неправильно мнение, что двойственное и тройственное числа возникли в морфологии после множественного для уточнения этого последнего. В действительности двойственное и тройственное, как более кон-

<sup>1</sup> Die Sprachfamilien und Sprachenkreise der Erde, Heidelberg, 1926.

крайние числа, являются переходными ступенями между единственным и множественным числами.

б) Грамматические категории («классы») человека и вещей не представляют собой трансформированных понятий женского и мужского пола. Эти понятия строятся на двух различных принципах. Неоправдано выделение среднего рода в языках nomadской (кочевнической) культуры, так наз. средний род по происхождению представляет собой или класс вещей (включая и животных) или же класс неодушевленных предметов.

в) противопоставление чисто десятичной и пятерично-десятичной систем счисления выглядит искусственным.

г) Особенno спорны положения, представленные в синтаксисе. Не имеет никакого основания признание препозиционной постановки атрибутивного генетива характерным для языков nomadской культуры, а постпозиционной — для языков матриархальной культуры.

5. В классификации В. Шмидта неприемлема увязка отдельных языковых явлений с фактами культуры. Например, неправильно мнение о том, что причиной создания парной системы счисления является наличие моногамной семьи, или что возникновение инклюзива-эксклюзива вызвано локальной экзогамией. Так же неосновательно объяснение гласного аялаута и ауслаута стремлением к красоте или же приписывание постпозиционной постановки генетива спонтанному мышлению детей и женщин, а препозиционной — мужскому мышлению. Такой вульгарный социологизм, примеры которого обильно встречаются у В. Шмидта, ненаучен.

6. Классификация по языковым кругам антиисторична, несмотря на заявление В. Шмидта, что она предусматривает более ранние этапы развития языков, чем это в силах сделать генеалогическая классификация языков.

7. В. Шмидту не удалось создать классификации языков, вполне соответствующей культурным кругам. Например, в его классификации культуре бумеранга не соответствует ни один языковой круг. По языковым признакам выделяются только древнейший и средний языковые круги, а южный и северный круги представляют собой результат смешения первых двух. Отсюда следует, что тотемистическая и nomadская культурные круги не создали в языках характерных только для них особенностей. Кроме того, непонятно каким же образом произошло смешение древнейших и первичных (средних) языков, когда В. Шмидт отрицает возможность какого-либо контакта между древними культурами. И, наконец, если языки южного и северного кругов являются мешанными, то их следует отнести не к первичным, а ко вторичным кругам, которые автор действительно считает мешанными. Но в таком случае они оказались бы соответствующими высокому культурному кругу, в то время, как люди, говорящие на них, по В. Шмидту, имели первичную, а не высокую культуру. Еще большие противоречий наблюдается при попытке распределить отдельные языки по языковым кругам.

Все эти недоразумения и противоречия доказывают, что попытка В. Шмидта создать классификацию языков, которая соответствовала бы классификация культурных кругов, окончилась неудачей.

3. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII

8. Задача, которую ставил В. Шмидт перед собой, вообще неосуществима. Основанная на грамматических (и тем более фонетических) признаках классификация языков не может соответствовать классификации ступеней культуры по следующим причинам:

- а) Явления культуры не всегда находят отображение в грамматическом строем языков.
- б) Большая часть грамматических категорий выражает такие отношения, обозначение которых одинаково необходимо на различных этапах развития культуры.
- в) Языки имеют возможность по разному изображать одинаковую культуру.
- г) Темпы изменения языка и культуры не совпадают, языки могут долго сохранять пережитки минувшей культуры.
- д) Не все изменения языка сводятся к изменению элементов культуры.

S. 30%0605

-მა ნიშნებანი გრავლოგიტი რეცეპტ სინტაქსური  
ძალისათვის ძვილ ჩართულია

( ქართული ლიტერატურული ენის განვითარების მანძილზე ყურადღებას აქცევს სახელთა ორგანიზაციული მრავლობითი, რომელსაც ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშანი აწარმოებს; ერთია - 5 (სახელობით ბრუნვასა და წოდებითის ფორმაში) და - 7 (დანარჩენ ბრუნვებში), ხოლო მეორეა - ებ. პირველი მრავლობითი, როგორც ცნობილია და ბევრგზის აღნიშნული, გაბატონებული ფორმაა ძველ ქართულში და ახალი ქართულის ჩამოყალიბებისას, მეორე—იშვიათია ძველ ქართულში, მაგრამ გაბატონებულია თანამედროვე ქართულში.

ისტორიულად დომინანტობდა -ნ ნიშნავი მრავლობითი, რამდენადაც:  
ა) ეს იყო გავრცელებული ფორმა ძველ ქართულში;

ბ) - ნიშანით სუბიექტიცა და ობიექტიც შემასმენელს ყოველთვის რთანმებრდა რიკვეში;

გ) ასევე -ნ ნიშნიანი საზღვრული მსაზღვრელს ითანხმებდა რიცხვში. მაშინ როგორსაც:

ა) -ებ ნიშნიანი მრავლობითი იშვიათი იყო იმავე ძველ ქართულში;  
 ბ) ამგვარი ნიშნით მრავლობითში წარმოებული სუბიექტი და ობიექტი  
 შემასწინეოს ჩვეულებრივ ვარ ითანხმებოდა რიცხვში;

გ) ასევე პრეპოზიციული მსაზღვრელი ჩვეულებრივ არ ეთანხმებოდა -ებ. ნიშნიან საზოვოლს რიგხვში.

ამიტომ იყო, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში -ებ ნიშნიანი ფორმა მიჩნეული იყო სხვა ფუნქციისად; ასე ზაგალითად, პროფ. კ. ღონიძეამ ერთ-ერთ შრომაში<sup>1</sup> ყურადღება გამახვილა მრავლობითის ორი სუფიქსის არსებობაზე და აღნიშნა, რომ მრავლობითის -ებ ნიშნიანი ფორმა „როგორც ჩანს; გამოხატავდა ნივთთა კლასს, პასიურ სულიერ და საერთოდ საზოგადოებრივად პასიურ არსებებს, აგრეთვე განცენებულ ცნებებს“ (გვ. 64, შლრ. 46). ავტორი იქვე მიუთითებს, რომ -ებ ნიშნიანი ფორმისათვის უმეტესად კრებითობის მნიშვნელობაა დამახასიათებელი, ის წერდა: „ამაზე მეტყველებენ შემდეგი ფაქტები: 1. მსაზღვრელი არ ეთანხმება საზღვრულს რიცხვში, როდესაც ეს უკანასკნელი მრ. რიცხვშია -ებ სუფიქსით (ქალაქ-ნ-ი დიდ-ნ-ი, მაგრამ დიდ-ი ქალაქ-ებ-ი...); 2. მრავლობითის -ებ ნიშნიან ლოგიკურ ობიექტთან პრედიკატი დგას მხოლობით რიცხვში (დალეჭ-ნ-ა ქალაქ-ნ-ი, მაგრამ დალეჭ-ა ქალაქ-ებ-ი...); 3. ასეთ შემთხვევაში სუბიექტი ხშირად ვერ ითანხმებს შემასმენლს რიცხვში: სახელ-ებ-ი არს“... (გვ. 55).

<sup>1</sup> О двух суффиксах множественности в грузинском: Язык и мышление, I, Ленинград, 1933, 83: 43—66.

შემდეგ პროფ. კ. დონდუა ყურადღებას ამახვილებს, ამ უკანასკნელ მომენტზე თვით თანამედროვე ქართულში, სადაც მერყეობა გვაქვს შეთანხმების შემთხვევაში, მაგ., დიდი ამბები მოხდა... გოდრები დგას... და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში, სრულიად მართებულად, ისიცაა აღნიშნული, რომ -ნ და -ებ ნიშნიან მრავლობითებს შორის სინტაქსური სიძლიერის მიხედვით, განსხვავება „საფიქრებელია, იმრთ იყო გამოწვეული, რომ პირველი ორგანულად უკავშირდებოდა ზმნის მრავლობითობის მესამე პირის. ნიშანს, -ენ // -ან სუფიქსებს, რომლებიც ისტორიულად მრავლობითობის ნიშნად უნდა იქნენ მიჩნეული, ხოლო ებ სუფიქსი სულ სხვა ფორმაციისაა და სხვა დიალექტური წრიდან მომდინარეობს. საინტერესოა, რომ მისი ეკვივალენტი სუფიქსი მრავლობითისა ქართულ ზმნაში არ მოიპოვება“.<sup>1</sup>

ძველი ქართული ტექსტების შესწავლა გავიჩვენებს, რომ -ებ სუფიქსი ძველ ქართულშიც მრავლობითი რიცხვის ნიშნად გაიგებოდა; ამას ადასტურებს შემდეგი:

ა) რიგ შემთხვევაში -ნ ბოლოსართიან მრავლობითს ენაცვლება -ებ ბოლოსართიანი მრავლობითი. ეს იმას ნიშნავს, რომ უკანასკნელი ფორმა ისევე მიჩნეულია მრავლობითი რიცხვის გამომხატველად, როგორც პირველი.

ასე, მაგალითად, ოთხთავის ერთ რედაქციაში ესა თუ ის სიტყვა რომ შრავლობით რიცხვში გაფორმებულია -ნ ნიშნით, მეორე რედაქციაში იგივე სიტყვა -ებ ნიშნით არის წარმოდგენილი<sup>2</sup>.

მაგალითები:

მოპყვანილეს მისა ყოველნი ს ნეულნი და ეშმაკეულნი (DE გრკ 1,32) და იქვე, C რედაქციაში: შორითუმიდეს მას ყოველსა ს ნეულებსა და ეშმაკეულებსა.

აღსრულნენ წიგნი წინაწარმეტყუელთანი (DE გრკ 14,49) და აღსრულოს წიგნები იგი წინაწარმეტყუელთამ (C).

განრცხად სასუმელებისა და სტამნებისა და ქუაბებისა და ცხედრებისა და (DE გრკ 7, 4), მაგრამ

C რედაქციაში: ვანბანად სასუმელთა და სტამნთა და ქუაბებთა და ცხედართა.

რომელნი შეშჭამენ სახლთა ქურივთასა (C გრკ 12,40) და

რომელნი შეშჭამენ სახლებსა ქურივთასა (DE).

შდრ.

იხილნა კარნი საპყრობოლისანი განხუმულნი (მოც. ჭ. 16,27) და.

იხილა კარები გადღებული საპყრობილისა (C) და სხვ.

(ბ) -ებ ნიშნიანი მრავლობითი სინტაქსურ ძალას ამეღლავნებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამგვარ მრავლობითში დასმული სახელი ქვემდებარედად. გამოყენებული ერთგვარშემასმებლებიან შერჩეულ წინადადებაში და შემას-

<sup>1</sup> არნ. ჩიკობაკა, ბარტივი წინადადების ევლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბეკ, II, № 1-2, 1941, გვ. 198; მისივე; სახელის ფუნქციის უძეველესი აჯებულება.. 1942, გვ. 248; მისივე: რით არის წარმოდგენილი მრავლობითისა სახელობითში დასმული შორითოლობიური ობიექტი ძველს ქართულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეკ, IX, 1929, გვ. 115.

<sup>2</sup> ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია დოც. ივ. იმრა ი შვილ მა ნაშრომში—ადიშის ოთხთავი რედაქციულად: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX, 1947, გვ. 188.

შენელი მისგან დაშორებულია; ე. ი. მას მრავლობით ოცხვში ეთანხმება არა მომდევნო შემასმენელი, არამედ უკანასკნელები.

მაგალითად:

და განვიდა სულები იგი არაწმიდა კაცისა მისგან და შევიდეს ლორებსა მას (DE მრკ 5, 13);

და გარე მოადგა მას ქურივები იგი ყოველი, ტიროდეს და უჩუგნებდეს კუბასტებსა და სამოსლებსა ყოველსა (მოც. 9, 39).

(გ) -ებ ნიშნიანი მრავლობითის სახელთან გამოყენებულია სუბლეტურ ზმნათა ისეთი ფუძე, რომელიც ეგუება სუბიექტის ან ობიექტის მრავლობითობას. მაგალითად:

განაგდო სული იგი, მაგრამ: განასხა სულები: განასხნა სულები იგი ტიტუზ (C მთ 8, 16), შდრ. განასხა სულები იგი უკეთური სიტყვა (E);

დასულ კაცი ეგე, მაგრამ: დასხით კაცები: დასხით კაცები ესე (E იოვ. 6, 10), დაასხით კაცები ესე (D); დასხით კაცები ეგე (CE ლკ 9, 14), დაასხით კაცები ეგე (D).

(დ) ამავე დროს, იშვიათია, მაგრამ ადგილი აქვს -ებ ნიშნიანი ქვემდებარის მიერ შემასმენლის შეთანხმებას მრავლობით ოცხვში ძველსავე ქართულში, მაგ.:)

სულები იგი... ჰეც დვი დეს მას და შეუცრდებოდეს და ლალადებდეს და იტყოდეს (DE მრკ 3, 11), შდრ. სულთა მათ... ოდეს იხილიან იგი, შეურდიან მას, ლალადებედ და იტყვედ... (C);

გარე მოადგეს ქურივები იგი (მოც. ლ 9, 39).

ჩანს, შეთანხმებას დასაბამი ჰქონია ძველსავე ქართულში.

ახალ ქართულში -ებ ნიშნიანი სუბიექტი თანდათან ვრცელდება; იფართოებს თავის სინტაქსურ ძალას და ოცხვში ითანხმებს შემასმენელს ჩატვირთვის შეთანხმების „შემთხვევები არა იშვიათი „ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანში“, „შაპნამეში“, „თიმსარიანში“ და მომდევნო პერიოდის თხზულებებში.

მაგალითები:

ბედად შენ მჯობხარ, უსტარო, გნახვენ დამწველის თვალები (ვტ. 1275);

თვით მეფედ მათად მას ხედვენ მონები მკლავმაგრებია (იქვე, 286); მოშაით-მგოსნები თამაშობდეს (შაპნ. 369, 10);

ფალავნები იმს არჩევენ (იქვე, 362, 3);

მას იმს შიგან ეგეთი ჭაბუკები იყვნეს (ვისრ. 23, 25);

ფარდათვალეს ხოჯებმა (რუსულიანი);

ეს სტუმრები გამოღმართ და წვნენ („სიბრძნე სიცრუისა“) და სხვ.

ამგვარად, -ებ ნიშნიანი სუბიექტის მიერ შემასმენლის მრავლობითში შეთანხმების იშვიათი შემთხვევები. ძველ ქართულშიც მოგვეპოვება. ენის გრაშატიკული სისტემის ეს დასაბამი თანდათან განვითარდა, გაფართოვდა და შედარებით სრულყოფილი გახდა. ეს განვითარება, როგორც ი. სტალინი აღნიშნავს, მოხდა „არსებული ენის ძირითადი ელემენტების გაშლისა და სრულყოფის გზით“<sup>1</sup>.

ბუნებრივია, რაჯა -ებ სუფიქსი იყო მრავლობითის ნიშანი, რიცხვში შეთანხმების საკითხიც უნდა მოგვარებულიყო. სათანადო გაგებას შესაფერისი გამოხატულებაც უნდა ეპოვა.

<sup>1</sup> ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1954, გვ. 25.

-ებ ნიშნიანი სუბიექტის ძალის განმტკიცებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ებ ნიშანი იქცა სახელთა მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ძირითად ფორმანტად. ამიტომ თანამედროვე ქართულში შემასმენელი იმ შემთხვევაში შეთანხმება მრავლობით რიცხვში ქვემდებარეს, თუ ქვემდებარე ცოცხალი საგნის სახელია, ან არაცხალი საგნის სახელია, მაგრამ აქტიურია, გაპიროვნებულია<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მრავლობითის -ნ ნიშნიანი პირ-დაპირი ობიექტი შემასმენელს ისევე ითანხმებდა მრავლობით რიცხვში, როგორც სუბიექტი; მრავლობითის -ებ ნიშნიანი ობიექტი შემასმენელს რიცხვში ვერ ითანხმებდა. დროთა ვითარებამ ვერ შეცვალა ამ სახის სინტაქსური ურთიერთობა: ამგვარმა ობიექტმა რიცხვში შეთანხმების უნარი ვერ განვითარა; სამაგიეროდ თანდათან შესუსტდა -ნ ნიშნიანი ობიექტის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმება. აღრინდელ ახალ ქართულში ჯერ შეთანხმებული ფორმების გვერდით ფართოდ კრცხლდება შეუთანხმებელი ფორმები, შემდეგ კი ბატონდება ეს უკანასკნელი; აგალითად, ერთი მხრით, გვხვდება მოყუარემან ჩემიმან თ მანი და მიგრუზნა (ვისრ. 158, 27);

სალამანდრამ თავისი ნათესავნი და ტომნი შემოიკრიბნა (ქილ. 103, 4);

ორნივე შვარნი ამოყარნა (შავნ. 372, 14);

მან კაცმან თუალნი ამიტომ ნა (ამირანდარეჯ. ხელნაწ. № 441, გვ. 12);

ჩჩილნი მოსრნა (ვახტ. VI, 148);

მე შეგყარნე საუკუნოს ორნივ ერთვან (თეიმ. I, 41) და სხვა, მაგრამ იქვე:

კელმწიფემან მოიკითხა ჯიმშედის დანი ტურფანი (შავნ. 392, 11);

მას სკულავნი ეგრეცა მცუელად და ყენა (ვისრ. 147, 19);

ზავ წინა წავიდა და მოკაზა და რბაზნი დიდნი (რუს.);

ჩიტნი იგი ცოლსა მიაბარა (ქილ. 112, 20);

შელეწა ციხისა კარნი (ამირანდარეჯ. ხელნაწ. № 393, გვ. 10в)

და სხვ.

(სახელობითში დასმულმა -ებ ნიშნიანმა ობიექტმაც თავისი სინტაქსური ძალა მოსინჯა, მაგრამ შეთანხმების შემთხვევების ჩასახვას შემდგომი განვითარება არ მოჰყოლია.)

მაგალითები:

და დაარღვნე სახლები ისრატლისად... (ესაია, 22, 10);

და შთანთქნა კუერთხმან აპრონისმან კუერთხები იგი მათი (გამ-7, 12);

და მრავალთა გრძნების მოქმედთა მოკრიბნეს წაგნები მათი და დასწუვიდეს წინაშე ყოველთასა (მოც. 19, 19);

ხოლო იყო ბეგიცა ჩემთანა, და ორთავე გარდავინებილენ ით გუაშები იგი მოწამეთად... (კომ. 42, 10);

<sup>1</sup> არნ. ჩიტობავა მიუთითებს, რომ „ზმინს შეთანხმება - ებ-იან სახელობით-თან იწყება იმ შემთხვევებიდან, სადაც სახელობითი რეალურ სუბიექტად გვევლინება, მასთან ყველაზე აქტიურ სუბიექტს, ადამიანს, აღნიშვნას, შემდეგ კი ვაცხლდება ისეთ მაგალითებზე, სადაც რეალური სუბიექტი ადამიანი არაა, მაგრამ ზმინა მოქმედებითი გვარისაა; აյ ჯერ კი-დევ გვაქვს რყევა, თუმცა განვითარების ტენდენცია ნათელია“ (მარტივი წინადადების ეკოლურის ძირითადი ტენდენციები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მომბე, II, № 1-2 1941, გვ. 200).

ისრევე გამოიკლიტნეს კარები (რუს.);

გადმოაჭირნა თუალები (არჩ. ტ. 1, 184) და სხვ.

უფრო ხშირად შეთანხმების შემთხვევებს აღილი ჰქონდა მსაზღვრელი-სა და საზღვრულის ურთიერთობაში.

ქველ ქართულში საზღვრული, რომელიც მრავლობით რიცხვს ნარით-აწარმოებდა, ითანხმებდა მსაზღვრელს რიცხვში. ამავე დროს წყობა მეტწილად პოსტმოზიციური იყო: საზღვრულს მოსდევდა მსაზღვრელი. ეს ცნობილი ფაქტია. მაგრამ მსაზღვრელისა და საზღვრულის ასეთი წყობა შენიშნულია მაშინაც, როდესაც მრავლობით რიცხვში -ებ სუფიქსიანი საზღვრული იყო. ამასთან, ასეთ საზღვრულთანაც მსაზღვრელის რიცხვში შეთანხმება ხშირია. ქველ ქართულში: ორივე -ებ ნიშნიანია. მეორე მხრივ, ჩვეულებრივია რიცხვ-ში შეუთანხმებელი ფორმები („იხილა კარები განდებული“ მოც. 16,27 და სხვა). შეუთანხმებელი ფორმების გვერდით შეთანხმებული ფორმების არსებობა გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება: მრავლობითი რიცხვის ამგვარ ფორმას ჰქონდა ტენდენცია ჟელ ქართულშივე შეეძინა ნარიანი ფორმის სინტაქსური ძალა და გვერდი:

იხილა პირები იგი მათი და კრმლები კდილები (კიმ. I, 38,15):

შთადგა მათ შინა თუალები პატიოსნები (სიბ. ბალ. 19,31);

და განარჩინა მას დღესა შინა ვაცები ჭრელები (დაბ. 30,35);

გამოქდა სულები იგი არაწმიდები (C მრკ 5,13);

იყო სულები არაწმიდები (მოც. 8, 7);

იყო სულები უკეთურები (იქვე, 19,13);

ტაძრები იგი მაღლები დაეცემოდა (ილ. აბულაძის მიერ გამოკვეყნებული ტექსტი, ლიტ. ურთ. 139), შდრ.

ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტკვები თრები (ვტ 1564);

ნაქერალაში დამდგარან

თუშები თექიანები (ვაჟა, III, 197)

მთები მაღლები, კლდები,

...მოწყენილია სუყველა

(ვაჟა, ერთტომეული, 333).

-ებ ნიშნიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა სხვაგანაც ვლინდება. შაგ., აპა ესერა, ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველი თესლები ქუეყანი-სანი (C ლკ 1,48) შდრ. აპა ესერა, ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნარესავნი (DE).

მიუხედავად ამისა, -ებ ნიშნიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა ქველ ქართულში არ ეტოლებოდა -ნ ნიშნიანი მრავლობითისას; ეს ცხადია, მაგრამ ამგვარი მრავლობითობის გათანაბრება მხოლოდითან მაინც არ შეიძლება, რადგანაც:

1. -ებ ნიშანი, ისევე როგორც -ნ ნიშანი, მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი იყო.

2. ორი სხვადასხვა სუფიქსით ერთი კატეგორიის გამოხატვა აიხსნება არა იმით, რომ ენას სჭირდება ასეთი რამ სხვადასხვა დანიშნულებისათვის, არამედ, აღბათ, იმით, რომ ისინი სხვადასხვა წარმოშობისა არიან.

დამახასიათებელია, რომ ე. წ. საშუალო საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებში საქმაოდ ხშირია შეთანხმებული ფორმების გვერდით შეუთანხმებლობა მაშინაც, როდესაც სუბიექტად ცოცხალი საგნის სახელია ნარიან მრავ-

ლობითში წარმოდგენილი. ასეთი რამ არსებული ნორმის დარღვევად ითვლება თანამედროვე ქართულშიც კი, საღვანი მრავლობითის სინტაქსური ძალა კიდევ უფრო შესუსტებულია.

მაგალითად:

ქვემდებარებული სულიერი საგნის სახელია, შეთანხმება არა გვაქვს:

მოვიდა ორი მისოდენი ლაშქარნი (ამირანდარეჯ. ხელნაშ. № 393, ვე. 8);

დედოფლალნიცა მოსულიყო (რუს.);

ქალნი მას ეფერებოდა (იქვე) და სხვ.

შლრ. როდესაც ქვემდებარებ არაცოცხალი საგნის სახელია:

შალკოტნი... აყუაებულიყო (ვისრ. 232,20);

ამოდიოდა ჭყარონი (შავ. 370,29);

შვერნი ღრუჟელთა სწუდებოდა (იქვე, 236,71);

ზგი საღვინენი მით ივსებოდა (რუს.) და სხვ.

შეთანხმების ეს დარღვევა მომდინარეობს უსათუოდ ცოცხალი შეტყველებიდან, სადაც ნ-ს სინტაქსური ძალა სუსტდება და -ებ-ისა ძლიერდება.

უანამედროვე ქართულში შეთანხმებას მაშინ აქვს ადგილი, როცა ქვემდებარე ცოცხალ საგანს გამოხატავს, ან არაცოცხალია და -ნ-თ სუფიქსებითაა მრავლობითი ნაწარმოები, ან კიდევ ცოცხალი საგნის თვისებებითაა აღჭურვილი.

ა. ი. კიზირია

## СИНТАКСИЧЕСКОЕ ВЗАИМООТНОШЕНИЕ ИМЕНИ С СУФФИКСОМ -ებ -ებ И ГЛАГОЛОВ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В грузинском языке, за развитием которого можно следить в течение пятнадцати веков, обнаруживается ряд постепенных изменений видов синтаксических взаимоотношений слов.

Установлено, что синтаксическая сила множ. числа с суффиксом -ებ -ებ была слаба в древнегрузинском языке (глагол не согласовывался в числе с субъектом и объектом типа -ებ -ებ). Однако, в том же древнегрузинском языке форма существительного с суффиксом -ებ -ებ имела тенденцию приобрести грамматическую силу множ. числа с суффиксом -ნ -ն, что подтверждается следующим:

а) в ряде случаев формы с суффиксом -ნ -ն заменяются формами с суффиксом -ებ -ებ (ჭიგბ-ნ-ი չign-n-i — ჭიგբ-ებ-ი չign-eb-i);

б) с формой множ. числа с суффиксом -ებ -ებ согласуется основа супплетивных глаголов, выражаяющая множественность субъекта или объекта. Напр.: დასხით კაცები ესე: dasxit կაცები ese (велите им возвлечь); განასხნა სულები იგრ... ganasxna suləbi igi (он изгнал духов...);

в) встречаются случаи согласования глагола в числе с субъектом типа -ებ -eb: სულები იგი... ჰედვიდეს მას... sulebi igi... hvedvides mas... (духи... видели его);

г) в некоторых случаях определяемое, множ. число которого образовано при помощи суффикса -ებ -eb, согласует определяющее при постпозитивном строем: იხილა... ქრძლები ქდილები... ixila... qrmlebi qdilebi... (...увидел выхваченные мечи...)

С течением времени синтаксическая связь между сказуемым и подлежащим, равно и дополнением с суффиксом -ებ -eb, постепенно изменяется, совершенствуется, однако, это развитие происходит неравномерно. Множ. число с суффиксом -ებ -eb, выступая в качестве субъекта (подлежащего) расширяет свою синтаксическую силу в так называемом средневековом грузинском языке и проявляет тенденцию занять господствующее положение в современном грузинском, но как объект (прямое дополнение) и как определение, оно не претерпевает почти никаких изменений. Это явление имеет свое объяснение.

Digitized by srujanika@gmail.com

შავდარული კონსტრუქციის გეეგების დასათვის ძველ მართულები<sup>1</sup>

ინდოევროპული ენებისაგან განსხვავებით ქართულსა და მის მონათესავე ენებს ინფინიტივის კატეგორია არ გააჩნია. მის მაგივრობას ამ ენებში მოქმედების სახელი — მასდარი — ეწიგა.

მორთოლოგიურად და სინტაქსური. ფუნქციითაც ინფინიტივი არსებითად განსხვავდება მასლარისაგან.

მორგოლოგიურად მასდარი ზმინისაგან იწარმოება, „ინფიციტივი კა ზმინის ფორმას ამოსავლად არ საჭიროებს. ის თვითონაა ზმინის საყრდენი, ამოსავალი“<sup>2</sup>. ამ თვალსაზრისით ჩუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაშია შშირად ინფიციტივს აღარებენ სახელობით ბრუნვას, რომელიც ინფიციტივის მსგავსად ამოსავალ ფორმას წარმოადგენს სახელთა სხვა ბრუნვებისათვის.

შეგალითისათვის ძევლი სომხური რომ ავიღოთ, აქ ინფინიტივი, უფრო სწორად ზმნის განუსაზღვრელი ფორმა—**անորոշ գերբայ**—ზმნისაგან დამოუკიდებელ ფუძეს წარმოადგენს, რომელსაც ბოლოში დაერთვის საწარმოებელი აფიქსები—**աւ-հ-իւ-ռւ-** ძირითადი საწარმოებელი և თანხმოვანია, **ա հ ի დա ու** ხმოვნები კი მაუღლილებელი აფიქსებია, რომელთა მიხედვით ზმნის განუსაზღვრელ ფორმაში ჩანს, თუ ზმნა რომელი ტიპის უღვლილებას გაჰყება.

ძველ სომხურში ზმნის განუსაზღვრელი ფორმა წარმოადგენს დასაყრდენს დრო-კილოთა საწარმოებლად.

რიგ ენებში ინფინიტივი ისტორიულად წარმოშობილია არსებითი სახე-  
ლისაგან ზმნურ კონსტრუქციასთან მისი დაახლოებისა და ულვლილების სი-  
სტემაში მისი ჩართვის შედეგად. საწარმოებელი ელემენტიც ასეთ ენებში სა-  
ხელური აფიქსებიდან მომდინარეობს. ვარაუდობენ, რომ, მაგალითად, ძველ  
სლაურში ინფინიტივის დაბოლოება - **თ** წარმოშობით მიცემითი ბრუნვის-  
ძეველი ნიშანია, რომლის **и** ხმოვანი უმახვილობის გამო რიგ შემთხვევებში და-  
სუსტდა და მივიღეთ **ь**<sup>3</sup>.

<sup>1</sup> წაკითხულია მოსხენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერებაზე ის ინსტიტუტის V (XI) სამეცნიერო სესიაზე 11. VI. 1954.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942,

<sup>3</sup> А. Мейс, Общеславянский язык, 1951, 83. 194; А. М. Селищев, Старославянский язык, 1952, 83. 198.

ძველ სლაურში ინფინიტივი იბრუნებოდა, მაგრამ მან თანდათან ლაკარგა სახელის ყველა ნიშანი, ჩამოშორდა სახელის სისტემას, მიეკედლა ზმნას და თანამედროვე სალიტერატურო რუსულ ენაში იგი უცვლელ ფორმად წარმოგვიდგა.

გერმანულში კი ინფინიტივს შერჩა სახელური ნიშნები. თავისი მნიშვნელობით და ფუნქციით ამჟამად იგი ზმნისა და არსებითი სახელის მიჯნაზე დგას. მისთვის დამახასიათებელია როგორც სუბსტანტიურობა, ისე ზმნურობა. იგი სახელურ-ზმნური ფუძეა. მაგალითად, *Sehen* (видеть) ინფინიტივია, ხოლო *das Sehen* (видение) უკვე სახელზმნაა, ქართულისებური მასდარია, რომელიც არსებითი სახელის მსგავსად იბრუნების.

მასდარისაგან განსხვავებით ინფინიტივს გააჩნია დამოუკიდებელი სინტაქსური ფუნქციაც, კერძოდ, მას აქვს სახელის ბრუნვაში მართვის უნარი, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი პირდაპირ დამატებას მართავს იმავე პრუნვაში, რომელშიც მას მოითხოვს ზმნის ფორმა. სწორედ ამაში ჩანს ინფინიტივის ზმნური თვისება. ინფინიტივის მიერ მართული დამატება ინდოვრობულ ენებში ყოველთვის ბრალდებით ბრუნვაშია.

ინფინიტივის მხრივ ამჟამად თვალსაჩინო სხვაობა გვაქვს ქართულსა და მთას იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის.

ახალ სალიტერატურო ქართულში, როგორც ცნობილია, ინფინიტივის კატეგორია არ მოიპოვება, მთას იბერიულ-კავკასიურ ენებს კი, მაგალითად, ხუნძურს, ლაკურს, დარგულს გააჩნია როგორც მასდარი (ზმნისაგან ნაწარმოები მოქმედების სახელი), ისე ინფინიტივი<sup>1</sup>.

უდურში დადასტურებულია მასდარის თავისებური ფორმა, რომელიც იბრუნების და ამავე დროს მართავს კიდეც პირდაპირ დამატებას იმავე ბრუნვაში, რომელშიც მას მოითხოვს ზმნის ფორმა. მართული დამატება ჩვეულებრივ „ბრალდებით“ ბრუნვაშია, როგორც ეს დასტურდება ზმნასთანაც<sup>2</sup>.

ასევე, ტაბასარანულში, მართალია, მასდარი იბრუნების, მაგრამ ამავე უროს ზმნის მსგავსად იგი ინარჩუნებს დამატების ბრუნვაში მართვის ტალას<sup>3</sup>.

ხუნძურში მოქმედების სახელი—მასდარი—ჩვეულებრივ ინარჩუნებს სათანადო ზმნის მართვის უნარს. სუბიექტი გარდაუვალ ზმნათა მასდართან, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სახელობით ბრუნვაშია, ხოლო გარდამაცლობის შემთხვევები იგი აქტიური ბრუნვითაა გადმოცემული. ამ ენაში მოქმედების სახელი და ნაზმნარი სახელი თუმცა ფორმის მხრივ ხშირად ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით ისინი განსხვავდებიან იმ შერივ, რომ ნაზმნარი სახელები მოკლებული არიან ზმნური მართვის ძალას<sup>4</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ დაღესტნის ენებში ინფინიტივისა და მიცემითი ბრუნვის აფიქსები წარმოშობით ერთი და იგი-ვეა. ლ. ჭირკოვის ცნობით, მაგალითად, ხუნძურში ინფინიტივის საწარმოე-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ინფინიტივის დალექტური ვარიაციები ხუნძურში (ავარულში): ენიმკის მოამბე, I, გვ. 89.

<sup>2</sup> ვლ. ფანჩი გირე, „ინფინიტივის“ ფორმაზა წარმოება და მნიშვნელობა უდურ ენაში: საქართველოს სსრ მეცნ. კად. მოამბე, 1942, III, № 4, გვ. 399.

<sup>3</sup> Л. И. Жирков, Табасаранский язык, 1948, გვ. 110.

<sup>4</sup> М. С. Сайдов, Развернутые члены предложения в аварском языке: Языки Дагестана, вып. II, 1954, გვ. 111—114.

ბელი -ჰე და მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ჰე ერთი და იგივეა<sup>1</sup>. ინფინიტი-ვის -ჰე ისტორიულად -დე-საგან მომდინარეობს (-დე → -ძე → -ჰე), რასაც მხარს უჭერს ხუნძურთან აღლო მდგომი ანდიური ენა, სადაც ინფინიტივის ძირითად საწარმოებლად -დუ გამოიდის<sup>2</sup>.

ინფინიტივის -ის, -ას, -ძს საწარმოებლები გენეტურად მიცემითის -ს ნიშანს უკავშირდება დარგულშიც. შ. გაფრინდაშვილის ცნობით, ამ ენის ისლიალექტები, რომელთაც მიცემითში -ჰ ფორმანტი აქვთ, ინფინიტივსაც -ჰ-ს საშუალებით აწარმოებენ, ხოლო სანიანი ინფინიტივი ისეთ კილოებს ახასიათებს, რომლებიც მიცემითი ბრუნვის ფორმებში -ს ფორმანტს იყენებენ.

ხუნძურთას და დარგულის წუდახარულ დიალექტში ინფინიტივის საწარმოებლებს ფონეტიკური ცვლის ის საფეხურები გაუვლია, რაც ინცემითი ბრუნვის ნიშანს: -დე → -ძე → -ჰე ( $\rightarrow$  -ჰ დარგულში). -ჰ-ს ცვლის შემდგომ საფეხურად მიიჩნევა -ს, რომელიც სალიტერატურო დარგულში გვხვდება ინფინიტივისა და მიცემითის ნიშანად.

ინფინიტივისა და მიცემითის საწარმოებელი -ნ საერთო ჩანს ლაკურშიც ყუყ-ი-ნ = ჩევათს (ინფინიტივი), რლ -ი - ნ = ძროხას (მიცემითი ბრუნვა).

ასეთივე ვითარება დასტურდება აგრეთვე ანდიურ-დიდოურ ენებში.

საინტერესო ფაქტია, რომ დაღესტნის ენებში ერთი და იგივე აფიქსი, რომელიც მიცემითსა და ინფინიტივში დასტურდება, გამოიყენება აგრეთვე მიმართულებითი ბრუნვის საწარმოებლად. მაგალითად, ლაკურში, როგორც ი. ცერცაძეს აქვს აღნიშნული, ინფინიტივისა და მიცემითის საწარმოებელი -ნ სუფიქსი ამავე დროს მიმართულებითი ბრუნვის ნიშანია.

ისტორიულად არც ქართულისათვის იყო უცხო თავისებური კატეგორია „ინფინიტივისა“. V—X საუკუნეების ნათარგმნი და ორიგინალური ძეგლების მიხედვით ძეველ ქართულში აშკარად ჩანცესი თვისებური „ინფინიტივის“ ჩამოყალიბებისა. ესაა ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის ხმარება, რომელიც ანალოგიას პოულობს სხვა ენათა ინფინიტივთან. თავისებურიაო რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ასეთი მასდარი წარმოების თვალსაზრისით ნაზმნარი სახელია, მაგრამ ჩვეულებრივი მასდარისაგან განსხვავებით იგი ხასიათდება ინფინიტივის შესაფერისი სინტაქსური ფუნქციებით. სხვა ენების ინფინიტივის მსგავსად ასეთი მასდარი სათანადო კონსტრუქციაში ყოველთვის „ირიბ ბრუნვაში“ (ვითარებითში) გვევლინება. მას, სახელობითში დასმული მასდარისაგან განსხვავებით, მეტი ზმნური ძალა გააჩნდა. მოქმედებითი გვარის ზშნის ფუძისაგან ნაწარმოები ასეთი მასდარი პირდაპირ დამატებას ისევე იგუებდა ბრუნვებში (სახელობითსა და მიცემითში), როგორც სათანადო ზმნის ფორმა.

ამგვარად, ვითარებითში ლასმულ მასდარი ინფინიტივის ფუნქციებს სინტაქსური თვალსაზრისით ავლენდა, მორთოლოვიურად კი, უფრო სწორად წარმოების მიხედვით, არსებითად განსხვავდებოდა სხვა ენათა ინფინიტივისაგან. იგი საწყის ფორმას კი არ წარმოადგენდა ზშნის სისტემისათვის (როგორც ეს ინფინიტივის მქონე კლასიკური ენებისთვისაა დაშახასიათებელი).

<sup>1</sup> ლ. ი. ჯირკოვ, გრამატიკა ქართველის ენაზე, 1926, გვ. 20, შემ.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში (ავარულში) — ენიმების მთამბე, I, გვ. 94.

არამედ თვითონ იყო ზმნისაგან წარმოქმნილი ფორმა (იწარმოებოდა ზმნის აწმუნოს ფუძისაგან).

ზემოაღნიშვნულის გარდა, ვთთარებითში დასმულ მასდარს ინფინიტივთან საერთო სხვა სინტაქსური ფუნქციებიც მოეპოვება. ასეთი მასდარის მქონე პარტივი წინადადება ჩვეულებრივ გადმოსცემს იმ შინაარსს, რაც სხვა შემ-ახვევაში რთული ქვეწყობილი წინადადებით გამოიჩატება. იგი რთული წი-ნადადების ფუნქციას ასრულებს, მისი მონაცვლეა.

ამ შერივ საინტერესო მასალას იძლევა ოთხთავის რედაქციების შედარება. ირკვევა, რომ თუ ერთ რედაქციაში ვითარებითში დასმული მასდარით შედგენილი მარტივი წინადადება გვაქვს, მეორეში, სათანადო ადგილას, რთული ქვეწყობილი წინადადებაა ან პირიქით, ე. ი. ვითარებითში დასმულ შეასღარს დამოკიდებულ წინადადებაში ზმნის ფორმა შეესატყვისება; მაგალითები:

და ამცნო მათ ფრიად, რადთა არავინ აგრძენეს, და უბრძანა მათ ცემად მისა პური (შრ 5,43 C).

Առաջին պատուէր տայլը նացա յոյժ, զի մի՛ ոք դիտասցէ դայն. և  
առաջ տալ նմա ուտել

δῆρος. καὶ διεστείλατο αὐτοῖς πολλὰ, ἵνα μηδεὶς γνῷ τοῦτο· καὶ εἶπε  
δοθῆναι αὐτῇ φαγεῖν.

შლრ. და ამცუნებლა მათ ფრიად, რაჟთა არავინ აგრძნეს ესე, და უბრძანა მათ, რაჟთა მისცენ მას ჭამალი (იქვე DE)

და ბიიყვანეს იგი ჯუარ-ცუმალ (მთ 27,31 C)

სომხ. և თავრან զնա՝ ի լազ հանել

δηρδε. καὶ ἀπῆγαν αὐτὸν εἰς τὸ σταυρῶσαν

შდრ. და წარიყვანეს იგი, რამთა ჯუარს-აკონ (იქნება DE)

აღიყვანა სულისა მისგან უდაბნოდ გამოცდად ეშმაკისაგან (მთ 4,1C)

სომხეთი, უასთანია ქვეყნის

δερδεν. πειρασθῆναι ὅποι τοῦ διαβόλου

შდრ. აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ, რა ეთ ა გამოიცა დოს. ეშმა-  
ჭისაგან (იქვე DE)

და იწყეს ველრებად მისა წარსლვად საზღვრით მათით (მრ 5,17 C)

სომხ. Եւ սկսան աղաչել դնա գնա /

δερήδη. καὶ ἥρξαντο παρακαλεῖν αὐτὸν ἀπελθεῖν

შდრ. და ეველრებოდეს მას, რაც თა წარვიდეს საზღვართაგან მათ-თა (იქვე DE) და სხვ.

ზემომყვანილი შესატყვისი აღგილების მიხედვით ჩანს, რომ აღმის თოხთავი და სომხური და ბერძნული ტექსტი მსგავს კონსტრუქციას წარმოვადგენს: სამივეგან მარტივი წინადადება გვაქვს (აღმის ტექსტში მასდარული, სომხურსა და ბერძნულში ინფინიტიური კონსტრუქცია), ჯრუჟ-პარხლის თოხთავი კი სათანადო კონტექსტში ზრდის შემცველ რთულ წინადადებას გიმართავს.

ვითარებითში დასმული მასდარის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მარტივ წინადაღებაში იგი დამატიბათ კოლონიზაცია:

უბრძანებდა დამარხვით აღვილსა მას (შუშ. XVIII, 5).

სუცეს, ვერ ძალ-მიკ გიმოდს ხილვათ (გმვ. VII. 23).

ოწყო გინებად და გმობად ლმრთისა სასტიკად (იმპ. VIII. 10)

მათ არღარა იყადრეს ცილობად (ხანძთ. გ-97)

იწყეს მწუხარებით ლალადებად (ცხ. საბა ასურ. 17,7)

და იწყეს მისა ვეღრებად (იქვე, 13,37)

არა მიტევა მე დანთქმად (იქვე, 17,36)

უბრძანე მთასა მას ცვალებად (სას. პოეზ. 73)

ნუუკუ არა ინებოს... მოსლვად (დაბ. 24,39)

რამეთუ ვერ უძლებდეს დათ მენად (გამოსლ. 12,39)

ვერ ეძლო მათ ცილობად (საქმე მოციქ. ც 4,14)

რა შეოვძლოთ წინა დადგომად ყლსა ძლსა მტერისასა (ბოლნ. 5)

იწყო გმობად წმიდისა მის (ზარზ. 170,19)

იწყეს მიერითგან ქართველთა მოსლვად და განმრავლებად  
(ცხ. იოგ. და ეფთ. 15,1)

ვითარცა იწყეს სერობად (ანტიოქ. 77,17) და ა. შ.

ვითარებითში დასმული მასდარი დამატებად მოუდით ისეთ ზმნებს, რომლებიც უმთავრესად გადმოსცემენ ბრძანებას, დაწყებას, თხოვნას, მონდომებას, სურვილს, შესაძლებლობას და მისთ. ისეთი მასდარი ჩვეულებრივია ამგვარი ზმნების შემდეგ: უბრძანა, მიჯმს, არა უტევა, ეგების, აცადეთ, არავის უფლო, ნუ აყენებთ, ვერ ჟელ-ეწიფების (ვერ ჟელ-გეწიფების, ვერ ჟელ-ეწიფა), ჯერ-არს (არა ჯერ-არს, არა ჯერ-იყო), არა ინებეს, იწყო (იწყოს, იწყეს, იწყონ), უმჯობეს არს, ვერ ღირს ვარ (არა ღირს ვარ), მინდეს (უნდეს), შემძლებელ არს (შემძლებელ ვარ, შემძლებელ ხართ, შემძლებელ არიან), შესაძლებელ არს, ვერ ძალ-უც (ვერ ძალ-გიც, ძალ-მიც), ვერ შეუძლეთ (ვერ ეძლოს, ვერლარა ეძლო), შეუძლოს და სხვ.

ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როცა ამავე ტიპის ზმნებთან სათანადო მასდარი სახელობითშია; მაგ.:

უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან შალებად მისი (ხანძთ. კე-1)

უბრძანა და გებად პურისად (დაბ. 43,41)

უბრძანა წარსლვად მის თწა (ცხ. საბა ასურ. 9,34)

სამამოს მიიყვანნის და უბრძანის განრთხმად (ცხ. იოგ. და ეფთ. 68,6)

მაშინ უბრძანა... შეკრვად მისი ბორეილითა (აბო, 70,1)

აწ ბრძანე შეკურობად მისი (იქვე, 68,36)

ბრძანა განყვანებად კაცთად მათ (საქმე მოციქ. ც 5,34)

უბრძანა შეკრვად მისი და ცემად (შუშ. VIII, 20)

ინებეს ერთად პურისა ჭამად (იქვე, VI, 5)

ალუთქუა მას ჭამად მის გზნ (ცხ. საბა ასურ. 12,27)

ჟელყონ აღშენებად მონასტრისად (ზარზ. 151,30)

იწყო მისა კითხვად (საქმე მოციქ. ც 8,30)

გულს ედგა დათმენად (ხანძთ. იდ 8)

ვერ ჟელ-ეწიფების ...პურისა ჭამად (დაბ. 43,32) და სხვ.

ვითარებითსა და სახელობითში დასმული მასდარი სათანადო კონტექსტში ხშირად პარალელურად გვხვდება ოთხთავის რედაქციების მიხედვით:

## DE

მასდარი ვითარებითში

უბრძანა და გებად მათა (მრ 8,7)

მასდარი სახელობითში

ბრძანა და გებად (იქვე)

უქუეთუ... იცით მისაცემელი კეთი-

უქუეთუ... იცით ნიჭისა კეთილისა

ლი მიცემად შვილთა თქუენთა (მთ მიცემად (იქვე)

7,11)

აწ ბრძანე დაკრძალვად საჭილავი იგი (იქვე, 27,64)

იზრახა ფარულად განტევებად იგი (მთ 1,19)

ჟელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად (მთ 9,15)

არა ჩემი არს მიცემად (მთ 20, 23)

აიძულე შემოსლვად (ლკ 14,23)

უმჯობეს არს შენდა უკელოება შესლვად ცხორებასა (მრ 9,43)

რაოდენ ძნელ არს... შესლვად სასუფეველსა (მრ 10,24).

ბრძანე აწ დაკრძალვად საფლავისად მის (იქვე)

იზრახა ფარულად განტევებად მისი (იქვე)

ნუთუ ეგების შეილთა საქორწინისათა გლოვად (იქვე)

არა ჩემი არს მიცემად (იქვე)

აიძულე შემოსლვად (იქვე)

უმჯობეს არს შენდა ერთ-კელისა. ცხორებასა შესლვად (იქვე)

რავდენ ძნელ არს... სასუფეველსა. შესლვად (იქვე).

წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ DE რედაქციაში თუ ვითარებითში დასწული მასდარი გვაქვს, C-ში იგი სახელობითში გვევლინება. იშვიათად დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა, პირიქით, DE რედაქციაში ხმარებულ სახელობითში დასმულ მასდარს C-ში ვითარებითი შეესატყვრება; მაგ.:

### DE

მასდარი სახელობითში

არა კეთილ არს მოღებად პურისად (მრ 7,27)

თუ გნებავს ცხორებასა შესლვად (მთ 19,17)

ძალ-გიც განწმედად ჩემი (მთ 8,2)

ვერვის ჟელ-ეწიფებოდა წარსლვად მიერ გზით (მთ 8,28).

ასეთი მონაცელეობა გვხვდება ძველი ქართულის ისეთ ძეგლშიც, როგორიცაა „საქმე მოციქულთა“; მაგ.:

### C

მასდარი ვითარებითში

არა კეთილ არს მოღებად პური (იქვე)

უკუთუ გნებავს ცხორებასა შესლვად (იქვე)

შემძლებელ ხართ განწმედად ჩემდა (იქვე)

ვერვინ შემძლებელ იყო წარსლვად მიერ გზით (იქვე).

### T

რომლითამცა ჯერ-იყო ცხორებად ჩუენდა (იქვე)

ჯერ-არს შეწყნარებად (იქვე)

ვერ შესაძლებელ იყო დაყენებად მისი მის მიერ (იქვე).

არა თქუენი არს ცნობად (იქვე).

რომლითამცა ჯერ-იყო ცხორებად ჩუენდა (4,12).

ჯერ-არს შეწყნარებად (3,21)

ვერ შესაძლებელ იყო დაყენებად მისი მის მიერ (2,24)

არა თქუენი არს ცნობად (1,7).

ძველ ქართულში დასტურდება იშვიათი შემთხვევები, როცა ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად მასდარი ნათესაობით ბრუნვაშია ემფატიკური. ასგარეშე. ამას ადგილი აქვს უნდეს და ნებავს ზმნებთან; მაგ.:

მას არა უნდა ნუგე შინის-ცემის (დაბ. 37,35)

და რომელსა უნდეს სესხების შენგან, ნუ გარე-მიიქცევ პირსა (DE მთ 5,42); შდრ. და რომელსა უნდეს ვასხებად შენგან, ნუ გარე-მიიქცევ პირსა (იქვე C)

ვისაცა უნდეს ძესა გამოცხადების, გამოცხადოს (C ლკ 10, 22); შდრ. ვისი უნდეს ძესა გამოცხადებად, გამოცხადოს (იქვე DE)

ნუკუე თქუნცა გნებავს წარსლვის? (DE იოგ 6,67); შდრ. ნუკუე თქუნცა გნებავს წარსლვად? (იქვე C)

და უკუეთუ გნებავს შეწყნარების (D მთ 11,14); შდრ. და თუ გნებავს შეწყნარებად (იქვე CE).

ამ კონტექსტში გასახსენებელია ჭანურის ვითარება. აქ მასდარის ნათე-საობითი ბრუნვის ფორმა ო-უ-შ საწარმოებლებით გადმოსცემს. მყოფადის მიმღების ერთ-ერთ ტიპის; მაგ.: ო-ჭკორ-უ-ში „საჭრელი“ (ზედმიწევნით „ჭრისა“), ო-გუბ-უ-ში „მოსახარში“ (ზედმიწევნით „ხარშვისა“, „გბობისა“)<sup>1</sup>.

გვხვდება აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე კონტექსტში ვითარებითში დასმულ მასდარს ენაცვლება მიცემითში დასმული მას-დარი; მაგ.: იგინი ზრახვიდეს მოკლვად მისა (საჭმე მოციქ. ტ 9,29); შდრ. იგინი განიზრახვიდეს მოკლვასა მისსა (იქვე 1).

ეძიებს... გარემოცევად სარწმუნოებისაგან (იქვე ტ 13,8); შდრ. ეძიებდა გარდა აქცევასა... სარწმუნოებისაგან (იქვე 1).

ასეთი მონაცელეობა კანონზომიერი ჩანს, რადგან ვითარებითისა და მი-ცემითი ბრუნვის პარალელური გამოყენება სახელებშიც დასტურდება. ამ ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციების მსგავსება და მათი მონაცელეობაც საზო-გადოდ გამართლებულია იმ მხრივ, რომ გენეტურად ისინი ერთმანეთს უკავ-შირდებიან ისევე, როგორც მოქმედებითი—ნათესაობითს<sup>2</sup>.

ვითარებითში დასმული მასდარი სემანტიკურადაც მსგავსია ინფინიტი-ვისა. ცნობილია, რომ ინდოევროპულ ენებში გარკვეული ტიპის ინფინიტივი (გერმანულში, მაგალითად, კუ პრევერბანი ინფინიტივი) მიზნის გარემოება-ზე მიუთითებს, გამოხატავს მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღე-ბის შინაარსს. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ძველ ქართულში. ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი აქ სათანადო შემთხვევებში მიზნის გარემოებას გაღმოსცემს და იხმარება ამავე ბრუნვაში დასმული მყოფადის მიმღების ფუნქციით; მაგ.:

დასხდა ერი იგი ჭამად და სოჭმად (ბოლნ. 85)

რაჟამს მოვიდეს ცხვევარი სუმად (დაბ. 30,38)

მიიწინეს კართა შემუსრვად (იქვე, 19,9)

წარვიდა... მწირობად (რუთ. 1,1)

განვინმევიდეს ერისა მისგანი შეკრებად და არა პოვეს (გამოსლ. 16,27)

მოვიდა იგი... მადლისა გარდაქდად (შუშ. XI, 15)

მოვიდიან შეიღნი იგი მისნი ხილვად დედისა თვალისა (იქვე, XII, 16)

და შევიდეს დადგრომად ერთსა სოფელსა (ცხ. საბა ასურ. 16,23).

<sup>1</sup> არნ. ჩი ქობავა, მასდარისა და მიმღების ისტორიული ურთხერთობისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, გვ. 39.

<sup>2</sup> ვ. თ აფ უ რია, ბრუნების სისტემისათვის სეანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1944, V, № 3, გვ. 340; არნ. ჩი ქობავა, გრამატიკული ქლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1946, VII, № 1—2, გვ. 66.

4. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII

წიგნი არა მიწერად გეც (ხანძთ. კ-38)

გეძიებენ შენ შეპყრობად, ტანჯვად და გუემად (აბო, 69,6)  
მზა ყავ თავი შენი სლვად გზათა (ზარჩ. 152,21)

აღვისწრაფედი ხილვად, თუ რად-ი იქმნა (ცხ. იოვ. და ეფთ. 45,7)

შისცნეს იგინი დამარხვად ხვალისა (საქმე მოციქ. 4,3)

შემოკერებს... დღესასწორულობად და გალობად (სას. პოეზ. მე).

არის შემთხვევები, როცა ასეთ კონტექსტში სათანადო მასდარს ძველ  
ქართულშივე ვითარებითში დასმული მყოფადის მიმღეობა შენაცვლება  
ხოლმე; მაგ.:

მისცა ყოველივე საჭმარი საშუალებელად (ხანძთ. კე-2)

აღაშენე მონასტერი განსასუენებელად (იქვე, კე-12)

მიეც ამას სახელი... სადიდებელად შენდა (იქვე, კე-14)

ხოლო ძმანი მისნი... დასწუუედდეს ზროხასა და ცხოვარსა განსას-  
ტუმრებელად ერისა (ანტიოქ. 62,39)

იქმნა ადგილი იგი ნუგეშინის საცემელად კუთა (ცხ. საბა ასურ. 10,29)

ბჭეთა ზედა დასაბრკოლებელად დაუდვან (ეს. 29,21)

აღაშენეს... განსასუენებელად სულთა მრავალთა (ცხ. იოვ. და  
ეფთ. 4,2)

ოქროო და ვერცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაჭყმედელად  
თავისა შენისა (აბო, 69, 35)

თაყუანის საცემელად კილიკი ერთი მცირე ქუე წარუგდე-  
ბიედ (შუშ. XIV, 20)

და იდვა იგი წერ აკცხო თესლთა მ-თ სამღერელად (ბოლნ. 85)

წარაგე საშენებელად მონასტრისა (ზარჩ. 178,12)

ვითარ-მე კელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა ქორცი თვისი საჭმე-  
ლად? (იოვ 6,52 DE; შდრ. ვითარ შემძლებელ არს ესე მოცემად ჩუენდა  
ქორცი იგი თვისი ჭამად? იქვე C)

სასჯელად მოვედ სოფლისა ამის (იოვ. 9,39 C; შდრ. შჯად სო-  
ფლისა ამის მოსრულ ვარ, იქვე DE).

მიზნის გარეონებად ვითარებითში დასმული მასდარისა და მყოფადის  
მიმღეობის ნაცვლად შედარებით იშვიათად გვხვდება აგრეთვე -თკს თანდე-  
ბულიანი მასდარი; მაგ.:

ასწავებნ მათ... ყოველთავე წესთა კრებულისათა მჯურვალედ აღსრუ-  
ლების ათკს (ცხ. იოვ. და ეფთ. 77,3)

დაღათუ უძნდა საქმე ესე იოვანეს, გარნა ქართველთა განსუენები-  
სათკს და უფროხს ხოლო თორნიკის აშენებისათკს თავს-იდვა (ამისი  
ჰელ-ყო)ფაა (იქვე, 23,2)

მჯურვალე სურვილი აღძრულ არს ჩემ შორის თაყუანის ცემისათკს  
წმიდათა მათ ადგილთასა (ანტიოქ. 53,32)

მოციქულ იქმნეს იგინი ტიმოთეს წარწყმედისათკს (იქვე, 55,14)

აღშენებისათკს კარავისა (ზარჩ. 168, 2).

ქველ სომხურში მიზნის გარემოება ჩვეულებრივ გადმოცემულია ინფი-  
ნიტივით, ანუ ზმინის განუსაზღვრელი ფორმით; მაგ.:

წარავლინნა იგინი ქადაგებად... და განკურნებად უძლურთა (ლპ  
9,2) — ხლ აռაჭხაყ ყნისა ჭარუყნელ... ხ მდგრელ გასამადხრო

ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად (მთ 25,10) — **ჭავების ჭავები**  
წარავლინა მონანი... მოწოდებად ჩინებულთა მათ (იქვე, 22,3) —

### ჭავების ჭავებისათვის

არა მოვედ დაჯსნად, პრამედ ალსრულებად (იქვე, 5,17) — **ჭავების ჭავებისათვის**

განვიდა... დადგინებად მუშაკთა (იქვე, 20,1) — **ჭავების ჭავებისათვის**

მისცენ იგი წარმართთა კიცხევად და ტანჯვად და ჯუარ-ცუ-  
შად (იქვე, 20,19) — **მათნესების ჭავებისათვის** აკადემიური სამართლის  
ჭავებისათვის

არარაა აქუნდა გარდაჯდად (იქვე, 18,25C) — **ჭავების ჭავებისათვის**.

მიზნის გარემოება ხშირად ინფინიტივითაა გადმოცემული აგრეთვე  
ბერძნულში.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მოქმედებითი გვარის ზმნისაგან ნაწარ-  
მოებ ვითარებითში დასმულ მასდართან პირდაპირი დამატება სახელობით-  
შია; მაგ.:

მაშინ უბრძანა დადებად ჯაჭვა ქედსა მისსა (შუშ. VIII, 27)

უკუთუ გნებავს ცნობად სიტყბოება მისი (აბო, 73,23)

არა ინებეს... სმენად კმაც ძმათა თვისთა მსაჯ. 20,13)

იშვეს შენებად მცირე ტალავარი და ადგილი რამე მონა-  
ტრისაა (ზარზ. 153,8)

სადა ჰენებავს ალშენებად ეკლესია ესე (იქვე, 165,34)

ჯერ-იყო ალსრულებად წერილი (საქმე მოციქ. 1,16)

ეგულებოდა ჰეროდეს გამოყვანებად იგი და მიცემად ჰელთა  
შათთა (იქვე, 12, 6)

რაა მწარე არს თქოვმად სიტყოვა ესე (ბოლნ. 71)

დალაცათუ ენება დაფარვად მის გრ სასწაული იგი (ცხ. საბა-  
ასურ. 9,3)

მიგცემ შენ დაფლვად მკუდარი შენი (დაბ. 23,11)

წარვიდა ... მოყვანებად თავისა თვისისა ცოლი (იქვე, 28,6)

ვითარცა-იგი გეტყოდა თქუენ და გარებად თქუენდა მსახურება ესე (გამოსლ. 12,25)

უბრძანე პყრობად ნაკუერცხალი (სას. პოეზ. უდ)

არა კეთილ არს მოლებად პური შვილთაგან (მთ 15,26)

ბრძანა მიცემად იგი მას (იქვე, 14,9)

ძალ-მიც დარღუვად ტაძარი ესე (იქვე, 26,61) და სხვ.

შედარებით იშვიათად ასეთ მასდარს პირდაპირი დამატება მიცემით.  
ბრუნვაშიც შეეწყობა; მაგ.:

მოძიებად ვალს ჰეროდე და წარწყმედად ყრმასა მაგას (მთ 2,13)

მოვიდა... სმენად სიბრძნესა სოლომონისსა (იქვე, 12,42)

მოგუავლინა ჩუენ... შემუსრვად მაგას (დაბ. 19,13)

ვერ შემძლებელ იყო ნებისა-ებრ მწყსად სამწყსოსა თვისისა (ცხ.-  
საბა ასურ. 14,29)

ელოდა მოლებად რასმე მათგან (საქმე მოციქ. 3,5)

მიერითგან იწყეს ძიებად ვდგილსა, სადა უშენონ... ეკლესიაშ ზარზ. 166,1).

რაც სათვა ჩეუნ ვერ შეუძლეთ განკურნებად მას? (მთ 17,19) ყოველი იგი ქალაქი შეკრბა. სმენად სიტყუასა მას (საქმე მო-  
ციქ. 13,44).

— աղջոկուս մօխքացու զուտարեցին ժամանակ մասնակտ პորդապորդ դամա-  
բարձր հայուղածութ մուսաց եռալմա, մաշրամ օմքուատագ օց Շեփական մասնակտ,  
վուն սպառաց հազարա սահելունքութ, օւս մուրեմութու.

სახელობითში: დაავიწყდა პური მოლებალ (მთ 16,5)

ଦାଲ-ଗୀର୍ଜା ସାମଗ୍ରୀରେ ଶ୍ରେଷ୍ଠମାତ୍ର (ମୀ 10,38)

უკუნეთო ვისმე უნდეს თავი თვისი განრინებად (მთ. 16,25)

არა ჯერ არს წირა ამრთ დღეთა შა... არცა ქორწილი ყოფა დ და  
არცა ღვევე შობართად (ზოლნ. 3)

არა ჯერ არს... არცა დღე შებადთან აღსრულებად (იქვე, 4<sup>o</sup>)

უკუკოტუ ვინმე უძლის ქვეშა ქულყანისა და აორაცხვა (დაბ. 13,16).-

**მიცემითში:** უკუმოს შემძლებელ ხარ მკ  
პირველად დედად შენი აღადგინე (შუშ. XIII, 7)

ଯା ଏହି ମୀ ମାଗିଦିଲାଗିଥିବ ଅମାର କୁଳତାଙ୍କ? (ପିତ୍ତା, V, 10)

კერარას იყალრებდეს უწესოსა საქმესა ქმნად (ცხ. იოვ. და ეფთ-  
48.13)

რომელი იგი შემძლებელ არიან ყოველსავე საჯმარსა ჩუქნსა ფხუვებით აოსტოლებად (ანტიოქ. 52,13).

ვითარებითში დასმულ მასღარს, როგორც ეს ზევითაც შეენიშნეთ, სომხურსა და ბერძნულში ინფინიტივი შეესატყვისება, რომელთანაც პირდაპირი დამატება ჩვეულებრივ ბრალდებით ბრუნვაშია და ეს უკანასკნელი ოთქმის ყოველთვის მოსდევეს ხლომე ინფინიტივს:

Ցամուն շնչառան թուզեմալ ջղամո օգո ծովո (թո 27,58) — *յայնժամանակամաս* հրամայեց տալ դմարմին

მაშინ იხილო აღმოლებად წუელი თუალისაგან (იქვე, 7,5) — *ჩ ასცა*  
რა ეხსეგი ა ან ხელ ყაზე უკავანს

մալ-թօվ քահըսցած Քածարո յեց (ոյցը, 26,61) — կարող եմ քա-  
կել դատաճարն

Հյուր-օպու զաքարեալ Շենքա զեցելո օգո (օյջը՝ 25,27) — ոլորս  
էր քեզ արկանել զարծաթդիմ իմ զա նեց:

საინტერესო ჩანს ძველ ქართულში ისეთი შემთხვევები, როცა ზოგჯერ ვითარებითში დასმული მასდარის შემდეგ მიცემითიანი დამატება თითქმს. ანგარიშს უწევს არა მასდარს, არამედ ზრნის ფორმას; მაგ.: რამეთუ ეძინებდეს ჰურიანი მოკლებად შას (იოვ 7,1 DE; შდრ. ეძინებდეს შას ჰურიანი იგი მოკლებად: იქვე C).

ხე ძიებდა ხილვად ინს (ხანძეტი ტექსტი: 383)

ვერ იყალოს ებლა ალთქუმად სიტყუასა (ბოლნ. 13).

ჩანს, ზმნასთან შედარებით, ზოგჯერ სახელთან უფრო ახლოს წყოფა ვითარებითში დასმულ მასდარს ყოველთვის არ შესწევს უნარი. ზმნური ძალა გამოიჩინოს.

ამგვარად, მოქმედებითი გვარის ზმინისაგან ნაწარმოებ ვითარებითში-  
დასმულ მასღართან პირდაპირი დამატება სახელობითშიცაა და მიკვემითშიც,

რომელთა ხმარებაში რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნება. რათ უნდა იყოს გამოწვეული ეს გარემოება? როგორც ცნობილია, მასდარი საერთოდ არ გამოხატავს ზმის დროულ მნიშვნელობას. იგი აღნიშნავს, მოქმედების პროცესს დროის ზმნური კატეგორიის გარეშე. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ ვითარებითში დასმული მასდარი ამ შემთხვევაში პირდაპირი დამატების მართვის მხრივ ამჟღავნებდეს იმ სინტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც დამახასიათებელია მოქმედებითი გვარის ზმისათვის პირველსა და მეორე სერიაში.

ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდართან პირდაპირი დამატების ხმარების, მხრივ განსხვავებულ მასალას იძლევა ოთხთავის რედაქციები. DE ტექსტში თუ, მაგალითად, ასეთ მასდართან პირდაპირი დამატება გვაქვს, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას, შესატყვის ადგილებში C რედაქციაში პირდაპირი ობიექტი უბრალო დამატებად გვევლინება და იგი ნანათესაობითარ ვითარებითშია; მაგ:

ესრე ჯერ-არს ჩემდა ალსრულებად ყოველი სიმართლე (DE შთ 3,15)—ესრე შეუნდა ალსრულებად ყოვლისა სიმართლისა (იქვე C).

დაადგინა... მსახურთა თვისთა ზედა მიცემად საზრდევლი მათი (DE იქვე, 24,45)—დაადგინა... ეზოსა თვისთა ზედა მიცემად როჭიკისა (იქვე C).

ასწავებდით მათ და მარხვად ყოველი (DE იქვე, 28,20)—ასწავებდით მათ და მარხვად ყოვლისა (იქვე C).

არცალა ჯაჭუებითა ვის კელ-ეწიფა შებორკეილებად იგი (DE მრ. 5,3)—ვერცა ჯაჭკთა ვერლარავინ უძლის შეკრვად მისა (იქვე C) და ჟენა.

ეგვევ კანონზომიერება დამახასიათებელია ძველი ქართული ენის სხვა მეგლებისთვისაც; მაგ:

ვერ უძლო ალებად პურისა თვისისა (ანტიოქ. 90,22)

წარემართა მოღებად პურისა და ნეშტისა საქმისა (იქვე, 76,7).

შევიდა ოდესმე სახლსა... ჭამად პოკრისა (ბოლნ. 9)

რათა მუნ იწყონ შენებად ეკლესიისა (ზარზ. 166,18).

რომელნი მოსრულ არიან აღგილთა ამათ ალ შენებად მონასტრისა (იქვე, 162,9)

მოვიდა აპრონიცა... ჭამად პურისა (გამოსლ. 18,12)

მოვლენ ვსებად წყლისა (დაბ. 24,13)

და განყო კელი მოღებად მახვლისა და დაკლვად ძისა თვისისა (იქვე, 22,10)

მოსრულ ვართ... სმენად ყოვლისა ბრძანებულისა (საქმე მოკიქ. 10,33).

„ალშენებად მონასტრისა“, „ჭამად პურისა“, „მოღებად მახვლისა“ და მხევა მსგავს შესიტყვებაში მონასტრისა, პურისა, მახვლისა იქნებ ნათესაობითის ფორმებია და არა ნანათესაობითარი ვითარებითი?

ცნობილია, რომ ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი, თუ მოსდევს საზღვრულს, მართულ-შეთანხმებულია. იგი მართულია ნათესაობითში და შეთანხმებულია საზღვრულთან ბრუნვაში.

ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპობრივი ბრუნება ასეთია:

- სახ. ქმა-დ სიხარულისა-დ
- ნათ. ქმ-ისა სიხარულისა-ჩსა
- || ქმ-ისა სიხარულისა
- მოქმ. ქმ-ითა სიხარულისა-ჭთა
- ვით. გმა-დ სიხარულისა
- || ქმა-დ სიხარულისა-დ (იშვიათად)

შესიტყვებაში „ქმად სიხარულისა“ სიხარულისა ფორმით ჰგავს ნათესა-ობით ბრუნეას, მაგრამ ნამდვილად ნანათესაობითარი ვითარებითია<sup>1</sup>.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს იმ შემთხვევაშიც, როცა უბრალო დამატება მოსდევს ვითარებითში დასმულ მასდარს. ნათესაობითში დასმულა მსაზღვრელი ეთანხმება ვითარებითში დასმულ საზღვრულს ბრუნეაში და ვიღებთ საზღვრულ-მსაზღვრელის ისეთ ფორმებს, როგორიცაა „ჭამად პურისა“ „მოლებად მახვლისა“ და სხვ.

აქ რომ პურისა, მახვლისა ნანათესაობითარი ვითარებითია, ამას ამტკიცებს მსაზღვრელად გამოყენებული ვითარებითში დასმული ნაცვალსახელი ან საკუთარი სახელი; მაგ.:

მნებავს ქებად შენდა (აბო, 77,18)

მე შენ თანა ვარ დაცვად შენდა (დაბ. 28,15)

ულირს ვარ შეწყნარებად შენდა (სას. პოეზ. მე)

ალალო პირი მისი შოანთქმად ჩემდა (ცხ. საბა-ასურ. 9,11)

რამეთუ შემომგუარა მე მონახ... კიცხევად ჩემდა (დაბ. 39,14)

იგინი ზრახვიდეს მოკლვად მისა (საქმე მოციქ. 9,29)

ხოლო იგი გამოვიდა... მოძიებად სავლცსა (იქვე, 11,25) და სხვ-ამას ადასტურებს ისიც, რომ როცა მსაზღვრელი ვათარებითში დასმულ მასდარს წინ უსწრებს, იგი მართულია და, როგორც წესი, ყოველთვის ნათესაობით ბრუნეაში დგას; მაგ.:

იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შუნებად (ხანძო. ი-43)

ლირს იქმნა წყაროდესა აღმოცენებად უდინსა მას ზა (ცხ. საბა-ასურ. 10,37)

მოვიდა იგი... მადლისა გარდაქდა (შუშ. XI, 15)

ვერ კელ-მე-წიფების მე თავისა ჩემისა შვილებად (რუთ. 4,6)

რომლისა-იგი სახელი ოდენ ქმა არს სათნოებათა მისთა სიმაღლისა გამოჩინებად (ცხ. იოვ. და ეფთ. 5,1) და სხვ.

პრეპოზიციული ხმარება ასეთი მსაზღვრელისა შედარებით გვიანდელი მოვლენაა.

ვითარებითში დასმულ მასდართან ირიბი დამატება ჩვეულებრივ მიცემით ბრუნეაშია; მაგ.:

ალუთქუა მიცემად მას იგი (საქმე მოციქ. 7,5)

რამეთუ ლირს მყავ მე მიმთხუებებითი ბრუნეის მიშვერულობისა, წარმოებისა

ვერ შემძლებელ გართ ჩუენ მიწდომად სიმდიდრესა მას (იქვე, 60,9).

<sup>1</sup> ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნეის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურშია: ენიმკის მოამბე, I, გვ. 181. არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნეის მიშვერულობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, I, გვ. 17.

ჩუქუნტა ლირს მყენეს მზესა ამას თანა ხილვად და თაყუანის ცემად  
წმიდასა ხატსა მისესა (ზარზ. 162,34)

და მაცნო ჩუენ ქადაგებად ერსა მას და წამებად (საქმე მოციქ-  
10,42)

ბრძანა მიცემად იგი მას (მთ 14,9) და სხვ.

ოთხთავის რედაქციების შედარება იმის ჩევნებას იძლევა, რომ ვითარებითში დასმული მასდარი და ზმნის ფორმა შეიძლება ერთმანეთს შეენაცვლოს მარტივ წინადაღებაშიც; მაგ:

და ვერ წელ-ეწიფა დაც არ ვად (DE მრ 7,24); შდრ. და ვერ და ვ-  
ფარა იგი (იქვე C) —სომხ. և ის კარავ მაბ ჰელ, ბერძნ. ასე იტუნე-  
შვ ლაზეთ

თქუენ ვერ ჸელგეშიფების მოსლვად (DE იოვ 7,34); შდრ. თქუენ ვერ მოხვდეთ (იქვე C)—სომხ. **ոչ կարեք դաւ**, ბერմნ. նմէն օს ბնეաժმէ ჰე-  
ჭե՛՛

ხოლო მე გეტყვა თქვენის: არა წინააღმდეგ თმად ბოროტისა (DE მთ 5,39); შდრ. ხოლო მე გეტყუ თქვენის: ნუ უკდებით ბოროტსა (იქვე C) — სომხ. Այլ ես ասեմ ձեզ՝ մի' կա և ակառակ չարի, ծერძն., 'Եց ձե լέցա նմւ, մի' ձեւ տէսτէ դաւ բա պօնηρօ<sup>1</sup>.

ამ შეგალითების მიხედვით DE რედაქციაში მასდარი ვითარებითშია, C-ში მის აღვილას ზმნის ფორმაა, სომხურსა და ბერძნულში ინფინიტივია.

დასტურდება ხშირი შემთხვევები, როცა ამავე ვითარებაში სომხური ტექსტი მხარს უჭერს C რედაქციას, ე. ი. ხმარობს ზმნის ფორმებს; მაგ.:

ԱՅԱ ՍՐԾԵԼՈ ԿՈՎԵԼՈ ՇԵՄ ԸՆԹԱՑ ԲԱՏ (C 103 12,19; ՇՀ. ԱՅԱ ԵՍՔԻՆ ԿՈՎԵԼՈ ՍՐԾԵԼՈ ԹԻՎՈՒՆ ՇԵԸ ԸՆԹԱՑ ԹՈՒՍ: Ո՞ՅՍ ՏԵ) — ահաւասիկ աշխարհ ամենայն դկնի նորա կնաց;

ბრძანებად მოილო... და წარვიდა ქუეყანად გალილეასა (C მთ 2: 22; შდრ. მოილო ბრძანებად... წარსლვად გალილეად: იქვე DE) — ა. ტრა-  
მან ათხელი... ჭავჭავაშვილი კინგარის ფაქტურადის

წარავლინნა და მოწყველი ყოველი ყრმები (C მთ 2,16; შლრ. წარავლინნა მოწყუელი ყოველთა ჩჩკლთა ყრმათა: იქვე DE) — և აռაքეად ჰითორებთა გამძნაურ მანქილნის

ნუ ყოველი გუამი შენი შთავარდებინ გეჰენისა (C მთ 5,29; შდრ. არა ყოველი გუამი შენი შთავარდომად გეჰენისა: იქვე DE) — և მე ამხანაკ მარძწენა დო ან კანჩენ ჩენ ეს ყხენ.

მაშინაც კი, როცა C რელაქციაში ვითარებითში დასმული მასდარი

<sup>1</sup> ამგვარი შენაცელების მაგალითები გხვდება „საქმე მოციულთა“-შიც; მაგ: და მივიდა ფილიპე და იშყუა ს მ ე ნა დ (T 8,30)—და მივიდა ფილიპე და ი ს მ ე ნ დ ა მისა (იქვე 7)

იწყო ხედვად და ალდგა (C9,18) — მეცნიერლად აღახილნა და ალდგა (იქვე ၅)

და იწყო მუნენესვე შესაკრებელთა მათ ქადაგებად (C 9,20) — და მეტსულად შესაკრებელთა შინა ქადაგებად (იქნა 1).

იწყეს თხრობა და სიტყუად იგი (C 13,5) — უთხრობდეს სიტყუასა მას (იქვე 7)

იწყოდა მან თხრობად ჩუქუნდა (C 11,13)—და მითხრა ჩუქუნ (იქვე 7)

ვინ უძლოს მითხრობად (C 8,33) — ვინ-მე მიუთხრას (იქნება)

დამოწმებულ მაგალითებში იწეო და უძლო ზმნებთან ვითარებითში დასმული მასდარი გვაქვს, ხოლო როცა ეს ზმნები წინადადებაში მონაწილეობას არ იღებენ, მასდარის ნაცვლად სათანადო ზმნა გვევლინება. ამის მიხედვით კარგად ჩანს, რომ მასდარული კონსტრუქცია გარკვეული ტიპის ზმნებთან არის დაკაშშირებული.

გვხვდება, ხოლო DE-ში ზმის ფორმაა, სომხური ტექსტი C რედაქციას მის-  
ლენს; მაგ:

Հռմելնո-օցը թուաղացքը... ցալուցաշտ թ Տ Ա Ե Ռ Ե Ց Ա Ը թ Թ օ Տ Ա (C թ. 27,55; Մըր. Հռմելնո Շեշացքը... ցալուցաշտ դա Ֆ Թ Տ Ա Ե Ռ Ե Ց Ա Ը թ Թ օ Տ Ա: Օյցը DE)—որք եկին...՝ի գալիւեէ պաշտել զնա

მივიღეს კაპარნაუმდ მოძიებალ (C იოგ 6,24; შდრ. მოვიღეს კაფარნაუმდ და ეძიებდეს: იქვე DE) — 4 ხელი თ ჰაჭაონათას խնդრებ და სხვ.

შეღარებით, იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მასდარისა თუ ზმნური ფორმის ხმარებისას სომხურ ტექსტს DE რედაქცია უჭირს მხარს, მაგრამ აქ თანხვდენის შემთხვევები უფრო მცირეა.

კითარებითში დასმული მასღარი ძველ ქართულში იხმარება აგრეთვე შედგენილი შემასმენლის სახელურ ნაწილად. მას ჩვეულებრივ აწყოს მეშვე-ლი ზმა ახლავს და მყოფადის მნიშვნელობა გააჩნია; მაგ.:

რამეთუ სხუადცა ერი მოსლვად არს (ცხ. იოვ. და ეფთ. 51,4)

დიდი ბოროტი მოწევნად არს ჩემ ზედა (იქვე, 33,4)

კულტურული განახლებას არს პირველებრ (ხანძთ. იდ-3)

რომელი დაძლევლებათ არს (იმბ. 13,28)

მოსლვად ხარ განსჯად სოფლისა (სას. პოეზ. სო)

ლუაწლსა დიღსა შეს ლვად ხარ, დედოფალო (შემ. III, 12)

რამეთუ კონცხალი არღარა გამოსლვად ხარ (იქვე, IX, 22)

შენდა ეგლენ ყოთაღ არს თერპითა შენითა სლვად (იქვე, IX, 21)

სიყმილი სასტიკი ყოფად არს ყოველსა ზეთა სოფლსა (საჭირ მო-

სხვა ენებში (რუსულში, ბერძნულში, გერმანულში, სომხურში,...) ასეთი ჟღედვენილი შემასმენლის შესატყვისად ზრდა, ინფინიტივი ან მომავლის რიმ-თოლბა კარგად მიღავს.

რამეთუ მოსლვად არს ძვე კაცისად (მთ 16,27) — *qbi*. *q a L a g* ბ  
შეგა მარგო.

ეგრეთ მე კავისახ ვნებად არს მათგან (C მთ 17,12) — **სოჭნულება**

Ե որդի մարդու չարչարելոց է՝ ի նոցանէ

մօլցեմազ առև մը քաշուսա չնելլու քաշուսա (օյցը, 17,22) — մասնեւ լու է որդի մարդոյ ՚ի ձեռս մարդկան.

შინაარსობრივად ასეთი შედგენილი შემასმენელი აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას, ანუ კატეგორიულობას გამოხატავს, რაშიც უნდა ჩანდეს ვითარებითში დასმული მასდარის ერთ-ერთი ძეგლი მნიშვნელობა. სხვა ენებში ინფინიტივი ზოგჯერ ამ მნიშვნელობის სპეციალური სიტყვებით არის გართულებული; მაგ:

ელია-ღა პირველად მოსლვად არს? (C მთ 17,10; შლრ. ელიასი  
ჯერარს პირველად მოსლვად? იქვე, DE) — Илья должен прийти?  
— სმენ ხელაუგა ასახ უსართ ც ფარ:

შემდგომში ამ აღწერით ფორმებს შეენაცვლა ზმნის კავშირებითის ფორ-  
მა მყოფადის მნიშვნელობით; მაგ.:

არცალა ყოფად არს (D მთ 24, 21); შერ. არცალა იყოს (იქვე C).

თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ (DE მთ 26,31); შდრ. ყოველნივე დაპიბრკოლდეთ ჩემდა მომართ (იქვე C).

ძლ კაცისად მიცემად არ ს ჯუარ-ცუმად (C 26,2); შდრ. ძლ კაცისად მიეცეს ჯუარ-ცუმად? (იქვე DE).

ვითარებითში დასმული მასდარი სახელთა საწარმოებელ ფუძედაც გვე-ვლინება; მაგ.:

განქარვებად-ი: მისცა... აჩრდილი შჯულისად განქარვებად ა. (სას. პოეზ. რო).

შეცვალებად-ი: დაუტევა შეცვალებადი პატივი ქუეყანისა (ხანდთ. დ-13).

დაგიშუებად-ი: დაიდვა საფლავსა ვითარცა მკუდარი დავიშუებად ა. (სას. პოეზ. იე).

განხრწნად-ი: რახთა შევცვალოთ შუებად განხრწნადი უხრწნელებად (იქვე, მთ)

დაკრძალულისაგან საფლავისა განხრწნადისა ასდეგ უხრწნელოდ. (იქვე, ხე)

შეპმოსა შუენიერებად ქორცთა მათ განხრწნადთა (იქვე, რმზ) განხრწნადთა განეშორნეთ (იქვე, მა).

ცნობად-ი: გემოხ ვიზილოთ ხისა მის ცნობადისად (იქვე, ხდ)

განაქარვა სიმწარედ პირველი ხისა ცნობადისად (იქვე, პთ)

რომელმან დასცა... მამად ჩუენი ჭამითა ხისა ცნობადისადთა (იქვე, რო)

შენ არა შჭამო ხისა. მისგან ცნობადისა (ზოლნ. 4),

მოწევნად-ი, მიწევნად-ი: ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლად მოწევნადისად მისგან საუკუნოსა (სას. პოეზ. როთ)

მისგან გეუწყნეს მიწევნადნი წინადაღწარ (იქვე, ლვ).

გნებად-ი: ბუნებითა მით ვნებადითა ვნებად მოხუედ (იქვე, ხმ)

ძეხ... ვნებული ქორცითა ვნებადითა (იქვე, ხლდ)

ამბორს გიყოფდა ვნებადთა მათ ასოთა ვითარცა ვნებულთა (იქვე, რკდ).

ვითარებითში დასმული მასდარისაგან წარმოქმნილი ამ ტიპის სიტყვები ზოგი არსებით სახელად არის ქცეული; მაგ.:

შობად-ი: და სალმობათა შემიპყრეს მე ვითარცა შობადი (ეს: 21,3).

ყოფად ი: ყოველი ყოფადი წინადაღწარ მოუსწავა (ზარზ. 170,9)

რომლითა მოასწავეს ყოფადი იგი (სას. პოეზ. სმთ); რამეთუ წინაპ-შწარმეტყუელებდა ყოფადთა მათ (იქვე, რკდ).

დიდებად-ი: უალრეს იდიდა დიდებადი იგი (იქვე, ხოტ).

დაცემად-ი: შენ მიერ ალემართნეს დაცემულნი და განემტკიცნეს დაცემადნი (იქვე, უა).

ჭამად-ი: არა მეცით მე ჭამადი (მთ 25,42); სასამან გემოხ ცნის ჭა-მადისად (იობ. 12,11); მიქმენ მე ჭამადი (დაბ. 27,7); არა იყო... ჭა-მადთა გულის-სათქუმელთა მოყუარე (ხანდთ. ბ-52); ჭამადთა ნაყროვნე-ბისა უძღებებად შორის მათსა იპოვის (აბო, 59,3).

ადიშის ძეგლში ჭამადს პური ან ჭამული ენაცვლება; მაგ.:

უბრძანა მათ ცემად მისა პური (C მრ 5,43; შდრ. უბრძანა მათ, რა-თა მისცენ მას ჭამადი: იქვე DE)

განსწორებს ყოველთა ჭამულთა (C მჩ 7,19; შდრ. განსწორებს ყოველსა ჭამად სა: იქვე DE).

სომხური ტექსტის სათანადო აღილებში ყველგან ინფინიტივი და-სტურდება; მაგ.: դოსტ თოსტ დისა ისთხლ—თქუენ ეცით მაგათ ჭამად ო (მთ 14,16)

**სოსტ ჩნა ისთხლ—**მეც მე ჭამადი (იქვე, 25,35).

ვითარებითში დასმული მასდარისაგან ნაწარმოები ასეთი სახელები მე-ტეხი ტიპის<sup>1</sup> ან მყოფადის მიმღების შინაარსის მქონე სიტყვებია: გან-ხრწნადი = რაც გაიხსრწნება ან განსახრწნელი, შეცვალებადი = რაც რშეიცვლება, ჭამადი = საჭმელი.

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი მასალის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარი ინფინიტივის შესაფერისი რიგი ნიშნები გააჩნდა, მაგრამ ასეთი მასდარი ქართულში. ვეღარ განვითარდა. X საუკუნიდან მოყოლებული იგი გამოდის ხმარებიდან. მაგალითად, X საუკუნის ისეთ ძეგლში, როგორიცაა „ცხორებაა იოვანესი და ეფთვებესი“, რომელიც „უეჭველად საშ. ქართულის დასაწყისი პერიოდის ნიშ-ნებს ატარებს“,<sup>2</sup> ერთი შემთხვევის გარდა, არ გვხვდება ვითარებითში და-სმული მასდარის ის კონსტრუქცია, რომელიც პირდაპირ დამატებას. მოი-თხოვს სახელმობითსა და მიცემითში. ასეთი მასდარი აქ ჩვეულებრივ იხმარება. მხოლოდ მიზნის გარემოებად. ამ მნიშვნელობით სალიტერატურო ქართულში იგი შემორჩა მე-12—13 საუკუნემდე. ასეთი მასდარი ხშირად გვხვდება, მა-გალითად, „ვეფხისტყაოსანში“:

დაჯდა წერად ანდერძისად, საბრალოსა საუბრისად:

„ჰე მეფეო, გავიპარე ძებნად ჩემგან საძებრისად!...“ (788)

რა მიეახლოს დაბნედად, ვერ ხელ-ჰყვის დაძრვად ენისად (832).

ვითარებითში დასმული მასდარი ძველ ქართულშივე თანდათანობით კარგავს ზმნურ ძალას. ბატონდება მისი სახელური ფუნქციები. პირდაპირ დამატების ნაცვლად იგი იგუებს უბრალო დამატებას, რომელიც მასდარის წინ ექცევა (რომელსა უნდეს კუართისა შენისა მოღებად).

ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს ენაცვლება სახელმობითში და-სმული მასდარი. „ბრძანა დაკრძალვად“ იცვლება სახელმობითის კონსტრუქციით: „ბრძანა დაკრძალვად“, რომელიც მკვიდრდება X საუკუნიდან მოყოლე-ბული და საბოლოოდ ინარჯვებს კიდეც.

მიზნის გარემოების წინადადებაში მას ცვლის ვითარებით ბრუნვაში. დასმული მომავლის მიმღება, რომელიც საბოლოოდ გაბატონდა ახალ სა-ლიტერატურო ქართულში.

ვითარებითში დასმული მასდარი შემოგვენახა გაღმონაშოთის სახით ქარ-თული ენის მხოლოდ ზოგიერთ კილოში. მხედველობაში გვაქვს ხევსურულის. ასეთი ფაქტები: ჩვენაც ნადირობად წავალთავ (ხევს. მასალა, წელიწლე-ული, 191 გვ. 22—23).

„...მშეიღებით გამყოფას, სულის გონებად (= მოსაგონებლად) ნუ დაგლივას, ბარაქა მაგცას სულმაც, ჯვარმაც“ (იქვე, 147 გვ.) და სხვ.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 597.

<sup>2</sup> ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, გვ. 82.

ზოგ კილოში მან სახე შეიცვალა; მაგალითად, მოხეურში მიზნის გარემოებად ხშირად ზმნის ფუძე თუ მასდარის შეკვეცილი ფორმა იხმარება, რაც მეორეულადაა მიჩნეული<sup>1</sup>.

ქართველური ენებიდან—ზანურში (ზეგრულსა და ჭანურში) დღესაც დასტურდება მიმართულებით ბრუნვაში დასმული მასდარი მიზნის გარემოების გამოსახატავად; მაგ.: „მიდართ თგუ რა ფუ შა“—წავიდა სწავლა და „გიარიშ თჭკომუ შა მენდახთუ“—პურის კამად (საჭიროად) წავიდა.<sup>2</sup>

ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი და მასთან დაკავშირებული სათანადო კონსტრუქციები ძველ ქართულშივე შედარებით ახალი წარმონაქმნი ჩანს. იგი ჩანასხის სახეს ატარებს. ასეთმა მასდარმა ვერ მთასწრო მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე მიეღო და ისე გამოვიდა ხმარებიდან, რომ მისი კვალიც კი აღარ შერჩა ახალ სალიტერატურო ქართულს.

А. Г. МАРТИРОСОВ

## К ВОПРОСУ О ГЕНЕЗИСЕ МАСДАРНОЙ КОНСТРУКЦИИ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. В отличие от индоевропейских языков в грузинском и родственных ему языках нет категории инфинитива, в них вместо инфинитива выступает масдар—отлагательное имя действия.

2. В горских иберийско-кавказских языках (аварском, лакском, даргинском и др.) имеется как масдар, так и инфинитив. В специальной литературе указано, что в дагестанских языках аффиксы инфинитива, дательного и направительного падежей одинакового происхождения

3. В древнегрузинском языке наблюдается процесс формирования своеобразного «инфинитива», что проявляется в употреблении масдара в обстоятельственном падеже, который в данном случае аналогичен по функциям инфинитиву других языков. Для этой конструкции характерны те же формы управления (именительным и лательным падежами), которые соответствуют им глагольным формам.

4. Масдар в обстоятельственном падеже и в отношении семантики сходен с инфинитивом, т. к., во-первых, употребляется в значении причастия будущего времени, стоящего в том же падеже и являющегося обстоятельством цели, и, во-вторых, сам выступает как дополнение при глаголах определенного типа. В обоих случаях простое предложение с масдарной конструкцией равно по содержанию сложно-подчиненному предложению.

5. В древнегрузинском языке встречаются редкие случаи, когда при некоторых модальных глаголах масдар вместо обстоятельственного падежа стоит в родительном.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 63, იფ. ქავთარაძე, მოხური კოლო ყაბბეგის ენაში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1949, XXXV ვ, გვ. 97.

<sup>2</sup> ახ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 177.

6. Масдар в обстоятельственном падеже употребляется так же как часть составного именного сказуемого, причем обычно с вспомогательным глаголом настоящего времени; по содержанию он всегда передает действие, которое обязательно должно совершиться. В других языках (русском, греческом, немецком, армянском) этой конструкции соответствует или инфинитив, или причастие будущего времени, осложненные другими предикативными словами.

В новогрузинском языке эти описательные формы были заменены формами сослагательного наклонения.

7. Масдар в обстоятельственном падеже, сходный по своим функциям с инфинитивом, в грузинском не развился, потому что, во-первых, уже в древнегрузинском он постепенно теряет силу глагольного управления; во-вторых, уступает место масдару в именительном падеже, который, особенно распространившийся с X века, потом окончательно утверждается; в-третьих, в предложении обстоятельства цели масдар в обстоятельственном падеже заменяется причастием будущего времени в этом же падеже.

8. Масдар в обстоятельственном падеже сохранился только в некоторых диалектах грузинского языка в функционально измененном виде, а из других картвельских языков — в занском (мегрельском и чанском), где масдар в направительном падеже выражает обстоятельство цели.

## ი. ქავთარაძე

დარ-კილოთა მესამე სერიის ფარმოგინის ერთი თავისებულება  
ახალ ჩართულში<sup>1</sup>

ქართული ენის გრამატიკული წყობის შესწავლა არკვევს როგორც ამ ენის სტრუქტურისა და ისტორიის რთულ მოვლენებს, ისე მისი განვითარების შინაგან კანონზომიერებათა სპეციფიკას. ენის გრამატიკული წყობა „უფრო ნელა იცვლება, ვიღრე ძირითადი ლექსიკური ფონდი. იგი, როთქმა უნდა, იცვლება დროთა ვითარებაში, იგი უფრო სრულყოფილი ხდება, აუმჯობესებს და აზუსტებს თავის წესებს, იძენს ახალ წესებს, მაგრამ გრამატიკული წყობის საფუძვლები რჩება მეტად დიდი ხნის განმავლობაში, რადგან ამ საფუძვლებს, როგორც ისტორია გვიჩვენებს, შეუძლიათ წარმატებით ემსახურონ საზოგადოებას მთელი რიგი ეპოქების მანძილზე“<sup>2</sup>.

ამ დებულებიდან შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს დასკვნა, რომ გრამატიკულ წყობაში უახლესი წარმოების ფორმათა გვერდით, განვითარების პროცესში შეძენილ ახალ ერთეულებთან ერთად, შეიძლება შემონახული გვერდეს უძველესი წარმოების ფორმებიც, წინათ მოქმედი გრამატიკული კანონზომიერების გამომნაშობები. ცხადია, რომ სწორედ ამიტომ ენაში მოქმედი ობიექტური კანონების ძალით, თანდათანობით, ხანგრძლივად მიმდინარე პროცესების შედეგად ხდება ენობრივი ფორმების მუდმივი სრულყოფა და მოწესრიგება-გაუმჯობესება. ენა თავიდან იშორებს უძველესი პერიოდისათვის დამახასიათებელ ზედმეტ კონკრეტულობას, ერთიდება ერთნაირი მნიშვნელობით სხვადასხვა ფორმების ხმარებას და ცვლის მათ უფრო აბსტრაქტული ფორმებითა და კატეგორიებით.

ამ ასპექტში უნდა განვიხილოთ დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულ ენაში. საქმე ეხება გარდამავალ ზმნათა - ნ ელემენტებითულ ფორმებს თურმეობითებსა და იშვიათად კავშირებითს მესამეში: უმუშავ-ნ-ი-ა, გაუტაც-ნ-ი-ა, უყიდ-ნ-ი-ა... ემუშავ-ნ-ი-ა, გაეტაც-ნ-ი-ა. ეყიდ-ნ-ი-ა და მისთანა ზმნებს, აგრეთვე გარდაუვალ დავიწყ-ნ-ი-ა, დამართ-ნ-ი-ა ტიპის წარმოებას, რომლის ხმარებაშიც ერთგვარი მიღრებები შეინიშნება ამ უკანასკნელად მხატვრული ლიტერატურისა და პრესის ენაში.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ამ - ნ სუფიქსის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. იგი შენიშნული ჰქონდა ჯერ კიდევ თელო-

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 1953 წლის 21 ივნისს (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თანახმად გვ. 19–20).

<sup>2</sup> ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების. საკითხები, 1954, გვ. 23.

უორდანიას, რომელიც უყიდაგ-ნ-ი-ა, უქადაგ-ნ-ი-ა ტიპის ფორმებში -ნ-ს კეთილხმოვანების მოთხოვნილებით გაჩენილად მიიჩნევდა<sup>1</sup>. ს. ხუნდაძეს მიიჩნდა, რომ -ნ სუფიქსიანი ზმების გამოყენებასთან სათანადო მორფოლოგიური განსხვავებაა დაკავშირებული: მინადირ-ნ-ი-ა, მიყვარ-ნ-ი-ა — საშუალი გვარის ზმებია, ხოლო მინადირებია, მიყვარებია — მოქმედებითი ზმის ფორმააო<sup>2</sup>. სამავიროდ, შეორე ქართველი გრამატიკოსი არ ქუთათება არა ხედავდა. იგი წერდა: „შენიშნულია, რომ ნამყო გაგრძელებულში და ნამყო სრულში ზმებს უზის ხშირად ასო „ნ“, რომელიც, ჩვენის აზრით, „პარაზიტი“ უნდა იყოს, არადგანაც არავითარი ძალა და მნიშვნელობა მას უღლილების დროს არა აქვს — მაგ., „წოვ-ნ-ა (წოვა), ტყორუ-ნ-ა (ტყორცა)...“<sup>3</sup>

ავტორის თვალსაზრისი გასაგებია: პარაზიტია (ე. ი. ზედმეტია) ეს სუფიქსი იმდენად, რამდენადაც მისი ხმარება აუცილებელი არაა, უმისოდაც ფორმები ადვილად იწარმოება და გასაგებია. მაგრამ შეცდომაა, როცა ავტორს იგი კლასიკური ქართულიდან მომდინარედ მიაჩნია და დევ-ნ-ა ტიპის ფორმებში -ნ სუფიქსი იმავე ოდენობად მიიჩნევს, რაც გან-აცვ-ნ-ა-ში გვაქვს<sup>4</sup>.

**ნ** (თურმეობითებში გამოვლენილ -ნ სუფიქსის ახსნისათვის იყო ცდა იმავე წაკვთების პრეფიქსული ვნებითების მრავლობითის წარმოებაზე მითითებისა,<sup>5</sup> მაგრამ შემდეგში ასეთი გაგება აღარ გხევდება<sup>6</sup>.

-ნ სუფიქსი დრო-კილოთა მესამე სერიის ზმებში წერილობითი ძეგლების მიხედვით სისტემებრ დასტურდება მეთხუთმეტე საუკუნიდან. იგი ამ დროიდან განსაკუთრებით თანამიმდევრულად იხმარება ქართულ-კახური წარმოშობის ისტორიულ საბუთებში<sup>7</sup>, თუმცა სპორადულად მისი ხმარების შემთხვევებს ძველი ქართულის ძეგლებშიც ვადასტურებთ: არცაღა ისრატლთა შორის ესოდენი სარწმუნოვებაც მი პოვ-ნ-იეს: შთ 8,10; ჰელნებდა ვითარმედ საფასე დაფარული უპოვნია: კიმ. I, 327,6; რომელსა-ესე უჯობ-ნ-იეს პურისა: ურპ. 334,14. მაგრამ ძველ ქართულში -ნ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მაშინაა, როცა იგი ნასახელაზ ზმნათა და მასდარის შესაბამის ფუძეშიცა: შდრ., ერთი მხრით, თოჯ-ი: თოვ-ნ-ა: ვიდრემდე მოუთოვნო მე მაგას გარემო: ლკ 13, 8; მეორე მხრით, ძებ-ნ-ა (ძებ ნა ევლოგია: ზარზმ. 179,30), პოვ-ნ-ა (უმზირდეს მას პოვნად რასმე სიტყუასა: ლკ. 11,44) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში ზმნასა და სახელში -ნ ყოველ-ოვის თანამიმდევრულად როდი მეორდება: მასდარებში არის -ნ სუფიქსი<sup>8</sup>: შეწევ-ნ-ა, დატევ-ნ-ა, მორევ-ნ-ა (=დაძლევა)... მაგრამ ზმებში არაა; ზმნაში არ არის, მაგალითად -ნ, სახელში კი თავს იჩენს: არარას-ბრალსა

<sup>1</sup> თ. ჭავთარაძე, ქართული გრამატიკა: ეტიმოლოგია და სინტაქსი, ტფილისი, 1889, გვ. 28.

<sup>2</sup> ს. ხუნდაძე, ქართული ზმები, ქუთაისი, 1891, გვ. 62.

<sup>3</sup> არ. ქუთათელაძე, ქართული ზმების კლასიფიკაცია, ტფილისი, 1897, გვ. 38.

<sup>4</sup> შდრ. იქვე.

<sup>5</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, მორფოლოგია, 1930, § 155, გვ. 157—158.

<sup>6</sup> შდრ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 454.

<sup>7</sup> ი. ქავთარაძე, XIII — XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი: ენის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია, 1949, შუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 8—9.

<sup>8</sup> -ნ სუფიქსიანი მასდარების შესახებ: ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 573.

ვჰპოვებ ქაცისა ამის თანა: ლკ 2, 3, 4; აღ ხუტყორცებ ტყაესა ამას ზე აერთა: ქრესტ. 16,21. საზოგადოდ, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, -ებ სუფიქსი უფრო წიგნური ჩანს ასეთ შემთხვევებში. ნაგვიანევ ძეგლებში (XIII—XV საუკუნეებიდან) იგი ზმანში ჩვეულებრივ აღარ ჩანს, მის ადგილს -ნ იქრს: სტყორცებ-ს საყოველთაოდ შეცვალა სტყორც-ნ-ის, ხოლო მოგიღუაწებიერს (ღუაწლი კეთილი მოგიღუაწებიერს: ხანდთ. იტ 29) ადგილის უმეტეს შემთხვევაში მიღვაწენია გვაქეს: (უარი მითქვამს მასზედ, რაც ხმელეთზე მიღვაწენია: ი. მაჩაბ. თარგმ. I, 184,19).

ძველი ქართულის მაგალითებიდან ირკვევა, რომ მესამე სერიის ნაკვთებში -ნ სუფიქსი ერთბაშად არ გავრცელებულა. როცა ვამბობთ — მას ვადასტურებთ XIV—XV საუკუნეებიდანო, მხედველობაში გვაქვს პირველ ყოვლისა ისეთი ფუქები, რომელებშიც -ნ თითქოს არ იყო მოსალოდნელი. ესაა უყიღ-ნ-ია ტიპის ზმენბი, რომელთა ხმარება პირველად ამ ხანებიდან შეინიშნება: მიუყიღ-ნ-ია ვენაჯი: დოკუმ. II, 31.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ -ნ სუფიქსის გაჩენა აღნიშნულ შემთხვევებში?

-ნ სუფიქსი ქართულში გავრცელებული ელემენტია ზმნურ ფუქეთა საწარმოებლად. იგი სხვადასხვა ხმოვნებთან ერთად ქმნის ზმნის თემატურ ნიშანთა წყებას როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში<sup>1</sup>. იგი თითქმის თანაბრადაა გამოყენებული ნასახელარ ზმნებთანაც და ისეთებშიც, რომელთაც ამოსავლად სახელადი ფუქე არ უჩანთ. ოღონდ ჭირს თქმა: ყოველთვის ივარაუდება თუ არა -ნს წინ ხმოვანი და რომელია იგი (ერთია თუ სხვადასხვა).

როგორც ვთქვით, ძველ ქართულში -ნ სუფიქსი სრულებითაც არ იყო ასეთ შემთხვევებში იმდენად გავრცელებული, რამდენადაც დღესაა. ძველ ქართულში სრულებით არ იყო იგი ფუქეში, ანდა ფუქის სავრცობად -ებ სუფიქსი იხმარებოდა: ითხოვ-ს, იგლოვ-ს... პჰოვ-ებ-ს, სტყორც-ებ-ს...) ყოველ შემთხვევაში, გამოყენების მხრივ -ებ სუფიქსი უფრო ძველი და გავრცელებულია შემდეგ ზმნურ ფუქებში:

საქმარი ჩემი მომიღებიერს: კიმ. I, 209,23.

მე მომიღელინებიან იგინი შენდა: საქმე მოციქ. 10,20 ვ.

შდრ. მე მომიღელინი იგინი შენდა: იქვე, ა.

ღუაწლი კეთილი მოგიღუაწებიერს: ხანდთ. იტ 29.

რომელთა დაპირუებიერს უფალი: იობ. 8,13.

დედანა დავიწყებია: ი. გოგებ. II, 375.

დიდ ხანს არ დავიწყებია ესმას: გ. წერეთ. 34,18.

არა სხვსა... სუცდრებულისაგან მქონებია: ტიბიკ. 52,9.

ნათესავთა ჩემთა... მიმსახურებია: ტიბიკ. 10,17.

როგორც უმსახურებიათ, ისევე მსახურონ: დოკუმ. I, 394 (1738 წლ.).

მამანი და პაპანი თქუენნი... ერთგულებასა შიგან დაჯოცილან და ჩუენთა გუართათვს უმსახურებიათ: საქ. სიძვ. I<sub>1</sub>, 2 (1451 წ.).

ორი დღე მეა, ორი დღე ბარვა დაშიდებია: დოკუმ. I, 15 (1603 წ.).

სხუად არად ვისი მომიხმარებიერს: რკონის სიგელი: ქრონიკ. II, 134,8.

<sup>1</sup> 3. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში: საქართველოს სსრ მფც. აკად. მოამბე, III<sub>5</sub>, 1942, გვ. 489—491.

რა გუარიცა ამას წინათ ჰქონებია: დოკუმ. I, 3 (1477 წ.).

როგორც თქუენს მამა-პაპას ჰქონებია, ისთვის თქუენთვის გეიბოძებია საქ. სიძვ. III, 453 (1739 წ.).

სალიან საქმე გქონებიათ: უ. ნინოშვ. I, 15,18.

რომ სხვაზე მდიდრულად მქონებოდა სახლის მორთული: ლ. არდაზ-67,25.

რომ სალიტერატურო ფონდი ჰქონებოდა: ი. გოგებ. I, 432.

ვისიც სიყვარული უნდა ჰქონებოდა: აკაკი, IV, 331,16.

თითქოს მეორე თვალიც შუშის ჰქონებოდეს: რ. გვეტ. კრებ. 1948 წ. 88,28.

აქედან და ქვემოთ აღმოჩენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ აწმყო-მყოფა-დის -ებ სუფიქსი გადაჰყვება პირველ და მეორე თურმეობითში აგრეთვე ისეთ ზმნებს, რომელიც ნაკლული ნაკვთების შესავსებად ვნებითის ფუძეს იყენებენ; ამავე რიგისაა ჩვეულებრივ ზოგიერთი ე-პრეფიქსიანი ვნებითიც: იცის: ეცოდინება — სცოდნებია; ესახება — ჩასახებია:

თითქოს სდომებია მთელი საფლავი... გულში ჩაიკრასო: ილია, II, 324. მაგას ქე სდომებია მაცის საცოლლო: ა. ფურუ. 50.

უფროსს სდომებია თავის ცოლისდა ანდრიას გაურიგოს: ი. ეკალ. 37,15.

თუ შენი სული ჩაჭახებია ვისმე: ილია, II, 61,

ომი დაგიწყია, შვილო, მამას არ დაკითხებიხარ: ლ. ქიაჩ. II, 40.

შეიძლება ჩვენს უნებურად მტრის მზვერავებს შევჩეხებოდი: მიხ. მრევლ. 51.

არ იფიქროთ, რომ მე შურისძიება მდომებოდეს: აკაკი, 380.

რაც ავს კაცს დამართებოდეს: დოკუმ. I, 49. (1673 წლ.).

მაგრამ ე-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის იმ ზმნებისათვის, რომელთაც აწმყო-მყოფადში -ავ თემატური სუფიქსი აწარმოებს, თურმეობითის უფრო ძველი და ტიპობრივი სახეობაა დამკვიდრებული სალიტერატურო ენაში. ამ ძველი სახეობისათვის ამოსავალია აწმყოს უძველესი ვარიანტი, რომელიც -ებ სუფიქსით არაა გართულებული: მალ-ავ-ს: ე-მალ-ვ-ი-ს (შდრ. ე-მალ-ებ-ი-ს), აქედან: და-მალ-ვ-ი-ა. ასეა ყველა -ავ სუფიქსიანი ზმნა: დამართვია (ილია, II, 238), დაფარვია, დაკარგვია და ა. შ.

თურმეობითის ფუძის წარმოება ამ ხაზით როდი წარიმართა. რიგ შემთხვევაში აწმყოსული -ებ სუფიქსი ან შეცვალა -ნ სუფიქსმა, ან ზოგჯერ ნაწარმოებ ფუძესაც კი დაერთო (მაგალითად: ექებს || ძებ-ნ-ი-ს: მომექებ-ნ-ა: ა. ყაზბ. 152; შობ-ს, შვ-ა: უშობ-ნ-ი-ა: ი. გოგებ. I, 158. შდრ. ძველი ქართული: არამე მაგას უშობიე შენ: კიმ. I, 136,29). ამგვარად, ზემოთ განხილული ზმნური ფუძეები, ან ტიპობრივად მათთან ახლო მდგომი შემდეგნაი-რადაც იმარება ლიტერატურაში:

ლაშქარი მითხოვნია: საქ. სიძვ. I, 34 (1611 წლ.).

ამილახორისაგან მიშოვნია: იქვე.

უგლოვნია და დაუმარხია: ი. გოგებ. I 494; ი. მაჩაბ. II, 483.

სიკოს სამი წლის გლოვის შემდეგაც არ დავიწყნია... დედა: ე. ნინოშვ. II, 245,37; I, 128,22.

რაც მთავარია, დაგვიწყნიათ: მიხ. მრევლ. 9.

რავა დამვიწყნია... ჩემი ხელობა: ა. ბელიაშვ. იუმ. 31,32.

არ დაგვიწყნიათ ცეკვა: რ. გვეტ. 10.

ბავშვებს არ დაგვიწყნიათ... მშვენიერი წიგნი: „ლიტ. და ხელოვნ.“ 1952, 1/VII, 2.

შენ ბატონობა გდომნია: ბაჩ. 448,9.

არც იმის უბედურება მდომინია: ილია, II, 421.

ანალოგიით -ნ ჩნდება კაუზატივის ფუძის მქონე სახელებში და ზმნებში: მირთმევ-ნ-ა, ჭმევ-ნ-ა (აფხაზეთის საკათალიკოზოს გლეხთა დავთარი, XVI—XVII სს., გვ. 56): ამის ფუშქაშად მომირთმევნია: საქ. სიძვ. III, 128 (1578 წლ.). -ებ შეცვალა -ნ-მ აგრეთვე ტყორც-ნ-ა, ტყორც-ნ-ი-ს ფუძეებში.

ძველ ქართულში ზოგიერთი ზმნისათვის პირველი თურმეობითის საწარმო-ებლად აწმყოს საზიარო ფუძე იყო გამოყენებული, ახალში იგი მეორე სერიის (ნამყო წყვეტილის) ფუძით შეიცვალა, ანდა პირიქით ვთიქრობთ, ამ ასპექტში უნდა შეიძლებოდეს საშუალი გვარის ზმნათა პირველი თურმეობითის ფუძის განხილვა. საგულისხმოა, რომ საშუალ ზმნათა მონაცელე ფუძე (დანაკლისი ნაჭვთების შესავსებად გამოყენებული) -ებ სუფიქსიანია და ეს სუფიქსი თურმეობითში ჩეულებრივ გადაჰყებოდა ხოლმე, როგორც ზემოთ აღწერილი ერთი ტიპის მაგალითებიდან ჩანს, ეს წესი დაცულია უფრო ადრინდელ ძეგლებში და ნაწილობრივ თანამედროვე სალიტერატურო ენაშიც (შდრ. უყვარს: ეყვარ-ებ-ა—ჰ-ებ-ა—ჰ-ებ-ი-ა...). მაგრამ აჭვეს; ჰყავს ზმნებში და აგრეთვე რიგ გარდამავალ ფუძეებში მასდართან ან მეორე სერიისთან საზიარო ფუძეა გამოყენებული. ასე, რომ ამ სახით საქმაოდ გამოცელებული და ზოგიერთი მათგანი უკვე დამტკიდრებულიყოა (მაგ. ჰერნია):

სასაფლაო არა ჰერნიათ: საქ. სიძვ. III, 178. (1797 წლ.).

შელი ჰერნიდეს და ამ წესით ემსახუროს: დოკუმ. I, 29 (1645 წლ.).

ორი დღე მუშაობა დამიღვია: დოკუმ. I, 15 (1716 წლ.)...

პირველი თურმეობითის აწმყოზე დაყრდნობილი ფუძიდან თანდათანობით იდევნება -ავ, -ებ სუფიქსები და მათ ადგილს -ნ სუფიქსი იქცერს.

-ავ სუფიქსიანი ზმნები. I და II თურმეობითი:

შენთვის რამდენჯერ ჰემომიფიცნია: საქ. სიძვ. III, 35 (1788 წ.).

შინ არ ჰემოუხედნია: ილია, II, 43.

ლაპარაკიც ვერ გაუზედნია: ი. გოგებ. I, 213.

როგორ გაგიბედნიათ ხელის მოწერაო: აკაკი. I, 46.

არც ჩემს თვალს წაუკითხნია: ი. გოგებ. I, 420.

არაგისოთვის არ მიუბაძნია: ი. ჯავახ. საისტ. მწერლ. I, 288.

თავი არ დაუზოგნია ნიკოს გამოზრდაში: აკაკი. I, 88.

ყოველი ნდობა დაუკარგნია მოყვასთა შორის: ი. გოგებ. I, 158.

ძლიერ მოუმართნია ხელი სკოლისათვის: ი. გოგებ. I, 151.

საქმე უფრო კიდევ აუწეშნია: ი. გოგებ., I, 181.

„წყალსაც უზიდნია ცხორიცა და ქვეყანაც“: ი. ყაზბ. II, 74.

ბულბულს თვალები დაუსუჭნია: ი. გოგებ. I, II, 58.

მომილოცნია, თბილის-ქალაქი: გ. ლეონ. სამგ. 15,11..

სიმინდიც უპარნია ამ არამზადას: ს. შანშ. მოთხრ. 225.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, აურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში: ლიტერატურული ძიებანი, III, 1943, გვ. 134.

5. იბერიულ-კავკასიური ენათმეციერება, ტ. VII.

ჩვენი ამბავი გეკითხნა: საქ. სიძვ. III, 77 (1798 წლ.). ასევე: ი. გოგებ. I, 329; ილია, II, 37; ლ. ქიაჩ. II, 10; ს. შანშ. მოთხრ. 101.

ნათესავნი თან მოჰყოლოდნენ და ეფიცნათ: საქ. სიძვ. I<sub>1</sub>, 127 (1706 წლ.).

ვერცის გაებედნა წასულიყო: ახალი ქ'ცა 36,13. ასევე: ი. გოგებ. I, 407; ი. ჯავახ. საისტ. მწერლ. I, 231; ლ. ქიაჩ. II, 64, 174.

რომ... ცალმხრივ არ შეეხედნა: ი. გოგებ. I, 433. ასევე: ლ. ქიაჩ. II, 38; ს. შანშ. მოთხრ. 278.

უკანასკნელი ვალდებული იყო... ფიჩხი... ეზიდნა: ი. გეღვ. 214,13; ასევე: სსრკ ხალხ. ისტორია 62,11.

დარაბის ჭუჭრუტანიდან ეზვერნა: ს. შანშ. 36.

ლრუბლები ალისფრად შეეღებნა: ს. შანშ. 187.

კარგა ხანია გადაელახნათ ძევლი ჩვეულება: მიხ. მრევლ. მოთხრ. 6.

გზა და ბილიკი... მტვერს გადაელებსნა: იქვე, 104.

ქალი ცდილობდა იმედი დაეთესნა აღამიანის გულში: იქვე, 84.

ექიმისათვის მივემართნათ და არა ჩემთვის: ი. მაჩაბ. II, 78.

შარვლის ტოტები ჩაეკეცნა ჩექმებში: ილია, II, 195.

რომ მეორეებს... პირველების... მაგალითის მიხედვით წაებაძნოთ: ი. გოგებ. II, 136.

საერთო წესისა და ძევლი ლიტერატულული ნორმის მიხედვით თითქოს -ებ სუფიქსი უნდა ჰქონოდა პირველსა და მეორე თურმეობითში ქვემოთ ჩამოთვლილ ზმნებს, მაგრამ უფრო ხშირად არის ამგვარადაც:

ბერუა დაუპატიჟნია ლეინისა: ი. გოგებ. I, 179.

ზოგჯერ ავტორი თვით მოთხრობას გაუტაცნა: ი. ჯავახ. საისტ. მწერლ. 130; ასევე: ი. გოგებ. I, 260; ვაჟა I, 166,34; ილია, II, 31; მიხ. მრევლ. 85; უიარალო, მამელ. 85.

არ უდალატნია სინიდისისათვის: გ. ჩიქოვანი, კრებ. 1948, 533,18; ასევე: მიხ. მრევლ. 158,7; „ლიტ. და ხელოვნ.“ 1952, № 31, გვ. 4.

მშვენიერი ნაწარმოები შეუმატნია ჩვენი ლიტერატურისათვის: ი. გოგებ. I, 136.

თითო წინადაღების მეტი არ გამოუმეტნია: ი. ჯავახ. საისტ. მწერლ. I, 204.

კელი სხვაგან მოუკიდნია: საქ. სიძვ. III, 323 (1797 წ.). ასევე: ი. გოგებ. I, 69; 78.

ჩემს გამდელს სწყენია და ეს უპასუხნია: აკაკი, I, 4; ასევე: ი. ვოგებ. I, 550; ილია, II, 87; „ლიტ. და ხელოვნ.“ 1952, № 31, გვ. 2.

პატარა მოწაფეს უკარნახნია: ს. შანშ. მოთხრ. 317.

სამზარეულოში მოუკალათნია: ნ. ლორთქ. II, 26; ასევე: თ. რაზიკ. 373, 14; ი. გოგებ. მოთხრ. 57.

ორბირობა არასოდეს მიყადრნია: ი. გოგებ., I, 424.

შეც მოვგონებივარ გაჭივრების უამს და აი, გაუმარჯვნია კიდეც: ლ. ქიაჩ. მოთხრ. კრებ. 373.

წეროს დაეპატიჟნა და ქოთანში მოეხარშა საჭმელი: ილია, II, 410; ასევე: მიხ. მრევლ. 3.

სახალხო სკოლისათვის აეკიდნა ჭისერჩე ეს მოვალეობა: ი. გოგებ. I, 101; ასევე: თ. რაზიკ. 211,12; ა. ყაზბ. I, 18; კ. ლორთქ. 380; 385; მიხ. მრევლ. 82.

რადგან ხმის უმეტესობა დაადგენდა, ის უეჭველად თვითეულ წევრსაც უნდა გირსნა: აკაკი, I, 105; ასევე: ი. გოგებ. I, 65, 246.

დაეცა და ვეღარ ადგა, ფრთაში ძალას ეღალატნა: გ. ლეონ. სამგ. 79,4.  
ვერ ჰპოვებდა ვერც ვერაფერს ძლიერს და მტკიცეს, რომ ეხლა ეკარ-  
ნახნა მისოვის: ბარნოვი, ფერად-ფერადი 354,25.

ცდილობდა... ოლერსისათვის თავდაჭერილი ღიმილით ეპასუხნა: მიხ.  
მრევლ. 25. ასევე „კომუნისტი“, 29/III, 1952, გვ. 4.

უინს მეტად გაეტაცნა: ა. ყაზბ. I, 120,23; ასევე: ბარნოვი ფ.ფ. 320,10;  
ბ. ჩხეიძე 558,40; ს. შანშ. 58; ი. გოგებ. მოთხრ. 73:

რომ მოწაფების რაოდენობას ემატნა: ი. გოგებ., I, 266.

რომ თავი არ გამოემეტნა, მეფეც დატყვევებული შეიქნებოდა: ი. გო-  
გებ. მოთხრ. 288.

გადაებოტნა უშველებელს სავსე რუმბზედ: ილია II, 229.

ცეცხლთან... ახლო... მოეკალათნა... კატას: ლ. ქიაჩ. II, 39,55.

მირჩიეს ფასანაურამდე ცხენი მექირავნა: ილია, II, 23.

ზოგთ მკვდრების თავში დაებუღნათ: ი. მაჩაბ. I, 53.

გადაწყვეტილი ჰერნდათ ან გაემარჯვნათ, ან ბრძოლის ველზე დახოცი-  
ლიყვნენ: ი. გოგებ. მოთხრ. 68.

აღნიშნულ შემთხვევებში სუფიქსი გამოდის -ებ სუფიქსის მონაცელედ  
პირველსა და მეორე თურმეობითში მაშინ, როცა აწყოში ზმნა -ებ ნიშნია-  
ნია, რაც შეეხება ~ე სუფიქსიანებს (ჴ-ხელ-ავ-ს), თურმეობითებში გამოვლე-  
ნილი -ნ აქ ანალოგით გაჩენილია. საგულისხმოა, რომ დადასტურებულია  
ზმნის პარალელური ფორმები -ნ და -ებ სუფიქსით ორივე თურმეობითში და  
მათი თანაბარი მნიშვნელობით ხმარება:

-ებ სუ ფიქსით:

ჩიხა-მახოები თქვენთვის მიჩუქებია: გ. ერისთავი, გაყრა, 157.

მეითხაობა მიჩუქებია შენთვის: ილია, II, 214.

აზნაურობა მიჩუქებიაო: ე. ნინოშვ. I, 6,9.

სიცოცხლე უჩუქებია შენთვის: დ. მაჩხანელი, 21,15.

რაკი გაუმინდვრებია და გაუგანია, როგორლაც ის დევგმირული ხმა  
ჩასწყვეტია [თერგს]: ილია, II, 9.

შემცდარხარ, ვერ გიანგარიშებია კარგად: ლ. ქიაჩ. II, 42.

კერძო ინტერესებით არ მისელმძღვანელებია: აქვე, 101..

ქულაჯა ეჩუქებია: გ. წერეთელი, მოთხრ. 448,3, ასევე: ა. ყაზბ. მამის  
მევლ. 211,39; კ. ლოროთქით. 289,3.

შესაძლებლად ვცანი ეს ქალი თეატრში დამეპატიუებინა: ჭ. ლომთ.  
II, 63,1.

ბევრჯერ დაფუპატიუებივარ: გ. წერეთ. 156,3, ასევე ვაჟა, V, 60,2.

დიდისა და საზოგადოსათვის... არ მიღალატებია: აკაკი, I, 72.

რომ დესპინე გაეტაცებინა დილამდე: ე. ნინოშვ. II, 162,3.

საყვარელის შვილდი მოემარჯვებინა: შ. არაგვისპ. 198.

პასუხი ვეღარ მოეხერხებინათ: ა. ყაზბ. ელგუჯა, 122,1. ასევე: აკაკი,  
IV, 405,19.

-6 სუფიქსით<sup>1</sup>:

ფშაველებისათვის უჩუქნიათ პანკისი და ალვანი: «ლიტ. გაზეთი», № 15, 1954, გვ. 4.

[„გოგოთურ და აფშინაში“] ვაჟას თავის თავი უგულისხმია გოგოთურის სახით: იქვე.

სხვა აღარავინ უნდომნია: ილია, II, 325.

„უნდა მეხერხნა რამე, რომ საწყალი გოგო მახეში არ გაბმულიყო“: ილია, II, 89.

კომისია იყო არჩეული, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შეემუშავნა... წესდება: ვ. გუნია, 156.

ფრთხოლობდა მედუქნე — ზედმეტი არ ეანგარიშნა: ს. შანშ. 180.

პარტიის პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ ეხელმძღვანელნა მასების სტიქიურად წარმოშობილი მოძრაობისათვის: „კომუნისტი“, 1954, 14/VII, გვ. 3.

ამგვარად, აქ განხილულ ფუძეებში ცხადია -6 და -ებ სუფიქსების მონაცვლეობა არსებითი ფუნქციური განსხვავებულობის გარეშე. რამდენადაც მეორე თურმეობითი ახალ ქართულში, ჩვეულებრივ, პირველი თურმეობითის ფუძეს ემყარება, ამდენად უანგარიშებია და ეანგარიშნა ტიპი უნდა მივიჩნიოთ ერთი და იმავე ალნაგობის ზმინის ორ შონაცვლე ფორმად, თითოეული მათვანი შეიძლება დასტურდებოდეს ორივე ნაკვთში.

აღწერილ ზმნურ ფუძეთა უმეტესობის დამახასიათებელი ისაა, რომ აწმყო-მყოფადის ფუძეს აქ -ებ სუფიქსი აწარბოებს. მაგრამ ამის შიუხედავად -6 აქაც ჩნდება. იგი გვაძეს ხშირად -ი სუფიქსიან ან ფურდულებად და მარტივთემიან ზმნებში:

ჟე ჯოველი... მოგვიყიდნია: საქ. სიძვ. II, 117.

ერთი ჩითმერლინი უყიდნია: ილია, II, 145.

ჯოგი ველარ გაუყიდნია: მიხ. მრევლ. 99. ასევე: უიარალო, 1954, 85.

„ებილით ხორცი მიგლეჯნია... ჩემი სისხლი მიწოვნია“: ილია, II, 105.

არც ნათესავები დაუხოცნიათ თქვენთვის: ს. შანშ. 15.

ბატონის გული ცხელი ტყვიით გაუხვრეტნია: ა. ფურც. 4.

სოსანას ძლიერ უნდობა თან გაპყოლოდა ან ეშველნა როგორმე მისათვის: ი. გოგებ. მოთხრ. 312. ასევე: მიხ. მრევლ. 218.

კარგი იქნებოდა სასხვისოდ არ-გაეხადნა თავი: ილია, II, 285.

აქ მოეყარნათ თავი ალვანელ მწყემსებს: მიხ. მრევლ. 7.

შელია დიდხანს ილოკავდა თავის იარას... რომ სისხლის დენა შეეწყოფნა: ი. გოგებ. მოთხრ. 78.

ბირველი რიგები წვრისა უკვე ჩამოეკრიფნა... ახალგაზრდობას: მიხ. მრევლ. 71.

ყველა ცდილობდა თავისი გრძნებების ამ ხელისმოწერაში ჩაექსოვნა: მიხ. მრევლ. 16.

საქართველოს დასცემოდნენ და ჩხუბი: აეტეხნათ: ი. გოგებ. 223, 289.

როცა ხეივანს გაივლიდა... წინიდანაც სროლა აეჭეხნათ: ლ. ქიაჩ. II, 71.

არ ვიცოდი, რომ უნდა დამეზლეჭვნა: ს. შანშ. 282.

<sup>1</sup> მაგალითები შეადარე აგრეთვე ზემოთ.

„მიწევნია ულელი“: ილია, II, 40.

სანდრო... ხალხს აივნის მოაჯირთან მეტყულიტნა: მის. მრევლ. 139.

მოყვანილი შაგალითებიდან ჩანს, რომ ზმნის ფუძის აგებულებას - 5 სუ-  
ფიქსის გაჩინისათვის არა აქვს არსებითი ძნიშვნელობა, თუმცა, როგორც  
ჰევმოთ ვნახავთ, მისი შენარჩუნებისათვის ფუძისეულ თანხმოვნებს ერთგვარი  
გავლენა შეიძლება ჰქონდეს.

ରାତ୍ରିମ ଲା ନନ୍ଦନ ଗାହିନ୍ଦା ଏହି -ନ ଶୁଭେଇସି?

ცნობილია, რომ პირველი თურმეობითი აწყობს ფუძეს იყენებს, მეორე თურმეობითი კი წყვეტილის ფუძეს ემყარება. მაგრამ ეს ჩვეულებრივია ახალი ქართულის ზოგი მაგალითის ჩვენებით. საქმე ისაა, რომ სხვა შემთხვევებში პირველი თურმეობითი აწყობს ფუძესაც ცენტრ და წყვეტილისასაც. „თურმეობითი პირველის წარმოების ხსენებული ორი ტიპიდან უფრო ძველი ის ტიპი უნდა იყოს, სადაც მოსავალია აორისტის ფუძე (მეორე ჯგუფის ღრო-თა ფუძე)“<sup>1</sup>. ამდენად სარწმუნოა, რომ ზემოთ აღწერილ ფორმათაგან უფრო ძველია ის ფუძე, რომელშიც -ებ სუფიქსი არა ჩანს. მართალია, -ებ სუფიქ-სიანი წარმოება ძველ ქართულში გვაქვს (მიუღებიერ, მოგიღუად ე-ბიერ...), მაგრამ იგი ერთგვარი ნეოლინგიზმი ჩანს, რასკე სხვათა შორის ახალში ზოგი ზმნის უსუფიქსო ფორმებით ჩშეცვლაც აღასტურებს. ახალი ქართულის მიუღია, მიღვაწია ტიპის ზმნები სალიტერატურო ენის ფუძე-დიალექტების შემნატანი ჩანს.

იგივე შეიძლება ითქვას მეორე თურმეობითის შესახებაც: ახალ ქართულში აქ აწყოს (resp.თურმეობითი პირველის) ფუქეც გვაქვს და წყვეტილისაც. გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითი სავსებით ემთხვევა ე-პრეფიქსიან ზმნათა წყვეტილს: მოქმედებითი და აწერა, და უხოცა; ვნებითი და აწერა, და ეხოცა. ეს და აწერა, და ეხოცა ამავე დროს გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითიცაა. ეს უფრო საგრძნობი, იყო ქველ ქართულში, რაღაც ვნებითის ე-პრეფიქსიანი წარმოება უფრო გავრცელებული იყო ზოგიერთ ფუქეცი, ვიდრე -დ სუფიქსიანი: აღე შენა, აღესრულა, და ემ-ქვდრა, და ემყარა...<sup>2</sup>

ქველ ქართულში სისტემებრ გატარებულია მეორე თურქმენბითის ამგვარი წარმოება. ამოსავალი ფუქა არა პირველი თურქმენბითი, არამედ ნამყო წყვეტილი. ასეთი ვითარება სპორადულად მეცხრამეტე მეოცე საუკუნის ზოგ ქართველ მწერალთანაც შეინიშნება ( შესგავის ვითარებაა ქართული ენის მთას დიალექტებში, აგრეთვე ინგილოურში, ფერეიდნულში, ქიზიურში.)

რამეთუ იგი ნეტარსა დედასა ფეხრონიას განეზარდა და მამისა გრი-  
გოლისრა დაემოწაფა: ხანძთ. პ. ინგოროვყვას გამოც. 87,25.

სიჩხოეთგანვე ღვნოდ და ქორცი არა შექდა პირსა მისსა, ვინათგან  
ქრისტესა განეკუთვნა სული თვესი: იქვე, 14,8.

[გრიგოლ] ოღზრდის იყო პელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა...  
რომელსაცა ეშვილა: იქვე, 14,1.

შემდგომად სამისა ღლისა შევეღით ნავსა, რომელსაც დაეზამთრა. მას ჭალაქსა შინა: საქმე მოციქ. 28, 11.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, თურქებითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება კარ-  
თულში: ლიტერატურული ძეგლანი, III, 1943, გვ. 137.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 368.

და ერჩდეს მას, რამეთუ მრავლით უამითგან გრძნებითა განეკრვნეს იგინი: იქვე, 8,11.

რომელი ბრძოლასა შინა დაშურეს და რომელი მცველად დაეტევნეს, მათ ეგრევე მისცა დავით ნაწილი: კიმ. II, 184,20.

რად წელი დაეყო სუკაძეს ლავრასა განმგებლობასა და სკუთოპოლისსა აღდგუნა მონასტერი: კიმ. II, 216,31.

ესენი იყვნეს, რომელთა შეეჩუნა თქუმული კრებულისა ქალკიდონისად: კიმ. II, 180,6.

და მოემზადა ყოველი საქმარი: კიმ. II, 209,6.

მოვიდეს... ძენი და ცოლი მისი უდაბნოდ, სადა-იგი დაებანაკა მთასა მას სინას: გამოსლვათად, 18,5.

მეფე გიორგის სოფელი ებოძა თქვენთვის: საქ. სიძვ. II, 332 (XVII ს.).

ამის მეტი ამბავი არ ვიცოდი, რომ მოემზესნა: საქ. სიძვ. III, 32, 1787 წ.

მეორე ოქმი კიდევ ამილახვარ მდივანბეგზედ ებრძანა: დოკუმ. I, 65- (1680 წ.).

სიგელი ვნახეთ, ესრეთ ეწერა და გაერიგა: საქ. სიძვ. I<sub>1</sub>, (1611 წ.).

რუს წყალი მარნეულელთ მოენდომათ: საქ. სიძვ. I<sub>1</sub>, 1706 წ.

საყდარი გაეჭითა და გაეახლებინა: თ. ქორდანია, ქართლ-კახ. საბუთ. 33. (1710 წ.).

ბატონს თეიმურაზსცეც ეგრეთ დაემტყიცა: საქ. სიძვ. III, (511, 1710 წ.).

ტაძარი თქუენი სულკურთხეულთა კელმწიფეთა... ალემალლნეს და ედიდ-ნეს: დოკუმ. I, 415, (1746 წ.).

ჯეუფად მომიგროვდა ყოველიფერი, რაც კი დაშეტოვა ჩემს... ქვეყანაში ილია II, 11.

დაეკირგა თვალი ხატებისათვის და ტუჩებს აცმიცუნებდა: ილია, II, 440.

მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშიანობის დროს აქ თავი შე-ეფარაო: ილია, II, 130.

კერასთან ცეცხლის შორი-ახლო ძალი იწვა... თავზედ ბანჯვლიანი ქუდი გადმოეცარა, ცხვირი კუდის ბოლოში წაეყო და ეძინა: ილია, II, 321.

„ვგდებულიყვან ჩემთვის ბაქში, ერთი ლაზათიანად გამომეძინა“: ილია, II, 235.

სულელს ფიქრადაც არ მოუვიდა, რომ თითონ გაეგებინა ყველაფერი:: ილია, II, 209.

ვერ მოეგონა, სად ენახა: ილია, II, 231. ასევე: ს. შანშ. 125; უია-რალო, 114.

ავტორს... უნდოდა... განეზიარა მკითხველისათვის თვისი საგრამატიკო მოსაზრებანი: ი. გოგებ. I, 159.

რომ ნის სისხლისთვის მიმენიჭოს მეფის ღირსება: ი. მაჩაბ. I, 38.

რომ ჩემს დღეში არ წამეჭეზოს ჩემი ხელმწიფე: ი. მაჩაბ. I, 36.

მე ვალად მედო მორჩილება გამომეცხადა: ი. მაჩაბ. II, 16.

გაიგე, როგორ დაემცირა თავი ლორდ ჰასტინგს იმ დედაკაცის წინაშე: ი. მაჩაბ. I, 8.

ცოტა რომ გამექარგა მისი წუხილი, ბაასი ისევ შექსპირზე ჩამოვაგდე: ვ. გუნია, 161.

განიერი... შარებალი წინდებში-ჩაეტანა: კ. ლორთქ. 380.

ნანას არ უნდოდა დაეჯვერა: „ლიტ. გაზ.“ 1954, № 13, გვ. 3.

ამგვარად, კონტექსტის გარეშე გად მოეფარა, ეკურთხა, ჩაეტა... შეიძლება ვნებითის ნამყო წყვეტილიც იყოს და გარდამავალი. ზმინის.

თურმეობითი მეორეც. მაგრამ ეპოქათა განმავლობაში ენის გრამატიკული წყობა იცვლება, იგი უფრო დახვეწილი და სრულყოფილი ხდება, ენა თავი-დან იშორებს ომონიმურ ფორმებს, სცვლის მას უნიფიცირებული ფორმებით. უნიფიკაციის შედეგები გამომედავნდა როგორც ვნებითი გვარის ზმანათა წარმოებაში, ისე თურმეობითი შეორის გამოხატვაში. თუ ძველ ქართულში ვნებითის პრეფიქსიანი წარმოების გვერდით სუფიქსიანი აქა-იქ შეინიშნება (მა-გალითად: გან-ე-მტკიც-ნ-ეს ფერწნი მისნი || გან-უ-მტკიც-ნ-ეს ფერწნი მისნი: საქმე მოციქ. 3,7 ა, გ), ახალ ქართულში უკანასკნელი საბოლოოდ დამკვიდრდა ან მკვიდრდება. ჩვეულებრივია: უპირისპირდება, გაუმჯლავდა<sup>1</sup>, განუმტკიცდა და სხვა<sup>2</sup>, ნაცვლად ეპირისპირდება, გაემჯლავა, განემტკიცა... ფორმებისა. თურმეობითი მეორისათვის კი პირველი თურმეობითის ფუძე იქნა გამოყენებული. ასე, რომ პირველსა და მეორე თურმეობითს შორის ფუძეთა წარმოების მხრივ ძირითადად ისეთი მიმართება დამყარდა, როგორიც ახალ ქართულში აწყობსა და ნამყო უწყვეტელს შორის: გა ა კ ე თ ე ბ ს — გ ა უ კ ე - თ ე ბ ი ა, ხოლო გ ა ა კ ე თ ა — გ ა ე კ ე თ ა წყვილების ნაცვლად სალიტერატურო ენაში გვაქვს: გ ა ა კ ე თ ე ბ ს — გ ა უ კ ე თ ე ბ ი ა — გ ა ე კ ე თ ე ბ ი ნ ა. ამიტომაა, რომ მეორე თურმეობითის ზემოთ მოყვანილმა ფორმებმა გადმონაშოთის სახე მიიღო და უმეტეს შემთხვევაში -ებ-ი-ნ-ა დაბოლოებით შეიცვალა: და ე კ ე ი რ ვ ა — და ე კ ე ი რ ვ ე ბ ი ნ ა, და ე მ ც ი რ ა — და ე მ ც ი რ ე ბ ი ნ ა, გ ა მ ე ქ ა რ ვ ა — გ ა მ ე ქ ა რ ვ ე ბ ი ნ ა და ა. შ.

მაგრამ მეორე თურმეობითში -ებ აღმოჩნდა იმ შემთხვევებში, როცა იგი პირველ თურმეობითშიც მიიპოვებოდა. სხვა შემთხვევაში ამის ადგილზე -ნ სუფიქსი შეინიშნება. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მეორე თურმეობითის ფორმები ეკურთხ-ნ-ა (ი. ჯავახიშვილი, საისტ. მწერლ. I, 169) და ეკურთხ-ე-ნ-ა ერთდროულად, მაგრამ სხვადასხვაგან ჩნდება. მათ გამოყენებაში თავდაპირველად დიალექტური სხვადასხვაობა შეიმჩნევა (-ებ უფრო დასავლური ფენის კუთვნილება ჩანს). ასე თუ ისე, ამ სუფიქსების გამოყენებას შედეგად მოჰყვა გარდაუგალი ზმის ნამყო წყვეტილისა და, გარდამავალთა მეორე თურმეობითის ფორმათა განსხვავება. საგულისხმოა, რომ -ნ სუფიქსის განყენება მეორე თურმეობითში, განსაკუთრებით ისეთ ზმნებთან, რომელთაც აწყობში -ებ ნიშანი არა აქვთ, გარკვევით ავლენს და-პირისპირებას ნამყო წყვეტილსა და თურმეობითს შორის გარდამავალ და გარდაუგალ ზმნებში:

### ნამყო წყვეტილი

შეელახა = შეილახა მისი

### თურმეობითი მეორე

რომ... თავმოყვარეობა მისი არ შემე-ლახნა: ი. გოგებ. I, 311.

„იქნებ არ წასულა და მე დამზადა“: მაგიდას დაყრდნობოდა და სახე მქლა-ა. ყაზბ. 533.

კებში ჩაემალნა: ს. შანშ. 58.

გაძლა ცხვარი და დაეყარა: თ. რაზიკ. აქ. მოყვარნათ თავი ალგანელ მწყემსებს: 210, 1.

მიხ. მრევლ. 7.

მაგდენი ფიქრით ფერი სულ დაე- თუნდაც თოვი არ დაეყარგნა: ს. შანშ. კარგა: შ. არაგვისპირელი, II, 517.

269.

<sup>1</sup> შდრ. გამოგვემლავება: ილია, II, 1941, გვ. 171.

<sup>2</sup> ივ. ქავთარა ა. ე, ზმის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 311.

ნამყო წყვეტილი  
დაეხარჯა=დაიხარჯა მისი

აქციდა=აქციდეს მას

დაებადა=დაიბადა მისი

ებრძოლა=ბრძოლა გაუმართა

შოელაპარაკა=მოლაპარაკება აწარ-  
მოვა

ეთამაშა=ითამაშა მასთან

თურმეობითი მეორე

იმის დრო ხომ მქონდა, რომ მეგობ-  
რებში... დრო დამეხარჯნა: „ლიტ.-  
გაზ.“, 27.VII.1954, გვ. 4.

შესაძლოდ რაცედა... სკოლისათვის  
აეკიდნა კისერზედ ეს მოვალეობა:  
ი. გოგებ. I, 101.

ამ მოვლენას უნდა დაებადნა ის უც-  
ნაური შეცდომა: ი. გოგებ. I, 176.

ყველა საწარმოს რომ... მეტი ენერგიით  
ებრძოლნა: „კომუნისტი“, 8.IV.1952.

„ჩე მინდოდა დათიკოსთან მომელაპა-  
რაკნა“: ილია, II, 99.

იმის დრო ხომ მქონდა, რომ ამხანაგებ-  
ში პრეფერანსი მეთამაშნა: „ლიტ.-  
გაზ.“ 1954, 27.VII, გვ. 4.

**ამგვარივეა წარმოებით გაეხადა და გაეხადნა, დაეკითხა და დაეკითხნა,**  
**შოეთხოვა და მოეთხოვნა, ჩაეკუცა და ჩაეკუცნა და რიგი სხვა, რაც ლიტე-  
რატურაში იხმარება.**

(რაც შეეხება პირველ თურმეობითს, აქ -ნ სუფიქსი მეორე თურმეობით-  
ში გაჩენის იმავდროულად ვლინდება. ასე, რომ ძნელია თქმა — იგი აქ მეორე  
თურმეობითის ანალოგიით იყოს გაჩენილი<sup>1</sup>. ეს მით უფრო ნაკლებ სარწმუნოა,  
რომ პირველი თურმეობითი ზოგჯერ სხვაგვარატაა ნაწარმოები, ვიდრე მეო-  
რე (შდრ. დაეხარჯნა და დაუხარჯავს...). თუ ანალოგიაზე მიღდგა საჭმე, მა-  
გრი ან ირივე თურმეობითში ანალოგიით შეიძლება იყოს გავრცელებული. და  
ამ ანალოგიის საფუძველი, როგორც ეს აღნიშნულია, ისეთი ზმნები იქნებოდა,  
რომელთა ფუქტი -ნ მოიპოვება (შო ვ-ნ-ა, პოვ-ნ-ა, მოთხოვ-ნ-ა და მისთ.).  
დამახასიათებელია, რომ -ნ სუფიქსი დინამიკური გარდამავალი ზმნების თურ-  
მეობითშია, ხოლო სტატიური გარდაუვალი ზმნების აწმონში იგი არ შეიძ-  
ლება. ამიტომ გვაქვს, ერთი მხრით: უხარია, უწერია, უთესია, უყე-  
ნია (ურემი ეზოში უყენია), და, მეორე მხრით: უხარ-ნ-ი-ა, უწერ-ნ-ი-ა, უთეს-ნ-ი-ა,  
უყეს-ნ-ი-ა, უმოუყენ-ებ-ი-ა. მართალია, უკანასკნელი ფორმები უზმნისწი-  
ნოდ არ იხმარება (და ამითაც განსხვავდება სტატიური აწმონსაგან), მაგ-  
რამ -ნ-ს გამოვლენა მაინც ანგარიშგასაჭევია:

გაუხარნია მის ჭროლა თვალსა: ს. მგალობლ. I, 180,4.

ვისაც სიყრმეში არ გაუხარნია: კ. გამსახურდია, დიდოსტ. 82,21.

ცოტაოდენი სიკეთე დაზითესნია: ი. გოგებ. I, 314.

(მაგრამ ძირითადი განსხვავება -ნ სუფიქსიანი ზმნებისა სხვა ფორმები-  
საგან აქცი მანც ამოსავალი ფუძის თავისებურებაში მდგომარეობს; -ნ სუ-  
ფიქსი გვხვდება ისეთი საშუალი გვარის ზმნებში, რომელთაც გარდამავალ  
ზმნათაგან აქვთ ნასესხები ფორმები, ანდა სათავისო ქცევას აწარმოებენ

<sup>1</sup> შდრ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 455, § 493.

განსხვავებულად<sup>1</sup>. ამიტომ ძირიბადად პარადიგმი ასეთია: ხარობს — გაიხარა — გაუხარნია; ახარებს — გაახარა — გაუხარებია.

ვინ იცის, რამდენი ... ქვრივი თუ ობოლი გაგიხარებიათ სიმართლით? ლ. არდაშ. 167,9.

[ბალახი] დამინერგავს გულში და ... ცრემლიზ გამიხარებია: ა. ჭუმბაძე, 190,10.

დაამუშავებს—დაამუშავა—დაუმუშავებია; მუშაობს—იმუშავა—უმუშავნია: ჩემთვის მიმუშავნია: საქ. სიძე. III, 529, (1789 წ.).

მოძღვარს სვინდისიერად უმუშავნია: ი. გოგებ. I, 149.

რაც გიორგი მთაწმიდელს უმუშავნია: ი. ჯავახიშვ. I, 148.

ახალგაზრდობასთან ბევრი უმუშავნია სტუდიის მთავარ რეჟისორს: „კომუნისტი“, 1952 წ. 28.II, გვ. 3. და ა. შ.

აგემებს — აგემა — უგემებია; იგემებს — იგემა — უგემნია:

ბევრს თქვენგანს ზამთრის სუსხი ამის მეტად არ უგემნია: თ. რაზიკ. 377,5.

ვისაც ოდესშე სიყვარული გამოიცდია, მას უგემნია თვით სიკვდილი: კ. გამსახურდია, ღიდოსტ. 233,22.

ასესხებს — ასესხა — უსესხებია; ისესხებს — ისესხა — უსესხნია:

რაც მედიცინაში უებარი წამალია, ეჭიმებს ხალხისაგან უსესხნია: ი. გოგებ. I, 156.

ბევრჯერ გვისესხნია მისგან ფული. გ. წერეთელი, 177,11.

დააფიქრებს — დააფიქრა — დაუფიქრებია; ფიქრობს — იფიქრა — უფიქრნია: დიდხანს ალარ უფიქრნია: ილია, II, 78.

ილიკოს გაქცევა ალარ უფიქრნია: ი. ეკალაძე, რჩ. 9,18. ასევე: თ. რაზიკ. 231,17; ე. ნინოშვ. II, 228,23...

ავტორს ყველაფერი წინდაწინვე მოუფიქრნია: ი. ჯავახ. საისტ. მწერლ. I, 67.

ამგვარადვე უნდა აიხსნას უსაუზმნია (ს. შანშ. 297), ულაპარაკნია (ნ. ლორთქ. თხ. 162), უავადმყოლენია (ფ. გოგიჩაიშვილი, ი. გოგებ. კრებ. 280) უმოქმედნია (შდრ. აქაკი, I, 106; „კომუნისტი“, 1952 წ. 29.III, გვ. 4), უნადირნია (გ. წერეთ. 382,30), უქეიფნიათ (ილია, III, 26), დაუძინია და დაუძინებია ზმნების ხმარება თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურასა და ვრესუში.

მართალია, -ნ და -ებ სუფიქსების გამოყენებაში ასეთი განაწილება იგრძნობა, მაგრამ ეს არაა ძველი მოვლენა; მათი მონაცელება მათი ოდინდელი ერთობის მაჩვენებელია. ამგვარი მონაცელება ერთსა და იმავე ფუტეში ზევითაც აღინიშნა: გაუმარჯვნია || გაუმარჯვებია; დაუმსახურებია || დაუმსახურნია (ი. გოგებ. I, 158); დაუმართებია || დაუმართნია (ლ. ქიაჩ. II, 26) და სხვ.<sup>2</sup> დანარჩენ შემთხვევებში -ნ ფონეტიკურ მიზეზთა გამო არა ჩანს, თორემ -ებ სუფიქსის მონაცელედ ის ივარაუდება: დასკლია || დასკალებია, ჰყოლია || ჰყოლებია ტიპის ფორმები

<sup>1</sup> ამის მიხედვით არის განსხვავებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ფორმები: გაიჭრიალებს — გაუჭრიალნია; დააძახებს — დაუძახებია; დაუძახნია, თუმცა -ნ და -ებ სუფიქსების ხმარებაში ნორმატულობის პრიციპი არაა დაცული: აინავარდებს — აუნავარდნია, მაგრამ: გაინავარდებს — გაუნავარდნია || გაუნავარდებია; გაუტაცნია || ჭუტაცებია...

<sup>2</sup> შდრ. დააძახ-ებ-ინა-ს მნიშვნელობით იმერხეულში დაძახნია (იმან ემრი ქნა, თულალს დააძახნია: TP. VII, გვ. 61).

ამის დამაღასტურებელიც. თუ ფონეტიკური პირობა დამაბრკოლებელი არაა, -ნ სუფიქსი თითქმის ყოველთვისაა წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ რამდენი-მე ვნებითი გვარის ზმნაში დღეს სალიტერატურო ენაში -ნ სუფიქსის გავრცე-ლებისაკენ უფროა მიღრევილება: შეს ცივდა — შეს ცდნია (შდრ. შე-სცივებია), მოჰშივდა — მოჰშივნია (შდრ. მოჰშივებია), ასტკივდა — ასტკივნია (შდრ. ასტკივებია), მოუნდა — მოსდომნია (შდრ. მოსდო-მებია), ჯანი გავარდა — ჯანი გავარდნია (ილია, II, 160) და ა. შ.

( მაგრამ ასეთი წარმოება ყველგან არ დამკვიდრდა. ვნებითი გვარის ორა-პირიან ზმნათათვის თურმეობით. პირველში ხან -ენ სუფიქსიანი ფუქეა (და-სავლურ დიალექტებში უპირატესად), ხან მასდარის ფუქე: დახვდა: და-ხვდომია და დახვდენია; მოუკვდა: მოკვდომია და მოკვდენია, დარჩა: დარჩომია და დარჩენია, გადახდა: გადახდომია და გადახდენია.

-ენ სუფიქსიანი ფორმები აქ იმ სიბრტყეზე უნდა იქნეს განხილული, რაზედაც დამართნია ტიპის ზმნებში. ეს კია, რომ -ენ აქაც ახალია<sup>1</sup> და ორი ვარიანტიდან უფრო ძველია ის, რომელიც მასდარის საზიარო ფუქეს იყენებს: ამგვარად, ამ რამდენიმე ზმნასთან გამოვლენილი -ენ სუფიქსი გვა-ფიქრებინებს, რომ -ე ხმოვანი უნდა მიუძლოდეს -ნ თანხმოვანს ყველა ზემოთ-განხილულ ზმნაში. ასეთი სუფიქსი სხვა შემთხვევაშიც გვაქვს: შდრ. აღაგზებს, და აღვაგზენ:

სიბორგილსა აღვზებს: ექუსთა დღეთად, 102,23.

აგზებდეს მღდელი იგი შეშასა: ლევიტ. 6,2.

რათა შეუგზნან ალი ცეცხლისად: კიმ. II, 24,7.

მართალია, ასტკივდა — ასტკივნია ვნებითი გვარის ზმნაა, მაგ-რამ -ნ სუფიქსი ყველგან ვნებითის როდია თურმეობითებში. ეს სუფიქსი-სხვა ნაკვთის ფორმაშიც გვაქვს და არავნებითშიც. საზოგადოდ, ვნებითის ნიშნად მისი მიჩნევა გაჭირდებოდა. მაგალითების შესწავლით ირკვევა, რომ: იგი ჩნდება ერთსა და იმავე დროს პირველსა და მეორე თურმეობითში. თუ: პირველ თურმეობითშია, მეორეშიც გადაჲყვება (შდრ. მოსულიყვნენ იოსებ-თან და შეხვეწნოდნენ: საქ. სიბ. III, 376, 1796 წ.). რიცხეს მნიშვნე-ლობა არა აქვს: მხოლოდითშიაცა და მრავლობითშიც. ამგვარად, მიციდნია, გამიტენია ზმნებში ვერ იქნება -ნ ვნებითისა ისევე, როგორც სხვა ზმნებში, რომელთა სინტაქსური მნიშვნელობა გარკვევით მოქმედებითია. ისიცაა მხედ-ველობაში მისაღები, რომ -ნ სუფიქსის ხმარებას თურმეობითში ასე თუ ისე. სისტემური ხასიათი ეძლევა XIV—XV საუკუნეებიდან. ცნობილი კია, რომ ამ დროისათვის -ნ, როგორც ვნებითის სუფიქსი, გვდარია. ის არ იხმარება აღარც. ნასახელარ ფუქეთა ვნებითის საწარმოებლად, არც მით უფრო სხვა ზმნებში.

დასტურდება, რომ ეს -ნ ( $\leftarrow$  -ენ) ზმნური ფუქის ისეთივე საწარმოებე-ლი. სუფიქსია, როგორიც -ან, -ონ, -ევ და სხვები, გამოყენებული სხვადასხვა სერიის ფორმებში<sup>2</sup>. ეს -ნ გვქონდა ერთი ტიპის ზმნებში და მათი ანალო-გით აქაც გავრცელდა. ყურადღებას იქცევს -ნ ( $\leftarrow$  -ენ) სუფიქსის ხმარება რიგ შემთხვევაში იქ, სადაც<sup>3</sup> სხვა მაგალითების მიხედვით -ებ სუფიქსიცაა.

<sup>1</sup> შდრ. გადახდომია || გადახდენია და გადახედია (ს. შანშ. 5): ხედ ( $\leftarrow$  წედ). ფუბჭურთვის -ენ.

<sup>2</sup> შდრ.. დაიცავს — დაიცევს, დავადგურ...

ცნობილი (მოუ-მატ-ებ-ია || მოუ-მატ-ნ-ია ...). რამდენადაც სარწმუნოა, რომ სახელისა და ზმინის ფუქრში -ებ სუფიქსი ერთი და იგივე ოდენობაა გენეტურად და ისტორიულად<sup>1</sup>, ხოლო სახელის მორფოლოგიურ კატეგორიაში გამოყენებული -ნ და -ებ სუფიქსები სემანტიკურად აგრეთვე ერთი და იგივეა<sup>2</sup>. ამდენად ცხადია, რომ -ნ-ს იგივე ფუნქციია აქვს მოუმატ-ნ-ია-ში, რაც -ებ-ს ამავე მოუმატ-ებ-ია-ში. ამ სუფიქსების გაჩენასა და დამკვიდრებას რამდენიმე შემთხვევაში შეგვიძლია კიდეც ვაღევნოთ თვალი ქართული ენის ისტორიაში. ცნობილია, რომ ძველ ქართულში სტატიკური ზმნა მარტივი ფუძით იხმარებოდა ჰ-მატ-ს. როდესაც ახალ ფორმათა წარმოების შესაძლებლობა და საჭიროება წარმოიშვა, დიალექტების მიხედვით სხვადასხვა სუფიქსი იქნა გამოყენებული, ერთი მხრით: მოუ-მატ-ებ-ია, მეორე მხრით: მოუ-მატ-ნ-ია, მაშასადამე: ვუ-მატ-ებ || ვუ-მატ-ენ<sup>3</sup>... სწორედ ისეთ შემთხვევებში აქვს აღგილი-სუფიქსთა მონაცემების, როდესაც ზმინის ფუძე ოდინდელი მარტივი ფუძეა, და თემატურ ნიშანთა დართვა, ასე ვთქვათ, ჩვენ თვალშინ ხდება. ლიტერატურაში დასტურდება და იკვენებს და და იკვენენ ნის<sup>4</sup>, ამიტომ რომ რომ შესაძლებელია ი-კვენ-ს, რაც ამოსავალია ორივე მათგანისათვის:

— ეგ რა არის? მე კი არ დავდგებოდი ხოლმე გაჭენებულ ცხენზე ჩემ პატარა ბიჭობაში! — დაიკვეხა ლუარსაბმა.

— ნუ იკვეხ.

— განა კვენისათვის ვამბობ? (ილია, II, 196),

ვერც ერთი კავკასიის ნაწილი ვერ დაიკვეხებდა ამისთანა მყუდროებას = ი. გოგებ. I, 407.

(ბუნებრივია, რომ ორი ასეთი სუფიქსის გამოყენებას შემდეგში დაკავშირებოდა სათანადო დიფერენციაცია მნიშვნელობის მიხედვით. -ნ სუფიქსი გამოყენებული იქნა წყვეტილის ვნებითისაგან მოქმედებითის მეორე თურმეობითის გასარჩევად<sup>5</sup>, ერთი მხრივ, აქტივისა და შედიოთაქტივის ფორმათა სალიფერენციაციოდ, მეორე მხრივ<sup>6</sup>, თუმცა ამ სუფიქსის გარეშეც თურმეობითში რიგი ზღნური ფუძე იხმარება ახალ ქართულში:)

დაუგიწყია („მნათობია“. №6, 1954, გვ. 128), გიკისრია (აკაკი, 153).

უკიისრია (ი. მაჩაბ. II, 249,19), გაუტაცია (გ. ლეონიძე, 442,18),

დაუკიდიათ (ი. ელეფთერიძე, 51,24), დაუმახა (შ. არაგვისპ. I, 126),

მისაუბრია (ლ. ქიაჩ. 146), დაჭხოცია (კ. ლორთქ. 24,5; მიხ. მრევლ-99), ამოუკენია (ს. შანშ. 41)...

მენახა (ილია, II, 11), გაგეხეთქა, გაგეფარა (ილია, II, 424), აკრიფა (მიხ. მრევლ. 137), გაემარჯვა (უიარალო, 24), გადაეტეხა (მიხ. მრევლ. 126),

<sup>1</sup> ივ. ქავთარაძე, ზმინის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში: 1954, გვ. 93.

<sup>2</sup> ა რ ნ. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ.გვ. 72—73.

<sup>3</sup> ზმინის თემატურ სუფიქსთა მონაცემებით დიალექტთაგან ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს მესხურ-ჯავახური (აკეთ-ებ-ს || აკეთ-ენ-ს... შ. ძირიგული, ქართული დიალექტოლოგიდან, 1954, გვ. 142. ა. მარტიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: პუშკინის სახელობის თბილისის პედ. ინსტიტუტის შრომები, 1950, ტ. VIII, გვ. 295).

<sup>4</sup> შდრ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, 1953 წ., სვ. 361.

<sup>5</sup> ა. შანიძე: ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ.გვ. 452—453, § 492.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 421, შდრ. გვ. 488.

ამოციონთა (მიხ. მრევლ. 81), მეპასუხა (ს. შანშ. 315), გაემართათ (ს. შანშ. 109), აკადა (ს. შანშ. 17), ეკადრა (ი. გოგებ. 73), დაეზილათ (ილია, II, 264), დაენახათ (ილია, II, 252), ჩაეშალა, შეელახათ (ი. გოგებ. 295), ემუშავა, ეცხოვრა („კომუნისტი“, 1951, 16.II) მოყარათ (ილია, II, 426), ჩამოეფხატა (ილია, II, 24), გაეჩხათ, გაეტეხათ (ა. ყაზბ. I, 22), ეყიდა (ა. ყაზბ. I, 13), დაეპატიუჟათ (ს. კლდ. 169, 14), მოეზარჯვა (ს. შანშ. 104), მოეკალათათ (ბა-ჩანა, 371, 20). ეგულისხმა (ა. შანიძე, გრამატ. საფუძვლ. 29, ქვ. 6).

შინაარსობრივი განსხვავებისათვის -ნ-ს გამოყენება მეორეული, შედა-რებით გვიანდელი მოვლენა ჩანს. თავდაპირველი მისი ფუნქცია—ზმნური ფუძის სავრცობად გამოყენებაა. პირველი თურმეობითი ეყრდნობა ძველი პერმანენტის ფუძეს, რომელსაც შემდეგში ცნობილი -ავ, -ებ აფიქსები ჯერ კიდევ არ მოუდიოდა. ამიტომ თეს-ი-ს — უთეს-ი-ა ტიპი უფრო ძველია, ვიდრე თესავს — უთესავს. ეს უკანასკნელია ძველ ქართულში გამომუშავებული, წიგნური ტრადიციით განმტკიცებული და ლიტერატურულ ნორმად და-მკვიდრებული. დანარჩენ შემთხვევებში ამნაირი ფორმები სწორედ ამოსავალ ფუძეში განსხვავებული ვითარებით უნდა აიხსნას. თუ აწმყო იხმარებს ფორმას გვიდასტურებს, პირველ თურმეობითში მოსალოდნელია მოუხმა-რებია, ხოლო იხმარს, ცვეთს, კვეთს, ტესს... ტიპის ფუძეებში ასევე გაუვრცობელ ფუძეს გამოიყენებს თურმეობითიც. ოღონდ ანალოგით -ნ სუ-ფიქსიანი ფორმებიცაა დადასტურებული<sup>1</sup>.

თუ -ნ ზმნური ფუძის საწარმოებელი სუფიქსია, რატომ არაა აუ-ცილებელი მისი ხმარება ყველა ამ ტიპის ზმნაში? -ნ, მართლაც, არ გვხვდება ყველგან. ზოგჯერ ერთი წინადაღებაც კი მის ხმარება-უხმარებლო-ბას გვიდასტურებს<sup>2</sup>. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ -ნ სალიტერატურო ენაში გამოყენებით ჯერ კიდევ ახალია და ფართოდ გავრცელებული არაა. -ნ სუფიქსის ნაკლებ გავრცელებაში გარკვეულ შემთხვევებში უდავოდ წილი უძევს ფონეტიკურ პროცესს: ლ, რ, ნ ნარნარა თანხმოვნებზე დამთავრებულ ფუძეებთან იგი უმეტეს შემთხვევაში იკარგება. უსარგებლივ (ი. ჯავახ. 88) და ესარგებლა (ი. ჯავახ. 73), გამოულაშერია || გამოულაშერ-ნია (იქვე, 247), ეცხოვრა || ეცხოვრნა (იქვე, 185) კი მისი გაუჩინარება თან-ხმოვანთა შეჯგუფებით უნდა აიხსნას. ამიტომა ყოველთვის: გაუშლია, ჩაუყრია, მოუხდია... მაგრამ ჩვეულებრივ: გაეშალნა, ჩაეყრნა, მოეხდნა...

კითხვა ისმის: რა პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს ამ სუფიქსის გამოყენება, აქეს თუ არა ფართოდ გავრცელების პერსპექტივა, შეიძლება თუ არა დამკვიდრდეს იგი საყოველთაოდ დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში?

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგრენმა სახელმწიფო კო-მისიამ ამ კითხვას 1936 წელს უარყოფითად უპასუხა და პარალელურ ფორ-

<sup>1</sup> შედარებით ერთფეროვნებას ამ მხრივ ვპოულობთ იაკობ გოგებაშვილის ნაწე-რებში: უხმარნა (I, 88), შეაჩვენათ (I, 138), აეტენათ (მოთხ. 223)..

<sup>2</sup> არაა ჩვეულებრივ ილიას ნაწერებში, თანამედროვე მწერალთა ნაწერების დიდ უმეტესობაში, პერსის ენაში.

მათაგან—დაუჭერ ია || დაუჭერ ნია, გაუტეხია || გაუტეხ ნია... მართებულად ჩათვალა და მიღლო პირველი<sup>1</sup>.

მართლაც, -ნ სუფიქსი თურმეობითების ფორმებში არც ისე ძველი მოვლენაა სალიტერატურო ენაში. მართალია, თითქმის ხუთი საუკუნის ისტორია აქვს მის ხმარებას ქართლურ-კახურ დიალექტებში, მაგრამ იგი უპირატესად შეინიშნება ისეთ ფუძეებში, რომლებშიც სხვა ნიშნები იყო უკვე გამოყენებული (-ავ, -ამ, -ებ...). საგულისხმოა ისიც, რომ -ნ სუფიქსი თანაბრად არაა გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში დღეს. ზოგმა დამალექტმა იგი სრულებით არ იცის (ხევსურული, თუშური, თშაური, მესხურ-ჯავახური, ოჭული, იმერული, გურული...). მდენად, დღევანდელ ქართულ მეტყველებაში იგი ჯერ კიდევ არაა საქმიოდ გავრცელებული.

-ნ სუფიქსი თავდაპირველად შეიმჩნევა ქართლურ-კახურში, როგორც ზმნური ფუძის საწარმოებელი ნიშანი. შემდეგში იგი გამოყენებულ იქნა გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების სხვადასხვა ნაკვეთების სადიფერენციალი კონკრეტული დანიშნულება გაუჩინარებულია—ამითაც აიხსნება, რომ -ნ სუფიქსიანი და უსუფიქსო ფორმები ან გვერდი—გვერდ იხმარება (მიყიდია || მიყიდნია; ამეტეხა || ამეტეხნა<sup>2</sup>. „ლიტეგაზ.“ 1954, 27.VIII, გვ. 4). ან სრულებითაც არა გვაქვს იგი... მიუცია—მიეცა, აულია—აელო, დაუგდია—დაეგდო, შეუქია—შეექო, გაუზრდია—გაეზარდა—გაეზარდა, დაუკლია—დაეკლო, განუცდია—განეცადა, გაუშვია—გაეშვა, შეჰვედრია, დასტეხია, ჩაჰკეცია, დამალებია და ა. შ.

შემთხვევით დამსგავსებული სხვადასხვა ნაკვთის ფორმათა გარჩევისათვის -ნ-ს გამოყენების აუცილებლობა სრულებითაც არ იგრძნობა, განსხვავება—უმისოდაც გვაქვს კონტექსტში როგორც მორთოლოგიურად, ისე სინტაქსურად. მორთოლოგიურად: ერთი ტიპის ზმნების დიდი წილი უზმნისწინოა და უთემისწინო, მეორე ტიპისა კი ზმნისწინიანი ან თემისწინიანი. შდრ. მუშაობს და დაა მუშავებს: უმუშავია<sup>3</sup> და დაუმუშავებია; ვარჯიშობს და ავარჯიშებს: უვარჯიშია და უვარჯიშებია...

რაც შეეხება მეორე თურმეობითს, იგი ახალ სალიტერატურო ქართულში—ებ სუფიქსიან ზმნებთან უფრო და უფრო ფართოდ იყენებს პირველი თურმეობითის ფუძეს, ძალიან იშვიათად ნამყო წყვეტილისას: აწმყო: გაიტაცებს, დატოვებს, დაბადებს, უღალატებს, აჰკიდებს... თურმეობითი პირველი: გაუტაცებია, დაუტოვებია, დაუბადებია, უღალატებია, აუკიდებია... თურმეობითი მეორე: გაეტაცებინა, დაეტოვებინა, დაებადებინა, დაებადებინა, ეღალატებინა, აეკიდებინა... (და არა გაეტაცა ან გაეტაცნა და მისო.).

სინტაქსური საფუძველი ამ განსხვავებისა იმაში მდგომარეობს, რომ მესამე სერიაში სხვაგვარია ქვემდებარე-დამატებისა და შემასმენლის ურთი-

<sup>1</sup> სალიტერატურო ქართულის ნორმები, I, 1936, გვ. 34—39: სადაც საკითხები დროთამე სამე ჯგუფის წარმოებისას (არნ. ჩიქობავას მოხსენების მიხედვით).

<sup>2</sup> ასეთი ფაქტები შეინიშნება ი. გოგებაშვილის (მოთხრ. გვ. 48, შდრ. გვ. 51), ილიას (II, 264; 259), აკაის (თავგადას. 428; 447), ი. ეკალაძის, შ. არაგვისპირელისა და სხვათა ნაწერებში.

<sup>3</sup> -ნ სუფიქსიან ფორმებს (უმუშავია, უმსახურნია, უვარჯიშნია...) გხვდებით მხოლოდ ქართლურ-კახურში, რომლის გავლენითა და მიბაძვითაც აიხსნება მათი ხმარების. შემთხვევები მხატვრულ ლიტერატურას და პრესაში.

ურთობა, მეორეში—სხვაგვარი: მეორე სერიაში (ნამყო წყვეტილში), როცა შემასმენელი ე-პრეფიქსიანი ვნებითია, მას ქვემდებარეც ითანხმებს მრავლობით რიცხვში და გარეკვეულ შემთხვევაში ირიბი დამატებაც:

დაეღუპა შვილი სანათას

დაეღუპნენ შვილები სანათას

დაეღუპათ შვილი ფშაველებს.

მეორე თურმეობითში კი შემასმენელს ითანხმებს მხოლოდ რეალური სუბიექტი, ირიბი დამატება არა გვაქვს, პირდაპირი დამატება ჩვეულებრივ არ ითანხმებს. ამას გარდა, განსხვავებას სხვადასხვა ტიპის ზმნებში, -ნ შუფიქსის გარეშე, ზმნასთან შეწყობილი პირებიც იძლევა: უმუშავია, უმსანურია—მას; დაუმუშავებია, დაუმსანურებია—მას იგი.

ამგვარად, ფორმათა გასარჩევად უფრო არსებითი ნიშნები და კონტექსტი გვაქვს. სხვა საშუალების გამოყენება ამ დანიშნულებით გამოიწვევდა ფორმათა სიჭრელეს ენაში. თუ კი ასეთი საჭიროება მხედველობაში არაა მიღებული და მითქვამს, მიმალავს, მინახავს (აწყო, resp. თურმეობითი პირველი) ფორმების გვერდით დაშვებული არაა სალიტერატურო ენაში მითქვია, რა ამიმალია, მინახია (საკუთრივ თურმეობითისათვის), ცხადია, ამგვარივე უნდა იქნეს დამოკიდებულება—ნ სუფიქსის მიმართაც.

უყიდია—უყიდნია, გაეტეხა—გაეტეხნა, უმუშავია—უმუშნია... ისეთ მიმართბაშია ერთმანეთთან, როგორმიაც გაჰყიდვოდა—გაჰყიდვიყო, გასტეხოდა—გასტეხიყო, დამუშავებოდა—დამუშავებიყო... ძველია და უფრო გავრცელებული პირველი სახეობები.

ამგვარად, -ნ სუფიქსიანი ფორმები სრულებით გაუმართლებელია ისეთ უძეებში, რომელთაც აწყო-მყოფადში აწარმოებს -ავ, -ამ, -ებ სუფიქსები. პარალელურ ფორმათაგან: დავიწყებია || დავიწყნია || დავიწყია || დაუკიდებია || დაუკიდნია || დაუკიდნია; დაეტოვებინა || დაეტოვა... უნდა დარჩეს მხოლოდ -ებ სუფიქსიანი, როგორც უფრო ძველი და გავრცელებული; გრამატიკულად სწორი და სალიტერატურო ენის განვითარების პერსპექტივისათვის შესაფერისი. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა უმუშავნია. ტიპის ზმნათა (ე. წ. მედიოაქტიურ გარჯიშობს, ფიჭრობს, ცხოვრობს, ნადირობს, საღილობს, საუზმობს, ტრიალებს, ლაპარაკობს, ქადაგობს, ყარაულობს, უძახის, მოქმედებს, ყბედობს, არშიყობს, ნაგარდობს...) შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ -ნ სუფიქსიანი ფორმები აქ, ამ ბოლო დროს თითქოს უფრო ვრცელდება და სალიტერატურო ენაშიც ლამობს დანერგვას.

И. И. КАВТАРАДЗЕ

## ОБ ОДНОЙ ОСОБЕННОСТИ ОБРАЗОВАНИЯ ВРЕМЕН И НАКЛОНЕНИЙ III СЕРИИ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

### Резюме

В современном грузинском литературном языке в первом и во втором результивативном (заочном) распространено употребление суффикса -б (← -ებ) -п (← -ენ). Этот суффикс, так же как и -ებ -ებ и другие тематические суффиксы, употребляется для образования глагольных основ разных времен и наклонений. В формах I и II результивативного у глаголов разного строя данный суффикс систематически встречается с XV века. Иногда -б -п заменяет более древний и распространенный суффикс -ებ -ებ. Самое широкое использование суффикса -б -п замечается в картлийском и кахетинском диалектах. В силу этого в современном грузинском языке имеется разнобой: გაუტაცებია gauṭacebia || გაუტაცება gauṭacnia || გაუტაცია gauṭacia ‘он, оказывается, похитил его’; გაეტაცებინა gaetacēbina || გაეტაცნა gaetacna || გაეტაცა gaeṭaca ‘им, оказывается, было похищено то’.

Первоначально применение этого суффикса не было связано с различием функций этих форм, в дальнейшем же наблюдается употребление суффикса -б -п для дифференциации, с одной стороны, второго результивативного переходных глаголов от аориста непереводных глаголов (დაეხატა daeħata ‘он нарисовался для него’ и დაეხატნა daeħatna ‘им, оказывается, было нарисовано то’), с другой стороны, каузатива от медноактивных глаголов в первом результивативном (უთამაშნია utamashnia ‘он, оказывается, играл, и უთამაშდნია utamashdnia ‘он, оказывается, заставил его играть’).

Однако такое различие удается установить и без суффикса -б -п в контексте благодаря разным морфологическим и синтаксическим способам, которые скорее подходят к нормам и перспективам развития современного грузинского языка, являясь более древними и распространенными.

6. ნათარე

მესამე სრულის დრო-კილოთა წარმოებისათვის  
შართულები

დრო-კილოთა მესამე სერია დამახასიათებელია სამიუე ქართველური ენისათვის. პირველი და მეორე სერიისაგან განსხვავებით მესამე სერიის ნაკვთა ცალკე სერიად გამოყოფის საფუძველს წარმოადგენს არა ამო-სავალ ფუძეთა ერთობა, არამედ წარმოების ერთგვარობა (ინვერსია გარდა-მავალ ზმნებთან და ოწყერითი წარმოება გარდაუვალებთან) და შინაარსობრივი მსგავსება. პირველი და მეორე სერიისაგან მესამე სერიის ისიც ასხვავებს, რომ მასში შემავალ ნაკვთებს არა აქვთ წარმოების მსგავსი ყალიბი სხვადა-სხვა ტიპის ზმნებისათვის. ერთმანეთს უპირობის მერივ, გარდა-მავალი ზმნები, რომელთაც ნაწილობრივ ორპირიანი გარდაუვალებიც მიჰყება, და, მეორე მხრივ, ერთპირიანი გარდაუვალი ზმნები. ამდენად მესამე სერიის ნაკვთების წარმოება სხვადასხვა ტიპის ზმნებთან სხვადასხვა ოდენობას წარ-მოადგენს როგორც ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ისე ისტორიულად. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ამ მხრივ ყველა ტიპის ზმნათა მესამე სერიის ნაკვთები სრულ იგივეობას გვიჩვენებენ როგორც ახალსა და ძველ ქართულში, ისე მეგრულსა და სვანურში.

გარდამავალი ზმნის დატიური კონსტრუქცია, რომელიც დამახასიათებე-ლია ქართველური ენებისათვის, მხოლოდ მესამე სერიის ახასიათებს. ამდე-ნად გარდამავალი ზმნის დატიური კონსტრუქციის საკითხი ქართველური ენებისათვის მესამე სერიის ნაკვთა გენეზისის საკითხია. დატიური კონ-სტრუქცია გარდამავალი ზმნისა სპეციალურ ლიტერატურაში შეორეულად არის მიჩნეული ერგატიულ და ნომინატიურ კონსტრუქციებთან შედარებით. არნ. ჩიქობავა წერს: „ინვერსიული წყობა, სადაც ამოსავლად გარდამავალი ზმნა გვაქვს, მეორეულია: უკლავს ←→ კლავს, უკლა ←→ უკლა || კლა, უკლა ←→ უკლას || კლას. აქედან ცხადია, რომ თურმეობითის ნაკვთები შეიძლებოდა წარმოქმნილიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიქმნა ის ნაკვთები, რომელთა ინვერსიის გზითაა მიღებული თურმეობითი პირველი, თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე. ეს კი ნიშნავს: გარდამავალ ზმნებთან დატიური კონსტრუქცია უფრო ახალია, ვინებ ნომინატიური და ერგატიული კონსტრუ-ქციები“<sup>1</sup>.

(რაც შეეხება დატიურ კონსტრუქციას გარდაუვალ ზმნებთან, აქ ის უძვე-ლესად არის მიჩნეული. ის არამცთუ არ გულისხმობს, ნომინატიური. კონ-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ. 5.

სტრუქციის ნაკვთთა არსებობას, რომელთა ინვერსიის გზითაც ის იქნებოდა მიღებული, არამედ შეიძლება ნომინატიურსა და ერგატიულ კონსტრუქციაზე ძველიც იყოს. არნ. ჩიქობავას აზრით „ეს ზმნები (იგულისხმება გარდაუვალი ინვერსიული ზმნები: აქვს, ჰყავს, უყვარს, სძულს, სწადს, სწყურის.—ნ. ნ.) დიდი სიძეველისაა; მათთან დატიური კონსტრუქცია გაცილებით უფრო ძველია, ვინემ დატიური კონსტრუქცია გარდამავალ ზმნებთან, უფრო ძველია, ვინემ ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქცია იმავე გარდამავალი ზმნებისა. გარდაუვალ ზმნათა დატიური კონსტრუქციის სიბრტყეზე შეიძლება დადგეს უფლიერს, უპყრიერს, ჰმოსიერს... ზმნათა დატიური კონსტრუქციაც: აქ საქმე გვაქვს სტატიკური ზმნების საობიექტო ქცევასთან, რაც ინვერსიულ წყობას იძლევა“<sup>1</sup>.

ამგვარად, ერთსა და იმავე დროს დატიურ კონსტრუქციის ქართულში გვიჩვენებენ, ერთი მხრივ, გარდაუვალი ზმნები (გარკვეული ტიპისა) და, მეორე მხრივ, გარდამავალი ზმნები მესამე სერიაში, სადაც დატიური კონსტრუქცია ნომინატიური კონსტრუქციის მქონე ნაკვთთა ინვერსიის გზითაა მიღებული. ამასთან მეორე შემთხვევაში დატიური კონსტრუქცია გაცილებით უფრო ახალია, ვიდრე პირველში. ამ კონტექსტში ბუნებრივია დაისვას საკითხი დატიური კონსტრუქციის ამ ორი შემთხვევის ურთიერთმიმართების შესახებ: რა კავშირშია გარდამავალი ზმნის დატიური კონსტრუქცია გარდაუვალი ზმნის დატიურ კონსტრუქციასთან? უკავშირდება გენეტურად პირველი მეორეს თუ საქმე გვაქვს დატიური კონსტრუქციის დამოუკიდებლად წარმოშობის ორ შემთხვევასთან? თუ უკავშირდება, ნაშინ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ გარდაუვალი ზმნის ინვერსიული ფორმებიდან გარდამავალი ზმნის დატიური კონსტრუქციის განვითარების მექანიზმი? თუ არა, მაშინ როგორ უნდა ავსნათ ინვერსიის წარმოშობა გარდამავალი ზმნის ფორმებში? აი საკითხები, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვენ მესამე სერიის ნაკვთთა წარმოების შესწავლისას.

1. გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველის სრულ ანალოგიას წარმოების მხრივ, როგორც ალნიშნულია, გვიჩვენებს გარდაუვალი სტატიკური ზმნის აწყობ. ეს ითქმის როგორც სტატიკური ვნებითის შესახებ, ისე ზოგი სხვა -აგ, -ამ თემის ნიშნიანი ზმნის შესახებაც, რომელიც მნიშვნელობით სტატიკურ ვნებითს უდგება. მსგავსება თურმეობით პირველსა და სენინგული სტატიკური ზმნების აწყობს შორის იმაში იჩენს თავს, რომ გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველის წარმოებაში არ გვხვდება არც ერთი ისეთი ყალიბი, რომელიც არ გვქონდეს სტატიკური ზმნის აწყობში.

2) გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველის დამახასიათებელი ძველ ქართულში არის -ი-ე დაბოლოება, რომელსაც III. პირში პირის ნიშანი -ხ, -ნ ან -დ და მრავლობითი რიცხვის ნიშანი -ან ან -ედ ერთვის (მრავლობითის ნიშნის დართვისას თურმეობითის დამახასიათებელი -ე აღარ ჩანს):

უმზადებიერს მას იგი (კიმ. 1,134)

დაუტეობიან მას იგინი (ანტიოქ. 93).

ეგვე წარმოებაა წარმოდგენილი სტატიკური ზმნის (სტატიკური ვნებითის) აწყობში:

ზე აღუპყრიელ (წარტყ. იტ)

შიფლობიერს (იქვე, მდ)

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პროცესი იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ. 5.

„რამეთუ ხედვითცა არა მიფლობიერ ხილვად მისი.“ მიფლობიერ აქ აწყობა.

უფლიერ (იქვე, გვ.)

მგონიერ (სახისმეტყ., გვ. 8)

ჰეონიერ (იქვე, გვ. 10)

უმტკმიერ (იქვე, გვ. 28)...

( ახალ ქართულში ამგვარი წარმოება არა გვაქვს. -იგ(ხ) დაბოლოების ადგილი დაიგირა -ია დაბოლოებამ მესამე პირში და -ი-ვარ -ი-ხარ დაბოლოებამ—პირველსა და მეორე პირში. ეს ცვლილება თანაბრად შეეხო როვორც გარდამავალი ზმის თურმეობით პირველს, ისე სტატიკური ვნებითის აწყობას. მაშასადამე, მოყვანილი ტიპის წარმოებაში არც ძველსა და არც ახალ ქართულში თურმეობით პირველსა და სტატიკური ვნებითის აწყობას შორის განსხვავება არ არის.)

სტატ. ვნებითის აწყობა

თურმეობითი პირველი

უბნევია

გაუბნევია

უგლია

დაუგლია

უნთია

აუნთია

უწყვია

დაუწყვია

( ბ) -ავ, -ამ თემის ნიშნიანი გარდამავალი ზმნებისათვის თურმეობითი, პირველის წარმოების გაბატონებული ყალიბი ძველსა და ახალ ქართულში არის უნიშნობა. ფუძე თურმეობით პირველში, თუ არ ჩავთვლით პრეფიქსებს, წარმოდგენილია იმავე სახით, როგორითაც აწყობიში.

აწყობა

თურმეობითი ძველ ქართ.

ვ-კლავ მე მას

მო(ვ)უკლავ მე მას

ჰ-კლავ შენ მას

მოუკლავ შენ მას

კლავ-ს იგი მას

მოუკლავ-ს იგი მას

ახალ ქართულში თურმეობითის I და II პირის ფორმებს დაერთო მეშველი ზმნა: მოუკლავარ მე მას, მოუკლავხარ შენ მას. ამგვარი წარმოება მხოლოდ -ავ, -ამ თემის ნიშნიან ზმნებთან არის შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში მისი გამოყენების მაგალითები არა გვაქვს.)

ასეა გარდაუვალ სტატიკურ ზმნებთანაც, რომელიც სპეციალურ ლოტერატურაში „სტატიკურ ვნებითად“ არიან მიჩნეული<sup>1</sup>. ასეთი ზმნებია:

-ავ თემის ნიშნიანი:

ვნებავს (წარტყ. გვ.)

უხილვედ: თუალნი ზე უხილვედ (სახისმეტყ. 30)

უძლავს (დაბადება, 32,25)

სძინავს (შლრ. ნამყოში ეძინა)

-ამ თემის ნიშნიანი:

ჩასტევამს (გრარი რამ ჩასტევამს შუბის წვრად: ვაჟა-ფშაველა,

„ბახტრიონი“)

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 327.

ახალ ქართულში ოოგორც სასაუბრო მეტყველებაში, ისე დიალექტებში არის გათანაბრების ტენდენცია -აფ, -ამ თემის ნიშნიან ზმნათა თურმეობითი პირველის ფორმებისა დანარჩენ ზმნათა თურმეობითის წარმოებასთან, სახელდობრ აფ, -ამ თემის ნიშნების მაგიერ ჩნდება -ი-ა დაბოლოება; მაგ.:

მოუკლავს	მაგრამ	ამბობენ:	მოუკლია
ჩაუსხამს	"	"	ჩაუსხია
უთქვამს	"	"	უთქვია და სხვ.

ანალოგიური ტენდენცია სტატიკური ზმნის აწმყოშიც შეინიშნება. ძველ ქართულში დაღასტურებული -აფ თემის ნიშნის აღგილას ახალ ქართულში -ი-ა დაბოლოებიანი ფორმა გვაქვს:

ძვ. ქართ. უძლავს                  ახ. ქართ. შეუძლია  
უხილვედ                  უხელია

ოოგორც მაგალითებიდან ჩანს, ძველიცა და ახალი ქართულიც არჩევს. ერთი მხრივ, -აფ, -ამ თემის ნიშნიან ზმნებს და, მეორე მხრივ, ყველა დანარჩენებს როგორც თურმეობით პირველში, ისე სტატიკური ზმნის აწმყოში. გათანაბრების ტენდენციაც ორივე შემთხვევაში შეინიშნება. ეს გარებოება გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველისა და სტატიკური ზმნის კავშირზე მიუთითებს. ამ მხრივ საყურადღებოა ხევსურულის ჩვენებაც, საღაც ყველა ზმნის -ი-ა დაბოლოებიანი წარმოების აღგილას გვაქვს -აფ ნიშნიანი წარმოება, განურჩევლად იმისა, სტატიკური ზმნის აწმყოს ეხება საქმე თუ გარდა მავალი ზმნის თურმეობით პირველს. ხევსურულში გვაქვს:

სტატიკური ზმნა	თურმეობითი პირველი
ლგულავ (=პგულებია)	გიქნავ (=გიქნია)
ხყიდავ (=ჰყიდია)	ამილავ (=ამილია)
უსხავ (=უსხია)	მინებებავ (=მინებებია)
აჩნავ (=აჩნია)	წაუყვანავ (=წაუყვანია)
ხყენავ (=პყენებია)	გამიგონავის (=გამიგონია)
უჭერავ (=უჭერია)	გაუგონავ (=გაუგონია) და სხვ..

ოოგორც ვხედავთ, ხევსურულში არის იმის საწინააღმდეგო ტენდენცია, რომელიც სალიტერატურო ქართულში შეინიშნება. თუ სალიტერატურო ქართულში -აფ, -ამ თემის ნიშნიანი ზმნები -ი-ა ტიპის წარმოებაზე გადადის და ამით უნიფიკაცია ხდება, ხევსურულში ყველა ტიპის ზმნათა წარმოება -აფ თემის ნიშნიანებისას გაუთანაბრდა. ეს ტენდენციები მხოლოდ სტატიკური ზმნის აწმყოში და გარდამავალი ზმნის თურმეობით პირველში შეინიშნება. მაშასადამე, ამ ორი ოდენობის ურთიერთკავშირის გაგება ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა ენაში.

2. ოოგორც გარტვეულია სპეციალურ ლიტერატურაში, გარდამავალი ზმნა თურმეობით პირველში შეიძლება წარმოდგენილი იყოს პირველი სერიის. ფუძითაც და მეორე სერიის ფუძითაც. ფუძეთა გარჩევის კრიტერიუმად გამოყენებულია თემის ნიშნის ქონა-არქონა, ფუძის კუმშვა. და ფუძის დრეკ-

**ჟა.** ამ თვალსაზრისით თუ დავყოფთ სტატიკური ვნებითის აწმყოს ფორმებს, მივიღებთ ორ ჯგუფს, რომელთაგან ერთი წარმოდგენილი იქნება იმ ფუძით, რომელიც პირველ სერიაში გვაქვს, ხოლო მეორე იმ ფუძით, რომელიც მეორე სერიაში გამოყენებული.

ა) რიგ სტატიკურ ზმნას აწმყოში აქვს თემის ნიშანი, რიგს—არა. თემის ნიშნები აქვთ: პბურავს, აკრავს, უჭირავს, პხურავს... თემის ნიშნები არა აქვთ: აბია, აბადია, აბეჭდია, აგდია, აგროვია, ავალია, უკავია, უკითია, ალაგია, ჰმარხია და სხვ.

ბ) ფუძედრეკადი ზმნები ჟველა უკლებლივ წარმოდგენილია თურმებით პირველში უდრეკელი ფუძით. უდრეკელი ფუძით არის წარმოდგენილი სტატიკური ზმნაც აწმყოში:

აბნევია, უბჯენია, აკმევია, უმწყვდევია, ურევია, ურჩევნია, აფრქვევია, უჭირია, უჰყეტია, უხელია, უხვევია... გამონაკლისი არ არსებობს.

გ) ფუძეუმშევადი ზმნები თურმეობით პირველში წარმოდგენილია შეკუმშული ფუძით. ასეა აწმყოში სტატიკური ვნებითიც:

ჰლერია, ჰყრია, ჰშლია, სჩრია...

არის შემთხვევები (სულ ოციოდე ზმნა), როცა სტატიკური ზმნა აწმყოში უთემისნიშნოდა წარმოდგენილი, მის შესატყვის მოქმედებითს კი თურმეობით პირველში თემის ნიშანი აქვს. მაგ.: უეთია—უკეთებია, ხატია—დაუხატავს და სხვ. ეს მოვლენა თვეის ახსნას საჭიროებს.

(სტატიკური ზმნების დიდი ნაწილი აწმყოში იმავე ფუძით არის წარმოდგენილი, რა ფუძითაც წარმოდგენილია თურმეობითში მათი შესატყვისი მოქმედებითი. მაშასადამე, თურმეობითი პირველი და სტატიკური ზმნის აწმყოშეგვასია არა მარტო სუფიქსაციით; არამედ ფუძითაც.)

სტატიკურის აწმყო.

მოქმედებითის თურმეობითი

უპყრიეს

დაუყპრიეს

უბილვედ (სახისმეტყ.)

უხილავს

ჰრთავს (მ 13,27 C)

დაურთავს

ჰმოსიეს

შეუმოსიეს

ჩასდგამს.

ჩაუდგამს.

აგდია.

დაუგდია

ავლია

დაუვლია

ანთია

აუნთია

და მრავალი სხვა.

3. სვანურში გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველი (ანუ ნამყო სრული) იწარმოება — ა სუფიქსის საშუალებით<sup>2</sup>.

ეს — აწარმოებს როგორც გარდამავალი, ისე რელატივური გარდაუეალი ზმნის თურმეობითს, მაგავსად ქართული წარმოებისა. მაგ.:

შიმპრ-ა

მიმზადებია

ამახტევენ-ა

დამხატვია

ჯიმპრ-ა

გიმზადებია

აჯხატევენ-ა

დაგხატვია

ხომპრ-ა

უმზადებია

ათხატევენ-ა

დახატევია

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პროცესში იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ. 92.

<sup>2</sup> ვ. თოფურია, სვანური ენა, ზმნა, გვ. 174.

იგივე - ა გვხვდება სტატიურ ზმნათა გარევეული ჯგუფის აწმყოში, იმ ზმნებისა, რომელიც მნიშვნელობით ქართულის სტატიურ ენებითს უდგებია:

ხამთქუა (სჩვევია), ხაჭონა (ახვევია), ხადრა (აწერია), ხაფრა (აფარია) და სხვები.

ეს - ა სუფიქსი, რომელიც გვხვდება სტატიური ვნებითის აწმყოსა და თურმებით პირველში, თავისთავად ამ ორი ნაკვთის ისეთსავე კავშირზე შიუთითებს, როგორიც გვაქვს ქართულში „წერია—დაუწერია“ ფორმებს შორის. ასეთი ურთიერთეკავშირის ნათელ ილუსტრაციას სგანურში წარმოადგენს „წვა“ ზმნის მაგალითი.

ქა წვა (ჩანს) — მიწვა (მინახავს)

აგრეთვე: ხორკალა (ურეკია: სტატ. ვნებითი) — ქა ხორკალა (გაურეკავს): „ჩარა ყვილ სგვებინ ხორკალა“ (სგანურია პოეზია, გვ. 8).

ამგვარად, თურმებითი პირველის კავშირი სტატიური ვნებითის აწმყოსთან სგანურში ფაქტია.

4. თურმებითი პირველის კავშირი სტატიური ზმნის აწმყოსთან ნათლად ჩანს მეგრულშიც. თურმებითი პირველი ისევე ეყრდნობა სტატიურზ ზმნის ფორმას (იმ შემთხვევაში, როცა შესატყვისი სტატიური ზმნა მოებოვება), როგორც ქართულსა და სგანურში.

ჭარუნ (წერია)

მიჭარუნ (მიწერია)

შდრ. ქა წვა (ჩანს)

მიწვა (მინახავს)

უბყრიეს

დაუბყრიეს

წერია

მიწერია, დამიწერია.

ყურადღებას იქცევს გრამატიკული სუბიექტის პირთა აღნიშვნა მეგრული გარდამავალი ზმნის თურმებით პირველში. პირველსა და მეორე პირში შეხლოობითში გამოიყენება -ქ სუფიქსი, მესამე პირში — -ნ, ხოლო მრავლობითში -თ I და II პირისათვის და ან III პირისათვის. ამათში -ქ სუფიქსი მხოლოდ აწმყოში გვხვდება ყველა ზმნასთან, -ნ მხოლოდ აწმყოში გარდაუვალ ზმნასთან (ძუ-ნ—ძევს; ჭარუ-ნ—სწერია), -თ ყველა ნაკვთში და -ან რამდენიმე ნაკვთში აწმყოს ჩათვლით<sup>1</sup>. ეს იმას მოწმობს, რომ თურმებითი პირველი მეგრულში არათუ აწმყოს ფუძეს ეყრდნობა, არამედ ფორმით თვით არის აწმყო.

5. როგორც დავინახეთ, თურმებითი პირველი გარდამავალი ზმნისა, სამსავე ქართველურ ენაში ემთხვევა თავისი შესატყვისი სტატიური ზმნის აწმყოს. საერთო გამოდის ფუძე, საჭარმოებელი აფიქსები, წარმოების ყალიბის ევოლუციის ტენდენციები. ამდენად, ამ ორი ოდენობის ურთიერთეკავშირი ფაქტია.

როგორლა არის ეს შესაძლებელი? რატომ არის, რომ ერთი და იგივე ფორმა გამოდის ერთ შემთხვევაში როგორც სტატიური ზმნა, მეორე შემთხვევაში როგორც მოქმედებითი; ერთ შემთხვევაში როგორც აწმყო, მეორეში — როგორც წარსული? ეს მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი; რომ თურმებითი პირველი გარდამავალი ზმნისა ისტორიულად არის არა წარსული,

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ქართულშიც თურმ. პირველი გრამატიკული სუბიექტის პირთა აღნიშვნისათვის პირისა და რიცვის მხოლოდ იმ ნიშნებს იყენებს, რომლებიც აწმყოში იჩმარება: მხ. -ნ, -ნ; -დ, -ა, მრ. -ან, -ედ.

არამედ აწმყო, შეიძლება, ვთქვათ, „აწმყო სრული“ ისეთივე მნიშვნელობისა, როგორი მნიშვნელობაც აქვს „პერფექტის“ თანამედროვე ევროპულ ენებში. მისი ფუნქციაა აღნიშნოს დასრულებული მოქმედების ფაქტი, აღნიშნოს, რომ მოქმედება მომხდარა, სულ ერთია — როდის, და მოცემულ მომენტში უჩვე დასრულებულია.

თურმეობითი პირველის წარმოშობის ნათელ სურათს იძლევა „უპყრიეს“ ზმნა. ამ ზმნის თავდაპირველი მნიშვნელობა არის მხოლოდ აწმყო. ის აღნიშნავს, რომ არსებობს (სტატიკურად) სუბიექტის მიერ ობიექტის პყრობის ფაქტი, აქედან კი განვითარებულია თურმეობითი პირველი (უპყრიეს, დაუპყრიეს). რომ მნიშვნელობის ამგვარი ევოლუცია შესაძლებელია, ეს ჩანს ერთ-პირიანი გარდაუვალი ზმნის თურმეობითი პირველის მაგალითზე. „წარსულ ვარ“ აშეარად აწმყოა, ამასთან სტატიკური, „წარსულვარ“ — დინამიკური ზმნაა წარსულში ისეთივე მნიშვნელობისა, როგორიც არის „დაუპყრიეს“. „წარსულ ვარ“ ფორმიდან „წარსულვარ“ ფორმამდე ევოლუცია ქართულის წერილობითი ისტორიათ არის დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს. მაშასალამე, ბუნებრივია „უპყრიეს — დაუპყრიეს“ შემთხვევაშიაც ანალოგიური შინაარსობრივი ევოლუცია ვივარაულოთ

როგორც ქველი, ქართული, ისე სხვა ქართველურ ენათა მონაცენები მხარს უჭირენ იმ აზრს, რომ თურმეობითი პირველის პირვანდელ მნიშვნელობად სწორედ ეს „აწმყო სრულის“ მნიშვნელობა ვცნოთ და მისი მნიშვნელობის სხვა ნიუანსები შემდეგ განვითარებულად მივიჩნიოთ. საილუსტრაციოდ შეიძლება პირველ რიგში მოვიყენოთ ახალი ქართულიდან კითხვითსა და უარყოფით წინადადებებში თურმეობითი პირველის ხმარების მაგალითები. ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „ეს სურათი გინახავს?“, „მოსკოვში არ ვყოფილვარ“, „სრულებით მოყლებულია თურმეობითობის გაგებას და მხოლოდ იმას გამოხატავს, რომ ზმნის აღნიშნული მოქმედება დასრულებულად იყარა-უდება ამ მომენტისათვის.

ამ მნიშვნელობით გვხვდება თურმეობითი პირველი წართქმით წინადადებებშიც („ამისთანები ბევრი მინახავს“), ოლონდ აქ უფრო ხშირად თურმეობის ნიუანსი სძლევს.

თურმეობის გაგება მესამე სერიის ნაკვთებში საერთოდ ნაკლებად იგრძნობა სვანურში. დამხასიათებელია ამ მხრივ, რომ გარდა მესამე სერიისა სვანურს არაინვერსიული თურმეობითიც აქვს გამომუშავებული. ქველ ქართულშიც თურმეობითი პირველი ისეთ შემთხვევაში იწარება, როცა აღსა-ნიშნია მოქმედება, რომელიც მომხდარა შეცემულ მომენტამდე, სულ ერთია — როდის, და ჩენ მისი შედეგების მიხედვით ვმსჯელობთ. საილუსტრაციოდ შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა ქველი ქართულიდან. საყრდენებოა, რომ იმ შემთხვევებში, როცა ქართული ოთხთავი თურმეობით პირველს ხმარობს, გერმანულ ოთხთავში უმეტეს შემთხვევაში პერფექტის ფორმებია გამოყენებული:

თქუნენ არასადა ჭმა მისი გესმა, არცა ელვად მისი გიხილავს (ი 5,37)

Jhr habt nie weder seine Stimme gehört noch seine Gestalt gesehen.“

უამი ჩემი არღა აღსრულებულ არს (ი 7,8)

Meine Zeit ist noch nicht erfüllt.

ეს მცნებად მომიღებიეს მამისა ჩემისაგან (ი 10,18).

Solch Gebot habe ich empfangen von meinem Vater.

მე მიძლევიეს სოფელსა (ი 16, 33).

Ach habe die Welt überwunden.

6. ოოგორც სტატიური ვნებითის, ისე თურმეობითი პირველის დამახსაიძებელი -ი-ე დაბოლოების პარალელურად მესამე პირში -ი-ა ტიპის წარმოებაც გვხვდება ტველ ქართულში, მაგრამ იშვიათად. I და II პირში ამ ეარიანტით ნაწარმოები თურმეობითი I ტველ ქართულში ჩვენ მიერ შესწავლის ძეგლების მიხედვით არ ჩანს, -ი კი ყოველთვის არის სტატიკურ ვნებითშიც და თურმეობითშიც როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში.

სტეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს -ი იგივეა, რაც ხოლმეობითის -ი. მაგრამ ხოლმეობითის -ი გვხვდება აგრეთვე მრავალი ზმინის აწმყოში. საკითხავია, რა გზით არის ეს -ი მოსული თურმეობით პირველში? გადმოყოლილია ის როგორც ხოლმეობითობის გაქვავებული, ფუძეს შეხორცებული ფორმანტი ხოლმეობითი მეორიდან (თუ თურმეობითი ხოლმეობითის ფუძეს იყენებს), თუ გადმოსულია სტატიკური ვნებითიდან? (ხოლმეობითს მაშინ მონაბეჭდით იმდენად დაუკავშირდება, რამდენადაც აწმყოს -ი იგივე ხოლმეობითის -ი არის).

ვფიქრობთ, მეორე შესაძლებლობა უფრო სარწმუნოა. ჯერ ერთი, თუ დავუშვებთ -ი სუფიქსის გადმოყოლას ხოლმეობითიდან, მაშინ ის ძნელი ასახსნელი იქნება სტატიკურ ვნებითში, სტატიკური ვნებითისა და თურმეობითის ფორმანტთა იგივეობა კი ფაქტია. მეორეც, ის აუხსნელი დარჩება იმ ზმინებში, რომელთაც აწმყოში -ი არა აქვთ, თურმეობითში და სტატიკურ ვნებითში კი აშერად პირველი სერიის ფუძით წარმოგვიდგებიან. ასეთებია ფუძედრებითი ზმინები: უფენია — დაუფენია, აფრქვევია — დაუფრქვევია, უდრეკია და სხვ. ამგვარი ნაგალითები მოწმობს, რომ -ი თურმეობითი პირველის საკუთარი მაწარმოებელია და არა გადმოყოლილი მოქმედებითი ზმინის ხოლმეობითი მეორიდან. -ი-ე დაბოლოება ქართულის წერილობითი ძეგლებით დადასტურებული ისტორიის ჩანდილზე უკვე თურმეობითის საკუთარი მაწარმოებელია. მისი ხმარება მორფოლოგიურ ნორმად არის ქცეული.

ეს გარემოება ხსნის ერთ-ერთ დაბრკოლებას გარდამავალი ზმინის თურმეობითი პირველისა და სტატიკური ვნებითის აწმყოს დაკავშირებისათვის, სახელდობრ ინას, რომ რიგ ზმნას აქვს თურმეობითი პირველი, მაგრამ არ მოეპოვება შესატყვისი სტატიკური ვნებითი (მაგალითად, „უქრია“ ტიპის ზმინები). თუ -იე/-ია ფორმანტით წარმოება მორფოლოგიურ ნორმად არის ქცეული უკვე უძველეს ქართულში, შესაძლოა ამ მორფოლოგიური ნორმის განვითარება „უქრია“ ტიპის ზმინებზედაც ვივარაუდოთ.

მეორე და უმთავრესი დაბრკოლება თურმეობითი პირველისა და სტატიკური ვნებითის დაკავშირებისათვის ის არის, რომ თურმეობითი პირველი იყენებს მოქმედებისათვის დამახასიათებელ თემის ნიშნებს: -ებ, -ობ, -ოვ, -ებ. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად ამ მოქმედებითის ფუძისათვის დამახასიათებელი სუფიქსების გამოყენება თურმეობით. პირველში შეიძლება და ზმინის გააქტიურებით არის გამოწვეული. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ამ ფრთხის ნიშნების გამოყენება მაინც უკრძალებილავდა თურმეობითი პირველისა და სტატიკური ვნებითის აწმყოს ურთიერთკავშირის ფაქტს. ასეთ შემთხვევაში, როცა თურმეობითის ფუძეში მოქმედებითის სუფიქსები ჩანს, ამოსავლად დაგვრჩებოდა მასდარი, რომელიც მოქმედებითი ვევრის ზმინებიდან გადმოყოლილ ნიშნებს შეიცავს: ცნობა—უცნობიეს, ცემა—მიუცემიეს... ასეთი ვარაუდის საბუთად ისიც გამოდგებოდა, რომ ორპირიანი გარდაუკალი ზმინის

თურმეობითი პირველი, რომელიც აგრეთვე -ი-ე ტიპის წარმოებას მისდევს, აშკარად მასდარის ფუქსის იყენებს:

დგას	ადგენს	დომა	დასდგომია
წევს	აწვენს	წოლა	დასწოლია
ძლება	აძლობს	ძლომა	მისძლომია
წვდება	აწვდენს	წვდომა	მისწვდომია
უძლვება		ძლოლა	გასძლოლია
ჯდება		ჯდომა	დასჯდომია
იცის		ცოდნა	სცოლნია.
რჩება	არჩენს	რჩომა	დარჩომია (შდრ. რჩენა—დარჩენია)
სკდება	ხეთქს	სკდომა	გაჰსკდომია...

ზემოთქმულს ისიც დაუჭერდა მხარს, რომ -ი-ე ტიპის წარმოება სტატიკურ ზმნებთან უძველესი მოვლენაა. იგი გულისხმობს წარმოებას არაზმნური (სახელური ან გაუდიფერენცირებელი) ფუქსისაგან. მაშასადამე, ამ ყალიბით მასდარისგან ზმნის წარმოება, ე. ი. მისი ზელახლა „გაზმნავება“ მოულოდნელი არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ეს წარმოება (სტატიკური ვნებითის შემთხვევაში) დღეს. სახელურ ფუქსებთან გვხვდება: აქვავია, აშავია და სხვ.

7. თურმეობით პირველში ძველსა და ახალ ქართულში -ი-ს წინ ხშირად ჩნდება -ნ. ახალ ქართულში განსაკუთრებით ხშირია ეს აღმოსავლურ კილოებში.)

ძვ. ქართულის  
გიპოვნიეს

ახ. ქართულში.  
გიპოვნია  
გითოხნია  
გითხოვნია  
გიკოცნია  
გიტყორცნია  
გცოდნია  
უყიდნია  
ულეწნია  
უსესხნია

ამ -ნ-ს წარმოშობა ნათელი არაა. მორფოლოგიური ფუნქცია ზას არა აქვს არც დღეს, არც ქართულის წერილობით ძეგლებში. ის ფუქსი შესული უძველესი სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს. ის გვხვდება ზოგი ზმნის პირიან ფორმებში: კოცნის, თოხნის, ტყორცნის. ამ ზმნების თურმეობითში ის შეიძლება პირიან ჭურომიდან. მომდინარედაც მიგვეჩნია. შაგრამ რჩება „გცოდნია, გიპოვნია, გითხოვნია“ ზმნები, სადაც -ნ პირიან ფორმებში არ არის. ასეთ ზმნებში ის მასდარიდან მომდინარედ უნდა ვცნოთ. ამდენად, თურმეობითისთვის აქაც მასდარი უნდა ვიგულოთ ამოსავლად. სხვა შემთხვევებში -ნ ანალოგით შეიძლება იყოს გაჩენილი, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული.

არსებობს თურმეობითში -ნ-ს გაჩენის სხვა ახსნაც. მას ხსნიან იმ -ნ-ს ანალოგით, რომელიც თურმეობით მეორეში გვხვდება. ამგვარი ახსნა რომ მართებული იყოს, მაშინ -ნ სისტემატურად უნდა ყოფილიყო თურმეობით პირველში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ -ნ მომდინარეობს -ენ სუფიქსისაგან, რომელიც ზმნის ფუქსის მაშარმოებელია (ივ. ქ. ა. ვ. თ. ა. რ. ა. ძ. ე).

თუ ნათქვამი სწორი აღმოჩნდებოდა, მიეკლებდით ასეთ სურათს: თურ-მეობითი პირველი იქნებოდა იგივე სტატიკური ზმნის აწმყო „უპყრიეს“ ტიპის ზმნებში და -ავ, -ამ თემის ნიშნიან ზმნებში, რომელთაც შესატყვისი სტატიკური ვნებითი აქვთ. აქედან -ი-ე ყალიბით წარმოების გავრცელებას-ვივარაულებდით, ერთი მხრივ, „უქრია“ ტიპის ზმნებზე (რომელთაც შესატყვი-სი სტატიკური ვნებითი არ მოეპოვება) და, მეორე მხრივ, თემის ნიშნიან მასდარებზე, რომლებიც გამოყენებული გამოვიდოდა როგორც ფუძე თურ-მეობითის წარმოებაში. უცნობიეს — უცნია, მიუცემიეს — მიუცია ტიპის და-პირისპირება აისხებოდა, როგორც ერთი და იმავე ზმნის პარალელური წარ-მოება ორივე ვარიანტით.

8. ქართული თურმეობითი პირველისა და სტატიკური ვნებითის -ი სუ-ფიქსის შესატყვისი მეგრულში არის -უ.

მიტახ-უ-ნ (მიტეხია), შდრ. ძ-უ-ნ (ძევს)

მიჭარ-უ-ნ (მიჭერია), ჭარ-უ-ნ (სწერია)

ეს -უ თემის -უნ ნიშნის ნაშთად ვერ მიიჩნევა, რადგანაც სისტემებრ-გატარებულია როგორც იმ ზმნათა თურმეობითში, რომელთაც ეს თემის ნიშანი აქვთ, ისე იმ ზმნათა თურმეობითშიც, რომელთაც ეს თემის ნიშანია არა აქვთ.

ტახნს (ტეხს) გუტახ-უ-ნ (გაუტეხია)  
მაგრამ:

რაგადანს (ლაპარაკობს) ურაგად-უ-ნ (ულაპარაკია)

ქართულის თურმეობითი პირველის დაბოლოების -ე ელემენტის შესა-ტყვისი მეგრულში არ მოიპოვება.

ქართული თურმეობითი პირველის -ა სუფიქსის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს არის „ას“ მეშველი ზმნის ნაშთი (ა. შანიძე). -ი სუფიქ-სი ვნებითი გვარის მიმღეობის -ილ სუფიქსის ნაშთად არის მიჩნეული (ნ. მა-რი). თუ ეს მოსაზრება სწორია, იგი თანაბრად გამოდგება როგორც გარ-დამავალი ზმნის თურმეობითი პირველის, ისე სტატიკური ვნებითის -ია და-ბოლოების ასახსნელად.

მაგრამ თურმეობითი პირველისა და სტატიკური ვნებითის ფუძე შეკვე-ცილ მიმღეობას არ შეიძლება წარმოადგენდნენ, რამდენადაც აქ ფუძეში ყო-ველთვის -ი გვხვდება, მიმღეობის საჭარმოებელი კი ყოველთვის -ილ სუფიქსი არ არის. მაგალითად:

დადგინდებული, მაგრამ თურმეობითია: დამიდგინდებიეს...

ა. შანიძის მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ ამგვარ წარმოებაში გრამატიკული სუბიექტის პირველ და მეორე პირთან „ვარ“ „ხარ“ მეშველი ზმნა გამოყენებული: „უნაბივარ, უნახიხარ“, აგრეთვე: „გხა-ტივარ, ვწერივარ“ და სხვ. ამავე ახსნის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ ორპირიანი გარდაუვალი ზმნის თურმეობით მეორეში მეშველი ზმნის ნა-მყოა გამოყენებული (აღმოსავლურ დიალექტებში):

სკოლნია, მაგრამ: სკოლნიყო, სკოლნიყოს.

ვფიქრობთ, არც ერთი ამ ორი ფაქტიდან გადამწყვეტი მნიშვნელობისა: არ არის. პირველი ისევეა მიღებული, როგორც „ვზივარ; ვდგავარ“ ზმნები, სადაც „ვარ“ მეშველი ზმნა დართულია „ვზი“, „ვდგა“ სტატიკურ ზმნებს. ეს მოვლენა დამახასიათებელია არა მარტო ქართულისათვის, არამედ სვანუ-ჟისთვისაც (შდრ. სვანური: სგურხვი || სგურ-ვზივარ). იმავე ტენდენციამ, რომელმაც გამოიწვია „ვარ“ მეშველი ზმნის დართვა ხსენებულ სტატიკურ

ზმნებზე, გამოიწვია მისი დართვა სტატიურ ვნებითსა და თურმეობით პირ-ველზედაც როგორც ქართულში, ისე სვანურში: ვაბივარ, ვუნახივარ... ხომა-რახვი (ვუმზადებივარ). პირველ შემთხვევაში (ვზი-ვარ... სგურ-ხვი) მეშვე-ლი ზმნის დართვა აშკარად მეორეული მოვლენაა. მაშასადამე, მეორეული-უნდა იყოს ის თურმეობითისა და სტატიური ვნებითის შემთხვევაშიც.

რაც შეეხება გარდაუვალი ორპირიანი ზმნის თურმეობით მეორეში „იყო“ მეშველი ზმნის გამოყენებას, ის შეიძლება თურმეობით პირველში შემოღე-ბული მეშველზმნიანი წარმოების თურმეობით მეორეში გადატანით აიხსნას—სტატიური ვნებითის ნამყოში მეშველზმნიანი წარმოება არ გვხვდება.

ა. შან იძის მოსაზრების სასარგებლოდ თითქოს ხევსურული ორპირიანი გარდაუვალი ზმნის თურმეობითი ლაპარაკობს. ხევსურულში ასეთ შემთხვევა-ში -ა ნიშნის ალგილას გვაქეს -ას, რომელიც „არს“ (ხევსურულად—ას) მეშველ ზმნას წარმოადგენს. თუ ამ -ას ნიშანს თურმეობითისათვის პირ-ველადად ვცნობდით, მაშინ ისეთი ფორმები, სადაც -ას ელემენტი არა გვაქვს, უკანასკნელის მოკვეცის შედეგად უნდა ჩაგვეთვალა.

ხევსურულში გვხვდება: დაგდგომივ — დაგვდგომივ -ას

სკოდნივ

ხევივნებივ...

შდრ. ხყონივას || ხყონივ

ხქონივას

გაზძლოლიოს || გაზძლოლივას

ჩასწევივას || მისწევივ

ზდგომივას სული

მიახლოებივას

გახქლიოს || გახქლივას...

მაგრამ ამის მიხედვით ზოგადი დასკვნა ვერ გავეთდება. ხევსურულში ამგვარი წარმოება მოვლის მხოლოდ გარდაუვალ ორპირიან ზმნებს. არც გარ-დამავალი ზმნის თურმეობით პირველში, არც სტატიურ ვნებითში -ას-ით გათავებული ფორმა არ გვხვდება. ასეთი წარმოება მიღებული უნდა იყოს I და II პირთა ფორმების გავლენით „მიიღევივარ, მისწევიხარ... მისწევი-ვას“... რაც შეეხება -ვ-ს გაჩენას (მისწევივ), ის მიღებული უნდა იყოს ან პირველი პირის ფორმის ანალოგით, სადაც -ვ- მეშველ ზმნაში პირველი პირის ნიშანია (მივწევი-ვ-არ). ან -ვ- თემის ნიშნით ნაწარმოები „გაუკე-თებავ, დაუკიდებავ“ ტიპის ზმნათა ანალოგით, სადაც -ვ-ს ქონა თურმეო-ბითი პირველისთვის მორფოლოგიურ ნორმად არის ქცეული.

-ა სუფიქსის წარმომავლობა მეშველი ზმნისაგან როგორც სტატიურ ვნე-ბითში, ისე თურმეობით პირველში მოსალოდნელი იყო ქართველურ და სხვა-იძერიულ-კავკასიურ ენათა საერთო კონტექსტის მიხედვით<sup>1</sup>, რამდენადაც ამ ენებში გვაქვს სტატიურ ზმნასთან მეშველი ზმნის გამოყენების ფაქტები. მაგრამ ქართველური ენების ფაქტობრივი ვითარება მაინც არ გვაძლევს -ა-ს მიმარ-თაც ამგვარი ვარაუდის უფლებას: მეგრულში მეშველი ზმნა იხმარება ერთ-პირიანი გარდაუვალი ზმნის თურმეობით პირველში (აღწერითი წარმოება), მაგრამ სრულებით არ ივარაუდება გარდამავალი ზმნის თურმეობითში (მეი-ძლებოდა ასეთად მიგვეჩნია -ქ სუფიქსი, მაგრამ ისიც მხოლოდ I და II პირში).

<sup>1</sup> ქ. ლომთათიძე, ქ სუფიქსი მეგრულში: იძერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, 1946.

-ა, რომელიც ვლინდება სტატიკური ვნებითის აწმყოსა და გარდამავალი ზმნის თურმეობით პირველში მხოლობითი როცხვის მესამე პირში, იგივე უნდა იყოს, რაც -ა, რომელიც ვნებითებში ენაცვლება მესამე პირის ქველნიშანს: თეთრდების — თეთრდება, დგების — დგება. რომ სტატიკური ვნებითის აწმყოში და მოქმედებითის თურმეობითში ეს -ა ისეთივე მეორეული უნდა იყოს, როგორიც ამ ვნებითებში, იქიდან ჩანს, რომ მრავლობით რიცხვში ორივე შემთხვევაში ის ნიშნები გამოიყენება, რომლებიც -ს ან -დ, -ნ პირის ნიშნებს შეესაბამება და არა -ა-ს.

დგების, დგება, მაგრამ: დგებიან

უქრიეს, უქრია — გაუქრიან

ჰერნიეს, ჰერნია — ჰერნიან...

ამგვარად, თურმეობითი პირველისა და სტატიკური ვნებითის აწმყოს წარმოების -ე ვარიანტის შეცვლა -ია ვარიანტით ისევე უნდა აიხსნას, როგორც „თბების“ ტაბის წარმოების შეცვლა „თბება“ ტაბით აწმოოში.

რაც შეეხება -ე სუფიქსს (უბყრი-ე, დაუდგინები-ე), მისი მომდინარეობა მეშვეოლი ზმნისაგან ისევე ბოსალღნელია ქართველურ-კავკასიურ ენა-ათა კონტექსტში, როგორც -ა-სი, მაგრამ ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ მაბუთები ჯერჯერობით არ ჩანს. ამ მხრივ საინტერესო იქნებოდა იმის ცოდნა და ენაცვლება ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში -ე-ს, თუ ერთვის მას და მის ჩავარდნას იწვევს, ე. ი. „შეუმოსია“. ფორმას წინ უსწრებდა „შეუმოსიეა“ ფორმა თუ არა? ბოლოდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ აქ -ე-ს მოკვეცასთან გვაქვს საქმე.

9. გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე ქართულში თავის შესატყვის პრეფიქსიანი ვნებითის რელატიურ ფორმას ემთხვევა. ერთი და იგივე ფორმა კონტექსტის მიხედვით შეიძლება მესამე სერიის ფორმაც იყოს და მისი შესატყვისი ვნებითის მეორე სერიის ფორმაც სინტაქსური კონსტრუქცია თრივე შემთხვევაში ერთი და იგივეა.

მეორე სერია (ვნებითი)

მესამე სერია (გარდამავალი)

დამეწერა მე იგი

დამეწერა მე იგი

დამეწეროს მე იგი

დამეწეროს მე იგი

ამგვარადვე ეწარმოება თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე ამ ზმნებსაც, რომელთა შესატყვისი პრეფიქსიანი ვნებითი ენაში არ მოიპოვება:

მომეკლა მე იგი

გამეტება მე იგი

მომეკლს მე იგი

გამეტებოს მე იგი

თურმეობითი მეორისა და კავშირებითი მესამის სხვა წარმოება გარდა. მავალ ზმნებთან ქართულმა არ იცის.

სტატიკურ ზმნას ქართულში, როგორც ცნობილია, მეორე სერიის წარმოება საკუთარი ფუძისაგან არ შეუძლია. სტატიკური ვნებითი და ზოგი -ავ ნიშნიანი ზმნა, რომელიც მნიშვნელობით სტატიკური ვნებითის ტოლია, ნამუში დროის გამოსახატავად თავისი შესატყვისი დინამიკური ვნებითის აორის ტის ფორმას იყენებს, ხოლო კავშირებითის გამოსახატავად — მის კავშირეზით მეორეს.

უპყრიეს — ეპყრა, ეპყრას	(ეპყრობის ზმნის II სერიის ფორმები)
აბია — ება, ებას	(ებმების, ზმნის II სერია)
უძლავს — ეძლო, ეძლოს	(ეძლების „ „ „ )
სძინავს — ეძინა, ეძინოს	(ეძინების „ „ „ )
ჰეგბავნ — ენება, ენებოს	(ენებების „ „ „ )

- ამ თემის ნიშნიანი სტატიკური ზმნები ქართულში მცირეა. მათ ნამდებობის უწყეტლის სუფიქსით ვხედავთ ახალ ქართულში:

ჩასდგამს, მოსდგამს, მოსდგამდა, მოსდგამდეს...

მიუხედავად ამისა, არ არის შეუძლებელი ეს მოვლენა მეორეულად მივიწიოთ ისევე, როგორც ბევრ სხვა ამგვარ შემთხვევაში, და „დგამს“ ზმნის ნამყოდ „იდგა“ ვივარაულოთ ისტორიულად. მაშინ - აფ და - ამ თემის ნიშნიანი ზმნები ისევე მოექცეოდა ერთ სიბრტყეზე, როგორც ექცევა თურმეობითი პირველის წარმოებისას.

ამგვარად, გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე, ერთი მხრივ, და სტატიკური ზმნის ნამყო და კავშირებითი, მეორე მხრივ, შესატყვისი დინამიკური ვნებითის აორისტისა და კავშირებითის ფორმებს იყენებს. ამიტომ თუ გვაქვს ერთი პირიდან ნაწარმოები მოქმედებითა და სტატიკური ვნებითი, პირველის მეორე თურმეობითი მეორის ნამყოს და ემთხვევა, ხოლო პირველის მესამე კავშირებითი — მეორის კავშირებითის.

სტატიკური	მოქმედებითი (მესამე სერია)
ეპყრა, ეპყრას	დაეპყრა, დაეპყრას
ება, ებას	დაება, დაებას
ეწერა, ეწეროს	დაეწერა, დაეწეროს

10. სვანურში გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორე დინამიკური ვნებითის აორისტან სიახლოესს გვიჩვენებს. „ნამყო წინარეწარსულს ნამყო სრულისაგან აორისტში გამოყენებული ვნებითის მაწარმოებელი ბოლოსართი ასხვავებს“<sup>1</sup>. ეს ბოლოსართია - პნ თავისი დიალექტური ვარიაციებით მოქმედებითი გვარის ზმნას ის მხოლოდ თურმეობით მეორეში აქვს, დინამიკურ ვნებითს — მხოლოდ აორისტში.

მოქმედებითი დინამიკური ვნებითი

მოხტავშნ (მეხატა)	პოვშიხშნ (დავიწვი)
ჯიხტავშნ (გეხატა)	პთშიხშნ (დაიწვი)
ხოხტავშნ (ეხატა)	პდშიხშნ (დაიწვა)

ამგვარი დამთხვევა ქართულის ანალოგიურია.

დგუგვ პნ სუფიქსი გამოყენებულია სტატიკურ ზმნათა გარკვეული ჯგუფის ნამყო დროის საწარმოებლად. ეს სწორედ ის სტატიკური ზმნებია, რომელთაც აწყობით თურმეობით პირველთან საერთო - ა ბოლოსართი აქვთ..

აწყობით	ნამყო
ხულვა (აქვს)	ხულვშნ    ხულვნდა (ჰქონდა).
ხოყდნა (უჭირავს)	ხოყდნებნ (ეჭირა)
ხამთქუა (შჩევია)	ხამთქუშნ (სჩევოდა)

<sup>1</sup> ვ. თ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., სვანური. ენა, ზმნა, გვ. 178..

ხაუხა (ჰეჭია)	ხეჭხშნ(და)	(ერქვა)
ხეჭრა (აწერია)	ხეჭრშნ(და)	(ეწერა)
ხაბუა (ჰგონია)	ხებუშნ(და)	(ეგონა)
ხაშკადა (აჭედია)	ხეშკადშნ	(ეჭედა)
ხემხედა (შეუძლია)	ხემხედშნ	(შეედლო)
ქა წუა (ჩანს)	ქა წუშნ(და)	(ჩანდა)

აქ -და სუფიქსი ნამყო უწყვეტლისაა. ამ ფორმებში ის მეორეულია, რაც პარალელური ხულვნ—ხულვნდა ფორმების არსებობიდან ჩანს. მისი დართვა გამოწვეულია იმით, რომ ხულვნ თუმცა წარმოშობით წყვეტილის ფორმაა, მნიშვნელობით უწყვეტელს უტოლდება. იგივე მოვლენაა ქართულში: სძინავს — ეძინა (შდრ. არალიტერატურული ახალი ფორმა: სძინავდა).

თუ მოქმედებითსა და ამგვარ სტატიკურ ზმნას ერთი ფუძე აქვს, პირავლის მეორე ოურმეობითი ისევე ემთხვევა მეორის ნაშკოს, როგორც ქართულში.

სტატიკური	მოქმედებითი
აწმყო	ნამყო
ქუ წუა	ქა წუშნ (ჩანს, ჩანდა)
ხორკალა	ხორკალშნ (ურეკია, ქა ხორკალა ერეკა)
შდრ. უპყრიეს ეპყრა	დაუპყრიეს
	დაეპყრა

ანალოგის სისრულეს ქართულთან ის უშლის ხელს, რომ ქართულში გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორეც და შესაფერი სტატიკური ვნებითის ნამყოც აუცილებლად ერთი და იმავე ე- პრეფიქსით არის. წარმოდგენილი (ეწერა—დაწერა). ორივე ემთხვევა ერთმანეთს და შესატყვისი დინამიკური ვნებითის რელატიურ ფორმასაც, თუ კი ამ ზმნას პრეფიქსიანი ვნებითი შოეპოვება (ეწერა იგი, დაეწერა იგი მას, დაეწერა მას იგი). სვანურში კი მოქმედებითი გვარის თურმეობით მეორეში ქვევის აღსანიშნავად ო/ი პრეფიქსები იხმარება, ვნებითი გვარის სასხვისო ქვევის აორისტში — ო/ი რიგიც და ე-ც, ხოლო სტატიკურ ზმნათა ნამყოში უმთავრესად ე, უფრო იშვიათად ო/ი რიგი<sup>1</sup>. მაგრამ ხსენებული სამი ნაკვთის (სტატიკურის ნამყო, ვნებითის აორისტი, მოქმედებითის თურმეობითი მეორე) ურთიერთინიმართების იგივეობას ქართულსა და სვანურში ეს გარემოება მაინც ვერ დაჩრდილებს. ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ -ნ სუფიქსი ამ სამ ნაკვთში გვაქვს და არსად სხვაგან არ გვხვდება ულვლილების სისტემაში, ამ სამი ნაკვთის ფუძეთა იგივეობაზე მიუთითებს, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განსხვავება ქვევის პრეფიქსებში. მეორეც, ე- და ო/ი პრეფიქსთა პარალელური არსებობა სტატიკურის ნამყოსა და ვნებითის აორისტში ნებას გვაძლევს მათი ამგვარივე პარალელური ხმარება ისტორიულად მოქმედებითის თურმეობითი მეორისთვისაც ვიყენავდოთ. თუ ამას დავუშვებდით, მაშინ ო/ი ქცევის პრეფიქსთა გაბატონება თურმეობით მეორეში თურმეობითი პირველის ვავლენისთვის უნდა მიგვეწერა, სადაც მხოლოდ ეს პრეფიქსები იხმარება.

ჯეთხნ („გეშოვა“ ვნებითი) და ჯითხნ („გეშოვა“ თურმეობითი)  
შდრ.: ჯითხა („გიშოვია“)

<sup>1</sup> 3. თ თ ფ უ რ . ი ა, სვანური ენა, გვ. 178—181; 203—204.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: სვანურში სტატიკურ ვნებითს ნამყოში საარეისო ქცევის ფორმებიც შეიძლება ჰქონდეს.

ქა წვა (ჩანს) — ქა წვან(და) (ჩანდა)

ქართულში კი სტატიკური ვნებითის ნამყო ყოველთვის ე-პრეფიქსთაა წარმოდგენილი, რაც სათანაო, სასხვისო ან საზედაო ფორმას გულისხმობს:

უყრია	ეყარა
აყრია	ეყარა
ჸყრია	ეყარა

უნდა ვითარებოთ, რომ სვანურის თურმეობით მეორეში ქცევის აღნიშვნა იმიტომ არის განსხვავებული ქართულისაგან, რომ განსხვავებულია შესატყვისი სტატიკური ზმნის ქცევის აღნიშვნა ნამყოში.

11. გარდამავალი ზმნის კავშირებითი მესამე ქართულსა და სვანურში ისეთსავე შეფარდებაშია თურმეობით მეორესთან, როგორშიც ვნებითის კავშირებითი მეორე წყვეტილთან და სტატიკური ვნებითის კავშირებითი მის ნაციონალის:

#### ქართული

სტატიკური:	ეპყრა — ეპყრას	ეწერა — ეწეროს
ვნებითი:	—	დაეწერა — დაეწეროს
თურმ. II	დაეპყრა — დაეპყრას...	დაეწერა — დაეწეროს...

#### სვანური

სტატიკური: ხეირან — ხეირენ (ეწერა — ეწეროს) ქა წვან — ქა წვენ (ჩანდა — ჩანდეს)

ვნებითი: ბდშიხნ — ბდშიხენ (დაიწვა — დაიწვეს) ჩებდმეჩნ — ჩებდმეჩენ

თურმ. II: ხოდრან — ხოდრენ (ლაბერდა — ლაბერდეს) ხოწვან — ხოწვენ (ენახა — ენახოს)<sup>1</sup>.

ლაშტურში კავშირებითი მესამის ფუძეს ზოგჯერ კავშირებითი პირველის -დე მაწარმოებელი ერთვის. სხვა კილოებში იგივე ფორმანტი ერთვის სტატიკური ვნებითის კავშირებითს. პირველ შემთხვევაში მისი დამატება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ კავშირებითი მესამის შინაარსობრივი შეფარდება თურმეობით მეორესთან ისეთივეა, როგორიც კავშირებითი პირველისა უწყვეტელთან. მეორე შემთხვევაში ის იმიტომ არის გამოყენებული, რომ სტატიკური ვნებითის ნამყო და კავშირებითი (წარმოშობით აორისტი და კავშირებითი მეორე) დღევანდელ ენაში უწყვეტლისა და კავშირებითი პირველის ფუნქციით გამოდის.

12. მეგრულში შესამე სერიის ნაკვთთა ურთიერთმიმართება პრინციპულად განსხვავებულია იმისაგან, რასაც ქართული და სვანური გვიჩვენებს. გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე ისევე იწარმოება თურმეობითი პირველისაგან, როგორც კავშირებითი პირველი და უწყვეტელი აწყოსაგან.

<sup>1</sup> გ. თ ა ფურთა, სვანური ენა I, გვ. 199, 205, 178—180, 181.

მიჭარულუ — მიჭარულდას (მიწერია, მეწეროს).

ეს ვითარება თანხვდება სტატიკური ვნებითის ვითარებას, სადაც ნაშე-  
ყო და კავშირებითი აგრეთვე აწყვის ფუძისაგან იწარმოება:

ჭარუნ—ჭარულუ—ჭარულდას (წერია, ეწერა, ეწეროს).

მაგრამ არ თანხვდება დინამიკური ვნებითის აორისტსა და კავშირებით  
მეორეს მაშინ, როცა ქართულსა და სვანურში ეს ჩეცლებრივია.

13. ქართულშიც და სვანურშიც გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში-  
ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, თურმეობითი პირველი და, მეორე  
მხრივ, თურმეობითი მეორე და კავშირებითი შესამე.

ა) თურმეობითი პირველი თავისი ფორმით აწყვია, თურმეობითი მეო-  
რე და კავშირებითი მესამე—მეორე სერიის ფორმები.

ბ) თურმეობითი პირველი თავისი ფორმით სტატიკურია, თურმეობითი-  
მეორე და კავშირებითი მესამე—დინამიკური.

მესამე სერიის ნაკვთთა წარმოქმნა დასახელებულ სამ ნაკვთზე არ ჩერ-  
დება. ძველ ქართულში შენიშნულია „მესამე ხოლმეობითი“ (სულ რამდენი-  
მე შემთხვევაა):

ებრძანის (ცხოვრ. იოვანესი და ეფთვიმესი, 58,11)

ბრძოლა ეცის... შეეკრიბის... განევლნიან, მოესრნიან (გიორგი მთაწმი-  
ლელის ცხოვრება)

თავს-ედვის (იქვე)

ეტვირთვნიან (ხრონოლრ. 168)<sup>1</sup>.

ეს ნაკვთი როგორც ფორმით, ისე შინაარსით: იმგვარსავე შეფარდება—  
შია თურმეობით მეორესთან, როგორშიც ხოლმეობითი მეორე აორისტთან-  
ენაში ის არ დამკიდრდა, აღბათ, ხოლმეობითის საერთო გაქრობის მიზეზით.

ახალ ქართულში გვაქვს ისეთი ფორმები, როგორიც არის „გ ა გ ე გ ო ნ ე-  
ბ ა“ „გაგონილი გექნება“ „ალბათ, გაგიგონია“—ს მნიშვნელობით (გარე კახეთში  
მსმენია). ეს არის მომავლის ნაკვთი იმ დინამიკური ვნებითისა, რომლის  
აორისტი და კავშირებითი მეორე თურმეობით მეორესა და კავშირებით შე-  
სამეს ქმნის. ასეთი წარმოება იშვიათია, მაგრამ პროდუქტიულია ცოცხალ-  
მეტყველებაში.

ორივე ხსნებული ნაკვთი თავისი წარმოებით თურმეობით მეორესა  
და კავშირებით მესამეს ეკედლება და უპირისპირდება თურმეობით პირველს.

14. ამგვარად, ქართულისა და სვანურის ულვილების სისტემაში გვაქვს  
სამი სხვადასხვა ნაკვთი, რომლებიც იმდენად ემთხვევა ერთმანეთს ფორმის-  
მხრივ, რომ შეუძლებელია მათ შორის გენეტური კავშირი არ ვიგულოთ.  
ეს ნაკვთებია: სტატიკური ზმნის ნამყო და კავშირებითი, დინამიკური პრეფიქ-  
სიანი ვნებითის აორისტი და კავშირებითი მეორე, ვარდამავალი ზმნის თურ-  
მეობითი მეორე და კავშირებითი მესამე. სტატიკური ვნებითი რომ ნამყოსა-  
და კავშირებითში დინამიკური ვნებითის ფორმებს—სესხულობს, ეს ფაქტია.  
მაგრამ რა მიმართებაშია მათთან ვარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორე და-  
კავშირებითი მესამე? სტატიკური ზმნის ნამყოს და კავშირებითის ფორმებს,  
იყენებს იგი თუ დინამიკური ვნებითის აორისტ-კავშირებითისას? ვფიქრობთ,  
რომ საკითხი პირველი შესაძლებლობის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ასე-  
თი გადაწყვეტის სასარგებლოდ ლაპარაკობს მეგრულის ვითარებაც, სადაც

<sup>1</sup> ა. შანიძე, ერთი უცნობი მწყრივი ძველ ქართულში, გვ. 4—10.

გვაქვს პრეფიქსიანი დინამიკური ვწებითი, მაგრამ თურმეობითი მეორე მაინც აშკარად სტატიკური ვწებითის ნამყოს იყენებს, ხოლო კავშირებითი მესამე მის კავშირებით:

კარუნ — ჭარულუ — ჭარულას (წერია, ეწერა, ეწეროს)

მიჭარუნ — მიჭარუდო — მიჭარუდას (დამიწერია, დამეწერა, დამეწეროს).

ასეთი გადაწყვეტა უდავოდ მოსალოდნელია, თუ მართალია ვარაუდი, რომ თურქმენბითი პირველი არის სტატიკური ვნებითის აწმყო. მაშინ თურქმენბითი მეორე და კავშირებითი მესამე იქნება ამავე ზმნის ნამყო და კავშირებითი, გამოხატული იმ დინამიკური ვნებითის ფორმით, რომელსაც სტატიკური ზმნა ნამყოსა და კავშირებითის გამოსახატავად იყენებს. მესამე სერიის ნაკვთთა შინაარსობრივი შეფარდებაც ამგვარ ვარაუდს აღასტურებს. ეს შეფარდება ისეთივეა, როგორიც პირველი სერიის ნაკვთთა აწმყო-უწყვეტელ-კავშირებითისა. პირველი თურქმენბითი გამოხატავს დასრულებული მოქმედების არსებობის ფაქტს აწმყოში, მეორე თურქმენბითი გამოხატავს ამგვარი ფაქტის არსებობას იმ მომენტში, რომელსაც საუბარი ეხება (ჟერანთანამდევრობის გაება), ხოლო კავშირებითი შესამე — ამგვარი ფაქტის არსებობის შესაძლებლობას ან სურვილს. საყურადღებოა, რომ კავშირებითი შეიძლება გამოხატავდეს ამგვარი ფაქტის არსებობას მომავალშიც, ე. ი. გვიჩვენებდეს, რომ ესა და ეს მოქმედება დასრულებული იქნება ამა და ამ დროსათვის (ეს გამომდინარეობს კავშირებითის ფუნქციიდან — აღნიშნოს მომავალი დრო).

„ვიდრე არღა ეყივნოს ქათამსა, სამ გზის უვარ-მყო მე“ (მათე, 26,75).

(თურმეობითობის გაგება თურმეობითი პირველის მსგავსად არც ამ ორ ნაკვთში იგრძნობა ძველი ქართულის ძეგლებში.)

15: მესამე სერიის ნაკვთთა შინაარსობრივ ურთიერთობაზე ნათელ წარმოდგენას მოგვცემს მათი შედარება ევროპული ენების „პერფექტიის“ ღრმობათან.

## ინგლისური გერმანული ფრანგული

აწმყო პერფექტი: I have seen Ich habe gesehen j' ai vu შდრ. მინახავს  
ნამყო პერფექტი: I had seen Ich hatte gesehen J' avais vu მენახა

ქართული გარდამავალი ზმინის თურმებითი პირველი, როგორც ზემოთ გვქონდა ონიშნული, შინაარსობრივად უდგება გერმანული, ინგლისური და ფრანგული გარდამავალი ზმინის პერფექტის, ხოლო ქართული თურმებითი მეორე ამ ენების პლუსკუამპერფექტის, ანუ „წარსულ ჰერფექტის“. ჩაც შეეხება გარდაუვალ ერთპირიან ზღნას, მისი პერფექტის ართაც წარმოება ევროპულ ენებში ზუსტად იმეორებს ქართულის თურმებითებს როგორც შინაარსით, ისე ფორმით.

გერმანული

ପ୍ରକାଶକୀ

Ich bin gegangen წარსლულ ვარ. Ich war gegangen წარსლულ ვიყენა  
მსგავსი შინაარსის გამოსახატავად-სხვადასხვა ენაშ მსგავსი საშუალება  
ემუშავა.

7. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII.

ხვაყენ შნ	(ვყოლოდი)	ხვაყენენ, (ვყოლოდე)
ხაყენშნ	(ჰყოლოდი)	ხაყენენ (ჰყოლოდე)
ხაყენშნ	(ჰყოლოდა)	ხაყენენს (ჰყოლოდეს)

ქართულში საწინააღმდეგო ვითარება გვაქვს. თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე რელატიურ გარდაუვალ ზმნას თურმეობითი პირველისგან ეწარმოება - ად უწყვეტლისა და - ე კავშირებითის ფორმანტთა საშუალებით.

სცოდნია — სცოდნოდა — სცოდნოდეს.

ამის მიზნი ის უნდა იყოს, რომ თურმეობითი მეორე ენაში გაგებულია ორგორც თურმეობითი პირველის ნამყო უწყვეტელი, ხოლო კავშირებითი მესამე — ორგორც მისი კავშირებითი. გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორისა და კავშირებითი მესამის წარმოებასთან შედარებით ასეთი წარმოება გვიანდელი უნდა იყოს: ის გულისხმობს მესამე სერიის მწერივთა დასრულებული სისტემის არსებობას შინაარსობრივი შეფარდებით: აწმყო, უწყვეტელი, კავშირებითი. მაგრამ გასარკვევია: გვქონდა ამ ზმნებში გარდამავალი ზმნისათვის დამახასიათებელი წარმოება, რომელიც მერე - ად წარმოებით შეიცვალა, თუ ამგვარ ზმნებს თურმეობითები სერთოდ არ ეწარმოებოდათ და მათი მესამე სერია საერთოდ გვიანდელი წარმონაქმნია.

უძველეს ძეგლებში ორპირიანი გარდაუვალი ზმნის თურმეობითი საერთოდ არ გვხვდება. ჩნდება შედარებით გვიან.

ის გარემოება, რომ - ად სუფიქსი, რომელიც რელატიური გარდაუვალი ზმნის თურმეობით მეორეში იხმარება, უძველესი ფორმანტია, „სცოდნოდა“ ფორმების გვიანდელად მიჩნევისათვის დაბრკოლება ვერ იქნება. თუმცა ეს სუფიქსი ძველია, მაგრამ დღესაც ცოცხალი ფორმანტია, მაშასადამე, შესაძლებელია ენაში იგი იხმაროს ახალ ნაკვთში, თუ კი შესაფერი შინაარსის აღნიშვნა გახდება საჭირო. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს „ბნელოდა“. „ცხელოდა“ ტიპის ზმნები, სადაც - ად ფორმანტის დართვა აშკარად შემდეგ დროინდელი მოვლენაა (აწმყოში: ბნელა „ბნელ არს“, ცხელა „ცხელ არს“).

შეიძლება დავასკვნათ: გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველი ქართველურ ენებში წარმოადგენს ისტორიულად სტატიკური ზმნის სასხვისო ქცევის აწმყოს.

თურმეობითი მეორე შესატყვისი სტატიკური ვნებითის ზმნებთან იგივეა, რაც ამ ზმნათა ვნებითის ნამყო. ასევე კავშირებითი მესამე წარმოადგენს შესატყვისი სტატიკური ვნებითის კავშირებითს. იმ მოქმედებით ზმნებზე, რომელთაც სტატიკური ვნებითი არ მოეპოვებათ, მესამე სერიის წარმოებისას არსებული მორფოლოგიური ნორმები გავრცელდა.

მაშასადამე, გარდამავალი ზმნის მესამე სერია ქართველურ ენებში მიღებული ჩანს სტატიკური ვნებითის აწმყოსა, ნამყოსა და კავშირებითისაგან შემოლდებული მნიშვნელობის ევოლუციის შედეგად. უკანასკნელმა ასახვა ვერ პოვა ფორმაში რომელიმე მაწარმოებლის სახით (თუ არ ჩავთვლით, ერთი მხრივ, პრევერბის დართვას სამსავე ქართველურ ენაში, რაც არსებითი არ არის, და, მეორე მხრივ, სხვაობას ქცევის აღნიშვნაში სენტრულში, რაც აგრეთვა ფუძეს არ ეხება).

Н. Р. НАГАДЗЕ

## К ВОПРОСУ ОБ ОБРАЗОВАНИИ ВРЕМЕН И НАКЛОНЕНИЙ ТРЕТЬЕЙ СЕРИИ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

## Резюме

1. Времена и наклонения третьей серии в картвельских языках объединены в одну группу в силу единства принципа их образования: для них характерно описательное образование непереходных глаголов; инверсия и дативная конструкция переходных глаголов.

2. I результативное переходного глагола в картвельских языках повторяет форму настоящего времени статического глагола. Например:

Настоящее статического глагола

груз. ფურიეს	он держит
мегр. გარუ (б)	написано
сван. ქვევი	видно

I результативное переход. глагола

დაფურიეს	оказывается, он захватил
უგარუ(б)	оказывается, он написал
ხომვი	оказывается, он видел

3. Результативное переходного глагола в картвельских языках имеет те же личные окончания, какие употребляются в настоящем времени. Например:

I результативное

груз. -б, -ს, -დ	-ბ, -ს, -დ
-აბ, -ედ	-აბ, -ედ
мегр. -ქ (I-II л.) -б (III л. ед. ч.)	-ქ (I-II л.), -ბ (III л. ед. ч.)
-აბ (III л. мн. ч.)	-აბ (III л. мн. ч.)

Настоящее

III л. ед. ч.
III л. мн. ч.
-ქ (I-II л.), -ბ (III л. ед. ч.)
-აბ (III л. мн. ч.)

В сванском также основа I результативного содержит суффикс -ა, характерный для форм настоящего времени статического глагола.

4. I результативное исторически является не прошедшим, а настоящим временем, точнее, „настоящим совершенным“ с тем же значением, которое имеет перфект в европейских языках (английский, немецкий, французский). Что касается I результативного непереходного глагола, здесь обнаруживается не только сходство значения, но и единство принципа образования: как в картвельских, так и в европейских языках это время образуется из причастия прошедшего времени спрягаемого глагола и личной формы вспомогательного глагола.

5. II результативное и III сослагательное переходного глагола так же базируются на прошедшем и сослагательном статическом глаголе.

6. В смысловом отношении как в древнегрузинском, так и в современных картвельских языках II результативное является прошедшим временем, а III сослагательное сослагательным I результативного.

7. В сванском языке II результативное и III сослагательное так же используют формы прошедшего совершенного и II сослагательного страдательного залога, как и в грузинском. В мегрельском же эти времена образуются от I результативного при помощи суффиксов -ე и -ა, являющихся формантами прошедшего несовершенного времени и сослагательного наклонения. Такое отклонение объясняется тем, что в мегрельском на том же принципе основано образование прошедшего и сослагательного от статического глагола.

8. Времена и наклонения третьей серии переходного глагола в картвельских языках базируются на формах статического глагола. Дативная конструкция переходного глагола происходит от дативной конструкции непереходного глагола. Вопрос дативной конструкции глагола для картвельских языков является вопросом непереходных, точнее, статических глаголов.

გ. შალაშვილი

კახული დიალექტის თავისებურებანი შვარლის მეტყველების  
მიხედვით

ყვარლის-რაიონი კავკასიონის ქედის ძირისა გაშლილი. მას აღმოსავლე-  
აით ლაგოდეხის რაიონი ესაზღვრება, დასავლეთით—თელავისა, სამხრეთით—  
გურჯაანისა, ხოლო ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედს მიღმა, დაღესტნის ასარ  
მდებარეობს.

რაიონის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მემინდვრეობასა და მევენახეო-  
ბას მისდევს. სოციალისტური ცხოვრების დამკვიდრებამ ოდესლაც კულტუ-  
რულად ჩამორჩნილი ეს კუთხე მოწინავე გახდა. თითქმის ყველა სოფელში  
არის სკოლა, სამკითხველო, კლუბი.

მოსახლეობის შემადგენლობის მხრივ რაიონში ერთგვარობა არ არის.  
მართალია, აქ ძირითადად საკუთრივ კახელები ცხოვრობენ, მაგრამ ვეგლებით  
საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულთაც; მაგალითად, სოფ. გრძელ  
ჭალაში ფშავლები სახლობენ, წიწყანაანთსერში—ოსები და ფშავლები, ოქტომ-  
ბერში — უდები, ბალოჯიანი მთლიანად იმერლებითაა დასახლებული, შიგ  
ყვარელში ამ 20—25 წლის წინათ თრ ათეულამდე კომლი რაჭელი ჩამოსულა  
და აქ დაუწყია ცხოვრება.

„კახეთის თვალის“—ყვარლის მცხოვრებთა მეტყველების შესაძლებელი  
1950 წლის ზაფხულში ერთი თვით მივლინებული ვიყავი სოფ. ყვარელში.  
ახლა, როდესაც ხელთ გვაქვს ი. სტალინის ცნობილი საენათმეცნიერო  
შრომები, რომლებშიც ენათმეცნიერების სხვა საკვანძო პრობლემებთან ერთად  
კლასიკურად არის გადაწყვეტილი ეროვნული ენისა და ადგილობრივი („ტერი-  
ტორიული“) დიალექტების ურთიერთმიმართების საკითხიც, სავსებით ნა-  
თელია, თუ რატომ ენიჭება ესოდენ დიდი მნიშვნელობა ქართული ენის დია-  
ლექტების უბან-უბან, სოფელ-სოფელ შესწავლის საქმეს. ეს კიდევ უფრო  
მეტად ეხება აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ცოცხალ მეტყველებას, რად-  
გან „ახალ სალიტერატურო ქართულს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ცო-  
ცხალი მეტყველება—ქართლური და კახური ასაზრდოებს“<sup>1</sup>, „ზალი ქართული  
მალიტერატურო ენა მიღებულია რ. ქართულის გადამუშავების შედეგად  
ქართლ-კახური ცოცხალი მეტყველების საფუძველზე“<sup>2</sup>.

საერთოდ ყვარლის მეტყველება კახური კილოს თავისებურებებს იმე-  
ორებს, თუმცა დადასტურდა ზოგი ისეთი ენობრივი ფაქტი, რომლებიც მხო-  
ლოდ ამ კუთხისათვისაა დამახასიათებელი. ყვარლის მეტყველების შესწავლა  
იმიტომაც არის საინტერესო, რომ ამ სოფელში დაიბადა და ამეტყველდა  
დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, რომლის

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი საფესიონი, ტ. I, გვ. 018.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, 1938, გვ. 3.

თხზულებათა ენაში გარკვეული ზომით დაცულია მშობლიური კუთხის მეტყველების ლექსიკა და ზოგი ფონეტიკურ-მორფოლოგიური ფავისებურება. ასო რომ, ჩვენი გამოკვლევის ობიექტი საყურადღებო მასალას იძლევა დიალექტისა და სალიტერატურო ენის ურთიერთმიმართების გასაზვალისწინებლადაც-თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ რაჭელების მეტყველება აქ კახური კილოს გარემოში მოექცა, ამ ორი დიალექტის ურთიერთზეგავლენის საკითხის თვალ-საზრისითაც ეს კუთხე გარკვეულ ინტერესს იწვევს.

### ვოლეტრაჟი მოვლენები

ფონეტიკურ მოვლენათაგან ყვარლის მეტყველებაში დასტურდება მეტა-თეზისი, ბგერის ჩართვა, ბგერის დაკარგვა, ასიმილაცია, დისიმილაცია, სუბ-სტიტუცია.

### მეტათეზისი

მეტათეზისის მხრივ ალსანიშნავია როგორც უშუალო, ისე შორეულ მეზობლობაში მყოფი ბგერების გადასმის შემთხვევები.

უშუალო მეზობლობაში მყოფი ბგერები გადასმულია სიტყვებში: ქრმის ( $\leftarrow$ ქმრის), ხლმის ( $\leftarrow$ ხმლის $\leftarrow$ ხრმლის)<sup>1</sup>, მგზავსი ( $\leftarrow$ მზავსი $\leftarrow$ მსგავსი), გე-ესხნა, გასხნა ( $\leftarrow$ გეესხნა, გახსნა)<sup>2</sup>.

ერთმანეთს შეიძლება აღგილი შეუცვალონ შორეულ მეზობლობაში მყოფ-მა თანხმოვნებმაც. ამის მაგალითებად გამოიდგებოდა სიტყვები „ძრიელი“ და „სურიელი“ (თუ ეს ფორმები მიღებული არ არის ასიმილაცია-დისიმილაციის ასეთი პროცესის შედეგად: ძლიერი $\rightarrow$ ძლიელი $\rightarrow$ ძრიელი... სულიერი $\rightarrow$ სულიელი $\rightarrow$ სურიელი), აგრეთვე ბედრიანი ( $\leftarrow$ ბედნიარი $\leftarrow$ ბედნიერი), რომლის არსებობა ხალხურ მეტყველებაში ი. ჭავჭავაძესაც აქვს დადასტურებული<sup>3</sup>.

ხმოვანთა გადასმას უნდა ჰქონდეს აღგილი სიტყვაში „მამოტებული“ (=მომატებული).

### ბგერის ჩართვა

ზოგ სიტყვაში აღგილი აქვს ბგერის ჩართვისა და დართვის შემთხვევებს. ჩაერთვის ვ, მ, ნ, რ, ან დაერთვის ფ ბგერა. მაგალითები:

ვ : მზეარეული

მ : მემცხვარე, დამზღვევა

ნ : ინგრე, დავანქცევა

რ : დრინჯი

ფ : ფშევლი

### ბგერის დაკარგვა

ხშირია სიტყვაში ბგერის დაკარგვის შემთხვევები. ყველაზე მეტად შერყეულია ს ბგერის პოზიცია. ს. სუსტდება და იკარგვის კიდეც.

<sup>1</sup> დადასტურებულია ქართლშიც, ატენის, წედისისა და არაგის ხეობებში. შდრ. ოტ. კა-ხა დე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, 1953, გვ. 277; გრ. ი მ ნა ი შ ვ ი ლ ი, არაგის ხეობის ქართლური: იქვე, გვ. 313.

<sup>2</sup> ხს—ეს. ვ. თ ო ფ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი $\rightarrow$ ქართველურ ენებში, III, კ და ს სიბილანტუ-აფრიკატებთან მეზობლობაში: საქ. არქივი, 1927, II, გვ. 174—186.

<sup>3</sup> ი. ჭავჭავაძე, თხ., ტ. V (3. ინგოროვებასა და ალ. აბაშელის რედაქციით), გვ. 91.

ს-ს დასუსტების შედეგად ვიღებთ ს-ს როგორც სახელებში, ისე ზმნებში—გარევეულ შემთხვევებში, კერძოდ, როცა:

1) ფუქებმონიანი სახელი მიცემით ბრუნვაშია დასმული; მაგალითად: მეჯინიბეჭა.

იმავ თავი ქონებაც ეყოფოდა.

ნეში იმავი ლეჭ ერთი ქალი ყავ.

2) ო და უ ბგერებზე დაბოლოებული ფუქები დასმულია ნათესაობით ბრუნვაში; მაგალითად:

ოქრო მამალი გააკეთა.

ს ბო ტყავი მიუტანე.

რუ წყალი გადმოუშვა.

ბუ თვალები ლამე სედამენ.

3) სახელი ნათესაობით ბრუნვაშია დასმული და ერთვის თანდებული -თვინ ან -თანა; მაგალითად:

გმაღლობთ იმი თვინ, რო ამი თანა შვილი ჩემი შვილი თვინ გაგიჩენიათ.

ყველა დურუჯიდ მტერია იმი თვინ, რომა ავია.

ზოგ სიტყვაში ს უკეთ იმდენად დასუსტებულია, რომ იოტიც კი აღარ ისმის. მაგალითად:

თუ რამი თვინ დაგჭირდებათ, ჩამოგიტანთყე ფიცარსა.

უთხრა, რო ამ ამბავი თვინ მობძანდაო.

არავი თვინ არ მამიწვეველებიაო.

4) კომპოზიტის პირველი სიტყვა ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტითა წარმოდგენილი; მაგალითად: ოქრო თმიანი, ოქრო მჭედელი, თვებ-ლი იკავლები, ქინძი თავი...

5) ს-ს დასუსტების შედეგად მიღებული ა გვხვდება ზმნებში მე-3 ირიბ-ობიექტური პირისა და მე-2 სუბიექტური პირის პრეფიქსად, აგრეთვე მე-3 სუბიექტური პირის მრ. რიცხვის სუფიქსად იქ, სადაც პირველ ორ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო -ჟ/ს, ხოლო მესამე შემთხვევაში— -ეს. სათანადო მაგალითებია:

ა) ა მე-3 ირიბ-ობიექტური პირის პრეფიქსად:

მეორეთ შავ ძახა.

კაზარმახ და ცა ზვავია.

საიდამ მო დევს?

ვერა და ხელე დამს დევსა.

ზოგი გა ქონ და ცოცხალი, ზოგი გა ქონ და კვდარია.

ბ) ა მე-2 სუბიექტური პირის პრეფიქსად:

გა და გა გა საქმე როგორ!

გა მო რე კე შვილები!

რათ და და და და ხრა კე შენი რძალი?

გ) ა მე-3 სუბიექტური პირის სუფიქსად გვხვდება წყვეტილის მრავლობით რიცხვში, საღაც მოსალოდნელი დაბოლოება -ეს წარმოდგენილია -ეს-ს სახით. მაგალითები:

მძინარე ხალხსა დევცა, ვერ გა ახილე თვალია.

მიიპატიჯე სახში.

გაუარეა ამ მთებსა.

მოკრიფეა სამუღლელა ხარ-კამეჩი.

ს ზოგჯერ უკვალოდ იყარგვის ბოლოთანხმოვნიანი სახელების მიცემით ბრუნვაში, ბოლოთანხმოვნიან და ფუძეეფეცად სახელთა ნათესაობით ბრუნვაში, ზმნებში, როცა იგი მე-3 სუბიექტური პირის ნიშნად არის გამოყენებული. მაგალითები:

ა) ს დაკარგულია ბოლოთანხმოვნიანი სახელების მიცემით ბრუნვაში: ის ქალი ისეთ კაც მიე, მე მჯობდეს თვალათ, ტანათა. ეს დედაჩემ მიმირთვი.

თინათინი თავ დამტირის.

ას წელიწად წვადად გაძლევთ.

ბ) ს დაკარგულია ბოლოთანხმოვნიანი სახელების ნათესაობით ბრუნვაში: გაამზადა თავი ჭარი. ღორი ხორც ნუ გვაჭმევთ. იმ ბიჭი მამა გაიქცა. ბებრი თხა აწოებდა.

ს დაკარგულია აგრეთვე კომპოზიტებში: ხევიტოლა, ზურგიძვალა (მთის სახელია), მუატიტოლა...

გ) ს დაკარგულია ფუძეეფეცადი სახელების ნათესაობით ბრუნვაში: გათენები ხანი არი. ჩამოხტა მუხი ძირასა. კაი დედ-მამი შვილია. გულზე წაუსვა თხი ქონი.

დ) ს პირის ნიშანი ს დაკარგულია ზმნებში:

საცა ძველი ძმა კაცი ყავა, სუ მაშინ მააგონდება.

რაც რამე ძველი საქმე აქ, სუყველა დაავიწყდება.

ასევე დაკარგულია იგი ინვერსიულ ზმნებშიაც:

დედას შაუბავ კმეჩები.

მონადირე უნახავ, უცვნია.

დამახასიათებელია, რომ ზმნებში მე-3 სუბიექტური პირის ნიშან ს-სთან ერთად ზოგჯერ წინამავალი თანხმოვნი ვინიც იყარგვის: აქ (=აქვს), გაქ (=გაქვს), გააქ (=გააქვს), მიაქ (მიაქვს) და ა. შ.

ს-ს პოზიციის შერყევა ქართული ენის სხვა კილოებშიც არის შენიშნული. კერძოდ, იგი დადასტურებულია ქართლურში<sup>1</sup>, გარეკანურში<sup>2</sup>, ხოლო ყველაზე მეტად დამახასიათებელია ქიზიყურისათვის, სადაც ეს პროცესი უფრო შორს არის წასული, ვიდრე გარეკანურში. არნ. ჩიქობავა ს ბგერის დასუსტების პროცესის კერას ქიზიყურში ვარაუდობს<sup>3</sup>. ჩანს, ეს ფონეტიკური მოვლენა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების საერთო დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს.

<sup>1</sup> ვ. თოფურია, ქართლური: არილი, 1925, გვ. 130.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიბლექტოლოგიურად: არილი, 1925, გვ. 67.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, ს-ბგერის დასუსტება ქიზიყურში: ენიმჭის მრამბე, I, 1937, გვ. 67.

გარდა ს ბგერის დასუსტება-დაკარგვის შენთხვევებისა, ადგილი აქვს სხვა ბგერების გაუჩინარებასაც. იკარგვის გ, ლ, მ, ნ, რ ბგერები.

გ ბგერა იკარგვის კაუზატივის ეფინ სუფიქსით ნაწარმოებ ფორმებში: გაათხრეინა, დაახვნეინა, დააყრენა, მააკვლეინა, დაალეინა...

ლ ბგერა ამოვარდება, როცა იგი თანხმოვანთა შორის არის მოქცეული: შებზე ( $\leftarrow$ შებლზე), შებში ( $\leftarrow$ შებლში), სახში, ხემშიცე, სუყველაფერი ( $\leftarrow$ სულყველაფერი), ცეცხან და სხვ. ლ-ს დაკარგვის მიზეზია მისი სონორობის შესუსტება მეზობელი თანხმოვნების გამო<sup>1</sup>. ლ-ს გაქრობის მიზეზი წარმოთქმაში მხოლოდ დაყრუება არ არის. დაკარგვა რომ მარტო დაყრუების გზით ხდებოდეს, მაშინ სიტყვაში შებზე ( $\leftarrow$ შებლზე) ლ არ გაუჩინარდებოდა, რადგან ზ-ს წინ ლ არ დაყრუებოდა<sup>2</sup>.

გ ბგერის დაკარგვის შემთხვევები დადასტურებულია შიმღეობებში: ფარველი (შდრ. ახალი ქართ. ფრინველი  $\leftarrow$ მფრინველი), დგმური, გლოვიარე, კვდარი... მ იკარგვის უფორმო სიტყვების თუ ნაწილაკებისა და კავშირების ბოლოსაც: ხო (ხომ), რო (რომ), რატო (რატომ)... ნაცვლად სიტყვისა „მხოლოდ“ გვაქვს „ხოლოთ“, გარდა ამისა, მხარე $\rightarrow$ ხარე, მკლავი $\rightarrow$ კლაჭი, მთელი $\rightarrow$ თელი.

ნ ბგერა დაკარგულია ზმნაში „გაჩდა“. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ფორმა უფრო არქაული უნდა იყოს, ვიდრე ლიტერატურული „გაჩნდა“. უნარო ფორმა ის საფეხური თუ არის, როცა ჩან // ჩინ // ჩენ ძირი მხოლოდ ჩ-ს სახით იყო წარმოდგენილი. ლიტერატურული „გაუჩნდა“-ს ნაცვლად „გაუჩდა“ არნ. ჩიქობავას დადასტურებული აქვს გარეჯახურში<sup>3</sup>.

ეგვევ ბგერა იკარგვის ზმნაში „მნდომებოდა“ და გვაქვს „მდომებოდა“. აქ ნარის დაკარგვა გამოწევულია მნდ ბგერათა კომპლექსით.

რ ბგერა იკარგვის იმ სიტყვებში, რომლებშიც თავმოყრილია რამდენიმე თანხმოვანი, მაგალითად: უბძანა, მასკვლავი, მცხვენია, დაგვახჩობს, უდღებელებენ, ზღით, გაზდილი... გვხვდება „გაზდილი“-ც, სადაც ჲ დასუსტებულა და ჲ-დ ქცეულა.

ზრდ კომპლექსის გამარტივება ქართულ კილოებში ორი გზით ხდება: ერთი მხრით, ზრდ $\rightarrow$ რდ: რდილობა, გარდილი (ქართლურში), ზოგჯერ ზ-სთან ერთად რ-ც იკარგვის: ცდილი ( $\leftarrow$ ვზრდილი), დაუდია ( $\leftarrow$ დაუზრდია), დილობა ( $\leftarrow$ ზრდილობა). ეს მოვლენა გვხვდება მთიულურში და ჯერჯერობით მხოლოდ არაგვის ხეობის ქართლურში<sup>4</sup>.

მეორე მხრით, ზრდ $\rightarrow$ ზდ $\rightarrow$ სდ $\rightarrow$ ძლ: გჭზრდილი $\rightarrow$ გაზდილი $\rightarrow$ გასდილი $\rightarrow$ გადილი; ახალგაზრდა $\rightarrow$ ახალგაზდა $\rightarrow$ ახალგასდა $\rightarrow$ ახალგაძლა. მეორე რიგის მოვლენა ყვარლის მეტყველებაშია დადასტურებული.

ჩეცულებრივია ბგერათა თუ მარცვალთა მოკვეცა მეორე პირის ბრძანებითის ფორმებში; მაგალითად: ადე ( $\leftarrow$ ადექი)! დაჯე ( $\leftarrow$ დაჯექი)! დაიცა ( $\leftarrow$ დაიცადე)! წამო ( $\leftarrow$ წამოდი)! მიე. ( $\leftarrow$ მიეცი)! გაიქე ( $\leftarrow$ გაიქეცი)! დაიჭირე ( $\leftarrow$ დაიჭირე)! და სხვ. ეს მოვლენა სხვა კილოებშიც არის ცნობილი. იგი უცხო

<sup>1</sup> გ. ახვლე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 212.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, 1925, გვ. 69.

<sup>4</sup> გრ. ი მნა ი შვილი, არაგვის ხეობის ქართლური: იბერ-კავკ. ენათმეცნიერება, IV, გვ. 321.

არ არის არც სალიტერატურო ქართულისათვის (ნუგეში, დახე, შეხე, გეთაყვაწმო, დავსხდეთ ტარიელისათვის...). სიტყვათა ამგვარი შემოკლების მიზეზი ცნობილია : ესაა მახვილი. ბრძანებითს ზემომოყანილ ფორმებში მახვილი პირველ მარცვალზე მოდის. ეს კი იწვევს სიტყვის ბოლოს დასუსტებასა და მოკვეცას.

### ასიმილაცია

ყველაზე ფართოდ გავრცელებულია რეგრესული სრული ხმოვანთა ასიმილაცია. ასიმილატორის როლში გამოდის ვრცებითის ე ან, შედარებით იშვიათად, სასხვისო ქცევის უ ფორმანტი, ასიმილაციას განიცდის პრევერბისეული ა, ი ან ო ხმოვანი. ამის გამო ენიან ვნებითი გვარის ზმნაში პრევერბი და → დე, გა→გე, მო→მე, ჩა→ჩე, წა→წე; უნიან სასხვისო ქცევის ზმნაში მი→მუ, მო→მუ. მაგალითები:

**და→დე** : დეეცეშა, დეეჭირა, დეექლა, დეეწუო.

**გა→გე** : გედეეხვივნათ, გეესხნა, გეეშებინა, გეეხარდათ...

**მო→მე** : მეეწონათ, მეეჭრა, მეერგო....

**ჩა→ჩე** : ჩეეყვანათ, ჩეერჭო, ჩეეღუნა...

**წა→წე** : წეეყვანა, წეელო, წეეჭირა...

**მი→მუ** : მუუსხი (მიუსხი)...

**მო→მუ** : მუუვიდათ...

ვნებითის ე ხმოვნის მიერ პრევერბისეული ა, თ ხმოვნების სრულად დამსგავსების მხრივ ყვარლის მეტყველება გვერდით უდგას სხვა კილოებს: კახურს, ქართლურს, ფერეიდნულს, ინგილოურს, რაჭულს, იმერულს...

ვნებითის ე გავლენას ახდენს რთული პრევერბის ჭინა ხმოვანზედაც და მასაც სრულიად იშეგავსებს; მაგალითები: გედეეხვივნათ, გემეერჩივე, გედეელოთ...

თანხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის მაგალითებია: გაშინჯა, მგზავსი და ს პრეფიქსი ზმნის ფუძისეულ ჭ და ჩ ბგერებთან: შეჭიხვინებს, შეშჩივლა.

### დისიმილაცია

დისიმილაცია ყვარლის მეტყველებაში შედარებით ნაკლებ გავრცელებული მოვლენაა. გეხვდება თითო-ორთოლა მაგალითები: არალი (=არ არის), არა-ფელი, ორჯელ, ცხრაჯელ.

### სუბსტიტუცია

დასტურდება სუბსტიტუციის ასეთი შემთხვევები:

**დ-თ-ტ** : იმთენი, რამთელი||იმტენი, რამტელი,

**გ-მ** : მიწროები, მასკვლავი, სამსე.

**გ-ნ** : მოსაქსონი (მოვქსონ), კიდენ;

**ლ-ნ** : სრონა.

**მ-ნ** : რატონ, თორენ, მაგრან, ინტერევლენ, მარიანობითვე.

**ნ-ლ** : რამტელი, რამდოლი, იმოტელა.

**ნ-მ** : რახამ, სამთელი, ბალკომი.

**შ-ჯ** : ინჯინელი, მიიბატიჯედ.

**ჯ-ჟ** : უონჟოლი, მოგიჟდები.

სუბსტიტუციას ადგილი აქვს თემის ნიშნებშიაც: ეს მოვლენა საერთოდ აღმოსავლური კილოებისათვის არის დამახასიათებელი. ყვარლის მეტყველებაში გვხვდება შემთხვევები:

აფ→ამ : გავყინამ, დაჲყეტამენ, ხატამს, უბერამს, ხურამს, უჭირამს...

ობ→ომ : თამიშომს...

ობ→ოფ : ნღომოფ, ომოფ ( $\leftarrow$  ომბოფ  $\leftarrow$  ომბობ). პირველი ბ ჩავარდნილია, მეორე—დაყრუებული).

ებ→ეფ : ვაკეთეფ, მოვატყუფ (ფ აქაც ბ-ს დაყრუების შედეგადაც მიღებული. ბ-ს დაყრუება განპირობებულია სიტყვაში მისი პოზიციით).

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი და მუდამ დაყრუებულია და ისმისთ : მეორეთ, მესამეთ, იმნაირათ, კარქათ, სახელათ, ერთათ და სხვ. დაყრუება აქაც განპირობებულია სიტყვის ბოლოში მდებარეობით<sup>1</sup>, მაგრამ ბოლოკიდური და ყველა შემთხვევაში როდი ყრუვდება. კერძოდ, იგი მეღერობას ინარჩუნებს, ე. ი. თ-დ არ იქცევა „ზედ“ სიტყვაში, როცა იგი ზმინართად ან თანდებულად არის გამოყენებული. მაგალითად, გვაქვს: „ზედ იმდღეს“, „თავზედ“, „ჩემზედ“ (და არა „ზეთ იმ დღეს“, „თავზეთ“, „ჩემზეთ“).

ყურადღებას იქცევს ხმოვანია გარკვეულ კომპლექსებთან დაკავშირებული ფონეტიკური მოვლენები:

ოფა→ოა→უე : მუალ, მუაჟდა, გასათხუარი, წამუა, გამოა || გამუა, გამუაცხადა, წამუახტა, ჩამუაცვა, გადმუარდნილა.

ოფე→ოე→უე : მოიდა, წამოიდა.

უფი→უი : ჩამოუიდა (იმთენი ჩამოუიდა, რო ხონი აამსო).

ვი→უ : საკურველი (ე რა საკურველი ვნახე...).

ბგერათა კომპლექსების ასეთი ცვლა გავრცელებულია როგორც აღმოსავლურ (ქართლურ, მთიულურ, გარეკახურ, ფერეკიდნულ, ქიზიურ, ინგილოურ), ისე მეტ-ნაკლებად დასავლურ (გურულ, იმერულ, რაჭულ) კილოებში; ყვარლის მეტყველებაც ქართული ენის კილოთა საერთო ტენდენციას მისდევს.

### მორიცოლობის მოვლენები

#### ბრუნება

სახელობითი ბრუნვის ნიშანი — ი ხმოვანთუძიან სახელებს დაერთვის მაშინ, როცა სხვათა სიტყვის — ანწილაკია გამოყენებული.

მაგალითები:

ხემწიფემ იფიქრა: — ალბათ ანგელოზი იქნება რა მე იო. არ მოსულა ჩემი დეიდა იო.

უთხრა ქალმა მამასა, რო ეხლა შენ წადი და ერთი კარგი სანდო კაცი ნახე ვინ მე იო.

ასეთ. შემთხვევებში — ი მარცვალს ქმნის. მის შემონახვას უთუოდ ხელუწყობს — ნაწილაკის დართვა.

შოთხრობით ბრუნვაში — მა ფორმანტს ზოგჯერ ხმოვანთუძიან სახელებთანაც ვხვდებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა წინადადებაში მოთხრობით ბრუნვაში დასმული, სახელი (ქვემდებარე) ბოლოს არის მოქცეული. მაგალითები:

<sup>1</sup> გ. ახ ელ ედ იანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 186.

შეჭამა იმ ბებრი თხამა; ჩამიარა ხემწიფემა; უთხრა სიკომა... ამას ადგილი აქვს მაშინაც, როცა სხვათა სიტყვის -ა მოთხრობით ბრუნვაში დასმულ სახელს დაერთვის:

ჩვენ ეგრე გვქონდა გამზადებული, როგორც გვიბძანა ხემწიფემა ასე გვითხრა დეიდამაო; აქ არ მოგვისწროს ღამემაო...

ზოგი საკუთარი სახელი, მაგალითად, ზურაბი, ეთერი, აჯალი, ფუძე-ზმოვნიან სახელად არის გაგებული<sup>1</sup> და ამიტომ მოთხრობით ბრუნვაში მარტო მას დაირთავს; მაგალითად:

ზურაბიმ ვეღარ მაითმინა; მემრე ზურაბიმ უთხრათ; აჯალიმ უთხრა; ეთერიმ ტირილი დაიწყო...

ი დაცულია მიცემითსა და წოდებითშიც: ზურაბის; ეთერის, აჯალის; ზურაბი! ეთერი! აჯალი!..

იშვიათად ადგილი აქვს საპირისპირო შოვლენასაც; შეგვხდა ერთი შემ-ათხვევა, როცა ხმოვანფუძიანი სახოგადო სახელი თანხმოვანფუძიანადაა გა-გებული და მოთხრობითში -მას ირთავს: ერთ ტყიან ალაგას დეიდ მა-უთხრა ბიჭება...

მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს, როგორც ფონეტიკურ ნაწილში აღვნიშ-ნეთ, ფუძეხმოვნიან სახელებთან სუსტდება და ა-დ იქცევა, ფუძეთანხმოვნიან სახელებთან კი იყარგვის. მაგალითად: მასკვლავებ მაღლა შახედა; დუ-რუჯ მაადგა სუყველა...

მაგრამ ბრუნვის ნიშანი ს დაცულია ემფატიკური -ას გამოყენები-სას: კაცა, მეწიაქვილესა, მასკვლავებსა, დურუჯსა, დეიდასა და ა. შ. ეს კი გვაქვს მაშინ, როცა მიცემითში დასმული სახელი წინადადების ბოლოშია-მაგალითები:

რა უნდა ექნა საწყალ კაც სა.

ახელა მაღლა მასკვლავებ სა.

ერთი კაცი რას უზამდა დურუჯ სა.

ეგვე ითქმის ნათესაობითი ბრუნვის -ის ფორმანტის შესახებაც, რომე-ლიც ხმოვანფუძიან სახელებთან -იც (ო-ე, უ-ე)-ს სახით არის წარმოდგენილი, თანხმოვანფუძიან სახელებთან კი -ს ელემენტი მოკვეცილია. თუ ნათესაობითი ბრუნვა ემფატიკური ა ხმოვნით არის გავრცობილი, ბრუნვის ნიშანი -ის ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის. იგი დაცულია მაშინაც, როცა ნანათე-შაობითარი მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს და სახელობითშია;

მაგალითად:

არ შაიძლება, რო ოქროჲ დედალ - მამალი ქათამი გამიკეთო? შაგრამ:

მამი, არ შაიძლება, რო დედალ - მამალი ქათამი გააკეთებინო აქროსი ოქრომშედლებსაო?

წოდებითის ფორმა ყვარლის მეტყველებაშიც -ო ან -ვ სუფიქსითა წარმოდგენილი, ოღონდ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა შიმართვა გა-მოხატულია ფუძეთ;

მაგალითები:

ვაშკაც, აქ მო!

მოდი, ძმათ ვიყოთ, კომბან!

<sup>1</sup> ეს არის მიზეზი, რომ ზოგჯერ წიგნურ ენაში გაწვრთნილ პირთაგანაც გესმენია: —ვა წ-ლანგის უთხარი, მალე მოვიდეს! ეს წიგნი თთარის გადაეცი! რა გითხრა ეთერიმ?

ეს მოვლენა უფრო შეიმჩნევა საკუთარ სახელებთან, რომლებიც წოდებითში წმინდა ფუძითაა წარმოდგენილი: ვახტანგ, იოსებ, პლატონ და ა. შ. ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებს კი ფუძისეული ხმოვანიც ეკვეცებათ. ასე მაგალითად:

ა ლექს, მოდი აქა!

ა ლიოშ, სად ყოფილხარ?

ამათ მისდევს ზოგადი სახელები დეიდა, ნათლია, ნათლიდედა... რათ არ მიშვებ, დეიდ? ნათლიდედ, როგორა ხარ?

სიტყვის ბოლო ხმოვნის მოკვეცას აქაც მახვილი უნდა იწვევდეს: მახვილი პირველ მარცვალს მოუდის, რის გამოც ბოლო მარცვალი სუსტდება და იქარგება (ალექს, ალიოშ...).

### თანდებულები

ყვარლის მეტყველებაში დღესაც ცოცხალია -დამ თანდებული, რომელიც დაღმე || დაღმა თანდებულის გამარტივებულ სახეს წარმოადგენს<sup>1</sup>, დაერთვის მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელს და -გან თანდებულის პარალელურად უპასუხებს კითხვაზე „საიდან“? მაგალითები:

გარედამ ატლასი, შიგნიდამ ათასი (ბროწეული).

ზეიდამ მოდის მოამბე.

მალლიდამ გადმაიხედა.

მე ქვეშიდამ დავინახამ.

-დამ თანდებულს ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულამწერლების ნაწარმოებებში, მისი ხმარების ყველაზე მეტი შემთხვევა კი ი. ჭავჭავაძის თხზულებებში დასტურდება. ეს სავსებით ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ილია განიცდის მშობლიური კუთხის მეტყველების გავლენას.

-თვის თანდებული წარმოდგენილია -თვინ-ის სახით:

ახი არალი ამითვინ დარი არ მივცე სულაცა?

კუდა ხარი თავი თავითვინ არ იყო, სხვას ბუზებ უნიავებდაო.

ამ ამბავითვინ მობძანდაო.

-თვინ ფორმა გვხვდება ქართული ენის სხვა კილოებშიც: მთიულურში, ქართლურში... -თვინ (-თუინ) დადასტურებულია XI საუკუნის ძეგლებშიც<sup>2</sup>.

ასეთივე ვითარება გვაქვს -მდის თანდებულშიც, რომელიც ყვარლის მეტყველებაში თითქმის ყოველთვის -მდინ ფორმით გვხვდება.

მაგალითები:

ბიჭი მუხლებამდინ გაქვავდა.

ბიჭი ეხლა წელამდინ გაქვავდა.

აქამდინ არა ვიცოდი რა.

სახლამდინ დიდი გზა იყო.

სპეციალურ ლიტერატურაში<sup>3</sup> აღნიშნულია, რომ -მდე და -მდის თანდებულები მიღებულია მი-დღედ და მი-დღის ფორმითაგან. -მდე ფორმაში

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიმქის მოამბე, I, 1937, გვ. 62–63.

<sup>2</sup> ა. მარტინ თავი, თანდებული ქართულში: იბერ.-კავკ. ენათმეცნ., I, 1946, გვ. 223.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძლები, I, 1953, გვ. 624; მისივე, მდე თანდებულის გენეზისისათვის: საქართველოს სსრ მეცნ. კადეგის მოამბე, ტ. III, № 4, 1942.

უცვლელად მოაღწია ჩვენამდე. -მდის ფორმის პარალელურად ჩნდება დიალექტური -მდინ, -მდის და -მდინ ფორმათა კონტამინაციით მივიღეთ მდისინ, რომლის ნ-მოვეცილი ფორმაა -მდისი.

-მდის თანდებულის განვითარება სხვა გზითაც მიიმართება; -მდის კარგავს ბოლო თანხმოვანს და გვაქვს -მდი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული XIX საუკუნის მწერლობაში.

-მდინ ფორმა სისტემატურ ხმარებაში შემოდის ე. წ. „საშუალ ქართულში“<sup>1</sup>.

-მდინ თანდებულში, როგორც თვი ინ ფორმაში, -ინ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად არის მიჩნეული.

-ვან თანდებულის დართვისას აქა ზმნისართი მოქმედებით ბრუნვაში -ა-ს არ იყვეცს და გვაქვს აქა და ან. ჩანს, ჯერ გვქონდა აქა და გან, რომლისგანაც მივიღეთ აქაოგან→აქადგან→აქადან.

აქათ ფორმა ძველი ქართულისათვის უცხო არ არის.

არა წარეკიდოდეს აქა და კიმ. I, 212,<sup>22</sup>

წარიყვანნა მან ძმანი აქა და ხანძთ. 123,<sup>23</sup>

განმიტევე მე აქა და კიმ. II, 186,<sup>24</sup>

აქა არ იყვეცებოდა ნათესაობითშიც: აქა და ამის მიერ ტანჯვისა გულისხმა-ყვენ ტიბ. 128,<sup>25</sup>

დიალექტური აქადან მოწმობს, რომ აქა ზმნისართში შემონახული გვაქვს ძველი ვითარება, როცა თავ- და ბოლოკიდური ხმოვნები ერთი და ოგივე იყო.

შეიძლება -ვან თანდებული დაერთოს „ვინ“ კითხვით ნაცვალსახელს არა ნათესაობითში, არამედ ნანათესაობითარ მოქმედებითში და მივიღოთ ფორმა აკვისიდან<sup>26</sup>. მაგალითად, „ვისიდან იყიდა?“ ჩვეულებრივი ცვლილების შედეგად: ვისითგან→ვისიდგან→ვისიდან.

-კენ თანდებულის პარალელური ფორმებია -ყენ, -ყე; ერთიც იხმარება და მეორეც. მაგალითები:

ჩემყენ გამაიყურება.

დურუჯი კაზარმების ყენ წასულიყო.

ჩვენი უბნისყე იქნება ზარალი მიეცა-მეთქი.

ზევითკე ბაგირი მეეშალა.

-ყე თანდებული გვანვდება ფერეიდნულსა<sup>2</sup> და ინგილოურშიც<sup>3</sup>. ფერეიდნულში იგი დაერთვის ნათესაობით ან მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელს და შნიშნელობით უდრის -ვან და -კენ თანდებულებს. სწორედ ამ მეორე ფუნქციით უკავშირდება იგი ინგილოურ -ყე || -ყენ თანდებულს. ასეა ყყარლის მეტყველებაშიც, სადაც -ყენ || -ყე თანდებული სახელს ნათესაობით ბრუნვაში ერთვის და -კენ თანდებულის ფუნქციას ასრულებს.

### ზონა

სხვა მეტყველების ნაწილებთან შედარებით მეტი თავისებურებები მოეპოვება ზმნას. როგორც ფონეტიკურ ნაწილში აღვნიშნეთ, გვაქვს -ავ და -ამ

<sup>1</sup> ა. მარტინოსოვი, თანდებული ქართულში, გვ. 234.

<sup>2</sup> ახა. ჩიქობავა, -ყე ნაწილაც ფერეიდნულში და მისი შნიშნელობა გრამრიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: წელიწდეული, I-II, 1923—1924.

<sup>3</sup> მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 266.

თემის ნიშნების მონაცვლეობა (ხატამს, კერამს, უბერამს...). ამათი ანალოგიით თემის ნიშანი უჩნდება ზოგ უთემისნიშნო ზმნას და გვაქვს: ვწერამ, წერამ, წერამს (—ვწერავ, წერავ, წერავს). მასდარში კი იხმარება „წერვა“ („დიდი ხნისა ვარ, წერვა-კითხვა არ ვიცი“). მაშასადამე, -ავ სუფიქსი მთლიანად არის შეცვლილი -ამ სუფიქსით და უკანასკნელი დაერთვის უნიშნო ზმნებს.

პირის ნიშნების ხმარების მხრივ დამახასიათებელია შემდეგი: პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ სასხვისო ქცევის უ ნიშნის წინ არ ისმის და გვაქვს:

მე უთხარი, გააკეთე მეთქი.

იქ უცდიდი (მე) და არ მოიდა.

ჩემ შეილ კოხტა სახლი აუშენე (მე).

ეგვე ვ დაკარგულია ვედ ძირის წინაც, სადაც თვით ძირისეული ვ-ც გამქრალია პირიან ფორმაში (მოიდა, მოედი) ფონეტიკურ ნიადაგზე (ოვი—ოი; ოვე — ოე).

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნებად ჰ-სა და ს-ს დასუსტების შედეგად გვხვდება ც. ამ პრეფიქსების ხმარება არეულია. ჰ ან მისი ბგერინაცვლები ს და ც წართქმით ბრძანებითშიც გვხვდება და უკუთქმითშიც, მესამე ირიბობიექტურია პირის ნიშნადაც და პირდაპირ-ობიექტური პირის თავსართადაც. მაგალითები:

წართქმ. ბრძანებითი: გა ა წიე, წადი! აბა, გა და ა ხედე, ვინ არი! მიდი, გა ა ბედე!

უკუთქმ. ბრძანებითი: არ გა ა ბედო! ნუ გა ა ხედავ!

Օ პირდ. : და ა ჭრე ც ხოშატი თათრებმა.

Օ ირიბი: უკან მი ა დევდა წყალია; ორივე თვალები და ა ხთხარე.

ჰ ზოგჯერ გვხვდება ერთპირიან ზმნასთანაც: ახალსოფლიდან და ა ქუხა; მეორე დილა გა ა თენდა.

გარდამავალი ზმნების წყვეტილში მე-3 სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში -ეს სუფიქსის მაგივრად გვხვდება -ეს სუფიქსი: გააკეთე (= გააკეთეს), წაიღე (= წაიღეს), გარეკე (= გარეკეს), ააშენე (= ააშენეს) და სხვ.

წყვეტილში თავისებურებას იჩენს ზმნა „უამბო“, რომელშიც ს პირის ნიშნად მხოლობით რიცხვში -ო-ს ნაცვლად გვაქვს -ა. ისტორიული თვალსაზრისით ა-ს ხმარებაა გამართლებული, რაღანაც გვაქვს სახელი ამბავი, რომლისგანც მიღებულია \*უამბავა—\*უამბევა—უამბა. ფორმა „უამბო“ კი გულისხმობს „უამბვა“ -ში ვა კომპლექსის ო-დ ქცევას. ჩანს, ყვარლის მეტყველებაში \*უამბვა ფორმის განვითარება სხვა გზით წარმართულა: ვ დაკარგულა მბგომბლექსში და ამის შემდეგ ა უცვლელად დარჩენილა.

ყვარლის მეტყველებაში ზმნასთან -ყე ნაწილაკი იხმარება. როგორც ცნობილია, -ყე ნაწილაკი ლიტერატურაში XI საუკუნიდან გვხვდება. ცოცხალ დიალექტებში მისი ხმარება დადასტურებულია ფერეიდნულში, რაჭულში, ინგილოურში, კახურში, ქიზიურში, მთიულურში, მოხეურში. ეგვე ნაწილაკი დღესაც იხმარება ყვარლის შეტყველებაში. მაგალითები:

იმი ბიჭებ მე უთხარიყე.

ყარაულებს შეეკითხაყე.

ჩავიდნენ და უნახავთ ყე ფაშვების ნაჭერი, თურმე წაულიათ და და უ-  
შალავთ ყე.

იმ კაცმა უნდა წაგვიყვანოს ყე.

დედ-მამას უთხრა:—სამაგიეროთ არ და გკარგავთ ყე.

—ყე ნაწილაკის ფუნქციაა მიუთითოს მრავლობითი რიცხვის სახელობითსა-  
და მიცემითში დასმულ ლოგიკურ აბიექტზე.

ეგვე ნაწილაკი დადასტურებულია იმერულ კილოში. ამ კილოს „ზოგი-  
ერთ თქმაში გრამატიკული ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს -ყე ნაწი-  
ლაკი, რომელიც ეკვივალენტია -თ სუფიქსისა“<sup>1</sup>. ტყიბულის, ქუთაისის, წულუ-  
კიძის, ზესტაფონისა და ბალდადის რაიონების მეტყველებაში ჩვეულებრივ იგი-  
რეალურ-გრამატიკული მიცემითის ობიექტის მრავლობითობას აღნიშნავს.

ყვარლის მეტყველებაში -ყე ნაწილაკის გავრცელების არე ძალიან შე-  
ზღუდულა და მისი მნიშვნელობაც, როგორც ჩანს, საკმაოდ დაბნელებულა. მის-  
ადგილას ზმნას უჩნდება -თ სუფიქსი, რომელსაც დაკისრებული აქვს -ყე ნაწი-  
ლაკის ფუნქციის შესრულება.

მაგალითები:

ბიჭმა იმი დედ-მამას უთხაოთ.

მაშინ გედეეხვივათ ხემწიფის ცოლი აჯალის, თავი შვილიშვილებ-  
და დაჯორცნათ.

ხემწიფემ კითხვი-კითხვით იპონათ ხოშატი და ამბრი.

გადყვათ (ის) მეფესა და იმი ჯარსა.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, -თ სუფიქსი ობიექტის მრავლობითო-  
ბის ალსანიშნავადაა გამოყენებული, მიუხედავად იმისა, რომელ ბრუნვაშია  
ობიექტი დასმული—სახელობითსა თუ მიცემითში. თავის დროზე ეს მოვლენა  
გარეკახურში აღნიშნა არნ. ჩიქობავამ, რომელიც წერდა: „გარე-კახურში ჩვენ-  
გვაძეს უტყუარი ნიშნები იმისა, რომ თან-სუფიქსი — ობიექტური სუფიქსის  
ფუნქციას იძენს: არა მარტო იქ აქვს მას ადგილი, სადაც მას ვხვდებით  
სამწერლობო ქართულში (ე. ი. როცა LS-ი, ენობრივად O-ი, მრავლობითი  
რიცხვის მიცემითი ბრუნვით. არის გადმოცემული), არამედ იქაც, სადაც ენო-  
ბრივადაც და ლოგიკურადაც ობიექტი მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნ-  
ვით გადმოიცემა“<sup>2</sup>.

წყვეტილის წარმოების დროს თავისებურებას იჩენენ -ევ სუფიქსიანი  
ფუძელრეკადი ზმნები. სალიტერატურო ქართულსა და რიგ დიალექტებში.  
წყვეტილში ვ თანხმოვანი შემონახული არ არის: ამჩნევს—შეამჩნაა, ამ-  
ტვრევს—დაამტვრია, ანგრევს—დაანგრია, აპევს—დააპნია და სხვ. ყვარ-  
ლის მეტყველებაში კი აწყოს -ევ სუფიქსი წყვეტილში -იგ-სახით არის და-  
ცული: ჩაიმჩნივა, გელეეხვივა, გემეერჩივა, გადაანგრივა... ანალოგიურ მაგა-  
ლითებს ვხვდებით ქართლურში, ქიზიყურში შესხურში და სხვა ქართულ კი-  
ლოებში, აგრეთვე ი. ჭავჭავაძის ნაწერებში.

თავისებურადაა ნაწარმოები III სერიის ფორმები.

თურმეობით პირველში გვაქვს: მოხრევნია, წაგვანია, წაგვანია, და უ-  
ლუპნია...

<sup>1</sup> ვლ. ფანჩევის, მრავლობითი რიცხვის აღნიშნისათვის ზმნაში იმერული კილოს, მიხედვით: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბდე, ტ. VI № 10, 1945, გვ. 874.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავამ, უნივერსიტეტის თავალსაზრისით: წელიწერული, I-II, 1923—1924, გვ. 54.

თურმეობით მეორეში: დ ე ე კ ე ტ ნ ა, დ ე ე ლ უ პ ნ ა, დ ე წ ე პ ნ ა...

ანალოგიური წარმოება გვაქვს ქართლურშიც, სადაც გვხვდება ფორმები: დამინახნია, მიყიდნია, აუკიდნია... სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ქართლურში მრავალ ზმნაში ნ არის ჩართული, „რომელსაც ძველს ქართულში მრავლობითი რიცხვის ნ-ით დაბოლოებული დამატებით ან ზმნის ვნებითობით (მრავლობ. რ.) გავამართლებდით, მაგრამ არის შემთხვევები ქართლურში, რომელთაც დამატებანი ვერ სსნიან და საანალიზოდ სულ სხვა საშუალებაა საჭირო“<sup>1</sup>.

ზმნის მესამე სერიის ფორმებში ნარის გაჩენა არნ. ჩიქობავამ ანალოგიური წარმოებით ახსნა გარეკახურში, კერძოდ, ისეთი ზმნების ანალოგიით, როგორიცაა: დევნა, თმენა, გზავნა და მსგავსნი, რომელთაგან შესაბამისად ვიღებთ ფორმებს: ედევნა, ედევნოს... უგზავნია, ეგზავნა, ეგზავნოს...

ძველ ქართულში ამ ფორმით გამოიხატებოდა მოქმედებითში აღებული სათანაო, საზედაო და სასხვისო ქცევათა ზმნების ვნებითი, რომელიც, როგორც არნ. ჩიქობავა წერს, შემდეგ იქცა ნამყო წინარეწარსულად. „ამ ფორმას შერჩა... ვნებითი გვარის ზმნების ერთი თავისებურება: ნამყო სრულისა და მისი თემიდან ნაწარმოებ ყველა დროში ვნებითი გვარის ზმნებს მრავლობითი რიცხვის სამსავე პირში ინფიქსური ნარი მოეპოვებათ; იგინი და იწერეს, თქუენ და იწერენი თ, ჩუენ და ვიწერენი თ... ვნებითების მრავლობითის, წარმოება ნარით უკვე გადაშენდა, მაგრამ შეუძლებელი არ არის ვნებითის ეს ნარი ანალოგიურად გადასულიყოს მსოლობით რიცხვშიაც“<sup>2</sup>.

ამნაირად არის ახსნილი. ნ-ს გაჩენა მესამე სერიის ზემომოყვანილ მაგალითებში.

#### ზმნისართი

ნაცვალსახელური წარმოშობის ზმნისართებიდან გვხვდება აქ, იქ, ეგერ, მანდ, სად.

როცა საიქითაქეთო მიმართულების ჩვენება სურთ, ამბობენ აქათი, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ა და ი ხმოვნები. ძველ ქართულში მტკიცედ იყო დაცული ამ ზმნისართებში თავ- და ბოლოკიდურ ხმოვანთა ერთნაირობის პრინციპი:

მამანი ჰევდვიდეს აქა და იქი კიმ. II, 180,<sub>9</sub>

ჩუენ აქა წარვმართოთ სიტყუად ზარზმ. 154,<sub>1</sub>

ვიღრემდე მე მივიღე იქი DE მ. 26,<sub>36</sub>

ყვარლის მეტყველებაშიც ზემოხსენებულ კომპონიტ ზმნისართში ეს პრინციპი დაცულია, ე. ი. შემონახულია ძველი ქართულის ვითარება.

ასე ზმნისართის ნაცვლად იხმარება ესე, რომელიც ამართლებს ამავე პრინციპს.

ეგერ მიღებულია ეგერა ზმნისართისაგან, რომელიც ძველ ქართულშიაც არის დადასტურებული:

რ-ეგერა მოძიებად ვალს ჰეროდე D მ. 2,<sub>13</sub>

ა ჰ ა ე გ ე რ ა წინა-გიძლვს. თქუენ გალილეას DE მრ. 16,<sub>7</sub>

ეგერ და მანდ ზმნისართების პარალელურად და მათი მნიშვნელობით გვხვდება ემე.

<sup>1</sup> 3. თოფურია, ქართლური: არილი, 1925, გვ. 143.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, გარეკახეთი დალექტოლოგიურად: არილი, 1925, გვ. 73.

8. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII.

გვხვდება ზმნისართი მემრე, ნაცვლად ლიტერატურული მერმე-სი. ვა-რაუდია, რომ მემრე წინა საფეხურია მერმე ფორმისა: მერმე—მემრე—მევ-რე—მეორე.

მემრე-ს თითო-ოროლა მაგალითი ძველ ქეგლებშიც შეიძლება დაიძებნოს: მემრე გამოვიდა გარე C ი. 18, 38.

### სიტყვაწარმოება

სიტყვაწარმოებაში შეინიშნება შემდეგი თავისებურებები:

განყენებული ცნების გამომხატველი არსებითი სახელების წარმოებისას —ება სუფიქსის ადგილას ზოგჯერ —ობა სუფიქსია გამოყენებული; მაგალითად, ნაცვლად ლიტერატურული ფორმისა „ბეღნიერება“ გვაქვს „ბეღნიერობა“. ასევე: ქვეყნიერობა, გონიერობა, ხელშეკრულობა...

წინა ვითარების სახელების მაწარმოებელი ნა—არ აფიქსების პარალელურად იხმარება ნა—ობ თავსართ-ბოლოსართი: ნამამობრ. ნადელობი... იმ ქალმა უთხრა თავი ნამამობს (ე. ი. მამაყოფილს, ნამამარს); მოიკითხა ნადელობი (ე. ი. დედაყოფილი, ნადედარი); (შდრ. ლიტ. „ნამზობი“).

მე—ე პრეფიქს-სუფიქსი ზოგჯერ გამოყენებულია მიმღეობაში მე— პრეფიქსის ადგილას; მაგალითად: „ამ ნახირში ერთი დედაბრი თხა არი, მეწველე“. „მეწველე“ = „მეწველი“.

მე—არ აფიქსებიან მიმღეობაში მა—არ გვაქვს მაგალითში მაომრები: „მაომრები წავიდნენ“.

მათხოვარ მიმღეობის პარალელურად გვხვდება მთხოვარი: „წა-მოსულან ქალაქში მთხოვრათ“ (= მათხოვრად), ხოლო საშუალოს ნაცვლად საშუალე: „საშუალე დამ კვერცხი ნაჭუჭში ვერაფელი გააკთა“.

ნამტირალევში -ეს სუფიქსს შენაცვლებია -აგ: „ნამტირალევი თვალები“.

პროფესიის (ხელობის) აღმნიშვნელი მე—ე აფიქსები ზოგჯერ შეიძლება დაერთოს სა—ე აფიქსებით ნაწარმოებ სიტყვას: სა-კირ-ე-საგან მიგილეთ მე-სა-კირ-ე (ის, ვინც საკირეში კირს წვავს). აქ უჩვეულო არაფერია. ანალოგიური წარმოებისაა სალიტერატურო ენაში ხმარებული მესათვალე (შდრ. სათვალე), მესაიდუმლე (შდრ. საიდუმლო) მესათვალე (შდრ. სათვალი) და ა. შ.

ვნებითი გვარის მიმღეობაში — „დაძახნილი“ („მაძახ. მდევრები აქ დაძახნილი“) — ნ გადმოსული ჩანს საწყისიდან დაძახნა. ნ აქ ალბათ ისეა გაჩენილი, როგორც დევნა, პოვნა, ძოვნა და მისთანებში.

ნამყოდროის ვნებითი გვარის მიმღეობა „ჩარჩომილი“ („კავკასიის მთებში ჩარჩოლი გველაშაპი გადმოდის ხალხში“) შეიცავს იმავე ფუძეს, რასაც მასდარი „ჩჩომა“.

კომპოზიტებში აღსანიშნავია რედუპლიკაციით წარმოებული სიტყვა „რამოტელტელები“; მაგალითად:

ნანე, თითო ტევანი რამოტელტელებია!

აბა, გახხედე, შენი შვილიშვილები რამოტელტელებია!

როგორც სხვაგან, ყვარლის მეტყველებაშიც და- ზმნისწინი მოქმედების ინტენსივობის გამოსახატავად არის გამოყენებული, რაც ობიექტის სიმრავლესთანაა დაკავშირებული: მაგალითები:

კაზარმებ და-კეთებენ.

ჩემი შვილიშვილები შენ დაგიზდია.

დეიდები ხემწიფის ცოლმა და აჩლექინათ.  
საგზლათ პურები დაცც ხო<sup>1</sup>.

### სიტარსური მოვლენები:

ზოგი თავისებურება სინტაქსშიც შეიმჩნევა.

ამ მხრივ ალსანიშნავია წინადადების წევრთა შორის გრამატიკული შეკავშირების წესის დარღვევა; მაგალითად: „ისე ხოცამენ, როგორც ქათამი“. აქ სიტყვა „ქათამი“ მოსალოდნელი იყო მიცემით ბრუნვაში (ხოცავენ როგორც ქათამს), მაგრამ სახელობითშია.

სშირია ორმაგი უარყოფის შემთხვევები, რაც სხვა ქართულ კილოგბშიც გავრცელებულია<sup>2</sup>. მას მაშინ მიმართავენ, როცა უარყოფის გაინტენსიურება სურთ. მაგალითები:

ა რავინ არ უნახავთ.

ა რაფელი არადქონდათ.

ა რავინ არ დაჯლებია.

როცა ქემდებარე მრავლობითშია, შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილიც და ხშირად სახელადი ნაწილიც მრავლობითშია. სახელი ზოგჯერ ნ-ს დაირთავს, ზოგჯერ -ებ-ს: ტყეში მარტონი დავრჩით; იმ კაცისაგან მოტყუებულები წამოიდნენ; სუყველა ფხიზლები ვიყაით...

ანალოგიურ მოვლენას ვხვდებით არა მარტო სხვა ქართულ კილოგბშიც, არამედ ლიტერატურაშიც: „ისინი თავის მხრით მართალი არიან“ (ილ. ჭავ., II, 312); „ისინი მაგასაც მოკლებული არიან“ (ილ. ჭავ., II, 313); „განა ჩვენ იმაზე მეტნი ვართ?“ (ილ. ჭავ., II, 314) და სხვ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის შემდეგ არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში გვხვდება: არიან ორი ვაშკაცების დაჯთხარა ორივე თვალები; ორივე კაცები იპონეს...

-მცა ნაწილაკი, რომელიც ძველ ქართულს ახასიათებდა<sup>3</sup> და დღესაც შემონახულია ალმოსავლურ კილოგბში, ყვარლის მეტყველებაშიც გვხვდება წინანდელი სინტაქსური ფუნქციით, იგი ახლაც კავშირებითის მნიშვნელობას ანიჭებს: „შენამც ჩაგივარდა აჯალის სიყვარული“ („შენამც ჩაგივარდეს აჯალის სიყვარული“).

ყვარლელები ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავენ „წალება“ და „წაყვანა“ ზმნებს. ამიტომ იქ გავიგონებთ ასეთ გამოთქმებს: „ურემი წაილე!“; „ფაიტონი მოიტანე!“ და ა. შ. ოლონდ ახლა ურემი და, განსაკუთრებით, „ფაიტონი“ ხმარებიდან თითქმის გასულია და უფრო ხშირად გაისმის: „წაძიბიჭო, „პაბელა“ მოიტანე!“ „თუ გეჩქარებათ, ჩემი „მასკვიჩი“ წაილეთ!“...

\* \* \*

კახურ დიალექტს ქართლურთან ერთად უდიდესი წილი უძევს საერთოეროვნული ქართული ენის ჩამოყალიბების საქმეში. დიალექტები სალიტერატურო ქართული ენის გამდიდრების დაუშრეტელი წყარო. ამ თვალსაზრისით

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 263.

<sup>2</sup> 3. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: წელიწდებული, I-II, 1923-24, გვ. 74-116.

<sup>3</sup> ა. შანიძე, „მცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში: პრომეთე, № 1, 1918, გვ. 79-80.

ინტერესს მოკლებული არ ძენებოდა ყვარლის მეტყველების ლექსიკის და გრამატიკული მოკლენების გამოვლინება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ენაში;  
მაგრამ ეს საგანგებო შესწავლის საგანია. ჩვენ კი ამჯერად შეიძლებოდა და-გვესახელებინა. რამდენიმე სიტყვა, რომლებიც დღესაც ცოცხალია ყვარლის მეტყველებაში და ო. ჭავჭავაძის ნაწერებშიც არის დადასტურებული. ასეთებით: გამაქერ (II, 78), ვმონაგრობთ (VII, 262), გაქირი (VI, 122), ნაცვალ-გარდობა (VI, 243), გარმიანელი და სხვ.

\* \*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყვარელში რამდენიმე კომლი რაჭველი ცხოვრობს. ამის გამო რაჭველთა ნეტყველება აქ კახურ გარემოშია მოქცეული. ეს ფაქტი საინტერესოა დიალექტთა ურთიერთგავლენის შესასწავლად.

ი. სტალინი ენათა შეჯვარედინების შესახებ წერს: „ენების შეჯვარედინება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც გადამწყვეტი დარტყმის ერთეული აქტი, რომელიც თავის შედეგებს იძლევა რამდენიმე წლის მანძილზე. ენების შეჯვარედინება ხანგრძლივი პროცესია; რომელიც ასეული წლობით გრძელდება“<sup>1</sup>.

ეგვე უნდა ითქვას დიალექტთა შეჯვარედინების შესახებაც. ჩვენი კერძო შემთხვევა, როცა ერთი დიალექტი (რაჭული) სულ რაღაც ოცდახუთიოდე წელია შეორე დიალექტის (კახურის) გარემოშია მოქცეული, ხელშესახებს ვერაფერს ვერ იძლევა.

ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყვარელშია მცხოვრებ რაჭველთა მეტყველებას მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებები თუ განუცდია. ამის მიზეზი უწინარეს ყოვლისა ისაა, რომ ზეგავლენისა და ცვლილებებისათვის 25 წელიწადი ცოტა დროა.

უცვლელად არის დაცული რაჭულისათვის დამახასიათებელი წესი ზმნის-წინების ხმოვანთა დამსგავსებისა ზმნის ფუნისეულ ხმოვნებთან;

მაგალითები:

და→დე : დევიწყე მუშაობა.

გა→გე : გაღმევედი კახეთში.

გეიმართა გახშამი.

მო→მე : მევითხოვე დიდი ყანწები.

ვერ მეიტანა დროზე.

და→დო : ხარი არ დოუზიანებია.

ის ძროხა იქანა დოუკლავა.

ბიჭებს დოუდახეს.

იქვე დოუმალავთ.

ჩა→ჩე : სანემდინ, მზე არ ჩევიდა, ვიყავი;

გამოცდებზე ჩეიჭრა.

წა→წე : წევდვა იმას.

სტუმრები სახში წევიყვანები.

წევედით დასანიშნავ.

იხმარება ზმნისართები აქანა, იქანა, სა...

რაჭულისათვის. დამახასიათებელი მოკლენები დაცულია ფონეტიკაში, შორტოლოგისა და სინტაქსშიც.

<sup>1</sup> ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიდრების საკითხები, 1954, გვ. 26—27.

მაგრამ ზოგი რაჭელის მეტყველებაში უკვე იგრძნობა ყვარლელთა გავლენა: წისქვილში შავე დით; თელი ხალხი შავა შეცებოდი დით ერთმანეთს; მაახერხებდნენ რასმე; წამოედით...

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქ ყვარლელები რაჭელებს ჩიცხობრივად დიდად სჭარბობენ და აგრძეთვე ხშირია მათ შორის ქორწინების შემთხვევები, უნდა ვიფიქროთ, რომ დროთა განმავლობაში მოსალოდნელია ამ დიალექტთა მეტი ურთიერთგავლენა.

Г. Е. ციალამბერიძე

## ОСОБЕННОСТИ КАХЕТИНСКОГО НАРЕЧИЯ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА ПО ДАННЫМ РЕЧИ сел. КВАРЕЛИ

### Резюме

В речи населения с. Кварели почти полностью представлены все те особенности, которыми характеризуется кахетинский диалект, легший вместе картлийским диалектом в основу новогрузинского литературного языка.

Особенно распространено ослабление звука *ь* *s* *v* *ə* *j* как в именах, так и глаголах. Это явление наблюдается, когда:

а) имя с гласной основой стоит в дательном падеже (*მობადირე* *უთხრა* „он сказал охотнику“);

б) имя с гласной основой на *მ* и *უ* и стоит в родительном падеже *ოქრო* *მამალი* „золотой петушок“... *წყარო* *წყალი* „ключевая вода“);

в) первая составная часть композита представлена в форме родительного падежа (*ჯიბდიავი* *kingjittavi*, „булавка“);

г) в глаголах *ə* *j* заменяет личный показатель *O<sub>3</sub>* (косв.) и *S<sub>2</sub>* *ь* *s* (*ცოდვე* *mojdevs*, „он следует за ним“... *გავში* *გაისი* „иди, уходи“), а также элемент *ь* *s* показателя *S<sub>3</sub>* мн. ч. -*ე* -*es* (*გაახილე* *თვალები* *გაახილები* *tvalebi* „они открыли глаза“).

*ь* *s* бесследно исчезает:

а) в именах с согласной основой, когда он выступает в качестве суффикса дательного падежа (*გავ მიგ ჰას მიე* „отдай человеку“);

б) в именах, как элемент суффикса родительного падежа (*გათებუბი* *ხანია* „время рассвета“).

Широко распространена полная регressiveная ассимиляция. В роли ассимилятора чаще всего выступает показатель страдательного залога *გ* *ე*, с которым ассимилируются гласные элементы приставок *და-*, *გა-გა-*, *მო-* *თო-*, *ჩა-*, *წა-* *ცა-*.

В отличие от лит. грузинского языка, в именах с гласной основой сохранен показатель именительного падежа *ი* перед частицей косвенной речи (*ბიჭმა* *უთხრა*; —*მოვიდა* *მამაიო* „мальчик сказал:—Отец пришел“).

В глаголах чередуются тематические суффиксы -əз -əу и -əθ -əм (զեստամ *vxaṭam* „рисую“ вместо զեստազ *vxaṭav*).

В формах глагола встречаются частица -ց -ցе, обозначающая множ. число логического объекта (օմենացցիւ Պյոյշտեաց *amxanagebs ūeekitxate* „он спросил товарищей“). Сфера действия данной частицы весьма ограничена и ее часто заменяет суффикс թ т (օմենացցիւ Պյոյշտեաթ *amxanagebs ūeekitxat* „он спросил товарищей“).

В ссл. Кварели лет 25 тому назад поселились рачибцы, но в их речи пока что не наблюдаем существенных изменений.

ପ୍ରକାଶିତ ତାରିଖ: ୦୫୨୦୧୯୮୦୩୦୩୦୩

କିମ୍ବା ତଥା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ეს თავისებურება ჩანს ფონეტიკაშიც, მორფოლოგიაშიც, სინტაქსშიც და ლექსიკაშიც. მაგრამ აյ ვეხებით მხოლოდ ერთ საკითხს, რომელიც მორფოლოგიური ხასიათისა ძირითადად და დაკავშირებულია პირველ თურ-მეობით და სტატიკურ ზღვებთან.

ინგილოურში (განსაკუთრებით მის კაკურ კილტვაში) პირველი თურ-  
მეობითი ფართოდაა გავრცელებული. იგი ორი ფუნქციით იხმარება: 1) თა-  
ვისი ძირითადი შნიშვნელობით — გვაქვს პირველი თურმეობითის აღვილას —  
და 2) დამატებითი — ხშირად ენა (კლიტი) ნაცყო წყვეტილს.

ამ უკანასკნელის მაგალითებია: ერ კალო მარტოკა მე გამიღებირა „ერთი კალო მარტოკა მე გავფხიყე“; მე დამიწერირა „მე დავწერე“; შენ და-გიწერირა „შენ დასწერე“; მიგიციაური „მიეცი“... ღოუქულავ ორ ზროხად „დაკ-ლა ორი ძროხა“; მე მამიჯნავ „მე მოვხანი“; შენ სამ მანათ მე დამიხარჯავ „შენი სამი მანეთი მე დაეხარჯე“; ჩოტდგამ „ჩაუდგა“; უთქომ ( $\leftarrow$  უთქუმამს) „უთხრა“; გომოურთომ ( $\leftarrow$  გამოურთუამს) „გამოართვა“... მე გუშინ მოსულ-ვარ „მე გუშინ მოვდიო“ და სხვ.

ამ შენაცვლებით ინგილოურის კაკურ კილოვატში რიგ შემთხვევაში აცილებულია წარსული და მომავალი დროების აღრევა პირველ და მეორე პირში, სადაც ნამყო წყვეტილის ზოგიერთი ზმნა დროის ნიშნის - ეს სუფიქსის უქონლობის გამო საკსებით ემთხვევა ფარმით მყოფადის. ზოგიერთ ზმნას, მაგალითად, მე მოვტან, შენ მავტან; აქ კონტექსტის გარეშე გაუგებარია, წარსული დროს თუ მომავალი (შდრ. „მე გუშინ შიშავ მოვტან“ და „მე ხუალ შიშას მოვტან“).

-ავ და -ამ თემიანი ზმები ამ შეჩივ თითქმის არავითარ თავისებურებას არ შეიცავენ. ესენი ინგილოურშიც ისევე, როგორც ძველ ქართულსა და ხევ-სურულში, უმეტეს შემთხვევაში ფუტეს უცვლელად ინარჩუნებენ (დოკულავა ჩოტიდგამ<sup>1)</sup>). მაგრამ ამ ზმნებთან ინგილოურშიც სხვა ღმოსავლური და დასა-

<sup>1</sup> მესამე-სუბიექტური პირის წილას ხშირად იკვეცნ და ამით ასხვებენ მყოფადი-საგან.

ვლური კილოების მსგავსად შეინიშნება -ი-ა სუფიქსით წარმოება (დოუნახია), რაც გამოწვეული ჩანს ტენდენციით მრავალფორმიანობიდან ერთორმიანობისაკენ, უნიფიკაციისაკენ, რომელიც ენის განვითარების შინაგან კანონს განეცავს ვნებება<sup>1</sup>.

უკოცია, ურეცხია და მისთ. ძველ ფუძეს კოც-ს, რეცხ-ს ემყარება.

ყურადღებას იქცევს სხვა ზმების წარმოება პირველ თურმეობითში და -ი-ა-ზე დაბოლოებული სტატიკური ვნებითები.

ინგილოურის კაურ კილოვაში -ი-ა-ზე დაბოლოებული თურმეობითი (ახალი ქართულის თვალსაზრისით) წარმოდგენილია - ა სუფიქსის გარეშე. ამის ნიმუშებია: ჩოტყრი „ჩაუყრია“, დატყრი „დაუყრია“; ოტყენები „აუყენებია“, უპოვი „უპოვნია“, აშლი ( ॥ ოტლი ) „აულია“, მოტლი „მოულია“, „ტოტანია“, დატყრეფი „დაუყრეფია“, დახტომი „დახვდომია“, უჭამი „უჭამია“, შატყიდნი „შეუჭიდნია“, გატყდი „გაუხდია“, გომოტშუ „გამოუშვია“, გატგი „გატგია“, გაგიგი „გაგიგია“ და სხვ.

ასევე იწარმოება -ი-ა-ზე დაბოლოებული სტატიკური ვნებითებიც კაკურში: მუანგან ხე გდი „ამ და ამ ადგილას ხე გდია“, ბეტრი ასხი „ბევრი ასხია“, აგრ გონი „აგრე ჰეონია“ და სხვ.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აწმყოს სტატიკური ვნებითები და პირველი თურმეობითები ხშირად ემთხვევიან ერთმანეთს<sup>2</sup>.

პირველი თურმეობითის რელატიური ზმებისა და აწმყოს სტატიკური ვნებითების წარმოებას ძველ ქართულში -ე ბოლოსართი ახასიათებდა (დაუწერ-ი-ე-ს მას ॥ მათ იგი, დაუწერ-ი-ე მას ॥ მათ შენ, დაუწერ-ი-ე მას ॥ მათ მე, დაუწერ-ი-ან ← \*დაუწერ-ი-ე-ან ჩას ॥ მათ იგინი; ვჰეონ-ი-ე, ჰეონ-ი-ე, ჰეონ-ი-ე-ს, ვჰეონ-ი-ე-თ, ჰეონ-ი-ე-თ, ჰეონ-ი-ან ← \*ჰეონ-ი-ე-ან და სხვ.). ახალ ქართულში -ი-ა დაბოლოება გვაქს.

კითხვა ისმის: კაკურში რელატიურ პირველ თურმეობითსა და სტატიკურ ვნებითებს (რომლებთანაც კავშირშია პირველი თურმეობითი წარმოშობით) შევლი ქართულის პირველი თურმეობითის -ე მოეკერეცა და -ა აღარ დაირთო, თუ მან გაიარა ის გზა, რაც ახალმა ქართულმა?

სანაშლე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, მანამდე საჭიროა განვიხილოთ პირველი თურმეობითის აბსოლუტური ზმები და აწმყოს შედგენილი შემასმენლები.

პირველი თურმეობითის აბსოლუტური ვნებითები კაკურში - ა დაბოლოების გარეშე გვევლინება: გადაა ამდგარ, „ბიჭი ამდგარა“, წასულ „წასულა“, გადამხტარ „გადამხტარა“, შიგ ჩავარდნილ „შიგ ჩავარდნილა“, მამკდარ „მომკვდარა“, შემცდარ „შემცდარა“, დარჩომილ „დარჩომილა“, ერ ჰაუზ ყოფილ „ერთი აუზი ყოფილა“, წყალ კამ ქნილ „წყალი კარგი ქნილა“, დაწოლილ „დაწოლილა“, დაღონებულ „დაღონებულა“, დანაღვლიანებულ „დანაღვლიანებულა“, გაფრენულ „გაფრენილა“ და სხვ.

<sup>1</sup> ვ. თ ა ფ უ რ ი ა, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 528.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობა ვა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი რავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში: ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 138.

ხევსურულშიც ვეკვდებით სუფიქსისეული ა-ს არქონის შემთხვევებს ანალოგიურ მაგალითებში (ყოფილ 182,10, წასულ 183,2, გამართულ 184,18, დამთვრალ 201,33 და სხვ. <sup>1</sup>). მაგრამ აქ მას არა აქვს ისეთი სისტემატური ხასიათი, როგორიც ინგილოურის კაურ კილოკავში.

ცნობილია, რომ ხევსურული დიალექტი მდიდარია არქაიზმებით. ხევსურულ დიალექტში ენობრივი მოვლენები ისე სწრაფად არ იცვალა, როგორც ქართული ენის ბარის კილოებში <sup>2</sup>. ეგების ინგილოურსა და ხევსურულში ამ შემთხვევაში ძველი ფორმის შემონახვასთან გვქონდეს საქმე?

მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს, თუმცა ცხადია, რომ აბსოლუტური ვნებითების ამჟამინდელი ფორმა პირველ თურმეობითში მეორეულია, იგი არ გვქონდა ძველ ქართულში. იყო მხოლოდ მიმღების ფორმა იმ სახით (წრფელობითის ფორმით), როგორიც ამჟამად გვაქვს ინგილოურის კაურ კილოკავში. აბსოლუტური ვნებითების თურმეობითის თანამედროვე ფორმა ახალ ქართულში ჩამოყალიბდა მიმღების წრფელობითის ფორმასთან შეკვეცილი ძეშველი ზმნის შეერთებით (ყოფილა ← ყოფილ არს).

ამ გზით წარმოიშვა ახალ ქართულში შედგენილი შემასმენებლიც (კაცი არს → კაცია), რომელსაც კაკურში აგრეთვე არ გააჩნია ა დაბოლოება (ახალი ქართულის თვალსაზრისით). საამისო მაგალითებია: ჩემ ქარი „ჩემი ხარია“, მამად დიალ ავადი „მამა ძლიერ ავადაა“, დათი კოლი „დათვის კვალია“, დიდ კაცი „დიდი ხნის კაცია“, იქ ბჟთვებ <sup>3</sup> რამ ზური „იქ ყველაფერი ძვირია“, ჩემ სახლ დიდი „ჩემი სახლი დიდია“, ნასწავლ კაც ასლანი, არნასწავლ-კიზროხავ „ნასწავლი კაცი ასლანია (ლომია), სუსწავლელი კი ძროხაა“... ცეცხორ ბეგისი „ეს ცხვარი ბეგისაა“, ცეცხენ ჩემ არა, ნიჭხბლისი „ეს ცხენი ჩემი არაა, მეზობლისაა“... გაგი კაც აქ ჩინთან ყულუხშიდა „მაგის კაცი აქ ჩეენთან სამსახურშია“, პატარა ზმა ასკარშიდა „პატარა ძმა ჯარშია“, დერიახ შუაზედა „ზღვის შუაზედაა“ და სხვ.

ეს მხოლოდ კაკურის თავისებურებას წარმოადგენს. ალიაბათურში არის ზმნას მხოლოდ ს სცილდება ხშირად, როგორც ქართლურისა და კახურში (მაგალითად, ერთი კურა არი, სად არი და სხვ.). ერთადერთ მაგალითს წავაწყიდთ ისეთს, სადაც არის ზმნა ა ხმოვნის მოკვეცით შეერთებია სახელს (მაგალითად, ისი დელურის ← დელუ [ა]რის „ის გიე არის“).

ძველ ქართულში ამჟამინდელ შედგენილ შემასმენელთან და ერთპირიან ვნებითებთან ყოველთვის გვქონდა მეშველი ზმნა თავისი სრული ფორმით. კაკურში იგი არა გვაქვს. რა მოუვიდა მას? თუ გვქონდა დასახელებულ მაგალითებში იგი, რა სახით უნდა გვქონოდა, რომ ვერ გაუძლია და დაკარგულა? ან რას უნდა გამოეწვია მისი დაკარგვა?

ალიაბათურში იგი გვაქვს იმ სახით, რა სახითაც დამკვიდრებულა თანა-შედროვე სალიტერატურო ქართულში. კაკურშიც ასეთივე ვითარება უნდა გვქონოდა. მისი დაკარგვის მიზეზი მახვილი უნდა იყოს.

კაკურში რომ არის მეშველი ზმნა დაკარგულა ამ გზით, ამას ისიც ადასტურებს, რომ ანალოგიურ შემთხვევებში სხვანაირი ვითარება გვაქვს ბოლო-

<sup>1</sup> ბ. გაბური, კევსურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით: წელიწდეული, ჸ-II, 1923—1924.

<sup>2</sup> ქ. ლომთა თიქე, ენის განვითარების კანონზომიერების საკითხის შესახებ: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, 1952, გვ. 124.

<sup>3</sup> კ-თი ინგილოურში აღვნიშვნათ წყვილბაგისმიერ ის.

ზმოვნიან სახელებთან. ამ შემთხვევაში არის მეშვეობი ზმნისაგან მესამე სუბი-ექტური პირის ნიშანი ს შემონახულა სახელთან უშუალო შეერთებით და ატარებს თავის პირვანდელ ფუნქციას. ამის ნიმუშებია: საესტეს „საესე არის“, ღამეს „ღამე არის“, სიცივეს „სიცივე არის“, საჭიროეს „საჭირო არის“, ოქს მინ მეტროეს „ექსი ათასი მეტრი არის“, უკეთოეს „უკეთო არის“, ცეკოეს „ცეკიანი არის“, კადეს „კარგი არის“, რადესა? „რა არის?“ ზმადეს „მმა არის“, ნიშანწულს „დანიშნული არის“, შენი დედა მეპურეეს, მამაც მეპურეეს „შენი დედა მეპურე არის, მამაც მეპურე არის“, ჰაჟი მურადადეს ისი „ჰაჟი მურადა არის ის“ და სხვ-ას მეშვეობი ზმნის შეკვეცას ადგილი აქვს ხევსურულშიც. აქ ის გვე-ლინება ას სახით (საქონელი ას 197,9, ნათქვამი ას 149,24...)<sup>1</sup>.

ამგვარად, არის // არის მეშვეობი ზმნა ახალ ქართულში შეიკვეცა - ა-მდე (კაცია ← კაცი არის), ხევსურულში კი შემოგვრჩა ას (საქონელი ას), ინგილოურ-ში (კაკურში) ს-ლა გვაქს ამ ზმნისაგან; როცა ის ბოლოხმოვნიან სახელს ერთვის უშუალოდ; ხოლო ბოლოთანხმოვნიანებთან იგი დაკარგულა მთლი-ანად წინამაგალი მახვილიანი ხმოვნის გავლენით ახალი ქართულის მსგავსად სახელთან შეერთების შემდეგ და მისი ფუნქციის შესრულება დაპყისრებია სახელობითი ბრუნვის ნიშანს, რომელიც შემონახულა ამ შემთხვევაში ბოლო-თანხმოვნიანებთანც:

ა ხმოვნის დაკარგვის სავსებრთ ანალოგიური ვითარება გვაქვს. რელა-ტიურ პირველ თურმეობითებთან და სტატიკურ ვნებითებთან.

კაკურში რომ ა სუფიქსისეული ხმოვნია დაკარგული რელატიურ თურ-მეობით პირველსა და სტატიკურ ვნებითებში; აგრეთვე აბსოლუტურ ვნე-ბითებში (ამავე თურმეობითში) და აწმყოს შედგენილ შემასმენელთან, ამას ადასტურებს სხვა შემთხვევებიც:

- 1) ბრავლობით რიცხვში ახალი ქართულის ფორმა ვვაქვს (შეჭიდებუ-ლან, გაშლართულან, წასულან);
- 2) ნაწილაკის დართვისას ა გამოვლინდება (დაუჭერიაყ, გელიავ);
- 3) ალიაბათურში ახალი წარმოებაა;
- 4) კაკურში საერთოდ იყარგის მახვილის ძალით სუფიქსისეული ხმო-ვანი, რომელიც დიფთონგს არ ქმნის.

ამგვარად, ინგილოურმა ამ შემთხვევაში ქველი ფორმები კი არ შემო-გვინახა, არამედ გაიარა ის გზა, რაც ახალმა ქართულმა, ახლა საქმე გვაქვს მის გადმონაშთებთან.

ინგილოურში (კაკურშიც და ალიაბათურშიც) ვხვდებით I თურმეობითის. წარმოებას ალწერილობით: რომელსამე დროში დაყენებული ზმნის პირიანი ფორმა პლუს ყოფილა; მაგ:

ჩომოდის ყოფილ	დაუკარგავ ყოფილ
იპარაგს ყოფილ	დაუჭერი ყოფილ
შექავს ყოფილ	მოუჭრი ყოფილ
ცხოვრობენ ყოფილ ათაბაბურ	ფერპადს დომები ყოფილ შირინი
ზრდლ სახლში (კაკი)	თავ (კაკი)
იმის ერ კორცხ იყიდების ყო-	ზმევიც გაფარეულან ყოფილ
ფილ ერ ყვზილზე (კაკი)	(კაკი)

<sup>1</sup> ბ. გაბუზრი, კევსურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით: წელიწდეული I-II, 1923-1924.

უცხადებს ყოფილ	აქაურობა ბეგებს და ხანებს უჭერია ყოფილა (მოს.)
ლაპარიკოვენ ყოფილ (ზაგ.)	ამ ლაპარაჟში ქურდებს უსმენიაყე ყოფილა (მოს.)
დაპედა ქნად უნდა ყოფილ (ზაგ.)	თურმენი ჩინში გაუწევნია ყოფილა (ითით.)
ქალს ი ბიჭი არ უნდა ყოფი-	თურმენი ამ კაცს ქუანებია ყოფილა თაავირ მაჰმადა (ითით.)...
ლა (ალიაბ.)	
უიან ყოფილ	
არ იცის ყოფილ	
რამთონ კრრცხს ადრებ	
ყოფილ, ი ბილალყუშ იმთონ	
დადებს ყოფილ (კაკი)...	

ყოფილია იხმარება უმთავრესად მაშინ, როცა არ არის განსაზღვრული; თუ როდის მომხდარა მოქმედება; მაგ., „იმა ფურ დაუკარგავ ყოფილ“ (ალი-ბეგლო); მაგრამ „იმა გუშინ ფურ დაუკარგავ“ (ალიბეგლო). სურფილ უდრის „თუ რ მეს“.

ზმნის ამგვარი წარმოება აზერბაიჯანულის ძლიერი და ხანგრძლივი გავლენით შეიძლება აიხსნას. პირველი თურმეობითის აღწერილობითი წარმოება. სავსებით ემთხვევა თურქულ ენებში ძლიერ გავრცელებულ ე. წ. თურმეობით მოდალობას. ასეთი ფორმები, როგორიცაა „ჩამოდის ყოფილ, იპარაგს ყოფილ, არ იცის ყოფილ, აქაურობა ბეგებს და ხანებს უჭერია ყოფილა“, — აზერბაიჯანული შესიტუვების კალკია: კელირ იმშ, აგრულაირ იმშ, ბილ-მირ იმშ, ბურალარ ბეილერ ვე ხაილარ თუტურლარ იმშ და სხვ.

### Г. М. ИМНАИШВИЛИ

## ОБРАЗОВАНИЕ ЗАГЛАЗНЫХ ФОРМ И СТАТИЧЕСКИХ ГЛАГОЛОВ: В ИНГИЛОНСКОМ НАРЕЧИИ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

### Резюме

1. В ингилойском наречии грузинского языка распространено употребление первого заглазного. Оно применяется в двух значениях: 1) соответствует первому заглазному грузинского языка; 2) часто заменяет форму прошедшего совершенного и во многих случаях устраняет путаницу между временами аориста и будущего.

2. В какском поднаречии ингилойского диалекта глаголы первого заглазного и статического страдательного, оканчивающиеся на *-ი-ა* в новогрузинском языке (и на *-ე-ე* в древнегрузинском), не имеют суффиксального гласного *-ა-ა*.

3. В этом же поднаречии в составном склоняемом теряется вспомогательный глагол *ახის* *არის* при согласных основах, причем окончание иминительного падежа *-ი-ე* выполняет функцию вспомогательного глагола, а при гласных основах остается только суффикс третьего лица *-ე-ს*. Например *კაცი* „человек есть“, *ზმადეს* *ზმაჟს* „брать есть“.

Исчезает также гласный -ə -a, полученный от того же вспомогательного глагола, в формах глаголов абсолютного страдательного залога (*წისულ* *çasul* ← *წისული* *çasula* „оказывается, пошел“).

4. Выясняется, что в какском под наречии потеря конечного гласного -ə -a вызвана влиянием ударения предыдущего гласного.

5. Потеря суффиксального гласного -ə -a в какском под наречии доказывается тем, что: 1) во множественном числе употребляется форма новогрузинского языка (*წისულაბ* *çasulan* „оказывается, пошли“); 2) тот же суффиксальный -ə -a появляется перед частицей ყ q, ვ v... *დაუჭერია* *dawcheriaq* „оказывается, поймали“, *ვღოვ* *geliav* „волк есть“); 3) в алиабадском под наречии суффиксальный гласный -ə -a сохраняется так же, как в других диалектах грузинского языка; 4) в какском под наречии суффиксальный гласный, не входящий в состав дифтонга, вообще теряется под влиянием ударения.

6. В пинглойском наречии распространено также выражение заглавного при помощи временной и личной формы основного глагола и вспомогательного глагола *ცოდილ* *çoril* „оказывается, был“. Такое выражение заглавного выработалось под влияниемazerбайджанского языка.

Digitized by srujanika@gmail.com

<sup>1</sup> ბრძოლის შედეგად კლასიციური მეცნიერებების სამართლის სამართლის მიერ დატოვებული მართვის მიზანით დაგენერირებული იყო.

სვანურ სახელთა ბრუნება კარგა ხანია იქცევს სპეციალისტთა ყურადღებას. ბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდნენ ნ. მარიამ შანიძე, ვ. თოფურია, არჩ. ჩიქობავა, ქ. დონდუა.

მაშინ როდესაც ქართულში მხოლოდ ერთი ბრუნება გვაქვს, სვანურში რამდენიმე ბრუნება გამოიყოფა. აკ. შანიძის სამართლიანი შენიშვნით, „სვანური ბრუნების დღევანდელი სახე მეტისმეტად შეცვლილია იმასთან შედარებით, რაც ძველად უნდა ყოფილიყო. ამიტომ შედარებით უფრო ძნელია, ნათლად გაერკევს კაცი იმ არევ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს“<sup>2</sup>.

სვანურ ბრუნებათა კლასიფიკაცია პირველად ს. ჯანაშიამ წარმოადგინა<sup>3</sup>. საკლასიფიკაციო ნიშნად მან გამოიყენა ბრუნვის ნიშანთა საღაურობას გამოყო სამი ბრუნება: I წმინდა ქართველური (ორგანული) ბრუნება, II წმინდა (ან თითქმის წმინდა) „უცხო“ ბრუნება და III შერეული ბრუნება. მკლევარს მოჰყავს სამივე ბრუნების ნიმუშები ძირითადად ზავადსკის ჩანაწერების მიხედვით.

I	II	III
სახ. ნათი „ნაწილი“	ხდდა „რომელი“	ალ, ალა „ეს“
მოთხრ. ნათიდ	ხდდებ	ამნეტლ, ამნეტ
ნათეს. ნათიიშ, ნათი	ხდდები	ამიშ (ამი), ამნემი(ზ)
მიცემ. ნათის	ხდდამ	ალას
მოქმ. ნათიშვ	ხდდამშვ	ამნოშ
„უცხო“ ბრუნებისათვის სხვა მაგალითებიც არის. მოვიყეანთ ზოგა:		
სახ. ხოჩა „კარგი“	ხოჩა (ბზ.)	თვეთნე (ბზ. „თეთრია“
მოთხრ. ხოჩებდ	ხოჩემნებ	თვეთნებ    თვეთნემნებ
ნათეს. ხოჩემიშ, ხოჩები	ხოჩემიშ	თვეთნემიშ
მიცემ. ხოჩამ	ხოჩამ	თვეთნა
მოქმ. ხოჩამშვ	ხოჩამშვ	თვეთნოშ
ვითარ. ხოჩამდ	ხოჩემდ	თვეთნად
ამ ნიმუშების მიხედვით ბრუნვის ნიშანთა სქემა ასეთი გამოდის:		
I	II	III
სახ. —	—	—
მოთხრ. დ	ემ, ემდ, ემ-ნემ.	ემ, ემდ
ნათეს. იშ, ი	ემიშ, ემი	იშ, ემა(ზ)
მიც. ს	(ამ), (ა).	ს

<sup>1</sup> მოხსენდა საქართველოს მეცნ. აკად. ენის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესიას 1948 წ.

<sup>2</sup> ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925, გვ. 217.

<sup>3</sup> ს. ჯანაშია, სცონურ-ადილეური. (ჩერქეზული) ენობრივი. შეხვედრები. ქართველურ—ადილეური პარალელები. I: ენომების მოამბე, 1942, XII.

შოქმ. შვ (ა) მშვ, (ოშ)  
ვითარ. (არაფერია თქმული) (ა)მდ, (დ)

ოშ

ს. ჯანაშიას არ ჰქონდა მიზნად დასახული მოეცა სვანური ბრუნების ტიპთა ამომწურავი კლასიფიკაცია. იგი აღილეურ ფენას იკვლევდა სვანურში და ბრუნებასაც. ამ თვალსაზრისით უდგებოდა. კერძოდ, მისი ყურადღების ცენტრში იყო მ ფორმანტი, რომელიც, როგორც მანვე დაამტკიცა, აღილეურიდან ყოფილა შემოსული სვანურში. ერთგან თვითონ შენიშვნავს მკვლევარი „ჩევნი საკითხისათვის ამ კლასიფიკაციას დიდი მნიშვნელობა არა აქვთ“<sup>1</sup>.

ვ. თოფურიამ სპეციალურ წერილში „ბრუნების სისტემისათვის სვანურ ში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“<sup>2</sup> ოთხი სისტემა გამოყო: 1) ქართველური (ქართულ-ზანური), 2) აღილეური (ჩერქეზულ-დალესტური), 3) სვანური resp. ქართულ-კავკასიური და 4) ნარევი. კლასიფიკაცია იმავე პრინციპის მიხედვითაა, როგორითაც ს. ჯანაშიას ჰქონდა, ე. ი. ბრუნების ნიშანთა საღაურობის თვალსაზრისით. ბრუნების ნიშანთა სქემა ასეთია:

ქართველური სისტემა	აღილეური	სვანური	ნარევი (ჰიბრიდული)
სახ. *ი/ე			
შიც. ს	ა, ა-შ, უ	ნ	
მოთხ. დ	ა-დ, ე-შ	ნ-ემ, ემ-ნ-ემ	
ვით. დ	ა-დ, ა-მ-დ	ნ	
ნათ. იშ/ეშ	ე-მ-იშ/შ-იშ	ინ	
შოქმ. (ცალკე დგას <sup>3</sup> )	ა-ტშ, ა-მ-შტ		

ქართველური სისტემა განხარტებას არ საჭიროებს. აღილეურს ავტორი ამგვარად ახასიათებს: 1. ორფურმანობა; 2. ფუქტედ გამოყენება სახელობითი და შიცემითი ფორმებისა; 3. -მ და -უ ბოლოსართების ხშარება ცალ-ცალკე ან ორივესი ერთად ყველა ბრუნვაში (სახელობითის გამოკლებით); 4. მოთხრობითისა და ნათესაობითისათვის არსებობა ერთი ფორმისა და 5. ბრუნებათა გამოხატვა ხმოვნებით: მიცემითისა და აფიქსით და მოთხრობით-ნათესაობითისა ე-თი <sup>4</sup>. ამგვარად, მიცემითის სუფიქსია -ა და იგი გართულებულია -უ ან მ თანხმოვნით; მოთხრობითისა და ნათესაობითის ნიშანია -უ- და ისიც გართულებულია -მ-თი <sup>5</sup>. აღილეურად მიიჩნევს ამ სისტემას ავტორი იმიტომ, რომ იგი აღილეურ სუფიქსს -ბ-ს იყენებს და ეს სუფიქსი, ისევე როგორც აღილეურ ენებში, მიცემით, მოთხრობით და ნათესაობით ბრუნვებთან გვევლინება. დალესტურ ენებთან მას აკავშირებს ორფურმანობა, ამიტომ ვ. თოფურია შესაძლებლად მიიჩნევს აღილეურ-დალესტური დაარქვას ამ სისტემას.

სვანური სისტემა მკვდარია, —ალნიშვნავს ავტორი. მას ახასიათებს მიცემითში ნ და ნათესაობითში ინ. ნ ვითარებითის ფუნქციითაც იხმარება.

ნარევი სხვადასხვა სისტემის შერწყმის შედეგია. ვ. თოფურიას მოპყავს შაგალითი, საღაც II და III სისტემის შერწყმა გვაქვსო. ესაა მითითებითი

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, დასახ. შრ., გვ. 254.

<sup>2</sup> ვ. თ ოფურ ი ა, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ბრუნებასთან შედარებით: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მრამბე, 1944, ტ. V, ნაკვ. 3.

<sup>3</sup> ვ. მოქმედებითს საერთო აქტს ნათესაობითთანავ, ალნიშვნავს ავტორი (გვ. 344).

<sup>4</sup> ვ. თ ოფურ ი ა, დასახ. შრ., გვ. 344.

<sup>5</sup> იქვე, ვვ. 345.

ნაცვალსახელების მოთხოვნითი ბრუნვა: ქვ-ნ-ემ, საღაც ნ მესამე სისტემისაა, -ემ—მეორისა.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილ კლასიფიკაციაში საღავოა -მ და -უ ნიშნით ნაწარმოები მიცემითის გაერთიანება. -მ, როგორც გარკვეულია, ადილეური წარმოშობისაა, -უ კი ქართველური ჩანს. იგი უნდა დაუკავშირდეს ქართულში გადმონაშთების სახით შემორჩენილ -აგ, -იგ ბრუნვის ნიშნებს<sup>1</sup> (კვლ-ავ, ირგვლ-ივ, მარჯვ-ივ და მისთ.).

წარმოდგენილ კლასიფიკაციებს, როგორც აღნიშნული იყო, გარკვეული მიშანდასახულობა ჰქონდა. ისინი ფორმანტთა გენეზისის. მიხედვით აჯგუფებდნენ ბრუნებებს. სეანურის სახელთა მორფოლოგიის სისტემატური ანალიზისათვის, ვთიქმობთ, საჭიროა მოვახდინოთ აგრეთვე ბრუნებათა კლასიფიკაცია სტატიკური თვალსაზრისით, ბრუნვათა წარმოების პრინციპზე დაყრდნობით.

თანამედროვე სეანური ბრუნების ხუთ ტიპს წარმოგვიდგენს.

### I ტიპი

ეს ბრუნება დაწვრილებით არის შესწავლილი ვ. თოფურიას მიერ<sup>2</sup>. იგი ყველაზე უფრო გავრცელებულია და იჩენს ტენდენციას გამოდევნოს სხვა ბრუნებანი. ამ ბრუნებას შეადგენს თანხმოვანფუძიანი და ა, ი, ო, უ ხმოვანფუძიანი სახელები. აგრეთვე ყველა ტიპის მრავლობითი რიცხვი.

სქემა ასეთია:

სახ. \*-ი/-ე

მიც. -ს

მოთხ. -დ

მოქმ. -შტ || წუ

ვითარ. -დ

ნათ. -იშ/ეშ

ამ ბრუნებას ახასიათებს: სახელობითში -ი ან -ე, რომელიც მოკვეცილან და კვალი ფუძის უმღაუტის სახით დაუტოვებით. მიცემითში -ს, მოთხოვნითში — -დ, მოქმედებითში — -უშ ან -შტ, ვითარებითში — -დ და ნათესაობითში -იშ ან -ეშ. თანხმოვანფუძიან სახელებთან ნათესაობითის ფორმანტი -იშ/-ეშ სრულად არის წარმოდგენილი, ხმოვანფუძიანებთან კი ხმოვანს

<sup>1</sup> შესაძლებელია უ (რომელიც სეანურ მორფოლოგიაში, მსგავსად ნ, ს, დ ფორმანტებისა, ფართოდ არის გავრცელებული), საბოლოო ანგარიშში დაუკავშირდეს ნ ფორმანტს ასეთი გზით: ნ → ლ — უ. როგორც ცნობილია, ნ → ლ სეანურისათვის დამახასიათებელია. ხლოო სეანურის ზოგ კილოვაუში (ხაიშურში) დასტურდება ფორმანტებში უ-ს შესატყვისობა ლ-სთან (მაგალითად, კნინობურის ილდ: ხაიშ. იფდ (ბელილდ: ბელივდ „ბელი“), ზმნის თემის ნიშნად პლ: ხაიშ. პგ (ლიმბაზლ: ლიმბანგ „დაფიცება“), -მდე თანდებულის ფუნქციით-ალდ: ხაიშ. აფდ (ლიქდალდ: ლიკდაფდ „მოსვლამდე“), ენებითის მიმღეობის პრეფიქსად თურმებითში ლ: ხაიშ. ც(ლოდაგპრ: ოვდაგპრ „მომკვდარა“), პირველი ინკლუზიური პირის ნიშნად ლ: ხაიშ. პ(ლექ-ოლჩედ: ლექ-ოლჩედ „ზევით წავიდეთ“).

ამ ფაქტმა ჩვენი ყურადღება მიიქცა ზემოსანეთში 1949 წ. მივლინების დროს (მაგალითები მოგვყავე მივლინების ანგარიშიდან). მას უფრო დაწვრილებით შეეხო თავის საკანდიდატო დისტრიციაში მ. ქალდანი 1954 წ.

<sup>2</sup> ვ. თ ფურ რი ა, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სეანურში. უნივერსიტეტის მთამბე, 1927, ტ. VII. მისივე, ბრუნების სისტემისათვის სეანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით.

კარგავს. სამაგიეროდ წინამავალ ფუძისეულ ხმოვანს აგრძელებს და აუმლაუტებს.

ამ ჯვუფში ორი ქვეტიპი გვაქვს. მეორეს პირველისაგან განსხვავებით შეადგენს სახელები, რომლებიც ამჟამად სახელობით ბრუნვაში უუმლაუტონი არიან, ნათესაობითში კი ა-შ დაბოლოებას გამოივლენ. ისტორიულად ეს სახელები ხმოვნით ყოფილან დაბოლოებული. სწორედ ეს მოკვეცილი ფუძისეული ა გამოვლინდება ნათესაობით ბრუნვაში. ასე, რომ დაბოლოება შშ-შ-იშ, სადაც ა ფუძის ხმოვანია<sup>1</sup>.

## ნიმუშები:

## I ქვეტიპი

მხოლობითი	
სახ. თხური (← *თხუმ-ი/ე) „თავი“	
მიც. თხური-ს	
მოთხრ. თხური-დ	
მოქმ. თხური-შუ	
ვითარ. თხური-დ	
ნათ. თხური-იშ	

მრავლობითი	
თხური	
თხურ-ს	
თხურ-დ	
თხურ-შუ	
თხურ-დ	
თხურ-ეშ	

## II ქვეტიპი

სახ. გაბუ(← *გაბუ-ი/ე) „ურქო თხა“	
მიც. გაბუ-ს	
მოთხრ. გაბუ-დ	
მოქმ. გაბუ-შუ	
ვითარ. გაბუ-დ	
ნათ. გაბუ-შ(← *გაბუ-იშ)	

ქორ(← *ქორა-ი/ე) „სახლი“	
ქორ-ს	
ქორ-დ	
ქორ-შუ	
ქორ-დ	
ქორ-შ(← *ქორა-იშ)	

## III ტიპი

ფართოდ არის გავრცელებული ბალსქემოურში, შედარებით ნაკლებ—ბალსქემოურში. ამ ტიპის განეკუთვნება უმთავრესად თანხმოვანფუძიანი სახელები, რომელთაც, ჩვეულებრივ, I ტიპის ბრუნებაც აქვთ პარალელურად. ზოგი სახელისათვის კი ეს-ძირითადი ბრუნებაა (ასეთია, რიცხვითი სახელები: ეშხუ „ერთი“, ლორი, „ორი“, სემი „სამი“; ზოგი არსებითი სახელი: ლერბეთ „ლერთი“, ზშ „წელი“...).

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა სპეციალურად შევხებოდით. ამ ბრუნებას ამიტომ აქ მხოლოდ დასკვნებს წარმოვადგენთ. ბრუნებას სქემა ასეთია:

სახ. —

მიც. -შ

მოთხრ. -ტ-ერ

მოქმ. -ტ-შ

ვითარ. -ტ-დ

ნათ. -ტ-ერ-იშ

<sup>1</sup> ვ. თ აუ უ რ ი ა, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში.

<sup>2</sup> ი. შარაძენი დე, სახელთა ბრუნების ორფუძიანობის ერთი ტიპისათვის სვანურში (კ-ინიანი მიცემითის გამოყენება ფუძედ სხვა ბრუნებისათვის). იბეჭდება ქართველურ ენათა ბრუნებისადმი მიძღვნილ კრებულში, რომელსაც სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტი ცემს.

ეს ტიპი სახელობითში არ განსხვავდება I ტიპისაგან. განსხვავდება მიცემითიდან იწყება. მიცემითის ნიშანია -უ. ბრუნებას ორთუძიანობა (უფრო ზუსტად სამფუძიანობა) ახასიათებს. მიცემითს ემყარება მოთხრობითი (-ებ ნიშანიანი), ვითარებითი (-დ-იანი) და მოქმედებითი. მოქმედებითის ფორმანტის ახსნა სწორედ ამ ბრუნებაში ხერხდება: მისი პირველსახეა -უ, სადაც შნათესაობითის სუფიქსისეულია (კ. თოფურია), უკი მცემითისაა, ე. ი. ფაქტობრივად აქ მიცემითზე დაფუძნებული ნათესაობითი გვაქვს. თანამედროვე ნათესაობითი მოთხრობით ბრუნებას ემყარება და ამგვარად სამ ნიშანს წარმოგვიდგენს: -უ (მიცემითის)+ -ებ (მოთხრობითისა)+ -იშ (ნათესაობითისა).

ეს ბრუნება წარსულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. იგი ამჟამად წარმოდგენილია საქმაოდ დიფერენცირებული სახით, რის შედეგადაც 5 ქვეკლასი გამოიყოფა:

ა) დაცული გვაქვს ამ ტიპის სრული სახე:

სახ. ჩახ „ცხენი“.

მოქმ. ჩაჟ-უ-შ

მიც. ჩაჟ-უ

ვითარ. ჩაჟ-უ-დ

მოთხრ. ჩაჟ-უ-ემ

ნათ. ჩაჟ-უ-(ე)მ-იშ

ბ) ბრუნება გართულებულია. ფუძის ხმოვნის აბლაუტით. სახელობითში ე, მიცემითში — ა. ჩვენ მიცემითის ა მივიჩნიეთ პირველადად, სახელობითის ფუძეში წარმოდგენილი ე კი ამ ბრუნვის -ი/-ე ფორმანტთან ასიმილაციით შიღებულად.

სახ. ულ(←\*უალ-ი/ე)

მოქმ. უალ-უ-შ

მიც. უალ-უ

ვითარ. უალ-უ-დ

მოთხრ. უალ-უ-ემ

ნათ. უალ-უ-(ე)მ-იშ

სამ დანარჩენ ქვეკლასში მიცემითის უ მოკვეცილია:

გ) უ მოკვეცილია ფუძისეული წყვილბაგისმიერი თანხმოვნის გავლენით. სახელობითი და მიცემითი ამჟამად ერთმანეთისაგან მხოლოდ უმლაუტით განსხვავდებიან.

სახ. თხუმ(←\*თხუმ-ი/ე)

მოქმ. თხუმ-შე(←\*თხუმ-უ-შ)

მიც. თხუმ(←\*თხუმ-უ)

ვითარ. თხუმ-დ(←\*თხუმ-უ-დ)

მოთხრ. თხუმ-ემ(←\*თხუმ-უ-ემ)

ნათ. თხუმ-მეშ(←\*თხუმ-უ-ემ)-ეშ

დ) ფუძისეული ხმოვნის მონაცელებით მეორე ქვეკლასს ჰგავს, მაგრამ მისგან განსხვავებით მიცემითის ნიშანი უ მოკვეცილი აქვს ფუძის წყვილბაგისმიერ ბგერებთან მეზობლობაში.

სახ. სემი(←\*სამ-ი) „სამი“ მოქმ. სამ-შე(←\*სამ-უ-შ)

მიც. სამ(←\*სამ-უ)

ვითარ. სამ-დ(←\*სამ-უ-დ)

მოთხრ. სამ-ემ(←\*სამ-უ-ემ)

ნათ. სამ-(ე)მ-იშ(←\*სამ-უ-ემ-იშ)

ე) ამ ქვეკლასს შეადგენს სახელები, რომლებიც ისტორიულად წყვილბაგისმიერ უ-ს შეიცავდნენ ფუძეში. ფუძისეულ უ-ს გავლენით ბრუნვის ფორმანტი დაკარგულა. შემდეგ თვით ფუძის უ-ც შეცვლილა ი-დ, რომელიც სახელობითშია აძეამად დაცული. მიცემით ბრუნვაში კი მას გ ენაცვლება.

სახ. ჭიშხ(←\*ჭუშხ-ი)

მოქმ. ჭიშხ-შე(←\*ჭუშხ-უ-შ)

მიც. ჭიშხ(←\*ჭუშხ-უ)

ვითარ. ჭიშხ-დ(←\*ჭუშხ-უ-დ)

მოთხრ. ჭიშხ-ემ(←\*ჭუშხ-უ-ემ)

ნათ. 1

1 ნათესაობითი I ტიპის მიხედვით არის: ჭიშხეშ/იშ, ამიტომ აქ არ მოგვყავს.

9. იბერიულ-კაფასიური ენათმეცნიერება, ტ. VII.

## III ტიპი

ამ ბრუნებას საკუთრივ სვანურად მიიჩნევენ (ვ. თოფურია), გამოყოფენ შიცემითში - ნ (-ან) სუფიქსს, ნათესაობითში — -ინ-ს (ნ. მარი). ეს ბრუნება ძალზე შერყეულია. იგი ზოგად სახელებთან გაღმონაშობის სახით გვხვდება<sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, ეს ბრუნება მხოლოდ მიცემით-ნათესაობითით არ უნდა კოფილიყო წარმოდგენილი. იგი ისევე ორფუძრანი იყო, როგორც II ტიპი და აქაც მოახრობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ემყარებოდა მიცემითს. ამ ბრუნების ორფუძიანობა ვლინდება მითითებითსა და ზოგ სხვა ნაცვალსა-ხელთან<sup>2</sup>. სქემა ასეთ სახეს იღებს:

სახ.		მოქმ.	-ნ-ა-ტშ
მიც.	-ნ(ა?)	ვითარ.	-ნ-პ-რ
მოთხრ.	-ნ-ა-ემ	ნათ.	-ინ

## ნიმუში:

სახ.	ალა „ეს“
მიც.	ამ-ენ (გ თანხმოვანთგასაყარია)
მოთხრ.	ამ-ნ-ემ (←ამ-ნ-ა-ემ)
მოქმ.	ამ-ნ-ოშ (←ამ-ნ-ა-ტშ)
ვითარ.	ამ-ნ-პ-რ-(ლ)(←ამ-ნ-პ-რ-(ლ))
ნათ.	*ამ-ინ

ალანიშნავია, რომ ნაცვალსახელებში -ინ-იანი ნათესაობითი აღარ არის დაცული. ამჟამად -იშ-იანი ნათესაობითი იხმარება.

რაც შეეხება ნ-იან მიცემითს, მისი ფორმა გარკვეულ გამოთქმებში იხმარება, მაგრამ ვითარებითის ფუნქციით (ნ. მარი, ვ. თოფურია). ეს არ შეეშლილა ხელს -ნ-ს გამოცხადებას მიცემითის ნიშნად. როგორც ცნობილია, ჩვენს ენგბში ვითარებითი გენეზისურად მიცემითამდე დაიყვანება (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია).

განხილულ ბრუნებასთან დაკავშირებით სხვა საკითხებიც ჩნდება. სახელდობრ, -ნ-ს შემდეგ მოთხრობით, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში ხმოვანი არის (გრიტომაა, რომ მოთხრობითში ე გრძელია (ტშ), ხოლო მოქმედებითის უ-შ ოშ-ის სახით არის წარმოდგენილი). ეს ხმოვანი ვითარებითი ბრუნვის მიხედვით ა არის, იგი მოთხრობითის ე-ს შერწყმია, ხოლო მოქმედებითში უ-ს დამსგავსებია, ეს უკანასკნელი კი დაკარგულა. რას განეკუთვნება ეს ა ჯერჯერობით ჩვენთვის ნათელი არ არის.

<sup>1</sup> ნიმუშები იხ. Н. Марп, Где сохранилось еванское склонение? Известия Имп. АН, 1911. 3. т. 27 ფ. 6 რ. 1 ა, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში: საქ. სსრ მეცნ. კადემიის მოამბე. 1941, ტ. II, ნაკვ. 1—2. მისივე. ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით. დასახელებულთ შეიძლება დაემატოს განმნისართებული მიცემითი ბრუნვის ფორმები: უ-ნ „ძალიან“ (←გუ „გული“); უ-ნ „ხელში“ (←ში „ხელი“).

<sup>2</sup> კ. დონდუა ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნების განხილვისას სქოლითში შენიშვნას: „ბრუნვის ფლექსის ჩვეულებრივად (კილოთა უმეტეს ნაწილში) წინ -ნ ფორმანტი უძლვის, რაც წარმოშობით, აღბათ, რომელილაც სხვა ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს. საერთოდ, -ნ ფორმანტი სვანურში გამოყენებულია ნათესაობითისა და მიცემითის ნიშნად“-თ და მიუთითებს ნ. მარნე და ვ. თოფურიაზე (კ. დონდუა, აღილებური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1946, I).

ყურადღებას იქცევს ვითარებითში გამოვლენილი -რ, იგი -ლ-ს დაურ-თველადც აწარმოებს ამ ბრუნვას: იმპარ. || იმპარ. საფიქრებელია, რომ რიმავე ფუნქციის სუფიქსია, როგორისაც -დ.

#### IV ტიპი

ამ ტიპს განეკუთვნება ე ბოლოხმოვნიანი სახელები. მისი ბრუნების ანალიზი მოცემული აქვს ვ. თოფურიას<sup>1</sup>. მიცემით ბრუნვაში ფუძისეული ე-ს ადგილს -ა იჭერს. მოთხრობითი, მოქმედებითი და ვითარებითი აქაც მიცემით ემცირება. ნათესაობითი მოთხრობითის ფუძეს იყენებს.

სქემა:

ნიმუში:

სახ.		მარე
მიც.	-ა	მარ-ა
მოთხრ.	-ა-დ, ერ( ← *ა-ემ)	მარ-ა-დ, მარ-ემ (← *მარ-ა-ემ)
მოქმ.	-ოშ( ← ა-შტ)	მარ-ოშ (← მარ-ა-შტ)
ვითარ.	-ა-დ	მარ-ა-დ
ნათ.	-ემ-იშ( ← *ა-ემ-იშ)	მარ-ემ-იშ( ← *მარ-ა-ემ-იშ)

ამ ბრუნებაში თითქოს ა გამოდის მიცემითი ბრუნვის ნიშნად, მაგრამ მგრი გამოდევნის სახელობითის ფუძისეულ ე ხმოვანს (სახ. მარე, მიც. მარა). თუ მოვიყონებთ ხელონის მონაცელებას ფუძის „შიგნით: სახ. ე-(ჟელ „ძალლი“)—მიც. ა (ჟალვ), სადაც მიცემითის ა პირველადი აღმოჩნდა, სახელობითის ე კი მეორეული, მაშინ აქაც შეიძლება დასკათ კითხვა, ხომ არ არის და ხოლოხმოვნიანი სახელების მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილი ა ფუძისეული, რომლისგანაც სახელობითში უმღაუტის გზით მივიღეთ ე (\*მარა-ი→ მარე)<sup>2</sup>? თუ ეს საკითხი ამგვარად გადაწყდება, მაშინ მიცემითი ბრუნვა ამ-ჯამად უნიშნო გამოდის. გასარკვევია, რომელი ფორმანტი მოექვეცა. მას. ამ საკითხის გარკვევისათვის საყურადღებოა, რომ ე-ზე დაბოლოებულ ზედსართავებს მსაზღვრელად გამოყენების დროს აქვთ ორი ფორმა: მშ || ა თვერთმდ დაშვეს || თვეთნა დაშვეს („თეთრ დათვეს“ სახ. თვეთნე „თეთრი“). იქნებ სხვა შემთხვევებშიაც ამ იყოს მოკვეცილი? თუ ეს დადასტურდა, მაშინ ისტორიულად IV ტიპი V-ს შეუერთდება.

#### V ტიპი

იბრუნვის ა-ზე დაბოლოებული ზოგი ზედსართავი (ხორი „კარგი“, ხოლა „ცუდი“...), აგრეთვე ა-თი დამთავრებული რიცხვითი სახელები (არა „რვა“, ჩხარა „ცხრა“), ზოგი ნაცვალსახელი (ხედა „რომელი“, უოშა „რამ-

<sup>1</sup> ვ. თ თ ფ უ რ ი ა, ბრუნების სისტემისათვის სვანურში.

<sup>2</sup> ანალოგიური პროცესი შენიშვნულია ქართული ენის დასკვლურ დიალექტებში და მეგრულში (ო. კახაძე, ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემომიერულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1953, ტ. V. ვ. თ თ ფ უ რ ი ა, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვარვანი პროცესი ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1954, ტ. VI. შდრ. გვ. 450—451).

საიტერესოა, რომ სვანურში ამჟამადც ბლომად არის შე დაბოლოების მქონე სახელები, რომლებშიაც ა ფუძისეული არა (მაგ.: კალთა „კალთა“, კალპა „მდინარე“ და სხვ.), იქნებ იგი სწორედ სახელობითის გადმონაშთი იყოს და ასეთი დაბოლოების სახელები გარდამავალ საფეხურს წარმოვადგენდნენ ა-დან ე-მდე (მარა-ი → \*მარა-ი → მარე).

დენი“, მირ „ვილაცა“) და სხვ... ეს ბრუნება გამოიკვლია ჯერ ს. ჭანაშიაშვილის შემდეგ ვ. თოფურიამ<sup>1</sup>. სქემა ასეთია:

სახ.		მოქმ:	-ამ-შტ
მიც.	-ამ	ვითარ.	-ამ-დ
მოთხრ.	-ემ, -ამ-დ, -ამ-ნემ	ნათ.	-ემ-იშ

შიცემითის ნიშანია ამ. შიცემითს ემყარება მოქმედებითი და ვითარებითი. მოთხრობითი იმავე თანხმოვანს გამოავლენს, რომელსაც მიცემთი, განსხვავდება მხოლოდ წმოვნით. (შიც. ა, მოთხრ. ე). იხმარება შიცემითზე დაფუძნებული მოთხრობითიც. ამ შემთხვევაში იგი -დ ან -ნემ დაბოლოებას იყენებს. ნათესაობითი აქაც მოთხრობითს ემყარება.

სახ.	არა „რვა“	მოქმ:	-არა-ამ
მიც.	არამ( ←*არა-ამ)	ვითარ.	-არა-ამ
მოთხრ.	არემ( ←*არა-ემ)    არამ-დ    არამ-ნემ	ნათ.	-არა-ემ-იშ
მოქმ.	არამშტ( ←არა-ამ-შტ)		
ვითარ.	არამდ( ←*არა-ამ-დ)		
ნათ.	არემიშ( ←*არა-ემ-იშ)		

-მ, რომელიც მიცემითსა და მოთხრობითში არის წარმოდგენილი, აღი-ლური ენებიდან მომდინარეობს (ს. ჭანაშია). არ არის ნათელი შიცემითისა და მოთხრობითის ფორმანტთა ურთიერთშემიმართება.

წარმოდგენილ კლასიფიკაციაში განხილულია ჩვენთვის ცნობილი ყველა ძირითადი ფორმა სვანური სახელებისა<sup>2</sup>. არც ერთი ფორმა განცალკევებული არ რჩება, ყოველი მათგანი ბრუნების გარკვეულ ტიპში იჭერს სათანადო ადგილს.

- გამოვტოვეთ მხოლოდ ერთი შემთხვევა, რომელსაც ს. ჭანაშიამ მიაქცია ყურადღება:

სახ.	ხედა „რომელი“	მოქმ.	ხედაშშვ
მიც.	ხედაშ	ვითარ.	ხედაშდ
მოთხრ.	ხედაშნემ, ხედაშდ	ნათ.	ხედაშიშ

ასე იბრუნების ზოგი სხვა სახელიც, მაგალითად, ხერქედა „ორივე“.

არ განვიხილეთ ეს ტიპი იმიტომ, რომ მისი მექანიზმი ჩვენთვის ნათელი არ არის. ნათესაობითი გამოლის უუბედ სხვა ბრუნებისათვის. ამასთანავე შიცემითში ს ჩანს დაკარგული: ხედაშ ← ხედაშს. ასე რომ, წარმოების მიხედვით თითქოს მსგავსება გვაქვს ქართული ნანათესაობითარი სახელის ბრუნებასთან. მაგრამ სვანურში ამ ბრუნების სახელებს არა აქვთ ნანათესაობითარის შინაარსი.

როგორც ვნახეთ, ბრუნების 5 ტიპი აშკარად გამოიჩინევა ერთმანეთი-საგან. მაგრამ ყველა ბრუნებისათვის 5 სხვადასხვა ფორმანტი კი არა გვაქვს

<sup>1</sup> ს. ჭანაშია, სვანურ-ადილებური (ჩერქეზული) ენაბრივი შეხვედრები; ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში ...

<sup>2</sup> არ შევხებივართ ბრუნების ნიშანთა გაორმაგების შემთხვევებს. მიც. ა-ს (მარას) მოთხრ.-ემ-დ (რარემდ) ან ემ-ნემ (მარემ-ნემ), რამდენდაც პეტ ანალოგიის გზით წარმოქმნილ უახლეს ფაქტებთან გვაქვს საჭმე და ისინი ბრუნების ტიპოლოგიას არაფერს მატებენ.

გამოყენებული. ერთადერთი მიცემითი ბრუნვაა, რომელიც მართლაც ხუთი ნიშით გვხდება: ს, ჟ, ნ, ა, აბ. დანარჩენ ბრუნვებში სხვადასხვაობა ორ-ფუძიანობის შედეგია; ერთი და იმავე სუფიქსების წინ ვლინდება მიცემითის სხვადასხვა ნიშანი და ეს გვაძლევს მთელი დაბოლოების სხვადასხვაობას. მა-გალითად, ვითარებითში: I—დ, II—ჟ-დ, III—ნ(ა)-რ-(დ), IV—ა-დ, V—აბ-დ. ამიტომ დასაჯგუფებლად უნდა გამოვიყენოთ მიცემითის ნიშანი. I ბრუნებისა-თვის დამახასიათებელია მიცემითში ს, II-ისათვის — ჟ, III-ისათვის — ნ(ან-ნა), IV-ისათვის — ა და V-ისათვის — ა-ბ. მთელი კლასიფიკაციის სქემა ასე წარმოგ-ვიდება:

I ტიპი	II ტიპი	III ტიპი	IV ტიპი	V ტიპი
(ს-იანი მიცემი-თი)	(ჟ-იანი მი-ცემითი)	(ნ-იანი მიცემი-თი)	(ა-იანი მიცემითი)	(აბ-იანი მიცემი-თი)
სახ. -*ი/ე მიც. -ს	-ჟ	-ნ(ა?)	-ა	-აბ
მოთხრ. -დ მოქმ. -შუ-უშ	-უ-ემ	-ნ(ა-ემ→)ნებ	-ა-დ, (ა-ემ→)ებ	-ემ
ვითარ. -დ ნათ. -იშ-ეშ	-უ-შ	-ნ(ა-უშ→)ნოშ	-(-ა-უშ→) აშ	-აბ-შუ
	-უ-დ	-ნ-შ-რ-(დ)	-ა-დ	-ამ-დ
	უ-(ემ)-იშ	*-ინ	-(-ა-ემ-იშ→)ებ-იშ	-ემ-იშ

ორფუძიანობის გათვალისწინებით ბრუნვათა რიგიც გარკევულ სახეს იღებს. სახელობითს მოსდევს მიცემითი, როგორც მეორე ფუძის მომცემი. "შემდეგ მიცემითზე დაყრდნობილი ბრუნვებია: მოთხრობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. ბოლოს, ნათესაობითი, რომელიც ან სახელობითის ფუძეს ემყარება (I და III ბრუნებაში)<sup>1</sup> ან მოთხრობითისას (II, IV და V) ბრუნება-ში. კველგან ნათესაობითი -ემ-იან მოთხრობითს იყენებს<sup>2</sup>. ერთადერთი შემ-თხევება, როდესაც ნათესაობითის ნიშანი მიცემითის ფუძეს ერთვის, გვხვდება ჟ-იან ბრუნებაში (ჟ-შ), ოლონდ ეს ბრუნვა ამჟამად მოქმედებითის ფუნქციით გვივლინება.

## Т. С. ШАРАДЗЕПИДЗЕ

К КЛАССИФИКАЦИИ СКЛОНЕНИЙ В СВАНСКОМ ЯЗЫКЕ<sup>3</sup>

## Резюме

В современном сванском языке выделяются пять склонений. Эти склонения имеют различные форманты только в дательном падеже. Поэ-

<sup>1</sup> ასანიშნავია, რომ III ტიპის ბრუნება ერთადერთია, სადაც მიცემითი და ნათესაობი-თი იმავე პრინციპით არის ნაწარმოები, რომლითაც ქართულში: ერთნაირი თანხმოვნით, გან-სხვაფებას ხმოვანი ქმნის: მიც. -ნ — ნათ. -ინ.

<sup>2</sup> ამიტომ წარმოების თვალსაზრისით უფრო თანმიმდევრული იქნებოდა, რომ მოთხ-რობითი ნათესაობითის წინ მოგვეთავსებინა, მაგრამ ბრუნვათა ფუნქციებს თუ მივიღებთ მხე-დეველობაში, მაშინ აჯობებს ზმნის პირებთან დკაფშირებული ბრუნვები არ დავაშოროთ ერთ-მანეთს.

<sup>3</sup> Доложено на сессии Института языка АН ГССР в 1948 г.

тому классификация склонений опирается на образование дательного падежа. Суффиксом дательного падежа в первом склонении является —*s*, во втором склонении —*w*, в третьем склонении —*b* (*ba*) и (*na*), в четвертом склонении —*da* и в пятом склонении —*ad am*.

Во всех склонениях, кроме первого, форма дательного падежа служит основой для эргативного, творительного и направительного падежей. Родительный падеж в I и III склонениях опирается на основу именительного падежа, а в II, IV и V склонениях образуется от эргативного падежа.

Схема падежных окончаний представляется в следующем виде:

I Склонение              II Склонение              III Склонение  
(в дательном падеже -*s*) (в дательном падеже -*w*) (в дательном падеже -*b n*)

Им.	* <i>o/j</i>	<i>i/e</i>			
Дат.	<i>s</i>		<i>w</i>	<i>b(-o?)</i>	<i>n(a?)</i>
Эрг.	<i>d</i>		<i>w-em</i>	<i>b-θ ← b-o-θ</i>	<i>n-em(-n-a-em)</i>
Твор.	<i>šw/žw</i>		<i>w-š</i>	<i>b-nθ ← b-o-žw</i>	<i>nōš(n-a-wš)</i>
Напр.	<i>d</i>		<i>w-d</i>	<i>b-ə-ñ-(d)</i>	<i>n-ə-r-(d)</i>
Род.	<i>is/žw</i>	<i>iš/es</i>	<i>w-(e)m-iš</i>	<i>*ob</i>	<i>*in</i>

IV Склонение              V Склонение  
(в дательном падеже -*o a*)              (в дательном падеже -*ad am*)

<i>o</i>	<i>a</i>	<i>ad</i>	<i>am</i>
<i>o-θ, žθ ← o-θ</i>	<i>a-d, ēm ← a-em</i>	<i>gθ</i>	<i>em</i>
<i>o-žw ← o-žw</i>	<i>oš ← a-wš</i>	<i>oθ-žw</i>	<i>am-šw</i>
<i>o-θ</i>	<i>a-d</i>	<i>oθ-θ</i>	<i>am-d</i>
<i>-žθ-ožw ← o-žθ-ožw</i>	<i>ēm-is ← a-em-iš</i>	<i>gθ-ožw</i>	<i>em-iš</i>

Примеры:

### I Склонение.

#### I подтип

Им.	<i>txwini(← *txum-i/e)</i> «голова»
Дат.	<i>txwim-s</i>
Эрг.	<i>txwim-d</i>
Твор.	<i>txwim-šw</i>
Напр.	<i>txwim-d</i>
Род.	<i>txwim-iš</i>

#### II подтип

<i>kor(← *kora)</i> «дом»
<i>kor-s</i>
<i>kor-d</i>
<i>kor-šw</i>
<i>kor-d</i>
<i>koras(← kora-iš)</i>

### II Склонение<sup>1</sup>

Им.	<i>čāž</i> «лошадь»
Дат.	<i>čāž-w</i>
Эрг.	<i>čāž-w-em</i>

### III Склонение

<i>ala</i> «этот»
<i>am-ən</i>
<i>am-n-ēm ← am-n-a-em</i>

<sup>1</sup> Это склонение имеет 5 подтипов, возникших в результате различных фонетических процессов. Они рассмотрены нами в специальной статье, которая печатается в сборнике Тбилисского университета, посвященном проблеме склонения имен в картвельских языках.

Твор. čāž-w-š	am-n-oš—am-n-a-wš
Напр. čāž-w-d	am-n-ä-r-(d)
Род. čāž-w-(e)m-iš	*am-in

## IV Склонение

Им.	māre «мужчина»
Дат.	mār-a
Эр.	mār-a-d, mār-ēm—mār-a-em
Твор.	māroš—mār-a-šw
Напр.	mār-a-d
Род.	mārēmiš—mār-a-em-iš

## V Склонение

ара «восемь»
arām—ara-am
arēm—ara-em, arām-d
arāmšw—ara-am-šw
arāmd—ara-am-d
arēmiš—ara-em-iš

გ. ჩალდანი

სპანური ენის ლახამულური კილობავის ფონეტიკური  
თავისებურებანი

1. ი. სტალინმა თავის ფუქსმდებელ შრომაში „მარქსიზმი და ენათ-  
მეცნიერების საკითხები“ ენათმეცნიერების საკანძო პრობლემათა გადაჭრას-  
თან ერთად მოგვცა ადგილობრივი („ტერიტორიული“) დიალექტების რაო-  
ბის. როლისა და მნიშვნელობის ამომწურავი განმარტება, რაც საგრძნობლად  
ზრდის ინტერესს ამა თუ იმ ენის დიალექტთა შესწავლისადმი.

ადგილობრივი დიალექტების არსებობა ჩვეულებრივ კანონზომიერ მოვ-  
ლენად ითვლება ფართო ტერიტორიაზე გავრცელებული ენებისათვის, მაგ-  
რაც ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზის გამო ასეთ ენებს არ ჩამოუგარდე-  
ბიან შედარებით მცირე ტერიტორიაზე გავრცელებული ენებიც. ამათ რიგს  
ეკუთვნის, შაგალითად, სვანური ენაც.

სვანური ენა თუმცა დიდ ტერიტორიაზე არ არსს გავრცელებული და  
მასზე მოლაპარაკეთა რიცხვიც არაა დიდი, მასში მაიც გამოიყოფა, როგორც  
ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ერთმანეთისაგან საგრძნობლად  
განსხვავებული ოთხი დიალექტი. ორი მათგანი—ბალსხემოური და ბალსქვე-  
მოური—გავრცელებულია ენგურის ხეობის ზედაშელში, ორი დანარჩენი კი—  
ლაშეური და ლენტეხური—ცხენისწყლის ხეობაში. თავის მხრივ თითოეული  
მათგანი იყოფა ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ კილოკავებად.

ამ თეალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ზემოსვანუ-  
რის ბალსქვემოური დიალექტი. ეს დიალექტი ორ კილოკავად იყოფა. ერთია  
ლახამულური კილოკავი, მეორეს შეიძლება ეცერული ვუშადლოთ იმ პირობით,  
რომ აქ გაერთიანდება საკუთრივ ეცერულის გარდა ბერიურიც, ცხუმარულიც  
ფარულიცა და ჩუბეხეურიც<sup>1</sup>. ლახამულურ კილოკავს ამ ეცერული კილოკავისა  
და სვანური ენის სხვა დიალექტებისაგან განასხვავებს უმლაუტის დასრულე-  
ბული სახე, ცხვირისმიერობა, ბერათა პალატალიზაციის ძლიერი ტენდენცია  
და სხვა ფონეტიკური მოვლენები.

ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებები განსაკუთრებულ  
ყურადღებას იქცევენ თავიანთი მრავალფეროვნებით. იგი ამავე დროს შე-  
დარებით შესწავლელი უბანია. ჩვენი მიზანია ამ თავისებურებათა აღნუსხვა  
და კვალიფიკაცია სვანური ენის სხვა კილოთა და კილოკავთა ფონეტიკურ  
მოვლენებთან მიმართებაში.

2. ლახამულურ კილოკავზე მეტყველებს საკუთრივ ლახამულისა და ხაი-  
შის მკვიდრი მოსახლეობა. ორივე (ლახამულისა და ხაიშის) სასოფლო საბ-

<sup>1</sup> ქვემოთ ეცარული (შემოკლებით ეცერ.) მხოლოდ ამ მნიშვნელობით გვეჩნება ნახმა-  
რი, როლო სოფ. ეცერის მეტყველების თავისებურებათა გადმოსაცემად ნახმარი იქნება ტერმინი  
საკუთრივ ეცერული.

ჭოში შემავალი სოფლები მდებარეობენ მესტიის რაიონის სამხრეთ-დასავლეთ-ნაწილში, მდინარე ენგურისა და მისი შენაკადების ვიწრო ხეობებში, ლახა-მულიდან მოყოლებული მდინარე ენგურის გაყოლებაზე ვიდრე სოფ. ბარჯა-შამდე 50 კილომეტრის მანძილზე.

აღმოსავლეთით ამ ტერიტორიას საზღვრავს ფარისა და ეცერის სასოფ-ლო საბჭოები და სვანეთის ქედი, ჩრდილოეთით—ჰუბერტევის სასოფლო საბჭო, დასავლეთით—კუბერის სასოფლო საბჭო და აფხაზეთის ქედი, ხოლო სამხ-რეთით—სამეგრელო. მცხოვრებთა რაოდენობა მოსახლეობის უკანასკნელი აღრიცხვის მიხედვით ორივე სასოფლო საბჭოში 1638 სულს შეადგენს. ამათ-გან საკუთრივ ლახამულის სასოფლო საბჭოში ითვლება 420 სული, ხოლო ხაიშის სასოფლო საბჭოში—1218 სული.

ლახამულური კილოვანის გავრცელების არე ყოველთვის ასეთი არ უნდა ყოფილიყო. დაახლოებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში დღევანდელი ხაიშის სასოფლო საბჭოს ტერიტორია და ლახამულის სასოფლო საბჭოში შემავალი ლენხერის ხეობის სოფლები (შდიხირი, დისი, ქვედა ითარი, ხელრა და სხვ.) დაუსახლებელ, გაუვალი ტყით დაფარულ აღგილებს წარმოადგენდა. ამას ადასტურებენ ცოცხალი მოწმები ლახამულიდან<sup>1</sup>. მათი მტკიცებით ამ თხემოციოდე წლის წინათ მთელს ლენხერის ხეობაში მხოლოდ სამი-ოთხი-ოჯახი თუ სახლობდა, ისიც სოფელ ლახამულიდან გადასახლებული. ამ აღ-გილების მასობრივი დასახლება კი შედარებით ახალია და სამოც-სამოცდათ წელზე მეტი ხნის ისტორია არა აქვს:

გეოგრაფიული სახელწოდება—ლახამულა—რამდენჯერმე გვხვდება სვა-ნურ საისტორიო ძეგლებში. პირველად იგი იხსენიება ერთ-ერთ ძეგლში „მა-ტიანე სვანეთისა კრებისაც“, რომელსაც პ. ინგოროვა XIII საუკუნის II, ნახევრით ათარილებს. ამ ძეგლში ასეთ აღგილს ვხვდებით: „ვინცა ლახამლს ამა კრებასა მიეგება და ს-ლი შეჰვედრა ყ-თა შ-ნ ლ-ნ“<sup>2</sup>. მეორე, XV საუკუ-ნით დათარილებულ ძეგლში აგრეთვე იღნიშნულია: „დაგიწერე... თქუენ ერ-თობილსა ხეუსა ხითის და ნენწელს შვა ლახამლელსა“<sup>3</sup>. მესამე ძეგლში (XV—XVI სს.) ვკითხულობთ: „დაუწერეთ ჩენ ერთობილთა ლახამლელთა“<sup>4</sup>. XVIII საუკუნის ცნობილ მოგზაურს ი. ა. გიულდენ შტედტს ენგურის ხეობაში (ზემო სვანეთში) მდებარე სოფლების ჩამოთვლისას აღნიშნული აქვს, ხევათა შორის, სოფელი ლახმურა (Lachmura)<sup>5</sup>, რა თქმა უნდა, დღევანდელი ლახა-მულის გადმოსაცემად. ერთი სიტყვით, გეოგრაფიული სახელი—ლახამულა, როგორც ირკვევა, საკმარი დიდი ხნივანებისაა.

სამაგიეროდ ამ ტერიტორიაზე ცხოვრების ასევე დიდი ხნის ისტორია არ უნდა ჰქონდეთ ლახამულის დღევანდელ მცხოვრებლებს—ლახამულებებს. ისინი შედარებით გვიან საუკუნეებში ჩანან ჩამოსახლებული რომელიც ცხვა მხრიდან. აი, რას მიყვავართ ამ დასკვნამდე: ზემოხსენებული XIII საუკუნის II ნახევრის ძეგლი „მატიანე სვანეთისა კრებისაც“ დეტალურად აგვიწერს ამ

<sup>1</sup> ქ. ბ. ქობალია (100 წლისა), შ. ს. ჭყალუა (83 წლისა), ლ. ხ. დავითიანი (67 წლისა), რ. ხ. დავითიანი (71 წლისა), ან. შ. დავითიანი (68 წლისა) და სხვანი.

<sup>2</sup> პ. ინგოროვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, გვ. 120.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>5</sup> D. Iohann Anton G ülden st ädt, Reisen durch Russland und im kaukasi- sche Gebürg, ტ. I, პეტერბურგი, 1787, გვ. 417.

დროის ზემო სვანეთის სხვადასხვა თემში ჩატარებული საექლესიო კრებების მსელელობასა და შემადგენლობას. „მატიანე“ წარმოგვიდგენს ვრცელ სიებს კრებებზე მოსული შემომწირველი და შემომვედრებელი ადგილობრივი მცხოვრებლებისას. სიებში დასახელებული გვარების ნაწილი გადაშენებულია, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც სახლობს იქ, სადაც აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ამ შეიდასიოდე წინათ იყვნენ. ერთადერთ გამონაკლისა ამ მხრივ წარმოადგენს ლახამულის საექლესიო კრებაზე მოსულ ადგილობრივ მცხოვრებთა გვარებისა და დღევანდელი ლახამულის მცხოვრებთა გვარების განსხვავება. არც ერთი იმ გვართაგანი, რომელიც „მატიანის“ მიხედვით ლახამულის საექლესიო კრებას დასწრებია, ამჟამად აქ არ გხევდება, და, პირიკით, არც ერთი იმ გვართაგანი, რომელიც დღეს ლახამულაში სახლობენ, დასახელებული არაა საექლესიო კრების მონაწილეთა სიაში<sup>1</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ XII საუკუნის ადგილობრივი მცხოვრებნი რაღაც შიზეზის გამო აქედან აყრილან და სხვაგან გადასახლებულან ან, უარეს შემთხვევაში, გადაშენებულან, ხოლო ამავე ტერიტორიაზე გვიან საუკუნებში უნდა დამკიდრებულიყვნენ სვანეთის რომელიმე კუთხიდან ან სხვა მხრიდან გაღმოსული დღევანდელ ლახამულელთა წინაპრები. თუ, სახელდობრ, როდის და რა პირობებზე ში უნდა მომხდარიყო ეს გადმოსახლება, ამის თქმა, ცხადია, ძნელია. ერთი, კი აშეარაა, რომ ჯერ კიდევ მე-15—16 საუკუნეების საბუთებში აქ არ გხვდებით ლახამულაში დღეს მცხოვრებთა გვარებს. ამ დროსაც სკიზიანები, გაფანიანები და თოდანებია დასახელებული<sup>2</sup>.

დღევანდელ ლახამულელთა წინაპრები ან სხვა რომელიმე დიალექტის წარმომადგენელი სვანებია, ან, უფრო საფიქრებელია, გასვანებული მეგრელებია (მაგ., ჭკადუა, ქობალია) და შეიძლება ამით იხსნებოდეს ის სერიოზულოს სხვაობა, რომელიც ფონეტიკის ყველა უბანზე იგრძნობა ლახამულურში ეცერულ კილოკავთან შედარებით. მაგ., ლახამულურში უმღაუტს უფრო დასრულებული სახე აქვს, ვიდრე ეცერულ კილოკავში; ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ნაკლებია ეცერულთან შედარებით; პალატალიზაცია უფრო ძლიერია, ვიდრე ეცერულ კილოკავსა და სვანური ენის სხვა დიალექტებში. ასევე, ასიმილაცია აქ უფრო მეტადაა გატარებული, განსაკუთრებით შეღერობა—სიყრულის მიხედვით, ვიდრე ეცერულ კილოკავში; ლახამულურს ახასიათებს ხმოვანთა რეგრესული ელიზის გვერდით პროგრესული ელიზიაც, რაც, ბექოურისა და ნაწილობრივ საუკუნივ ეცერულის გამოკლებით, უცხოა არა მარტო ეცერულისათვის, არამედ მთელი სვანურისათვისაც და სხვ. მაგრამ ლახამულურის განმასხვავებელი ფონეტიკური თავისებურება მაინც ნაზალობაა, რაც განსაკუთრებულ აქტიურულ ელფერს აძლევს ლახამულურის როგორც ხმოვნებს, ისე თანხმოვნებსაც.

<sup>1</sup> საექლესიო კრების მონაწილეთა გვარებია: ქელბაგიანი, პეტრიანი, ცხვმიანი, გობეჩიანი—ბობჩიანი, უსერემიანი, გვაწიანი, ქარჩიანი, ფალგარიანი, ხოლო დღევანდელი ლახამულისა და მისი მომიჯნავე ლენზერის ხეობის მცხოვრებთა გვარებია: ჭკადუა, ქობალია, კვანჭიანი, დავითიანი, საბანიძე.

<sup>2</sup> რა თქმა უნდა, მცდარია და ყოვლად მიუღებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ლახამულური წარმოშობით ებრავლები იყვნენ.

### I. ლახამულურის ბგერითი უმაღვენლობა

3. ხმოვნები. გრძელი ხმოვნების გამოკლებით, რომლებიც მხოლოდ პალსზე მოურსა და ლაშტურ დიალექტებში მოიპოვება, ლახამულურში წარმოდგენილია საერთოდ სვანური ენის დამახასიათებელი ყველა ხმოვანი და ე. წ. ნახევარხმოვანი. სრული ხმოვნებია: ა, ე, ო, ი, უ, გ, შ, ჲ, ჳ, და ნახევარხმოვანი ჲ. ლახამულურის ვოკალიზმს განასხვავებს სვანური ენის დანარჩენი კილოებისა და კილოკავებისაგან ნაზალობა (ცხვირისძიერობა). თუ ნაზალურ ხმოვნებსაც მხედველობაში მივიღებთ, ლახამულურ კილოკავში ხმოვანთა რიცხვი თხუთმეტაშედე აფა. ესენია: ა, ე, ო, ი, უ, გ, შ, ჲ, ჳ, რ, ი, უ, რ.

4. გ ხმოვანი. გ ხმოვანი მეტ-ნაკლებად სვანური ენის ყველა კილოსა და კილოკავში გვხვდება<sup>1</sup>.

კილოთა და კილოკავთა მონაცემების შედარება გვაუიქრებინებს, რომ ეს ფონემა სვანურ ენაში მეორეულია, მიღებული სხვა ხმოვნების რედუქციის შედეგად. ძალზე ცოტაა ისეთი ფაქტები, სადაც გ ფონემა გვქონდეს და იგი რომელიმე ხმოვნის რედუქციის გზით მიღებულად არ ითვლებოდეს.

გ ხმოვნის გამოყენების თვალსაზრისით ლახამულური კილოკავი რაიმე არსებით თვეისებურებას არ გვიჩვენებს, რომელიც მას მკვეთრად განასხვავებდეს სვანური ენის დანარჩენი კილოებისა და კილოკავებისაგან. მაგრამ შესადარებელ მასალაზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს ზოგი რამ მაინც აღნიშნოთ: დიდი რაოდენობით გვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა ა) ძირითადი ხმოვანი, რომლის რედუქციის შედეგსაც გ წარმოადგენს, შემონახული აქვს სხვა რომელიმე კილოს ან კილოკავს, ან, პირიქით, ლახამულურშია ეს პირველადი ხმოვანი დაცული და სხვაგან მისი ნარედუქციალი გ ხმოვანი ჩანს, ბ) ან ნარედუქციალი გ ხმოვანი არ ჩანს ლახამულურში და სხვა კილოსა ან კილოკავში კი შემონახულია. გვხვდება საწინააღმდეგო შემთხვევებიც.

გ თანხმოვანთგაბაყარი ბგერაცაა. ამ როლის შესრულება მას მეტწილად მ, ნ, რ, ლ, სონანტებთან მეზობლობაში უხდება.

5. ე უმთავრესად ი ხმოვნის დასუსტების შედეგია. ი-ს ასეთი დასუსტება ლახამულურს უფრო ანასიათებს, ვიდრე ეცერული კილოკავის რომელიმე ქცევას ან სხვა დიალექტებს: ამ მხრივ ლახამულურის მიმართება ჩუბეხეურთან ასეთ სურათს იძლევა.

ლახამულური	ჩუბეხეური
ლიფტჩენე	ლიფტანე
ლიქენე	ლიქენე
ლისყენე	ლისყენე

გარდა ამისა ჲ ლახამულურში ხშირად ჲ (ხ), ჰ (→ ჩ) თანხმოვნების დაშუსტების შედეგადაც მიიღება.

6. ჲ-ს დასუსტება ჲ-დ. ჲ-ს პოზიცია ლახამულურში საქმაოდ შერყეულია: ლახამულურში დაცულ ჲ-ს ქვემოსვანურში მეტწილად ჲ, ი, უ ბგერები ენაცვლება (ჲ ლაშტურში, ი ლენტეხურში და უ ორივეგან). ლახამულურს ამ მხრივ ნაწილობრივ მაინც დაცული აქვს ძველი ვითარება, მაგრამ არის რიცხვი შემთხვევები, როცა, ლაშტურის ძისგავსად, ჲ აქაც ჲ-დ სუსტდება. ამას

<sup>1</sup> სვანეთის საისტორიო ძეგლთა ენის ჩვენებით ამ ფონემის არსებობა სვანურ ენაში დასტურდება ჯერ კიდევ XIII საუკუნეში.

ადასტურებს ლახამულურის როგორც ბალსქემოურთან, ასევე ბალსქვემოურის ეცერულ კილოკავთან შეპირისპირება. ასე მაგ.:

ბზ-ში ჸ (b)	ლბმ-ში ჸ
ლიშრბყი	ლიშრბყი
ჰაშმბ (ი. ნიქ.), ჰეშმბა	ჰეშმბ
ჰენსიდ	ჰენსიდ
ლიშალვრე	ლიშლვრი
ლიყჟე	ლიყჟე
ჰედ	ჰედ
აჰა	აჰა
ნაჰაშმუნ	ნაჰაშმუნ
	სამაღლო და სხვ.

ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა სვანური ენის დიალექტთა დღე-ვანდელი მონაცემების მიხედვით ა თითქოს ხ-ს დასუსტების შედეგია. მაგ.:

ჩუბეხურში ხ	ლახამულურში ჸ	
ხეხვ	ჰეხვ	ცოლი
ხერხებშ	ჰერხებშ	სოფელია
ხეხერობაშ დეშდიშ	ჰეხერობაშ დეშდიშ	დღესასწაულია
ხერხვლა	ჰერხვლა	ვერხვი და. ა. შ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ მაგალითებში მოცემული ა და ხ-ორივე მეორეულ ვითარებას წარმოადგენს და მომდინარეობს პრიმარ ჸ-დან<sup>1</sup>- მართლაც, ჰეხვ, ჰერხელა და სხვა სიტყვებში ა სვანური ენის ბალსქემოური კილოსა და ბალსქვემოურის ეცერული კილოკავის ხ-ს ადვილად ენაცვლება იმიტომ, რომ ამ სიტყვებში ხ მიღებულია ჸ-საგან ფუძის ხ-სთან ასიმილაციით.

ამეამად ლახამულურშიც მკვიდრდება ხ ე ხ ვ, ხ ე რ ხ ვ ლ ა, რაც, ეჭვს გარეშეა, სხვა კილოკავა ზეგავლენითა მიღებული, რადგანაც მსგავს შემთხვევებს მხოლოდ გარესოფლების მეტყველებასთან ურთიერთობაში მყოფი ახალგაზრდობის ენაში ვხვდებით.

7. ა. როგორც ჯ-ს დასუსტების შედეგი. ა-დ სუსტება ი. პირის ჯ-პრეფიქსი<sup>2</sup>. ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია ლახამულურისათვის და ამით იგი მკვეთრად უპირისპირდება სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტს. საილუსტრაციოდ მიღმართოთ ლახამულურისა და ჩუბეხურის მონაცემებს:

ლბმ. ა	ჩბმ. ჯ
ლაჟქედნე	ლაჟქედნე
აჟრაგზნ	აჟრაგზნ
ეჟდენა	ეჟდენა
ეჟყენი	ეჟყენი
	მიგყავდეს იქნება...

ა-დ იქცევა ჯ როგორც ეჯი „იგი“ ნაცვალსახელში, ასევე ამ ფუძის შემცველელ დროისა, ადგილისა და ვითარების ზმნისართობსა და ზედსართავებში ჯ-ს ამნაირი დასუსტებაც ლახამულურის ნიშანდობლივი თვისებაა. მაგ.:

<sup>1</sup> ვ. თ ა ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 32.

ლხშ. ყ	ჩარ. ჯ	
ეფ ექიმდ	ეჯ ექიმდ	იმ ექიმმა
ეჭნებ	ეჭნებ	იმან
ეჭლეთ	ეჯლეთ	იმ ღამეს
ეჟთ' ოვ ლოხთონებ	ეჩხავოლვ (← *ეჯხავ)	ლოხთონებ იქით გააგზავნეთო
ეჭხენ	ეჩხენ (← *ეჯხენ)	იმ მხარეს
ეჟთანაშ	ეჯთანაშ	იმისთანა, იმანირი
ეჟქპლიბ ( // ეჭქპლიბ)	ეჯქპლიბ	ისეთი, იმისთანა
ეჟშელდ	ეჩშელდ (← *ეჯშელდ)	იმდენი, იმ რაოდე-ნობისა...

ჯ-ს ამნაირი დასუსტება პალატალიზაციის ძლიერი ტენდენციის მაუწყე-შელია ლახამულურში.

8. კ ბგერა ხორხისმიერი ყრუ ფშვინვიერი თანხმოვანია. იგი ლახამუ-ლურში დღეს ისევე მკვიდრია, როგორც მკვიდრი იყო ის ტელ ქართულში და დღევანდელი ქართული ენის მთის კილოებში არის. ლახამულურში იშვია-თად შეინიშნება კ ბგერის ხ-ში გადასვლის შემთხვევები. სპეციალურ გამოკვლე-ვაში<sup>1</sup> წმინდენბული დებულების თანახმად კ თანხმოვანი მტკიცედ არის და-ცული სვანურში ე. წ. ციშლაუტ-აფრიკატ ბგერათა (ხ, შ, ც, ჩ და აგრეთ-ვე თ) წინ. მაგ.:

მგჩჩლ „ცერცველა“, მექჩე „გაცვეთილი“, ლიქსგე „გაჭალარავება“, ლიკში „დასარვა“, ლიკც „დაქცევა, დალუპვა“...

სამაგიეროდ ციშლაუტ-აფრიკატების შემდეგ კ თანხმოვანი არ გვხვდება. ამ პოზიციაში მხოლოდ ხ თანხმოვანია დამახასიათებელი; როგორც მაგ.: ზე-სრა „ცაცხვი“, უიშხე „ციცხვი“, იცხ „მსხალი“, ცხამ „ღვარძლი“, ცხვიმრა „რცხილა“, მშჩიჩხ „შერიუჟა“, ზენთ „შერია..“

ეს კანონშომიერებანი ლახამულურს սაქმაო მტკიცედ აქვს გატარებული, ჰაგრამ მცირეოდენი გადახვევები მაინც შეინიშნება. ასე მაგ.;

ლხშ.	სხვაგან
ნეცშდ	ნეცშდ თიკანი (შდრ. ბზ. ნელაშდ)
ნახჩოვ	ნაჭჩოვ (ბზ. ი. ნიჟ.) ავაღმყოფობისაგან მორჩენილი
ლიხინჩვი	ლიქინჩე (ლშხ.) ხელშეშლა და სხვ.

რა თქება უნდა, საპირისპირო შემთხვევების ალმოჩნაც არ ჭირს, რაც თმას მოასწავებს, რომ კ-ს პოზიციის შერყევას სვანურ ენაშიც დასაბამი ეძ-ლება.

9. ლ' ფარინგალური ხშულის შესახებ. ქართული ენის ფონეტიკის სპე-ციალისტები (ნ. მარი, გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი) აღრიღანვე ვარაუდობდნენ, რომ ამჟამად დეფექტური მექქსე სახეული (ჺ, ჵ) ოდესალც დეფექტური არ უნდა ყოფილიყო. ყრუ ჺ, ჵ ფარინგალური ხშული თანხმოვების გვერდით უნდა გვეკონდა ფარინგალური ხშული მჟღერი თანხმოვანიც. ს. ჵ ლ ე ნ ტ მ ა ეს ფა-რინგალური ხშული მჟღერი დაადასტურა სვანურ ენაში ლ' ნიშნით გაღმოსცა<sup>2</sup>). ლ' ფარინგალის არსებობა მას დამოწმებული აქვს სვანური ენის

<sup>1</sup> 3. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III, კ და ს სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში: საქართველოს არქივი, II, 1927, გვ. 180.

<sup>2</sup> ს. ჵ ლ ე ნ ტ მ ა, მჟღერი ხშული ფარინგალის საკითხისათვის სვანურში: საქართველოს მცნ. აკადემიის მოამბე, 1946, ტ. VII, № 7, გვ. 461—466.

სხვადასხვა დიალექტში — ლაშეურში — არსენ ონიანის, ბალსზემოურში — სები გულედნის, ლერტეხურში — სპირიდონ ტვილდიანისა და ლახამულურში — ალი დავითიანის წარმოთქმით. მოყვანილი საბუთების უმრავლესობა ბალსზემოური და ლაშეური დიალექტებიდანაა. ლახამულურიდან კი მხოლოდ ორ სიტყვაში (ლ'ჲში „დუცი“ ლ'ჲში „ქლიავის აღრეული ნაყოფი“) და ერთ ხმაბაძვით გამოთქმაში (ლ'ა—ლ'ა) არის იგი დაჭრილი.

ლახამულურის შესასწავლად არაერთგზის მივლინებაში ყოფნის დროს ყოველმხრივ ვცდილობდი ფარინგალი ლ'-ს კვალი დამტეჭირა ადგილობრივ მცხოვრებთა შეტყველებაში. ამ მიზნით ჩემს ინფორმატორებს ისეთ ლექსიკურ მასალას ვაწვდიდი წარმოსათქმელად, სადაც ეს ბგერა მოსალოდნელი იყო, მაგრამ არც ლრმა მოხუცი, არც საშუალო ასაკისა და, მით უფრო, არც ახალგაზრდა ლახამულელი ამჯამად ამ ბგერას არც ერთ სიტყვაში არ ხმარობს. უცხოა მათთვის დეპი, ლ'ჲში სახელებში ლ'-ს ნაცვლად ფარინგალი ლ'. არც ონომატოპონეტურ გამოთქმაში ლა—ლა—ლა ისმის ამჯამად ლ' ბგერა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფარინგალ ლ'-ს ადვილად ალიქვამს ამჯამადაც ლახამულელი, რომ მას თითქმის ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იმეორებს ერთი-ორჯერ გაგონებისთანავე როგორც ცალკე იღებულ ფონემას, ასევე გარკვეულ ბგერათა კომპლექსსა და სიტყვებში. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ლ' ფარინგალი, როგორც ჩანს, ლახამულურ მეტყველებაში ცოცხალი ბგერა იყო და შემდეგ გადაშენდა როგორც ლახამულურში, ასევე მთელ სვანურში.

## II. უმლაუტი

10. უმლაუტი სვანური ენის ფონეტიკის ერთი ძირითად მოვლენათაგანია. მისი თავისებურებების გამოვლინებას მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ფონეტიკისათვის, არამედ მორფოლოგის რიგი საკითხების გარკვევისათვის. ამით ბისნება, რომ უმლაუტში აღრიდანე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. სვანურ უმლაუტს მიეძღვნა მნიშვნელოვანი გამოკვლევები<sup>2</sup>.

უმლაუტის წესები თითქმის თანაბრად მოქმედებენ სვანური ენის უმლაუტიან დიალექტებში (ლერტეხურში, ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში), მაგრამ კილოურ და კილოკავურ სხვაობათა გამოვლინება მაინც ხერხდება.

ლახამულურ კილოკავს სვანური ენის სხვა კილოებისა და თვით ეცერული კილოკავისაგან განასხვავებს უმლაუტის მეტად დასრულებული სახე, ხმოვანთა დავიწროების ძლიერი ტენდენცია.

11. ა-ს უმლაუტი ლახამულურში. ა. შანიძის დასკვნით „ე'ნის გავლენა მხოლოდ ა'ნზე ვრცელდება და ისიც მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც იგი მოკლე და უფრო მაშინ, როდესაც უნდა დაიკარგოს რელუქციის ძალით“<sup>3</sup>. ამ დებულებას გაფართოება სწირდება. ასე მაგალითად,

<sup>1</sup> ეს საკითხი შემოწმებული მაქვს ისეთ ინფორმატორებთან, როგორიცაა: ქ. ბ. ქობალია (100 წლისა), ბ. მ. ჭყადუა (72 წლისა), ლ. ხ. დავითიანი (67 წლისა), ი. ხ. დავითიანი (71 წლისა), ან. შ. დავითიანი (68 წლისა), პ. უ. ჭყადუა (55 წლისა), ვლ. უ. ჭყადუა (30 წლისა) (გ. ი. დავითიანი (13 წლისა) და სხვ.

<sup>2</sup> ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925. ვ. თოფურია, კვლავ უმლაუტისათვის სვანურში: ტფილისის უნივერსიტეტის მთამბე, 1928, ტ. VIII; მისივე, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: ტფილისის უნივერსიტეტის მთამბე, ტ. VII.

<sup>3</sup> ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, გვ. 174

ლახამულურ კილოკავში ე ხმოვნის გავლენით წინამავალი ა ხმოვანი ყრდელ-თვის უმღაუტდება, მაშინ როცა ეცერული კილოკავის მეტწილ თქმა-ქცევებში ამ გავლენას ადგილი არა აქვს. მაგ.:

ლხ. 8.	ჩხ. და სხვა დიალექტებში
ქახე	ქახე
ლალე	ლალი
ბალე	ბალე
ნახე	ნახე
შახე	მახე
ლადელ	ლადელ
ხაჯეშ	ხაჯეშ
მარე	მარე
ლარე	ლარე
	დღე
	ჰავს, ლირს
	(ბზ., ლშხ. მარე) კაცი
	(ბზ., ლშხ. ლარე) სათიბი და ა. შ.

ეჭვს გარეშეა, რომ ლახამულურის ნიმუშებში ა ხმოვნის გაუმღაუტება შომდევნო ე ხმოვანმა გამოიწვია და ამით ხმოვანთა უმღაუტს მეტი გასაქანი მიეცა.

ეცერულისაგან ლახამულური კილოკავი განსხვავდება სიტყვის ბოლო-დან პირველი მარცვლის ა ხმოვნის გაუმღაუტებით. ლახამულური მსგავსად ბალსზემოურისა, სახელობითი ბრუნვის დაკარგული ი სუფიქსის გავლენით წინამავალ ა-ს უმღაუტის სახით წარმოგვიღებს, ეცერული კილოკავი არა. წაგ.:

ლხ. 8.	ეცერ.
ნალ	ნალი
ბზაკალ	ბზაკალ
ჯავ	ჯავ
ჩავ	ჩავ
ვეთხმშალ	ვეთხმიალ პირუტყვი (შდრ. ოთხმავალი)...

ამ სხვაობასთან ერთად ზემომოყვანილ სახელებთან თავს იჩენს ერთო მორთოლოგიური ხასიათის თავისებურებაც; სახელდობრ, ლახამულურ კილოკავში ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტად გამოდის -ი-შ სუფიქსი, ეცერულში კი კი -პ-შ სუფიქსი.

ანალოგიურ სხვაობას ვაწყდებით აგრეთვე მყოფადის მიმღეობის წარმოებისას, როცა ფუტეში რედუცირებული ი ხმოვანი ლახამულურში სრულიად კანონიერად აუმღაუტებს ლა- პრეფიქსის ა ხმოვანს, ეცერულში არა-

ლხ. 8.	ეცერ.
ლაჩენბლი (—*ლაჩიგუნბლი)	ლაჩენბლი საწოვებელი ადგილი ან საშუალება
ლაშნბრი (—*ლაშინბრი)	ლაშნბრი საშინაურებელი
ლაწყლანი (—*ლაწყილანი)	ლაწყლანი სასუფთავებელი და ა. შ.

ასევეა ნა- პრეფიქსიან ნამყოს მიმღეობაშიც:

ლხ. 8.	ეცერ.
ნაჯვნელ (—*ნაჯუნინელ)	ნაჯვნელ ნაძველები
ნაწყლან (—*ნაწყილან)	ნაწყლან ნასუფთავები

ნაფერები (— \*ნაფერები) ნაფერებ.

ჭრილობის ან მუწუკის  
მოწამვლისათვის და ა. შ.

თუ ზემომოყანილ ნიმუშებში შეკუმშული ან მოკვეცილი ი ხმოვანი იყო წინამდგომი ა-ს უნლაუტის გამომწვევი ლახამულურში და ეცერულში— არა, ქვემოთ საქმე გვაქვს შემონახულ -ი-სთან, რომელიც ლახამულურში გა- ვლენას ახლენს წინამავალ ა-ზე, ხოლო ბეჭიოურში, ჩუბეზეურში და სხვაგან— გერა.

ბერ.	ბერ.	
ბაზი	ბაზი (ბზ. ბაზი)	ამაღლამ
ამიშ	ამიშ (ბზ. ამიშ)	ამისი
ალი	ალი (ბზ. ალა)	ეს
ქახი	ქახი (ბზ. ქახი)	მოშორებით....
ლხმ.	ჩბხ.	
ეჯლაპი	ეჯლაპ	მაინც
ანგარიში	ანგარიში	ანგარიში...

საკუთარ სახელთა აუსლაუტში ლახამულურს -ს ახასიათებს; ჩუბექეურს.

ମୋହା	ମୋହା
ନାଟେଲ୍ଲା	ନାଟେଲ୍ଲା
ସର୍ମିତ୍ତ	ସର୍ମିତ୍ତ

**12.** სვანურში ფუძედრეკად ზმნებს ნაშეყო ძირითადის III პირში გოსლის ე ხმოვნის აბლაუტი ჸ-დ ბალსზემოურში, ხოლო სხვაგან ა-ლ, ლახამულური, კილოკავი და საკუთრივ ეცერული თქმა ამ მხრივ ბალსზემოურს მისდევენ: აქცა ჰ არის წარმოდგენილი. ლახამულური და ეცერული კილოკავის ზოგი თქმა ამ მოვლენის მიხედვითაც ერთმანეთს უპირისპირდება:

ლ. ბ., საკუთრივ ეცერ.	ჩ. ბ., ბენ.
ანდალ	ანდალ
აჩალ	აჩალ
აშპალ	აშპალ
აგაზ	აგაზ
ხეკვალ	ხეკვალ
ასალ	ასალ
აკვაშ	აკვაშ

13. მასდარსა და მიმღეობებს ხშირად სხვადასხვა სუფიქსაცია ახასიათებს კილოკავებში. მაგ.: ლახამულურს -ი აქვს, ჩუბეხეურს -ე. ლახამულურში ის -ი აუმოაზტებს ფრანგულ ა ხმოვანს, ჩუბეხეური -ე კი — არა. მაგ.:

ლხმ.	ჩბნ.
აწმუნს მიმღეობა: მგ-კლატხ-ი მგ-ლაპ-ი	მგ-კლატხ-ე მგ-ლაპ-ე
	ამამალლებელი კიხის დამდგმელი...

10. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII.

შასაღარი:	ლი-პშნწკვ-ი	ლი-პანწკვ-ე	პწკენა
	ლი-კშნწკ-ი	ლი-კანწკ-ე	ფრინველის ხორცის დაშაშხვა
	ლი-ჩსლხ-ი	ლი-ჩალხ-ე	გამოჩარხვა
	ლი-ფაშგვ-ი	ლი-ფაშგვ-ე	ხელის მოსმა მოსაფერებლად...

მართალია, მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული შემთხვევებია ლახამულურ-ში, რომ ა-ს გაუმლაუტებას საფუძველი არა აქვს და ამითაც ეს კილოკავი უპირისპირდება ეცერულ კილოკავს. მაგ.:

ლხზ.	ეცერ.	
ბაგრატი	ბაგრატ	საკ. სახელი
საბჭო	საბჭო	საბჭო
მალლავ	მალლავ	შოშია
ლალუ	ლალუ	საკ. სახელი
ხამარჯუნა	ხამარჯუნა	ემარჯებოდა თურმე...

ამგვარი შემთხვევები, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი გარემოებით—ლა-შამულურში უმლაუტის ძლიერი ტენდენციით—მეიძლება აიხსნას. ყოველ შემთხვევაში აქ ბაგისმიერთა გავლენა გამოსარიცხი უნდა იყოს.

14. ნამყოს მიმღეობის ნე-პრეფიქსი ლახამულურში. ა) ნამყო დროის მიმღეობას ნა-პრეფიქსი აწარმოებს. იგი საერთო ფორმანტია ქართველურ ენებში ამ მიმღეობისათვის. უმლაუტიან კილოთა და კილოკავთა შორის მხო-ლოდ ლახამულური კილოკავია, რომ ნა-პრეფიქსს ბევრ შემთხვევაში ნე-ს სა-ხით წარმოგვიდგენს და ამით მკვეთრად უპირისპირდება ყველა დიალექტს. ერთმანეთს უპირისპირდებან, ცხადია, ლახამულური და ჩუბეხეურიც. მაგ.:

ლხზ.	ჩბ.	
ნეყირ	ნაყირ	ნარტყაში
ნეფლეთ	ნაფლეთ	ნაფლეთი
ნეპეფ	ნაპეფვ	ნაკენი
ნეთხვარ	ნათხვარ	ნანადირევი
ნეკეფხ	ნაკეფხ	ანასხლეტი
ნეყლეპ	ნაყლეპ	ნაყლაპი
ნეჩეფ	ნაჩეფვ	განახდომი და ა. შ.

ეგევე შელავნდება ლახამულურში ბალსზემოურთან მიმართებაშიც:

ლხზ.	ჩბ.	
ნეძგერ	ნაძგშრვ	ნაძგერები
ნეკიც	ნაკიც	ხორცის მცირე ნაჭერი,
ნეტყაფ	ნატყაფვ	სილაგანაწნავი
ნესეტ	ნასატვ	სილაგანაწნავი...

ბ) ლახამულურში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება ა ხმოენის უმლაუ-ტის გზით ე-ში გადასვლა სიტყვის ძირის თუ ფუძისეულ ნაწილში, რო-გორც, მაგ.:

ლხ.მ.	სხვაგან
დუქენ	დუქან (ფარ.)
ბებანი	ბაბანი (ჩბ.)
ფათრეკ	ფათრეკ (ბზ.)
გაცხეპ	გაცხეპ (ჩბ.)
ესნერი	ესნერი (ჩბ.).
ლეჭკური	ლეჭკური (ჩბ.).
ბელყეჩ	ბელყეჩ (უშგ. ი.ნიუ.) ოხმელა...

გ) ბალსზემოურს სიტყვის სხვადასხვა პოზიციაში ახასიათებს ე ხმოვნის ვაღაწევა პ( ॥ ა) ხმოვანში. ერთ ასეთ შემთხვევას ნამყო დროის მიმღეობაში ვხვდებით ფუძეში, მაგრამ ლახამულური ბალსზემოურს უპირისიპირდება ამ მოვლენის მიხედვით, რადგანაც მასში აქტიურად მოქმედებს ვიწრო ხმოვნის ვაფართოების საწინააღმდეგო ფონეტიკური მოვლენა. ამიტომ არის, რომ ლახამულური უცვლელად ინარჩუნებს ასეთ შემთხვევებში ე ხმოვანს და ამით იგი ლაშხურს უდგას გვერდში.

ლხ.მ.	ლშ.	ბზ.
ნაცემ	ნაცემ	ნაცვამვ
ნაცერენ	ნაცერ	ნაცერვ
ნაცხემ	ნაცხემ	ნაცხამვ
ნაქემ	ნაქემ	ნაქვამი
ნატეხვ	ნატეხ	ნატახვ
ნალგენ	ნალგენ	ლამის ნათევი...

ე-ს პ-ში გადასცლა ბალსზემოურში ფართოდ მოდებული მოვლენაა. გამომწვევი მიზეზი ყოველთვის არა ჩანს<sup>1</sup>.

15. საყურადღებოა, რომ ლახამულურში ა-ს უმდაუტს იწყებს არა მხოლოდ პირველადი ე და ი, არამედ უმდაუტიანი უ-ც-ეს კარგად ჩანს ნამყო და მყოფადი დროის ნა-, ლა- პრეფიქსიან მიმღეობებთან. აქ როცა ფუძისეულ უ-ს უმდაუტი მისდის, იგი თავის მხრივ ნა-, ლა- პრეფიქსის ა- ხმოვანს იმსგავსებს და აუმდაუტებს. ეს მოვლენა სევანური ენის არც ერთ კილოსა და კილოკავში არ დასტურდება გარდა ლახამულურისა. იმ მაგალითებიც:

ლხ.მ.	ბზ.
ნამყოს	ნაჩუნ
მიმღეობა:	ნაფუნ
მყოფადის	ლაჯუტ
მიმღეობა:	ლასტუნინა
	ლატეტუნა
	ლაბურლი

<sup>1</sup> მაგ., ფატევ (ბზ.)—ფეტევ (ლხ.მ.)—„ფეტევი“ ფაქურა (ბზ.)—ფექურა (ლხ.მ.) „ლეკვი“, ბოკვერი, ვარე (ბზ.)—ვერე (ლხ.მ.) „წევრი“, წაგაბ. (ბზ.)—წაგება (ლხ.მ.) „წაგება“, მოგაბ. (ბზ.) ←მოგება (ლხ.მ.) „მოგება“, ნაბოს (ბზ.)←ნებოს (ბევ.) „სალამო“ და სხვ.

ლავლუნა  
ლპტლცხბლი — ლავლუნა ულელსადგამი რამ  
ლპტლცხბლი ლაპულცხბლი ცეცხლის შესაკეთებელი  
რამ და ა. შ.

ამგვარად, ლახამულურ კილოკავში მაუმლაუტებელია არა მარტო პრი-  
მარი ე და ი, არამედ ნაუმლაუტევი ჟ ხმოვანიც, ალბათ, თავისი ღელემენტით<sup>1</sup>.

16. ო-ს უმლაუტი ლახამულურში. ლახამულური კილოკავში მჭვეთრად  
განსხვავდება სვანური ენის სხვა დიალექტებისაგან უმლაუტიანი ო-ს მი-  
ხედვითაც. საქმე ისაა, რომ უმლაუტის პირველი საფეხური, რომელსაც  
გრაფიკულად ჲ ნიშნით გამოვხატავთ, ლახამულურმა თითქმის არ იცის. ეს  
საფეხური მას უკვე განვლილი აქვს. ამ კილოკავში ამჟანად წარმოდგენილია  
უმლაუტიანი ო-ს მხოლოდ უკანასკნელი საფეხური დელაბიალიზებული ე ხმოვ-  
ნის სახით. ასეა ეს მაშინაც, როცა სხვაგან ჯერ კიდევ ო ხმოვანია შემთ-  
ნახული, და მაშინაც, როცა რომელიმე კილოს ან კილოკავში იგი ჲ/ვე სა-  
ფეხურით არის წარმოდგენილი. მაგ.:

ლბ. ე	ჩბ. ო
ანთრელ	ანთროლ
კალენ	კანონ // კალონ
ობელ	ობოლ
დიაკუნ	დიაკონ
ლემ	ლომ
ტელ	ტოლ

ანალოგიურ მასალას იძლევა ლახამულურის შედარება, ბალსზემოურთა-  
ნაც:

ლბ. ე	ჩბ. ო
სკედი	სკლდი
ყეშ	ყლშ
ჰერია	ჰორია
ლიშდერ	ლიშდორე
ლიმჭენი	ლიმჭანე (შდრ. ლნტ. ლიმაჯონე). მიმსგავსება და ა. შ.

ეს მოვლენა უფრო შორს მიდის ლახამულურში. დელაბიალიზებული ჲ  
ხმოვანი გვაქვს არა მარტო იმ ადგილას, სადაც სვანური ენის სხვა დიალექ-  
ტებში უმლაუტიანი ო არის წარმოდგენილი, არამედ იქაც, სადაც ფუძისეუ-  
ლი ვე მოგვეპოვება. მაგ.:

<sup>1</sup> შეიძლება ანალოგიურ შედეგს იძლეოდეს უმლაუტიანი ო-ც, ეფების ო-საგან უმლაუტის.  
გზით მიღებული ე ხმოვნის გავლენით იყოს გამოწვეული ა-ს გაუმლაუტება მაგალითებში—  
ბარწენ (ლბ.მ.) მარწევენ (ფარ.) ← „მაწონი“, ნათოლ (ლბ.) ← ნათოლ (ჩბ.), „ნაჭკვიანები“, მაგ-  
რამ მაგალითების სიმცირე ჯერხნობით მეტის თქმის საშუალებას არ იძლევა.

ლხმ. ე

აცერ. ჲ/ვე

გეშ <sup>1</sup>	გვეშ	საქმე
ლემალ	ლფემალ	ყორანი
თელ	თველ	ტეუა, გონება
ქეცენ	კვეცენ	პური
ლექერ	ლექერ	წისქვილი
გეში <sup>1</sup>	გვეში	სავსე
ლიყელ	ლიყველ	მოშორება, მოცილება
ლესე	ლფესე	ბადექონი
ქერწილ	ქვერწილ	ქორწილი
ჭერ	ჭვერ	ყვავი
წენიშ	წვენეშ	იღლია
ქეყანა	ქვეყანა	ქვეყანა
კენ	კვენ	კვერნა
შიშელ	შიშველ	შიშველი
სეტ	სვეტი	სვეტი და ა. შ.

ლხმ. ე

ბერ. ჲ

ლებ	ლობ	ბუკი, სქა, ლარი
გეჭ	გოჭ	გოჭი
თეფ	თოფ	თოფი და სხვ.

ლხმ. ე

ზ. ჲ/ვე

ჭილეფ	ჭილეფ	ჭილოფი
ლემ	ლომი	
ოსეშ ი დოსეშ	ოსაში ი დოსაშ	ასავალ-დასავალი
ლეწენე	ლეწენე	საჩვენებელი, გასანათხოვრებელი
ლექემ	ლექემ	ჩასაცმელი
ქეით ჯარ	ლექეით ჯარ	ქვეითი ჯარი...

როგორც ვხედავთ, ა ხმოვნის დელაბიალიზაცია ლიხამულურში არაფარით შეზღუდული არაა. დელაბიალიზებულია იგი არა მხოლოდ ბაგისმიერებაან, როგორც ეს სანური ენის სხვა უმღაუტიანი კილოებისა და კილოვავებისათვის არის დამახასიათებელი (მაგ., ბზ. კოლეფ „კილოფი“ და სხვ.), არა-მედ ყველა პოზიციაში, ყველა თანხმოვანთან ურთიერთობაში. ამ წესის დარღვევას, ისიც მეტად იშვიათად, ვხვდებით ახალგაზრდობის იმ მცირენაშით მეტყველებაში, რომელმაც მჭიდრო კავშირის გამო მოსაზღვრე კილოსა თუ კილოვავის გავლენა განიცადა.

<sup>1</sup> გეშ, გეში და თელ დამოწმებული მაქვს აგრეთვე ეცერის თემის სამ სიფელში—ისკარსა, კალაშსა და ლანტელიში. ეცერის დანარჩენი სოფლების მცხოვრებლებიც შენიშნავენ ამ სხვაობას: ისკარლები და ლანტელები გეშს, თელს... ხმარობენ გვეშის, თველის ჭავლადა

ს. ॥ ვე-ს დელაბიალიზაციის პროცესით ლახამულურთან რამდენადმე ახლოს დგას ეცერული კილოკავის ჩუბეხეურ-ფარული თქმა და საკუთრივ ეცერულის ისკარულ-ლანტელური ქცევა. მაგ.:

გვშ (ლხმ., ისკარ-ლანტელი)	გვეშ (ეცერ.)	საქმე
გვში (იქვე)	გვეში (ეცერ.)	საესე
ტეტ (ლხმ., ჩბხ., ფარ.)	ტოტ (ბზ., ბეჩ., ცხმ., საკ. ეცერ.)	ტოტი, ხელი
ძერ	ძარ	( „ ) ხორცი, მძორი
ჭექ	ჭექ	( „ ) ჭირი, ხილად გადებული ძელი
ჩექ	ჩექ	(ბეჩ., ცხმ.) ჩიქი
ღრევ	ღრევ	(ბეჩ.) ღრო
ჯეგ	ჯეგ	(ბეჩ.) ჯოგი
რიენ	რიენ	(ბზ.) ენგური (რიონი)...

17. ლახამულური მკვეთრად განირჩევა უ-ს უმლაუტისადმი დამოკიდებულების მიხედვითაც სევანური ენის დანარჩენი უმლაუტიანი კილოებისა და კილოკავებისაგან. წარმოდგენილი ან რედუცირებული ი ხმოვნის წინ უ ყველან უმლაუტდება და უ ან ი ფონემად წარმოგვიდგება. მაგ.:

ლხმ. უ	→	სხვაგან უ
მიშტ	მიშვუ	(ეცერ.) ჩემი
შტბ	შუბ	(ბზ., ჩბხ.). შუბი
ჩტბ	ჩუბ	(ფარ.) ქვემოთ
ეშტ	ეშხუ	(ყველგან) ერთი
პთტ	პთუ	(ბზ., ჩბხ.) სიცხე, ცხელი
მუედტ	მუელურ	(ეცერ.) შემოდგომა
ჰედტ	ჰედურ	(ეცერ.) მოელი
ლიდდტ	ლიდუნ	(ეცერ.) მოშიება...

ხშირად ამაზე უფრო მკვეთრ დაპირისპირებასთანაც გვაქვს საქმე, როცა სხვაგან უცვლელად დაცული უ ხმოვანი ლახამულურში ი ხმოვნით არის წარმოდგენილი. მაგ.:

ლხმ. ი	სხვაგან უ
ღუმირ	ღუმურ (ლშხ.) ნაძვი
ჯუმილ	ჯუმილ (ბზ.) იმა დისათვის (შდრ. ჭან. ჯუმა ძმა)
ბირლვ	ბურლვი (ჩბხ.) ბუერა
ლითორქე	ლითურქე (ეცერ.) გასვრა, გაბინძურება
პუშვ	პუშ (ლშხ.) გუდაფუშტა
კუდირ	კუდურ (ლშხ.) მორი...

ჩუბეხეურისა და ბალსზემოურის უ ხმოვნის ადგილის ლახამულურში არსებული ი არ არის პირველადი ი, იგი ნაუმლაუტები ხმოვანია. რასაც წათლად ადასტურებს ქვემომოყვანილი მაგალითები, სადაც სამივე საფეხური ხელშესახებად ჩანს:

ლხმ. ო ← შ ← ც

სტარინ	სტარუნ (ბზ.)	სტარუნ (ლშ.)	ნასესხებია ბერძნ. პირჯგარი
ყვარილ	ყვებრულ (ბზ.)	ყვებრულ (ლშ.)	დაკოდილი ცხენი
ლენწიშ	ლენწუშ (ბზ.)	ლენწუშ (ლშ.)	კავი
მამილ	მამულ (ჩბ.)	მუმული (მეგრ.)	მამალი
სიფრით	სიფრუშთვ (ბზ.)	სიფრუთ (ჩბ.)	ქართ. ციბრუტი
ლინთვ	ლუნთ (ბზ.)	ლუნთ (ლშ.)	ზამთარი
ლუმისვ	ლუმუსვ	ლუმუს (ლშ.)	თოვლიანი...

კიდევ ერთი არსებითი თავისებურება აზასიათებს ლახამულურს. ეს არის ე. ხმოვნის მაუმლაუტებელი ძალა უ და ო ხმოვნების მიმართ. შეიძლება ეს სხვა დიალექტებშიც დასტურდებოდეს, მაგრამ ლახამულურში უფრო რელიეფურად მოჩანს, შედეგი აქ უფრო დასრულებულ სახეს ატარებს:

ლხმ. ო ეცერ. ო || ჰ

რეჟენ	როჟენ (ფარ.)	ზარი
კეცენ	კლცენ, (ბზ.)	კვეცენ პური
ღესე	ღალსე    ღეპსე,	(ბზ.) ღვესე ბაღექონი
გენეჟ	გჟენეჟ,	(ბზ.) კვენეჟ იღლია
ლიწენე	ლიწონე (ბზ.)	დანახვება, ჩვენება, თხოვება
მგთენე	მუთონე (ბზ.)	გამგზავნი, მიმთითებელი...

უ-ს უმლაუტსაც იწვევს როგორც მოკვეცილი, ისე დაცული ე ხმოვანი:  
კუჭევ (ლხმ.) ← კუხ (ეცერ.) ← ქართ. მკუხე  
თუმენ თუმანი (ქართულის გზით).

დასკვნა ასეთია:

1. ლახამულურ კილოკავშიც, როგორც სხვა დიალექტებში, უმლაუტის გამომწვევია ე და ო. აქ ორივე მეუმლაუტე ე და ო შეიძლება იყოს დაცული ან რედუქციის გზით ამოღებული.

2. ლახამულურში დასტურდება ზოგი თავისებურება; სახელდობრ:

ა) უმლაუტის გამოწვევა შეუძლია არა მარტო ჩპილველად ე, ო ხმოვნებს, არამედ ნაუმლაუტე ი (ე)-საც. ბ) ე აუმლაუტებს არა მარტო ა-ს, არამედ ო-სა და უ-საც.

3. ლახამულურში შეიმჩნევა ხმოვანთა დავიწროების ძლიერი ტენდენცია: ა) სხვაგან გაუმლაუტებულ ა ხმოვანს ლახამულური კიდევ უფრო მეტად ავიწროებს და ე-დ. წარმოგვიდგენს, ბ) მტკიცედ არის გატარებული ლახამულურში უმლაუტის, გზით ო ხმოვნის დელაბიალიზაცია და ე-დ გილაციევა, გ) თითქმის ასევე აზასიათებს ლახამულურს უ-ს დელაბიალიზაციაც.

18. ლახამულურისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა დავიწროება და ზოგიერთი თანხმოვნის წარმოების წინ წამოწევაც. ამ მხრივ საყურადღებოა ზნის თემატური ნიშნების—სუფიქსების—გონაცვლეობა. ასეთი გონაცვლეობა ე და ო სუფიქსებისა შემჩნეულია, მაგალითად, ლაშხურსა და ლახამულურში. ლაშხურის თემატური ე სუფიქსი ლახამულურში ხშირად ო ბოლოსართით

არის წარმოდგენილი. ეს მოვლენა განსაკუთრებით შეიმჩნევა აწმყო დროსა და მასთან კავშირში მყოფ აწმყოს ზომლეობასა და მასდარტი. მაგ.:

ლხ. ი	ლხ. ე
მასდართან:	ლითშირი
ლიყული	ლიყელე
ლიღმედი	ლიღმედე
ლიკრინკი	ლიკრანკე
აწმყოს	გამრავლება
მიმლეობა:	ყველის ამოკვანა
მუცხერი	შეძლება
მუკვეტი	დაგორება
მუშგურჩნი	დამრიგებელი, დამ- ბარებელი...

ასევე იქნება აწმყოსა და მასდარში:

ლხ.	ლხ.
პჰენი	აერნე
ლიცხრი	ლიცხრე

ლახამულური ზოგ შემთხვევაში სხვა პოზიციაშიც ი ხმოვანს ანიჭებს უპირატესობას ე-ს წინაშე. ეს სხვაობა შემჩნეულია სახელის ფუძეში, ყველა ფუძედრეკადი ზმნის უარყოფითსა და ნამყო დროის მიმლეობებში და აგრეთ-ვ ზოგიერთ მასდარშიც. მაგ., ფუძედრეკად ზმნათა მიმლეობებთან:

ლხ.	ჩბ.
უცხიპა	უცხეპა
უშდიხა	უშდეხა
ნაქიფვ	ნაქეფვ
ნაშდიხვ	ნაშდეხვ
ნაქიჩი	ნაქეჩი

მასდართან:

ლხ.	გხ.
ლიდისგ	ლიდესგი
ლიშდირ	ლიშდერ
ლილირლლევი	ლილერლლევი (ლხ.) დალერლევა...

უფროობითი ხარისხის კრინობითი ფორმის სუფიქსი ლახამულურში -ოლ არის, ლაშხურში -ელ. აქაც ი-სა და ე-ს მონაცვლეობაა.

აქა-იქ ძირეულ მასალაშიც გვაქვს მონაცვლეობა:

ლხ.	სხვაგან
ჰყირუ	ჰყერუ (ჩბ.)
ფიხვრა	ფეხვრა (ბერ.)

1. კვარცი, 2. ღვია  
ნეკერჩხალი

პირპილ მეჭიშ	პერპილ (ჩბბ.) მეჭიშ (ეცერ.)	სამყურა ბალახი ქართულიდან მეჭეჭი და სხვ.
-----------------	--------------------------------	---

19. არის შემთხვევები, რომ ნარნარა ლ თანხმოვანს ლახამულურში წყვილბაგისმიერი უ ენაცვლება. ეს მოვლენა, რამდენადაც ხელი მიგვიწვდება, უცხოა სხვა ქართველური ენებისათვის. იგი თითქმის უცხოა სვანური ენის სხვა დიალექტებისათვისაც. ლ-სთან უ-ნის მონაცვლეობა ლახამულური კილოკავის ერთ-ერთი ფონეტიკური თავისებურებაა.

ლ—უ-ს ხშირი მონაცვლეობა განსაკუთრებით დამახასიათებელია ლახამულური კილოკავის ხაიშური ქცევისათვის. აქ კნიონბითის საწარმოებელი -ოლ-დ ფორმანტის -ლ- ელემენტი უმთავრესად უ-ს სახით არის წარმოდგენილი:

ლიციუდ (=ლიცილდ) „წყალუკა“ უინღუდ (=უინღლდ) „კრავი“, კერიუდ (=კერილდ) „ტახი“ (ან=კვერილდ) „ჩაქუჩი“, ბიქტიუდ (=ბიქტილდ) „ნიავი“...

-ალ, -ელ დეტერმინანტი სუფიქსი იმავე ხაიშურ თქმაში მეტწილად -არ, -ერ-ით არის მოცემული:

ლხმ.	ეცერ.	
მახ-აუ	მახ-ალ	ცოდნა
ზურ-აუ	ზურ-ალ	ქალი
ლიქაუ-აუ-ნე	ლიქაუ-ალ-ნე	ჰექუაზე შემლევინება
ლიბურს-ეუ-ი	ლიბურს-ელ-ი	წვრილმანების ქურდობა და ა.შ..

ასევე ეპყრობა ლახამულური კილოკავი მრ. რიცხვის -ოლ სუფიქსსაც, ორმელიც -ოუ-ის სახით გვევლინება აქ:

ლხმ.	ჩბბ.	
შარ-ოუ	შარო-ოლ	კაცები
დინ-ოუ	დინ-ოლ	გოგოები, ქალიშვილები
უინ-ოუ	უინ-ოლ	ძერები
წიფრ-ოუ	წიფრ-ოლ	წიფლები
ცხარ-ოუ	ცხარ-ოლ	თელები
ლუქცურ-ოუ	ლუქცურ-ოლ	მოჭრილები
მეჩდ-ოუ	მეჩდ-ოლ	წასულები
ლუმბ-ოუ	ლუმბ-ოლ	გაახალგაზრდავებულები...

-ოუ ენაცვლება ლახამულური კილოკავის ხაიშურ თქმაში თურმეობითებზე გამოყენებულ ენებითობის -ოლ სუფიქსსაც:

ლხმ.	ჩბბ.	
ხახელ-ოუ-ნა	ხახელ-ოლ-ნა	ხვდებოდა თურმე
ხაქმ-ოუ-ნახ	ხაქმ-ოლ-ნახ	ემატებოდათ თურმე
ხაშხ-ოუ-ნა	ხაშხ-ოლ-ნა	ეწვოდა თურმე
ხაქდ-ოუ-ნა	ხაქდ-ოლ-ნა	მოსდიოდა თურმე
ხაშხ-ოუ-ნახ	ხაშხ-ოლ-ნახ	ეწვოდათ თურმე

ხპპრ-ოუ-ნახ	ხპპრ-ოლ-ნახ	ახტებოდნენ თურმე.
ხპისტ-ოუ-ნახ	ხპპისტ-ოლ-ნახ	ესიჭმრებოდათ თურმე
ლუმსგურ-ოუ-ნელიხ	ლუმსგურ-ოლ-ნელიხ	დასხდებოდნენ თურმე...

ისეთი შემთხვევა, რომ ლახამულურს და ჰერიკის დაცული და სხვაგან მის მონაცემები უ იყოს, დიდ იშვიათობას წარმოადგენს. მაგრამ ერთეული შემთხვევები მაინც შეინიშნება. მაგ.:

ლხმ. სხვაგან

ჭალ	ჭალ (ბზ. ი. ნიჟ.) 1. ტალღა, 2. ფუტკრის სენი
ლისარბლ	ლისარბლ (ბზ.) საშორად გამგზავრება.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ადასტურებს იმას, რომ ლახამულურის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს:

1. ფართო ხმოვანთა დავიწროების ძლიერი ტენდენცია,
2. -ილ, -ალ, -ელ, -ოლ სუფიქსებში -ლ თანხმოვნის ნაცვლად -უ-ს გამოყენება.

ხმოვანთა დავიწროება და თანხმოვანთა არტიკულაციის წინ წამოწევა ხელს უწყობს ლახამულურ კილოკავში ნაზალობის დამკვიდრებას.

### III. ნაზალობა ლახამულური

20. მთავარი სხვაობა, რითაც ლახამულური განირჩევა, ლენტეხურის გამოკლებით, მთელი სვანურისაგან, მაინც ხმოვანთა ნაზალობაა. ეს სხვაობა კარგად ჩას. თითქმის ყველა სიტყვის გამოთქმაში, სადაც ნაზალურ თანხმოვნებთან ხშოვნებიც გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი გამოთქმაა: მ' ამბავ ლი „რა აშბავია“.

21. ხმოვანთა ნაზალიზაცია ლახამულურ ში. გარდა იმისა, რომ ფრაზაში მ' ამბავ ლი ნაზალური მ ორჯერ არის განმეორებული, ამ ბევრის გავლენით ნაზალიზებულია ა ხმოვანი. თუმცა ა ხმოვანი სამეტყველო ბევრათა შორის ყველაზე ღია და ფართო ბევრაა. მისი წარმოთქმისას პირის ღრუ ღიაა და ფილტვებიდან ამონადენი ჰაერის ნაკადს სრულიად თავისუფალი და დაბრკოლებელი გზა ეძლევა და, მაშასადამე, დამხმარე რეზონატორის—ცხვირის ღრუს საჭიროებაც და ამდენად ა-ს ნაზალიზებაც გაუმართლებელია. მაგრამ მიუხედავად ამისა ლახამულური კილოკავი ნაზალურ ბევრად აქცევს ა ხმოვანსაც. აღნიშნული დაბრკოლების დასაძლევად ლახამულური ასეთ შემთხვევაში ა ბევრის ლაბიალიზაციას ახდენს, ჰაერნაკადისათვის დაბრკოლებას ქმნის წინა არეში. ნაზალიზებული ა-ს წარმოთქმისას ბაგები მომრგვალდება შეტ-ნაკლებად და უახლოვდება იმ მდგომარეობას, რაც ა-ს წარმოთქმისათვის არის საჭირო, ამდენად დამხმარე რეზონატორის გაჩენა ფიზიოლოგიურად გამართლებული ხდება და ვიღებთ ۱ ხმოვანს, რომელიც ა ხმოვნისაკენ არის საგრძნობლად გადახრილი. ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე ქვემომოყვანილ მაგალითებში:

<sup>1</sup> ნაზალიზებულ ხმოვანს ჩვეულებრივი ხმოვნისაგან გამოსარჩევად თავზე ტალღისებულ ნაში ვუკეთებთ.

ნამშვა	ხორბალი, ნამუშევარი
მალშ წინწილ	მელიის ლეკვი
მანგბრ	მსხვილფეხა საქონელი
მაგვარდ (მაგვარდ) ხარიდ?	როგორ ხარო?
მაგვე ლიზ	როგორც ჩანს
ანღრი	მოდის
დინა ხონქრი მავ?	გოგო თან ახლავს?
მამჭინდ	მეზარებოდა
ბანდარ	გრძელი სკამი
პრიხ მა/ოვა?	არიან?
ნაქვ ჩემნ!	გაიგონე!
ნანგბვ	ცოცხი
ნანგვ	დელულეთი
მანბთ	მანეთი
ნაუ!	ბიჭო!
მანდრენე	ყველაზე ცუდი
ემა/ოვ ჯითრა	თუ იცნობ...

ნაზალური ა ხმოვნის ამგვარი მოდიფიკაცია სვანური ენის. მხოლოდ ლახამულური კილკავისათვის არაა დამახასიათებული. იგი გვხვდება იმ ენებში, სადაც ნაზალიზებული ხმოვნები არის ან იყო წარმოდგენილი. ერთ-ერთ ასეთ ენას წარმოდგენს ძველი სლავური ენა. „История всех славянских языков“ предstawляет указания на существование иносовных гласных в их системе“<sup>1</sup>. ა. მ. სელიშჩევის აზრით, ნაზალიზებული ა ხმოვანი ამასთანავე უთუმდ ლაბიალიზებულიც უნდა იყოს. „У славян северо-западных — у предков поляков, поморян и польянцев — были иносовной гласной лабиализованный а“<sup>2</sup>. მას შემდეგ კი, რაც ა ხმოვანი ლაბიალიზებული ხდება, ამ ხმოვნის ნაზალიზებაც. შესაძლებელია, რადგანაც „в момент произношения гласного лабиальная запавеска опущена; струя воздуха поступает не только в полость рта, но и в полость носа“<sup>3</sup>.

ჩვენი აზრით, რამდენადც უფრო ლაბიალიზებულია ა ხმოვანი, იმდენად უფრო ხელშესახებად იგრძნობა მასში ნაზალიზებული ელფერი.

ასეთი ნაზალიზებული ა ხმოვანი საგრძნობლად გადახრილია თ ხმოვნისაკენ, მაგრამ ჯერ კიდევ თ ხმოვანში არ არის გადახრდილი. ამიტომ ზემომყვანილი მაგალითების ჩაწერისას ხშირად ძნელი გადასაწყვეტი იყო ა-სა-თვის მიმეკა უპირატესობა თუ ო-სათვის (როგორც მაგ.: მ' ამბგვ თუ ბ' ომბგვ „რა ამბავი“, მალბრ თუ მოლბრ, „მელიები“ და სხვ.). მაგრამ არის თითქოს უდავო შემთხვევები, როცა ნაზალური მ, ნ თანხმოვნების მეზობლობაში ა ხმოვანი ლახამულურში ნაზალიზების წყალობით მოდიფიცირებულია თუ ხმოვნად; ასე მაგ..:

ლბ. თ

სხვაგან ა

მანანს; მანრო  
გროდნი პიწილ?მანანს, მანს(ილ) (ეცერ.) საკუთარი სახელი.  
მადან ბიძილ? (ჩბბ.) სად წავიდა ბავშვი?<sup>1</sup> А. М. Селищев, Старославянский язык, Б. I, 1951, გვ. 139.<sup>2</sup> იქვე, გვ. 140.<sup>3</sup> იქვე, გვ. 139.

ხემა მოდე <sup>1</sup>	ხემა. მადე (ჩბხ.)	როგორ არა
გოლმა <sup>1</sup>	გოლმა (ჩბხ.)	არა
ომჩედ ესერ მოვა	ომჩედ ესერ მახა (ჩბხ.)	წავიდათ?
ლაბირ ესერ მულვე	ლაბირ ესერ მულვე მაგვეშ (ჩბხ.)	წერილი ხომ
გოგეშ		არ მაქვსო?
ბროლი ჩონგ	ბროლი ჩონგ (ჩბხ.)	ზღაპრის სახელია.

ა-ს ამგვარი მოდიფიკაცია მხოლოდ ნაზალურ მ, ნ თანხმოვნების გა-  
ულენით შეიძლება აისხას. რომ ამ თანხმოვნებთან მეზობლობა არა, ა ხმოვა-  
ში თ ხმოვნად ვერ გადაიქცეოდა, მით უფრო, რომ თ ხმოვანს ლახამულუ-  
რი კილოკავი საკმაოდ არიდებს თავს<sup>2</sup>.

22. ო-სა და უ-სკენ იხრება ე ხმოვანიც ნაზალიზაციის შემთხვევაში.  
ამტკუ „აქ“ სიტყვაში ე ხმოვნის ნაცვლად ლახამულურში ვხვდებით მის  
ნაზალიზებულ ვარიანტებს ხან ო-სა და ხანც უ-ს სახით (ამტკუ || ამტკუ  
„აქ“). ორივე შემთხვევაში ე ხმოვნის ძლიერი ლაბიალიზებული სახეა წარმო-  
დგენილი. ამასვე ვხედავთ ნემა-ს („არა“) პარალელურად ნუმა-ს ხმარებაშიც  
(ნუმ) აჩე „არ წარვიდე“).

თავის მხრივ ნაზალიზებული თ ხმოვანიც განიცდის შემდგომ დავიწრო-  
ებას და უ ხმოვნისაკენ გადახრას. მაგ.:

გონაბ	→	გუნაბ	ფიქრი, დარღი
მოლაგვაში	→	მულაგვაში	რაღაცას
მორიელი	→	მურიელი	მორიელი
იგნოვნი	→	იგნულნი	„დადგებოდეს იქნება“...

ამგვარად ხმოვანთა ნაზალიზაცია ამ ხმოვანთა დავიწროების თავისებუ-  
რი სახეა. უმლაუტის დროს ა-ს ე-საკენ გადახრასთან გვაქვს საქმე, ნაზალი-  
ზებისას კი იგი თ ხმოვნისაკენ იხრება. რაც შეეხება ო-სა და უ-ს, მათი

<sup>1</sup> მართალია, თ და ა (მოდმა—მადმა და მოდე—მადე) ხმოვნიანი ნაწილაკები თითქო  
შორის ლოგიურ-სინტაქსური ფუნქციით განსხვავდებიან ბალსზემოურსა და ლაშტურში (ო. შა-  
რა ა ძნ ი ძ ე, უარყოფითი ნაწილაკები სევანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I  
ავგ. 325-326), მაგრამ ბალსზემოურში მათ შორის ასეთი დაპირისპირება არ დასტურდება  
ლახამულური კილოკავის მოდმა „არა“ და მოდე „არა“ ეცერულში მადმა და მადე-ს სახით გვე-  
ლონება რაიმე ფუნქციური სხვაობის გარეშე.

<sup>2</sup> ასე მაგ.: ა) თუ უმლაუტის გამომწვევი რაიმე მიზეზი არსებობს, ეს თ ხმოვანი გაუმ-  
ლაუტებულია და მხოლოდ ნაუმლაუტევი, დელაბიალიზებული ე ხმოვანი გვრჩება. ბ) სევანურ  
ენაში როგორც ცნობილია, უ-, ხუ-, გუ- პირის ნიშნები და სახევისოს მაქვევარი -ო- პრევერ-  
ბის -ა- და -ე- ხმოვნითს ელემენტებს იმსგავსებს და ო-ს სახით წარმოგვიდგენს, მაგრამ ლა-  
ხამულური კილოკავი ლენტენური კილოს მსგავსად გაურბის ამ შემთხვევაში ასიმილაციას:  
და ამიტომ საქმე გვაქვს ასეთ კილოკაურ დაპირისპირებასთან:

ლხ. ა

ჩბ. თ

პთვცად	ოთვცად	გავეგზავნე
პთვცანენ	ოთვცანენ	გავცივდი
პხვთხელ	ოხვოხელ	დაგებდე
ეგვდან	ოგვდან	დაგვდო...

ამ მოვლენის მიხედვით ლახამულური კილოკავი ბალსზემოური კილოს მულახურ და  
შესტიურ ქცევებს უდგას გვერდში.

უმლაუტი იძლევა დიფთონგოდურ ზე და უი კომპლექსებს. ლახამალურის მისწრაფება არის ორივე ამ კომპლექსის დელაბილიზაცია, გამარტივება. წყვილბაგისმიერი უ-ს დაკარგვით. ამავე თ და უ ხმოვნების ნაზალიზაცია კომათი ლაბიალური ელემენტის განმტკიცებას მოითხოვს.

ნაზალიზებული ო-ს სიახლოე უ-სთან ზოგადი ფონეტიკური კინონზომიერება ჩანს. ასევე დგას ეს საკითხი სლავურ ენებშიც. „Образование носового гласного заднего ряда не вполне одинаково было в славянских языковых группах в последний доисторический период. В одних из них это был носовой сияльно падающий гласный *Q*“ (ближкий к носовому *U*)<sup>1</sup>.

ნაზალობა ლახამულურში მხოლოდ ხმოვნებისათვის არაა დამახასიათებელი, იგი თანხმოვნებსაც ახასიათებს<sup>2</sup>.

#### IV. რთულ თანხმოვნებთან დაკავშირებული მოვლენები

23. აფრიკატები, ანუ რთული თანხმოვნები — ძურ, ჯრჭართველური ენებისათვის თანაბრად დამახასიათებელ ფონემებს წარმოადგენენ. ამდენად ეს აფრიკატები სვანური ენის ყველა კილოვა და კილოკავშიც დასტურდება.

„აფრიკატი რთული ხშული თანხმოვანია და, საერთოდ მიღებული აზრით, შედგენილია მარტივი ხშულისა და მისი ჰომორგანული ნაპრალოვნისაგან (ანუ სპირანტისაგან); მაგ., აფრიკატი ძ იგულისხმება შედგენილად დ+ზ-საგან, ც—თ+ს-საგან“<sup>3</sup> და ა. შ.

მაგრამ როცა აფრიკატიზაციის შესახებ ვლაპარაკობთ, უმთავრესად მაინც ვგულისხმობთ ამა თუ იმ სპირანტის გადაქცევას აფრიკატად, ისე როგორც დეზაფრიკატიზაცია ნიშნავს აფრიკატის შემადგენელ ელემენტთაგან ხშულის უგულებელყოფასა და სპირანტისათვის უპირატესობის მინიჭებას.

ეს პროცესი — აფრიკატიზაცია და დეზაფრიკატიზაცია — ფონეტიკური ცვალებადობის, ერთი თვისებრიობიდან მეორე თვისებრიობაში გადასვლის შედეგია. ზოგ ენას ერთი მიმართულებით, ვთქვათ, აფრიკატიზაციისაკენ აქვს გეზი ალებული, მეორის ტენდენცია შეიძლება დეზაფრიკატიზაცია იყოს. ასეთივე ორმხრივი მიღრეკილება შეიძლება ერთი ენის კილოებსა და კილოკავებს შორისაც დადასტურდეს. ამის თვალსაჩინო ნიმუშს იძლევა სვანური ენა.

სვანურ ენაში დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები ჭარბობს აფრიკატიზაციისას. სხვაობა ამ ენის კილოებსა და კილოკავებს შორისაც შეინიშნება ამ ხაზით. ასე მაგ., ლახამულურში დეზაფრიკატიზაცია. უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი, ვიდრე სხვა დიალექტებში (ლაშურში, ბალშემოურსა და ლენტებურში). მაგ.:

ძ — ზ

ლბ. ზ

სხვაგან ძ.

კირზ

კირძ || კირძ (ლშხ., ლნტ.) ტყავის ძველა

ქინზ

ქინძ (ლშხ.) ქინძი

<sup>1</sup> А. М. Селищев, Старославянский язык, часть I, 1951, стр. 139.

<sup>2</sup> ჩვენი, ცხვირისმიერობის შესახებ სვანური ენის ლახამულურ კილოკავში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, 1952, გვ. 377—382.

<sup>3</sup> გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 84.

ლიხურზანი	ლიხურძბნი (ლწტ.)	დაგრეხა
კარზილ (ა. მაყ. ლექსიკ.)	ხარძილ (ლშხ.)	ხარისძირა
ლიგზენ	ლიგძენ (ლშხ.)	გაჭიმვა
ლიმზლვე	ლიმძლვე (ბზ.)	დამუწუკება
ყუნზელ	ყურძენ (ლშხ.)	ყურძენი
ლიზბლი	ლიძბლი    ლიძხალი (ბზ., ლშხ.)	პირ- უტყვის გარეკვა, გაძახება
ლიზგრი	ლიძგრი (ქვ. სვან). ღამთავრება	
ლაზჰჰა	ლაზა    ლაზიქა (ლშბ., ბზ.)	საკლავი
ნენზ	ნაძვი (ქართ.), ნუძუ (მეგრ.)	
გნენზ	გნენძ (ჩბს.), ქართ. განძი	
ლერზ	ლერძ (ჩბს.), ქართ. ლერძი	
ანძს ნიშკინ	ანძაზე ჩამოსაკიდები...	

მთელი რიგი შემთხვევებია, როცა ქართულიდან სვანურში სესხების შით შესული სიტყვების % სპირანტი სვანური ენის რიგ კილოებსა და კილოკავებს (განსაკუთრებით ლაშეურსა და ბალსხემოურს) აფრიკატ d-დუქცევიათ, მაგრამ ლახამულურ კილოკავს აქაც უცვლელად დაუცავს იგი მაგ.:

ლხმ. ზ	სხვაგან ძ
ს/ზეწარ	ძეწარ    ძეწარ (ბზ., ლშხ.) ზეწარი
თარგლეზერ	თარიძელ (ლშხ.) მთავარანგელოზი
ზულვა	ძულვა (ბზ.) ზლვა
მალაზა (მეგრ. სასიმინდე)	მალაძია (ბზ.) მალაზია, სასიმინდე
ზლვიდ	ძლვიდ (ბზ.) ზლუდე
როზგ	როძგ (ბზ., ლშხ.) როზგი—რივა(რუს.)

გვხედება მაგალითები, სადაც ც აფრიკატს ლახამულურში თ თანხმოვანი ენაცვლება, მაგ.:

ლხმ. თ	სხვაგან ც
მეკვთოვბლ	მეკვთოვბლ (ჩბს.) მკვნესარი
ლიყულნე	ლიყულნე    ლიყულცნე (ჩბს., ლშხ.) გულამოსკენით ტირილი
ქვითი-ქვითი	ქვიც-ქვიც (ბზ.), ქუცი-ქუცი (ქართ., ლშხ.)...

ზემოწარმოდგენილი მასალის ჩვენებით ლახამულური უპირატესობას ანიჭებს მარტივ თანხმოვნებს.

24. აფრიკატიზაცია. აფრიკატიზაცია ლახამულურისათვის შედარებით ნაკლებ არის დამახასიათებელი, ვიდრე დეზაფრიკატიზაცია, მაგრამ მცირეოდენი ფაქტობრივი მასალა ამ მოვლენის არსებობასაც აღასტურებს. ასე მაგ. ც—ც:

ლხმ. ც	სხვაგან ს
კამიცია	კამისია    კამისია (ჩბს., ბზ.) კომისია
კავკაცია	კავკასია (ჩბს.) კავკასია
რელც	რელს (ბზ., ჩბს.) რელს (რუს.)...

ლახამულურის დამოკიდებულება აფრიკატ ც-სადმი მაინც საგრძნობლად განსხვავდება თითქმის მთელი სვანურისაგან. იგი გაურბის აფრიკატ ც-ს ჭმარებას. ამიტომ არის, რომ ლახამულურის დიდაღ ლექსიურ მასალაში ს სპირანტია დაცული, ზოგან კი აფრიკატ ც-დ არის იგი წარმოდგენილი. მაგ.:

ლხ. ს	სხვაგან ც	
საკსპრ	საკცპრ (ჩბ. 1)	ბერკეტი
ქირს	ქირც (ლშ. 1)	ოსპი
ესნერ	ეცნპრ (ბზ.)	თურმე
ფარსპგ	ფარცაგ (ლშ. 1)	კარგი
ტკისდ	ტკიცდ (ბზ. 328, 1)	მართლა
ლუსმპრ	ლუცმპნ (ბზ.)	ლურსმანი
ვისხვ	ვიცხვ (ფარ.)	უსხი
ტარეს	ტაროც (ლშ. 1)	ტაროსი
ხოსერპრ	ხოცრპრ (ფარ.)	სოფლის სახელია და ა. შ.

ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე ჟ—ჟ თანხმოვნებთან დაკავშირებით. ლახამულური მარტივ ჟ-ს აძლევს უპირატესობას აფრიკატ ჟ-ს წინაშე. მაგ.:

ლხ. ჟ	სხვაგან ჟ	
ბერეჟ	ბერეჟ (უშგ., ბეჩ.)	რკინა
ლითურჟინე	ლითურჟინე (ჩბ. 1)	მთელი სიმძიმით დაწოლა
ყვიჯბპრ	ყვიჯბპრ    ყვიჯბპრ (ბზ.)	ჯელღი
ლიქაჟე	ლიქპრჟე (ლშ. 1)	გასულელება
აუჟენდ	პანჟენდ (ჩბ. 1)	უზანგი

დ+ს — თს, როგორც ცნობილია, იძლევა ც-ს. ამის კარგი ნიმუშია ლახამულურში ფაც შ „მდევრისა“ (შვანც შ ფაც შ მუთუმინე „სვანეთის მდევარი ჯარის დამჩერებელი“). იგი მიღებულია ფორმისაგან ფადასპშ, მაგრამ დ-ს მომდევნო ა ხმოვნის რედუქციის შემდეგ უშუალოდ მეზობლობაში მოვეღდილი დს — თს და შერწყმის ნიაღაგზე ც-ს იძლევა. ამგვარადვე არის ც მიღებული ბალსზემოურის ზმნებში ბპც, ჟპც (—\*ხათს—\*იალს— სადეს; \*ჟათს — \*ჯაშლს—\*ჯადეს) „ჰერნდეს, გერნდეს“ და სხვ.

საერთოდ, უკანანისმიერების აფრიკატიზაცია ნაკლებად ახასიათებს ლახამულურს, მაგრამ კ-ს გადაქცევა აფრიკატ ჭ-დ ხშირია:

ლხ. ჭ	სხვაგან ჭ	
ლიჭლპი	ლილპვი (ბზ.)	ჩაძირვა
ფხირჭა	ფხირკვბ/ახ (ბზ., ლშ. 1)	თხარია, ქექია
ლიჭუჭე	ლიჭკნე (ლშ. 1)	დაჭკნობა და სხვ.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ქართული კაცი სვანურში არის ჭ-შ, მიღებული პირველი თანხმოვნის აფრიკატიზაციის გზით.

ამგვარად, რთული თანხმოვნების თავისებურებათა შესახებ ლახამულურ-ში შეიძლება დავასკვნათ: დეზაფრიკატიზაცია საერთოდ მთელი სვანურო ენის დამახასიათებელი მოვლენაა, მაგრამ ეს მოვლენა ყველაზე რელიეფურად ლახამულურშია წარმოდგენილი.

#### V. ასივილაცია და დისიმილაცია დახაშულურ კილოკაზში

25. ას ი მ ი ლ ა ც ი ა ქართველური ენებიდან განსაკუთრებით გავრცელებულია ქართულსა და ზანურ ენებში<sup>1</sup>. კილოებისა და კილოკავების მონაცე-შების მიხედვით სვანური ენა ასიმილაციის მხრივაც არ ემიჯნება ქართველურ ენებს.

ასიმილაცია ლახამულურ მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. ამ კილოკავის მონაცემებს კორექტივი შეაქვთ სვანური ენის ასიმილაციის შესახებ წამოყენებულ დებულებაში, რომლის თანახმადაც თითქოს „სვანურს... სახმო სიმების მოქმედების მიმსგავსების მიხედვით (ე. ი. მელერობა-სიყრუის მიხედვით) ასიმილაცია არ სჩვევია“<sup>2</sup>. ასიმილაცია მელერობა-სიყრუის მიხედვით ფართოდა წარმოდგენილი ლახამულურ კილოკავში. იგი უმთავრესად დამახასიათებელია უშუალო მეზობლობაში მყოფი ბერებისათვის, ამასთან ძირითადად რეგრესულია და თანაც ნაწილობრივი.

26. ლახამულურ კილოკავში დიდი რაოდენობით დასტურდება ყრუთა მეზობლობაში მყოფი მელერი თანხმოვნის რეგრესული ასიმილაციური დაყრუება. თითქმის აუცილებელი ხდება ამგვარი დაყრუება, თუ მელერი მოქცეულია ორ ყრუ თანხმოვანს შორის<sup>3</sup>. ასე მაგალითად: ჩუბეხეურში გვაქვს: ლის-დიკტლ „წყენა“ მაგრამ ლახამულურში -ი- ხმოვნის რედუქციის შემდეგ ს, კ ყრუ თანხმოვნებს შორის მოქცეული მელერი თანხმოვანი და ყრუება და ასიმილაციონი კ მევეთრის ელფერს იღებს, თვითონაც ყრუ მევეთრ თანხმოვნად იქცევა: ლისისტკე „წყენა“ ოთსის ტკა „უწყენა, უარი უთქვამს“ და სხვ. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ლახამულურში ქვემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვითაც:

ნაშთქ (ლხმ.) ← ნაშლთქ (ბზ.) ნამგალი  
ლშშთხი (ლხმ.) → ლშშდიხ (ჩბხ.) სათხილე...

მაგრამ მელერთა ასიმილაციური დაყრუება მხოლოდ ყრუ ბერებითა შორის მოქცევისას როდია შესაძლებელი ლახამულურისათვის, საკმარისია მელერ თანხმოვანს უშუალოდ ყრუ ბერება მოჰყვეს, რომ რეგრესულმა ასიმილაციამ იჩინოს თავი<sup>4</sup>. მაგ.: სვანური დვაშ „ჯიხვი“ სახელისაგან ნაწარმოები მულებირ (ჩბხ.) ლახამულურში მუხ ხ ჭვირ-ის სახით არის წარმოდგენილი. ყრუ ფშვინვიერმა ჭ-მ დაიმსგავსა მელერი ლ და ს-დ აქცია: მუხშირ

<sup>1</sup> ამის შესახებ ი. ყიფში ძირის ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, ტ. I, გვ. 1—8.

<sup>2</sup> ს. უღენტი ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, გვ. 159.

<sup>3</sup> ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში: მიმომხილველი I, 1926, გვ. 205.

<sup>4</sup> ამასვე უჭრეს მხარს ლენტეხურიც: ასზრი (—ესლრი) „მიდის“ ეჭვბლიბ (—უკაბლიბ) „ისეთი“... ვ. ც უ მ ბ უ რ ი დ ვ ე, ფონეტические особенности лентхского диалекта сванского языка (автореферат), გვ. 6.

ლაჯანიდ შიბემა (სვან. პოეზია, 158,8. ლახამულური მასალა) „ახალგაზრდა ჯიხვი სახნავად ულელში შემიბამს“; დაწვი რ „და“ სახელისაგან მრ. რ. ლა-სამულურში მხოლოდ ამ სახით გვხვდება:

ლაჩჩურა (—ლადჩურა: ბზ.) „დები“. მსგავსი მოვლენაა ამ მაგალი-თებშიც:

ლხ.	სხვაგან
ლიჩური	ლიჯური (ჩბხ.)
ლიტკლებ	ლიდაჟლებე (ლნტ.)
დეთფალ	ლედფალ (ჩბხ.)

ჭ-სთან მეზობლობაში დ-ონი უთუოდ ფშვინვიერდება ლახამულურში:

ლხ.	სხვაგან
ლითქი	ლიდქი (ლშხ.)
ლიზქიშრი	ლიზდექარ (ლშხ.)
ლათქელ	ლადქელ (ჩბხ.)

ასევე მტკიცედ არის გატარებული ლახამულურში ამგვარი ასიმილაცია სხევა ყრუ თანხმოვნებთანაც:

ლხ.	სხვაგან
ხაშხა (ბზ.-შიც)	ხაჟხა (ჩბხ.)
ლიჭენე	ლიჯენე (ჩბხ.)
იშკვი	იუკვი (ჩბხ.).
ეჭებლიბ	ეჯებლიბ (ჩბხ.)
ღურთხოვ	ღურდხოვ (ჩბხ.)

ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება ლაფ სყალდ მიღებული უნდა იყოს ლაბას ყალდისაგან („მარწყვეთი“) (შდრ. ბასყ „მარწყვი“). თუ ეს სწორია, მაშინ, ლაფ სყალდ-ში ფ თანხმოვანი ასიმილაციური გაფშვინვიერების შედეგი იქნება ბ მცლერისაგან.

შეიძლება ითქვას, რომ ასიმილაციის ეს სახე მარტო ლახამულურს არ ახასიათებს, იგი მოდებულია მთელ სვანურში.

მაგ:

ჯოჩერთ	ჯოჩერთ (ბზ., ბქ.)	ჯოჯოხეთი
ლიფცხენე	(ჩბხ.)	პკურება (შდრ. ბიფხ. ნამი)
საფტინ	(ბზ., ლშხ.)	საბატონო (მეგრ.) შაბათი...

მცლერთა რეგრესულ ასიმილაციურ დაყრუებას იწვევს მრ. რიცხვის საწარმოებელი ს სუფიქსი ზმნებში:

მხ. რ. მრ. რ.

აფიშვდ	გაუშვა	აფიშვთხ	გაუშვეს
ქ'ოხცედ	გამოუცვალა	ქ'ოხცთხ	გამოუცვალეს

ანებდ მოვიღა	ანებთხ	მოვიღნენ
ათქებდ ააცილა	ათქებთხ	ააცილეს, ააცდინეს
აჩად წავიღა	აჩათხ	წავიღნენ...

დროისა და ადგილის გარემოების აღმნიშვნელი ზმნისართების ერთი რიგი შეიცავს ეჯი „ის“ ნაცვალსახელს, რომლის ჯე იცვლება ჩ-დ მომდევნო ყრუ თანმოვნების გავლენით (ეჩქას—\*ეჯას „მაშინ“ ეჩხენ—\*ეჯხენ „იქიდან“ ასეა ნაცვალსახელებთანაც: ეჩშელდ—ეჯშელდ „იმდენი“ და სხვ.).

ასიმილაცია ჩვეულებრივია, ოოცა—ს ენ—„ენ“ თანდებული დაერთვის ზედსართავი სახელების ჩვიბე, ჩვბე „ქედა“, ჟიბე, ჟბე „ზედა“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: ჟფშხენ „ზემოდან“, ჩვპფშხენ „ქვემოდან“, ჟიფშხენ „ზევიდან“, ჩვიფშხენ „ქვევიდან“. ან კიდევ ეს ნათესაობითი მრავლობით რიცხვშია: ჩვიფშხენ (← ჩვიბშრ ჩბხ.) „ქვემოურები“ ჟიფშხენ (← ჟიბშრ ჩბხ.) „ზემოურები“...

ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა ლახამულურში წარმოდგენილი ასიმილაციური დაკარგვის შემთხვევებიც. აქ დასტურდება როგორც ფშვინვიერთა, ასევე მულერთა ასიმილაციური დაკარგვა ორივე მიმართულებისა—რეგრესულიც და პროგრესულიც.

ა) ფშვინვიერთა რეგრესულ-ასიმილაციური დაკარგვის ნიმუშებია ლახამულურში:

ლოპოდა (← ლოპიოდა — ლოხპოდა)	მიუცია
ოპერა (← ოპერა — ოპერა)	დაუბარებია
ექანლვე (← ეჩქანლვე — ეჯქანლვე)	მას შემდეგ...

ბ) მულერთა რეგრესულ-ასიმილაციური დაკარგვის შემთხვევები ლახამულურ კილოკავში:

ნებოს (ლხმ.) ← ნებოსს — ნებოზს (ჩბხ.)	საღამოს
ეგვარ (← ეჯვარ)	ისეთი
კანდა (← *კანანდა — კალანდა <sup>1)</sup> )	ახალი წელი...

უკანასკნელ მაგალითში მთელი მარცვალია ამოლებული. ვფიქრობთ, ესეც რეგრესულ-ასიმილაციური დაკარგვის შედეგია.

27. ყურადღებას იქცრობს შდ- ზმნისწინის თანხმოვნითი -დ- ელემენტის შედი. იგი გარკვეულ პირობებში თ-დ არის დაყრუებული. მისი თ-დ ქცევის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სპეციალურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშვნულია S<sub>2</sub> და O<sub>2</sub> პირის ჸ პრეფიქსის დაკარგვა შდ- ზმნისწინის შემდეგ. ჸ „ად“ თან თვით იკარგება, მაგრამ არა უკვალოდ, არამედ მეზობელ დ’ონს აფშვინვიერებს, თ’ ანად აქცევს და თვითონ ამ თ’ ანის ფშვინვიერებაშია მიჩქმალული: ადჸ—ათ“<sup>2</sup>.

ასევე ეს ლახამულურშიც: ჸ თვკ ჸ-რ ქ „ვიშოვე“, ოთბუჭკვირ „გავხლი-ჩე“. ეს მოვლენაც ასიმილაციური ხასიათისაა, მაგრამ ასევე ნათელი და გასაგები არ არის ერთპირიანი ზმნებისა და პირდაპირი დამატების მქონე ორ-პირიანი ზმნების მესამე პირში შდ- ზმნისწინის -დ-ს დაყრუება.

ერთპირიანებთან: ლხმ. ქ პთქინებ—ჩბხ. ქ ადქინებ „გაირბინეს“, ლხმ. პთქაჯუნ—ჩბხ. პთქაჯუნ „გადაირია“.

<sup>1</sup> გურულ კილოსა და მეგრულშია დაცული ამ ფორმით,

<sup>2</sup> ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არის, გვ. 182.

ორპირიანებთან: სგ, პოვერნე ლხმ.—სგ' პდერნე ჩბხ. „შეიყვანა მან ის“, ჩეათპექვნე ლხმ. —ჩეადპექვნე ჩბხ. „დამალა მან ის“.

ამ მაგალითებში დ-ს თ-დ დაყრუების მიზეზად იგივე ფაქტორი არ მიიჩნევა, რადგანაც ჰ პრეფიქსი არ ივარაუდება. აქ ასიმილატორის როლს უნდა ასრულებდეს ჰდ ზმინისწინის უშუალო მეზობლობაში მყოფი მომდევნო ყრუ თანხმოვანი. რომ ეს ასეა, ამას ქვემომოყვანილი მაგალითები ადასტურებს.

28. ჰდ- ზმინისწინის -დ- ელემენტი „ზოგჯერ ზმინის თავკიდურ ყრუ თანხმოვანს ემსგავსება და ფ-დ იქცევა: ლხმ. ა ტყი მე „დაახრჩო“, ჭ' ა ტკვპ „გააგდო“<sup>1</sup>. დ ელემენტის ამნაირი ასიმილაცია ლახამულურში მხოლოდ ორ (ჭ, ყ) მკვეთრების წინ არის დადასტურებული:

ჩეატკარე (—ჩეადკარე ჩბხ.) გააღ  
მაგეშ პტყერნივი (—პთ/პდერნივ) რა მოუვიდოდა?  
ატკუპურებ (— ადკუპურებ ჩბხ.) გამოსცადეს  
ატყალვე (— ადყალვე. ჩბხ.) შეაშინა და სხვ.

29. ა სიმილაცია წარმოების ადგილის მიხედვით. ლახამულურ კილოკაგში ხშირია თანხმოვანთა ასიმილაცია წარმოების ადგილის მიხედვით.

ა) ზმათა ბოლოკიდურ ჰ-ს იმსგავსებს გრ. რიცხვის ს სუფიქსი, რაც წარმოადგენს სრული ორგრესული ასიმილაციის ნიმუშს წარმოების ადგილის მიხედვით ლახამულურ კილოკაგში:

პტკვიჩხ (—პდ-კვიშ-ხ) გაიგეს,  
ჩეპზიხხ (—ჩეპზიშ-ხ) დაკლეს,  
იგეპხ (— იგეპ-ხ) ჰუქვავენ...

ასევე იმსგავსებს ეს- ზმინისწინის ს ელემენტს ზმინის ფუძისეული შ თანხმოვანი:

ეშშვებ (—ეს-შვებ) დაუსტვინა,  
ეშშიდ (—ეს-შიდ) მიაყარა,  
ეშშყაღ (— ეს-შყაღ) დაუვარდა...

ეს- ზმინისწინის -ს- ელემენტი შიშინა თანხმოვნების წინაც ჰდ იქცევა ლახამულურში:

ე'ეშშენ (—ე'ოსშენ ჩბხ.) დაბრუნდა  
ეშშამ (—ესშამ ჩბხ.) მიჰყვა  
ეშშყილ (— ესშყილ) დასჟუვლა...

ბ) ძალიან გავრცელებულია უშუალო მეზობლობაში შეოთხევით თანხმოვანთა ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია წარმოების ადგილის მიხედვით.

1) ბაგისმიერები იმსგავსებენ ნ თანხმოვანს ლახამულურში:

უშბულიდ (—უნბილდ ბზ.) უნებურად  
ლიმბე (—ლინებე ლნტ.) ლიმბე (უშგ.) დანებება  
ლიმბანი (—ლინბანე ჩბხ.) დაფიცება (შდრ. ნაბან „ფიცი“)  
ლიმბეზი (—ლინებოზი ლნტ.) შემოლამება (შდრ. ნებოზ „სალამო“)...

<sup>1</sup> 3. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 18.

2) ფუძისეული ს თანხმოვანი შეიძლება დაემსგავსოს მეზობელ შიშინა ბგერებს:

ლიშჩებრი (—ლისაჩქებრი ლწტ.) დასაჩუქრება  
ლიშხჯები (—ლისხჯები ჩბ.) სინჯვა

3) შიშინა თანხმოვნებს სხვა თანხმოვნებიც შეიძლება დაემსგავსოს:

ლაჯჩურა || ლაჩჩურა (—\*ლადაჩურა „დები“, შდრ. დაჩურ „და“)  
გგნჭმიშ (—გგნჭმიშ ჩბ.) აშალ „ტირიფის შტო“...

4) თავის მხრივ სისინა თანხმოვნებმაც შეიძლება დაიმსგავსონ შიშინა თანხმოვნები:

ეძუ (—ეჯზუ ჩბ.) „იმდენი“, ასწვამ (—აშვწამ—აშვ  
წამს ჩბ.) „ერთ წამს“.

30. ლახამულურში დასტურდება სრული პროგრესული დისტანციური ასიმილაციის ისეთი შემთხვევებიც, როცა ლ იმსგავსებს რ-ს და ვილებთ ორ-ლ-ს, ან რ იმსგავსებს ლ-ს და ვილებთ აგრეთვე ორ რ-ს (ლხმ. ქურმირ—ჩბ. ქურმილ—ქართ. გრდემლი...)

სხვა ქართველურ ენებში არის მსგავსი მოვლენა არ გვხვდება. პირიქით, იქ ნარნარა თანხმოვნების დისიმილაცია გვაქვს. მართალია, ორი რ-დან ერთ-ერთს (უფრო მოძღვნოს) ლ-ასად აქცევს სკანური ენის ბალსზემოური ლაშ-ხური დიალექტებიც. მაგრამ ლახამულური კილოევი ამგვარ დისიმილაცია არ იცნობს. აქ „არის შემთხვევები, როდესაც სიტყვის ფუძეში დაცულია სამი რ: მაგ.: ლხმ. ლამგარ შრ ნიშნავს დიდრონი ხების მოსაჭრელი, თავ-მოსაყრელი რამე, მრავლობითში იქნება: ლამგარ რარ შრ. ამ რიგის მაგა-ლითებია:

ლანწყერარბ (ლხმ., ჩბ.) კუჭრუტანების ამოსაესები  
ლალარურბ (ლხმ.) (ფიცარზე) ლარის გასაკეთებელი რამე  
ლაჯირგარბ (ლხმ., ჩბ.) სათელავი რამეები<sup>1</sup>...

საქნე მხოლოდ იმით კი არ ამოიწურება, რომ ლახამულურს ადვილად შეუძლია ერთ სიტყვაში ორი და მეტი რ თანხმოვნის შენარჩუნება, არაბედ საყრდენებო ის არის, რომ ერთსა და იმავე სიტყვაში რ თანხმოვანს შეუძლია ლ თანხმოვნის მიმსგავსება რ-დ. პროგრესულის გვერდით ამგვარი ასი-მილაცია რეგრესულიც შეიძლება იყოს. მაგ.:

მენდრბრ (ლხმ.)—მენდრბრ (ჩბ.) მედლები  
ლექთურარბ (ლხმ., ფარ.)—ლექთულარბ (ჩბ.) მუხლსათბურებია (შდრ. ქუთულ მუხლი)...

როგორც ვხედავთ, ზოგჯერ ერთი და იმავე ფონეტიკური მოვლენისად-მი პირდაპირ საჭინაალმდეგო დამოკიდებულება შეიძლება გამოიჩინონ არა. მხოლოდ მონათესავე ენებშია, არამედ ერთი და იმავე ენის დიალექტებმაც: კი. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა სწორედ რ+რ-სა და ლ+ლ თანხმოვნები—სადმი დამოკიდებულებაა სკანურსა და სხვა ქართველურ ენებში. ლახამუ-

<sup>1</sup> ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძროითადი საკითხები, გვ. 165.

ლურს აშ საქითხში რადიკალურად განსხვავებული პოზიცია უჭირავს როვორც სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, ასევე სვანური ენის ბალ-შემოურ და ლაშეურ დიალექტებთან შედარებითაც.

31. ა ს ი მ ი ლ ა ც ი უ რ ი ნ ა ზ ა ლ ი ზ ა ც ი ა. ფუძისეულ ნაზალურ თან-ხმოვნებს უნარი აქვთ დაიმსგავსონ ლ თანხმოვანი:

ნამპბრ (ლხმ.)—ლამპარი

ნაცხნირ || ლაცხნირ (ლხმ.)—ლაცხნირ (ჩხ.) სავარცხელი

ნანკვრი (ლხმ.)—ლანკვრი (ჩხ.) ძირი, ფსკერი

ნენცელ (ლხმ.)—ლენცელ (ბზ., ლშ.) ხემსი

ნანგული (ლხმ.)—ლანგვლი (ბზ.), ლენგვლი (ლშ.)

ნაკელის გადასაყრელი სარკმელი,

ნანგშვ (ლხმ.)—ლანგშვ/ევ (ბზ., ლშ.) ცოცხი

ნანგ (ლხმ.)—ლანგ (ჩხ.) დედულეთი

ნენკირ (ლხმ.)—ლენკირ (ჩხ.) ალატი, ალა

ნინთვლისგა (ლხმ.)—ლინთვისგა (ჩხ.) ზამთარში...

ამგვარი ასიმილაცია, როგორც მაგალითებიდანაც. ჩანს, უმთავრესად დამახასიათებელია ლახამულური კილოკავისათვის. გარდა იმისა, რომ აქ რეგრესული ხასიათის სრული დისტანციური ასიმილაცია გვაქვს, ორ ნ თან-ხმოვანს შორის მოქცეული ხმოვანიც ნაზალიზებულია.

32. ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა ხ მ ო ვ ნ ე ბ თ ა ნ. ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის ერთ მეტად თავისებურ ფონეტიკურ მოვლენას, როგორც უკვე ვნახეთ, უმღაუტი წარმოადგენს. მაგრამ აქ ივარაუდება განხილვა ხმოვანთა დამს-ვავსების მხოლოდ იმ სახისა, რომელიც ქართულისა და ზანურის ხმოვანთა ასიმილაციის მსგავსად მიმდინარეობს სვანურ ენაშიც.

როგორც ცნობილია, S<sub>1</sub>-ჲ- პრეფიქსის სვანურში (ლენტეხურის გამოკლებით) წინდებულთა ჲ, ე ხმოვნებს იმსგავსებს და ა-დ აქცევს<sup>1</sup>. ასეთსავე ვაკლენას აბდენს პრევერბისეული ჲ- და ე- ხმოვნებზე O; გჲ- პრეფიქსის -ჲ- ელემენტიცა და სასხვისოს მაქცევარი თ (და აგრეთვე ფუძისეული თ ხმოვანიც).

ჲთვიგ →ოთიგ „დავიდგი“, ჲხვმარენ→ოხვმარენ

„მოვემზადე“, ჲ-ჲგრტიხა→ ე-ოგვტიხა „ამოგვიბრუნებია“...

მაგრამ ამ პირობებში ზმნისწინისეული .-ჲ- ხმოვნის ასიმილაციისადმი უამოკიდებულების მხრივ ლახამულური კილოკავი ძირფესვიანად განსხვავდება როგორც ეცერული კილოკავისაგან, ისე ლაშეურისა და ნაწილობრივ ბალსზემოურისაგანაც. ეცერულ კილოკავსა და ლაშეურ (ნაწილობრივ ბალსზემოურ) დიალექტშიც პირის პრეფიქსისეული -ჲ- ელემენტი და -ო- მაქცევარი ზმნისწინისეული -ჲ- ხმოვნით ელემენტის დამსგავსების შემდეგ თვითონ იყარებიან. ლახამულურში ამგვარი მოვლენა იშვიათობას წარმოადგენს. ლახამულურმა თითქვის არ იცის პრევერბისეული ხმოვნების (-ჲ-სა და -ე-ს) ასიმილაცია. ამ მხრივ ლახამულური კილოკავი ლენტეხურ (და ნაწილობრივ ბალსზემოურ) დიალექტს უდგას გვერდში. აი, როგორ უპირისპირდება ლახამულური კილოკავი ეცერული კილოკავის ჩუბეხეურ ქცევას:

<sup>1</sup> გ. თ ა ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 11—12.

ლხშ.	ჩჩხ.	
ჰთუქერქ	ოთკერქ	ვიშოვე
ჰთვცხანებ	ოთცხანენ	გავცივდი
ქ'ჲთვეჭმ	ქ'ოთეჭმ	გავყვით
ქ'ჲლიყედ	ქ'ოლიყედ	ამოვიყვანოს
ჰლბინად	ოლბინად	დავიწყოთ
ლხხესგი	ლოხხესგი	შევხედე
ჰხეისყ	ოხეისყ	გავიქოო
ჰხეთიშდ	ოხეთიშდ	ავირჩიეთ
ჰხეტყაბ	ოხეტყაბ	შევიწვი
ქ'ჲხვმარ	ქ'ოხვმარ	მოვიმზადე და ა. შ.

სამაგიეროდ უუმილაუტიო პრევერბისეულ -ა-ს პირისეული -ჭ- ლახამულურშიც იმსგავსება:

ოდაგრ ( $\leftarrow$ \*ოდვაგრ) „მოვკალი“, ოტვებ ( $\leftarrow$ ლნტ. ოტვებ)  
„დავბრუნდი“, ოცხირ ( $\leftarrow$ აცხირ) „შევიტყე“...

33. ამგვარად, ლახამულურ კილოკავში ასიმილაციის ყველა სახე დასტურდება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სეანური ენის ლახამულური კილოკავისათვის ერთი აქტიურად დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენა არის ასიმილაცია „სახმო სიმების მოქმედების შიმსგავსების მიხედვით“, ასიმილაცია მელერობა-სიყრუის მიხედვით. იმასვე ადასტურებს ლენტებური დაილექტის მონაცემებიც. ამ დიალექტის ფონეტიკურ თავისებურებათა ანალიზისას ზ. ჭუმბურიძეს წამოყენებული აქვს ასეთი დებულება: ლენტებურში „ре- ლეფно представлени пропессы ассимиляции и диссимиляции как по месту, так и по способу артикуляции“<sup>1</sup>.

34. დისიმილაციური მოვლენებით ისე მდიდარი არ არის სეანური ენა, როგორც ასიმილაციით. განსაკუთრებით ეს ითქმის ლახამულური კილოკავის შესახებ. როგორც ცნობილია, ლაშხურსა და ლენტებურში ორი რ-საგან ერთ-ერთი, უფრო კი მომდევნო რ, განიმსგავსება ლ-დასეთივე ტენდენცია ახასიათებს ბალსზემოურსაც<sup>2</sup>. რაც შეეხება ბალსქვემოურს და განსაკუთრებით კი ამ დიალექტის ლახამულურ კილოკავს, აქ ორი და მეტი რ-ს შეხვედრა ერთსა და იმავე სიტყვაში ასატანია. რ+რ კომპლექსი დისიმილაციას არ განიცდის ბალსქვემოურის მეტწილ ქცევა-თქმებში. ეს არის ერთი ხელშესახები სადემარკაციო ხაზი ბალსქვემოურსა და ქვემოსვანურ—ბალსზემოურის დიალექტებს შორის.

ლახამულურისათვის ჩვეულებრივია ამგვარი შემთხვევები:

ქორ	სახლი	ქორ-ბრ	სახლები
ყორ	ყარი	ყორ-ბრ	ყარები
ბბრ	ბარი	ბარ-ბრ	ბარები

<sup>1</sup> З. Чумбуридзе, фонетические особенности лентхского диалекта сванского языка (Автореферат), Гვ. 6.

<sup>2</sup> ს. უღენტი, სეანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, Гვ. 164.

კერ  
1. ჩაქუჩი  
2. ტახი

კერ-ტრ  
1. ჩაქუჩები 2. ტახები...

ერთ წყება არსებით სახელებთან ფუძისეული რ გაუჩინარებულია შხოლობით რიცხვში, მაგრამ იგი გამოვლინდება ხოლმე მრ. რიცხვის საწარმოებელი -ტრ სუფიქსის დართვისას და ამგვარად, ორი რ თანხმოვანი გვევლინება დისიმილაციის გარეშე:

მს. რიცხვი

მრ. რიცხვი

ცხა	ფრჩხილი	ცხა-რ-ტრ	ფრჩხილები
შლიმ	ყური	შლემ-რ-ტრ	ყურები
ქიმ	ცრემლი	ქშმ-რ-ტრ	ცრემლები
თე	თვალი	თე-რ-ტრ	თვალები
შდა	ტარო	შდა-რ-ტრ	ტაროები
კა	ფიქალი	კა-რ-ტრ	ფიქლები...

ლახამულური თავს არიდებს ხშულთა რეგრესულ-დისიმილაციურ გამჭლერებას. იგი ხშულ ყრუ იდენტურ თანხმოვნებს ადვილად იტანს ერთად და ამით თითქმის მთელ სვანურს უპირისპირდება, ასე მაგალითად:

ლხ.

ბზ., ლშხ.

კაქ	გაქ	ნიგოზი, კაქალი
პაპ (ლიპაპ)	ბაპ (ლიბაპ)	მღვდელი (მღვდლობა)
ჭაჭაპირ	ჯაჭებ/არ	წელი (შეღ. ჭაჭები)
ტხტ	დუტ	ტუტა, ნაცარი
პირწამბლ	ბირწამბლ    ბირწამალ	პირის წამალი...

სამაგიეროდ თითქმის მთელ სვანურში სრულ იდენტობასთან გვაქვს საქმე (ლენტეხურის ნაწილობრივი გამოკლებით) ხშულთა პროგრესული დისიმილაციის შერივ:

ლხ. (და თითქმის  
მთელი სვანურიც)

ქართული

სგელ	სქელი
ლაშვიტრ	ლაშქარი
ტაშლ	ტაშტი
შვერი	შქერი...

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ლახამულურმა არ იცის რ+რ და საერთოდ ნარნარა თანხმოვანთა დისიმილაცია, იგი არ ახდენს არც ხშულთა რეგრესულ-დისიმილაციურ გამჭლერებას, მაგრამ ამავე ხშულთა პროგრესული დისიმილაცია მისთვისაც ნიშანდობლივი ფონეტიკური მოვლენაა.

## VI. მეტათეზისი

35. მეტათეზისი უმთავრესად დამახასიათებელია ნარნარა რ, ლ, ნაზალურ მ, ნ და უმარცვლო უ-ნისათვის. ამ გარემოებას აღნიშნული თანხმოვნების ჭარბი სონორობით ხსნიან ზოგად ფონეტიკაში<sup>1</sup>.

დისტანციური მეტათეზისის ნიმუშებია:

ბლენ (ლხმ.)	ბნელი (ქართ.)
გრიმ (ლხმ.)	გმირ (ჩბ.) გმირი
მანცა თოფარე (ლხმ.)	ნამცა თოფარე (ჩბ.) ნამცა თოფები...

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციური მეტათეზისი ლახამულური კილოკავისათვის სვანური ენის სხვა დიალექტებთან შედარებით ნაკლებ არის დამახასიათებელი. ამით აიხსნება, რომ ძალიან ხშირად სხვაგან მეტათეზისიანი სიტყვა ლახამულურში ამოსავალი ფორმით არის დაცული. მაგ.:

ლარიშ ქიპ (ლხმ.) — რალიშ ქიპ (ფარ.) — ლარის ძაფი  
ლილანჩე (ლხმ.) — ლინალჩე (ჩბ.) ფეხსაცმლის ძირის (ლანჩი-ის) გამოკერვა  
ხოლერა (ლხმ.) — ხორხელად (ლშხ.) — ხოლერა  
ლინგრგვი (ლხმ.) — ლირწვევი (ბზ.) დანერგვა (შდრ. ნერგი)  
ლიცლერე (ლხმ.) — ლიცრელე (ჩბ.) ხევა (ლხმ.)  
თელლერა (ლხმ.) — თერლლა (ლშხ.) რძალი  
ლიყლურე (ლხმ.) — ლიყრულე (ჩბ.) ულლიდან ხარების გამოშვება, ერთ-შანეთის დაშორება (შდრ. ყვილ „ცალი“)...

36. კონტაქტური მეტათეზისის შემთხვევები გვაქვს ლახამულურის ქვე-შომოყვანილ მაგალითებში:

ლეთხურმაშ (ლხმ.) — ლეთხურმაშ (ჩბ.) სასთუმალი (შდრ. თხჭმ თავი)

ხეშლმი (ლხმ.) — ხეშმლი (ჩბ.) გეოგრ. სახელია...

სიტყვაში რედუქციის შედეგად თავმოყრილი თანხმოვნები ხშირად ად-ჟილ. იცვლიან. მაგ.:

ალმას ალმასი	ალსმიშ (ლხმ.) ალმასისა
კალმას კალმახი	კალხმაშ (ლხმ.) კალმახები
ყალბეჭ მსუბუქი ქცევის ქალი	ყალყმაშ (ლხმ.) მსუბუქი ქცევის ქალები
დიასახლ (ლშხ.)	დიხსახლ (ლხმ.) დიასახლისი და ა. შ.

37. ფართოდ არის გავრცელებული. ნ, რ ან ლ-ს ადგილის გადანაც-ვლება, რაც მარტივი მეტათეზისის შემთხვევებს მიეკუთვნება. მაგ.:

ხლინ (ლხმ.) „ლხინი“ (ქართ.), გვრბლ (ლხმ.) „მრგვალი“ (ქართ.), სიბრისტო (ლხმ.) სილიბისტრო (საკ. სახელი), კვინტაცია — კვი-თანცია (რუს.)...

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. გ. ახვლედიანის ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 204.

<sup>2</sup> მხოლოდ ლენტენურსა და ლაშენურშია შემონახული ამოსაკალი კალმხარ „ფევზები“.

38. დაუდეგარი ბუნებისაა უ ბგერა საერთოდ სვანურ ენაში, რაც მის ხშირ გადასმ-გადმოსმაში გამოიხატება. ამ მოვლენას ინტენსიური ხასიათი აქვს ლახამულურ კილოკავშიც. მაგ.:

ასწერმს (— აშვერმს — აშვერ წამს: ჩბ. ერთ წამს  
ქ/ხევლან (ლბ.)— ხელოვანი (ქართ.)...  
ლიწსუდანი (ლბ.) ლიწსუდანი (ჩბ.) წუწუნა...

39. ნარნარა და ნაზალური თანხმოვნების მეტათეზისით სვანური ენის ლახამულური კილოკავი იმეორებს სხვა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი მეტათეზისის წესებს, უ-ს მეტათეზისით კი რამდენადმე ემიჯნება ქართულ ენაში შენიშნულ ტენდენციას<sup>1</sup>.

მაგრამ ამით არ ამოიწურება სვანური ენის მეტათეზისის საკითხი. ლახამულური კილოკავის მონაცემთა შედარება მეზობელ კილოკავთა მონაცემებთან საქმიან რელიეფურად ავლენს სხვა თანხმოვნების მეტათეზისაც. არის ისეთი შემთხვევები, როცა ერთმანეთს ენაცვლებიან ნარნარა და ხშული მჟღერები ან ხშული ყრუ თანხმოვნები. ასე მაგ.:

ლიკაზბურე (ლბ.)—ლიკაფშურე (ჩბ.) დაკაგშირება  
შბლდიან (ლბ., ჩბ.)—შადლიანი (ქართ.)  
ლიბგრდგი (ლბ., ჩბ.)—ბადრაგა (ქართ.)...

საურთიერთო მეტათეზისის შემთხვევებია:

ნაწილხელ (ლბ. ა. ამაყ. ლექსიკ.) ნახურწელ (ლშ. ა. კონდან, ... ხორავ) სვართქლა

ლიბლრი (ლბ.)	ლილრიბე (ლშ.)	გალარიბება
ჭბნჯვ (ლბ.)	ჭბნგ    ჭბნგ (ბზ.)	ჭანგი
ჭბიტ (ლბ.)	ტბიპ (ჩბ.)	ტაიპი
ლიბუჭე (ლბ.)	ლიჭუბე (ჩბ.)	ჩატენა
ლიგზბლ (ლბ.)	ლიზექ (ლშ.)	ხვნეშა
ყვიჩ (ლბ.)	ჩიყვი (ქართ.)...	

40. მეტათეზისი ხმოვნებთანაც გვაქვს. ლახამულური კილოკავის ერთი ძალზე დამახასიათებელი მოვლენაა ხმოვნის მარტივი მეტათეზისი სიტყვის წინა ნაწილისაკენ, თავისაკენ. ეს ჩვეულებრივ ხდება მაშინ, როცა სიტყვის თავში ორი ან მეტი თანხმოვანია ერთად. კარგად ჩანს ეს მოვლენა ნასესხებსიტყვებში. მაგ.:

ხირკიშ ლიყერ (ლბ.)—ხრიკის მოდება (ქართ.)  
პირცელ (ლბ.)—პრისელ (რუს).  
პირსდგვ (ლბ.)—პრისტავი (რუს.)...

აქ თავკიდური თანხმოვნები გაყრილია გადასმული ხმოვნით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მხედველობაში მაქვს გ. ახვლედიანის გამოკვლევაში დადგენილი წესები: „მარცვლის“ საკითხის გარშემო: უზრნალი „მარცვლი“, 1921, გვ. 10–12;

<sup>2</sup> ქ. ჭლენ ტ. გ. სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, გვ. 189.

## VII. თანხმოვანთა ჩართვა და დაკარგვა

41. ქართულ-ზანურიდან ნაესხები მასალისა და საკუთრივ სეანური-ენის კილოებისა და კილოკავების მონაცემთა შედარების გზით ხერხდება თანხმოვანთა როგორც დაკარგვისა, ისე ჩართვის (განვითარების) შემთხვევების გამოვლენა. ლახამულურში დაკარგვა ან ჩართვა-განვითარება უმთავრესად დამიხსინებისათვის რ, მ, უ, ლ, ნ, ტ, ჸ თანხმოვნებისა. ამათვან განსაკუთრებით გავრცელებულია ნარნარა რ-სა და ნაზალური მ, ნ ბგერების განვითარება. დაკარგვის ტენდენციას უმთავრესად უ, ლ, ლ, ტ, ჸ თანხმოვნები ამეღლავნებენ.

შენიშვნულია, რომ ნარნარა რ ხმოვანსა და ხშულ თანხმოვანს შუა პოზიციაში ვითარდება, ხოლო სპირანტების წინ იყარგება<sup>1</sup>.

მრავლობით რიცხვთან შედარებით ორკვეფა, რომ რ დაკარგულია, როგორც დეტერმინანტი სუფიქსი, განსაკუთრებით ერთმარცვლიანი სახელების მხოლოდით რიცხვში.

მს. რიცხვი

ცხა	ფრჩხილი
შდა	ტარო
კა	ფიქალი
თე	თვალი
ქიმ	ცრემლი
შდიმ	ყური

მრ. რიცხვი

ცხა-რ-შ	ფრჩხილები
შდა-რ-შ	ტაროები
კა-რ-შ	ფიქლები
თე-რ-შ	თვალები
ქიმ-რ-შ	ცრემლები
შდიმ-რ-შ	ყურები...

ხშირია რ-ს დაკარგვა ხშული თანხმოვნების წინაც ლახამულურ კილო-კავში:

ბჯ (ლხმ., ჩბ., ბზ.)—ბჯრჯ (უშგ. ი. ნიჟ.) ნაბიჯი (შდრ. ძვ. ქართული ფერწი)

ჯიკ (ლხმ.)—ჯირკი (ქართ.) (შდრ. მეგრ. ჯიკი)

დმშდ მეზი ლიც (ლხმ.)—ტმპარდ მეზი ლიც (ჩბ.) მდოვრედ მავალი წყალი...

რ დაკარგული ჩანს ლახამულურში ხშული და სპირანტი თანხმოვნების შემდეგაც:

მეთეთხ. (ლხმ.)

მეთეთხრ (ჩბ.) ღამურა

ფუთ (ლხმ.) ფუთრ (ბზ., ლშ.) ერთი წლის ჯიხვი, კურდლის ბაჭია ძაფანა (ლხმ.) ძაფრანა (ლშ.) ზაფრანა (შდრ. მეგრ. ზაფანა), აქედან: ლიძებანი (ლხმ.) ლიძაფრანე (ლშ.) ზაფრანით შეკმაზვა შეკმან-დისა. თხობელ (ლხმ.) თხრობელ (ჩბ.) მთხობელი, გამცემი, აქედან: ლითხვებელი (ლხმ.) ლითხრობელი (ჩბ., ლშ.) გაცემა...

რ-ს დაკარგვის სხვა შემთხვევებიც შეინიშნება:

ლხ.

სხვაგან

მაპენ — მაპრენ. (ჩბ.) ყველაზე პატარა

ლითვდი — ლითოდრი (ლნტ.) ძაფის ხვევა; იქით-აქეთ სიარული

<sup>1</sup> ს. ზღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, გვ. 185..

ყეზბ	— ყურადღება (ბზ.) თავძერენია
წესინჯ	— წესინჯინდ (ჩბს.) ისეი
ლასმან	— ლასმანდ (ლშ.) ტაბიკი
ლეშტბლ	— ლეშტბალ (ბზ.) შტოებიანი
მერძედია	— მერძედია (ჩბს.) დედინაცვალი...

სპირანტების წინ რ-ს დაკარგვის მიხეზი ეგების ის იყოს, რომ რ-სა და სპირანტის წარმოთქმისათვის ერთდროულად დიდი რაოდენობის ჰაერნა-კადია საჭირო. ამოსუნთქული ჰაერი შეიძლება რ-ს წარმოთქმისას ამოწუ-რულიყო და ამრიგად მომდევნო სპირანტი დაკარგულიყო კიდეც, მაგრამ სპი-რანტის დაკარგვა სიტყვის სემანტიკურ მხარეზე იმოქმედებდა, რ-სი კი არა-ამიტომ უკანასკნელი იქნა განწირული.

საყურადღებო სურათს წარმოგვიდგენს ლახაშულური ნაზალური თან-ხმოვნების დაკარგვისა და განვითარების თვალსაზრისითაც<sup>1</sup>.

42. დანარჩენი თანხმოვნების დაკარგვისა და განვითარების შემთხვევე-ბიდან ალანიშნავია შემდეგი: ლ-ს დაკარგვა ძალიან გავრცელებულია ლახა-შულურში.

ა) კნინობითობის სუფიქსის ბოლოკიდური ელემენტი ლ იკარგება:

ყურმი (ლბმ.)—ყურმილ (ჩბს.) ყირიმის თოფი  
მიერი დომდუ (ლბმ.)—მიერი დომდულ (ჩბს.) მზე და მთვარე  
შგინი (ლბმ.)—შგინილ (ჩბს.) ეროგვარი ჩიტია....

ბ) ლ იკარგება ხმოვნების შორის:

მოიდშვ (ლბმ.) მოლიდშვ (ჩბს.) ცოტათი  
ჰილშ (ლბმ.) ჰილშმ (ჩბს.) წყლის ხავსი...

გ) ლ ხშულის წინაც შეიძლება დაიკარგოს:

ლითენე (ლბმ.) ლითულენე (ლშ.) მობოშება  
უმურხედა (ლბმ.) უმურხელდა (ჩბს.) რაოდენობით შეუმცირებელ-  
სტეიფა (ლბმ.) ტეილფა (ლშ.) ქახალი თავი  
(შდრ. მო-ტელებილი)

43. ჭ კითარდება ჩეცულებრივ ო ხმოვნის წინ ანლაუტში (ჭოჭრ „ოჭ-  
რო“, უოჭრ „ობოლი“, უორგვილ „ორგული“ და სხვ. შდრ. იმერ. კორი-,  
კოთხი...). ლახაშულურ კილოკავში, ვფიქრობთ, ჭ განვითარებულია შემდეგ,  
შემთხვევებშიც:

მენცხუბრ (ლბმ.)	— მენცხარ (ლშ. ა. კონდან,... ხორავ) მოცხარი
კინტური (ლბმ.)	— კინტურ (ჩბს.) კიტრი.
სუსტუდ (ლბმ.)	— სუსტ (ბზ., ჩბს.) სუსტი
ედესბურკულანანს (ლბმ.)	— ედესბირკულანანს (ჩბს.) დაებნენ, ბორკილი დაედვათ და ა. შ.

საერთოდ ჭ ბგერა არ არის მყარი ბგერა. ხშირია მისი დაკარგვა-  
რკარგება უ და ო ხმოვნების შემდეგ და ხანდახან სხვა ვითარებაშიც. ზოგჯერ...

<sup>1</sup> იხილეთ ავტორის: ნაზალურ თანხმოვანთა დაკარგვისა და განვითარების საკი-  
თხისათვის სეანურ ენაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, გვ. 181—188.

უ-ს და განსაკუთრებით ო ხმოვნის ნარედუქტიალი უ ლახამულურში დაკარგულია უმთავრესად ბაგისმიერთა მეზობლობაში, სხვაგან შემორჩენილია:

ლხმ. 0	სხვაგან უ	უ/ო შემონახულია
ჰ-ს წინ: მუხბე ძმა	მუხტბე (ჩბ.)	სამ-ხუბ საძმო
ფ-ს წინ: მეთფე დაკარგული	მეთტფე (ჩბ.)	ათუფ დაკარგე
შ-სთან: ჟამრ კიდურთა ტყავი	ჟამჭრ (ჩბ.)	უჟამჭრ <sup>1</sup> (ქ.)
ლ-სთან: ხსყლინნა შინებია	ხსყულინნა (ჩბ.)	ქართ.)
ქვინმეყულე კუდიანი	ქვინმეყულე (ჩბ.)	(შდრ. ოთყულურა
კალბშ კალოსი	კალტბშ (ჩბ.)	გაუყივია)

სპორადული ლახამულურ კილოკავსაც შეიძლება შემონახული ჰქონდეს უ ხმოვნის ნარედუქტიალი უ. იგი შეტ გამძლეობას იჩენს. ო-ს ნარედუქტიალი უ კი ლახამულურში მუდამ იყარება.

44. ქართველური ენებისა და მათ შორის განსაკუთრებით სვანური ენის დამახასიათებელია უკანაენისმიერ თანხმოვანთა განვითარებაც და დაკარგვაც. ეს მოვლენა ადრიდანვე იყო შენიშნული და შემდეგ სპეციალური კვლევის საგანიც გახდა.

ლახამულურში შენიშნულ თავისებურებათაგან აღვნიშნავთ შემდეგს:  
• Oi-ის გუ- პრეფიქსი რიგ შემთხვევები აქ მხოლოდ უ- ელემენტით არის წარმოდგენილი. მაგ-:

ამანდ ხოლა მშ გვეყრენიუ, მპნოლ შუდე (—ოგულე ჩბ.) ბიმურზელბდ „ამაზე უარესი რა დაგვემართებოდა, მანოლა წაგვართვა ბიმურზელაძ“. აქ მოცემული ბ-უ-ლე „წაგვართვა“ (მან მე და შენ || თქვენ) მთელ სვანურში მხოლოდ ბ-გუ-ლე || ო-გუ-ლე ფორმით გვხვდება. ანალოგიურ ვითარებისთან გვაძეს საქმე შემდეგ მაგალითებშიც:

ლხმ.	ჩბს.	
ეუტადა	ოგუტადა	ხმა გაგვიცია
ეუტიხა	ოგუტიხა	დაგვიბრუნებია
ეუქეხენა	ოგუქეხენა	გაგვცლია
ბუტუფ	ოგუტუფ	დაგვიყარგა
ბუნბ	ოგუნბ	ქვეშ მოგვიქცია
ბუქიხ	ოგუქიხ	გადმოგვიყვანა, ადგილი გადმოგვინაცვლა და ა. შ.

ეს მოვლენა ჯერხნობით ლახამულურშილა შენიშნული გუ- პრეფიქსიანთა პარალელურად, ისიც მხოლოდ თანხმოვნით დაწყებულ ზმებთან, რის გამოც Oi-ის გუ-სა დ S1 ხუ- პრეფიქსების ბედი ამ კილოკავში რამდენადმე ერთგვარი ჩანს. არის ეს უ- ამოსავალი ვითარების მაჩვენებელი, თუ გ თანხმოვანია უ-ს წინ დაკარგული, ამის შესახებ კატეგორიულად რისამე თქმა ჭირს. ერთია, რომ გუ-პრეფიქსთან გ-ს დაკარგვას ფონეტიკური საფუძველი ვერ დაექცებოდა.

გ-ს დაკარგვის შემთხვევებია:

გენტიიბნ (ლხმ.) გეგნათიან (ლშ., ეცერ.) აზრიანი მიშუ (ლხმ.) მიშგუ (ბზ., ეცერ.) ჩემი

<sup>1</sup> ი. ცურტაველი, მარტვლობა შუშანიკისი, ი. აბულაძის გამოცემა, 1938, გვ. 28,

ლეშდ (ლხმ.) ლოშგდ (ჩბხ.) უკან  
ლიცერინა (ლხმ.) გლიცერინა (ჩბხ.) გლიცერინი...

ს განვითარებული ჩანს ლახამულურის შემდეგ მაგალითებში:

საკარცხ (ლხმ.) — საკაცე (ქართ.) აქედან:  
ლისკაცხი (ლხმ.) — საკაცით ზიდვა  
ვესკაცხ (ლხმ.) — ვესკაც (ჩბხ.) ვაცყაცი (ქართ.)  
ორიკოხი (მეგრ.)

ჭაფხურ (ლხმ.) — ჭაფორ (ლშხ. ა. ჯონდან, ... ხორავ)  
ჭაფურ (ბზ.) 1. ფამუარა; 2. წმინდად დაძახული...

ჰ ფონქტისადმი დამოკიდებულების მიხედვით ქართველური ენები ერთ-მანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებიან: ჸ თანდათანობით გამოდის ხმა-რებიდან. მას ან ს, მ, ი, უ ბგერები ენაცვლება ჩვეულებრივ, ან უკალოდ იკარგება<sup>1</sup> ხოლმე.

45. შენიშნულია დენტალების განვითარება ან დაკარგვაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია დ, ტ თანმიმოვნების ბედი.

დ დაკარგული ჩანს ლახამულურის შემდეგ მაგალითებში:

ლხმ.	სხვაგან
ლისუსე	— ლისუსდე (ჩბხ.) დასუსტება
ნებნერი	— ნაბლნიერი (ლშხ.) ნაბედნიერები
ლეგმერდე	— ლეგდმერდე (ჩბხ.) ავალმყოფი
კვარკვახ	— კვარკვახდ (ბზ.) ბუერა
დინგვ	— დვინდგუ (ჩბხ.) შავი ცვილი (შდრ. მეგრ. დვინდგვი) და სხვ.

დ-ს დაკარგვა უმთავრესად სიტყვის ბოლოშია შენიშნული:

ლხმ.	სხვაგან
აღპი	— აღპიდ (ჩბხ.) კვლავ, კიდევ
ხსს მბრე	— ხსსდ მარე (ჩბხ.) ჩქარი კაცი
მაცლან	— მაცლანდ (ბზ.) მუგუზალი
ოლონ	— ოლონდ (ჩბხ.) ოლონდ
ჯვარილ <sup>2</sup>	— ჯვარილდ (ჩბხ.) ჯვარი (კნინ. ფ.)
ლიმერნელი	— ლიმერნელდი (ჩბხ.) შეთხელება...

46. ლახამულურის დაშახასიათებელია წინანისმიერი ყრუ ს, ჸ სპირან-ტების დაკარგვაც. ამგვარი მოვლენა განსაკუთრებით ხშულ-მსკდომებრაო შეინიშნება:

ლხმ.	სხვაგან
კვინჩი	— სკვინჩა (ლშხ.) — სკვინჩა (ქართ.)

<sup>1</sup> ლაშტური და ბალსხემოური დიალექტების ზოგიერთი მონაცემის მიხედვით ჸ-ს დაკარგვა მის მეზობლობაში მყოფი ხმოვნის სიგრძეს იწვევს (ბზ., ლშხ., კადა — ბქვ. კაჭდა „ნაჯახი“).

<sup>2</sup> წინანბითის დ-ონის დაკარგვა უფრო სრულყოფილად არის წარმოდგენილი ლაშტური (და ხშირად ბალსხემოურ) დალექტში: ჭიშხილ — (ჩბხ. ჭიშხილდ) „ფეხი“, შეეჯულ (← ჩბხ. შექულდ) „მწყერი“, ლიცილ (← ჩბხ. ლიცილდ) „წყალტკა“...

ლიტირანე — ლიშტირანე (ჩბს.) თვალების შტერება  
 თამდილდ — თამშდილდ (ჩბს.) (შდრ. ბზ. თამშდი) წყნარად, წელად  
 მეყეფ — მეშკვეფ (ჩბს.) რაც იფუფქება, გაფუფქვის უნარიანი  
 ჩუქამშენ — ჩუქამშენ (ჩბს.) ქვემოდან...

როგორც ვხედავთ, თანხმოვანთა განვითარება-დაკარგვის შემთხვევე-  
 შით მდიდარია ლახამულური კილოგავი. განვითარება და დაკარგვა ეხება  
 არა მარტო ნაზალურ (ნ. მ) და ნარნარა (რ, ლ) თანხმოვნებს, არამედ უკანა-  
 ენისმიერ (გ, ღ) და წინაენისმიერ (ს, ჟ, ღ) ხშულსა და სპირანტ თანხმოვ-  
 ნებსაც. უმეტეს შემთხვევაში თანხმოვანთა დაკარგვა-განცითარებას საფუძვ-  
 ლად უძევს ფიზიოლოგიური ფაქტორი.

### VIII. სისულის განვითარება

47. ზოგადი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სვანუ-  
 რი ენის სამ დიალექტში—ლაშხურში, ბალუსხემოურსა და ბალაშვემოურში—  
 ხმოვანთა რედუქცია მტკიცედ არის გატარებული. ლენტეხური კი რამდენად-  
 მე სვანური ენის შორეული წარსულია ვითარებას ინარჩუნებს დღემდე<sup>1</sup>.

48. რედუქციის მხრივ მეტ-ნაკლები იავისებურებები შეინიშნება კილო-  
 ებისა და კილოკავების მონაცემების შედარებისას. ერთსა და იმავე სიტყვაში  
 ზოგ კილოსა და კილოკავში ერთი ხშირად რედუცირებული, სხვაგან მეო-  
 რე, ან კიდევ ერთსა და იმავე კილოსა თუ კილოკავში მოსალოდნელ ადგი-  
 ლას ზოგჯერ რედუცირებულია ხმოვანი და ზოგჯერ არა. ყველაფერი ეს  
 გვიჩვენებს იმას, რომ ხმოვანთა რედუქცია დამთავრებული ფონეტიკური  
 მოვლენა ჯერ კიდევ არ არის, ამ ფონეტიკურ პროცესს ჯერ კიდევ დასრუ-  
 ლებული სახე არა აქვს, იგი ამჟამადაც ცოცხალი, მოქმედი ფონეტიკური  
 მოვლენაა. ამ ვარაუდს მხარს უჭერს არა მთლილ ლენტეხურის მდგომა-  
 რეობა, სადაც ხმოვანთა რედუქცია სუსტად ვითარდება, არამედ ხალხური  
 პოეზიის მონაცემები და სვანურ საისტორიო ძეგლებში დაცული შემთხვე-  
 ვები. ხალხურ პოეზიაში ჯერ კიდევ სისტემატურად ვხვდებით ისეთ ურედუქ-  
 ციო ფორმებს, როგორიცაა:

მუხეშირ ლაჯნიდ მიბემა<sup>2</sup> (სვან. პოეზია, გვ. 158,8)  
 „ახალგაზრდა ჯიხვი საბავად შემიბამს“.

აქ დაცულია ურედუქციონ ფორმები: ლაჯნიდ „სახნავად“  
 და მიბემა → \* მიბმა → მიბა „შემიბამს“. ლახამულური კილოკავის ზეპირ-  
 მეტყველებისათვის დღეს უცხოა ამგვარი ურედუქციონ ფორმები. ანალოგიურ  
 ვითარებასთან გვაქვს საქანე ამ მაგალითებშიც:

ლადაჩურას (→ ლადურას → ლაჩურას) ხაქვედ მიშგვა „ჩემს დებს  
 უთხარით“; ლერთან ფოკას (→ ფოკა)... „მარცხენა თეძოზე“; თელელურა (158,18) (→ თელურა) „რძალი“; მელეჭალა (8,47) (→ მელჭალა)<sup>3</sup> „დამ-  
 ტირებელნი“...

<sup>1</sup> ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: წელიწეული, I-II, გვ. 1-11 და  
 ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,  
 1, გვ. 63-90.

<sup>2</sup> სვანური პოეზიიდან გსარგებლობთ მთლილ ლახამულური მასალით.

<sup>3</sup> ფრჩხილებს გარეთ ხალხურ პოეზიაში შემონახული არქაული ფორმებია წარმოდგენი-  
 ლი, ფრჩხილებში კი თანამედროვე ფორმები.

სვანური ძველი ლექსების ეს შედარებით სრულმოვნიანობა არ შეიძლება მხოლოდ ლექსის მეტრის მიზეზით აიხსნას, როგორც ეს შეიძლება ვისმე ეფიქრა, არამედ ის წარმოგვიდგენს ამ ლექსების წარმოშობის დროინდელ ვითარებას ამ ენაში<sup>1</sup>.

49. სრულმოვნიანობის ნიმუშებს წარმოგვიდგენს სვანური საისტორიო ძეგლებიც. მაგალითად, ლახამულურის მეზობელ ტერიტორიაზე ოდესლაც მცხოვრები ერთი გვარი საისტორიო ძეგლში, რომელსაც პ. ინგორიუკვა XIII საუკუნის II ნახევრით ათარიღებს, ათარიანი სახით გვხვდება. ამზამად ეს გვარი გადაშენებულია. იგი შემოგვინახა ლახამულურმა ტოპონიმკამი: ამ გვარის სახელს ატარებს ერთი ადგილი ზედა ლაზამულაში, ოლონდ არა ათარიანი ს სახით, როგორც ამ ექვსიოდე საუკუნის წინ იხმარებოდა, არამედ ათრანი ს სახით. როგორც ვხედავთ, ეს გვარი XIII საუკუნის ტეგლში ურედუქციოდ, სრულმოვნიანი ფორმით არის წარმოდგენილი, ახლა ორი ხსოვანი — ა და ი — აკლია. ეგვივე ითქმის ერთი სამსახლო ადგილის სახელწოდების — ითლოზნ ნის — შესახებ. ესეც XIIII საუკუნის საისტორიო ძეგლში აღნიშნულ ერთ გვარს — ითანოზნ ის უნდა უკავშირდებოდეს. ასეთი პარალელები საკმაოდ დაიძებნება სვანურ. საისტორიო ძეგლებში შემონახული და დღევანდელ სვანურში წარმოდგენილი სახელებისა და გვარების შედარების გზით. აი მაგალითები:

საისტორიო ძეგლებში  
დაცული გვარები

ახლაც დაცულია:

ფოხელიანი (117)  
გურიანი (117)  
კაჩილიანი (125)  
უშუხვიანი (151)  
უბილიანი (141)  
გურეჩიანი (136)  
გულუბიანი (151)

- ა) ადგილის სახელები:  
ფეხლანი  
გურსანი
- ბ) ოჯახის სახელი:  
კიჩლან
- გ) გვარები:  
უშხვან  
ვიბლან  
გურჩან  
გულბან

და ა. შ.

მაგრამ ეს გარემოება იმას არ ნიშნავს, რომ სვანურ საისტორიო ძეგლებში ბეჭლოდ სრულმოვნიანობასთან გვქონდეს საქმე და თანხმოვანთა თავმოყრის შემთხვევები მისთვის უცხო იყოს. პირიებით აქ წარმოდგენილია შემთხვევები, სადაც გვხვდება თანხმოვანთა ძნელად წარმოსათქმელი ჯგუფი, როგორც მაგ:

გვარებში: კრშიანი, ლჩდიანი, გაბლდიანი, წრანიანი, მქალოდიანი, მსავიანი და სხვ..

გეოგრაფიულ სახელებში: ლჰა, ცხმარი და სხვ.

<sup>1</sup> ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს უთუოდ ამ ლექსებისა, ლეგენდებისა და სხვათა წარმოშობის დროის დადგენას. ამით შესაძლებელი განვითარებით სვანურ ენაში რედუქციის ხნოვანობაზედაც თუ სრული არა, გარკვეული წარმოდგენა მაინც გვჭონოდა. ამგვარ საკითხებს აქ, რა თქმა უნდა, ვერ შევეხებით. მათი რკვევა მომავლის საქმეა.

პირველ სამ მაგალითში და შემდეგ ცხმარ-ში სამ-სამი თანხმოვანია თავმოყრილი, დანარჩენებში ორ-ორი. თავმოყრილი თანხმოვნები ისეთია, რომ მათი ერთად წარმოთქმა რაიმე ხმოვნისა ან თანხმოვანთვასაყარი ბეგ-რის გარეშე დღევანდელ სვანურშიც კი შეუძლებელია. ამის გამო კითხვა იბადება: არის კი სწორად ასახული XIII საუკუნის სვანური ენის ნაძღილი ვითარება ამ ძეგლით შემონახულ მაგალითებში? ვფიქრობ, რომ არა. საქმე ისაა, რომ წრანიანი, მსავიანი, ლჩდიანი და სხვა გვარებში ამ ძეგლის ავტორს გამოტოვებული აქვს თანხმოვანთვასაყარი გ ხმოვანი. ამის მიზეზი სატრანსკრიფციო ნიშნის უქონლობაა. ამგვარად თავმოყრილი თანხმოვნების ერთად წერისას რომ ძეგლის ავტორი დიდ უხერხულობას გრძნობდა და ამავე დროს ადგილობრივი წარმოთქმა ამ თანხმოვანთა შორის მას რაღაც ხმოვნის წერას უკარნახებდა, ეს კერგად ჩანს ამ გვარების სხვადასხვა სახით გადმოცემაში. მაგ.: ერთგან დაწერილია: გაბლდიანი (151), მეორეგან: გაბილდიანი (150), მესამეგან: გაბელდიანი (150); ასევე ერთგან წერია: მქალოდიანი (149), მეორეგან: მაქალოდიანი (150); და ასე: ლრმუთიანი (138) და ლურმუთიანი (141)...

სწორედ ამნაირადვე თანხმოვანთვასაყარს ვერ ხმარობს სვანური სასტორიო ძეგლების ავტორი სხვა შემთხვევებშიც.

ამიტომ

ძეგლში წარმოდგენილია

ნამდვილად კი უნდა იყოს

ლჰჰა (129)

ლჰჰა

ცხმარი (142)

ცხმარი

კტშიანი (130)

კტშიანი

ამნასარიანი (118)

ამნასარიანი

გგლიანი (152)

გგლიანი (ან გიგელიანი)

წრანიანი (154)

წრანიანი

ლჩდინიანი (118)

ლჩდინიანი

მსავიანი (118)

მსავიანი

მქალოდიანი (149)

მქალოდიანი და ა. შ.

რაც შეეხება მაქალოდიანს, გაბილდიანს, გაბელდიანს და სხვას, აյ ა, ე, ი ხმოვნები უთუოდ თანხმოვანთვასაყარი ხმოვნის მაგივრად არის ნახმარი. ეს კი იმას მოასწავებს, რომ კ ხმოვანი XIII საუკუნის სვანურ მეტყველებაში არსებობდა. მატიანის შემდგენი გ-ს გამოცემის საჭიროებას მწვავედ გრძნობდა, მაგრამ რადგანაც მისი გრაფიკულად გამოსახვის, საშუალება არ ჰქონდა, ანიტომ ცდილობდა ზოგჯერ მაინც სხვადასხვა ხმოვნის საშუალებით გამოეხატა იგი.

აქედან ჩანს, რომ რედუცირებული ფორმები ძალზე მცირე რაოდენობითაა შემონახული ხსენებულ ძეგლებში. კითხვა ისმის: ეს ხომ არ არის იმის მომასწავებელი, რომ XIII საუკუნის სვანურში ხმოვანთა რედუქცია შედარებით სუსტად უნდა ყოფილიყო განვითარებული, ვიდრე დღესაა იგი?<sup>1</sup>

**50.** საერთოდ რედუქცია ლახამულურ კილოკავშიც დამახასიათებელია სამ და მეტ მარცვლიანი სიტყვებისათვის, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში

<sup>1</sup> ეს საკითხი მოითხოვს მრავალმხრივ შესწავლას, რისთვისაც საჭიროა მეტი ფაქტობრივი მასალის გათვალისწინება.

ამ წესისაგან გადაბეჭვას აქვთ აღვილი და ერთმარცვლიანებიც რედუცირდება გაორმარცვლიანების შემთხვევაში. ამ კატეგორიის სიტყვებს ეკუთვნის ორ-ფუძიანი გარდამავალი ზმნების ერთი ჯგუფის I და II პირი ნამყო უწყვეტელში, ზმნებისა, რომელთაც აწყვიში -ემ თემს ნიშანი მოუდით.

302

აშშები:	1. ხვ-ი-გ-ემ ვიშენებ	ხვ-ი-ქვ-ემ ვიცვამ
	2. ხ-ი-გ-ემ	ხ-ი-ქვ-ემ
ნაშები:	1. ხვ-ი-გ-ძ ვიშენებდი	ხვ-ი-ქვ-ძ ვიცვამდ
შესავარ:	2. ხ-ი-გ-ძ	ხ-ი-ქვ-ძ

და ასე: ხვიბემ „ვიბამ“, ხვიცხემ „ვიზრდები“ ხვიცვემ „ტვირთს ვიკი-დებ“. ხვიშვემ „ვინთებ“, ხვოსგემ „ვოქციებ“ და ა. შ.

ეს მოვლენა დამახსიათებელია მხოლოდ ლახამულური კილოკავისათვის; სვანური ენის არც ერთ კილომეტრში იგი არ დასტურდება.

51. የአበበ ሽቦትხვევა, የጠዋቱ ይልማቻቸውን ተፈጻሚነት ይገልጻል  
መመልዕችን ዝርዝሩ መሆኑን እና የአበበ ሽቦትხቃውን ይፈጸማል:

ა-გათუ-ე ← \* ა-გათაუ-ე ათავებს

<sup>1</sup> ლი-ღატუშ-ე ← \* ლი-ღატაშ-ე ← \* ლი-ღაშატ-ე ღაშავება, გაფუტება<sup>1</sup>

ლახამულურში იმავე სიტყვებში პრეფიქსი მოქმედებს და რელუცი-  
რებულია თავიდან პირველი ფუძისეული ხმოვანი:

ლი-დუბშ-ი ← \*ლი-დატაშ-ე ← \*ლი-დაშატ-ე დაშავება, გაფულება

ა-გთვე-ი ← \* ა-გათავ-ე ამთავრებს...

52. თუ ზმინის თემის სუფიქსი მოკვეცილია, მაშინ ლაშხერში, ბალსხე-  
მოურში (და ზოგჯერ ლენტებურშიც) მის წინ მდებარე ფუძისეული ხმო-  
ვანი შენარჩუნებულია. ლახამულური საპირისპირო ტენდენციას იჩენს: მის-  
თვის თემის სუფიქსის მოკვეცა დამახასიათებელი არ არის, ამის გამო  
ფუძისეული ბოლოობრივი რედუქციას განიცდის. ასე მაგალითად:

ლბ:	სხვაგან	ლბ:	სხვაგან
ლი-ქლ-ე	ლი-ქტლ (ბზ.)	ფეხის ჩაჭედვა	
ლა-შდბ-ა	ლა-შდებ (ლშხ.)	სასესხებელი	
ფაქნ-ი	ფაქშ/ან (ბზ., ლშხ.)	ჯამი	
თანლ-ი	თანბლ (ბზ., ბეჩ.)	ულელტეხილი	
მელლდ-ე	მე-ლლელ (ლშხ.)	მწყემსი	
ლო-ჩშ-ა	ლა-ჩეშ (ლშხ.)	მისასწრები	
ლა-შთხ-ი	ლა-შდიხ (ჩბხ.)	სათხილე	
ლუ-შგრ-ე	ლუ-შგირ (ჩბხ.)	განგმირული	
უ-ზბ-ა	უ-ებდ-შუ (ბზ.)	მოუცლელი...	

53. ლახამულურში ხმოვნის ოდუქციის შემთხვევაში მის აღგილას ჩნდება თანხმოვნობასაყარი კ ხმოვანი.

<sup>1</sup> 3. თ თ ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კვერასიური ენათ-შეცნობება, I, გვ. 69.

## ლხ. სხვაგან

ა-ს ადგილას გ: გგრუშმ გარცემ (ჩბხ.)  
ჰერდალ ჰა/ერდელ (ჩბხ.)  
ლირხენ, ლირხენ (ბზ.)

ე-ს ადგილას გ: მგლგნწიში მგლგნწიში (ჩბხ.)  
ზერდ ზე/ერდ (ჩბხ., ლშხ.)  
ჰერელ ჰერელ (ჩბხ.)  
ი (←ჭ/უ)→გ: მელგმგლ მელგმილ (ჩბხ.)

ლისგზჯპერი ლისინჯპერი (ლნტ.)

რედუქციასთან დაკავშირებული სხვა მოვლენები ლახამულურში რაიმე  
არსებითი მნიშვნელობის თავისებურებას არ იძლევა. ამნაირად მათზე აქ არ  
შევჩერდებით.

## IX. სუბსტიტუცია

54. თანხმოვანთა სუბსტიტუციას ჩვეულებრივ საფუძვლად უძევს თან-  
ხმოვანთა სიახლოვე წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით. სწო-  
რედ ეს გარემოება განსაზღვრავს ქართველურ ენებში ნაზალურ, ნარნარა და  
სხვა თანხმოვანთა სუბსტიტუციას.

ლახამულური სუბსტიტუციის მდიდარ მასალას წარმოგვიდგენს. ასე  
შეგ.:

## 55. 8—6-ს სუბსტიტუცია:

## ლხ. სხვაგან

Выявлены случаи иотации гласного ე в начале слова: օյֆօд jekim (из груз. ექიმი ekimi) врач, օյრდგულլ jerdgwil (из груз. ერთგული ertguli верный, օյտეր jeter, օյგა jega, օյլუაబ jel qan собственные имена и др.

Фонетические явления в абсолютном конце слова в лахамульском поднаречии, по сравнению с другими диалектами, более сложны.

а) В лахамульском часто подвергаются усечению гласные ə, ე, չ, тогда как они сохранены в других диалектах.

Например:

лхм. վշբ սոն  
лхм. շթდշ սշդեմ  
лхм. զյու չիւ  
лхм. եճիջ խակ

— эцер. վոնбо չոնա (из груз. վոնба չონა) вес  
— эцер. շթքմա սշդմա испытывающий  
— эцер. զյու չկու (из груз. զյու չկու) ум  
— эцер. եճիջ խակве он сказал ему и др.

Лахамульскому свойственно упрощение конечного -օ -յ путем усечения օ յ. Например:

лхм. զօլօ չալա  
лхм. պորչօ զիրչա

— вб. զալօյ չալայ — лшх. զալօյ չալայ река  
— вб. պորչօյ զիրչայ — лшх. պորչօյ զիրչայ свое-  
вольный

б) Усекается элемент օ ա суффикса -օ -da прошедшего несовершенного:

лхм. օրծ արձ  
лхм. ըշրծ շերձ  
лхм. օհմշ իշմած  
лхм. ხաსցուրծ խացուրծ

— чбх. вб. օրծօ arda он был  
— чбх. ըշրծօ շերձօ он шел  
— беч. օհմշօ işmuða он делал  
— чбх. вб. ხասցուրծօ խացուրծօ он сидел на  
ч.-и.

Подтверждается наличие губогубного **ჽ w**, не имеющего определенной функции в конце первичных, равно и производных слов. Например:

լխм. թუსუ <sup>ტ</sup> musw	— թუս mus снег
լխм. წაծუ չաbw	— წაծ չաb бритва
լխм. յօծუ զաbw	— вб. յօծ զաb борода
լխм. յալմածუ կաlmaxw	— յալմած կաlmax форель и др.

**ჽ w** в лахамульском часто выступает в качестве суффикса причастия и масдара. Например:

լխм. ლշჭეთუ<sup>ტ</sup> լեչätw чбх. ლշჭէտ լեչät про克莱тый и т. д.

Но чаще всего он представлен в формах причастия прошедшего времени, образованных с помощью префикса **ნა-** па- :

լխм. ნՅ-Եյօბ-ჽ <sup>ტ</sup> նա-skin-w	чбх. ნՅ-Եյօບ նա-skin то, что перепрыгнули
լխм. ნՅ-Թյար-ჽ <sup>ტ</sup> նա-škar-w	чбх. նՅ-Թյար նա-škar подслащенный
լխм. նՅ-ჭյար-ჽ <sup>ტ</sup> նա-չար-w	чбх. նՅ-ჭյօր նա-չար завязанный...

В данном случае из сванских диалектов лахамульский и лашхский противопоставляются друг другу: лашхский максимально избегает применения **ჽ w**, лахамульский же, напротив, сохраняет его.

Выясняется, что суффикс **ჽ w** получен из гласного **ჽ u** в результате редукции или умлаута. Это подтверждается следующими примерами:

լիք. ծურլու<sup>ტ</sup> բürgu — լիք. ծუրլու<sup>ტ</sup> burgwı — ծօրլու<sup>ტ</sup> բürgw белокопытник (раст.)

чол. ծუրցу<sup>ტ</sup> murgu — эцер. ծუրցի<sup>ტ</sup> murgwi — ծօրցի<sup>ტ</sup> mirgw берека

\* շუբց<sup>ტ</sup> շuqı → լիք. շუբց<sup>ტ</sup> շuqw || лих. շუբց<sup>ტ</sup> շuqı спелый (о фруктах) и др.

В приведенных примерах **ჽ w**, повидимому, является суффиксом-детерминантом и происходит от **ჽ u**. В словах ծუրցу<sup>ტ</sup> murgu, ծუրլու<sup>ტ</sup> բürgu, **ჽ u**, очевидно, также суффикс-детерминант, эквивалент которого имеется в грузинском в словах ყრუ<sup>ტ</sup> qru „глухой“, დრკუ<sup>ტ</sup> drkü „кривой“, и в мегрельском — ცურუ<sup>ტ</sup>, ცuგ „глупый“. Однако функция суффикса-детерминанта **ჽ w** ныне утрачена, и этим можно объяснить его наличие в одних диалектах и отсутствие в других.

ქ. ლომთათიძე

აფხაზური ზმნის ძირითად დრო-კილოთა სისტემა

აფხაზურ ზმნას საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფორმები მოეპოვება დრო-კილოთა გამოსახატავად<sup>1</sup>.

განსაკუთრებულ სირთულეს ამ მხრივ ისიც იწვევს, რომ ზმნას ახასიათებს სტატიკურ-დინამიკური სახეობები. მათშივე მკვეთრადაა დროთა მიხედვით გარჩეული ფინიტურ-ინფინიტური წარმოებები, დადებითი, უარყოფითი, კითხვითი და სხვ. ფორმები. ყველა მათგანს კი შესაფერი აფიქსაცია აქვს დროთა მიხედვით. რაც ამა თუ იმ დროის დადებითს ფინიტურ ფორმაში გვეპლინებოდა აფიქსაცი, იმავე დროის უარყოფითს ან ინფინიტურს ფორმაში აღარ გვხდება ხოლმე. ყველაფერი ეს დაბრკოლებად ელობება დრო-კილოთა გარკვეული პრინციპით დაჯგუფებას აფხაზურში.

დრო-კილოთა გამოხატვის მიხედვით თავისებურებას იჩენენ სტატიკური და დინამიკური ზმნებიც.

სტატიკური ზმნები

სტატიკური ზმნები, როგორც ვიცით, გამოირჩევიან თავიანთი ფუძით. ყოველი სახელი (თავისი შედარებით მარტივი ფუძით) აწარმოებს სტატიკურ ზმნას პირისა და დრო-კილოთა აფიქსების დართვით (მაგ.: აწა—„ფსკერი, ძირი“, იწოუბ—„ქვეშ არის“); არსებობს რამდენიმე ოდენ სტატიკური ზმნა (როგორიცაა აყაზარა—„ყოფნა“, ამაზარა—„ქონა“, და სხვ.) მათ ზმნის ფორმისათვის მარტივი ძირები (ყა-, მა-) აქვთ გამოყენებული. ზოგი ზმნის ფუძე აწარმოებს, როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ სახეობას (მაგ.: აგვლარა—„დგომა, ადგომა“; სგვლოუბ—„ვდგავარ“, სგვლოდტ—„ვდგები“); ამავე დროს დინამიკურ ზმნათაგანაც შეიძლება ვაწარმოოთ სტატიკური ფორმა (მაგ., დინამიკ. იყასწოდტ—„ვაკეთებ (რასმე)“, მაგრამ—იყაწოუბ—„(რაღაც) გაკეთებულია“).<sup>2</sup> აღნიშნული სტატიკური ზმნები ღარიბი არიან დრო-კილოთა წარმოების მხრივ. დრო-კილოთა მთელი სიმდიდრე დამახასიათებელია დინამიკური ზმნებისათვის.

სტატიკურ ზმნებს ჰემოალნიშნული ფუძით შეუძლიათ აწარმოონ აწ-მყო და ნამყო განუსაზღვრელი ან გარკვეულს შემთხვევებში — ინფინიტურ სახეობებში — ნამყო უკვეობითი და კილოები — აგრეთვე ინფინიტურ წარმოებაზე დაფუძნებული<sup>3</sup> (იხ. ტაბ. I).

<sup>1</sup> П. К. უსლა, ეთნოგრაფია კავკავა, I. Абхазский язык, тბილისი, 1887, გვ. 20...

<sup>2</sup> იხ. ავტორის „სტატიკური და დინამიკური ზმნები აფხაზურში“ (აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა მონაცემების მიხედვით). იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954, გვ. 257—272.

<sup>3</sup> ამ მხრივ ყველა დიალექტში ერთგვარი ვითარება არ დასტურდება. კერძოდ მნიშვნელოვან თავისებურებას ავლენს აშხარული დიალექტი. იხ. ავტორის „აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის“, ტექსტებითურთ, თბილისი, 1954, გვ. 40.

## სტატიკური ზმნა აყა (ზა) ოა—

ფინიტურ-დადებითი	ინფინიტურ-დადებითი	ფინიტურ-უარყოფითი	ინფინიტურ-უარყოფითი	ნაცვალსახე-ლოგან-კითხ-ვითი „რა“ კლ.	ნაცვალსახელ-კითხვითი „ვინ“ კლ.
აწყმო	დჯა-უ	იყა-უ	დყა-მ	იყა-მ	იყა-უ-(ზე)-ე
ნამყო განუსაზ-ლოგული	დჯა-ნ	იყა-ზ	დჯა-მგ-ზ-ტ	იყა-მგ-ზ	იყა-ზ(ე)-ე (იყა-ზ-ზ)
ნამყო უკვეო-ბითი		იყა-ც		იყა-მგ-ც	
ნამყო უკვეობი-თი წ.წ.		იყა-ცგ-ზ		იყა-მგ-ცგ-ზ	

სტატიკური ზმნის ფინიტური ფორმის სუფიქსია აწყმოში -უპ, ნამყო განუსაზლვრელში -ნ.

ინფინიტურ წარმოებებში აწყმოში გვაქვს სუფიქსი -უ: მაგ., იყო-უ—„რაც (ვინც) არის, იმყოფება“; ხოლო ნამყო განუსაზლვრელში -ზ. ამ შემთხვევაში ისევე როგორც ნამყო განუსაზლვრელი, დინამიკურ ზმნებისაგან განსხვავებულს. თავისებურს არაფერს შეიცავს ნამყო უკვეობითის ინფინიტური ფორმა.

უარყოფითში არც ფინიტურსა და არც ინფინიტურში აწყმოს აფიქსი არა ჩანს: სუყა-მ—„მე არა ვარ, არ ვარსებობ, არ ვიმყოფები,“

ი-ყა-მ—„რაც (რომელიც), ვინც არ არსებობს, არ იმყოფება“.

ნამყო განუსაზლვრელის უარყოფითს ფორმაში დინამიკურ ზმნათა მსგავსად დადებითი ფორმის ფინიტური -ნ სუფიქსის ნაცვლად გვევლინება რთული -ზ-ტ სუფიქსი, რომლის ტერმენტი ნამყოს გაგებას იძლევა, ხოლო -ტ—ფინიტობისას (სუყა-მგ-ზ-ტ—„არ ვიყავ, არ ვიმყოფებოდი“). ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ინფინიტურ წარმოებაში ტ ჩამოშორდება და გვრჩება მარტო -ზ სუფიქსი (იყამგ-ზ—„რაც, ვინც (რომელიც) არ იმყოფებოდა...“).

ნაცვალსახელურ-კითხვითს ფორმებში ერთნაირი ვითარება არაა. პირა-ქთა დიალექტებში, მაგალითად, ნივთთა (რა) კლასის კითხვაში აწყმოს -უ-სუფიქსი გვაქვს, სამაგიეროდ აღამიანთა (ვინ) კლასის კითხვაში იგი აღარ ჩანს:

იყა-უ-ზედ//ი-ყა-უ-მ—„რა არის?“

იყა-და—„ვინ არის?“

სამაგიეროდ ტაპანთურ დიალექტში აწყმოსეული -უ სუფიქსი ნაცვალსახელოვან-კითხვითს ფორმებში ადამიანთა კლასის კითხვას ახასიათებს და არ მოეპოვება ნივთთა კლასის კითხვას. შდრ.:

იყა-და —„რა არის?“

იყ[ა]-უ-და—„ვინ არის?“

აშხარულ დიალექტში კი აწყმოსეული -უ სუფიქსი ალარ გვხვდება არც-ერთს ფორმაში. შდრ.:

იყა-და —„რა არის?“

იყა-და—„ვინ არის?“

აწყმოსეული -უ სუფიქსი არა გვაქვს არც ნატერითს კილოში — სუყა-ზდა—„ნეტა მე ვიყო“ (შდრ. ნ. განუსაზლვრელი—სუყა-ნდა-ზ—„ნეტავ ვყოფილიყავ“) და სხვ.

„ყოფნა, არსებობა“

ଓঃ ১

დადებით-კითხვითი	უარყოფით-კითხვითი	ნატერითი კილო დადებ.	ნატერითი კილო უარყოფ.	პირობითი კილო	მიზანპირობითი კილო	ბრძანება
დჟუ-უ-მა	დჟუ-მ-ი	დჟუ-ნდა	დჟუ-მუ-ნდა			
დჟუ-ზ-მა	დჟუ-მ-ზ-ი	დჟუ-ნდა-ზ	დჟუ-მუ-ნდა-ზ	დჟუ-ზა-რ	დჟუ-ზა-რ-ც	უჟუ-ზ!

დადებით-ინფორმურ ფორმათა მიხედვით შეიძლება ითქვას ყველა აფხაზურ-აბაზური დიალექტი ერთიანდება (აქ უმთავრესად საკითხი ეხება აწყოს წარმოებას, რადგანაც სხვაობები საერთოდ აწყოს ფუძის წარმოებაში იჩენს თავს). აღნიშნულ წარმოებაში ყველა დიალექტში გვაქვს აწყოსეული -უსუფიქსი:

პირაქეთა დიალექტები: იყა-ლი ( $\rightarrow$  იყო-ლი) — „რა(კ); ვინ(კ) არის“...

აშხარული დიალექტი: იყა-უ(→იყო-უ) — „ „ „ „

ତୀର୍ତ୍ତାନ୍ତ. ଫୋଲ୍‌ଗେହିର୍ଭାବୀ: ଓହ-ଓ(←\*ଓହା-ଓ←\*ଓହା-ଓ) " " "

მაგრამ იგივე არ ითქმის აწყობისავე დაღებით-ფინიტურ ფორმაზე: თუ პირაქეთა დიალექტებში და პარალელურ სახეობად აშხარულშიც არის სეყა-უძ—„ვარ, ვარსებობ“

ଶ୍ରୀପାନ୍ତକୁରଶୀଳ—ସମ୍ବନ୍ଧ-୩||୩—

აშხარულშიია (პარალელურ ფორმად) — სუკ-ეტ (\*სტუ-ეტ), „ მაშასაღამე არც ტაპანთურში (სუბა-ბენ) და არც აშხარულის „სუკეტ“ წარმოებაში აშშებული — უ სუფიქსი აღარ ჩანს, მაშინ როდესაც იმავე დიალექტის იგი ინტინიტურ წარმოებში მოკლედგა (იხ. ზემოთ).

აღნიშნულ დიალექტებში სტარიკურ ზმნათა აწყობს ფორმაში წარმო-  
დგენილია ოდენ ფინიტობის სუფიქსები: ტაბ. -პ-||-პ-, აშხარ. -იტ-. აღნიშნის  
ლირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ ტაპანთური ფინიტობის -პ-||-პ- აფიქ-  
სის მიხედვით მიჰყვება პირაქეთა დიალექტებს, მაშინ, როდესაც აშხარული  
დიალექტი დინამიკურ ზმნებში გავრცელებულ ფინიტობის -იტ- სუფიქსს  
იყენებს.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ -უ სუფიქსი, რომელიც დღეს არ ჩანს ტაპანთურში (მაინცა და მაინც) ფონეტიკურ ნიადაგზეა გაუჩინარებული -ბ-სთან მეზობლობაშიო. ამ მხრივ საყურადღებოა ის გარემოება, რომ არცერთს დიალექტს აწმყოს უარყოფითს ფორმაში (ფინიტური იქნება იგი, თუ ინფი-ნიტური) აწყოსეული -უ- აფიქსი არ გააჩნია. და ეს მიტომ ხომ არა, რომ სათანადო წარმოებებს უარყოფის აფიქსი -ბ- აქვს და ისიც — სუფიქსად. (შედრ. ს. სუხა-ბ— „არ გარ, არ ვიმყოფები“, იყა-ბ— „რომელიც არ არის“...).

ასეთი ახსნისათვის ისიც არის მოსაგონარი, რომ სწორედ ტაპანთურ დიალექტს არც დინამიკურ ზმნებში ახასიათებს აწმყოსეული -ჭა- სუფიქსი (მიუხედავად იმისა, რომ ინფინიტურს წარმოებებში ეს -ჭა- სუფიქსი აქაც ყოველთვის გვაქვს). მოსალოდნელი „სცა-ჭა-ჩტ“-ის ნაცვლად გვაქვს სც-იდ (||სც-იტ) — „მივდივარ“. არსებითად ეს წარმოება (თავისი აგებულებით) ემ-თხვევა აორისტის წარმოებას (შდრ. \*სცა-ჩტ→სცე-ჩტ—„მე წავედი“). ტაპანთურმა, მართალია, მათ შორის სხვაობა დამყარა სც-იდ არის „მივდივარ“, ხოლო სცა-დ — „წავედი“, მაგრამ ასეთი ფონეტიკური სახის ცვლილება (ერთ შემთხვევაში ფუძისეული ხმოვნის რედუქცია სც-იდ→\*სცა-იდ და მეორეში — აფიქსისეულისა — სცა-დ ←\*სცა-იდ), თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორეული საშუალებაა მათ განსასხვავებლად<sup>1</sup>.

გარაუდობები, რომ ტაპანთური დინამიკური ზმნა აწმყოს წარმოებით მიპყვება აღილურ ენებს, რამდენადც მას აწმყოსეული -ჭა- სუფიქსი არ გააჩნიაო<sup>2</sup>. აღილურ ენათა ვავლენა, მართლაც, დიღია ტაპანთურსა და აშხარულზე და შესაძლოა დინამიკურ ზმნათა აწმყოს წარმოების მხრივაც გარკვეული ტენდენციის გამომუშავებაში ხელი შეეწყოს აღილურ ენათა ვითარებას, მაგრამ რომ ტაპანთურ დიალექტში დინამიკურ ზმნათა აწმყოს წარმოებას (სახელდობრ აწმყოსეულ -ჭა- სუფიქსის არ არსებობას „სც იდ“ და მსგავს ფორმებში) წშინდა ფონეტიკური მომენტი უნდა ედოს საფუძვლად, ჩვენთვის ნათელი გახდა აშხარულ დიალექტში დადასტურებულ გარდამავალ ფორმათა საფუძველზე. აშხარულში აწმყოსეული უა აფიქსის უ- ელემენტი გარკვეულს შემთხვევებში დაკარგულა და მხოლოდ ა- შემოგვრჩენია (შდრ. აშხ. ის-კ-უ-ჩტ←\*ის-კა-ჩტ←ის-კ-ჭა-ჩტ—„მას (რასმე) ვიჰერ“), ტაპანთურში, რომელშიაც კიდევ უფრო შორს წასულა ხმოვნის რედუქცია და განზოა გადებულა ეს წესი, ვიღებთ ამ ნიადაგზე „ისკა-იტ“-ს და სხვ.<sup>3</sup>

სტატიკურ ზმნათა დადებით-ფინიტურ წარმოებაში -უ- სუფიქსის ფონეტიკურ ნიადაგზე დაკარგვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ნაცვალსახელოვან-კითხვის ფორმებში აწმყოსეული -უ- სუფიქსი ხან არის და ხან არა (შდრ. იყა-და, მაგრამ — იც-უ-და; იყოდა←იყა-უ-ხ, მაგრამ—იცა-ხა და სხვ. იხ. ზემოთ).

შეიძლებოდა სტატიკური ზმნების აწმყოს ფორმებში -უ- სუფიქსის არქონა სხვაგარადაც აგვეხსნა. კერძოდ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ტაპანთურმა თავისი სუცა-ბ||სუცა-პ ფორმით შემოგვინახა უფრო ძველი ვითარება. რომ სტატიკური ზმნა, რომელსაც მხოლოდ ერთი აწმყო (და ერთი ნამყო) გააჩნია, -პ-||-ბ- აფიქსით აწმეოსაც გადმოსცემდა და მის ფინიტობა-საც (ისევე როგორც იმავე ზმნათა ნამყოს -ნ- აფიქსს ნამყო დროის გადმოცემაც ეკისრება და ფინიტობისაც), და შეიძლება იგივე ვითარება გვერდეს, რაც დინამიკური ზმნების მყოფადის წარმოებისას, საბაც იმავე -პ-||-ბ- სუფიქსს მყოფადი დროის გადმოცემაც ეკისრება და მყოფადი დროის ფინიტობისაც (შდრ. სცა-ბ-||სცა-პ—„წავალ“).

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ სრულხმოვნიანი აორისტი სცა-ჩტ დღესაც დასტურდება მოხუცთა მეტყველებაში.

<sup>2</sup> K. Bouda, Das Abasiniische, eine unbekannte abchasiatische Mundart, Zeitschrift für DMG. B 94. ლაიცვიგი, 1940, გვ. 243.

<sup>3</sup> იხ. ავტორის: აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის. ტექსტებითურთ, თბილისი, 1954, § 41, გვ. 125.

სტატიკური ზმნების მეორე -ნ- სუფიქსი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ნამყო დროში გვხვდება და რომელსაც ინფინიტურ წარმოებებში ცვლის -ჸ- სუფიქსი, დინამიკურ ზმნებშიც არის გავრცელებული და ქვემოთ იქნება განხილული.

### დინამიკური ზმნები

როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, აფხაზურ დრო-კილოთა დაჯგუფება გარკვეულ სიძნელებს ელობება. ერთადერთი, რის მიხედვითაც შეიძლება მაინც მოხერხდეს ასეთი დაჯგუფება, ესაა. ფრთხოების აფიქსები. სიძნელე აქაც იჩენს თავს. სამი ფინიტობის აფიქსიდან (-იტ, -ნ, -პ) ოდენ ფინიტობას -იტ- სუფიქსი გამოხატავს, დანარჩენებს (-ნ-სა და -პ-ს) დროის გაღმოცემაც ეკისრება.

ფინიტობის აფიქსთა მიხედვით აფხაზური დროები დაჯგუფებული აქვს ფ. ბორკისაც<sup>1</sup>. მის სქემას იზიარებს გუსტავ შმიდტიც<sup>2</sup>.

ბორკისეულ სქემაში მოცემულია ძირითადად ფორმათა ორი ჯგუფი: ერთი მხრივ -ნ-თი ნაწარმოები, მეორე მხრივ, -იტ- და -პ-თი ნაწარმოები.

ფინიტური წარმოებები  
აკარა—„წასვლა“

ტაბ. 11

-იტ-სუფიქსიანები		-ნ-სუფიქსიანები		-პ-სუფიქსიანები	
აორისტი	დცა-ჩტ	ნამყო განუსაზღვრელი	დცა-ნ		
ნამყო უკვეობითი	დცა-ჩ'ე-ჩტ	ნამყო უკვეობითი წ.წ.	დცა-ჩ'ა-ნ		
აჭმყო	დცა-ტე-ჩტ	ნამყო უსრული	დცა-ტა-ნ		
მყოფადი II	დცა-შა-ტ	„შეპირობებითი“ II	დცა-შა-ნ		
[კონიუნ- ქტივი]	დცა-აა-ჩტ	„შეპირობებითი“ I თურმეობითი II	დცა-რგ-ნ	მყოფადი I	დცა-პ
			დცა-ზაა-რგ-ნ	თურმეო- ბითი I	.დცა-ზაა-პ

-იტ-ისა და -პ-ს მქონე ფორმათა გაერთიანება არ იქნებოდა თანამიმდევრული.<sup>3</sup> მართალია, -პ- სუფიქსს წარმოებათა ის მრავალფეროვნება არ ახასიათებს, რაც -იტ-სა და -ნ- სუფიქსს, მაგრამ იგი მაინც ცალკე გამოყოფას მოითხოვს.

<sup>1</sup> F. Bork, Zum abchasischen Verbum, Wissenschaftliche Beilage zum Programm der Städtischen Steindammer Realschule zu Königsberg i. Pr. III.

<sup>2</sup> G. Schmidt, Zum Konjugationssystem des Abchasischen.

<sup>3</sup> ასეთ უხერხულობას გრძნობს გ. შმიდტიც.

## ფინიტობის -იტ-სუფიქსიანი წარმოებები

	დადებით-ფინიტური	უარყოფით-ფინიტური	დადებით-ინფინიტური	უარყოფით-ინფინიტური	დადებით-კითხვითი
აორისტი	დცე-ზტ	დუმცე-ზტ	იცა	იმცა	დცა-მა    უ
ნამყო უკვეობითი	დცა-ჩ'ე-ჩტ	დუმცა-ც-ტ	იცა-ჩ'ა-უ <sup>1</sup>    იცა-ც	იმცა-ჩ'ა-უ    იმცა-ც	დცა-ჩ'ა-უ-მა    დცა-ჩ'ა-უ
აწმყო	დცა-შე-ჩტ <sup>1</sup>	დცა-შე-მ <sup>1</sup>	იცა-შა	იმცა-შა	დცა-შა-მა    უ
მყოფადი II	დცა-შ-ტ	დცა-შ-მ (დუმცა-შ-ტ)	იცა-შა	იმცა-შა	დცა-შა-მა    უ

ჩვენ აქ ფინიტობის სუფიქსთა მიხედვით წარმოვადგენთ სამ ჯგუფს დრო-კილოებისას: I -იტ-სუფიქსიანებს; II -ნ-სუფიქსიანებს და III -პ-სუფიქსიანებს.<sup>2</sup>

წარმოების მიხედვით ფორმათა დალაგებამ ერთი შეხედვით, შესაძლოა: გარკვეული უხერხულობაც შექმნას ცალკეულ შემთხვევებში. ასე, მაგალითად, კონიუნქტივის ფორმა შესაძლოა მოექცეს თბრობითი კილოს რიგში და სხვ., მაგრამ თუ საკითხს მივუდგებით ისტორიული თვალსაზრისით, თვით ფორმათა გენეზისის თვალსაზრისით, ეს უხერხულობა აღარ იქნება.

აქ ჩვენ მიერ წარმოდგენილია ძირითადი ჯგუფების დადებით-ფინიტური, უარყოფით-ფინიტური, დადებით-ინფინიტური, უარყოფით-ინფინიტური, დადებით-კითხვითი, უარყოფით-კითხვითი, საგარემოებო-კითხვითი და ნაცვალსახელოვან კითხვითი ფორმები. აგრეთვე სხვადასხვა ძირითად კილოთა ფორმები.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, რომ სტატიკური ზმნები თვითანთი მარტივი ფუძით შეზღუდული არიან აწარმოონ დრო-კილოთა აქ მოცემული ფორმებით.

მაგრამ ამავე სტატიკურ ზმნას ყველა ზემოჩამოთვლილი და მსგავსი ფორმები შეუძლია აწარმოოს, როგორც კი ფუძეს დავურთავთ სათანადო ელემენტებს. ასეთი ელემენტები ე. წ. ფუძის მადინა მიკურ რებელი ელემენტებია. მაგალითად ნასახელარ ზმნებში გამოიყენება -ხა და -ტი სუფიქსები; რიგ წინდებულებათ, რომლებიც სტატიკურ ზმნათა ფუძეებად გამოიყენება, დინამიკურ ზმნად გადაცემევისას მონაწილეობს -ლა, -წ, -წა, -ხ ძირ-სუფიქსები. ასევე კაუზატივის პრეფიქსი რ- და სხვ. მაგრამ თითოეულ ამათვანს გარკვეული გრამატიკული ფუნქციაც აქვს და მათი დართვის შემდეგ უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი სტატიკურ ზმნაზე. აღნიშნულ შემთხვევებში (აყიახარა, ამზიახარა, აბზიატირა, ატავტირა, არკაჭირა, ალალარა, ალწრა, ალა-წარა, ალხრა და სხვ.) დინამიკური ზმნებია ჩვენ წინაშე.

თავისებურად დგას ამ რიგში ერთი -ზაა- სუფიქსის საკითხი. ამ სუფიქსის დართვის შედეგად ზმნა თავისი შინაარსით თითქოს სტატიკურია,

<sup>1</sup> აქაც და სხვაგანაც, რამდენადაც შესაძლებელია, ვცდილობთ წარმოვადგინობრ უასიმილაციო ფორმები, აგებულებაში უკეთ გარკვევის მიზნით.

შველა შესაძლებელ და ფორმა, რა თქმა უნდა, ტაბულებში არაა მოცემული. მოცემულია მთავარი და გავრცელებული ფორმები.

<sup>2</sup> მართალია, ფინიტობის აფიქსთა მიხედვით დაჯგუფება შეიძლება მხოლოდ ფინიტურ ფორმებს ენტებდეს და ძნელია ამ არასებული ელემენტით ინფინიტურ ფორმათა დაყოფაც (ინფინიტურ წარმოებებში ფინიტური აფიქსები აღარა გვაქვს), მაგრამ ნებატიური წინაშეთაც სათანადო დაჯგუფება ძალაში ჩატება ინფინიტურ წარმოებებშია.

## (თხრობითი კილოს ფორმები)

ტაბ. III

უარყოფით-კითხვითი	საგარემოებო-კითხვითი	ნაცვალსა-ხელოვან კითხვითი „რა“ ქლ.	ნაცვალსახელ კითხვითი „ვინ“ ქლ.	ნაცვალსახელ კითხვითი უარყოფითი „რა“ ქლ.	ნაცვალსახელ კითხვითი უარყოფითი „ვინ“ ქლ.
დღმცა-(ზ)-ი	დაბაცა	იცა-(ზე)-ი	იცა-და	იმცა-(ზე)-ე	იმცა-და
დღმცა-ზ-ა- ॥ დღმცა- ც-ი	დაბაცა-ზ-ა-უ	იცა-ზ-ა-უ- (ზე)-ი	იცა-ზ-ა-და	იმცა-ზ-ა-(ზე)ე ॥ იმცა-ც-ი	იმცა-ც-და
დღმცა-ზა(ზე)-ი	დაბაცა-ზა	იცა-ზა-(ზე)-ე	იცა-ზა-და	იმცა-ზა-(ზე)ე	იმცა-ზა-და
დღმცა-შა- (ზე)-ი	დაბაცა-შა				

მაგრამ მოუხედავად ამისა, მას შეუძლია აწარმოოს დინამიკურ ზმნათა მსგავ- მად რიგი დრო-კილოთა ფორმები.

ტაბ. IV

## ფინიტობის -იტ-სუფიქსიანი წარმოებების კილოები

	ნატვრითი კ- დადებ. ფ.	ნატვრითი კ- უარყოფითი ფ.	ბრძანებითი კილო დადებ. ფ.	ბრძანებითი კილო უარ- ყოფითი ფ.
აორისტი	დცა-ნდა <sup>1</sup>	დღმცა-ნდა	უცა!	უმცა-ნ! (დიალ- უმცამ!)
ნამყო უკვეობითი	დცა-ზ-ა-ნდა	დღმცა-ზ-ა- ნდა		
აწმყო	დცა-ზ-ა-ნდა	დღმცა-ზ-ა-ნდა		
კონცუნ- ჭრივი ← *მყოფადი I]			დც[ა]-აა-ჩტ	დღმც[ა]-აა-ჩტ

ჩვენ მიერ წარმოდგენილ დინამიკურ ზმნათა ტაბულაში პირველი ადგი- ლი უჭირავს აორისტი. ეს გამართლებულია როგორც წარმოების სიმარ- ტივის თვალსაზრისით, ისე ისტორიულადაც. -იტ-(-ჟტ)- სუფიქსი აორისტის ფორმაში, როგორც ცნობილია, ფინიტობის აფიქსია და არა დროისა. აო- რისტის ფუძის სიმარტივე დროის წარმოების მხრივ ნათლად გამოჩნდება ინფინიტურს წარმოებაში, შდრ. დ-ან-ცა—“ის (ადამ.) როცა წავიდა”...

რა გამოხატავს მაშ ნამყო დროს—აორისტი?—ზმნის ფუძე. სპეციალუ- რი დროული აფიქსი მისთვის საჭირო არ არის. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ბრძანებითი კილოს ფუძე, რომელიც აგრეთვე უმარტივესი სახით არის აფხაზურშიაც წარმოდგენილი, ემთხვევა აორისტის ინფინი- ტურ ფუძეს (შდრ. ბრძ. უ-ცა!—„წადი“!).

<sup>1</sup> თუ კილოებად ჩავთვლიდთ, ასეთივე წარმოებები გვექნებოდა -შა (თითქოთბითის, მიმსგავსებითის), -ჟა (უფროობითის), -ნაწუ (ვიდრეობითის, დაყოვნებითის). სუფიქსების გამო- ყენებისას, შდრ.: დცა-შა, დცა-წუ, დცა-რა-ჟა და სხვ.

## ფინიტობის - ნ:

	დადებით- ფინიტური	უარყოფით- ფინიტური	დადებით- ინფინიტური	უარყოფით- ინფინიტური	დადებით- კითხვითი
ნამყო განუსაზღ- ვრელი	დცა-ნ	დგმცა-ზ-ტ	იცა-ზ	იმცა-ზ	დცა-ზ-მა ॥ უ
ნამყო ჟეკო- ბითი წწ.	დცა-ჩა-ნ	დგმცა-ცე-ზ-ტ	იცა-ჩა-ზ	იმცა-ჩა-ზ ॥ იმცა-ცე-ზ	დცა-ჩა-ზ- მა ॥ უ
ნამყო უსრული	დცა-ზა-ნ	დცა-ზა-მ-ზ-ტ	იცა-ზა-ზ	იმცა-ზა-ზ	დცა-ზა-ზ- მა ॥ უ
„შეპირო- ბებითი“ II	დცა-შა-ნ	დგმცა-შა-ზტ	იცა-შა-ზ	იმცა-შა-ზ	დცა-შა-ზ-უ
„შეპირობე- ბითი“ I	დცა-რგ-ნ	დგმცა-რგ-ზ-ტ		იმცა-რგ-ზ	დცა-რგ-ზ-უ
თურმეობითი II	დცა-ზაა-რგ-ნ	დგმცა-ზა-ა რგ-ზ-ტ <sup>1</sup>			

ასეთი ვითარება შემთხვევითი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ დროთა და სათანადო ფორმათა წარმოქმნის ისტორიას სხვა იბერიულ-კავკა- სიურ ენებში (კერძოდ, ქართულში).

თავისებურია ოლონდ აფხაზურში ფინიტურ და ინფინიტურ წარმოება- თა დაპირისპირება, რაც გატარებულია არა მარტო ამ შემთხვევაში, არამედ საერთოდაც (შდრ. -ნ- და -პ-სუფიქსიანი წარმოებები).

-იტ- აშკარად ფინიტობის, ოდენ ფინიტობის, აფიქსია აფხაზურში. არც- ერთ ინფინიტურ ფორმაში იგი არა ჩანს.

-იტ აფიქსში გ. შმიდტი -ი და -ტ ელემენტებს გამოჰყოფს და ალნიშ- ნავს, რომ -ი-ს აქვს «werden»-ის ფუნქციაო?

ამიტომაც არის, რომ -ნ და -პ-სუფიქსიან ფორმებში -ი- არა გვაქვსო- ფ. ბორეი ამ -ი-ს კითხვითობის -ი- ელემენტს უკავშირებას<sup>2</sup>.

ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლებოდა რიგი დებულების მო- ყვანა. კერძოდ, საგულისხმოა ის გარემოება, რომ -იტ ფინიტობის აფიქსი ჩვეულებრივ დინამიკური ზმნებისათვის არის. დამახასიათებელი.

გ. შმიდტს ხელი არ მიუწვდებოდა აშხარული დიალექტის მასალაზე, თორემ ალნიშნული დებულების სასარგებლოდ იტყოდა: სტატიკური ზმნები; რომლებიც გარკვეული „გააქტიურების“ თვისებას იჩენენ, -პ- სუფიქსის ნაც- ვლად -იტ- სუფიქსს იყენებენ (შდრ. აშხარ. სუე-ჭტ).

მაგრამ შეიძლებოდა -ი-ს ასეთი კვალიფიკირის საშინააღმდეგო მოსა- ზრებებიც წარმოგვედგინა. კერძოდ, რა დაპირისპირებას უნდა ქმნიდეს მაშინ- (ე. ი. -ი-ს თუ ალნიშნული ფუნქციისად ჩავთვლით) ფინიტური და ინფინიტუ-

1. ცვლის ჩვეულებრივ „დგმცაზაპ“ ფორმა.

2. იხ. მისი: ზემოთ დასახელებული ნაშრ. გვ. 251—252.

3. იხ. მისი: დასახელებული ნაშრომი გვ. 9. თვით კითხვითი -ი- მას ჩვენებითობის ფუნ- ქციის მქონედ მიაჩნია (გვ. 10).

4. იხ. ჩვენის: აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, ტექსტებითურთ, 1954, გ. 40.

სუფიქსიანი წარმოებები			ტაბ. V		
უარყოფით-კითხვითი	საგარემოებო-კითხვითი	ნაცვალსახე-ლოვან-კითხ-ვითი „რა“ კლ.	ნაცვალსახე-ლოვან-კითხ. „ვინ“ კლ.	ნაცვალსახელ-კითხვ. უარყ. „რა“ კლ.	ნაცვალსახელ-ლვ-კითხვ. უარყ. „ვინ“ კლ.
დუმცა-(ზ)-ი	დაბაცა-ზ	იცა-ზ-ი (იცაზებ)	იცა-და-ზ	იმცა-ზ-ი	იმცა-და-ზ
დუმცა-ზ-ა- (ზ)-ი    დუმცა- კ-ზ-ი	დაბაცა-ზ-ა-ზ	იცა-ზ-ა-ზ-ი (იცა-ზ-ა-ზ-ე-ზ)	იცა-ზ-ა-და-ზ		
დუმცა-ტ-ა-ზ-ი დუმცა-ტ-ა- ზ-ე-ზ	დაბაცა-ტ-ა-ზ	იცა-ტ-ა-ზ-ი (იცა-ტ-ა-ზ-ე-ზ)	იცა-ტ-ა-და-ზ	იმცა-ტ-ა-ზ-ი (იმცა-ტ-ა-ზ-ე-ზ)	იმცა-ტ-ა-და-ზ
დუმცა-შ-ა-ზ-ი	დაბაცა-შ-ა-ზ				
დუმცა-რ-ა-ზ-ი	დაბაცა-რ-ა-ზ				
	დაბაცა-ზ-ა- რ-ა-ზ				

რო წარმოებები: რომელიმე ოპრისტის ფინიტური წარმოება **დცე-ჟ-ტ** — „წავიდა“ (რომელსაც -ი-ც გააჩნია და -ტ-ც) იმავე ოპრისტის ინფინიტურ დანცა — „როცა წავიდა“ ფორმასთან (რომელსაც არც -ი და არც -ტ არ გააჩნია) რაიმე სხვა დაპირისპირებას ქმნის გარდა ფინიტურ-ინფინიტურობისა?

მართალია, -იტ დინამიკურ ზმნებში გვაქვს წევულებრივ და -ნ და -პ სუფიქსის მქონე წარმოებებს -ი ხმოვანი არ ახასიათებს, მაგრამ, ჯერ ერთი; -ნ-თი ნაწარმოები -ი-ს არმქონე ფორმა ნამყო უსრულისა — **დცა-ტა-ნ** — „მიგ-დიოდი“ და -იტ-ით ნაწარმოები აწყობს ფორმა — **დცა-ტ-ა-ჟ-ტ** ( $\rightarrow$  **დცა-ტ-ე-ჟ-ტ**) — „მივდივარ“ დროული დაპირისპირების გარდა «werden»-ის თვალსაზრისით განა რაიმე სხვაობას იძლევა?

უარყოფითს წარმოებებში -ნ- სუფიქსის მქონე ფინიტური ფორმები (სკომჩტ → სცა-ტ-ა-ზ-ტ) იმავე -ტ( $\leftarrow$ -იტ?) სუფიქსს არ წარმოგვიდგენენ განა როგორც დინამიკურ, ისე სტატიკურ ზმნებში? (იხ. სათანადო ტაბულები!). მართალია, აქ შეიძლება გვითხრან, რომ სწორედ -ტ-ს წარმოგვიდგენენ და არა -იტ-სო, მაგრამ -იტ სუფიქსის გამარტივებული -ტ სახეობა ზემოთ განხილულ ფორმებშიაც დასტურდება (შდრ. აწყობ დცოტ, ოპრისტი — დგალტ — „დადგა“ და სხვ.). ხოლო რაც შეეხება II მყოფადს, იქ ხომ ჩევულებრივ ოდენ -ტ გვხვდება: **დცა-შ-ა-ტ**. აფხაზურ-აბაზური დიალექტების შესწავლამ როგორც ნათელი გახადა, იგი მომდინარეობს \***დცა-შ-ა-ჟ-ტ** ფორმიდან. შდრ. აშხარული სც-უ-შ-ე-ჟ-ტ — „წავალ, მივალ“. <sup>1</sup> აშქარაა აქ -იტ სუფიქსში -ი- ფონეტიკურ ნიადაგზეა გაუჩინარებული. ასეთივე რამ მოსალოდნელია. ზემოთ მოყვანილ უარყოფითს წარმოებებშიაც.

ესეც რომ არ იყოს, უარყოფითი და დადებითი ფორმები ერთი და იმავე დროისა (დცონ||დცომზტ) «werden»-ის თვალსაზრისით რატომ უნდა დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს?

თავად -იტ აფიქსის დაშლა შესაძლებელი უნდა იყოს -ი და -ტ- ელე-მენტებად, მაგრამ მათი თავდაპირველი ფუნქცია საძებარია.

<sup>1</sup> იხ. ავტორის: აშხარული დიალექტი... § 41, გვ. 140 და შემდეგ.

როგორც აღნიშნული გვაქვს სათანადო ადგილას, ფინიტობის. -იტ აფიქ-  
სი ტაპანთურ დიალექტში პარალელურად გვხვდება -იდ-ის სახით<sup>1</sup>. საერთოდ  
ტაპანთურს ფინიტობის აფიქსთა მეღერი სახეობები ახასიათებს (შდრ. ფი-  
ნიტობის -პ||-ბ).

ტაბ. VI

ფინიტობის -ნ-სუფიქსიანი წარმოებების კილოები

	ნატვრითი კილო	პირობითი კილო	
ნამყო განუსაზღ- ვრელი	დცა-ნდა-ზ	დცა-ზა-რ	
ნამყო უკვეობითი ჭ.ჭ.	დცა-ჩა-ნდა-ზ	დცა-ჩა-ზა-რ	
ნამყო უსრული	დცა-ტა-ნდა-ზ	დცა-ტა-ზა-რ	
„შეპირობებითი“ II	დცა-შა-ნდა-ზ	დცა-შა-ზა-რ	
„შეპირობებითი“ I	დცა-რუ-ნდა-ზ	დცა-რუ-ზა-რ <sup>2</sup>	

აღნიშნული -ი-ტ||-ი-დ სუფიქსი უნდა უკავშირდებოდეს მასალობრივ  
ქართველურ ენათა ნამყო უსრულის -დ- სუფიქსს. საყურადღებოა, რომ ქარ-  
თველურ ენებშიაც (კერძოდ, ჭანურ დიალექტში) იგივე სუფიქსი მკვეთრი -ტ-ს  
სახითაცაა წარმოდგენილი (შდრ. ჭან. ბ-ზუმ-უმ-ტ-ი — „ვზომავ-დ-ი...“).

ფინიტობის -პ-

	დადგბით-ფინიტური	უარყოფით- ფინიტური	დადებით-ინფი- ნიტური	უარყოფით- ინფინიტური
მყოფადი I	დცა-პ (   დგმცა-პ)	დცა-რუ-ზ (   დგმცა-ზ)	იცა-რა    იცა-ლაგ	იმცა-რა
თურმეობითი I	დცა-ზა-პ	დგმცა-ზა-პ <sup>3</sup>		

ნამყო უკვეობითი (დცა-ჩ-ე-ჟა-ტ...)

თავისებურს არაფერს შეიცავს ნამყო უკვეობითი. აქ იგივე ამოსავალი  
აორისტის ფუძეა -ჩ-ა- („უკვე“) სუფიქსით გართულებული. -ჩ-ა-ს პარალელუ-

<sup>1</sup> იხ. ავტორის: აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, ტექსტებითურთ, 1944, § 23,  
გვ. 61, § 46, გვ. 144 და შემდეგ.

<sup>2</sup> ყველა აღნიშნულ შემთხვევაში უარყოფითი წარმოებისას დაერთვის -პ- პრეფიქსი.

<sup>3</sup> და აგრეთვე სხვა თურმეობითები, რომლებიც სხვადასხვა დროის ფორმაზე დართვით  
იწარმოება და -პ- სუფიქსით აღწერითი აწმყოს შინაარს გადმოსცემენ საპირისპიროდ ნამყოს  
-პ- სუფიქსისა (რომელიც იმავე წარმოებებში ნამყოს შინაარს გადმოსცემს).

რად ინფინიტურსა და უარყოფით წარმოებებში<sup>1</sup> -ც სუფიქსიც გვხვდება (იხ. ტაბ. III). ზოგჯერ კონტამინირებული ფორმებიც შეიძლება შეგვხდეს -ჩა- და -ც- სუფიქსიანი.

„უკვეობითის“ ფუძილან -ნ ფინიტობის სუფიქსის დართვით იწარმოება ნამყო უკვეობითი წინარეწარსული (დცა-ჩა-ნ— „უკვე წასული იყო“).

### აწმყო, ნამყო უსრული

აწმყო დრო იმავე აორისტთან შედარებით გართულებულია -უა- სუფიქსით (დცოხტ ← დცა-უა-ხტ ← დ-ცა-უა-ხტ)<sup>2</sup>. აქვე უნდა განვიხილოთ ნამყო უსრული, რომელიც დაფუძნებულია აწმყოს ფუძეზე და რომელსაც ნამყო დროისა და თან ფინიტობის გამოსახატავად დაერთვის -ნ სუფიქსი (დცონ ← ||დცა-უა-ნ— „მიღიოდა“). ამ მხრივ გარკვეული სტრუქტურული ანალოგია შეინიშნება ქართულთან, შლრ. აწმყო: „ვაკეთ-ებ“ და ნამყო უსრული „ვაკეთ-ებ-დ-ი“.

დცა-უა-ხტ (და „დცა-უა-ნ“) ფორმაში აწმყოს ფუძეს აწარმოებს -უა- სუფიქსი. იგი გარკვეულს კავშირში ჩანს ქართულის აწმყოსეულ -ა-ც- სუფიქსთან.

-უა-. აფიქსი წარმოშობით დროის გამომხატველი არ უნდა ყოფილიყო. აწმყოს ინფინიტური ფორმები (დანცა-უა→ დანცა— „როცა მიღის, წავა“, იცო→იცა-უა— „რაც, ვინც მიღის...“) ფუძის აგებულებით სავსებით ემთხვევა სათანადო აბსოლუტივის ფორმას: დცო→დცა-უა— „იგი მიღის რა...“ „(წ)სვლით“, მაგ., გამოთქმაში „დცო, დცო დღშნედჟაზ“— „მიღის, მიღის რა, რომ მიღის“, „სვლით, სვლით რომ მიღის“ (რომელიც, ჩვეულებრივ ზღაპრის ენისთვისაა დამახასიათებელი) და სხვ.

ალნიშნული -უა აფიქსი სახელის ფორმებშიაც შესაძლოა ყოფილიყო. რაც ზმნაში აბსოლუტივის გაღმოგვცემს, ის სახელში ვითარებით ს ფორმას უნდა გამოხატვდეს.

### ტაბ. VI

#### სუფიქსიანი წარმოებები

დადებით-კითხვითი	უარყოფით-კითხვითი	საგარემოებო-კითხვითი	ნაცვალსახელო-ვან-კითხვითი „რა“ ქლ.	ნაცვალსახელო-ვან-კითხვითი „გვინ“ ქლ.
დცა-რუ-მა(    უ)	დუმცა-რ(ა)-ი	დაბაცა-რ(ა)-ი	იცა-რუ-(ზე)-ჯ.	იცა-რუ-და

ამდენადვე საფიქრებელია ეს უა იგივე აფიქსია, რაც ადილური ენების სახელის ვითარებითი ფორმის მაწარმოებელი -უპ-, -ა-უ- სუფიქსი (შლრ. ქვ-ადილ. მაჭა— „ცოტა“. მაჭა-უ— „მცირედ“; ყაბ. დახა— „ლამაზი“, დახა-უპ— „ლამაზად“). იმავე ადილურ ენებში იგივე ელემენტი გამოყენებულია აბსოლუტივის საწარმოებლადაც (შლრ. სუშეს-უა სოთხა— „ვზივარ-რა ვწერ“). და სხვ.

<sup>1</sup> უარყოფითს ფორმებში მას შეეფერება მნიშვნელობა: „ჯვრ არ“.

<sup>2</sup> აწმყოს ხშირად მყოფად ის გაგებაც აქვს.

## ტაბ. VIII

ფინიტობის -პ-სუფიქსიანი  
წარმოებების კილოები

	პირობითი კილო	მიზან-პირო- ბითი კილო
მყოფადი	დცა-რ	დ-ცა-რ(ა)-ც

რა აფიქსი ჯერ ზმნაში აბსოლუტივის მნიშვნელობით იქნა გამოყენებული, აქედან აწმყოს ინფინიტურ ფორმებსაც შეეგუა და დროის აფიქსად იქცა.<sup>1</sup>

რიგი აქ წარმოდგენილი წარმოება მაგ., თურმეობითი I დი II, კონიუნქტივი დროთა მიხედვით ქმნიან მთელ სისტემას, მაგ.:

## ტაბ. IX

თურმეობითი I	
[*აორისტის ფუძე]	დცა-ზააპ
ნამყო უკვეობითი	დცა-ჩ'ა-ზააპ
აწმყო	დცა-ტა-ზააპ

თურმეობითი II	
ნამყო	ნამყო განუსაზღვრელი
ნამყო უკვეობი- თი წ.წ.	დცა-ჩ'ა-ზაა-რუნ
ნამყო უსრული	დცა-ტა-ზაა-რუნ
„შეპირობებითი“ II	დცა-შაა-ზაა-რუნ

## მყოფადი II (დცა-შა-ტ)

აწმყო დროის შემდეგ ჩენენ ტაბულაში (ტაბ. II) მოგვყავს მყოფადი II (დცა-შა-ტ -- „ალბათ წავა“). ამას გარეკვეული გამართლებაც აქვს აფხაზურა-აბაზურ დიალექტთა მონაცემების გათვალისწინების შემდეგ. აშხარულსა და ტაპანთურში მყოფადი II აწმყოს ფუძეზეა დაყრდნობილი (გვაქვს: დცუშა-ტ). აფიქსთა შექცეული თანმიმდევრობით იგივე ფორმშა უნდა გვქონდეს პირა-ქეთა დიალექტებშიაც: ასე მაგ., დ. გულია ასახელებს „სულის-შააშეჭა“ ფორმას<sup>2</sup> (შდრ. აშხ. დც-უ-შა-ტ).

როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, „დცა-შა-ტ“ მომდინარეობს სრულხმოვნი-ანი დცა-შა-ტ სახეობისგან. ამას აღასტურებს აშხარული დიალექტი. შა-ს რომ-ა ხმოვანიც ახლდა, მტკიცდება იმავე დროის ინფინიტური წარმოებიდან, სადაც ეს ხმოვანი აღდგება ხოლმე: იცა-შაა — „რაც, ვინც უნდა წავიდეს“... და სხვ. (შდრ. აგრეთვე: დცა-შა-ტ!).

## ტაბ. X

კონიუნქტივი:	
[*აორისტი]	დცა-ზაა-რტ
ნამყო უკვეობითი	დცა-ჩ'ა-ზაა-რტ
ნამყო უსრული	დცა-ტა-ზაა-რტ
მყოფადი II	დცა-შაა-ზაა-რტ

<sup>1</sup> იხ. ავტორის: აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები. იბერიულ-კავკა-სიური ენათმეცნიერება, II, 1948, გვ. 8 და შემდგება.

<sup>2</sup> იხ. დ. გულია, მათერიალი აბხაველი გრამატიკის სახუმი, 1927, გვ. 25.

## კონიუნქტივი (დცა-ჟ)

კონიუნქტივი თავისი წარმოებით გვაიძულებდა დროის ფორმათა რიგში მოგვექცია და სწორედ მყოფადის გვერდით მიგვეჩნია გისთვის ადგილი.

იგი თავად ახალი წარმოება ჩანს და უკავშირდება I მყოფადს. ამ დებულების ნათელსაყოფად უნდა განვიხილოთ ზოგი სხვა ფორმის საკითხიც.

-ზაა-სუფიქსიანი სტატიკური ზმნები (აყა-ზაა-რა—\*ყოფნა, არსებობა\*), ტაბ. XL

-იტ-სუფიქსიანი დროები	-ნ-სუფიქსიანი დროები	-პ-სუფიქსიანი დროები
[*აორისტი	[დყა-ზაა-ეტ]	
აშმყო	დგუა-ზაა-ტე-ჟტ	ნაშყო უსრული
მყოფადი II	დგუა-ზაა-შა-ტ	"შეპირობებითი" II
		"შეპირობებითი" I
		თურმეობითი II
		დგუა-ზაა-ნ
		დგუა-ზაა-შა-ნ
		დგუა-ზაა-რუ-ნ
		თურმეობითი I
		დგუა-ზაა-პა

შენიშვნა: ასევე სათანადო უარყოფითი ფორმები -მ- აფიქსის დართვით ნაწარმოები.

მყოფადი I-ის ფინიტურ ფორმაში, როგორც უკვე ვიცით, გვაქვს -პ-სუფიქსი. იგი ფინიტობასაც გაღმოსცემს და მყოფადსაც (დცაპ—„წავა“) მის ინფინიტურ წარმოებაში თავს იჩენს -რა- და -ლაგ—(→ -ლაგ—→ -ლაკ)— სუფიქსები -პ- სუფიქსი ინფინიტურ წარმოებაში ჩამოშორებულია როგორც ფინიტობის აფიქსი. მყოფადი დროის ფუნქციით მის ნაცვლად გამოდის -რა<sup>2</sup>(-ლაგ...).

ზემოთ ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ერთი და იმავე ზმნის ფუძის მაჭარმობელი აფიქსები შეიძლება დაირთავდნენ როგორც -იტ, ისე -ნ ფინიტობის სუფიქსებს (იხ. ტაბ. II). მაგ:

სცა-ტე-ეტ	სცა-ტა-ნ
სცა-ტე-ჟტ	სცა-ტა-ნ
სცა-შა[ა]-[ე]ტ	სცა-შა-ნ და სხვ.

ამავე წესით მოსალოდნელი იყო მყოფადის აფიქსი (ე. ი. „-რა“) + -იტ; + -ნ (-ნ როგორც ვიცით, ნამყო დროში გვხვდება, მაგრამ გარკვეული შინაარსით, —პირობითობის შინაარსით იგი შეიძლება მყოფადის ფუძეს და ერთს და მოგვცეს „შეპირობებითი“ ფორმა ნამყოს შინაარსით. შდრ. მყოფადი II—დცა-ზა-ტ— „ალბათ წავა“ და მის ინფინიტურ დცა-შა ფუძეზე -ნ-სა დართვით მიღებული „შეპირობებითი“ ფორმა დცა-შა-ნ— „ალბათ წავიდოდა“. შდრ. ანალოგიური წარმოება ქართულში მყოფად. „გავაკეთებ“ და პირობებაკეთებ-დი...).

თუ მყოფადი პირველის ინფინიტურ ფორმას, რომელშიაც დროის აფიქსად -რა გამოდის, -ნ სუფიქსს დავურთავთ, მივიღებთ კიდეც პირობითი შინაარსის მქონე დცა-რუ-ნ (← დცარან) ფორმას, რომელიც ყველა მქედევარს კილოებში შეჰქავს. წარმოების მიხედვით იგი დცა-შა-ნ-ის გვერდით მოქცევა. „დცა-შა-ნ“-იც პირობითს შინაარს გაღმოსცემს, მაგრამ იგი დროებში შეჰქავთ ხოლმე (იხ. ბორკის სქემა).

<sup>1</sup> გამოიყენება კონიუნქტივის ფუნქციით.

<sup>2</sup> -რა სუფიქსი კავშირშია პირობითი კილოს -რ(ა) აფიქსთან და მასდარის -რა მაწარმოებელთან.

„დცაშან“-ს აქცევენ დროთა წყებაში იმიტომ, რომ საპირისპირო -იტ სუფიქსით ნაწარმოები—დცაშატ—მყოფადი დრო მოგვეპოვება. ხოლო ასეთი -იტ-სუფიქსიანი „დცარუნ“-ის საპირისპირო ფორმა თითქოს არ გავგაჩნია.

ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ „დცა-რა-სა და „დცა-რა-ნ“ ( $\leftarrow$ დ-ცა-რა-ნ)“-ის საპირისპირო -იტ-სუფიქსიანი წარმოება უნდა იყოს კონიუნქტივი: დც(ა)ა-რტ— „წავიდეს!“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ტაპანთურისა და აშხარული დიალექტების მონაცემები. ტაპანთურში კონიუნქტივის გავრცელებული ფორმაა -რ(ა)-ჭა-რდ||რ(ა)-ჭა-რდ სუფიქსის მქონე<sup>1</sup>. იგივე სუფიქსი აშხარულ დიალექტშიაც დასტურდება პარალელურ სახეობად.

ასე, რომ აღნიშნულ დიალექტებში კონიუნქტივის წარმოება მყოფადის -რა სუფიქსის მქონე ფუძეს გვავარაუდებინებს.

რადა არის ის -ჭა- $\rightarrow$ -ა, რომელიც აღნიშნულ ფორმაში გვხვდება? ამაზე-დაც გარკვეული პასუხი შეიძლება მოგვცეს აშხარულში დიალექტში.

აშხარულ დიალექტში I მყოფადის ინფინიტურ ფუძეში გაბატონებულია -რა სუფიქსი. პირაქეთა დიალექტებსა და ტაპანთურშიაც აგრეთვე გვაქვს -ლა-გ||ლა-კ რთული სუფიქსიც, რომელიც შედგება -ლა ელემენტისაგან და -გ-გ ნაწილაკისაგან. აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავში იგი ჩვეულებრივ არ გვხვდება. მის ადგილას გვაქვს -ა-კ (დანც-ა-კ—„როცა წავა“). სწორედ ეს -ა-კ ( $\leftarrow$ ჭა) მყოფადი დროისა უნდა გვქონდეს პირაქეთა დიალექტების კონიუნქტივის წარმოებაში (დცაარტ).

იმავე აშხარულ დიალექტში I მყოფადის ინფინიტურ ფორმაში კონტა-მინირებული -რ-ა-კ (დანც-რა-კ—„როცა წავა“) ან კიდევ—ლააკ-გგ-ც კი შეიძლება შეგვხვდეს<sup>2</sup>. იგი შესაფერისია ტაპანთურის კონტამინირებული „დცა-რა-რდ“ წარმოებისა.

მრიგად, მყოფადის ინფინიტური ფორმის საწარმოებლად აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში გამოიყენება სუფიქსები -რა, -ლა(-გ-), -ჭა- $\rightarrow$ -ა. მათგან -რა და -ლა (მცირეოდენი ნიშანსური თავისებურებებით) გავრცელებულია მყოფადის ფუძეში პირაქეთა დიალექტებში და ტაპანთურში. აშხარული დიალექტისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ამ ფუნქციით სუფიქსი -ა-კ ( $\leftarrow$ ჭა)<sup>3</sup>.

აქედან პირაქეთა დიალექტებში კონიუნქტივის წარმოებისას ალებულია მყოფადის ფუძეს ის სახეობა, რაც აშხარულისთვისაა დამახასიათებელი: დცაარტ (შდრ. აშხარ. დანც-ა-კ—„როცა წავა“), იგივე შეიძლება შეგვხვდეს აშხარულშიაც.

ტაპანთურში (და მისი გავლენით აშხარულშიაც) კონიუნქტივის საწარმოებლად აღებულია I მყოფადის ის ფუძეც; რაც პირაქეთა დიალექტებისათვის და ტაპანთურისთვისაა დამახასიათებელი (ე. ი. -რა-სუფიქსიანი) და ისიც, რაც აშხარულისათვის არის ნიშანდობლივი (ე. ი. -ჭა- $\rightarrow$ -ა-კ სუფიქსიანი). ამ ნიადაგზე წარმოქმნილა კონტამინირებული—ორი ერთგვარი სუფიქსის მქონე—კონიუნქტივის ფორმა ტაპანთურში (და აშხარულში): დცა-რა-რდ (=პირაქ. დც-ა-რდ“-ს).

<sup>1</sup> იხ. ავტორის: ტაპ. დიალექტი, გ. 45, გვ. 173.

<sup>2</sup> დაწერილებით იხ. ავტორის: აშხარ. დიალექტი, გ. 41.

<sup>3</sup> -ჭა-კ  $\rightarrow$  -ა-კ სუფიქსში -კ მიღებულია -გ-გ ნაწილაკისაგან დაყრულებით.

მყოფადისა და კონიუნქტივის კავშირი, რომ ბუნებრივი მოვლენაა, ამას ადასტურებს ქართული ენაც. ძველ ქართულში სხვა მყოფადი არც იყო, თუ არ კონიუნქტივი.

-ნ სუფიქსით ნაწარმოებ დროებს აშეარად ნამყოს გაღმოცემა ეკისრება. იმის გამო, რომ -ნ სუფიქსს ორი ფუნქცია აქვს დაკისრებული: ნამყო დროისა და ფინიტობისა, სათანადო ინფინიტურ ფორმებში -ნ სუფიქსი ჩამოშორდება და ნამყო დროის გამოსახატვად ინფინიტურ წარმოებებში გამოვლინდება სუფიქსი -ზ (იხ. ტაბ. V).

ამ მხრივ საგულისხმოა უარყოფით ფორმათა წარმოება (იხ. ტაბ. V). უარყოფით-ფინიტური წარმოებები სხვადასხვაობას ამჟღავნებენ აფხაზურში<sup>1</sup>. -ნ სუფიქსით ნაწარმოებ დროებში უარყოფით-ფინიტურ წარმოებაში ფინიტობისა და ნამყობის -ნ სუფიქსი ჩამოშორებულია, ფუძედ აღებულია ინფინიტური წარმოების -ზ-სუფიქსიანი ფორმა და თან ერთვის ფინიტობის. -ით აფიქსი: დცომ-ზ-ტ ← დცა-შა-მუ-ზ-ტ — „არ მიდიოდა“ (შდრ. ფინიტ-დალებ. დცონ) და სხვ.

უარყოფითმა ფინიტურმა წარმოებამ აშეარა გახადა -ნ მაწარმოებლის. ორგვარი ფუნქცია: -ზ-ს შესაფერი (ნამყო დრო), -იტ<sup>2</sup>-ის შესაფერი (ფინიტობა).

რაც შეეხება თვით -ზ და -ნ აფიქსებს, -ზ აფიქსისთვის თავდაპირველად დროის გამოხატვა არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი (ამის შესახებ ცალკე!). -ნ აფიქსსაც დროის გამოხატვა (და ისიც ამ დროის ფინიტურობისა) შემდგომ უნდა დაკისრებოდა.

იგი აბსოლუტივის ფუნქციის გამოხატველი ჩანს უფრო ადრეულ საფეხურზე. დრო მის საფუძველზეა ჩამოყალიბებული (შდრ. აბსოლუტივის -ნგ და ნამყო დროის -ნ; შდრ. აბსოლუტ. -უა და აწმყო დროის -უა, წარმოშობით მას -ნა სახე უნდა ჰქონოდა, რასაც ადასტურებს სათანადო წარმოებათა დიალექტური ფორმები)<sup>3</sup>.

-პ აფიქსით დინამიკურ ზმნებში I მყოფადი იწარმოება: დცა-პ—„წავა“.. ორგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი აშავე დროს ფინიტობასაც გაღმოსცემს; ინფინიტურ წარმოებებში კი -რა-ჭა—→ -აა, -ლა-გ... გვევლინება (იხ. ზემოთ).

ტაპანთურ დიალექტში -პ-ს გვერდით არსებობს და უფრო გავრცელებულიცა მისი მჯდერი -ბ სახეობა (დცა-ბ||დცა-პ). -პ(II-ბ) აფიქსი მყოფადის ფინიტური ფორმისა იგივე აფიქსი უნდა იყოს, რაც სტატიკური ზმნის აწმყოს ფინიტური ფორმის აფიქსი (დჯოუ-პ; შდრ. ტაპ. დეცა-ბ...).

იგი უნდა უკავშირდებოდეს თავისი მჯდერი სახეობით ქართულის ა-ე-ბ, -ო-ბ აწმყოს თემის აფიქსს.

იგივე აფიქსი გამოიყენება თურმეობითი I-ის საწარმოებლად: დცა-ზაა-პ—„წასულა“ (შდრ. თურმეობითი II დცა-ზაარგ-ნ). საყურადღებოა თვით თურმეობითის წარმოება აფხაზურში.

<sup>1</sup> იხ. ავტორის: ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V.

<sup>2</sup> აშხარული და ტაპანთური დიალექტები ამავე ფუნქციით -გე- „კიდევ“ დადასტურებით ნაწილაკსაც უმატებენ. იხ. ავტორის: ტაპ. დიალ. გვ. 160.

<sup>3</sup> ამ საკითხების შესახებ იხ. ავტორის: აფხაზური გარდამავალი. ზმნის უსუბიერქო ფორმები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, გვ. 4 და შემდეგ.

I და II თურმეობითის ფორმები საკმაოდ გავრცელებულია აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში. მათი სუფიქსები შეიძლება სხვა დროებსაც და ერთოს და სხვადასხვა დროთაგან აწარმოოს თურმეობითი (იხ. ტაბ. IX).

აბაზურ დიალექტებში თურმეობითის ფორმები იშვიათად გვხვდება და ისიც უმთავრესად ალბათობისა და მყოფადის შინაარსით. ჩვეულებრივია ალწერითი წარმოებები.<sup>1</sup>

თურმეობითი საერთოდ ახალი წარმონაქმი ჩანს. ის ფორმა კი, რაც მას აქვს გამოყენებული, წარმოშობით განგრძობითობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

ამ ფორმასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ ის სახეობა, რომელიც სტატიკურ ზმნებს ახასიათებს დრო-კილოთა დინამიკური ფორმების საწარმოებლად. ესაა -ზაა- აფიქსით გართულებული ფუძე სტატიკური ზმნებისა (იხ. ტაბ. XI). ამ შემთხვევაში გვაქვს სტატიკური ზმნის ფუძე +ზაა+ დრო-ისა და ფინიტობის აფიქსები. ამ ნიაღაგზე იწარმოება ფორმები: სუკა-ზაა-ტევტ, სუკა-ზაა-ტან და სხვ. ეს -ზაა მასლარშიაც იჩენს თავს ა-ყა-ზაა-რა||ა-ყა-ზა-რა — „ყოფნა, არსებობა“.

თურმეობითი სუკა-ზააპ („ვყოფილვარ“), ისე როგორც სუკა-ზაა-ტევდტ („ვიქნები“) და სუკა-ზაა-ტან („გიმყოფებოდი, ვიქნებოდი“) თავისი ფუძით გარკვეული დროის, კერძოდ, მყოფადის ფორმა უნდა იყოს. ამიტომაც ჩვენ მიერ მოცემულ ტაბულაში I მყოფადი და I თურმეობითი ერთად გვხვდება (იხ. ტაბ. XI).

თვით -ზაა სუფიქსი რთული შედგენილობისა ჩანს. მასში უნდა შედიოდეს ერთი მხრივ -ზა- და, მეორე მხრივ, -აა (←ჲა. -აა (←ჲა) სუფიქსი იგივე ელემენტია, რაც დადასტურდა კონიუნქტივისა და I მყოფადის წარმოებაში (იხ. ზემოთ) და რომლის შესატყვისად მყოფადის ინფინიტურ ფორმაში პარალელურად -ლაგ-ც მოგვევლინა.

აღნიშნული -აა (←ჲა)-სა და -ლა-ს ერთიანობისა და ხსენებულ წარმოებათა ისტორიის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ტაპანთურში სტატიკურ ზმნათა სათანადო წარმოებებში გვაქვს არა -ზ-ჲა→ -ზ-აა, არამედ -ზ-ლა: -აყა-ზ-ლა-რა- — „ყოფნა“ (შდრ. აყა-ზ(ა)-რა) დევა-ზ-ლაპ=დევა-ზაა-პ, დევა-ზ-ლ-უშატ—დევა-ზაა-შატ და სხვ.

აქაც იგივე -ლა სუფიქსი გამოვლინდა, რაც გვაქვს I მყოფადის ინფინიტურ ფორმაში (შდრ. დანცა-ლა-გ); აქაც იგივე -აა (←ჲა) შეცვალა მან ტაპანთურში, რაც მყოფადის ინფინიტურ ფორმას ახასიათებდა აშხარულში: დანც-აა-კ (იხ. ზემოთ!).

აღნიშნული -ლა სუფიქსი საერთოა ხოლმეობითობის -ლა სუფიქსთან (შდრ. დცოდტ—, მიდის“ და დცალოდტ— „მიდის ხოლმე“) და გვხვდება სტატიკურ ზმნათა ბრძანებითის ფორმაში ტაპანთურ დიალექტში (მაგ., უგლა-ზ-ლა!— „იდექ“!)<sup>2</sup>. გვრჩება განსახილველი -ზა სუფიქსი. იგი განსაკუთრებით სტატიკურ ზმნებს ახასიათებს. მისი სტატიკური ზმნის ფუძეზე დართვა აძლევს საშუალებას სტატიკურ ზმნას დრო-კილოთა მდიდარი ფორმები აწარმოოს. მის გარეშე, მაგალითად, შეუძლებელია პირობითის, მიზან-პირობითისა.

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ავტორის: ტაბ. დიალექტი, § 46, გვ. 155.

<sup>2</sup> იხ. ავტორის: სტატიკური. და დინამიკური ზმნები აფხაზურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. VI. გვ. 269.

და სხვა ფორმების წარმოება. იგივე -ზა თავს იჩენს თურქობითშიაც (დუა-ზ(ა)-პ), რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა განგრძობითობა<sup>1</sup>.

ეგევე -ზა თავს იჩენს დინამიკურ ზმნებშიაც (თურქობითებისა და) კი-ლოების წარმოების დროს.

ამასთან დაკავშირებით განხილვას პირობითი კილოს საკი-თხი. პირობითი კილოს სუფიქსია -რ, რომელიც დაკავშირებული ჩანს მყოფა-დის ინფინიტური წარმოების -რა სუფიქსთან და მასდარის -რა სუფიქსთანაც (იხ. ზემოთ). მასაც ა ხმოვანი უნდა ჰქონოდა<sup>2</sup>. პირობითი კილოს აფიქსი -რ ერთვის დინამიკური ზმნის ფუძეს (დუა-რ—„რომ წავიდეს, თუ წაეგა...“). ასეთად ნაწარმოებ პირობითი კილოს ფორმას სხვადასხვა დროის გადმოცემა არ შეუძლია (მისი დროული გაგება შეხამებულია მომდევნო ზმნის დროსთან). არა გვაქვს \*დცორ, \*დცა-არ და სხვ. ამითია გამოწვეული ის, რომ -იტ ფი-ნიტობის სუფიქსით გაფორმებულ დროთა ტაბულაში (იხ. ტაბ. III) გამოხა-ტულება ვერ ჰპოვა პირობითმა კილომ. -იტ სუფიქსით გაფორმებულ (ფინი-ტურ) დროებს არ შეუძლიათ თავიანთი ინფინიტური ფუძილან პირობითი კილოს წარმოება. ამიტომაც პირობითი კილოს ეს სახეობა—დცა-რ—მოექცა-პ-თი ნაწარმოები დროების ინფინიტურ ფუძეში. იგი წარმოადგენს I მყო-ფადის ინფინიტურ ფუძეს.

დანარჩენ შემთხვევებში—როცა სხვადასხვა დროიდან არის პირობითი კილო საწარმოებელი, ან საწარმოებელია იგი სტატიკური ზმნიდან—გამოი-ყენება რთული -ზა-რ სუფიქსი. პირობითი შინაარსი აქაც -რ სუფიქსთან არის დაკავშირებული, -ზა კი ზემოთ განხილული სუფიქსია. იგი აუცილებელი კომ-პონენტი ხდება დროთა კილოური ფორმების საწარმოებლად. პირობითი კი-ლოს საწარმოებლად ეს სუფიქსი უთუოდ ახლავს დროებს. ამდენადვე ვფიქ-რობთ, რომ -ზა-რ სუფიქსით ნაწარმოები პირობითი კილო მოეპოვება ჭველა-ნ ფინიტობის სუფიქსის მქონე დროებს (იქნება ზმნა სტატიკური თუ დინა-მიკური). იხ. ტაბ. VI.

რამდენადც კილოთა წარმოებისას გამოიყენება ხოლმე აფხაზურში ინ-ფინიტური ფუძეები, ამდენადვე უდავოა, რომ ეგევე -ზ(ა) ელემენტი უკავშირ-დება ნამყო დროის -ზ სუფიქსს, რომელიც -ნ ფინიტობის აფიქსს ცვლის ინ-ფინიტურ წარმოებაში (იხ. ტაბ. VII).

ამრიგად, პირობითი კილოს ფორმა არა აქვს -იტ ფინიტობის სუფიქსი-ან დროებს, -პ ფინიტობის სუფიქსიანი მყოფადი დრო (თავისი ინფინიტური ფუძით) საფურცელია პირობითი კილოს მარტივი სახეობისათვის (დცა-რ); სხვადასხვა დროის პირობითი კილო მოეპოვება მხოლოდ -ნ ფინიტობის სუ-ფიქსით ნაწარმოებ დროებს (დუაზარ; დცა-ზარ; დცოზარ, დცა-ზარ და სხვ.).

პირობითობის გადმოცემის სხვა საშუალებებიც არსებობს აფხაზურ-აბა-ზურ დიალექტებში. ტაპანთურში გვაქვს აგრეთვე რთული სუფიქსი -რგ-ჭიგ-ნ (თავისი ფონეტიკური ვარიანტებითურთ). მასში პირობითობის -რ სუფიქსის გარდა მონაწილეობს (ა)კაზნ→ ქიზნ—„იყო“ მეშველი ზმნა. ტაპანთურში გვაქვს აგრეთვე -(ზ)-თგნ რთული სუფიქსი, რომლის -ზ ელემენტი, ალბათ, ზეპოგან-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გვ. 267—269.

<sup>2</sup> სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტების შესახებ დასუეტებში იხ. ავტორის: ტაბ. დია-ლექტი, § 49, გვ. 167 და შემდეგ; აშხარ. დიალექტი, § 43, გვ. 170 და შემდეგ.

ხილული სუფიქსია, პირობითი შინაარნისთვის კი გვხვდება -თგნ<sup>1</sup>. მას შეუძლია სხვადასხვა ღროთაგან აწარმოოს პირობითი კილო (შდრ. ზარ). ამ სუფიქსთან გარკვეულ კავშირში უნდა იყოს პირაქეთა დიალექტებშიც ხმა-რებული (შედარებით იშვიათად) შემდეგი წარმოებები -(%)-თ-გ-გ სუფიქსის შემცველი:

მომოუ, დად, სხიშე  
უაჟაზარ აკიხაპ აკე  
აფშა ჭახხა-ზ-თ-გ-გ  
ხარწესიტ აბლ-ე

არა, შეილო, პატარავ,  
ალბათ რაღაცამ მოგატყუა  
ქარმა ეტყობა გაიღვიძა (თუ გაიღვიძა)  
დაარხია ფოთოლი

...უჯ 210,528 ნუჯ მაათ ყანაწ-ზ-თ-გ-გ 1946 შეგვისაზუ ინაძოტ 1,589,350 ნუზე მაათ—„...ის (რაღაც) 210, 528 თას მანეთს თუ აღწევ-და (თუ აკეთე ბდა), 1946 წ. მიაღწევს 1,589 350 ათას მანეთს<sup>2</sup> და სხვ. ასეთი წარმოებები გვხვდება -ზ- სუფიქსის გარეშეც (იყანაწოთგ-გ და სხვ.).

ზემოგანხილული -ზ[ა] სუფიქსი იმავე ფუნქციით, რა ფუნქციითაც იგი პირობითი კილოს ფორმებში გვევლინებოდა, მონაწილეობს კონიუნქტივისა, სტატიკური ზმნების ბრძანებითისა და თურმეობითის ფორმებში.

-აა-ეტ სუფიქსი კონიუნქტივისა, როგორც ზემოთ ვნახეთ, იგივე მყოფადის ფუძეა -იტ სუფიქსდართული (დცაადტ), ამიტომაც მას მუდამ მყოფადის შინაარსი აქვს და არც შეუძლია: სხვადასხვა ლინამიკური ზმნის ღრიოს ფორმებს დაერთოს -ზ(ა) სუფიქსის გარეშე. -ზ(ა) სუფიქსის დართვითვე შეუძლია მას კონიუნქტივი აწარმოოს სტატიკური ზმნებიდან (დცა-ზაადტ), იხ. ტაბ. XI.

კონიუნქტივთან ერთგვარ კავშირშია ბრძანებითის შინაარსიც. ბრძანებითი, როგორც ვიცით, აფხაზურში დინამიკურ ზმნებს აორისტის ინფინიტური—მარტივი—ფუძილან აქვს ნაწარმოები (უცა!—„წალი“!)<sup>3</sup>.

სტატიკურ ზმნებში კი გამოიყენება იგივე -ზ(ა) სუფიქსი (უცა-ზ!—„იყავ“), რომელიც განგრძობითი ასპექტის შინაარს გადმოსცემს. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ტაპანთურ დიალექტში მას ხოლმეობითის -ლა-ც ერთვის (უცა-ზ-ლა!)<sup>4</sup>.

ბრძანებითი კილო II პირს ახასიათებს. სხვა პირებში კონიუნქტივია გამოყენებული (შდრ, ბრძ. უცა!—„წალი“, მაგრამ კონიუნქტ. დცაადტ!—„წავიდეს!“ უცაზ!—„იყავ“, მაგრამ კონიუნ. დცა-ზ-აა-ეტ!—„იყოს“!), ოღონდ სტატიკურ ზმნებში ხშირია შემთხვევა სხვა პირებშიაც პარალელურად ბრძანებითის ფუძე იქნეს გამოყენებული: დცა-ზაადტ||დცაზ!— „იყოს“, სცაზაადტ! || სცაზ!— „გიყო“ და სხვ. საფიქრებელია ასეთ შემთხვევებში ჩამოშორებულია კონიუნქტივის -აადტ სუფიქსი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, -ზა სუფიქსის დართვით უკვე კონიუნქტივი შეიძლება იწარმოებოდეს სხვადასხვა ღროთაგანაც (მაგ., დცოზაადტ,

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. ტაბ. დიალექტი, გვ. 169—171. მას პარალელები უნდა გააჩნდეს მრათესავე ენებში.

<sup>2</sup> დ. გულია, იჯგმთაქუა, 1947, გვ. 104.

<sup>3</sup> გაზეთი „ათსეუ ყაფშ“, 1946, 18 სექტ.

<sup>4</sup> განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისალმებათა ფორმულები: „ბზია უბეგატ“— „კეთილი ნახე“, „ბზია უუგატ“— „კარგი ქმენ, იმუშავე“ და სხვა მრავალი, რომლებშიც გამოყენებულია აორისტის ფინიტური ფორმა.

<sup>5</sup> იხ. ავტორის: სტატიკური და დინამიკური ზმნები აფხაზურში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, გვ. 269.

და სხვ.) აღნიშნული კონიუნქტივის ფორმისაგან -ააშტ აფიქსის ჩამოშორებით (სტატიკური ზმნების „დჯაზ“, სგუაზ“ ფორმების მსგავსად) უნდა იყოს მიღებული ზოგი იშვიათი ფორმა, რომლებსაც ჩვენი მთქმელები დინამიკურ ზმნაში ბრძანებითი შინაარსით ხმარობდნენ: უკანაზოდ! — „დაჭვნებოდი!, უკაფხოდ! — „გაანათებდი“ „ინათებდე“ (მზის მიმართ) და სხვ.<sup>1</sup>

კონიუნქტივის, თურმებობითისა და პირობითი კილოს განალიზების შემდეგ ნათელია, რომ ყველა მათგანს მყოფადის ინფინიტური ფორმის -ა → ჩა, -რა || (-და) სუფიქსები ახასიათებს, ოღონდ კონიუნქტივს -იტ სუფიქსი ემატება, თურმებობითს კი -პ.

ამავე დროს სტატიკურ ზმნებში და მათთან გათანაბრებულ -ნ ფინიტური აფიქსით ნაწარმოებ ღინამიკურ ზმნებში საფუძვლად აღებულია -ზ სუფიქსის შემცველი ინფინიტური ფუძე.

როგორც გარკვეული გვაქვს, მიზან-პირობითი კილო აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში იწარმოება პირობით კილოზე (იგივე მყოფადის ინფინიტური წარმოება, იგივე მასდარის ფორმა) ვითარების -ც' (|| ← ს'), -ნ აფიქსების ან -ზ'გ (-ზ'გ) თანდებულის დართვით (დცარც||დც'არაც'გ||დცარნც||დცანც|| დცარანგ|| დცარგ...|| დცარაზ'გ... — „რათა წავიდეს“) და სხვ.<sup>2</sup>

მყოფადის (როგორც I, ისე II-ის) ინფინიტურ ფუძეზე ნამყოობის. -ნ სუფიქსის დართვით მიიღება ისევ პირობითი შინაარსის ფორმა, რომელსაც ჩვენ „შეპირობებითს“ ვუწოდებთ (დცარუნ, იყავ დწან...).

მრავლად გვხვდება აფხაზურში სხვა რთული წარმოებებიც. მაგ., მყოფადის ინფინიტურ ფუძეზე (იმავე პირობითი კილოს ფუძეზე) მეშველი ზმნის (აუპ, აკაგპ, ათაკპ) დართვით მიიღება კატეგორიული შინაარსის მყოფადის ფორმა — დცარ აუპ — „უნდა წავიდეს“... იმავე ფორმაზე მეშველი ზმნის ნამყოს დართვით მიიღება იმავე კატეგორიული შინაარსის ნამყო — დცარ აკაგნ — „უნდა წასულიყო“ და სხვ.

ნატერითი კილო იწარმოება -ნდა სუფიქსის დართვით სხვადასხვა დროთა ინფინიტურ ფუძეზე (იხ. ტაბ. IV, V), ოღონდ აქ აღნიშვნას მოითხოვს შემდეგი გარემოებები: სტატიკური ზმნის აწმყოში იგი ზმნის ფუძეს ერთვის აწმყოსეული უ სუფიქსის გარეშე (შდრ. დჯა-ნდა—„ნეტავ იყოს, იქნეს), და ნამყო დროთა ინფინიტური ფუძის -ზ დაისმის არა -ნდა-ს წინ, არამედ მის შემდეგ (დჯა-ნდა-ზ).

მისი გენეზისი მთლად ნათელი არაა. ზომ არ უკავშირდება ეს ნაწილაკი ქართ. „ნეტა“ სიტყვას (მეგრ. ნოტე). რასაც აფხაზურში ხმოვნის რედუქციით შეეძლო მოეცა ნტა→ ნდა (?).

ტაპანთურ დიალექტში (ასევე აშხარულშიაც) -ნდა-ც არის და -ნდა-რა-ც ნატერითი კილოსათვის. ეს -რა შესაძლოა უკავშირდებოდეს მყოფადისეულ -რა-ს, თუმცა ამავე კონტექსტში ყურადღებას მიიქცევს ქართული ნატერის გამომსატველი სიტყვა „ნეტარ“ (ნეტარება) — სახეობით.

აფხაზურ ენაში ბლობად მოიპოვება სხვადასხვა ნაწილაკები, რომელთაც გარკვეული კილოური ნიუანსის შექმნა ეკისრებათ. ერთი ასეთი სუფიქსთაც.

<sup>1</sup> ასეთივე შინაარსის გადმოსაცემად უფრო გახშრებულია თავისუბური წარმოება კითხვითი ფორმისა, რომლის ფუძედ გამოყენებულია ინფ. მყოფად-პირობითის ფუძე ნამყო უსრულის სუფიქსითურთ: იუპ არაუ ე ე და წილი!“ და სხვ.

<sup>2</sup> დაწვრილებითი ის. ავტორის: მიზან-პირობითი კილოს წარმოებისათვის აფხაზურ დიალექტებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება II, 1948; აშხარული დიალექტი... გვ. 174—177.

განია თითქოთბითის მაწარმოებელი -შია, რომელსაც პ. უსლარი მოჩვენებითს ფორმას (Призванием форма) უწოდებს. იგი ერთვის სხვადასხვა დროის ინფინიტურ ფუსტს:

აწყო—ცასპია ირუა-შია<sup>1</sup>— „თითქო განგებ აკეთებს“-ო, უი ატიგ იმა-ჰადა-ცუ-შ-შია<sup>1</sup>— „მას იმის შესახებ თითქო ჯერ არ გაეგონა“ და სხვ.

ოლონდ ეს მიმსგავსებითობის გამომხატველი აფიქსი ჩვეულებრივ გვხვდება სახელებთანაც, მაგ.: ტამა-შია ირბეგტ— „საოცრებად (საოცრებასავით) ნა-ხეს, მოეჩვენათ“. იგვე გვაქვს მეტყველების აღმიშვნელ სიტყვებში: აფს-შია— „აფხაზური“, აბჭ-შია— „მეტყველება“, და სხვ. მრ.

ვიღრეობითის შინაარსით გვხვდება -ნაწა ნაწილაკი. იგი ერთვის ინფინიტურ ფუსტს დროებისა (სტატიკურ ზმნაში ნატვრითი კილოს მსგავ-სალ,— ოდენ ფუსტს). მაგ.:

...ჩიუთნებიასი, ჩიუთხაშაგასი ტარა იუზხოუპ უყა-ნაწა<sup>2</sup>— „საკიცხავად, შე-სარცხვენად შენ გეყოფა სანამ (ვიღრე) ხარ“. და სხვ.

დამეც ლეტარსა დციაჟიო-ნაწ იხე ლარყინგ დტიან<sup>3</sup>— „დამეი, სანამ (ვიღრე) ლევარსი ლაპარაკობდა, თავ-დახრილი იჯდა“ და სხვ.

-ნაწა— -ნაწ სუფიქსი (რომელიც ზმნისართებშიაც გვხვდება: შდრ. ზაა-ნაწ— „აღრე“, ბზანწგუ— „არასოდეს“ და სხვ.) სხვადასხვა ფონეტიკური ვა-რიანტით გვხვდება დიალექტებში. მას პარალელები დაეძებნება მონათესავე ენებშიაც (კერძოდ, უბისურში)<sup>4</sup>.

ასეთივე ნაწილაკია -იუთეჲ (— „მის შემდეგ, რაც“), რომელიც დროთა ინფინიტურ წარმოებებს ერთვის. იგი სახელებთანაც შეიძლება შეგვხვდეს მაგ., ეც-იუთეჲ— „გუშინს აქეთ“ და სხვ.

-ჴა სუფიქსით გამოიხატება გარკვეული შედარებითი შინაარსი. წარმო-შბით იგი „მეტ“ სიტყვის ძირს უკავშირდება (შდრ. და-ჴა). გვხვდება ზმნის სხვადასხვა ინფინიტურ ფორმებზე დართული. მაგ., აფსუ დუზგბზატიუა-ჴა იყალაზ უზხნურპიუამ<sup>5</sup>— „როგორც მკვდრის გაცოცხლებას ვერ შეიძლებ— (მეტად) რაც მოხდა, მას ვერ დააბრუნებ“. და სხვ.

ასეთი ნაწილაკები სხვაც ბლომად მოეპოვება აფხაზურ-აბაზურ დიალექ-ტებს. სათანადო ადგილას მითითებული გვაქვს მათზე და აქ აღარ გამოვუდგებით.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ დრო-კილოთა ძირითადი მაწარმოებლები. ამო-სავალი პრინციპი მათ დაჯგუფებისას იყო წარმოების პრინციპი. აღნიშნული დრო-კილოები დაჯგუფდა სამი ფინიტობის— -იტ(// -იდ), -ნ, -პ(// -ბ)— აფიქსის მიხედვით. -ი-ტ// -ი-დ, ოდენ ფინიტობის აფიქსია და შესაძლებელია ამდენად-ვი ყველა დროის ფორმაში გვხვდებოდეს. იგი უნდა უკავშირდებოდეს ქარ-თველურ ენათა ნამყო უსრულის -დ(// -ტ) სუფიქსს.

-ნ ფინიტობის აფიქსია მხოლოდ და მხოლოდ ნამყო დროში. მას მრა-ვალი ფუნქცია აქვს და პარალელებიც მოეპოვება მონათესავე ენებში. -პ// -ბ ფინიტობის აფიქსია აწყობასა (სტატიკ.) და მყოფადში. -ნ-სა და -პ// -პ-ს, მა-შასადამე, ფინიტობასთან ერთად დროის გადმოცემაც ეკისრება. მათი დრო-

<sup>1</sup> დ. გულია, აუთაბუ კაჭეჭუა, გვ. 17.

<sup>2</sup> ი. გ. პაპასკირი, ხეგმურ ლემპა, გვ. 45.

<sup>3</sup> დ. გულია, ივემთაჭუა, გვ. 101.

<sup>4</sup> ი. გ. პაპასკირი, ხეგმურ ლემპა, გვ. 26.

<sup>5</sup> ი. გ. ტაბაშირი, გვ. 118—119; აშხარ. დიალ. გვ. 204.

<sup>6</sup> ი. გ. პაპასკირი, ხეგმურ ლემპა, გვ. 56.

ული გაგების გაღმოცემის ფუნქცია მეორეული უნდა იყოს. აღნიშნული აფიქ სი უნდა უკავშირდებოდეს ქართულის აწყობის ფუნქციების -ებ-, -ობ- სუფიქსს.

აღნიშნულ ფინიტობის აფიქსთაგან -პ||-ბ ყველაზე ნაკლებ გავრცელებულიცაა და შედარებით ახალი ფორმაციისა უნდა იყოს.

გასარკვევია, რა კავშირში უნდა იყვნენ ფინიტობის აფიქსები დეტერმინანტ სუფიქსებთან.

აორისტი ყველაზე უძველესი და თან მარტივი ფორმაა. სხვა დროის ფინიტობი მასზეა დაყრდნობილი სხვადასხვა დროული შინაარსის მქონე სუფიქსების მეშვეობით (-ჲა, -შა, -ხ'ა||-ც, -ჭა→ -აა, -რა, -ლა, -ზ), რომლებიც სათანადო დროთა ინფინიტური წარმოების ფუძეებს ქმნიან.

კილოები დაფუძნებულია ინფინიტურ წარმოებებზე.

ინფინიტურ ფუძეებზე დაფუძნებულია კითხვითი ფორმები. შერეული ფინიტურ-ინფინიტური ფუძე ახასიათებს უარყოფით-ფინიტურ წარმოებებს.

თავისებურებებით ხასიათდებიან დინამიკური და სტატიკური ზმნები.

#### К. В. ЛОМТАТИДЗЕ

### СИСТЕМА ОСНОВНЫХ ВРЕМЕН И НАКЛОНЕНИЙ В АБХАЗСКОМ ЯЗЫКЕ

#### Р е з и о м е

В работе с учетом показаний абхазско-абазинских диалектов дается анализ основных форм времен и наклонений как статических, так и динамических глаголов. Сгруппированы они по способу образования. Критерием классификации служат аффиксы финитности: -i-t(-i-d), -n, -p(-b), соответственно чему выделены три группы образований (времен):

С финитным суфф. -i-t		С финитным суфф. -n		С финитн. суфф., -p	
Аорист	dce-jt	Прошедшее неопредел.	dca-n		
Давно-прошедшее	dca-x'e-jt	Давнопрошедш. упреждающее	dca-x'a-n		
Настоящее	dca-we-jt	Прошедшее несовершенное	dca-wa-n		
Будущее II	dca-ša-t	«Обусловлен.» II	dca-šaa-n		
[Конюнктив]	dc[a]-aa-jt	{ «Обусловлен.» I Заглазное II	dca-r-on dca-zaa-r-on	{ Будущее I Заглазное I	{ dca-p dca-zaa-p

В означенных группах рассмотрены как финитно-инфинитные образования глаголов, так и отрицательные, вопросительные и т. д.

Классификация времен и наклонений по способу образования дает возможность выяснить генезис ряда форм. Так напр., выясняется, что конюнктив (dc-aa-jt); условное наклонение (dca-r) и заглазное I (dca-z-aa-p) содержат общий аффикс инфинитной основы будущего времени-aa ←-wa||-ra||-la.

Условное наклонение (*dca-r*) опирается на инфинитную основу будущего времени. Сложный суффикс *-za-r* в условном наклонении характерен только для глагольных форм, которые образованы от времен с финитным суффиксом *-n*, т. е., *-z(a)* в этих формах указывает на инфинитную основу времен с финитным суффиксом *-n* (ср. условн. *dco-za-r* от прошедшего несовершенного *dco-n*), ибо в инфинитных образованиях *-n* заменяет *-z*. По этому надо думать, что времена с финитным суффиксом *-it(-id)* как напр., аорист, настоящее, давнопрошедшее, будущее II не имеют условного наклонения. Вообще все формы с суффиксом *-z* как в статических, так и динамических глаголах образованы от инфинитных форм времен (с финитным суффиксом *-n*) и относятся к основе прошедшего времени.

Из указанных финитных аффиксов только лишь функцию финитности выполняет *-it(-id)*, а *-n* и *-p(-b)* вместе с тем выражают и времена (в финитных образованиях): *n*—прошедшее; *-p(-b)*—настоящее, (в статич. гл.)—будущее.

Указанные аффиксы имеют параллели в родственных языках, ср. в картв. яз. суффикс прошедшего несовершенного времени *-d(→ -t)*; суффикс настояще-будущего времени *-e-b*, *-o-b* и т. д.

Среди них самым малораспространенным и вместе с тем новым является суффикс *-p(-b)*. Они (*-n*, *-p || -b*) по происхождению не являлись аффиксами времен.

Самым простым и основным временем является аорист. Аорист передается чистой основой глагола (ср. инфинитную основу аориста—*dan-sa*—„когда он ушел...“). С ним совпадает и основа повелительного наклонения динамических глаголов. Аналогичные факты известны и из других родственных языков (ср. напр. груз. яз.).

На основе аориста образуются другие времена путем добавления суффиксов *-wa*, *-ša*, *-x'a||-c*, *wa→ -aa*, *-ra*, *-la*, *-z*, т. е.—суффиксов инфинитной основы соответствующих времен.

Позднего происхождения заглавные I и II. Исторически они имели дюративное значение. Такое значение они сохраняют поныне.

Основой наклонений служат инфинитные образования времен.

Инфинитные образования времен лежат в основе также вопросительных форм и др.

Мешанная финитно-инфинитная основа характерна для отрицательных форм глаголов.

В статье даётся анализ и ряда других образований.

## ၁၃. ရုပ်ဖန်တော်မြတ်ခွဲလေ

ଲୂପରୀଳିତାକୁ ଉପରେ ଦେଖିବାକୁ ପାଇଁ ଏହାକିମ୍ବା କାହାରେ ନାହିଁ

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შაგნით გამოიყოფა ლაბიალიზებული ანნერციული მქონებლობით დახსიათებული კილო-თქმების ერთი რიგი. დიალექტთა მეორე რიგში კი ფართოდაა გავრცელებული დელაბიალიზაციის პროცესი.

დელაბიალიზაციის პროცესის რელიეფურად წარმოდგენის ნიშნის მიხედვით, მაგალითად, დარგულში, ახუშურის ტიპის კილო-თქმები უპირისპირ დება ამ ენის ყველა დანარჩენ კილო-თქმას. ამავე ტიპისაა ლაკურში ის კილო, რომელიც 3. უსლარის შრომას<sup>1</sup> დასდებია საფუძვლად. იგი უპირისპირდება ლაკური ენის ჟულის, წერას, წოვგრას და სხვ. მეტყველებას, აგრეთვე, ჰ. მურყელინსკის წერილში— „Краткие сведения о вихлиnsком диалекте“<sup>2</sup> წარმოდგენილი მასალების მთხელვით, ვიწყიურსა და ვიქლიურს, რომლებშიაც ფართოდაა წარმოდგენილი ლაბიალიზებული თანხმოვნები.

ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ქვეპირობებული აღმაგალი დიფორმნების უა და უე-ს წარმოდგენა დარგულსა და ლაპურში. უა დიფორმნების შედარებით ნაკლებად ვხვდებით, მაგალითად, დარგულში, რადგან ჰურაბულის ტიპის კილოებში ० ხმოვნის წინ წყვილბატიშიერი უ უკეალოდ იკარგის.

რაც შეეხება დამაკალ დიფორმნებს, უკანასკნელებიც დარგულში პოზი-  
ციურადაა მიღებული სიტყვათა მორფოლოგიური ან ფონეტიკური ცვლილე-  
ბის შეივარ ა და ი ხმოვნებთან ი და უ ხმოვნების შეხვედრის დროს, მაგ.:

ქუნულლი→ქუნუ-ი→ქუნუა—„ქლმა“ (ერგატ.). ლლ კომპლექსის ამოვარდნამ უ და ო ხმოვნები ერთმანეთს შეახვედრა და ამით ხელსაყრელი პირობები შექმნა იღნიშნულ ხმოვანთა დიფორმინგად შერწყმისათვის.

საჭ — საქ-ტ-ი — „ის არის (მამაკაცი)“. ამ მაგალითში ა და ი ხმოვანი ერთმანეთს შეხვდა მათ შორის მოქცეული მამაკაცთა კლასის ნიშნის ტ-ს გაუჩინარების ნიადაგზე.

ასევე პოზიციურად მიიღება აუ და იუ დამვალი დიფორმებიც, მაგალითად -ა და -ი-ფუძიან ფორმებზე კითხვითი -უ ფორმანტის დართვის შედეგიდ: აუ → აუ; იუ → იუ.

-ი ფუძიან სახელებზე მიცემითის ფორმანტის : ი ხმოვნის დართვით ვლებულობთ -ია დიფორნგს, რომელიც დარგშულის ზოგ თქმაში, მაგა-

<sup>1</sup> П. К. Услар, Этнография Кавказа: языкоизнание, VI, Лакский язык, Тифлис, 1890, Издание Управления Кавказского Учебного Округа.

<sup>3</sup> მთავრულია კრებულში „Языки Дагестана“, Махач-Кала, 1948. Издание Дагестанской Базы АН СССР.

ლითად აშტურში, ზემო ხაიდაყურში და სხვ., სიტყვის ბოლოში წარმოთქმისას ტოვებს -ე-ს შთაბეჭდილებას, სიტყვის შიგნით კი ი- — ე პროცესი არ შეინიშნება. აღნიშნული მოვლენა დისიმილაციის ნიადაგზე აიხსნება: ვიწრო ხმოვნის — ი-ს შეხვედრისას ასეთსავე ვიწრო -ე-სთან პირველი მათგანი შედარებით უფრო ფართო ხმოვან ე-ში გადადის.

როგორც ვხედავთ, დამავალი დიფთონგები დარგულში მიიღება ხმოვანთა შეხვედრის შედეგად წამოჭრილი რედუქციის პროცესის წყალობით. აღმავალი დიფთონგების უა, უე, უი-ს მისაღებად კი სავსებით საკმაოა წინამავალი ლაბიალიზებული თანხმოვნის ლაბიალური ელემენტი შეერწყას მომდევნო ა, ე, ი ხმოვნებს.

დარგულში, აგრეთვე ლაკურში, არ გაგვაჩნია დიფთონგები უო და უულაბიალური ხმოვნების — ა-სა და უ-ს წინ ლაბიალური სპირანტი ვერ ძლებს, იგი მომდევნო ო და უ ხმოვნებს შეერწყმის და გაუჩინარდება ხოლმე.

## 1

დარგული ენის დიალექტებში ლაბიალიზებული სახით შეიძლება შეგვალეს შემდეგი თანხმოვნები<sup>1</sup>:

1. სახმო სიმების ყრუ ხშული, ფარინგალიზებული ც:

  - ციანწ — „ყრუ“ (პურაბ.);
  - ცირცია — „კვამლი“ (პურაბ.) ...

2. ფარინგალური მჟღერი ხშულ-მსკდომი ჯ:

  - ჯაიანწ — „ცხვირი“ (პურაბ.)...

3. ფარინგალური ყრუ-ფშვინვიერი ხშულ-მსკდომი ჯ:

  - ჯალვია — „ცელი“ (ხაიდაყ.)...

4. ფარინგალური მჟღერი სპირანტი ჯ:

  - ჯიგშა — „თქვენ“ (წუდაბ.)...

5. ფარინგალური ყრუ, ენერგიული წარმოების სპირანტი ჰაია:

  - დურჯაა — „ბავშვი“ (პურაბ.)...

6. ფარინგალიზებული ყრუ ლარინგალური სპირანტი ჰაი:

  - ჰიი — „თესლი“ (პურაბ.)...

7. უკულარული ყრუ მკვეთრი ც:

  - ყისლი — „ძროხა“ (პურაბ.)...

8. უკანა რბილსასისმიერი მჟღერი სპირანტი. ლ:

  - ლიარი — „კვალი“ (პურაბ.);
  - მირლიან — „საბანი“ (ხაიდაყ.)...

9. უკანა რბილსასისმიერი ყრუ სპირანტი ხ:

  - ხიალალ — „დიდი“ (პურაბ.)...

10. წინა რბილსასისმიერი მჟღერი ხშულ-მსკდომი გ:

  - გიაძა — „ფაშატი“ (პურაბ.);
  - გიაც — „სუნი“ (პურაბ.)...

11. წინა რბილსასისმიერი ყრუ ხშულ-მსკდომი ქ:

  - ქიანი — „მუცელი“ (პურაბ.);
  - ქიაჭ — „თათი“ (პურაბ.) ...

<sup>1</sup> — ი ნიშნავით ალენიშნავთ წინამავალი თანხმოვნის როგორც ლა, ისე დახურულ ბილაბიალიზაციას.

12. წინა რბილსასისმიერი გემინატი ჭ: აქიარა — „არ არის“ (წუდახ.)...
13. წინა რბილსასისმიერი ყრუ მკვეთრი ჭ: კიელ — „ორი“ (პურახ.); კინტ — „ტუჩი“ (პურახ.) ...
14. ველო-პალატალური ყრუ სპირანტი ჭ: ჭიქარა — „მოკვლა“ (ხაიდაყ.)...
15. ველოპალატალური გემინირებული სპირანტი ჭ: ნიქა — „ჩვენ“ (ხაიდაყ.)...
16. ენა-ნუნისმიერი მელერი სპირანტი ჭ: ყავიჟიზ — „შეხედვა, დანახვა“ (წუდახ.)...
17. ენა-ნუნისმიერი ყრუ ფშვინვიერი სპირანტი ჭ: შაალ — „ხუთი“ (პურახ.); იშინზ — „სროლა“ (წუდახ.)...
18. ენა-ნუნისმიერი სპირანტი გემინატი ჭ: ჭავშიზ — „მოკვლა“ (წუდახ.)...
19. ენა-ნუნისმიერი ყრუ გემინირებული აფრიკატი ჩ: უააჩიე „არ იყო“ (წუდახ.)...
20. ენა-ნუნისმიერი მკვეთრი აფრიკატი ჭ: ჭიელ — „ორი“ (წუდახ.)...
21. ენა-ნუნისმიერი ყრუ-ფშვინვერი აფრიკატი ჩ: ჩიე — „ცხვარი“ (ხაიდაყ.)...
22. ენა-ქბილისმიერი მელერი ხშულ-მსკდომი დ: დიაჭ — „ქარი“ (ურახ.)...
23. ენა-ქბილისმიერი ყრუ-ფშვინვიერი ხშულ-მსკდომი თ: თააქუქის — „ფეხის გასხლტომა“ (პურახ.)...
24. ენა-ქბილისმიერი მკვეთრი ტ: ტაჭშ — „ფეხი“ (პურახ.)...
25. ენა-ქბილისმიერი ყრუ სპირანტი გემინატი ს: ნუსია — „ჩვენ“ [ინკლუზივი] (ხაიდაყ.)...
26. ენა-ქბილისმიერი ყრუ-ფშვინვიერი აფრიკატი ც: ურცია — „შეშისა“ [ნათ. ბრ.] (—ურცულ-ლა)...
27. ენა-ქბილისმიერი ყრუ-მკვეთრი აფრიკატი წ: წია — „პურისა“ [ნათ. ბრ.] (— წულილა პურახ.)...
- დასახელებულ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა შორის ყველაზე ნაკლები გავრცელებულობით წინაენისმიერები ხასიათდებიან. რიგი წინაენისმიერი ლაბი-ალიზებული თანხმოვანი, როგორიცაა: ჩი, ჩი, ჭი, ში, უი და სხვ., მიღებულია უკან წარმოების თანხმოვნების არტიკულაციის ადგილის წინ გადმოწევისა და აფრიკატიზაციის პროცესების შედეგად პალატალური ხმოვნების ე, ი და ამ ხმოვნების შემცველ უე, უი დიფთონგების წინ. არაპალატალურ ხმოვანთა და თანხმოვანთა წინ, როგორც წესი, ამოსავალ უკანა წარმოების თანხმოვნების ვხედავთ. აფრიკატებისათვის ამოსავალია უკანა წარმოების ხშულ-მსკდომები, სპირანტებისათვის —ამავე წარმოების სპირანტები (ან სპირანტოიდები)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დაწერილებით ამ საკითხე ის. ჩვენს წერილში — Фонетические особенности шудахарского диалекта ларгашского языка: кръბუлъ Языки Дагестана, Махач-Кала, 1948.

სისინა წრის კილო-თქმებში, მაგალითად, ხაიდაყურში, წინაენისმიერი ლაბიალიზებული სისინა თანხმოვნებიც რიგ შემთხვევაში პოზიციურად მიღებული ჩანს შესაბამის უკანა წარმოების თანხმოვანთაგან (შდრ. ნუქა და ნუშა წუდახარულში ხაიდაყურის ნიკა და ნისა ფორმებს და ა. შ.).

დარგულის თთქმის არც ერთ კილოში არ ვხვდებით ლაბიალიზებულ წინაენისმიერ ზი, სი, სი სპირანტებს. ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ ხაიდაყურის ზოგი თქმა წარმოადგენს. მაგ., აულ სანაჯარის მეტყველებაში დადასტურებული გვაქვს „ჩვენ“ ნაცვალსახელის ექსკლუზივის ფორმა ნისა, საღაც ლაბიალიზებული სი არის წარმოადგენილი. იშვიათად ვხვდებით ლაბიალიზებულ წინაენისმიერ ხშულ-მსკდომთაც. საილუსტრაციო მაგალითებში: **ტააში** — „ფეხი“ და **თააჭუქის** — „ფეხის გასხლტომა“ არსებითად ერთი და იმავე ძირისეული თანხმოვნის ორი ვარიანტი გვაქვს: **ტააში:** თააშ. იშვიათად ვხვდებით დარგულში ჭ და წ აფრიკატების ლაბიალიზებულ ვარიანტებსაც. ეს იმ დროს, როცა ლაკურში წინაენისმიერ ხშულთა, სპირანტთა და აფრიკატთა ლაბიალიზებული სახით წარმოადგენა ჩვეულებრივია.

როგორც დარგულში, ისე ლაკურში მეტად იშვიათია მელერ აფრიკატთა ლაბიალიზების შემთხვევები. ამას, ერთი მხრით, ხელს შეიძლება ისიც უწყობდეს, რომ კილო-თქმათა ერთ რიგში მელერი აფრიკატები არა გვაქვს და მათ ნაცვლად ყრუ გემინირებულ ც და ჩ აფრიკატებს ვხვდებით.

წინა წარმოების ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ნაკლები გავრცელებულობა დარგულში მეორული მივლენა უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში შემონახული ლაბიალიზებული ძი, ცი, წი, დი, თი, ტი (აფხაზური), ცი, ზი, წი, ზი, ცი, ჩი (ლაკური) თანხმოვნების არსებობა.

## 2

ლაკური ენის ლაბიალიზაციის მქონებლობით დახასიათებულ კილო-თქმებში შემდეგი ლაბიალიზებული თანხმოვნები დასტურდება:

1. სახმო სიმების ყრუ ხშულ-მსკდომი ც:

დაციო — „ომი, უთანხმოება“ გ — დაცი შდრ. მრ. რ. დაცი-უ; აგრეთვე 3. უსლარის შრომაში მაკაჩი იავაკ (გვ. 263) დადასტურებული ფორმა: დაცი—მრ. რ. დაცი-უ. შდრ. აგრეთვე არაბ. **دَعْوَاتٌ**

— „საჩივარი, ძიება“<sup>1</sup>;

ცთრჭ—„ბიჭი“ ( $\leftarrow$  ცარჭ);

ცთრბატი—„ბაყაყი“ ( $\leftarrow$  ცაარბატი);

ცთრჭუ—„სიცოცხლე“ გ — ცაარმუ—ცაამრუ<sup>2</sup>; შდრ. დარგ. ცაშმრუ— „სიცოცხლე“);

ცრლ—„ძროხა“ ( $\leftarrow$  ცაალ; შდრ. დარგ. ცაშლ—„ძროხა“)<sup>2</sup>...

2. ფარინგალური ენერგიული წარმოების ყრუ-ფშვინვიერი სპირანტი ჭი:

ჰაიპკა—მრ. რ.—ჰაიპკრი—, „ჩოჩორი“ (ქული). შდრ. პ. უსლარი:

ჰაიპკა—ჰაიპკრი, აგრეთვე: ჰაიპკა — ჰაიპკრი — „ჩოჩორი“ (წუშა);

<sup>1</sup> გ თანხმოვნის წარმომავლობის შესახებ აქ და მსგავს ფორმებში ქვემოთ გვექნება საუბარი.

<sup>2</sup> პ. უსლართან აღნიშნულ მაგალითებში რ ხმოვნის ადგილას ო-ს ვხვდებით. ჩვენი მასალა შეკრებილია აულების წუშას და ქულის მცვიდრთა შორის.

- ჰაიტრინი** — მრ. რ. ჰაიტრუნთიუ — „ჯაჭვის პერანგი“ 鬟 — **ჰაიტრინი** შდრ. ჰურახ. ჰაიტრინი — ჰარნი;
3. ფარინგალური მელერი ხშულ-მსკდომი ჭ:
- კალუ — მრ. რ. კალულთ — „ყვავი“; შდრ. პ. უსლ. კალუ — „კაჭკა-ჭი“ (ა თანხმოვანი ლაბიალობის დაკარგვის შედეგად ჩანს წარმოჩენილი);
- კაიაჭ — ურდუ — „ძნა“;
- კაიარქასა — „ბლაგვი“ 鬟 — კაიარქასა<sup>1</sup>; შდრ. ლიტ. დარგ. კაქსი (← კაიაქსი) — „ბლაგვი“;
- დარკოშა — „ცივი“ (წუშა);
- დერქოშა „ცივი“ (ქული);
4. ფარინგალური ყრუ-ფშინვიერი გემინატი ჭ:
- კატა — კატ-რი — „ბუჩქი“; შდრ. უსლ. კატა 鬟 — კატა;
- დაჭარ — „არ არის“ (წუშა); შდრ. დაჭარ (ქული);
- წუშასა და ქულის მეტყველებაში, ჭ — კ პროცესის სხვა კი-ლოებთან შედარებით ნაკლები გავრცელების გამო, მოსალოდნელ ჭ თან ხმოვნის მაგიერ ხშირად ამოსავალი — ჭა გვაქვს წარმოდგენილი:
5. ფარინგალური ყრუ-ფშინვიერი ხშულ-მსკდომი — ჭ:
- კია — რდუ — „ფიცი“ (წუშა); შდრ. უსლ. კია — რდუ.
- მაკია — მაკმურ 鬟 — მაკიორ! — „უკანასკნელი“ (წუშა); შდრ. უსლ. მაკსა — „უკანა“;
- აკიაზან — ნნუ — „გარგარი“ (ქული);
- კიაუტუნ — „ცეკვა“ (წუშა, ქული); შდრ. დარგ. დილკ // დირკ — „ცეკვა“...
6. ფარინგალური ყრუ-მკვეთრი ჭ:
- კატუ — „გარეთ“ „არა სახლში“ (წუშა, ქული);
- კაფა — „ქუდი“ (წუშა); შდრ. კაფა (ქული), აგრეთვე, დარგ. კაჭა (ჰურახ.); ს მიღებული ჩანს ლაბიალობის დაკარგვის შედეგად;
- კიაყა — რდუ — „ხევი“;
- კიარყიასა — „მშრალი“; შდრ. დარგ. მერლუბსე (წუდახ.);
- კულტსა — „საიდუმლო“; შდრ. უსლ. კულტსა 鬟 — ყიალტსა<sup>2</sup>...
7. უკანა რბილსასისმიერი მელერი სპირანტი ჭ:
- ლიარალ — დუ „წვიმა“ (წუშა); შდრ. უსლ. ლიარალ — დუ;
- უკანა რბილსასისმიერი ყრუ გემინირებული სპირანტი ჭ;
- უხიან — „დაღლა“ (წუშა); შდრ. უსლ. უხიან, დუხსა..., დაღლილი<sup>3</sup>;
- დიხიან (წუშა) } „თხრა“, „დაკვლა“; შდრ. უსლ. ბიხან — „თხრა“
- დეხიან (ქული) } ← ბიხიან...

<sup>1</sup> ამ სიტყვის შესახებ. დაწვრილებით — ქვემოთ.<sup>2</sup> II. ც ლა პ, ლაკსინი ქართველი, გვ. 363.

9. უკანა რბილსასისმიერი ყრუ სპირანტი ხ:
- ხიალახი—უ—„ფოცხი“;
- ნეხი—რუ—„მდინარე“; შდრ. უსლ. ნეხე-რუ;
- მუხიალთალა—თალლუ—„ლომი“, „ძალაყინი“...
10. წინა რბილსასისმიერი მუღერი ხშულ-მსკლომი გ:
- გა—„ის, რომელიც ძირსაა“, მრ. რ. გიგ; შდრ. უსლ. გა, მრ. რ. გა— ხმოვნის სიგრძე მიღებულია ია დიფთონგისაგან ლაბიალობის მომენტის ხმოვანთან შერწყმით დელაბიალიზაციის შემდეგ: ია (||ჟა) → ჟ;
- ლაგიავთუ—„კარაქი“ მრ. რ. ლაგიაურლუ; შდრ. უსლ. ლაგაბუ—რთუ წ—ლაგიაბუ-რთუ<sup>1</sup>;
- გაანზსა—„მსხვილი“; შდრ. უსლ. განზსა | — გაანზსა, აგრეთვე დარგ-უაბცე | — გუაბცე]—„მსხვილი“...
11. წინა რბილსასისმიერი გემინატი ქ:
- ქიაქიან—„დანახვა“; შდრ. უსლ. ქაქან | — ქიაქიან];
- აქედან: ქიაქიან-ან „დანახვებინება“;
- ბექიინ—„წაკითხვა“ (ქული);
- ჭექიისა—„ცუდი“; შდრ. დარგ. ჰეგნჩასე | ← \*ჰეგნქასე];
- ქერჩი—უ—„კბილი“ (წუშა, ქული); შდრ. უსლ. ქარჩი;
- დუქიან—„გამოძრობა“ (წუშა, ქული)...
12. წინა რბილსასისმიერი ყრუ-ფუნვიერი ხშულ-მსკლომი ქ:
- ქიაცა—ცრი—„ჭაკი ცხენი“ (წუშა, ქული); შდრ. უსლ.
- ქიაცა | ← ქიაცა, აგრეთვე დარგ. ქიაცა—გააძა];
- ქიაჩი—უ—„ძალლი“ (წუშა, ქული) შდრ. უსლ. ქაჩი | ← ქიაჩი], აგრეთვე დარგ. გააჯა—„ძუ ძალლი“;
- ქიარში—უ—„თავსაფარი“ (წუშა, ქული);
- ბართქია—„მაჯა“; („ხელის დასაწყისი“); შდრ. უსლარი ქა—„ხელი“;
- ქიადაჭასა—„უხელო“ (წუშა, ქული); შდრ. უსლ. ქა—„ხელი“;
- ქიინტ—„ორმო“; შდრ. დარგ. ქური...
13. წინა რბილსასისმიერი ყრუ-მკვეთრი ქ:
- კიარა—რთუ „ფეჩი“; შდრ. უსლ. კარა, დარგ. ქარი;
- კიი—„ზამთარი“; შდრ. უსლ. კი, დარგ. გა || ცინი;
- კია—„ის, რომელიც ზევითაა“ (წუშა, ქული); შდრ. უსლ. კი;
- კიევ—„ისინი, რომლებიც ზევით არიან“ (წუშა, ქული);
- რიკი—რუ—„ნაჯახი“ (წუშა, ქული); შდრ. უსლ. რიკ;
- თარკი—კრუ—„ძვალი“; შდრ. უსლ. თარკ;
- კიილასა (წუშა) | — „წვრილი“ ქართ. წველ—\*კვილ.<sup>2</sup>
- კიილამი (ქული) | — „წვრილი“ ქართ. წველ—\*კვილ.<sup>2</sup>
- ბიკიან—„ყოფნა“.

<sup>1</sup> П. У с л а р, Лакский язык, გვ. 309.<sup>2</sup> იქვე, გვ. 293.

14. ველოპალატალური სპირანტები: ქ' და ქ';  
 ქ' იაქ' არი — რთუ — „რისამე ნახარში“, „წვენი“; შდრ. უსლ-  
 ქ' იაქ' არი;  
 ქ' ია — „მტრედი“; შდრ. უსლ. ქ' ია;  
 ქ' იაჭ — „წინ“; შდრ. უსლ. ქ' იაჭ;  
 ქ' იენ — ნნუ. (წუშა) } „ცვარი“; შდრ. უსლ. ქ' იენ;  
 ქ' იინ — ნნუ (ქული) } „ცვარი“; შდრ. უსლ. ქ' იინ;  
 ცუშა — მრ. რ. ცუქ' რი — „დათვი“ (წუშა); შდრ. უსლ. ცუშა-  
 მრ. რ. ცუქ' რი...;
15. ენა-ნუნისმიერი მჟღერი სპირანტი ჲ:  
 ჟიალლუ — „პატრონი“ (ქული); შდრ. ზალლუ — კლუ (უსლარი);  
 ჟიი || იეი — „თქვენ“ (ქული); შდრ. ზუ (წუშა, უსლარი)...;
16. ენა-ნუნისმიერი ყრუ სპირანტი ჲ:  
 შიაჭა — „შინ“ (ქული); შდრ. უსლ. შავა;  
 ბუშიანდან — „ჩაქრობა“ (წუშა);  
 ბუშიან — „თქმა“ (ქული); შდრ. ბუშიან (წუშა, უსლარი), აგრეთვე:  
 ბ-ურ-ს-ის — „თქმა“ (დარგ.);  
 შიანუ — რდუ — „ძილი“ (წუშა, ქული); შდრ. შანუ (უსლ.), აგრეთვე:  
 ბ-უ-ს-ის — (დარგ.);  
 იშან — ნუ || შიან — ნუ — „ფიჭა“...;
17. ენა-წინაკბილებისმიერი მჟღერი სპირანტი ჲ:  
 ზიალლუ — „პატრონი“ (წუშა); შდრ. ზალლუ (უსლარი)...;
18. ენა-წინაკბილებისმიერი ყრუ სპირანტი ს:  
 უსუ — „ძმა“;  
 ბუშიავ — „მითხარი“;  
 დუშიი — რდუ — „სპილენძი“ (წუშა); შდრ. დუში (ქული), აგრეთ-  
 ვე დუბსი — (დარგ.);  
 ნისიართი — „კიტრი“ (წუშა) შდრ. დარგ. ნისბართი...;
19. ენა-წინაკბილებისმიერი გემინირებული სპირანტი ს:  
 უსიიჭ — „ძმასთან“; შდრ. უსლ. უსუ — „ძმა“...;
20. ენა-ნუნისმიერი ყრუ გემინირებული აფრიკატი ჩ:  
 ჩიან — „სიყვარული“ (წუშა, ქული); შდრ. უსლ. ჩან;  
 ჩიაბუ — „სიყვარული“ (წუშა, ქული); შდრ. უსლ. ჩაბუ;  
 ჩიავ — „საყვარელი“, „სასურველი“ (წუშა, ქული)...;
21. ენა-ნუნისმიერი ყრუ აფრიკატი ჩ:  
 ჩიაშწნი || ჩიანი — „ადრე“, „განთიადზე“ (ქული); შდრ. ჩანი — „სინა-  
 თლე“ (უსლარი), აგრეთვე ჯაჭალ — „დილით“ (დარგ.);  
 ბუჩიან — „მოგლეჯა“, „მომქა“;  
 ჩიარი — „საიდან“;  
 ჰიჩირუ — „ვაშლები“; შდრ. ჰიანც (დარგ.);  
 ჩიაჭუ — „გიმჩე“ (ქული); შდრ. ცუჭუ (წუშა), აგრეთვე ჩაკალ — „ვინ-  
 მე“ (დარგ.);  
 დუჩირი — „ცხენები“ (წუშა); შდრ. დუჩირი (უსლარი);  
 მარჩი — რუ — „ქარი“ (ქული); შდრ. მარჩ — რუ (უსლარი);  
 ჩიარსა — სრი — „ფარლული“ (წუშა); შდრ. ჩირსა — სრი (ქული)...

22. ენა-ნუნისმიერი ყრუ-მკვეთრი აფრიკატი ჭ:
- ჭიაყნა—„მაგარი“ (ქული); შდრ. წაყ—„ძალა“ (დარგ.);  
 ჭიირჩურჩურა—„მლაშე“ (წუშა) { შდრ. წუ—მარილი “წიილ” — (ნა-  
 ჭიილჩურუსა — თეს. ბრ.) — „მარილისა“;  
 დაჭირასა—„ცარიელი“; შდრ. ბ-აჭ-ილ (დარგ.);  
 ჭია—„მიწური“...
23. ენა-წინაკბილებისმიერი ყრუ გემინირებული აფრიკატი ც:
- ციახანუ—„შიშიანობა“...
24. ენა-წინაკბილებისმიერი ყრუ აფრიკატი ც:
- ციენეუ—„ყველა“ (ქული) მრ. რ. ჩიენეფა; შდრ.  
 ჩიენეტ—მრ. რ. ჩიენეფა (წუშა);  
 ცცურქუ—„ქურდი“  $\leftarrow$  ციურქუ;  
 ბუციან—„მოგლეჯა“;  
 ციაჭუ—„არავინ“;  
 ციალა—„თითონ მისი“...
25. ენა-წინაკბილებისმიერი ყრუ-მკვეთრი აფრიკატი ჭ:
- ჭიათარისა—„ჭრელი“ (ცხვარი);  
 წიილ—„მარილისა“ (ნათ. ბრ.) „მარილით“ (ერგ.);  
 წიაყ—„ძალა“ (წუშა); შდრ. წაყ. (უსლარი, დარგული).  
 ლაკურში არაა დაღასტურებული ლაბიალიზებული და, თა, ტა,  
 თანხმოვნები, რომელიც დარგულში თუმცა მეტად იშვიათად, მაგრამ მაინც  
 გვხვდება. გარდა აცისა, ლაბიალიზებული სახით არ გვხვდება არც მეღერი  
 აფრიკატები ჯ და ძ (მათ ნაცვლად ჰომორგანული ყრუ გემინირებული აფ-  
 რიკატებია წარმოდგენილი). როგორც აღვნიშნეთ, დარგულისაგან განსხვა-  
 ვებით ლაკურში მეტად მდიდრადა წარმოდგენილი ლაბიალიზებულ წინაენის-  
 მიერ შიშინა და სისინა თანხმოვანთა სისტემა, განსაკუთრებით სპირალტები.

#### ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ცხრილი

სე	საწარმოთქმო ადგილი	დარგული ენა					ლაკური ენა		
1	სახმო სიმები	—	—	—	—	—	—	—	—
2	ენის ძირი — ხახის უკანა კედელი	ჭია	ჭია	ჭია	ჭია	წიალი	ჭია	ჭია	ჭია
3	ენა — უკანა რბილი სასა	ღია	—	ხია	ღია	ღია	ხია	ხია	ხია
4	ენა — წინა რბილი სასა	გია	ქია	ქია	ქია	გია	ქია	ქია	ქია
5	ენა — რბილი და მაგარი სასა	ქია	ქია	ქია	—	ქია	ქია	ქია	ქია
6	ენა — ნუნები	ჭია	ჭია	ჭია	ჭია	ჭია	ჭია	ჭია	ჭია
7	ენა — წინა კბილები	—	ცია	ცია	წაყ	—	ცია	ცია	წაყ

გარდა იმისა, რომ დარგული და ლაქური ერთმანეთს უპირისპირდებიან წინაენისმიერ თანხმოვანთა ლაბიალიზებული ვარიანტების თვალსაზრისით, ეს ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებინ ლაბიალიზაციის ხასიათის მიხედვითაც.

დარგულში ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ძირითად არტიკულაციას ერთვის ბაგების აუმატებითი არტიკულაცია. ტუჩები წინ წამოიზიდებიან და მომრგვალდებიან იმგვარად, რომ მათ შორის საქმაო სიფართოვის ნაპრალი: ჩნდება. ამგვარი ლაბიალიზაცია შეიძლება ხმოვანმაც განიცადოს: დარგულის ჰურანულ კილოში, მაგალითად, ა ხმოვანი ამგვარად ლაბიალიზებისას განურჩეველი გ ხმოვნის ელფერს იძენს: არყას—„წავალ“ (←ტარყას). ლაბიალიზაციის ეს ტიპი საერთოა დარგულში როგორც ხშულ, ისე სპირანტ ლაბიალიზებულთათვის. ლაბიალიზაციის აღნიშნულ სახეს შეიძლება ლაბილაბიალიზაცია ეწოდოს ლაბიალიზაციის სხვა სახეობებთან შეპირისპირებით, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ლაქურ ენაში ლაბიალიზებული ხშულების — გი, კი, ჯი, ჭი, ცი, ჭი, წი და მისთ. წარმოთქმის დროს ხშვას მარტო ამ თანხმოვანთა საწარმოთქმო ადგილას კი არ აქვს ადგილი, არამედ ბაგებთანაც. უკანასკნელნი ოდნავ წინ. წამოიწევიან და იხურებიან, ამასთანავე ბაგების ხშვა შედარებით ნაკლებ ენერგიულია, ვინემ ეს რომელიმე შევილბაგისმიერი თანხმოვნის წარმოთქმისათვის არის საჭირო. საწარმოთქმო ადგილას ხშვის სკლომას თან სდევს ბაგეთა ხშვის სკლომაც. მეღერი ლაბიალიზებულ ხშულ-მსკლომთა წარმოებისას ბაგების ხშვის სკლომის შედეგად ტონის წარმომქმნელ პერიოდულ რხევებს ვღებულობთ. ეს რხევები იმის გამო, რომ მომღევნო ხმოვნის საწარმოებლად ბაგები გაიშლებიან და მათი დაჭიმულობა სუსტდება, სწრაფად გადაიზრდებიან უტონო თრთოლაში. როგორც პერიოდულ რხევებს. ბაგებისას, ისე ამ უკანასკნელთა უტონო თრთოლას შევიგრძნობთ მათხე. (განსაკუთრებით ზედა ბაგებზე) თითის დადებით. ყრუ ფშვინვიერ ხშულ-მსკლომ ლაბიალიზებულთა წარმოთქმის დროს ბაგების ხშვის სკლომის შედეგად პერიოდული, ტონის მომცემი რხევების ნაცვლად მხოლოდ უტონო თრთოლა მიიღება.

ლაბიალიზაციას ამ სახეს შეიძლება დახურული ბილაბიალიზაცია ეწოდოს დარგულში წარმოდგენილი ღია ბილაბიალიზაციის საპირისპიროდ.

აკუსტიკური შთაბეჭდილება მეღერთა დახურული ბილაბიალიზაციის დროს ისეთია, თითქოს ლაბიალიზებული მეღერი ხშულ-მსკლომის წარმოთქმის ერთდროულად მეღერ-მთრთოლ ბ-საც წარმოვთქვემდეთ: გაა-„ის, რომელიც ქვევითაა“, კაალუ—„ყვავი“ და სხვ. წარმოიქმნიან როგორც გბა, კბ-ალუ და სხვ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამითა შეპირობებული ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რეფლექსად ბ-ს არსებობა.

ყრუ-ფშვინვიერ ხშულ-მსკლომთა დახურული ბილაბიალიზაციის დროს. ბეგრის თანხმელები ლაბიალური ელემენტის აკუსტიკური ეფექტი ყრუ ფშვინვიერ ხშულ-მსკლომ ფ-ს მოგვაგონებს, რომელიც ლაბიალიზებულ ამოსავალ თანხმოვანს შეიძლება კიდეც მოსდევდეს და კიდეც უსწრებდეს წინ. განსაკუთრებით ეს შეინიშნება სიტყვის თავკიდურ ლაბიალიზებულ წინაენისმიერ

ცი, ცი, ჩი, ჩი, აფრიკატების წარმოთქმისას: შდრ. ცოურქუ || იცურქუ — „ქურდი“; ჩიპრი || იჩიპრი — „საიდან?“ და ა. შ.

ყრუ მკვეთრ ხშულ-მსედომთა დახურული ბილაბიალიზაციის დროს ექს-პირატორული ნაკადის სისუსტისა და სიმცირის შედეგად ლაბიალიზაციის აკუსტიკური ეფექტი მით უფრო უხლოვდება პ თანხმოვანს, რაც უფრო წინა წარმოების დახურულად ბილაბიალიზებული მკვეთრი იწარმოება. მაგალითად, წი, ჭი თანხმოვნები წარმოითქმიან ისე, როგორც წკ, ჭკ შერწყმულად წარმოთქმისას: პჰაყსა — „მაგარი“ (ქული), წმაყ — „ძალა“ (წუშა), წპილ — „მარილისა“ და სხვ. ხშირად ალნიშნული ლაბიალიზებული თანხმოვნები, ისე როგორც ამ რიგის სხვა ბევრები, წარმოითქმიან ლაბიალობის მომენტის წინსწრებით: პწ, პჲ... შდრ. წარმოთქმაში: პჷაყ — „ძალა“, პჷაყსა — „მაგარი“ და სხვ. უნდა ხაზგასმით ალნიშნის, რომ დახურულად ბილაბიალიზებული მკვეთრების წარმოთქმისას საარტიკულაციი ჰაერნაკადი იმდენად სუსტია, რომ სრულიად უკმარია ბაგების თრთოლაში მოსაყვანად. ეს იწვევს ლაბიალობის არტიკულაციური მომენტის მკვეთრ პ-ს არტიკულაციასთან დამთხვევას.

დახურულად ბილაბიალიზებულ მეღერ სპირანტთა წარმოთქმისას ლაკურში ბაგეთა ხშვის სკდომა ნაკლებშესამჩნევადაა გამოხატული. სმენითი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ამოსავალ ძირითად სპირანტ თანხმოვანთან ერთდროულად წყვილბაგისმიერ სპირანტ ბ-საც წარმოვთქვემდეთ (უკანასკნელის არტიკულაცია განსხვავდება წყვილბაგისმიერი სპირანტის ჭ-ს წარმოთქმისაგან იმით, რომ ჭ წარმოითქმის წინ წა მო ზ ი დ უ ლ ი ბაგების შუა დარჩენილ ვიწრო ნაპრალში, სპირანტი ბ- კი იწარმოება განზე გაზიდულ და დაჭიმულ ბაგეთა პერიოდულ რხევაში მოყვანით).

დახურულად ბილაბიალიზებული ბევრები მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა დასავლეთის ჯგუფის ენებშიაც გვხვდება, მაგალითად აფხაზურში. ლაკურისაგან განსხვავებით აფხაზურში ამგვარად ლაბიალიზებული წინაენისმიერი ხშულები და, თი, ტი გვაქვს წარმოდგენილი. რომ ლაკური გი, ჭი, ჭი, ცი, ცი, ჩი, ჩი, წი, ჭი და სხვ. თანხმოვნები აფხაზურის და, თი, ტი თანხმოვნებს შევუდაროთ, ვნახავთ, რომ ბაგების თრთოლას აფხაზურში უფრო ხანგრძლივი და ენერგიული ხასიათი აქვს, ვინემ ლაკურში. სხვადასხვა ჯგუფის ენებში ლაბიალიზაციის ერთი და იმავე ტიპის შემორჩენა სხვადასხვა ადგილ-წარმოების თანხმოვანთა სისტემაში უთუოდ იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ: ა) ადრე ლაბიალიზაციის ეს ტიპი გავრცელებული უნდა ყოფილიყო მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ჯგუფის ენებში. ბ) ამასთანავე, დახურულ ბილაბიალიზაციის უნდა მოეცვა თუ ხშულ თანხმოვანთა მთელი სისტემა არა, მისი საგრძნობი ნაწილი მაინც. ენათა ერთ ჯგუფში შემოვვრჩა ამგვარად ბილაბიალიზებულ თანხმოვანთა ერთი რიგი (და, თი, ტი), მეორე ჯგუფში კი მეორე (გი, ჭი, ცი, ცი, ჩი, ჭი და ა. შ.).

ლაბიალიზაციის მესამე ტიპს დენტო-ლაბიალიზაცია წარმოადგენს. იგი ახასიათებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ჯგუფის ენებს. დენტო-ლაბიალიზაციის შემოხვევები დასავლური ჯგუფის ენათაგან შეინიშნება, მაგალითად, აფხაზურში. აღმოსავლური ჯგუფის ენებში ლაბიალიზაციის ამ ტიპის არსებობაზე მიუთითებს აღულურისა და ლეზგიურის ზოგი სიტყვა: შდრ. აღულ. ლუჭ — „მტრედი“, ლეზგ. ლიჭ:

შდრ., აგრეთვე, დარგ. ლაქა — „მტრედი“. აღულურსა და ლეზგიურში ამოსავალი ლაბიალიზებული ჭრი სპირანტის ადგილას ლაბიალობის მომენტი-და გვაქვს რეფლექსის სახით შემონახული: ჭრი — ი — ჭ. რეფლექსის (ჭ) სიყრუე შეპირობებულია ამოსავალი ლაბიალიზებული ჭრი თანხმოვნის სიყრუით. გარდა ამისა, ლაკური ენის ზოგ თქმაშიაც უკანა წარმოების ლაბიალიზებული ჭრი სპირანტი წარმოთქმისას ჭ-ს შთაბეჭდილებას ახდენს. მაგ., ჭულის მეტყველებაში მტრედის სახელი ჭრი აკუსტიკურად ჭ-ს უდრის. ჭ თანხმოვნის აკუსტიკური ელფერი, რაც ჭრი ბეგრის წარმოთქმის დაჰკრავს, უთუოდ დენტოლაბიალიზაციის არსებობაზე მიუთითებს: ამ ბეგრის დახურულად ბილაბიალიზაციის შემთხვევაში ჭ-ს აკუსტიკური ელფერის ნაცვლად ბილაბიალური ფ-ს აკუსტიკურ შთაბეჭდილებას მიყიღებდით.

დენტოლაბიალიზაციისათვის დამახასიათებელია ლაბიალიზებული თანხმოვნის წარმოების დროს ქვედა ბაგის ზედა საჭრელ კბილებთან ჩიახლოება თითქმის სრულ შეხებამდე და ამით მეტად ვიწრო ნაპრალის წარმოქმნა. ენა ისე მჭიდროდ ეკვრის ქვედა კბილებს, რომ არტიკულაციისას ქვედა ბაგის ნაწილი ზედა და ქვედა წინაებილებს შორის ექცევა<sup>1</sup>.

დენტო-ლაბიალიზაციის შეიძლება მეტ-ნაკლებად განსხვავებული სახე ჰქონდეს ენებსა თუ კილოებში, მაგრამ არტიკულაციის მთავარი მომენტი — ქვედა ბაგისა და ზედა კბილების მონაწილეობა — ყველგან უცვლელი რჩება.

ჭ. ლომთათიძე ამგვარად აღწერს დენტო-ლაბიალიზებული ბეგრების წარმოებას აფხაზურში, კერძოდ ამ ენის ტაპანთურ კილოში:

„ლაბიალიზაცია ტაპანთურსაც ახასიათებს (აქაც გვხვდება ჭი, უ, ძი...), ოღონდ აქ ეს ლაბიალიზაცია, ჩვეულებრივ, სრული (ან უკეთ: ბილაბიალური) არაა. ტაპანთურში, არც თუ იშვიათად, სათანადო ბეგრათა წარმოებისას დამახასიათებელი არაა ბაგეთა ის მოქმედება, რასაც პირაქეთა დიალექტებიდან ვიცნობდით. ზემო ბაგე თითქმის უმოქმედოა. მისი მოძრაობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ შორდება ქვემო ბაგესა და ოდნავ ზემოთ იწევს. სამაგიეროდ, ქვემო ბაგე (განსაკუთრებით მისი შიგნითა ნაწილი) უფრო ძეგლიურია. ზემო კბილებიც სწორედ ქვემო ბაგის ამ შიგნითა ნაწილისადმი არიან მიმართულნი. ოდნავ ლაბიალური მომენტი აღნიშნულ ბეგრათა წარმოებაში ხშირად ძნელი შესამჩნევიც არის“<sup>2</sup>.

აულ კრასნოვისტოხნის მეტყველებაში ჭ. ლომთათიძე განარჩევს დენტო-ლაბიალიზაციის (ავტორის ტერმინოლოგიით ნაწილობრივი ლაბიალიზაციის) ორ სახეს: „ერთის მხრით გვაქვს ზი და მისი რიგის სხვა ბეგრები, რომელთა არტიკულაციაც ასეთია: ზემო ბაგე ოდნავ აწეულია ზემოთ, ზემო კბილები მიმართულია ქვემო ბაგის შიგნითა ნაწილისადმი, ხოლ,

<sup>1</sup> ახასიათებს ჩა ლაბიალიზაციას ტაბასარანულში, ა. მაჟომეტოვი წერს: В табасаранском языке различаются лабиализованные звуки двойного рода: обычные лабиализованные звуки, аналогичные с даргинским,—при их произношении губы вытягиваются вперед,—и специфические лабиализованные звуки, при произношении которых нижняя губа слегка загибается за нижние зубы. (Лабиализованные звуки в даргинском языке: подбородочно-кавказские и грузинские звуки). ა. მაჟომეტოვი ლაბიალიზაციის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ტიპის ალექსრისას ხაზგასმულია ქვედა ბაგის წინა ქვედა კბილებზე გადალუნვა, მაგრამ არაფერი ნათევამი ქვედა ბაგის წინა ზედა კბილებთან მიახლოების შესახებ, რასაც დენტოლაბიალიზაციის აღნიშნული ტიპის დახასიათებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

<sup>2</sup> ჭ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური. დიალექტი, 1944, გვ. 17.

მეორე მხრივ, ზ და მისი რიგის ბგერები, რომლებიც, პირველთაგან აშკარად განსხვადებიან: ზემო ბაგე უფრო ინტენსიურადაა აწეული ზემოთ, ზემო კბილები უახლოვდება ქვემო ბაგის შიგნითა ნაწილს რაც შეიძლება ღრმად, თითქმის ძირამდე, ქვემო ბაგის ეს ნაწილი შეწეულია შიგნით, ხოლო ბაგის ზემო ნაწილი გამოწეულია გარეთ. ლაბიალობა მინიმალურია<sup>1</sup>.

დენტო-ლაბიალიზაციის ორი ტიპი აშკარად გამოიყოფა ქვემო ბაგის შიგნითა თუ გარეთა ნაწილების აქტიურობის ნიშნის მიხედვით. მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა დასავლეთ ჯგუფში წარმოდგენილია დენტო-ლაბიალიზაციის ის სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქვემო ბაგის შიგნითა ნაწილის მიახლოება ზემო კბილებითან, აღმოსავლეთ ჯგუფში დენტო-ლაბიალიზაციის მეორე სახეც უნდა იყოს წარმოდგენილი: ზედა წინაკბილებს უახლოვდება ქვედა წინაკბილებზე შიგნითკენ გადახრილი ქვედა ბაგის გარეთა ნაწილი<sup>2</sup>. ამ ჯგუფის ენებში, თუ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რეფლექსების მიხედვით ვიმსჯელებთ, არ უნდა იყოს უცხო დენტო-ლაბიალიზაციის პირველი სახეც (შდრ. კბილბაგისმიერ ჭ-ს მიღება აღულურსა და ლეზიურში ლაბიალიზებული ჭ-ის რეფლექსად).

ნაკლებად არსებითი, მაგრამ საყურადღებოა დენტო-ლაბიალიზაციისას ქვედა ბაგის მონაწილეობის მეტ-ნაკლები ინტენსიურობაც, მაგალითად აფხაზურის კილო-თქმებში.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ლაბიალიზაციის აღნიშნულ ტიპს მხოლოდ სპირანტებსა და აფრიკატებზი ვჰედებით. ტაბასარანულში ამგვარად ლაბიალიზებულია შიშინა წყება სპირანტებისა და აფრიკატებისა იმ ღროს, როცა აფხაზურის დიალექტებში „თითქოს უფრო ბუნებრივია სრული ლაბიალიზაცია (resp. ბილაბიალიზაცია—შ. გ.). შიშინა წყებაში, ხოლო ნაწილობრივი (resp. დენტო-ლაბიალიზაცია—შ. გ.)—სისინაში<sup>3</sup>.

ლაბიალიზებული ბგერებიდან მჟღერი ლაბიალიზებული თანხმოვნები მჟღერნი არიან. წარმოთქმის მთელ სიგრძეზე, ყრუ ლაბიალიზებული თანხმოვნები კი ყრუნი. ამიტომ ლაბიალიზაციის ამა თუ იმ საერთო ნიშნით გამოხატვისას გარკვეული არასიზუსტეა დაშვებული. უმჯობესი იქნებოდა ლაბიალიზაციის თითოეული ტიპისათვის დამოუკიდებელი ნიშანი შემოვეღო, ამასთანავე ამთავითვე აღვგნიშნა, რომ ლაბიალობის მომენტი ამოსავალ ლაბიალიზებულ თანხმოვანთან ერთად ჰარმონიულ კომპლექსს ქმნის—იგი მჟღერთან მჟღერის, ყრუ ფშვინვირთან—ყრუ ფშვინვირის, ხოლო მკვეთრთან—მკვეთრის სახით წარმოვგიდგება. აღნიშნული გარემოება განაპირობებს ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რეფლექსთა ნაირნაირობას ამოსავალ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა გვარეობისდა მიხედვით როგორც ღია, ისე დახურული ბილაბიალიზაციის თუ დენტო-ლაბიალიზაციის ღროს.

ვვარაუდობთ, რომ ღია და დახურულ ბილაბიალიზაციას ერთმანეთისაგან განასხვავებდა ამოსავალ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ხასიათი; ხშულ-მსკდომნი დახურულად ბილაბიალიზებულნი უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო სპირანტები ღია ბილაბიალიზაციის უნდა დაქვემდებარებოდნენ. ღია ბილაბიალიზაციის ერთ-ერთ განშტოებას, აღბათ დიალექტების მიხედვით განსხვავებულს, დენტო-ლაბიალიზაცია წარმოადგენდა.

<sup>1</sup> ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, 1944, გვ. 18.

<sup>2</sup> შდრ. ა. მაპომეტოვის მიერ წარმოდგენილ აღურას ამ ბგერებისას.

<sup>3</sup> ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი. გვ. 23.

ლაბიალურ თანხმოვანთა წარმოების ინტენსივობის შესუსტების საერთო ტენდენციის არსებობას მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში უნდა გამოეწვია დახურული ბილაბიალიზაციის გავრცელების დღეს არსებული შეზღუდულობა (და, თა, თი აფხაზურში) ან სრულიად მოშლა და შეცვლა ლია ბილაბიალიზაციით (დარგულში) და დენტო-ლაბიალიზაციით (აფხაზურის დიალექტებში).

დენტო-ლაბიალიზაციის შემთხვევებს გვაწვდის ლაკური ენის ზოგი თქმაც (წუშა, ქული...) ხიხინა<sup>1</sup>, უკანა წარმოების სპირანტებთან: ქ'v, ქ'v. უკანასკნელთაგან ა ხმოვნის წინ ლაკურ ენაში შეიძლება ლაბიალიზებული შიშინა ან სისინა სპირანტები მივიღოთ: ქ'v — ს, ქ'v — შ, ქ'v — ს, ქ'v — შ...

უნდა ვივარაუდოთ, რომ დენტო-ლაბიალიზაციის აღნიშნული ტიპის გავრცელებულობა ისტორიულად შემოფარგლული იყო სპირანტებით და შემდეგ მოიცა აფრიკატებიც.

ქ. ლომთათიძეს აფხაზური ენის დიალექტებში დადასტურებული აქვს. დახურული ბილაბიალიზაციის ლია ბილაბიალიზაციითა და დენტო-ლაბიალიზაციით შეცვლის მაგალითები<sup>2</sup>.

აღნიშნული ფაქტი უნდა მიუთითებდეს ლია ბილაბიალიზაციისა და დენტო-ლაბიალიზაციის მოქმედების რადიუსში დახურულად ბილაბიალიზებული ხშული თანხმოვნების თანდათანობით მოქცევაზე და არა მასზე, რომ, საერთოდ, დახურული ბილაბიალიზაცია ისტორიულად წინ უსწრებდა ლია ბილაბიალიზაციის დანარჩენ სახეებს და რომ უკანასკნელნი ლაბიალიზაციის ზემოთ დასახელებული ტიპის თანდათანობით გაქრობის შემდეგ წარმოიშვნენ. ამგვარ ვარაუდს გამორიცხავს ლაბიალიზაციის ყველა დასახელებული ტიპის თანაარსებობა როგორც პირიქეთა აფხაზურში, ისე ლაკურსა და სხვა ენებშიაც.

## 4

ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ისტორიულად ცვლა შეიძლება გამოიხატს მათ დელაბიალიზაციაში. მაგალითად, დარგული ენის ახუშურ კილოში წარმოდგენილი გვაქვს დელაბიალიზებული სახით ის თანხმოვნები, რომლებიც სხვა კილოებში ლია ბილაბიალიზებული სახითაა შემონახული. ანალოგიური მოვლენა შეინიშნება ლაკური ენის დიალექტების მონაცემების შედარებისასაც.

გხედებით შემთხვევებს, როცა ლაბიალიზებული: თანხმოვანი ერთი- და იძავე ენის კილო-თქმებში ცვლა-განვითარების სხვადასხვა გზებს გაივლის. ერთ შემთხვევაში თუ ლაბიალიზაციის ელემენტი უკვალოდ ქრება და ამო-სავალი თანხმოვანი დელაბიალიზებული სახით წარმოგვიდგება, მეორე შემთხვევაში შეიძლება ამოსავალი თანხმოვნის წარმოება მოიშალოს და ლაბიალიზაციის ელემენტი დაგვრჩეს ლაბიალური თანხმოვნის სახით.

<sup>1</sup> ტერმინს ხიხინა ვხმარობთ უკანა და წინა რბილსასისმიერ სპირანტთა აუსტრიური ელფერის გადმოსაცემად ენა-ნუნისმიერთა და ენა-კბილისმიერთა აღმინშენელი ტერმინების — შიშინა და სისინა-ს გვერდით; ფარინგალურ და ლარინგალურ სპირანტთათვის, ამრიგად, შეიძლებოდა ჰიშინა სპირანტები გვერდითინა. ა ნიშნავს ვიყენებთ წინამაგალი თანხმოვნის დენტო-ლაბიალიზაციის აღსანიშვავად, ისე როგორც ეს გამოყენებული აქვს პროფ. ქ. ლომთათიძეს.

<sup>2</sup> ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, გვ. 19.

ბაგისმიერი თანხმოვნები, ამგვარ შემთხვევებში, ამოსავალი ლაბიალიზებული ბგერების რეფლექსებს წარმოადგენენ.

რეფლექსთა შორის შეიძლება გვქონდეს წყვილბაგისმიერი თანხმოვანიცა და კბილბაგისმიერიც, ხშულიცა და სპირანტიც. ყველგან და ყოველთვის ამოსავალი არის ლაბიალიზაციის ხასიათი. ბილაბიალიზაციის შემთხვევაში რეფლექსებად წყვილბაგისმიერები გვაქვს, დენტო-ლაბიალიზაციისას კი კბილბაგისმიერი. დახურული ბილაბიალიზაციის დროს ბაგეთა არტიკულაციაში მონაწილეობის ხასიათი განაპირობებს რეფლექსებად წყვილბაგისმიერ ხშულ-მსკლომთა არსებობას. დენტო-ლაბიალიზებულ ბგერათა არტიკულაციაში ბაგე-კბილების მონაწილეობის ხასიათით შეპირობებულია რეფლექსებად ბაგე-კბილისმიერი სპირანტის წარმოდგენა. ღია ბილაბიალიზაციისას ბაგების მორგვალების შედეგად კი შეიძლება რეფლექსად წყვილბაგისმიერი სპირანტები განვითარდეს.

თუ მხედველობაში მივიღებთ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა კომპლექსების ჰარმონიულ ხასიათს, ე. ი. მას, რომ ლაბიალობის მომენტი მეღერ ლაბიალიზებულს მუღერი აქვს, ყრუ-ფშვინვიერს — ყრუ-ფშვინვიერი, ხოლო მკვეთრს — მკვეთრი, თეორიულად მოსალოდნელია რეფლექსებიც სწორედ ამგვარივე სისტემების სახით წარმოგვიდგნენ:

თეორიულად მოსალოდნელია რეფლექსთა შემდეგი სისტემების არსებობა:

ა) დახურულად ბილაბიალიზებულ თანხმოვანთათვის:

ბ ფ პ; ამათგან პირველი — მეღერ, მეორე — ფშვინვიერ და მესამე — მკვეთრ ლაბიალიზებულ ხშულ-მსკლომთა რეფლექსებად.

ბ) ღიად ბილაბიალიზებულ თანხმოვანთათვის:

ჭ ჭ ჭ; წყვილბაგისმიერი მეღერი სპირანტი ჭ — მეღერ ლაბიალიზებულთა რეფლექსად, წყვილბაგისმიერი ყრუ სპირანტი ჭ — ყრუ-ფშვინვიერ ლაბიალიზებულთა, ხოლო ყელ-ხშული სპირანტი ჭ, მკვეთრ ლაბიალიზებულთა რეფლექსად.

გ) დენტო-ლაბიალიზებულ თანხმოვანთათვის:

გ ფ გ; მეღერი გ — მეღერ, ყრუ-ფშვინვიერი სპირანტი ფ — ყრუ ფშვინვიერ, ხოლო ყელ-ხშული ყრუ სპირანტი გ, მკვეთრ ლაბიალიზებულთა რეფლექსებადაა მოსალოდნელი.

წარმოდგენილ სისტემათაგან უკანასკნელი დადასტურებული აქვს ქ. ლომთათიძეს აფხაზური ენის დიალექტებში<sup>1</sup>. ამ უკანასკნელთა ერთ ნაწილში შემონახულ ამოსავალ დელაბიალიზებულ ქ, ც, წ თანხმოვანთა შესატყვისად მეორე ნაწილში გ, ფ, გ, სამეული გვაქვს წარმოდგენილი. აფხაზურის ჩვენება განსაკუთრებით ფასეულია იმით, რომ ლაბიალიზებულთა შემაღენელ ელემენტებად დაშლის პროცესი დადასტურებულია წინაენისმიერ სისინა აფრიკატებთან იმ დროს, როცა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა დალესტნის ჯგუფის ენებში მსგავსი პროცესი, ჩვეულებრივ, უკანა წარმოების თანხმოვნებთან შეინიშნება.

დარგული ენის დიალექტებში წარმოდგენილმა ლაბიალიზებული თანხმოვნების რეფლექსებმა ჩვენი ყურადღება მიიქცია 1951 წ. ჩვენს საანგა-

1. იხ. მისი — აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, თბილისი, 1944, გვ. 31—33.

რომ მოხსენებაში გუბდენურზე მუშაობის შესახებ<sup>1</sup>, სადაც ვწერდით: „ყურადღებას იქცევს უ და ჲ შესატყვისობა: დიუ—„სიტყვა“ დუპე—„სიტყვები“, აშეარაა, უ უკანა წარმოების ლაბიალურ პუ-ს რეფლექსს წარმოადგენს“. 1952 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის III (IX) სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში<sup>2</sup> „К вопросу о классификации диалектов даргинского языка“ —ვეხებოდით რა შესატყვისობას ხაიდაყურ გუ და სხვა კილოების უ თანხმოვნებს შორის, ვწერდით: „Можно полагать, что исходным является гв. В тех диалектах, где начальный г отпал, налицо w: waşa, warṣi (щудах.), warphi (урах.). В иных диалектах звук г уцелел, выпал звук w, признак лабиальности“.

ამავე სესიაზე წაკითხულ კოლექტიურ მოხსენებაში<sup>3</sup> ე. ლომთაძე აღნიშნავდა ლაბიალიზებულ ლო-სა და კი-ს შემადგენელ ელემენტებად დაშლის შემთხვევებს.

დარგული ენის ლაბიალიზებულ თანხმოვნებს განიხილავს ა. მაჭომეტოვის წერილიც — „Лабиализованные звуки в даргинском языке“ (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953), სადაც ვხვდებით ცნობებს ლაბიალიზებულ თანხმოვანთა შემადგენელ ელემენტებად დაშლის შესახებ დარგულში. სამწუხაოროდ, აღნიშნულ წერილში არაუკერია ნათესავი ჩვენ მიერ ციტირებული მასალის შესახებ იმ დროს, როცა სხვა ავტორთა ყველა იქ ჩანთვლილი შრომაა დასახელებული. ა. მაჭომეტოვი წყაროების დაუსახელებლად ზოგადად აღნიშნავს: „В диалектах даргинского языка при размежевании лабиализованных звуков отмечалось сохранение делабиализованной разновидности согласного при утере лабиализующего момента или сохранение лабиализующего момента при утере основного элемента лабиализованных звуков“<sup>4</sup>. ამის გამო იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რეფლექსების არსებობას დარგულ ენაში პირველად ა. მაჭომეტოვის ზემოთ დასახელებულ შრომაში მიექცა ყურადღება.

ქართველურ ენებში ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხს. საგანგებოდ განიხილავდა ს. ულენტი თავის წერილში — „ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში“<sup>5</sup>, სადაც იგი, სხვათა შორის, აღნიშნავდა: „ლაბიალიზებული თანხმოვნები დღეს ზოგიერთ კავკასიურ ენას და დიალექტს ახასიათებს და არა ყველას. მაგ., იგი ახასიათებს აფხაზურს, ყაბარდოულს, კიახეურს, უბიხურს, აბაზურს; არ ახასიათებს იგი ჩაჩნურსა და დალესტნურ ენებს“<sup>6</sup>.

ლაბიალიზებული თანხმოვნები არა თუ აქვთ დალესტნის ენათა ჯგუფში შემავალ ენებსა და დიალექტებს, წინააღმდეგ ს. ულენტის ვარაუდისა; არა-მედ ამ თანხმოვნებისა და მათი რეფლექსების წარმოდგენა დასახელებული ჯგუფის ენების ერთ-ერთი მთავრი დამახასიათებელი ნიშანია.

წარმოვადგინოთ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რეფლექსები დარგულში.

<sup>1</sup> 1951 წ. 21 სექტემბერს.

<sup>2</sup> 1952 წ. 25 ივნისს.

<sup>3</sup> ტ. გუდავა, დ. მენაიშვილი, ე. ლომთაძე, ზ. მაჭომელბერვა, ი. ცერცვაძე, ბგერათშემატყვისობისათვის ხუნძურა-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენებში.

<sup>4</sup> იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, გვ. 413. (დაყოფა ჩვენია—შ. გ.)

<sup>5</sup> ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. X, გვ. 184.

ჭ

დარგულის პურახულ კილმში მხ. რიცხვში „სიტყვა“ გადმოიცემა დიუ-  
ფორმის საშუალებით; მრავლობით რიცხვში მოსალოდნელ \*დუჭ- ფაი-ს.  
მაგიერ წარმოდგენილია დუჭ-ფაი. თავისებურება გამოწვეულია შემდეგი გა-  
რემობით: ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვნად ლაბიალიზებული ჸი გვქონდა.  
მრავლობითი რიცხვის ფორმაში ეს ამოსავალი ლაბიალიზებული თანხმოვნი-  
შემონახული გვაქვს, ოღონდ ლაბიალობის მომენტი გამქრალია, რაյი ამ  
ბერას ლაბიალური თანხმოვნი ვა მოსდევდა: დუჭ-ფაი—დუჭ-ფაი. მხო-  
ლობითი რიცხვის ფორმაში ლაბიალიზებული ჸი თანხმოვნის მხოლოდ  
რეფლექსი გვაქვს წარმოდგენილი: ამოსავალი თანხმოვნის წარმოთქმა მოი-  
შალა, ოღონდ შემონახული იქნა მისი ლაბიალობის მომენტისათვის დამახა-  
სიათებელი ბაგეთა არტიკულაცია: დიში — დიუ — დიუ. ლაბიალობის მომენტს,  
პურახულში დამოუკიდებელი ბაგისმიერი სპირანტის ჭ-ს სახე მიუღია.

პურახულში „ნიგოზი“-ს აღსანიშნავად გვხვდება სიტყვა ხიუ. შდრ..  
ხიუ-ლა გალგა — „კაკლის ხე“ (პურახ.). წუდახარულში ამ სიტყვას ხიშაბი შეე-  
სატყვისება. პურახულისათვის ამოსავალია ხიშაბი ფორმა, ამოსავალი თანხმო-  
ვნი ჸი დაკარგული ჩანს, მაგრამ შემონახულია მისი ლაბიალობის მომენტი-  
საგან განვითარებული ჸი თანხმოვნი.

სიტყვაში დაჭ — „საჩივარი“ (პურახული) უმლაუტიზირებული პ-ს წარმო-  
დგენა მის მეზობლად უკანა წარმოების თანხმოვნის არსებობას გვავარაუდები-  
ნებს. ეს ვარაუდი დამაჯერებელი გახდება, თუ ამ არაბულიდან ნასესხები-  
სიტყვის ლაკურ ფორმას გავითვალისწინებთ: დაჭში (—დაჭბი, შდრ. მრ. რ.

დაჭბიუ — „ომი“, „უთანხმოება“). შდრ. არაბ. اعوات — „ساقیوا راونا“, „میهدا“.  
ამოსავალი ცუ კომპლექსის ლაკურში ცბ-ს საშუალებით გადაღება ფორმაში:  
დაჭბიუ აისხება დახურული ბილაბიალიზაციის არსებობით ამ ენაში, რასაც;  
აღნიშნული სიტყვის სესხებისას დარგულში, ჩანს, აღილი არ ჰქონია.

„ნაბდის“ სახელად პურახულსა და ახუშურში ჟარჲი გვხვდება. წუდა-  
ხარულსა და ხაიდაყურში ჸ თანხმოვნის წარმოების ადგილის წინ გადაწევის.  
შედეგად ჟარჲი გვაქვს. ქვემო ხაიდაყურის ჯავლათურ ქცევაში შემონახულია.  
ხაიდაყურისათვის ამოსავალი ფორმა გჟარჲი:

ჟარჲი — \*გჟარჲი — გჟარჲი — ჟარჲი.

აღნიშნული სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს ქართულ დართ-ს — „საწვი-  
მარი ნაბადი“ (საბა).

„ქების“ სახელად დარგული ენის დიალექტებში გვხვდება შანგ, შანქ,  
შექ, შაგ და სხვ. აულ ურარის მეტყველებაში დადასტურებული გვაქვს რო-  
გორც შაგ, ისე შატ. ამ აულის მეტყველებას შემოუნახავს ამოსავალი შაგი.  
ფორმის ბოლოკიდური ლაბიალიზებული გი-ს დაშლით მიღებული ორივე-  
ვარიანტი:

შაგ — შაგი — შაი — შატ.

„თბილის“ აღსანიშნავად პურახულსა და ახუშურში გვაქვს ჟანალ, წუ-  
დახურულში — ჟანასე. ხაიდაყურში დადასტურებულია გჟანა და მისგან მი-  
ღებული გუნა. ამოსავალი ვითარება ხაიდაყურშია წარმოდგენილი: ჟანა და  
მსგავსი ფორმები მიღებულია გჟანა-საგან თავებიდური ამოსავალი გ ბგე-  
რის დაკარგვით და მის ნაცვლად ლაბიალობის მომენტის შემონახვით:

გუნა — გუნა (—განა) — უანა.

„მიწის“ აღსანიშნავად ახუშურში და სალიტერატურო დარგულში უანზა იხმარება. წუდახარულში მას გუნაზა შეესატყვისება, ხოლო ჰურახულში გუნანძა. ამოსავალია ლაბიალიზებული გუნა-ს შემცველი ფორმები:

განძა || განძა — უანზა.

„თაფლის“ აღსანიშნავად ჰურახულში უარცა გვაქვს — „ფიჭა“, „შოთი“. ძირეულია ც. ეს ძირი გვხვდება სიტყვაში მურ-ც-ილ — „ტქბილი“. ხაიდაყურულში ამ სიტყვას შეესატყვისება გუნაზა — „ფიჭა“. შდრ. დუღი ტუნევკინ გუნაზა ჰასიუდა „მე სკიდან ფიჭა ამოვილე“ (ლარაწანი, ქვ. ხაიდაყი). ზ თანხმოვანი სიტყვაში გუნაზა მომდინარეობს იმ თანხმოვნისაგან, რომლის რეფლექსადაც სახმო სიმების ხშულს ვხვდებით ჰურახულში.<sup>1</sup> ხაიდაყურულში ჩაგარდნილი ჩანს -არ- პრეფიქსის რ თანხმოვანი: შდრ. უ-არ-ც-ა და გუ-ა-ზ-ა (— \*გუ-არ-ზ-ა); ამოსავალი ვითარება თავკიდური ლაბიალიზებული ბეგრის წარმოლენის თვალსაზრისით ხაიდაყურულში გვაქვს დაცული. ჰურახულში გ თანხმოვანი დაკარგული ჩანს, ხოლო მისი ლაბიალობის მომენტი შემონახულია უ თანხმოვნის სახით.

„თაგვის“ სახელიად ჰურახულში, ახუშურში, აგრეთვე წუდახარულში, უაცა გვაქვს. ხაიდაყურულში შემონახულია ამოსავალი ლაბიალიზებული თავკიდური გუნა სიტყვაში გუნაცა — „თაგვი“. წუდახარულსა და ჰურახულ-ახუშურში ამოსავალი გ თანხმოვანი დაკარგული ჩანს, ხოლო მისი ლაბიალობის მომენტისაგან განვითარებულია უ სპირანტი.

„ლრუბლის“ აღსანიშნავად ჰურახულში დირიუნ გვხვდება, წუდახარულში კი დირიქ (მრ. რ. დირიქშე). ამოსავალი ვითარება არცერთ მათგანში არაა შემონახული, როგორც ერთი, ისე მეორე ფორმა უნდა მოეცა დირიქი ფორმას, რომლის ლაბიალიზებული ბოლოკიდური ქი თანხმოვნის შემაღებენ ელემენტებად დაშლის შედეგად ერთ კილოში მისი დელაბიალიზებული სახე შემოგვრჩა, მეორეში კი ლაბიალობის მომენტი. ახუშური კილოს გუბდენურ თქმაში დადასტურებული გვაქვს ამ სიტყვის დირიუნთ ფორმა. უკანასკნელი მიღებული ჩანს მეტათეზისით ფორმისაგან დირიონუ, რომელშიაც თ თანხმოვანს ქი სპირანტის ადგილი უჭირავს: დირიონუ || დირიქუ, შესატყვისობა ქი : თ გუბდენურში, დარგულის სხვა კილო-თქმებში დადასტურებული ქი — მ და ქი — ს პროცესების არსებობის პირობებში, მოულოდნელი არ ჩანს. აღნიშნული შესატყვისობა ექცევა ჰ — თ და ჰ — დ (კუბაჩური) შესატყვისობა-თა წრეში (ამ შესატყვისობათა შესახებ — ქვემოთ).

### 8

აულ ჩაპრიეის მეტყველებაში „ყურის“ აღსანიშნავად ლიბა გვხვდება. ეგვევ ფორმა დადასტურებული გვაქვს სანაკარშიაც. ამ სიტყვის ჰურახულ, ახუშურ და წუდახარულ ფორმებთან (ლიპზი, ლეპზი) შედარება საშუალებას გვაძლევს ლიბა სიტყვის ბ თანხმოვანი ლაბიალიზებული ამოსავალი თანხმოვნის რეფლექსად მივიჩნიოთ.

რეფლექსად ხშულ-მსკდომის მიღება იმაზე მიუთითებს, რომ ამოსავალ ბეგრას დახურული ბილაბიალიზაცია განუცდია. დახურული ბილაბიალიზაცია კი, ლაკური ენის მასალების შიხედვით, ჩვეულებრივ, ხშულ-მსკდომ

<sup>1</sup> ამის შესახებ ქვემოთ, ჰ — ჸ, ჸ — ს და ჸ — ს პროცესის განხილვისას.

ბგერებთანაა მოსალოდნელი, ასეთად კი სპირანტი ჰა სიტყვაში ლეჭით // ლიშით ვერ ჩაითვლება. როგორც აღვნიშნეთ, სპირანტთა შორის ლია ბილა-ბიალიზაციის არსებობა ივარაუდება. აშეარაა, თანხმოვანი ჰა სიტყვაში ლეჭით // ლეჭით სხვა ამოსავალი ხშული თანხმოვნის რეფლექსს წარმოადგენს. მართლაც, ხაიდაყურის ზოგმა თქმამ შემოგვინახა სხვა, ხშული რეფლექსი დასახელებული ამოსავალი თანხმოვნისა, რაც უკანასკნელის ხშულობას ადასტურებს: „ყურის გდება“, „მიყურადება“ აულ ადალას მეტყველებაში (ქვემო ხაიდაყი) გაღმოიცემა ზმინით ლიკნაგერგარა: მამა ვეგურ ილ ქულუნსა. ილთალლა-უცუცი ლიკნაგერგუ — „მამა (სახელია — შ. გ.) წავიდა იმ ქალთან. მათ კარებს მიაყურადა“. სხვა კილობში კ თანხმოვნის ადგილას ის ჰა თანხმოვანი გვაქვს, რომელიც სიტყვის „ყური“ შემაღენნლობაში შედის: შდრ. ჰურახ-ლიშაკის — „ყურის გდება“, „მოსმენა“ (←ლიშითი-აკის). ზმინაში: ლიკნაგერგარა „ყურის“ სახელად გამოიყოფა ლიკნი, სადაც ბოლოკიდური -ნი მრავლობითი რიცხვის ფორმანტია. უკანასკნელის ი-ს ადგილას ერგატივის ა გვაქვს. აღნიშნული ზმინის ფორმაში: ყურებ-ით.

ენა-უკანარბილსასისმიერი მკვეთრი ხშული კ მიღებული უნდა იყოს ფარინგალური ხშულისაგან. ეს ხშული უნდა მეღერი ყოფილიყო, ამას შოწმობს მისი რეფლექსის მეღერობა: ლიბა. აღნიშნულ თანხმოვანს, ამავე დროს, დარგულის სხვა კილობში ფარინგალური ყრუ სპირანტის მოცემაც უნდა შეძლებოდა, საფიქრებელია, ფარინგალური მეღერი სპირანტის საფეხურის გავლით. ასეთ თანხმოვნად ივარაუდება ფარინგალური მეღერი ხშულ-მსკდომი კა; ამოსავალი ფორმის ფონეტიკური ცვლილება დიალექტებში ამ სახით წარმოვებულია: (მრ. ლიკნი) ლიკი ← ლიკიი ← \* ლიკიდი ← \* ლიჭითი ← ლიშითი.

საესებით ანალოგიური, შემთხვევა გვაქვს სიტყვის ჰარცული — „შეხერულება“ შესატყვისად ზემო ხაიდაყურუში ბარყუთი (ვარსიტი) // ბარყუთე (კირ-ჟი) სიტყვების წარმოდგენისას. აქაც ამოსავალ ლაბიალიზებულ თანხმოვნად ფარინგალური მეღერი ხშული ივარაუდება, რომელსაც კილოთა ერთ რიგში ჰომორგანული ყრუ სპირანტი ჰა მოუცია, მეორე რიგში კი შემონახული გვაქვს ამ ბგერის დახურული ბილაბიალიზაციის ელემენტი ბილაბიალური მეღერის ბ-ს სახით. ჰარცული ← \* ჰარცული ← \* ჰარცული → \* ჰარცული → ბარყუთი.

## ც

აულ ტანტის მეტყველებაში „ყურის“ სახელად ლაფ გვაქვს დადასტურებული. ბოლოკიდური ფ ამ სიტყვაში არაა მიღებული \*ლაბ — „ყური“ სიტყვის ბ-ს უბრალო დაყრულებით<sup>1</sup>, რადგან იგი უცვლელად გვაქვს მრავლობითი რიცხვის ფორმაშიაც, როცა იგი უკვე აღარაა აბსოლუტურ ბოლოში: ლაფ-რი.

დასახელებული სიტყვის, ერთი მხრით, ლიბა (ჩაპრიუი, სანაკარი), ხოლო, მეორე მხრით, ლიშით და ლეჭით (ჰურახი, ახუშა, წუდახარი...) ფორმებთან შედარება გვავარაუდებინებს, რომ ფ თანხმოვანი ამოსავალი ხშულ-მსკდომი თანხმოვნის ლაბიალიზაციის მომენტისაგანაა მიღებული. რეფლექსის სიყრულე ამოსავალი თანხმოვნის სიყრულეს ამტკიცებს. დასახელებული რეფლექსის შემონახვა სიტყვის ძირში ამოსავალი ლაბიალიზებული ფარინგალური მეღერის ჯი-ს ერთ-ერთი ფონეტიკური ვარანტის ჟი-ს ისტორიულად არსებობაზე;

<sup>1</sup> შდრ. ლიბა — „ყური“ (ჩაპრიუი, სანაკარი).

მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვის ძირში ქართულში, ფარინგალური ყრუ მკვეთრი უ გვაქვს (ყ-ურ-ი). საფიქრებელია, აღნიშნული ძირი უკავშირდებოდეს დარგულში შემონახულს:

ყ-ურ, შდრ..

\*ლი-ჭა-ი → \*ლიჭი-ი → ლი-ჭა-ი.

### 3

„ქუდის“ აღსანიშნავად სალიტერატურო დარგულში ყაფა გვაქვს, წუდა-სარულში კი გვხვდება ყუქა, მრ. რ. ყუქნე.

წუდახარულში დაღასტურებული ფორმა მომდინარეობს ყაქა-საგან შემდეგი ფონეტიკური ცვლილებების ნიადაგზე: ყაქა → ყაიქა (ლაბიალობის მომენტის მეტათეზისური წინგადმონაცვლება) → ყაუქა (დიფთონგიზაცია) → ყუქა (დიფთონგის გამარტივება მისი ერთ-ერთი კომპონენტის გაძლიერების ნიადაგზე).

ამოსაგალი ყაქა და სალიტერატურო დარგულის ყაფა ფორმების შედარება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უკანასკნელში ფ თანხმოვანი ლაბიალიზებული ქი თანხმოვნის ლაბიალობის ელემენტისაგანაა განვითარებული. ფ თანხმოვნის ხშულობა ბილაბიალიზაციის დახურულ ხასიათზე მიუთითებს.

ჰურახულში ყაფა-ს ჩაცლად დასტურდება ყაპა ფორმა. უკანასკნელი-სათვის ამოსაგალ წარმოადგენს ყაფა, რომელიც წუდახარულისათვის ამოსაგალ ყაქა ფორმისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მასში ლაბიალიზებული ფშვინვიერი ქი-ს ადგილს მკვეთრი ლაბიალიზებული ხშული ქი იცერს. ეს განსხვავება აღსახება რეფლექსებშია: ქ ← ქი → ფ და კ ← კი → ჰ.

ბ, ფ და ჰ თანხმოვნების არსებობა დარგულში ამოსაგალ ლაბიალიზებულ უკანა წარმოების თანხმოვანთა რეფლექსად უთუოდ მასზე მიუთითებს, რომ ხშულ-მსკდომთა დახურული ბილაბიალიზაცია ამ ენისთვისაც ისეთივე დამახასიათებელი ყოფილა აღრე, როგორც ეს დღეს ლაკური ენის ზოგ კილო-თქმაში გვაქვს. ისტორიულად დარგულში დახურული ბილაბიალიზაცია შეუცვლია ლია ბილაბიალიზაციას, რომელიც დახურული ბილაბიალიზაციის გვერდით არსებობდა და, ჩანს, თავდპირველად მხოლოდ სპირანტ თანხმოვნებზე ვრცელდებოდა. ლია ბილაბიალიზაციის მოქმედების სფეროში ხშული თანხმოვნების მოქმედვა, როგორც აღვნიშნეთ, ლაბიალურთა წარმოების ინტენსიურობის შესუსტების იმ საერთო ტენდენციას უნდა გამოიწვია, რომლის ნიადაგზეც დაღესტნის რიგ ენაში ბაგისმიერთა გავრცელების შეტისმეტი შეზღუდულობა მივიღეთ.

ყურადღებას იქცევს რეფლექსთა სისტემებრივი ხასიათი. დახურულად ბილაბიალიზებულ მელერ ხშულ-მსკდომ თანხმოვანთა რეფლექსად მელერი ხშულ-მსკდომი ბ გვაქვს, ყრუ ფშვინვიერ, ამგვარად ბილაბიალიზებულ თანხმოვანთა რეფლექსად — ყრუ-ფშვინვიერი ხშულ-მსკდომი ფ, ხოლ მკვეთრთა რეფლექსად — მკვეთრი ჰ.

კითხვა ისმის: ლია ბილაბიალიზაციის შემთხვევაში ხშულ სპირანტ ლაბიალიზებულთა რეფლექსებიც ასეთსავე სისტემას ქმნიან, თუ არა?

როგორც აღვნიშნეთ, ლაბიალობის მომენტი ლაბიალიზებულ თანხმოვანთან ერთად ჰარმონიულ კომპლექსს ქმნის: გი წარმოთქმაში გუ-დ გვევლი-

ნება; ქი, ასევე, ყრუ ფშვინვიერია არტიკულაციის მთელ სიგრძეზე. სკდომის მომდევნო ფშვინვა მომრგვალებულ ბაგებს შორის დატოვებულ ნაპრალს გამოივლის და ყრუ ფშვინვიერ ჟ-ს წარმოშობს; ეს ბგერა პირობითად ჟ-ნიშნით შეიძლებოდა გადმოგვეცა. ლაბიალიზებული კი იწარმოება ყელში ხშირი, ამიტომ ეს კომპლექსი არა მარტო ყრუ არის თავისი წარმოების მთელ სიგრძეზე, არამედ უსუნთქველიც. ფონეტიკური ტრანსკრიფციით აღნიშნული კომპლექსი შეიძლებოდა კუ, ნიშნებით გადმოგვეცა, სადაც ჟ- წყვილბაგისმიერ ყელხშულ სპირანტს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოთქმაში გვაქვს ბაგისმიერ სპირანტ თან-ხმოვანთა სამეული: მჟღერი, ყრუ ფშვინვიერი და ყრუ მკვეთრი, უკანასკნელთ მაინც ვერ ვხვდებით ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რეფლექსებს შორის იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ყრუ ფშვინვიერი ჟ- და მკვეთრი ჟ-დ არ-გულ ენას არ გააჩნია როგორც ფონეტები და ღია ბილაბიალიზებულთა რეფლექსებად მათ ნაცვლად მჟღერი ბაგისმიერ სპირანტის ჟ-ს ყალიბს იყენებს.

დარგულში სპირანტთა შორის წარმოდგენილი რომ გვქონდეს წყვილ-ბაგისმიერი ყრუ ფშვინვიერი და ყრუ მკვეთრი თანხმოვნები, როგორც ფონეტები (როგორც ეს ბაგისმიერ ხშულთა შორის გვაქვს), მაშინ სპირანტი რეფლექსებიც იმგვარივე სისტემის სახით წარმოგვიდგებოდნენ, რა სახის სისტემაც ხშულ ბაგისმიერ რეფლექსთა შორის გვაქვს.

აფხაზურ ენაში, როგორც აღვნიშნეთ, კბილ-ბაგისმიერი რეფლექსების სამეულებრივი სისტემაა დადასტურებული: ვ—ჭ—ვ'. დასახელებული სისტემის წარმოდგენა შესაძლებელი გახდა იმის ნიადაგზე, რომ აფხაზურში გვაქვს დენტო-ლაბიალური ფშვინვიერისა და მკვეთრის ყალიბები<sup>1</sup>. ქ. ლომთათიძე ვ' თანხმოვანს მართებულად მიიჩნევს აფხაზური ენის ფონეტიკური სისტემის ნიადაგზე ჩამოყალიბებულად.

ზემოთ დასახელებულ რეფლექსთათვის ამოსავალ თანხმოვნებად ქ. ლომთათიძე ძი || ჯი, ცი, წი ბილაბიალიზებულ აფრიკატებს (ავტორის ტერმინოლოგიით სრულად ლაბიალიზებულ აფრიკატებს) მიიჩნევს<sup>2</sup>. რეფლექსთა დენტოლაბიალური ხასიათი კი გვავარაულებინებს, რომ ამოსავალი თანხმოვნები არა ბილაბიალიზებულები, არამედ დენტო-ლაბიალიზებულები უნდა ყოფილიყო. აფხაზური ენის იმ კილოებში, სადაც ვ—ჭ—ვ' რეფლექსებს ვხვდებით. შეიძლება დელაბიალიზაციის პროცესს წინ უძღვით ბილაბიალიზებულ ძი || ჯი, ცი, წი თანხმოვანთა დენტო-ლაბიალიზაცია, რამაც შემდგომში რეფლექსთა კბილ-ბაგისმიერობა განაპირობა.

ამრიგად, ლაბიალიზებულ თანხმოვანთა თეორიულად მოსალოდნელ რეფლექსთაგან მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში დასტურდება შემდეგი თანხმოვნები:

ა) დახურული ბილაბიალიზაციის შემთხვევაში:

ბ — ფ — პ

ბ) ღია ბილაბიალიზაციის შემთხვევაში:

უ — ჟ — ჟ' (← ჟ') — ჟ' (← ჟ')

გ) დენტოლაბიალიზაციის შემთხვევაში:

ვ — ჭ — ვ' (ქ. ლომთათიძე)

<sup>1</sup> ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, გვ. 32.

<sup>2</sup> იქმ, გვ. 33—35.

## 5

დარგული ენის დიალექტების მონაცემების შედარებისას დაჩნდება შემდეგი შესატყვისობები:

ჰ : ს ; ჰ : ხ

ჰიში— „მრისხანება“ (პურახ. ახუშ.)	შდრ.	სიში (წუდახ. ხაიდაყ.)
ჰალავ— „წინ, აღრე“	" "	სალალ (წუდახ. ხაიდაყ.)
ჰაუკის— „გაქცევა“	" "	სარუკიზ (წუდახ.)
მურჰი— „ოქრო“	" "	მუსი (ხაიდაყ.)
არგილ— „შიშველი“ (პურახ.)		სარქილ (ხაიდაყ.).
ჩიმილჰი— „კომში“	"	ჩიმისი (ხაიდაყ.)
მუჰალი— „პირი“	"	მის (ხაიდაყ.)
უამჰარუის— „დასველება“	"	უაუსანა (ხაიდაყ.)
ჰავაპჯის— „გარეკვა“	"	საბაკიზ (წუდახ.)
ჰამადლიშ— „სიცსუბუქე“	"	სამათიქ— (ხაიდაყ.)
უარჰი— „ნაბაღი“	"	გურასი (ხაიდაყ.)

შესატყვისობას ჰ : ს და ჰ : ხ ვერ მიგიჩნევთ ამოსავალი ს თანხმოვნის რედუქციის შედეგად მიღებულად, როგორც ეს, მაგალითად, ქართული ენის ზოგ კილოში გვაქეს; თუ ჰ თანხმოვანი ფონეტიკური შესაძლებლობის მიხედვით კიდევ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ს თანხმოვნის რედუცირებულ ვარიანტად, ამას ვერ ვიტყვით ჰ თანხმოვნის შესახებ, რომელიც გაცილებით უფრო ენერგიული წარმოებით ხასიათდება, ვინედ სპირანტი ხ.

ფონეტიკურ პროცესს, რამაც აღნიშნული შესატყვისობა მოგვცა დარგული ენის სხვადასხვა დიალექტში, უნდა საპირისპირო მიმართულება ჰქონდა; წინაენისმიერი ს სპირანტი ს მეორეული ჩანს. აღნიშნული თანხმოვნის მეორეულობაზე ისიც ლაპარაკობს, რომ კუბაჩურში მის ნაცვლად ამოსავალ ჰ და ჰ თანხმოვანთა შესატყვისად თ გვაქეს<sup>1</sup>. ერთმა და იმავე ამოსავალმა მასალამ სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვაგვარი ფონეტიკური ცვლა-განვითარების შედეგად დიფერენცირებული რეზულტატი მოგვცა.

რა პროცესის შედეგად შეიძლებოდა მიგველო შესატყვისობა ამოსავალ ჰ || ჰ, კ და წინაენისმიერ თ, ს, ა, აგრეთვე, დ და ჰ თანხმოვნებს შორის?

უკინა წარმოების სპირანტთა არტიკულაციის ადგილის წინ გადაწევა დარგული ენის კილოთა ერთ ნაწილში შეიძლებოდა დაგვეკავშირებინა პალატალიზაციის პროცესთან, რომ ამგვარ მოვლენას არაპალატალური ხმოვნების წინაც არ ჰქონდეს ადგილი.

ხაიდაყური კილოს ზოგ ქცევაში ლარინგალური ჰ და ჰ წინაენისმიერ ს და თ თანხმოვნების შესატყვისად უ სპირანტის არსებობა<sup>2</sup> საშუალებას იძლევა შესატყვისობანი — ჰ : ს, ჰ : ხ, ჰ : თ, ჰ : ზ, ჰ : ც, ჰ : ჭ, ჰ : ღ მივიჩნიოთ ამოსავალი ლაბიალიზებული ფარინგალური და ლარინგალური თანხმოვნების არტიკულაციის წინ გადაწევის შედეგად მიღებულად, საფიქრებელია, ლაბიალიზაციის პროცესთან დაკავშირებით. პროცესი ჰ || ჰ → თ რომ შეპირობებული უნდა იყოს ლაბიალიზაციით, ამას მოწმობს დარგულის ზოგ თქმაში უ თანხმოვნის წარმოდგენა თ-ს შესატყვისად სწორედ ისე,


<sup>1</sup> აღნიშნული შესატყვისობის შესახებ—ცოტა ქვემოთ.

<sup>2</sup> მხედველობაში გვაქეს შესატყვისობა ასეთი რიგისა: ჰურახ. ახუშ. ჰა—ვ—პ—კ—შ, წუდახ. სა—ბ—ა—კ—იჩ, ქვემო—ჩაიდაყ. (შილაპის თქმა) უად—ბ—ე—ლ—ა— „გარეკვა“ და სხვ.

როგორც ეს ჸ ॥ ჰა—ს შესატყვისობის განხილვის დროს ვნახეთ:

ტაპიულ—„გრილი“ (პურახ.), თეპიულ (ახუშ. დიალ. გუბდენ. თქმა.).

ტაპიულიშ—„სიგრილე“ (პურახ.), თეპიულეშ (გუბდ.) ივარაუდება, რომ ამოსავალმა ლაბიალიზებულმა ფარინგალურმა მოგვცა როგორც წინაენისმიერი თ, ისე ბაგისმიერი ჟ რეფლექსი:



ლაბიალიზებული ჸა და თი თანხმოვანთა ფონეტიკური სიახლოეთ უნდა აიხსნას ზოგი ნასესხები სიტყვის თ-ს გადასვლა ჸა-დ დარგულსა და ლაკურში<sup>1</sup>:

ქართ. თორნი—„ჯაჭვის პერანგი“

ლაქ. ჸაიორნი

ღარგ. ჸაშნი  $\leftarrow$  ჸაბრნი  $\leftarrow$  ჸაიარნი

ჸ  $\rightarrow$  თ

ჸარუჟაკის—„მოსვლა“ (პურახ.), სარვაჭიზ (წუდახ.), თადეილაჭიზ (კუბაჩ.); მურპი—„ოქრო“ (პურახ. ახუშ.); შდრ. მუსი (ხაიდაყ.), მუთი (კუბაჩ.);

ჸარგილ—„შიშველი“ (პურახ.); შდრ. სარქილ (ხაიდ.), თაქტბაყიზ — „გაღლება“ (კუბაჩ.).

ჸიმი—„მრისხანება“ (პურახ. ახუშ.); შდრ. ხიმი (წუდახ. ხაიდაყ.), თიმი (კუბაჩ.);

ჸალაშ—„წინ, აღრე“ (პურახ.); შდრ. სალლი (წუდახ.), თალალ. (კუბაჩ.);

ტამპიონის— „დასველება“ (პურახ.); შდრ. ტაჟსანა (ხაიდაყ.), ათილსა — „სველი“ (ლაქ.)...

შესატყვისობა ჸ: თ არ უნდა იყოს უცხო დალესტნის სხვა ენებისთვი-საც. ტ. გუდავას, მაგალითად, დადასტურებული აქვს შესატყვისობა ტინ-დიურ თიცუ, აქნადურ-ანლიდურ ჸიცუ-სა და ხუნდ. ქუწ-„ჭაობი“ შორის<sup>2</sup>. ხუნდურში ქუწ ფორმის შემონახვა გვიჩვენებს, რომ ამოსავალი ტინდიური თიცუ ფორმისათვის აქნადურ-ანლიდური ჸიცუ არის.

ლარინგალური სპირანტი ჸ გაჩნდება ზოგჯერ მონათესავე ენებთან საზიარო ლექსიკურ მასალაში დარგული ენის ზოგ კილოში:

ქართ. ღართი—„საწვიმარი ნაბადი“ (საბა)

ხუნდ. ბურთინა—„ნაბადი“

დარგ.  $\left\{ \begin{array}{l} \text{ხაიდაყ. უარისი } „\text{ნაბადი}" \\ \text{” } \text{გვარისი } " \\ \text{პურახ. ტარპი } " \end{array} \right.$

დ  $\leftarrow$  ც  $\rightarrow$  ჸ

ურკარახულში, ხაიდაყურში, აგრეთვე, ზოგ სხვა კილოში პურახულის ც-ს შესატყვისად მეღლერ ც-თ თანხმოვანს ვხდებით.

დასახელებული თანხმოვნების რეფლექსად მეღლერ ენა-ქბილისმიერ სპირანტს ზ-სა და ჸომორგანულ ხშულ-მსკლომ დ-საც ვხვდებით. რეფლექსთა გვარეობრივი განსხვავება (სპირანტი: ხშული) უნდა ამოსავალი თანხმოვნების.

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწერილებით — ქვემოთ.

<sup>2</sup> იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953, გვ. 362.

ამგვარსავე გვარებრივ განსხვავებაზე მიუთითებდეს, ე. ი. ზ უნდა მოეცა ამ თანხმოვნის სპირანტ ვარიანტს, და კი ხშულ-მსკდომს.

სახმო სიმების მიღამოებში არ შეიძლება წარმოებული იქნეს მელერი ხშულ-მსკდომი, მთ უმეტეს სპირანტი, რადგან უკანასკნელები უბრალო ხმოვნებად იქცეოდნენ. აშეარაა, დასხელებული თანხმოვნები ან სახმო სიმებს ზემოთაა ნაწარმოები, ან სახმო სიმებშია წარმოებული, მაგრამ ამავე ღროს მკვეთრადაა ფარინგალიზებული. კერძოდ, ვგარაუდობთ, რომ ც თანხმოვნის ფარინგალიზაცია ფარინგსის ღრუს ქვედა ნაწილში ენის ძირისა და ხორხსარქვლის ხახის უკანა კედლისაკენ აქტიური არტიკულაციით არის შეპირობებული.

ფარინგალური წარმოების თანხმოვნებს, საერთოდ, რომ არაფერრ ვთქვათ ლარინგალურებზე, ახასითებთ ფიზიოლოგიური მიღრეკილება სუნთქვიერობისაკენ: ხახის ღრუს ქვედა ნაწილის შედარებით მცირე მოცულობისა და ენის ძირის მოძრაობის შეზღუდულობის გამო სახმო სიმების დახშულობის შემთხვევაში შეუძლებელი ხდება წერვათი ისეთი სხვაობის წარმოშობა, რაც საკმაო იქნებოდა საწარმოთქმო ხშვის დასაძლევად შუა ან ქვედა ფარინგსში. ამიტომაა, რომ შუა და ქვედა ფარინგალური თანხმოვნები, აგრეთვე ლარინგალურები, ყველა ტრანსლარი ფარინგალური უსუნოქველი უ მხოლოდ ზედა ფარინგსში იწარმოება<sup>1</sup>. ტრანსლარინგალური წარმოებისა ჩანს მელერი ც თანხმოვანი. იგი ამავე ღროს ხშულს უნდა წარმოადგენდეს, რადგან მისრეფლექსად ხშულ და თანხმოვანს ვხვდებით. წარმოების ადგილის მიხედვით იგი, ვფიქრობთ, შეიძლება მიჩნეული იქნეს ფარინგალიზებულ ლარინგალურ ხშულ-მსკდომ ბგერად. წარმოვადგინოთ ც || ც ა : დ შესატყვისობის მაგალითები:

მურ-ც-ილ (ჰურახ.); შდრ. მუ-ჭ-ილ (ხაიდ.), მი-ღ-ილ (კუბაჩ.) — „ტკბილი“; უმ-ც-ურილ — „სუფთა“ (ჰურახ.); მუ-გ-ულ — „ცოცხი“ (წუდახ.), უმ-ზ-უცე (ხაიდ.), აბ-ღ-უზივ (კუბაჩ.) „სუფთა“.

ცურ-ც-ი — „ვარსკვლავი“ (ჰურახ.); შდრ. ზური (ხაიდ.), დი (კუბაჩ.);

ცულა — „საცერი“ (ჰურახ. ახუშ.); შდრ. ზულა (ხაიდაყ.);

ცუ — „სახელა“ (ჰურახ.), ზუ (ხაიდაყ. წუდახ.)

ხაიდაყურში შეინიშნება შიშინა უ სპირანტის გამოვლენის შემთხვევებიც ჰურახულისა და ზოგი სხვა კილოს ფარინგალიზებული ლარინგალური თანხმოვნის ადგილას:

მუ-ც-ილ — „სიზმარი“ (ჰურახ.); შდრ. მიუერ (ხაიდაყ.);

ცირცუ — „კვამლი“ (ჰურახ.); შდრ. უტე (ხაიდაყ.);

რატა — „ყვავილი“ რ-ტაცუტა (ჰურახ.); შდრ. უუფა (ხაიდ.)...

### ც → ტ

წუდახარულში „ლურსმნის“ აღმნიშნელი სიტყვის ტპბულ ფორმაა დადასტურებული. იგი შეესატყვისება. ჰურახულის ცუპბულ და ახუშურისა ცპბულ ფორმებს.

წუდახარულშივე დადასტურებული გვაქვს სიტყვის „კოშკი“ აღსანიშნავად კალცა, კალცა და კალტა ფორმები. ეს სიტყვა შესულია არაბული-

<sup>1</sup> როგორც წესი, სხვა ფარინგალურ თანხმოვანთაგან განსხვავებით, უ უფრო ზემოთ იწარმოება.

**დან ჟეკლი** — „ციხე“, „სიმაგრე“. აშკარაა, ტ თანხმოვანი ფორმაში: **კალტა** ც-სა-გან მომდინარეობს ისე, როგორც **კალპა** ფორმის ჰა-ც მასვე უკავ-შირდება.

წარმოდგენილი **შესატყვისობები** შეიძლებოდა უბრალოდ სუბსტიტუცი-ის მოვლენად ჩაგვეთვალა, რომ მას მხარს არ უჭირდეს ანალოგიური **შესა-ტყვისობები** ამავე აღგილწარმოების ჰეტეროგენურ თანხმოვანთა შორის. გარ-და ამისა, ვხვდებით **შემთხვევებს**, როცა **შესატყვისობა** ც : ტ კანონზომიერა-დაა გატარებული, მაგალითად, ზმურ ფუძეში „თქმა“. შდრ. ურკარახული ა-ტ-იბ — „თქვა“ და სხვა კილოების ც-იბ — „თქვა“; ეგვე ძირი გვხვდება შე-დგენილ ზნებშიაც: ჰერქატიბლი, დალად ატიბლი სად ჰიმპალი — „არ შეხედა (არ გაუგონა) იმლერა ვირმა“ (ურკარას.), შდრ. ჰურახულში: ჰიმპალი, დალად ცილი სად ჰიმპალი.

ც რეფლექსი **შეიძლება** **შესატყვისებოდეს** სხვა აღგილწარმოების ბგე-რებსაც. მაგალითად, ჰურახულისა და წულახურულის მონაცემების შედა-რება ავლენს **შესატყვისობას** როგორც, ერთი მხრით, ც თანხმოვანსა და, შეორე მხრით, უკანა რბილსასისმიერ სპირანტებს ლ-სა და ს-ს შორის, ისე წინა რბილსასისმიერ მულერ-ხშულ გ-ს შორის:

### ჰურახული

- დიც — „ხორცი“
- ნიც — „რძე“
- მურცულ — „ქმარი“
- იცის — „ყოფნა“
- ურცის — „ამოხმობა“ (მრ. გზ.)
- შაცის — „მიღწევა რისამე“

### წულახარული

- ლიგ
- ნიგ
- მურგულ
- იხტიზ
- ურლიზ
- ელიზ (← შელიზ)

გ, ლ, და ხ თანხმოები **შეიძლება** **შესაბამის ფარინგალურთა** წინ გადა-წევის **შედეგად** გვქონდეს მიღებული.

ჭ→ჭ || ჭ→უ პროცესის დადასტურება დარგულის დიალექტებში ნათელს ფარგულის უახლოესი მონათესავე ენის, — ლაკურის — რიგი ფორმის ისტორიას.

დარგული და ლაკური ენების მონაცემების შედარება ააშკარავებს **შესატყვისობას** დარგულის რიგი კილოს ჰა || ჭ სპირანტებსა და ლაკურ ჭ || ჭ(→ შ) სპირანტებს შორის:

დ ა რ გ უ უ ლ ი

ჭ→ჰა

ჰუშა — „თქვენ“ (წულას.)

ლ ა კ უ რ ი

ჭ || უ→შ

{ ჰუ (წუშა);  
უი (ქულა);

ლაჟინ;  
ჟუბინა;  
ჟამბა(←შანტა)...

დაშა — „სახე“

ჰიპბწალი — „ოცდაათი“

ჰიაბალი — „სამი“

„სამის“ ლაკურ სახელში მოსალოდნელ ზანტა-ს მაგიერ (სისინა წრის კილოებში) ან უანტა-ს მაგიერ (შიშინა წრის კილოებში) ფორმა ზამბა-ს არ-სებობა უნდა აიხსნას შემდეგი ხასიათის ფონეტიკური ცვლილებების ნიადაგზე: ზანტა → უანტა (რეგრესული ასიმილაცია) → უამბა (პროგრ. ასიმ) → ზამბა (თავკიდური მულერი უ სპირანტის დაყრულება).

დარგული ენის კილოთა დიდ უმეტესობაში „შენ“ და „თქვენ“ ნაცვალსახელები ერთსა და იმავე ძირს გვიჩვენებენ. ამ სახელთა ფუძეებს მრ. რ. ფორმებში განასხვავებს მხოლოდ სუფიქსების — ე- → შა || -შა დართვა:

ჭუ — „შენ“ ჭუ-ქ’ო — „თქვენ“ (ტანტი)

ჰეთი—„შენ“ ჰეთ-შა—„თქვენ“ (ჰურაბ.-ახლშ.)

ზოგ კილომეტრი, მაგალითად ხაიდაყურში, ეს კანონზომიერი წარმოება ერთი შეხედვით დარღვეული ჩანს:

„შენ“  
„თქვენ“ } (ზემო ხაიდაყი) „შენ“  
„თქვენ“ } (ქვემო ხაიდ.)

ამ ნაცვალსახელის იტორიის გათვალისწინებაშ დარგულის დიალექტებში დაგვანახვა, რომ ამოსავალში ხაიდაყურშიც ისეთივე ვითარება-გვქონდა, როგორიც დარგული ენის სხვა დიალექტებში:

ჭუ-ნუ → ჭუ — „შენ“; ჭუ-ნუ-ქ’ა → ჭუ-ქ’ა- „თქვენ“ (ტანტი)

ჭუ-ნუ → ჭუ — „შენ“; ჭუ-ნუ-შა → ჭუ-შა — „თქვენ“ (წელახ.)

ჰაუ-ნუ→ჰაუ—„შენ“; ჰაუ-ნუ-შა→ჰაუ-შა—„თქვენ“ (ჰურაბ.)

ჭი-ნი→ჭი→ი—„შენ“; ჭი-ნი-შა→ნი-შა—„თქვენ“ (ზემო ხაილ.)

「ჭუ-ნუ→ჭუ-უ」 || ი—„შენ“; ჭუ-ნუ-შა→ნუ-შა—„თქვენ“ (სანჩი, ქვ. ხაიდაყი)<sup>1</sup>.

პირის ნაცვალსახელების — „შენ“ და „თქვენ“ — ფორმების შედარებისას ხაიდაყურის მსგავსად საგრძნობ განსხვავებას გვიჩვენებს ლაკური ენაც:

ინა—„შენ“ ჟინ—„თქვენ“ (ქული)

ზუ—„თქვენ“ (წუშა)

ნაცვალსახელის „შენ“—ინა ფორმაში გამოიყოფა ფუძისეული ხმოვანი. და ფორმანტი -ნა. ი მიღებული გვაქვს თავკიდური თანხმოვნის დაკარგვის. შედეგად სწორედ ისე, როგორც ხაიდაყურის ი—„შენ“. თავკიდურ თანხმოვანს ლაგური ენის სისინა წრის კილოებში ზი წარმოადგენდა, შიშინა წრის დიალექტებში კი ჟი. აღნიშნული ბერები დღესდღეობით შემონახული გვაქვს დასახელებული ნაცვალსახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებში: ჟიი (ქოლი) || ზუ—ზიუ (წუშა).

შეიძლება თუ არა მივაგნოთ ლაკურში ნაცვალსახელის „შენ“ ფორმებში ზოგი დროში // ეს ლაბიალიზებული თანხმოვნების ოდინდელი არსებობის კვალს? ასეთი კვალი მართლაც ჩანს, თუ ამ ნაცვალსახელის ბრუნებას გადავხედავთ:

სახ. ი-ნა— „შენ“

ଶ୍ରୀମତୀ. କୃତ୍ତବ୍ୟାକାରୀ

ମେୟି. ଶ୍ରୀ-୦୯

აღგილობით ბრუნვებშიაც წარმოდგენილი გვაქვს ჟი ფუძე (სახელობი-  
თის ი-ნა ფუძის ნაცვლად).

რას წარმოადგენს თავკიდური სპირანტი უ ირიბ ბრუნვათა ფუძეში? იგი ჟა და ზა თანხმოვანთა რეფლექსია, განვითარებული დასახელებული-

<sup>1</sup> დაწერილებით ჩვენს ქურილში: ნიშა „თქვენ“ ფორმისათვის ხაიდაყურში; იბერიულ-აკაციასირტი ენათმეცნიერების. ტ. 14.

ლაბიალიზებული თანხმოვნების ლაბიალობის მომენტისაგან ამოსავალ უა // ზო თანხმოვანთა დაკარგვის შემდეგ. თავკიდური წინაენისმიერი მულერი სპირან-ტების დაკარგვას შეიძლება წინ უძლოდა ლაბიალობის მომენტის წინ გადა-ნაცვლება (რომელიც ჩემულებრივი მოვლენაა ლაკურისათვის), რის შედეგა-დაც ზ და ჟ სპირანტები უშუალოდ ო ხმოვნის წინ აღმოჩნდნენ, რედუქცია განიცადეს და გაითქვითნენ უკანასკნელში:

შაგალითისათვის ავილოთ ნათესაობითის (resp. ერგატივის) ფორმა:

\*ჭირილ+\*ჭირილ→\*უირილ→\*იუირილ→\*უირილ (ქული)

ჭირილ→\*ჭირილ→\*ჭირილ→\*იუირილ→\*უირილ→\*უირილ (წუშა)

თავკიდური ჟი და ზი თანხმოვნების ამგვარი ფონეტიკური ცვლილების შედეგად, მაგალითად წუშასა და ქულის მეტყველებაში, „შენ“ ნაცვალსახე-ლისათვის მივიღეთ ერთი და იგივე ფორმა იმ დროს, როცა მრავლობით რიცხვში „თქვენ“ ნაცვალსახელის ფორმები ამ აულების მეტყველებას გარ-ჩეული აქვთ: ჟირი (ქული) // ზუ → ზირი (წუშა).

ამოსავალი ვითარების აღდგენის შემდეგ ლაკურშიაც გაქრება ის მოჩ-ვენებითი დაპირისპირებულობა „შენ“ და „თქვენ“ ნაცვალსახელთა ფორმებს შორის, რომელიც დარგულა ენის ხაიდაყურ კილოში შეინიშნებოდა, სანამ ამ ნაცვალსახელთა ფორმების ისტორიას გავითვალისწინებდით:

დარგ. შუნუ → შუ (წუდახ) → უ(კუბაჩ) „შენ“

„ ჭირინა ← ჭი → ო (ხაიდაყ.) „ 』

ლაკ. ჭირინა → უირინა → იუირინა → უირინა → ირინა → (ქული) — „შენ“

„ ჭირინა → ზირინა → ზირინა → ირინა (წუშა) „შენ“


შდრ. მრ. რ. „თქვენ“ ნაცვალსახელის ჟი და ზუ ფორმებს, რომ-ლებიც მიღებულია ფუძის მაღეტერმინებელი აფიქსების მოკვეცის შე-დეგად:

ჭირინა → უირინა → უირინა — „თქვენ“ (ქული)

『ჭირინა』 → ჭუ-ნა → ზუ-ნა → ზუ — „თქვენ“ (წუშა)

როგორც დავინახეთ, ლაბიალიზებული ფარინგალური სპირანტების წინაენისმიერ სპირანტებად გადასვლისა და მათი ლაბიალობის მომენტისა-გან ლაბიალური თანხმოვნების განვითარების შესაძლებლობისათვის ანგარი-შის გაწევაშ საშუალება მოგვცა გაგვეთვალისწინებინა პირის ნაცვალსახელე-ბის „შენ“ და „თქვენ“ ფორმების ისტორია ლაკურში. აღნიშნულ ფუძეთა ისტორიის გათვალისწინება ამჟღავნებს პირის ნაცვალსახელების ფორმათა წარმოების მორფოლოგიური ტიპების ისტორიულ ერთიანობას ლაკურსა და დარგულ ენებში. დღევანდელი დაპირისპირებულობა და სხვაობა მიღებული ჩანს ამ ენათა დიფერენციაციის შემდეგ.

შესატყვეისობანი ლარინგალურ, ფარინგალურ და წინაენისმიერ, აგრე-  
თვე ბაგისმიერ თანხმოვანთა შორის შემდეგი სქემის საშუალებით შეიძლება.  
გადმოვცეთ:



6

კითხვა ისმის: როგორ უნდა იქნეს ახსნილი შესატყვისობები:

୧୯୦୫

ପ୍ରକାଶକ

୪୮, ୧ ଜାନୁଆରୀ

క్రీ, క్రీ ८० ५

ଶ୍ରୀ ମହାଦେଵ ପାତ୍ର ୧

ପ୍ରକାଶକ

ପ୍ରକାଶିତ ଦିନ ୩ ଜାନୁଆରୀ ୧୯୫୩.

რა შეიძლება ჩავთვალოთ ამოსავლად, ლაბიალიზებული კომპლექსი და-  
დანარჩენები მათგან წარმომდინარედ მიეთხოოთ, თუ ამოსავლად ვიგულის-  
ხმოთ ლაბიალური ბეგრა და მისი არტიკულაციური თავისებულებების შედე-  
ვად განვითარებულად ვიგულვოთ უკანაენსმიერი, ფარინგალური და ლარინ-  
გოლური ბეგრაბი?

ბაგისმიერთა ლაბიო-ველარული წარმოების დაშეგბის საფუძველზე ხსნიან ხოლმე ინდოევროპულ ენებში შესატყვისობას, ერთი მხრით, ლაბიალურ თანხმოვანთა, ხოლო, მეორე მხრით, უკანა წარმოების თანხმოვნებს შორის.

ა. მეცნ W თანხმოვნის წარმოების შესახებ აღნიშნავდა: „W\*-ს ისტორია უფრო რთულია, ვიდრე V\*-სი და ეს მისი ორმაგი არტიკულაციის შედევია: ენის ზურგი უახლოვდება სასის უკანა ნაწილს, ბავევები ერთმანეთს უახლოვდებიან და მომრგვალდებიან... იქ, სადაც ენის სასასთან მიახლოვება. გაძლიერდა, W\* გადავიდა გW\*-ში, შემდეგ g-ში, როგორც ამას ვხედავთ სომხურში, ბრიტულში; იქ, სადაც გაძლიერდა ბავების ურთიერთდაახლოების მომენტი, W\* გადავიდა b-დ სიტყვის თავში, როგორც ეს გარკვეულ შემთხვევაში გვაქვს ახალ სპარსულში,,. ახალი სპარსული საერთო სპარსულის თავითიღრ W\*-ს გადმოგვცემს. ხან ე, ხან b-ს საშუალებით“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> А. Мейс, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, §§. 132—133.

უკანაენისმიერ თანხმოვნებს განვითარებულად მიიჩნევენ ქართულ-ქართველურ ენებში, როგორც სიტყვის თავში, ისე მის შიგნით<sup>1</sup>.

როგორც ჩვენს წერილში წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს, ბაგისმიერთა შესატყვისად არა მარტო უკანაენისმიერ ველარებს ვხვდებით, არამედ ფარინგალებსა და ლარინგალებსაც. უკანასკნელთა განვითარებას ვერ იგხსნით ბაგისმიერთა ლაბიო-ველარული არტიკულაციით (კიდეც რომ უკანასკნელთა მგვარი არტიკულაცია ახასიათებდეთ), რადგანაც ფარინგალურთა წარმოთქმისას უკანა ენის ძირს დაწევის შედეგად ენის რბილ სასასთან მიახლოება<sup>2</sup> კი არ გვაქვს, არამედ, პირიქით, დაშორება<sup>3</sup>.

მეორეც, ლაბიალურ თანხმოვანთა შესატყვისად აფხაზურში წინაენისმიერი აფრიკატები გვაქვს (შდრ. შესატყვისობას: ძ, ც, წ და ვ, ფ, ვ<sup>3</sup>), უკანასკნელთ კი ვერ მივიჩნევთ ბაგისმიერ თანხმოვანთა ლაბიო-ველარული-არტიკულაციის შედეგად განვითარებულად: ველარულობა უნდა გამორიცხავდეს წინაენისმიერობას.

გარდა ამისა, რაც მთავარია, ლაბიალურ თანხმოვანთა წარმოთქმისას არ დასტურდება ენის ზურგის სასის უკანა ნაწილთან იმგვარად მიახლოება, რომ ეს საკმაო იყოს უკანაენისმიერთა განსავითარებლად.

ლაბიალური თანხმოვნების, როგორც ხშულების, ისე სპირანტების, ველო-პალატოგრაფიულმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული თანხმოვნების წარმოებისას ენის ზურგი რბილ სასას არ ეხება არც ქართულში, არც დაღესტნის ენებში, მაგალითად, დარღულში.

ბაგისმიერთა შესწავლას ვაწარმოებდით ველო-პალატო-დენტოგრაფიული მეთოდით.

ხელოვნური სასის ფირფიტა, რომელსაც ჩვენ ვიყენებდით, ფარაგდა არა შარტო მაგარ სახას, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია, არამედ თავისი ელასტიური ნაწილით მოიცავდა რბილი სასას დაახლოებით  $\frac{3}{4}$  ნაწილსაც და აგრეთვე კბილების შიგა მხარესაც.


ველო-პალატო-დენტოგრაფიული მეთოდით. სამეტყველო ბგერათა წარმოების შესწავლას რიგი უპირატესობა გააჩნია. სახელდობრ: ა) იგი საშუალებას იძლევა ფიქსირებულ იქნეს რბილი სასის წინა და უკანა ნაწილების მონაწილეობა ამა თუ იმ იმ ველარული ბგერის წარმოებაში; ბ) აღნიშნული მეთოდის მომარჯვებისას შესაძლებელი ხდება ენის შეხების ფიქსირება წინა კბილების შიგნითა ნაწილთან, მაგალითად, სისინა აფრიკატების წარმოების დროს ქართულში. ამ ნიშნის მიხედვით ხერხდება შიშინა და სისინა აფრიკატთა წარმოების შორის არტიკულაციური სხვაობის სათანადოდ გახაზეა. პალატო-გრაფიულად შესწავლით დასახელებულ თანხმოვანთა შორის სხვაობა მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ შიშინა აფრიკატთა წარმოებისას ენის შეხების ზოლი მაგარ სასასთან უფრო ფართოა, ვინემ ეს სისინა აფრიკატების არტიკულაციისას შეიმჩნევა. სისინა აფრიკატთა კბილისმიერობა შიშინათაგან განსხვავებით პალატოგრაფიული მეთოდით შესწავლისას არ ჩანს. გარდა

<sup>1</sup> ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, X, გვ. 231—236. ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის პირითადი პრინციპებისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 123—125.


<sup>2</sup> იხ. მაგ. სურ. 6. ფარინგალური სპირანტის ჰას-რენტგენოგრამა.

ამისა, რაკი პალატოგრაფიული მეთოდის საშუალებით არ ხერხდება წინა-ენის ზედა საჭრელ კბილებთან ხშირი ფრქსის მიზნებია, იქმნება ყალბი შთაბეჭდილება სისინა აფრიკატა ხშირი არის ვითომდა სიმცირის შესახებ სათანადო შიშინა შესატყვისებთან შედარებით. გ) ველო-დენტო-პალატოგრაფიული მეთოდით ბგერათა არტიკულაციის შესწავლის დროს ხერხდება წინა ენის ქვედა შნარის ქვედა წინა კბილებთან შეხების ფრქსის მიზნებაც. აღნიშნულის ნიადაგზე შესაძლებელი ხდება სისინა და შიშინა თანხმოვნების არტიკულაციური თავისებურებების ხაზგასმით წარმოდგენა. დ) ხელოვნურ სასაზე ნახვერეტებით აღნიშნულია მაგარი სასის გუმბათის ჩაღრმავების დამახსაიათებელი ნაწილები: ჩაღრმავების დასაწყისი, შუა ზოლი და ჩაღრმავების მაქსიმუმი. აღნიშნული წერტილები საშუალებას იძლევა მაგარ სასაზე და კბილებზე ენის შეხებით დატოვებული კვალის მიხედვით საკრია სიზუსტით აღვადგინოთ, ამა თუ იმ ბგერის წარმოებისას თუ რა მდებარეობა უქირავს ენას პირის ღრუში. ამრიგად, ველო-პალატო-დენტოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ხერხდება სამეტყველო ორგანოების საკმაოდ ზუსტი პროფილის მიღება. იმის გამო, რომ ხელოვნურ სასაზე კბილების შიგნითა ნაწილიც წარმოდგენილი, სრულიად ზედმეტია მისი დაყოფა დიდი და მცირე საძირე კბილების, ეშვებისა და ა. შ. ზონებად. ველო-დენტო-პალატოგრაფიული მეთოდი, რასაკვირველია, სავსებით ვერ შეცვლის რენტგენოგრაფიულ მეთოდს, რომელსაც მისგან განსხვავებით, მეტი სიზუსტე ახასიათებს.

სურ. 1 წარმოადგენს წყვილბაგისმიერი და კბილბაგისმიერი უ, ვ თანხმოვნების ველო-პალატო-



სურ. 1



1-б

დენტოგრამას. ენის შეხების კვალი აჩნია მხოლოდ მესამე (სასის ორივე მხარეს), მეორე და პირველი (ცალ მხარეს) დიდი ძირითადი კბილების ზედა-პირს. სურ. 1-ა წარმოადგენს აღნიშნული თანხმოვნების პროფილს, რეკონსტრუირებულს ველო-პალატო-დენტოგრაფიული მონაცემების საფუძველზე.

ვ. ა. ბოგორიცის მასალებით ირკვევა, რომ რესულში არაპალატალიზებული ბაგისმიერების პ, ბ, ფ, ვ-ს წარმოთქმის დროს „затроцутые языком места занимают лишь задние углы твердого неба, все остальные части не имеют никакого отпечатка“<sup>1</sup>. ავტორი აღნიშნავს, რომ სპირანტ-ბაგისმიერთა წარმოთქმისას, აგრეთვე ცხვირისმიერ მ-ს არტიკულაციისას ეს შეხების არე უფრო მცრავი ხშულებთან შედარებით<sup>2</sup>. მაგრამ ბოგორიცივე აღნიშნავს, რომ „Опыты С. И. Ершова над твердыми губными согласными совсем не дали следов на небе, даже очень усиленное произношение не


<sup>1</sup> В. А. Богоординский, Фонетика русского языка в свете экспериментальных данных, ყაზანი, 1930, გვ. 129.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 129.


заставляло язык коснуться неба<sup>1</sup>. Зроп. ს. უღენტი. განიხილავს რა ბა-  
გისმიერთა პალატოგრამებს სვანურში, აღნიშნავს, რომ „სვანური უ-ს წარმო-  
თქმისას სიტყვაში უადე... ენის შეხებას მაგარ სასასთან ადგილი არ აქვს...“<sup>2</sup>  
„სვანური მ-ს წარმოთქმისას სიტყვაში მარე—“კაცი“ ენის შეხება მაგარ სა-  
სასთან ვერ მივიღეთ...“<sup>3</sup>.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, ბაგისმიერთა არც ლაბიო-  
პალატალური ხასიათი დასტურდება, არც ლაბიო-ველარული.. ცალკე წარ-  
მოთქმული ლაბიალური თანხმოვნების არტიკულაციისას ენა შეიძლება ეხე-  
ბოდეს მხოლოდ ძირითად 1—2 კბილებს, ან მაგარ სასას ამ კბილების არეში (ბოგორედიცკი), ამასთანავე ეს შეხების არე მეტად მცირეა.

ვ. ა. ბოგოროდიცკის მიერ წარმოდგენილი პალატოგრამები გვიჩვე-  
ნებენ არაველარიზებულ ბუნებას ბაგისმიერთა რბილი ვარიანტებისასაც კი:  
რბილი ნ', მ', ფ', ვ', თანხმოვნების წარმოსათქმელად ენა ეხება მაგარი სასის  
ორივე მხარეს ზოლისებურად, ამავე დროს შეხების ზოლები რბილი სასის.  
მიმართულებით ვიწროვდებიან ისე, რომ რბილი სასის არეში ენის შეხებას,  
ადგილი ვერ ექნება<sup>4</sup>.



სურ. 2



სურ. 3

ცალკეული თანხმოვნების ლაბიალიზებული და არალაბიალიზებული  
ვარიანტების ველო-დენტი-პალატოგრაფიული შესწავლა გვიჩვენებს, რომ  
ენის რბილ ან მაგარ სასასთან შეხების კვალი ლაბიალიზაციასთან დაკავში-  
რებით არ ფართოვდება.

მე-2 სურათზე მოცუმულია შეხების არეთა შეფარდებითი სურათი  
არალაბიალიზებული და ლაბიალიზებული ყ-ს წარმოთქმისას. შავი ხაზით  
მოცუმულია ლაბიალიზებული ყუ-ს არტიკულაციისას. ენის სასაზე შეხების წინა  
საზღვარი.

სურ. მე-3 გვიჩვენებს, რომ ლაბიალიზებული და არალაბიალიზებული ხ  
და ხუ სპირანტების პალატოგრამები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ეს  
განსხვავება მინიმალურია ყ, ყუ თანხმოვანთა პალატოგრამაზედაც. ლაბიალი-  
ზებულ ყუ-ს არტიკულაციისას, პირიქით, სასის მარცხენა კიდეში შეხების

<sup>1</sup> იქვე, გვ. 130.

<sup>2</sup> ს. ქლენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1948, გვ. 23.


<sup>3</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>4</sup> В. А. Бого родицкий, Фонетика русского языка в свете экспериментальных данных, гв. 129, ба. 44.


არე უფრო ნაკლებიცაა, ვიდრე ეს არალაბიალური ყ-ს წარმოთქმის დროს გვაქვს.

კომპლექსებში: ბაგისმიერი + ხმოვანი, ოოგორც წესი, პალატოგრამა-თითქმის არაფრით განსხვავდება ცალკე წარმოთქმული კომპლექსში შემავალი ხმოვნის პალატოგრამისაგან.

მე-4 სურათზე შავი ხაზით გადმოცემულია უ თან-ხმოვნის წარმოთქმისას ენის სასაზე შეხების კვალის შიგა საზღვარი კომპლექსში უ. სურათზე წარმო-დგენილია, აგრეთვე, ი ხმოვნის პალატოგრამა, რომელთანაც უ კომპლექსის პალატოგრამის შე-დარება არ გვიჩვენებს ამ უკანასკნელის არც მეტ ველარულობას, არც მეტ პალატალურობას.



სურ. 4



სურ. 5

სურ. 5 წარმოადგენს ველო-პალატო-დენტოგრაფიული მონაცემებით რეკონსტრუირებულ პროფილს ი ხმოვნისა და უ კომპლექსისას.

ეგვევ ვითარება შეინიშნება კომპლექსების უა, მა, ბა, ფა, უე, მე, ბე, ჟე, ბი, ფი, მი და სხვ. ველო-პალატო-დენტოგრამების შედარებისას მათში შემავალი ხმოვნების ველო-პალატო-დენტოგრამებთან.

ამრიგად, ექსპერიმენტული მონაცემებით არ დასტურდება ლაბიალურ თანხმოვანთა ლაბიო-ველარული არტიკულაცია. ეს გარემოება შეუძლებელს ხდის მედეს ცნობილი დებულების გაზიარებას ბაგისმიერთა ვითომცდა ველარული ბუნების შესახებ.

## 7


როგორც ვნახეთ, ბაგისმიერთა შესატყვისად ფარინგალური სპირანტები და ხშულებიც გვევლინება. კითხვა ისმის: ხომ არ ახასიათებთ ბაგისმიერებს თუ ველარული არა, ფარინგალური წარმოება მაინც, რის ნიადაგზე-დაც შესაძლებელი ხდება ფარინგალურ თანხმოვანთა განვითარება?

რომ შევადაროთ ენის ძირის ხახის უკანა კედლის მიმართ მიახლოების წილის მიხედვით ცალკე წარმოთქმული ბაგისმიერები რომელიმე ფარინგა-ლურს, მაგალითად ჰა თანხმოვანს, მათ შორის მკვეთრი სხვაობა იჩენს თავს.

სანიმუშოდ წარმოვადგენთ ფარინგალურ ყრუ სპირანტის ჰა-ს რენტ-გენოგრამის სქემას (წყვეტილი ხაზი გაღმოსცემს ენის გვერდების მდებარეობას)<sup>1</sup>. ჯაჭვისებური ხაზით გაღმოცემული გვაქვს ენის პირის ღრუში მდებარეობის პროფილი ბაგისმერი მ თანხმოვნის ცალკე წარმოთქმის დროს (სურ. 6).

<sup>1</sup> რენტგენოგრამა შესრულებულია მოსკოვის მოლოტოვის სახელობის რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ცენტრალურ ინსტიტუტში გ. გინზბურგის ხელმძღვანელობით.

სურათიდან აშეარად ჩანს, რომ ბაგისმიერთა ორტიკულაციის ფარინგისზებულობა სრულიადაც არაა საქმარისი, მაგალითად, ფარინგალური ყრუ გაძლიერებული სპირანტის ჰა-ს განსავითარებლად.



სურ. 6

ბაგისმიერთა წარმოების დროს ენის ძირის ხახის უკანა კედელთან მიახლოება ხდება, მაგრამ იმდენად უმნიშვნელოა, რომ იმით არ შეიძლება აიხსნას თუნდაც ფარინგალიზებული ლარინგალური სპირანტის — ჰა-ს განვითარება, რომელიც ჰა-საგან განსხვავებით უფრო ფართო ნაპრალშია წარმოებული.

თუ მხედველობაში მივიღებთ მას, რომ ლარინგალური და ფარინგალური თანხმოვნები მეტად ლრმად იწარმოებიან და რომ სარეზონანსო არის დიდი სიგრძის გამო მათ ბაგების მომრგვალების გარეშეც კი დაპკრავთ ლაბიალობის ელფერი, უფრო მართებული იქნება, თუ შესატყვისობას — ლარინგალური || ფარინგალური : ბაგისმიერი — ავხსნით ბაგისმიერთა განვითარებით ამოსავალი ლაბიალიზებული ფარინგალური და ლარინგალური თანხმოვნების ლაბიალიზებულობის მომენტისაგან.

ფარინგალური, უკანაენისმიერი და ლარინგალური ბგერები თავიანთი წარმოების სპეციფიკით, როგორც წესი, უნდა ლაბიალიზებული იყვნენ. ეს გარემოება ენებში უთუოდ წარმოშობდა ლაბიალიზებულ უკანაენისმიერ, ფარინგალურ და ლარინგალურ ბგერათა ყალიბებს. ამ ყალიბებს მოიმარჯვებდა ხოლმე ენა უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვების როგორც ფარინგალური, ლარინგალური და უკანაენისმიერი, ისე ლაბიალური თანხმოვნების გადმოსაცემად. უკანა წარმოების ლაბიალიზებული თანხმოვნების ყალიბების მომარჯვების შემთხვევა დარგულსა და ლაქურში განსაკუთრებით შეინიშნება ნასესხები სიტყვების ბაგისმიერი სპირანტის ჰა-ს გადმოცემის დროს.

აულ ჯავლათის (ქვ. ხაიდაყ.) მეტყველებაში „ნადირის“ (კუპ) სახელად გვხდება თურქულიდან აზერბაიჯანულის გზით შესული სიტყვა უნიშარ-შდრ. თურქ. აზერბ. ჯანაგარ — „გარეული, მტაცებელი“. ამ სიტყვას ქვემო-ხაიდაყურისავე ლარაწულ და ყვართალურ ქცევაში ჯანიგზარის სახე აქვს.

ნასესხები სიტყვის უ თანხმოვანი ერთ შემთხვევაში გადმოცემული გვაქვს ჰიყალიბით, მეორეში კი მომარჯვებულია ლაბიალიზებული წინარბილსასისმიერი გა-ს ყალიბი.

ანალოგიური ვითარება შეინიშნება სიტყვაშიც ჰავაჟან— „ჯოგი, საქონელი“, რომელიც წარმოშობით თურქულია და დარგულში შესული უნდა იყოს აზერბაიჯანულის გზით. ამ სიტყვის წარმოდგენილი ფორმის შესატყვი-სად აულ შილაპის მეტყველებაში ჰავაჟან გვხვდება, სადაც ნასესხები სიტყვის ბაგისშეირი სპირანტი გუ (←გვ) ყალიბითაა გადმოცემული.

ლაქურში, აულ ქულის მეტყველებაში „დიდი ტომრის“ აღსანიშნავად დადასტურებული გვაქვს სიტყვა ჩუჭიალ; აღნიშნული სიტყვა გვხვდება სპარსულში გვალ „დიდი ტომარი“, თურქულში ცავა — „ტომარი...“. აღნიშნული სიტყვის ვ თანხმოვანი ლაქურში გადმოლებული იქნა ჰიყალიბის მეშვეობით. ე. ი. უცხო სიტყვის ვ ბგერა გაიგივებული იქნა ფარინგალიზებული ლარინგალური სპირანტის ჰიყალიბის ლაბიალობის მომენტთან. ზემო ხაიდაყურის შირლისა და მისრეგის კუევებში დადასტურებულია ქალის საკუთარი სახელის ჭა-ჭიმათ-ის თავიდური ბაგისმიერი სპირანტის გადასვლა რბილი და მაგარი სასის მიჯნაზე ნაწარმოებ უკანანისმიერ ლაბიალიზებულ სპირანტად: ჭა-ჭიმათ → ქა-ტამა. ქვემო ხაიდაყურის სანჩქრ თქმაში კი შენიშნული გვაქვს ნასესხები სიტყვის ჭ-ს გადასვლა სპირანტ ქ-დ: თაქ-თან — „რვეული“ (— თაჭ-  
ტ-).

თარ — ლავთარ; შდრ. არაბ. დفتر).

დასახელებული ყალიბები მიეკუთხება უცხო ენათაგან შესული სიტყვების აშულ-მსკლომ ბ და ფ თანხმოვნებსაც:

ც

ლაქურ ენაში არაბულიდან შესული სიტყვა წაიყვანი — „საპონი“ წარმოდგენილია საპონან ფორმით. აღსანიშნავია ერთი დეტალი: ლაქურ ენაში იმის გამო, რომ დახურული ბილაბიალიზაცია არსებობს, რეალიზებულია შესაძლებლობა ნასესხები სიტყვის ბაგისმიერი ხშულ-მსკლომი გაუთანაბრდეს დახურულად ბილაბიალიზებულ ფარინგალურთა და ლარინგალურთა ლაბიალურობის მომენტს: საპონან — საპონან.

ანალოგიურად უნდა ავხსნათ ლაქურში სიტყვის ტექსტან — „ქარიშხალი“ შიღღებაც. ლაქურ ენაში აღნიშნული სიტყვა, ალბათ, რუსულის გზითაა შესული, ქართულში კი, უნდა ვიფიქროთ, ბერძნული ენიდან უშუალოდ<sup>1</sup>. ქართულ ენაში ტკფონი აღნიშნავდა ჩრდილო-დასავლეთის ქარი. საბას თან ვეკითხულობთ: „აპრატიისა (ჩრდილო-დასავლეთის ქარი—შ. გ.) და თრასეესის (ჩრდ. დასავლეთის ქარი—შ. გ.) საშუალ—ტკფონი“. ლაქურმა ენამ უცხო სიტყვის ფ თანხმოვანს მიუჟნა ლაბიალიზებული ფარინგალური სპირანტის — ჰიყალიბი, ამასთანავე, ლაქურში დახურული ბილაბიალიზაციის არსებობასთან დაკავშირებით შესაძლო გახდა ლაბიალობის ნიშნის ფ თანხმოვანთან გათანაბრება.

წარმოდგენილ მაგალითებში ფარინგალური და უკანანისმიერი თანხმოვნები არ შეიძლება მივიჩნიოთ ნასესხები სიტყვების ბაგისმიერი თანხმოვ-

<sup>1</sup> დ. უშაკოვი თავის განმარტებით ლექსიკონში სიტყვას თაქფუნ ინგლისურიდან typicon მიღებულად თვლის, უკანასკნელისათვის ამოსავლად კი ბერძნულ Typicon-ს მიაჩნევს; ქარიშხალის ლეთაებას. არის მოსაზრება, რომ დასახლებული სიტყვა მომდინარეობს ჩინური ენიდან: „დიდი ქარი“. (ნიკოლაი-ეფრემ—ენციკლო. სლოვარი, MCЭ...)

ნების ოფლექსებად, რადგან უკანასკნელებიც შემონახული გვაქვს. ამასთანავე, დასახელებული ფარინგალურები და უკანასნისმიერებიც არც შეიძლება ფონეტიურ ნიადაგზე განვითარებულად მივიჩნიოთ, რადგან ნასესხები სიტყვების ბაგისმიერ თანხმოვანთა არტიკულაციის დროს, ენა არც ეხება და არც უახლოვდება ველარულ ან ფარინგალურ თანხმოვანთა წარმოებისათვის საჭირო მანძილზე არც ჩაილ სასას, არც ხახის უკანა კედელს. რჩება ერთი შესაძლებლობა: ღრმა წარმოების თანხმოვანთა ლაბიალურმა ხასიათმა განსაზღვრა. ლაბიალიზებული ჭ, ჰ, ჸ, ვ, ჲ და მისთ. ბერების ყალიბების არსებობა დარგულსა, ლაკურსა და, საფიქრებელია, სხვა ენებშიც. დასახელებულ ყალიბებს მიმართავს ხოლმე ენა ნასესხები სიტყვების ბაგისმიერი თანხმოვნების გადმოსაცემად.

ლაბიალიზებულ ფარინგალურ თანხმოვანთა ყალიბების მომარჯვებასთან გვაქვს საქმე ლაკურსა და დარგულში სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვების. არა მარტო ბაგისმიერი თანხმოვნების, არამედ ლაბიალიზებული წინაენისმიერების გადმოცემის დროსაც კი; შდრ.:

ქართ.	თორნი — „ჯაჭვის პერანგი“
ლაკ.	ჰაიტრნი
დარგ.	ჰაშნი — ჰაპრნი — ჰაიტრნი

## 8

ბაგისმიერ თანხმოვანთა ლაბიო-ველარული ხასიათის შედევად განვითარებულ ბერებადაა მიჩნეული ქართველურ ენებში ჭ, ლ, გ თანხმოვნები სიტყვებში: ღვინო, ღვიტრკლაჲ (= „ბარკალი“ სვან.), გურუნი || გირინი (= „ვირი“ მეგრ. ჭან.), ექვსი, უსგრა (= „ექვსი“ სვან.), გვალე, ღვაჭარ, ღვლმაშარ (= „ულვაში“, სვან.), გვიდშმ (= „მიდამო“ სვან.) და სხვ.<sup>1</sup> აგრეთვე: ნიკოლი→ნიკეთი, აქტო→აქტო, ევთიმე→ექვთიმე და სხვ.<sup>2</sup>

როგორც ალვინშეთ, ბაგისმიერთა წარმოების ველარული ხასიათი ექსპერიმენტულად არ დასტურდება. აშკარაა, შესატყვისობა ბაგისმიერებსა და დასახელებულ უკანასნისმიერთა შორის სხვაგვარ ახსანა საჭიროებს.

წარმოდგენილი მაგალითებიდან გამოიყოფა ერთი ნაწილი, სადაც შესატყვისობა: ბაგისმიერი: უკანასნისმიერი ეფუძნება ამოსავალი ლაბიალიზებული ბერების წარმოდგენას ენათა ერთ რიგში ამ ბერების ლაბიალობის მომენტისაგან განვითარებულ ბაგისმიერთა შესატყვისად ენათა მეორე რიგში. დასახელებულთაგან ამგვარ სიტყვებს წარმოადგენენ:

ქართ. ღვინო, ღვინ-შლ (სვან.) ღვინი (ჭან.) ღინი (იქვე) და ინდო-ევროპული ენების vinum (ლათ.) Folvos (ბერძნ.)...

სვან. ღუშტრკლაჲ—და ქართ. ბარკალი;

ჭან. გურუნი, მეგრ. გირინი და ქართ. ვირი;

ქართ. ექვსი, სვან. უსგვა და ჭან. აშგ, მეგრ. აშვე;

ქართ. ქვიშნა, გვისო (ძვ. ფრანგ.) და višne (თურქ.) ვიშნა (რუს.);

ქართ. გვალეა დოვალუ—„დაწვა“, „დააზრო“ (მეგრ.) და სხვ.

<sup>1</sup> ვ. თ ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, X, გვ. 231—236.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის. ძრითადი პრინციპებისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 123—125.

წარმოდგენილ სიტყვათა უკანაენისმიერებს შესატყვისები ეძებნება მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში უკანაენისმიერ ლაბიალიზებულთა ან ამ უკანასკნელთა რეფლექსების სახით. მაგ., ექვსის სახელში წარმოდგენილია:

ური-გ-ალ—დარგ. (ჰურაბ. დ.)

ურე-ქ-ალ—დარგ. ენ. (ჰუდაბ. დ.)

რა-ხ-ბა (ლაქ.)

ხუდ—(რუთულ.)

უკ—(უდური)

ანტიგო (ხუნდ.)

ჭბა — \* ჭაბა (აფხაზ.)

უს-გუ-ა — (სვან.) და ა. შ.

ქართული გვალე ძირის თავკიდური გ-ს უნდა უკავშირდებოდეს, მაგალითად, დარგულის ამავე მნიშვნელობის გ || ც || კ || ჭ — ჭ || ჭ — ჭ ძირი, საღაც ამოსავალ ძირისეულ თანხმოვანს გ ( $\leftarrow$  ვა?) წარმოადგენს.

შდრ: ვეგურ — „წავიდა“ (ხაიდაყ.)

არეუნ — „წავიდა“ (ჰურაბ.)

არეცონ — „წავიდა“ (ჰუდაბ.)

ტაკიბ — „მოვიდა“ (ჰურაბ. ახუშ.)

ტაჭიბ — „მოვიდა“ (ჰუდაბ.)

ტაში — „მოდი!“ (ჰურაბ.)

ტაქუსე — „მოსიარულე“ (ჰუდაბ.)

ტშპრუნდა — „მივდივარ“ (ხაიდაყ.)

აღნიშნულ ძირს უნდა უკავშირდებოდეს ლაკური ზანან, საღაც ძირისეულ ზ-სათვის ამოსავალი იქნებოდა ხაიდაყურში შემორჩენილი ჭ ძირი<sup>1</sup>.

„გვალე“ სიტყვის თავკიდური გრ შესატყვისს პოულობს, მაგალითად, დარგულში ლუ-ს სახით: ბერ-ლუ-იზ — „ამოხმობა“ (შდრ. ჰურაბულში: ვაირცის)...

ბ) მეორე ჯგუფში სახელებისა, რომლებიც, როგორც წესი, სხვა ენიდან ნახესხებ სიტყვებს წარმოადგენენ, ამოსავალი ბაგისმიერების შესაბამის ლაბიალიზებული უკანაენისმიერების ყალიბების საშუალებით გადაღებასთან უნდა გვქონდეს საქმე: მაგალითად, სვანურში:

გაჭარი → ლვაჭარ

მაჭო → ლვაჭ

ულვაში → გულმაშარ

მიდამო → გვილშმ და სხვ.

გ) გამოიყოფა მესამე რიგი შემთხვევებისა, საღაც უკანაენისმიერი თან-ხმოვნები დაჩნდებიან არა სიტყვის თავში, არამედ შიგნით:

ნიკოთი → ნიქეთი

ევთომე → ექვთომე

ავტო → აქტო

მუჭთი → მუქთი

ერთმანეთი → ერთქმანეთი და სხვ.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ლაკურში აღნიშნული ზმნა აგებულებით კაუზატივურია: ზ-ან-ან.

<sup>2</sup> მაგალითები ამოლებული გვაქს არნ. ჩი ქ ო ბ ა ვ ა ს წერილიდან: მრავლობითობის აღნიშნის ძირითადი პრინციპებისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, გვ. 123—125.

წარმოდგენილ მაგალითებში ქ თანხმოვანი აშკარად განვითარებული ჩანს, მაგრამ რომელ ბეგრას შეეძლო გამოეწვია ველარული ქ თანხმოვნის გაჩენა?

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, მოვიგონოთ, რომ ამავე თანხმოვნის ან მისი ყრუ მკვეთრი შესატყვისის განვითარების მაგალითებს გვაწვდის მეგრულ-ჭანური და სვანურიც:

შვილი → სქუა (მეგრ.)

შველი → სქვერი "

შაშვი → ზესქვი "

შვილი → შეგვითი " იშგვიდ (სვან.)

შრა → შეა " ისგა (სვან.) და სხვ.

პროფ. ს. ულენტი თავის „სვანური ენის ფონეტიკის ძირითად საკითხებში“ იუშმანოვის სტატიაზე: ფონეტიკური მარავები აფრიკანსკих და ჯეფეტიკური ენების საკითხებში დაუყრდნობით აღნიშნულ მოვლენას ხსნიდა ლაბიალური ვ თანხმოვნის არტიკულაციური თავისებურებებით (ლაბიოველარიზაციით). ეგვევ შეხედულება დასახელებულ ავტორს გამოთქმული ჰქონდა წერილში: „ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში“ („ენიმქის მოამბე“, X, 1941).

თავის ერთ-ერთ მორიგ შრომაში: „ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა“ ს. ულენტი აღნიშნული ფონეტიკური მოვლენის სულ სხვაგვარ ახსნას იძლევა, ამჟამად უკვე ლ. შჩერბას იმ მოსაზრებებზე დაყრდნობით, რაც უკანასკნელმა გამოთქვა ნაპრალოვანი თანხმოვნის, კერძოდ შ-ს, წარმოთქმისას „ჩექამის წარმომშობი ორი ფოკუსის“ არსებობის შესახებ. მეორე ფოკუსი წარმომშობა არტიკულაციის დროს ენის უკანა ნაწილის რბილი სასის მიმართ მაღლა აწევით და მასთან მეტ-ნაკლები მიახლოების შედეგად<sup>1</sup>:

აღნიშნული მოსაზრება უფრო სარწმუნო ჩანს, ვინემ უკანასიმიერ თანხმოვანთა განვითარების ახსნა ბაგისმიერ თანხმოვანთა ვითომცდა ლაბიოველარული ხასიათით.


ველარიზებულ თანხმოვნებს წარმოადგენენ არა მარტო შ, უ, არამედ ზ და ს სპირანტებიც; მაგალითად, შიშინა და სისინა შ, უ, ზ, ს თანხმოვნების არტიკულაციისას ენის ზურგის დაცილება შუა მაგარი სასისა და რბილი სასისაგან შემდეგ სურათს გვაძლევა:<sup>2</sup>

ბეგრა	მანძილი შუა მაგარ სასამდე	მანძილი რბილ სასამდე
შ	7 მმ	6,5 მმ
ზ	12 მმ; 9 მმ	7 მმ; 6,5 მმ
ზ	14 მმ; 13 მმ	5 მმ; 6,5 მმ
ს	11,5 მმ	11 მმ


<sup>1</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ ლ. შჩერბა გადაჭარბებით აფასებს ამ „მეორე ფოკუსის“ მნიშვნელობას შ თანხმოვნის არტიკულაციისას და მხელეველობიდან რჩება ენის წვერის თავისებური მდებარეობის როლი ქვედა წინა კბილების მიმრთ, რითაც შიშინის ეფექტია შეპირობებული „მეორე ფოკუსი“, მაგალითად, სისინა თანხმოვნებსაც გააჩნიათ, მაგრამ ენის წინა ნაწილის ქვედა კბილების მიმართ სხვაგვარი მდებარეობის გამო შიშინათაგან აკუსტიკურად განსხვავდებიან.

<sup>2</sup> ვიყენებოთ გ. დოლიძის სადისერტაციო ნაშრომში: ქართული ენის თანხმოვნები. 1954 წ. წარმოდგენილ ქართულ თანხმოვანთა რენტგენოგრამებს.

წარმოდგენილ ბერეათგან ველარიზებულობით ყველაზე მეტად მეტერი ჭიპირანტები ჟ და ჸ ხასიათდება. მაგარი სასისაგან ენის ყველაზე მეტი ღაშორების სიღილის შეფარდება ენის ობილი სასისაგან ღაშორების უმცირეს მანძილთან ჟ-სთვის საშუალო არითმეტიკულით დაახლოებით უდრის 21:13; ჸ-სთვის 27:12; ჸ-სათვის 7:6; ს-სათვის 11,5:11 მმ (მოსალოდნელია ჸ და ს თანხმოვანთა გაცილებით უფრო მეტად ველარულობა, ვინემ ეს წარმოდგენილ მასალაშია ასახული, ალბათ მაგალითების სიმცირის გამო).




სურ. 7




სურ. 8

ს და ჸ თანხმოვნების ველარიზებული ბუნება ნათლად ჩანს ველო-პალა-ტოგრამებზე:

მე-7 სურათი წარმოადგენს ს თანხმოვნის ველო-პალატოგრამას. ენის შეხების არე მოიცავს მაგარი და ობილი სასის ორივე გვერდით საქმიან ფართო ზოლებს. ამ ზოლების სიფართვე რბილი და მაგარი სასის მიღამოვებში უფრო მეტია ჸ თანხმოვანთან (სურ. 8). სპირანტი ჸ ენის სასასთან შეხების ნიშნის მიხედვით გაცილებით უკანა წარმოებისაა, ვინემ ს, რაც აშკარად ჩანს ქვედა კბილების დენტოგრამაზეც (სურ. 9 და 10):



სურ. 9



სურ. 10

დენტოგრამა სისინა ს სპირანტისა (სურ. 10) გვიჩვენებს, რომ ს-ს წარმოთქმის დროს ენის წვერი ებჯინება წინა ქვედა კბილებს ისე, რომ ოდნავ მაღლაა აწეული (ამას მოწმობს შეუხებელი არე წინა ქვედა კბილების ნუნების

ძირში). ენის წვერის შეხებისაგან თავისუფალია ზემო ნაწილიც ქვედა საჭრელი კბილებისა, რომელთაც საფონაციო პატიონადი დიდი ძალით ეჯახება და სისინის ეფექტს წარმოშობს. შიშინა შ სპირანტის ქვედა კბილების დენტო-გრამა (სურ. 9) გვიჩვენებს, რომ ენის კბილებთან შეხების არე ვერ აღწევს ეშვებამდეც კ. ქვევით დაშვებული ენის წვერი ძევს ქვედა წინა კბილების ნუნებს უკან და ენითა და ქვედა კბილების რკალით შემოზღუდულ ღრმულს. წამოშობს. შ და ჟ თანხმოვნების შიშინის ეფექტის მისაღებად მთავარია აღნიშნული თავისუფალი არე და არა ენის უკანა ნაწილის მიახლოება რბილ სასასთან<sup>1</sup>. უკანასკნელის შედეგად მხოლოდ ხიხინის ეფექტი-ი-ლა თუ. მიიღება მაშინ, როცა ჟ და შ თანხმოვნისათვის მთავარი ნიშანია შიშინის ეფექტის თანხლება.

გარდა დასახელებული წინაენისმიერი სპირანტებისა, მეტ-ნაკლები ველა-რიზებულობით ხასიათდებიან წინაენისმიერი ხშულებიც: დ; თ; ტ; ჰ; ჸ; ჩ; ჩ; ჰ. მაგარი სასისაგან ენის ზურგის უდიდესი დაცილების შეფარდება რბილი სასისაგან დაშორების უმცირეს მანძილთან ამ ბგერების წარმოთქმის ღროს შემდეგნაირ სურათს გვაძლევა:

ბერია	მანძილი მაგარ სა- სასა და ენას შორის	მანძილი რბილ სა- სასა და ენას შორის
ლ	8 მმ	7 .მმ
ტ	6 მმ	5 მმ
ჰ	9 მმ	7 მმ
ც	7 მმ	6 მმ
ჸ	11 მმ; 6 მმ	9 მმ; 4 მმ

ველო-პალატოგრაფიული შესწავლა წინაენისმიერი ხშულებისა გვიჩვენებს ამ თანხმოვანთა როგორც პალატალიზებულ, ისე ველარიზებულ ხასიათს-განსაკუთრებით ეს ითქმის გაძლიერებული ხშულების წარმოების შესახებ.


სურ. 11 წარმოადგენს თ თანხმოვნის ველო-დენტო-პალატოგრამას. ენის სასასთან შეხების ზოლი გადაჰყვება როგორც მაგარ, ისე რბილ სასას, ამას-თანავე მოიცავს საკმაოდ ფართო არეს.

გაძლიერების შემთხვევაში (იხ. სურ. 12) თ თანხმოვნის პალატალიზებულობა და ველარიზებულობა მკეთრად იზრდება. შეუხებელი რჩება რბილი და მაგარი სასის ვიწრო მოგრძო ზოლი. დაახლოებით ამგვარსავე სურათს გვიჩვენებს ტ-სა და ფ-ს (გაძლიერებული ტ) პალატოგრამები. მსგავსი ვითარება გვაქვს ჰ, ც, წ და ჸ, ჩ, ჰ აფრიკატების წარმოებისასაც. უკანასკნელთა არტიკულური ცის ენის შეხების კვალი საკმაო სიფართოვის ზოლად-გადაჰყვება როგორც მაგარი სასის, ისე რბილი სასის ორივე გვირდებს. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ წ და ჩ თანხმოვანთა ველო-პალატო-დენტოგრამებს:


სურ. 13 წარმოადგენს ჩვეულებრივი, არაგაძლიერებული წ-ს ველო-პალატო-დენტოგრამას, ხოლო სურ. 14 ანალოგიური წარმოების ჩ-ს ველო-პალა-

<sup>1</sup> როგორც ამას ლ. შჩერბა ფიქრობს.


<sup>2</sup> წარმოდგენილი მონაცემები მიღებულია გ. დოლიძის სადისერტაციო ნაშრომში—„ქართული ენის თანხმოვნები“—მოთავსებული რენტგენოფრამების სქემების გაზომვის შედეგად.




სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14

ტო-დენტოგრამაა. წარმოდგენილ სურათებზე ნათლად ჩანს ენის შეხების საკმაოდ ფართო კვალი ოოგორუც მაგარი, ისე რბილი სასის მიღამოებში. არტიკულაციის გაძლიერების შემთხვევაში დასახელებული თანხმოვნები უფრო მეტ პალატიზებულობასთან ერთად მეტ ველარიზებულობასაც იძენენ.

მეგრულ-ჭანურის მიმართ ს. ჟლენტს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „...ენის უკანა ნაწილის აქტიურად არტიკულაციის საფუძველზე განვითარებულია კომბლექსები ჯგ, ჩქ, ჭკ<sup>1</sup>“.

მეგრულსა და ჭანურში ველარული თანხმოვნების განვითარების ფაქტები სისინა თანხმოვნების, კერძოდ ს სპირალტის, მეზობლად ახსნილი უნდა იქნეს უკანასკნელთა ქართულთან შედარებით მეტი ველარიზებულობის საფუძველზე. ამასთანავე უნდა შეენიშნოთ, რომ შიშინის ეფექტი, რომელიც თითქოს ახლავს მეგრულ-ჭანურის ს-ს, არ შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ ენის უკანა ნაწილის მიახლოებით რბილ სასასთან: ეს მომენტი მეტნაკლებად ერთნაირად ახასიათებს ოოგორუც შიშინა, ისე სისინა თანხმოვნებს.

<sup>1</sup> ს. ჟლენტი, მეგრულ-ჭანურის ფონეტიკა, გვ. 90.

<sup>2</sup> იქვე.

როცა შიშინა თანხმოვნების უფრო მეტად ველარიზებულობაზე ლაპარაკობენ მეგრულში და ჭანურში, შედგელობაში აქვთ ამ ბგერათა უფრო უკანა წარმოება შესაბამის სისინა შესატყვისებთან შედარებით. ენის ზურგის მონაწილეობის მიხედვით ეს მართლაც ასეა, მაგრამ საერთოდ ენის მთლიანი მასის პირის ღრუში მდებარეობის მიხედვით სისინა თანხმოვნები გაცილებით უფრო უკანა წარმოებისანი არიან, ვინემ შიშინა თანხმოვნები. მაგალითად, ენის ძირის ხახის უკანა კედლისგან დაშორების შეფარდება სისინა და შიშინა თანხმოვნების წარმოების ღროს ასეთ სურათს გვაძლევს<sup>1</sup>:

ბგერა	კომპლექსი	მანძილი ხახის უკანა კედლიდან ენის ძირამდე
ძ	ძა	12 მმ
ჯ	ჯა	18 მმ
ც	ცა, ცი	7 მმ; 18 მმ
ჩ	ჩა, ჩი	9 მმ; 22 მმ
წ	წა	14 მმ
ჭ	ჭა	17 მმ
ს	—	15 მმ
შ	—	19 მმ
ზ	—	15 მმ
ჟ	—	17 მმ

როგორც ცხრილიდან ჩანს, შიშინა თანხმოვნების წარმოთქმისას ენას შედარებით უფრო წინა მდგომარეობა უჭირავს პირის ღრუში, ვინემ ეს სისინა თანხმოვნების არტიკულაციის ღროს შეინიშნება. სისინა თანხმოვნების ეს უკანა წარმოება უნდა ხელს უწყობდეს მათ მეტ ველარიზებულობას. კერძოდ, ამით უნდა კომპენსირდებოდეს სისინათა წარმოების ღროს ენის უკანა ნაწილის გაცილებით უფრო ნაკლებად გამოხატული ნალლა აწევა შიშინა თანხმოვნების არტიკულაციასთან შედარებით.

რაც შეეხება მეგრულ-ჭანურში სისინა და შიშინა თანხმოვნების უფრო შეტ ველარიზებულობას ქართულთან შედარებით, ამ უკანასკნელის მიხეზად შეიძლებოდა დასახელებულ თანხმოვანთა მეტი ინტენსიური წარმოება. მივიჩნიოთ.

უკანაენისმიერი ქ თანხმოვნის განვითარება სიტყვებში: ავტო, ერთმანეთი, ნივთი და სხვ. უნდა აიხსნას არა ლაბიალური ვ-ს ვითომდა ლაბიო-ველარული წარმოებით, არამედ წინაენისმიერი ხშული თ და ტ თანხმოვნების წარმოების ველარიზებული ხასიათით. ამას მოწმობს უთუოდ ისიც, რომ ქ-ს განვითარების დასახელებულ შემთხვევებს თითქმის უგამონაკლისოდ სწორედ აღნიშნული თანხმოვნების მეზობლად ვევდებით, ან წინ, ან უკან (შდრ. აქტო და ერთქმანეთი). ქ თანხმოვნის განვითარების შედეგად მიღებული თქ კომპლექსის ბოლოკიდური ქ თანხმოვნის მეტათეზური გადააღილება წინ, ბაგისმიერ ვ-სთან ამ უკანასკნელთან ერთად კომპლექსს ქუ (=ქი) წარმოქმნის:

<sup>1</sup> წარმოდგენილი მონაცემები მიღებულია გ. დოლიძის სადისერტაციო ნაშრომში— ქართული ენის თანხმოვნები—მოცემული რენტგენგრამების სქემების გაზომვის შედეგად.

ნივთი → \*ნივთები → \*ნივეთი → ნიქეთი  
 ოვტო → \*ავტქო → ... \*ავქტო → აქტო  
 ევთიმე → \*ევთქიმე → ევქიმე → ექვთიმე

სიტყვაში: ერთქმანეთი არა გვაქვს გადასმა თქ → ქთ, რადგან ბაგისმიერი სონორი თანხმოვანი თქ კომპლექსის წინ კი არაა, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევებში გვაქვს, არამედ მოსდევს მას.


ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული უკანაენისმიერისა და ფუძისეული ლაბიალური თანხმოვნების ამგვარ ურთიერთშიზიდულობის საფუძველს. უნდა ვიფიქროთ, უკანაენისმიერთა ლაბიალიზაციისადმი მიღრეკილება წარმოადგენს.

ქართული ენის დიალექტებში ჭ თანხმოვნის განვითარება წინაენისმიერი ხშულების თ და ტ-ს მეზობლად უშუალო კავშირში უნდა იყოს მეგრულ-ჭანურსა და სეანურში უკანაენისმიერ თანხმოვანთა განვითარებასთან წინაენისმიერ სპირანტთა და აფრიკატთა შედეგ.

დასასრულ, წინაენისმიერთა წარმოების ველარიზებული ხასიათით უნდა აიხსნებოდეს ჰარმონიული კომპლექსების განვითარებაც ქართულ-ქართველურ ენებში. ცნობილია, რომ მსგავს კომპლექსებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ვერ ვხვდებით. საფიქრებელია, ქართულ-ქართველურ ენებში თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები მივიღეთ ამ ენებში ინტენსიური წარმოების წინაენისმიერი ხშულებისა და აფრიკატების ისტორიულად არსებობის შედეგად წარმონარილი ველარიზაციის საფუძველზე: ქართულ-ქართველურ ენებში გაძლიერებულ ხშულებსა და აფრიკატებს ველარული წარმოების ბგერების განვითარებით უნდა სათანადო ჰარმონიული კომპლექსები მოეცა. მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ამგვარი გადასვლა ჯერ არ მომხდარა და ამტკომაა, რომ დღემდე შემორჩენილი გვაქვს გაძლიერებული არტიკულაციის მქონე ხშულები და აფრიკატები.


ქართულ ჰარმონიულ კომპლექსებში პირველად ჰარმონიულ კომპლექსებს უნდა წარმოადგენდეს სისტემა: ხშული+სპირანტი. რაც შეეხება სისტემას ხშული+ხშული, უკანასკნელისათვის ამოსავალს უნდა წარმოადგენდეს სისტემა: წინაენისმიერი ხშული+უკანაენისმიერი ან ფარინგალური სპირანტი (ან სპირანტიდი).

სპირანტი უნდა განვითარებულიყო იმ არიდან წინისაკენ ჰაერის გაჭრით, რომელიც ველოპალატოგრამაზე შეუხებელი სოლისებური ზოლის სახითაა წარმოადგენილი: მე-15 სურათზე წარმოადგენილია გაძლიერებული თ-ს ველოპალატოგრამა. მასზე ენის მიერ შეუხებელი ადგილი სასაჩე წარმოადგენს სოლისებურ სივრცეს, რომლის წვერი თითქმის აღწევს მაგარი სასის უდიდესი ჩალრმავების წინა საზღვარს, საფუძველი კი რბილი სასის შუა ნაწილზე მოდის. ნაქის საპირდაპიროდ. გაძლიერებული ხშულის თ-ს სკდობა ხდება დასახელებული სოლისებური სივრციდან წინისკენ ჰაერის ნაკადის ერთბაში გამოყორცით. ხშეის სიძლიერე განაპირობებს სკლომისთვის საჭირო ჰაერნა-




სურ. 15

კალის შედარებით უფრო ვიწრო ღარში დინებას. თავის მხრივ ამ ღარის სივიწროვე, განსაკუთრებით რბილი სასის უკანა არეში, განაპირობებს სპი-



სურ. 16



სურ. 17

რანტ ხ-ს წარმოშობას, თუ გაძლიერებული ხშული თ არის, ან მულერი სპირანტის დ-ს მიღებას, თუ თ-ს ნაცვლად გაძლიერებული და გვექვს<sup>1</sup>.

ჰარმონიული კომპლექსების მეორე წევრთა ხშულებად ქცევა მოითხოვს

ზემოთ დასახელებული სოლისებური ფორმის შეხებისაგან თავისუფალი არის მოშლას ენის უკანა ნაწილის რბილ სასასთან ხშვის ნიაღავზე.

ჰარმონიულ ენებში თანხმოვანთა ჰარმონიულ კომპლექსთა პალატო-ველარიზაციის. პროცესის მოქმედების შედეგად მიღების სასარგებლოდ ლაპარაკობს ენის მაგარ და რბილ სასასთან შეხების კვალის შედარება ჰარმონიულ კომპლექსებში შემავალი თანხმოვნების პირდაპირი (შიგნითკენური) და შებრუნებული (გარეთკენური) თანმიმდევრობით წარმოთქმის დროს.

ჰარმონიულ კომპლექსთა ელემენტების ბუნებრივი (შიგნითკენური) თანმიმდევრობით წარმოთქმის დროს ენის სასასთან შეხების კვალი გაცილებით მეტ არეს შოიცავს, ვინემ კომპლექსში-შემავალ თანხმოვანთა წარმოების ადგილის მიხედვით გარეთკენური თანმიმდევრობით წარმოთქმის დროს.

მე-16 სურათზე წარმოლგენილია ველო-პალატო-დენტოგრამათა შეფარდებითი სურათი ჭკ და ჭკ კომპლექსების წარმოთქმის დროს. კომპლექ-

<sup>1</sup> თავისებური ჩანს კომპლექსების: ბლ, ფხ, პყ; ბგ, ფქ, პქ, გვნეზის, რადგან ბაგისმიერ თანხმოვნებს, როგორც ზემოთ ვნახთ, არ შეძლოთ განვითარებინათ კომპლექსის მეორე ელემენტები—ლ, ხ, (ყ), გ, ქ, კ თანხმოვნები. უკანსკნელთათვის ამოსაგალს შეიძლება ფარინგალური თანხმოვნები წარმოადგენდნენ. სხვა ჰარმონიული კომპლექსების ველო-პალატოგრაფიული შესწავლა გამორიცხავს მათი ბოლო წევრების ფარინგალურ ბგერათაგან მიღების შესაძლებლობას. ფარინგალური კომპლექსებში უნდა მომდინარეობდეს ხ-ს რიგის სპირანტისაგან, რომელიც წინამავალ მკეთრთან ყელბშული გახდა და ხ-ს რიგის ყელბშული ბგერის უქონლობის გამო ქართულში უახლოესი. ყელბშული სპირანტიდის კ-ს ყალიბს შეუერთდა.

სის ჭყ-ს წარმოთქმის დროს ენის რბილ სასასთან შეხების უკანა საზღვარი 6 მმ უფრო წინაა, ვინემ კჭ-ს წარმოთქმის დროს. კომპლექსების ჩე და ქჩ (სურ. 17) შედარება ამ მხრივ გვიჩვენებს, რომ ენის რბილ სასასთან შეხების უკანა საზღვარი პირველისათვის 7,3 მმ წინაა, ვინემ შეორისათვის. ამგვარადვე, შიგნითკენური კომპლექსის წყ და გარეთკენური კჭ-ს შედარებისას სხვაობა უდრის 7 მმ.

ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს ჰარმონიულ კომპლექსთა სხვა სისტემების კომპლენტების საწარმოთქმებო ადგილის მიხედვით შიგნითკენური და გარეთკენური თანმიმდევრობით წარმოთქმის ველო-პალატო-დენტოგრაფიულად შესწავლა. ვლინდება გარკვეული კანონზომიერება: შიგნითკენური თანმიმდევრობით ჰარმონიულ კომპლექსთა ელემენტების წარმოთქმისას ენის სასასთან შეხების კვალი გაცილებით მეტ არეს მოიცავს, ვინემ ამავე ელემენტთა წარმოთქმის გარეთკენური თანმიმდევრობისას. ენის რბილ სასასთან შეხების ყველაზე უკანა საზღვარი შიგნითკენურ კომპლექსებში 6—7,5 მმ უფრო წინაა, ვინემ შესაბამის გარეთკენური თანმიმდევრობით წარმოთქმულ (შებრუნებულ) კომპლექსებში.

ეგვევ კანონზომიერება, ოღონდ უფრო რელიეფურად გამოხატული, ჩანს კომპლექსების: წინაენისმიერი სპირანტი+უკანაენისმიერი ხშული შიგნითკენური და გარეთკენური თანმიმდევრობით წარმოთქმის ველო-პალატო-დენტოგრამების შედარებისას. ზგ კომპლექსის წარმოთქმისას ენის სასასთან შეხების უკანა საზღვარი 12 მილიმეტრით წინაა, ვინემ ამავე კომპლექსის შემადგენელ თანხმოვანთა გარეთკენული თანმიმდევრობით წარმოთქმისას (სურ. 18). ანალოგიური ვითარება შეინიშნება სქ და ქს კომპლექსთა ველო-პალატო-დენტოგრამების შედარებისასაც; ენის რბილ სასასთან შეხების უკანა საზღვრების შედარება გვიჩვენებს სხვაობას 13,5 მმ. ასევე გვაძეს კომპლექსებში: წინაენისმიერი ხშული+უკანა წარმოების თანხმოვანი.

7. სუნდურ-ანდიურ ენებში პრეფიქსული კლასის ნიშნის ჩვეულებრივიც-ყალიბია თანხმოვანი + ხმოვანი (ბა-... რა-... და შისთ.). მაგრამ აქა-იქ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს — სპორადულად, ზოგს ენაში გამოერევა შებრუ-ნებული წყობაც: ჯერ ხმოვანია, ხოლო კლასის ნიშნის ცვლადი თანხმოვნური-ელემენტი მოსდევს მას. ამგვარ სახეობას, პირდაპირი წყობისაგან განსხვავე-ბულს, შეიძლება მეტათეზური წყოლოს (ამით ხაზი ესმის იმას, რომ აქ ჩვეულებრივი და გავრცელებული წყობის შექცეულ სახესთან გვაქვს საქმე)-შეიძლება დაგასახელოთ ასეთი მაგალითები:

პირდაპირი წყობა	მეტათეზური წყობა
სუნდ, ბა-ჩ-ინე 'მოყვანა'	ბოთლიბ. იბ-ჩ-ი
ტინდ. ბო-ხ-ო 'მოიტანა'	ბოთლიბ. იბ-ხ-უ (მიარსული კილოკ. ი-ხ-ი)

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეტათეზური წყობა არა მხოლოდ გარეგნულადაა პირდაპირი წყობის შექცეული სახე, არამედ იგი წარმოშობი-თაც პირდაპირი წყობის კლასის ნიშნის კრმპონენტთა აღგილგადანაცვლების შედეგადაა მიღებული. ამგვარი დაშვება არ არის საფუძველს მოკლებული. იბერიულ-კავკასიურ ენებში პირდაპირი წყობაა გაბატონებული. თვით ანდიურ ენებშიც ერთ რომელიმე ენას რომელსამე სიტყვაში შეიძლება მეტათეზური წყობის კლას-ნიშანი ჰქონდეს, მაგრამ ყველა სხვა ენა ამავე სიტყვაში პირ-დაპირი წყობის კლას-ნიშანს ავლენს. მეტათეზურ წყობას პირდაპირ წყობაზე უფრო ძველ სახედ ვერ მივიჩნევთ. იქნებ აქ სხვადასხვა კლასის ნიშნებთან გვაქვს საქმე, მაგ. ბე- სხვაა, ხოლო ებ- სულ სხვა? ვერც ამას ვიტყვით. ეს კარგად ჩანს არჭიულში (სადაც გრამატიკული კლას-ნიშანთა შორის წყობის მიხედვით განსხვავება ნაწილობრივ გრამატიზებულიც კია):

<sup>1</sup> ყურადღებას იქცევს ამ სიტყვის ძირეული მასალაც -სა, რომელიც რიგს ანდიურ ენას კანონმობირად აქვს წარმოდგენილი შა-ს სახით. ამავე ძირს ვვარაუდობთ ქართ. ქ-ს-ო ვ-ს ზმნაშიაც (სათანადო ზანური ძირია შ — რ-შ — გ-შ იბ. არ ნ. ჩი ქობა ვა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ბერილი. 1938 წ. გვ. 361. გ. ოთვავა. ქართველურ ენათა ბეგრათშესატყვისობიდან. მეგრ. რ: ქართ. გ. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. X, N 8, 1949 წ.). ამრიგად, ქ ს კომპლექსის თავკილურ ქ ბეგრას ძირის ისტორიულ კუთვნილებად ვერ მივიჩნევთ. იგი გ-საგან უნდა იყოს მიღებული ასიმილაციით ქ ს — \*გ ს, თავის მხრიდან გ-ს — \*გ თ-ს-, \*გ უ-ს-, რაც ასე ახლოსაა ქარატულია და ახეახურის ქ ე-ს ა-ს-, გ თ-ს ა-ს-, კ თ-ს ა-ს- ფუძეებთან. მაგრამ ანდიურ ენებში ამ ქ || გ-ს წარმომავლობა საკმაოდ ნათელია, იგი აქ ფონეტიკურადა განვითარებული და დაკარგული გრამატიკული კლასის ნიშნის ადგილი უპყრია. ჩანს, რაღაც ამის მაგვარი ქართველურ ენებშიც ბომბარა. 'ჭსოვა' ზმნის მიხედვით მასალობრივი იგივების დადასტურება ქართველურ ენებსა და დალესტრის ენებს შორის სა-ჭულისხმო ფაქტია, რამდენადაც საქმე ეხება შინამრეწველობის ერთერთ უძველეს ტერმინს.

ინფინიტივი

აწმყო

ებ-ხას 'დარჩენა'  
ებ-ყას 'დაწევა'ბე-რხარ  
ბე-რყარ<sup>1.</sup>

რომ გრამატიკული კლასის ნიშანი თავკიდური პოზიციიდან შეიძლება გადაისვას და თავისივე თანმხლები ხმოვნის უკან აღმოჩნდეს, ამას ადასტურებს 6 გრამატიკულ კლასის ნიშანზე დაკვირვება<sup>2.</sup> 6 კლასის ნიშანი ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ ამ თანხმოვნის ფიზიოლოგიური თავისებურებების გამო წას შეუძლია „ნახევრად დაიკარგოს“ (იქცეს ხმოვნის ნაზალიზაციად), რაც კარგად გახაზავს თავკიდური 6-ს მოძრაობის მიმართულებას. რამდენიმე მავალით:

I. ხუნძურში 'ყველი' (მოხდილი) გადმოცემულია სიტყვით ნ. - ს რ (|| ნი-ს-უ). ამ სიტყვას ანდიურ ენებში თავკიდური 6 დაუკარგავს (მაგ. ანდ. რ - ს რ, ჭამალ. ი - ს ა, კარატ. ე - ს ა ...), მაგრამ საინტერესოა, რომ იმავე ანდიურ ენებში დასტურდება ინ - ს ა (მაგ., ლოდობერიულში, ჭამალურის კილოებში...),<sup>3</sup> რაც 6 თანხმოვნის დაკარგვის გზას ნათელს ფენს: ნი - ს ა → ინ - ს ა → ი - ს ა.

რომ ის რა უთუოდ მეორეული ფორმაა, ამას ადასტურებს რიგი სხვა დალესტნური ენა, სადაც 6 დაცულია: არჭ. ნო - ს რ, ლაკ. ნი - ს, ლეზგ. ნა - ს უ, დარგ. ნუ - ს ე გ || ნუ - ს ი ა 'ყველი' (იქნებ ამავე ძირისა იყოს სვანური თა - შ, აფხაზური ა - შ ი 'ყველი')<sup>4.</sup>

II. სრულებით ანალოგიური ცვლილება განუცდია 'ერბოს' ალმნიშვნელ სიტყვას ახვახური ენის იზანიურ კილკავში:

ინ - ხ უ ა 'ერბო' ← ნი - ხ უ ა, შდრ. ხუნდ. ნა - ხ 'ერბო'.

III. ხუნძურში იც ა 'წყაროს' ალნიშნავს. ანდიურ ენებში ამ სიტყვას ნ. ჩანართი ალმოაჩნდება, მაგ. ანდ. ი ნ ც ა ი, ბოთლიხ. ი ნ ც ა ი, ჭამალ. ი ნ ც ა უ; და მისთ. ამოსავალ ფორმად საგულვებელია ნი - ც ა (→ ინ - ც ა და სხვ. მეტა-თეზისით), სადაც ნი - გრამატიკული კლასის ნიშანია. ამ სიტყვის ამგარი გაფორმება დაუცავს სვანურს: ნი - ც (|| ლ ი - ც) 'წყალი'<sup>5.</sup> ხუნძურში ი - ნაშ-

<sup>1</sup> ე-ს მოძმევნო რ-ც წარმოშობით გრამატიკული კლასის ნიშანია ამჟამად გაევავებული მოქმედი სახით იგი დაუცავს ლაკურს. არკიული აქ შემთხვევით როდი აღმოჩნდა ლაკურთან კავშირში: ასფიქრებელია, რომ წარმოშობით იგი ლაკურ ენასთან იდგა ყველაზე ახლოს. ეს სისალოვა ახლაც ხელშესახებია განსაკუთრებით მორტფოლოგიური წყობის მხრივ, ხუნძურს ძლიერი გავლენა მოუზენდის არგიულის ფონტიკაზე და ნაწილობრივ ლექსიკაზე, თუმცა ლაკურის კვალი არც აქა წაშლილი.

<sup>2</sup> ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში დასტურდება 6 გრამატიკული კლასის ნიშანი (ამას ქვემოთ განალიზებული სიტყვებიც მოწმობენ). ეს 6 ისტორიულად შეიძლება მეორული იყოს, მაგრამ რა წარმომავლობისაც არ უნდა იყოს იგი, 6 გრამატიკული კლასის ნიშანია. 6 კლასის ნიშნისა და მისი გვერდისის შესახებ იხ. ჩვენი „მესამე გრამატიკული კლასის ნიშნის ერთი ვარიანტი“: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1952.

<sup>3</sup> ამ სიტყვის შეშინა ცარიანტი გვხვდება ახვაზურში. ი ნ - შ ა 'ყველი' (სოფ. იზანი - ს მეტყველების მიხედვით), ი - შ ა 'ყველი' (სოფ. ლანობის მეტყველების მიხედვით).

<sup>4</sup> ამ სიტყვის შესაძლო სვანურ პარალელზე ჩვენი ყვრადლება მიაქცია გ. რ ო გ ა ვ ა მ.

<sup>5</sup> სვანურის ამ სიტყვას ხუნდ. ი ც ა - სთან აკავშირებდა ჯვრ კიდევ ნ. მარ ი, (Непочатый историчекий словарь кавказского языка, Тбилисская книжная типография, 1917, № 331), არ ნ. ჩიქობავა, სახლის ფუძის უგველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, № 21.

21. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII.

თაა გრამატიკული კლასის ნიშნის სრული სახისა ( $\text{ი} \leftarrow \text{ნი}$ ), ხოლო ანდიურ ენათა ინ- იგივეა, რაც ნი-, მხოლოდ ადგილ-გადასმული.

IV. ხუნძურში რიცხვითი სახელი ‘ოთხი’ გადმოცემულია ყ ძირით, ან-დიურ ენებში შისი შესატყვისია ყ, ც, ლ, ც ( $\rightarrow 0$ ). ანდიურ ენებში ეს სიტყვა კლასნიშნიანი იყო; ამჟამადაც კლასის ნიშანი ყველგან დაცულია, ოლონდ მოქმედი სახით მხოლოდ ანდიურ ენას აქვს შემორჩენილი:

ანდიური	უო-ყოგუ, მო-ყოგუ, ბო-ყოგუ, რო-ყოგუ ‘ოთხი’
ბოთლიხური	ბუ-ღულა
(ლოდოქრიული)	ბო-ცოდა
კარატული	ბო-ცოდა
ჭამალური	ბო-ცოდა
ტინდიური	ბო-ცოდა
ბაგვალური	ბო-ცურა ( $\parallel \rightarrow \text{ბურა}$ )
აზვაზური	ბო-ყოდა -ბე

ხუნძურში უნყო გვაქვს (‘ოთხი’), რომელიც უნყ-გო-საგანაა მიღებული (უნყო დასტურდება ხუნძახური დიალექტის სიუხურ თქმაში). რალაა წინამავალი უნ-? წარმოშობით იგი ანდიურ ენათა ბუ-, ბო- კლასის ნიშნის ფარდი უნდა ყოფილიყო: უნ- $\leftarrow$  ნუ-. ნუ-ს ანალოგიური ოდენობა დაუცავს ლაკურს მუ-ყ-რა ‘ოთხი’: ამრიგად, უნყო $\leftarrow$  უნყო $\leftarrow$  ნუ-ყ-გო.

ეს რიცხვითი სახელი კლასნიშნიანი უნდა ყოფილიყო დაღესტნის სხვა ენებშიც, მაგ.: ალულური, ტაბასარანული და-ყ- (შირ. უკლასნიშნო ლეზგ. ყ-უდ), გაქვავებული შეტათეზური კლასის ნიშანი გვაქვს არჭიულშიც ებ-ყა-‘4’, მაგრამ ‘ორმოცის’ სახელში უკვე პირდაპირი წყობაა: ბუ-ყ-‘40’.

V. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ‘ექვსის’ ალმნიშვნელ სახელში: ხუნძ. ან-ლ'-გო, ანდ. ონ-ლ'-გუ ( $\parallel$  ონ-ლ'-ი-გუ), ბოთლიხ. (ლოდობ.), კარატ., ახვახ. ინ-ლ'-ი-და, ტინდ. ინ-ლ'-ი-და  $\parallel$  ინ-ლ'-ი-დ'ა  $\parallel$  ინ-ლ'-ი-და, ბაგვ. ინ-ლ'-ი-რა, ჭამალ. ან-ლ'-ი-და. ამრიგად, ლ' ძირის წინ ვლინდება ან- ( $\rightarrow$  ონ-), ინ- მარცვლები, რომლებიც შეტათეზური გაქვავებული კლასის ნიშნებს წარმოადგენენ. ამ კლასის ნიშნის პირდაპირი წყობა დაუცავს რიგ დაღესტნურ ენას: არჭ. დი-ლ'- ‘ექვსი’, ლეზგ- რუ-გა-‘ექვსი’, ლაკ. რა-ხ- ‘ექვსი’.

‘ოთხისა’ და ‘ექვსის’ ალმნიშვნელი სახელების ანალიზი ხუნძურ-ანდიურ ენებში გვიჩვენებს, რომ წინათ რიცხვით სახელებს პრეფიქსული კლასის ნიშნები ჰქონიათ. ეს ვარაუდი მხარდაჭერას პოულობს სხვა რიცხვით სახელთა ანალიზის დროსაც: ხუნძ. ან-ტა-გო  $\leftarrow$  ნა-ტა-გო, ‘შვიდი’ მი-ტა-გო ‘რვა’, ი-ჭ-გო ‘ცხრა’ ( $\leftarrow$  ნი-ჭ-გო, შდრ. ხვარშიული ო.რ-ჭე  $\leftarrow$ \*ნო-ჭე); ან-ჭ-გო  $\leftarrow$  ნა-ჭ-გო ‘ათი’; ასევე ანდიურ ენათა ინ-შთ-უ-და ‘ხუთი’  $\leftarrow$  ნი-შთ-უდა და სხვ. თავის მხრივ პრეფიქსში ნ კლასის ნიშნის გამოვლენა მიუთითებს სუფიქსში ნ თანხმოვნის არსებობაზე, რომელიც მოსდევდა ძირეულ თანხმოვანს (ძირსა და ამ სუფიქსს შორის ხმოვანია სავარაუდებელი), ხოლო პრეფიქსში კლასის ნიშნად გვქონდა რ (ან ბ). ამრიგად ხუნძურისათვის, მაგალითად, ასეთი ფორმები შეიძლება ალვადგინოთ:

\* ჩუ-ყუნ-გო ‘ოთხი’ \* რა-ლ'-უნ-გო ‘ექვსი’, \* რა-წ-ან-გო ‘ათი’,  
\* რუ-ს-უნ-გო ‘ასი’ (შდრ. ანდიურ ენათა ბე-შ-ან-და და სხვ. ‘100’)<sup>1</sup>.

განხილული მაგალითები ნ კლასის ნიშნის გადასმას შეეხება. ანალო-ზიური ცვლილება შეიძლება განიცადოს სხვა კლასის ნიშნებზაც:

I. ‘მოიტანა’ (→ ‘იყიდა’) ზმნა ანდიურ ენებში ასეა წარმოდგენილი.

ანდიური	ბი-ბ-ი	‘მოიტანა’
ბოთლისური (ღოღობერიული)	იბ-ბ-უ (მიარს. კილოკ. ი-ბ-ი)	”
ჭამალური	ბა-ბ-ი	”
ტინდიური	ბო-ბ-ო (აქნად. კილოკ. ბო-ჰ-ო)	”
ბაგვალური	ბე-ჰ-ი	”
კარატული	ბე-ჰ-ე	”
ახვახური	ბე-ბ-ერი	”

ყველა ანდიურ ენაში ამ ზმნას პირდაპირი წყობის ცვლაში გრამატიკული კლასის ნაშანი აქვს. ერთად-ერთი გამონაკლისი ბოთლისურია, სადაც მეტათეზისი მომხდარი ი-ბ- ← ბ-ი-(იბ-ბუ — ბი-ბუ). ხუნძურში ეს ზმნა გადმოიცემა ს ძირით (ბო-ს-ა-ნა ‘მოიტანა’), რომელიც ანდიურ ენათა შ || ს ძირის შესატყვისი ჩანს.

II. ანალოგიურ სურათს იძლევა ‘მოყვანა’: ხუნდ. ბა-ჩ-ანა, ანდ. ბი-ჩ-ონ, ბოთლის. იბ-ჩ-ა, ჭამალ. ბა-ჩ-ი-დ, კარატ. ბო-ჩ-უ-ე... ‘მოიყვანა’. ამ შემთხვევაშიც ბოთლისურში ი-ბ- ← ბ-ი-.

III. ‘რეცხვა’, ‘ბანა’ ზმნა ანდიურ ენებში გრამატიკული კლასის ნიშნის მქონეა. მეტათეზური კლასის ნიშანი ამ ზმნას ანდიურ ენაში აქვს: ანდ. აბ-ჩ-ო, ბოთლის. ბუ-ჩ-ა (← ღოღობ. ბუ-ჩ-ა), ტინდ. ბუ-ჩ-უ-ო, ჭამალ. ბუ-შ-ა, ბაგვ. ბუ-ჩ-ა, კარატ. ბუ-ჩ-უ-ა (ანჩის. კილოკ. ბუ-ჩ-ა) ‘გარეცხა’, ‘დაბანა’ (შდრ. უკლასნიშნო ხუნდ. ჩ-ურ-ანა) ანდიურში აბ- → ბა-.

IV. ‘ცხრის’ აღმნიშვნელ რიცხვით სახელს (ძირეული მასალაა შ) ხუნძურ-ანდიურ ენებში გრამატიკული კლასის ნიშანი დაკარგვია, მაგრამ შემორჩენილია მისი ოანხმელები ხმოვანი, რომლის წინ რიგს ენას შ განვითარებია: ხუნდ. ი-ჭ-გო, ანდ. ჰო-ჭო-გუ, ბოთლის. ჰო-ჭ-ა-და, ჭამალ. ა-ჭ-ა-და და სხვ. ახვახურში გვაქვს ა-პ-ა-და (ერთად-ერთი სიტყვაა, სადაც პ ფონეზი იხმარება), ახვახური ენის ლ’ანობურ კილოკავს დაუცავს ობ-ჭ-ა-და ‘ცხრა’ (ამრიგად, ახვახ. პ ← ბჭ, ჭ-მ გაამკვეთრა ბ, ხოლო თვითონ დაიკარგა), სადაც ობ- მეტათეზური კლასის ნიშანია (გაშვავებული).

8. მეტათეზური კლასის ნიშანი, ამრიგად, ლია პოზიციას გულისხმობს: აქაც ისეთივე მდგომარეობა იქმნება, როგორიც პირდაპირი წყობის კლასის ნიშნის ოანხმოვნური ელემენტის დაკარგვის შემთხვევაში — სიტყვა ხმოვანზე დაწყებული გამოდის. ბუნებრივია, რომ აქაც ხმოვნის წინ ც, ჰ, ჭ... ბგერები ვითარდება.

<sup>1</sup> -გო (ასევე ანდ. ენათა -და) გვიანდელი დანართი ჩანს. იგი მაერთანებელი (მააბსოლუტივებელი) ნაწილაკია: ხუნძურ-ანდიურ ენათა რიცხვით სახელებზე ცალკე გვექნება საუბარა.

ყველა ზემოთ განხილული მოვლენა (კლასის ნიშნის დაკარგვა, გადასმის რომელიმე ბეგრის განვითარება) ერთმანეთთან შეიძლო კავშირშია და ხშირად ერთი რომელიმე სიტყვის შედარებითი ანალიზის დროს სხვადასხვა ენაცვლილების სხვადასხვა საფეხურს გვიდასტურებს. ამიტომ ქვემოთ განხილულ მაგალითებში (რაკი ზეკით კლასის ნიშანთა დაკარგვის ძირითად ფორმებს გავეცანით) ყოველ მაგალითს შევეხებით იმის მიხედვით, თუ სად რა ცვლილება განუცდია მას.

I. წეზე ხუნდურში ‘ავსებას’ ნიშნავს. ძირია წ, ანდიურ ენებში ეს სიტყვა კლასიზნიანია, რაც ბოთლიხურში მეტათეზური უარიანტითაა ჭარჩოდენილი:

ხუნდური	წ-უნა	‘აავსო’
ანდიური	ბი-წ-ი	„
ბოთლიხური	ჰ-იბ-წ-უ	„
(ლოდობერიული)	ჰ-ი-წ-ი	„
კარატული	ბე-წ-ე	„
ჭამალური	ბი-წ	„
ტინდიური	ბე-წ-ო	„
ბაგვალური	ბე-წ-ი	„
ახვახური	ბე-ჭ-ერთ	„

როგორც ჩანს, ბოთლიხურში კლასის ნიშანს (თანხმოვანს) მეტათეზისთვის განუცდია, ხოლო შემდეგ ხმოვნის წინ ჲ განვითარებულა (ბი-წუ → იბ-წუ → ჰ-იბ-წუ). ანალოგიური პროცესი მომხდარა ბოთლიხური ენის ოდობერიულ დიალექტშიც, ოლონდ აქ კლასის ნიშნის თანხმოვნებითი ნაწილი დაკარგულა. ხუნდურს კლასის ნიშნისებული თანხმოვანიც დაუკარგავს და ხმოვანიც. სხვა ენებში კლასის ნიშნები კარგადაა დაცული.

ანდიურ ენებში ამ ზმნის მნიშვნელობაა არა მარტო ‘ავსება’, არამედ ‘გაძლომაც’. ფაქტურად ეს მნიშვნელობები ერთი ძირის ორი სხვადასხვა სემანტიკური გააზრებაა. საინტერესოა, რომ ხუნდურში წეზე-ს არა აქვთ ‘გაძლომის’ მნიშვნელობა, მაგრამ ის ზმნა, რომელიც ‘გაძლომას’ აღნიშნავს (ჭორ წიზე), კვლავ წეზე-ს უკავშირდება (ჭორ ← თრ ← რო). ამ ზმნას მეტათეზური კლასის ნიშანი აქვს არქულშიც: აბ-წ-ას ‘ავსება’ ‘ძლომა’ (მაგრამ ბა-რ-წ-არ — აწყო).

II. ანალოგიური ცვლილება განუცდია ნ. კლასის ნიშანს ანდიურ ენებში: ქვემოთ მოყვანილი სიტყვის მიხედვით:

ხუნდური	ნუ-წა-ა	‘კარი’
ანდიური	ჰ-ინ-წ-ე-უ	„
ბოთლიხური	ჰ-ინ-წ-უ	„
(ლოდობერიული)	ჰ-ინ-ცა-უ	„
კარატული	ჰ-ინ-წა-ო	„
ჭამალური	ჰ-ინ-წ	„
ტინდიური	ჰ-ინ-ცა-უ	„
ბაგვალური	ჰ-უნ-ს	„
ახვახური	ინ-წა-ო	„

ამოსავალი ფორმა კლასის ნიშნისა შემორჩენია ხუნძურს (ამასვე უჭერს მხარს ლაკური ნ უ - ზ. სუნდ. წა: ლაკ. ზ კანონზომიერი ფონგრიფური შესატყვი-შობაა). ყველა ანდიურ ენაში კლასის ნიშანსა და მის თანმხლებ ხმოვანს ერთ-მანეთისთვის ადგილი შეუცვლიათ (მეტათეზური წყობა): ინ — ნ ი, უ — ნ უ; ზოგს ენაში (ჭამალურში, ტინდიურში, ბაგვალურში, ახვახურში) ნ თანმხმოვანი დაკარგვის გზას ადგას. იგი ხმოვნის ნაზალობად ქცეულა. ყველა ანდიურ ენას (გარდა ახვახურისა) ნ-ს მეტათეზისის შემდეგ ხმოვნის წინ ჰ განვითა-რებია. ამ სიტყვის ცვლილებათა ძირითადი ხაზი ასე წარმოიდგინება:

ნი-წაუ — ინ-წაუ — ჰ-ინ-წაუ.

გადახვევები, რაც ცალკეულ ენებში დასტურდება (ნ-ს დასუსტება, ბო-ლოკილური ხმოვნის მოკვეცა)<sup>1</sup>, ადვილი ასასწელია.

დიდოურ ენაში ამ სიტყვას გრამატიკული კლასის ნიშანი უკვალოდ ჩაპერარგვია (მაგრამ შემორჩენილია მისი თანმხლები ხმოვანი): დიდ. ა-ც კარი<sup>2</sup>.

გრამატიკული კლასის ნიშნის თანმხლები ხმოვნისა და ფუძისეული ხმოვ-ნის ფონგრიფური ურთიერთობის საკითხი ცალკე განხილვას მოითხოვს<sup>3</sup>.

III. მსგავსი ვითარება გვაქვს ხუნძურ-ანდიურ ენათა ‘თაფლის’ აღმნი-ჟენელ სიტყვაში:

ხუნძური	ჰ-ო-წა-ო	‘თაფლი’
ანდიური	ჰ-უნ-წა-ი	"
ბოთლიხური	ჰ-უნ-წა-ი	"
(ლოდობერიული)	ჰ-უნ-ცა-ი	"
ჭრატული	ჰ-უნ-წა-ე	"
ჭამალური	ჰ-უნ-წა- (დიალ. ჰ-უ-წა-უ, ჰ-უ-წა-ე)	"
ტინდიური	ჰ-უნ-ცა-ი	"
ბაგვალური	ჰ-უნ-სა	"
ახვახური	ჰ-უნ-წა-ი	"

ამავე რიგში უნდა მოვიხსენიოთ:

დიდოური	ნუ-ც-ი	‘თაფლი’
ხვარშიული	ნუ-ც-უ	"
კაპუჭურ-ჰუნზური	მუ-ც-ი	"
ლაკური	ნი-წ	"
არჭიული	იმ-ც	"

ამოსავალი მდგომარეობა შემოგვინახეს იმ ენებმა, სადაც პირდაპირ წყობის კლასის ნიშანი გვაქვს (დიდოური ენები, ლაკური). კლასის ნიშნის

<sup>1</sup> ნ-ს ნაზალიზაციად ქცევა საერთო მოვლენაა ანდიური ენებისათვის (ამასე სხვა დროს ფერონდა საუბარი), რაც შეეხება ბოლო ხმოვნის მოკვეცას, ეს პროცესი დემონსტრაცი-ული ხასიათისაა ჭამალურსა და ბაგვალურში საზოგადოდ. ძირეულ თანმხმოვანთა შესა-ტყვისობების შესახებ ის. ჩვენი „ტინდიური ენის ფონგრიფური მიმოხილვა“... გვ. 345—346.

<sup>2</sup> მხედველობაში გვაქვს ასეთი ფაქტები ხუნდ. ნუ-წა-ა ანდ. ენათა \*ინ-წა-უ ‘კარი’; ხუნდ რუ-ყ. ანდ. ენათა \*ან-ყ-უ ‘სახლი’; ხუნდ. ჰ-ო-წა-ო, ანდ. ენათა ჰ-უნ-წა-ი. ზოგვან თითქოს შეიმ ჩინევა; რომ ფუძისეული უ უ (რომელიც აქა-იქ ჲკვე დაკარგულა) გავლენას აზდენს კლასის ნიშ-ეს თანმხლებ ხმოვანზე, იმსგავსებს მას, ასე რომ, შესაძლებელია ხუნდ. ნ უ წ ა ა — \*ინ ი - წ ა ჟ - ა

მეტათეზური წყობა გვაქვს არჭიულში (რაც ამ ენის ბუნებას ეგუება) და ახვა-ხურში (ოღონდ ნ აქ დასუსტებულია). მეტათეზისი გუნუცდია ამ სიტყვასთან კლასის ნიშანს ყველა ანდიურ ენაში, ამასთან ყველგან (გარდა ახვახურისა) ანლაუტში განვითარებულია ჲ. ზოგ ენაში ნ გაქრობის გზაზეა (ჭამალურში, ტინდიუტში, ბაგალურში და სხვ.). იგი საბოლოოდ გამქრალა ხუნძურში და ჭამალური ენის დიალექტებში (ამასთან მისი თანმხლები ხმოვანი აქაც შემორჩენილია. მის წინ ჲ ბერაა გაჩენილი).

ძირითადი ხაზი ამ სიტყვის ანლაუტის ცვლილებისა ასე წარმოიდგინება:

ნუ-წ- → უნ-წ-ა- → ჲ-უნ-წ-ა-

მოსალოდნელია ამავე ძირთან იყოს დაკავშირებული ‘ტკბილის’ აღმნიშ-ვნელი სიტყვა ანდიურ ენებში (მაგ., ბოთლიხ. მი - წ ა - ა ‘ტკბილი’).<sup>1</sup> და, შესაძლებელია, ლაკურშიც (ნა - წ - უ ‘ტკბილი’).

IV. ხუნძურ რუკ სიტყვაში, რომელიც ‘სახლს’ აღნიშნავს, გამოიყოფა რუ- კლასის ნიშანი და ჲ ძირი (მას ლაბიალიზაცია ან უკანა რიგის ხმოვანი-უ/ო უნდა ხლებოდა. შდრ. როკ-ო-ბ ‘სახლში’)<sup>2</sup>. თავის მხრივ \*რუ-ყუ — \*რი-ყუ. ამავე ძირს გპოულობთ ანდიურ ენებშიც (-ყუ- ფორმით): ანდ-ჲ-ა-ყუ, ბოთლიხ. (ლოდობ.) ჲ-ან-ყუ, ჭამალ. ჲ-ა-ყუ. ხუნძური რუ- კლასის ნიშანის ნაცვლად ანდიურ ენებში ნა- კლასის ნიშანი უნდა გვქონოდა. ფონე-ტიკური ცვლილება ამ სიტყვისა ასე წარმოგვიდგება:

\*ნა-ყუ — ან-ყუ — ჲ-ან-ყუ → ჲ-ა-ყუ — ჲ-ა-ყუ.

თითქმის ყველა ეს ფორმა, როგორც ზევით ვნახეთ, ანდიურ ენებში მართლაც დასტურდება. რაც შეეხება ამოსავალ ვარსკვლავინ \*ნა- უ ფორ-მას, მის რეალურობაში ძნელია ეპვი შევიტანოთ, რადგან არჭიული ენა გვაძლევს ზუსტ ფონეტიკურ შესატყვისს — ნ-ო ტ ა ‘სახლი’, სადაც ნო- გრამატიკული კლასის ნიშანია (შდრ. ანდიურ ენათა \*ნა), ხოლო ფ ხ ხუნძურ-ანდიურ ენათა ყუ-ს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი. საინტერესოა, რომ-ჟუ ॥ ფ ძირი ქართველურ ენებშიაც პოულობს თვისიტომის ფონეტიკური შესატყვისის სახით, მხედველობაში გვაქვს ქართ. ყ-უდ-, მეგრ. უ-უდ- ე ‘სახლი’<sup>3</sup>

განხილული სიტყვები საკმაოდ რელიეფურად ავლენენ საქმის არსეს, ამი-ტომ ქვემოთ მოყლედ შევჩერდებით კიდევ რამდენიმე მაგალითზე.

<sup>1</sup> მი - წარმომობით გრამატიკული კლასის ნიშანია, ბი -საგან მომდინარე, რაც სიტყვის ფუქტში ნ თანხმოვანს (ან ნახალურობას) აღგაფენინებს. ეს რეალურად დასტურდება კარა-ტული ენის აჩიხურ კილოკაში, სადაც კლასის ნიშანი ცოცხალია: ჲ ი ე წ ა (I კლ.), ე ი ე წ ა (II კლ.), მი - წ ა (III კლ.) ‘ტკბილი’. ამრიგად, მი - წ ა — ბი ე - წ ა — ბი ე - წ ა - ა ნ-ანალოგიური სტრუქტურა სუარაუდებელი ‘თაფლის’ აღმნიშვნელი სიტყვისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში, აგრეთვე ლაკურსა და არჭიულში, ოღონდ თაფლის’ აღმნიშვნელი-სიტყვის ძრი შესაძლებელია ლაბიალიზებული ყოფილით (\*ნ ი - წ ა უ - ა — \*ბ ი - წ ა უ - ა ნ). ამ უ-ს გავლენით უნდა იყოს გრამატ. კლასის ნიშნის თანმხლები ი ხმოვანი უ-დ გადაქცეული ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში. ხუნძ. ჲ ი წ ა უ -ში ბოლო ო გვანიშნებს ზემოთ ნავარაუდებ-ლაბიალიზაციაზე.

<sup>2</sup> ანალოგიური ფაქტი ცნობილია ხუნძ. ბა ყ ‘მუ’ სიტყვაში. აღადგენენ ბა - ყ თ ფორ-მას. იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ი ბა ვა, ეტიმოლოგია ძველი ქართული ტერმინებისა „ბლუარი“, „სამხა-რი“: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953. გვ. 67.

<sup>3</sup> ამგვარ შესატყვისობათა შესახებ იხ. ჩვენი „ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ფ ლა-ტერალის გნეშისისა და ქართველურ ენებში მისი ფონეტიკური. შესატყვის შესახებ“: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954..

V. რიცხვითი სახელი ხუნძ. ან-ტე-გო ‘შვიდი’ ანდიურ ენებში წარმოდგენილია ნ-ს გარეშე, მაგრამ ანლაუტში განვითარებულია ჸ (იგი არა ჩნდს ახეახურსა და ჭიათურის დიალექტებში — სრულებით კანონზომიერად):

ხუნძური	ან-ტე-გო	‘შვიდი’
ანდიური	ჰ-ო-ტე-უ-გუ	”
ბოთლიხური	ჰ-ა-ტე-უ-და	”
(ღოღობერიული)	ჰ-ა-ტე-უ-და	”
კარატული	ჰ-ა-ტე-უ-და	”
ჭამალური	ჰ-ა-ტე-უ-და    ღიალ. ა-ტე-უ-და	”
ტინდიური	ჰ-ა-ტე-უ-და	”
ბაგვალური	ჰ-ა-ტე-უ-რა	”
ახეახური	ა-ტე-უ-და	”

რომ ამ სიტყვას გრამატიკული კლასის ნიშანი უნდა ჰქონოდა, სხვა დალესტნური ენების მონაცემებიც მოშემობენ: არჭ. ვი-ლ-ი- ‘შვიდი’, უდური ვუ-ლ ‘შვიდი’, ტაბასარანული ურ-ლ ‘შვიდი’ (აქ მეტათეზური კლასის ნიშანი გვაქვს). ხუნძურ-ანდიურ ენებში ამ სიტყვის სავარაუდო ფორმაა ნა-ტე-.

#### VI. ანალოგიური ვითარებაა ‘ათის’ სახელშიც:

ხუნძური	ან-წ-გო	‘ათი’
ანდიური	ჰ-ო-წ-ო-გუ	”
ბოთლიხური	ჰ-ა-წ-ა-და	”
(ღოღობერიული)	ჰ-ა-წ-ა-და	”
კარატული	ჰ-ა-წ-უ-ა-და	”
ჭამალური	ა-წ-ა-და    ღიალ. ჰ-ა-ზე-ა-და	”
ტინდიური	ჰ-ა-წ-ა-და	”
ბაგვალური	ჰ-ა-წ-ა-რა	”
ახეახური	ა-წ-ა-და	”

ამოსავალი ფორმაა ნა-წ-. კლასინიშნიანი ფორმა ამ სიტყვისა ჩანს დალესტნის რიგს ენაში: არჭ. ვი-წ- (რთულ ფუძეებში მო-წ-) ‘ათი’, უდური ვი-წ, ტაბასარ. ვი-წ. მხოლოდ ხმოვანი შერჩენია. ლაკურს — ა-წ ‘ათი’ — და ალულურს — ი-წ ‘ათი’<sup>1</sup>. ნ კლასის ნიშანი ანდიურ ენებს დაუკარგავთ. მის ადგილას ჸ განვითარებულა ენათა უმეტესობაში.

VII. თავკიდური ნ-ს გადასმისა და შემდეგ კი ჸ-ს განვითარების კარგი მაგალითია ჭამალური ჸ-ი-კუ-ა-და || ჸ-ი-კუ-ე-და ‘წინათ’. ამოსავალი ფორმა გვაქვს ხუნძურში ნე-კო-გო (|| → ნ-კო-გო) ‘წინათ’, სადაც - გო ჭამალური და-ს მორთულობიური ეკვივალენტია და ე. წ. მააბსოლუტივებელ (resp. მაერთიანებელ) ნაწილაკს წარმოადგენს. ეს სიტყვა ლაკურშიც დასტურდება და აქაც ნ-თია დაწყებული: ნ უკუ ‘წინათ’. ჭამალ. ჸინეტა ასე უნდა აიხსნას: ნ ი-კუ-ა- → ი ნ კუ-ა- → ი ნ კუ-ა- → ჸ ი ნ კუ-ა-. ხუნძურში კ-ს მომდევნო თ ხმოვანს მიუმსგავსებია წინამავალი ე. თავის მხრივ თ შესაძლებელია უ-ა-საგან იყოს მიღებული (\*ნ ე-კუ-ა-გო)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ხუნძ. ი-ჭ-გო-ში (იხ. ზემოთ).

<sup>2</sup> ამავე მირთან ხომ არაა კავშირში ქართ. უ-კუ-ან ‘უკან’?

VIII. ხუნდ. ნო-დო ‘შუბლი’ ანდიურ ენებში წარმოდგენილია ჰა-დართული სახით (მაგ. ბოთლიბ. ჰა-ნ-და). ხუნძურისათვის ამოსავალია. \*ნა-დო (ან \*ნე-დო), ბოთლიბურისათვის კი \*ნა-და, რომელსაც გარკვეული ცვლილება განუცდია: \*ნ ა-და → ან-და → ჰა-ნ-და. ამ სიტყვასთან უნდა ჰქონდეს კავშირი ლაკურ ნეთავა-ბაკ-ს (‘შუბლი’).

IX. ჭ ბერის განვითარება დასტურდება ზემოთ განხილულ ხუნდ. ნი-ს-ო, ანდ. ენათა ი-ს-ა, ი-შ-ა, ი-ს-ა... (‘ყველი’) სიტყვაში. შდრ. კარატული ენის არჩოული და რაჩაბრძლდური თქმების ჭ-ე-ს-ა, ტუ-ჭიტური დიალექტის ჭ-ი ს-ა, ‘ყველი’, ბაგვალური ენის ოლისიური კილო-კავის ჭ-ე-ს-ა, ‘ყველი’.

X. რიგ ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის ‘ხარის’ აღმნიშვნელი სიტყვა ხუნძურ-ანდიურ ენებში:

ხუნძური	ო-ც	‘ხარი’
ანდიური	უნ-ც-ა	„
ბოთლიბური	უნ-ს-ა	„
(ბოთლიბრიული)	უნ-ს-ა	„
კარატული	უნ-ც-ა	„
ჭამალური	მუნ-ც-ა	„
ტუნძიური	მუნ-ს-ა, მუნ-ც-ა	„
ბაგვალური	მუნ-ც-ა	„
ახვაზური	უნ-ჩ-ა (ლანობური დიალ. ჭ-უნ-ჩ-ა)	„

ამავე რიგში უნდა მოვიხსენიოთ:

დიდური	ი-ს	‘ხარი’
ხეარშიული	ენ-ს	„
კაპუჭი-ჰუნძური	ო-ს    ონ-ს	„
ლაკური	ნი-ც	„
ლეზგური	ჯა-ც	„
ტაბასარანული	ჯა-ც	„
წახურული	ჯა-ც	„
აფხაზური	ა-ცი <sup>1</sup>	„

ძირეული მასალაა ც (→ ს), ის, რაც მას წინ უძლვის, გრამატიკული კლასის ნიშანი და მისი თანმხლები ხმოვანია. სიტყვის თავდაპირველი სტრუქტურა ხუნძურ-ანდიურ ენებში უნდა ყოფილყო ბუ-ც-ან (→ ბუ-ს-ან), რუ-ც-ან (→ რუ-ს-ან)<sup>2</sup>. ბოლოკიდურმა ნ-მ მძიმესგაესა პრეფიქსული კლასის ნიშანი ბ || რ და აქცია იგი მ || ნ-დ. ამჟამად ეს ბოლოკიდური ნ (წარმოშობით დეტერმინანტი სუფიქსი) არსად ჩანს (თუ ტინდიურის მუნ-ს-ი-ს არ მივიღებთ შედევრობაში, სადაც ნ დეტერმინანტი შემორჩენილი უნდა იყოს წინ გადა-სმული ნაზალურობის სახით). ნაასიმილაციევი კლასის ნიშანი ნ ანდიურ ენებში შეტათეზირებულია (თანხმოვნისა ან ხმოვნის ნაზალურობის სახით). ასეთივე

<sup>1</sup> აფხაზურ ა-ცი-ს ხუნძურ ა-ც-თან (და სომხურ ც ულ-თან ‘ხარი’) კავშირებდა ნ. მარი ((Непочат. историчн.... გვ. 315)).

<sup>2</sup> შესაძლებელია უფრო სწორი იყოს თავდაპირველ სახედ ბი-ც-უ-ან (→ ბი-ს-უ-ან) გვევა-რაუდა. ე. ი. კლასის ნიშნის თანმხლები უ ჩაგვეთვალა ი-საგან მიღებულად ფუძისული თან-ხმოვნის ლაბიალიზაციასთან ასიმილაციის შედეგად.

მდგომარეობაა ხვარშიულსა და კაპუჭურ-ჰუნზურში. პირდაპირი წყობის კლასის ნიშანი შემოუნახავს ჭამალურს, ტინდიურსა და ბაგვალურს (აგრეთვე ლაკურსა და ლეზგიურ ენებს). ხუნძურსა და დიდოურს (ასევე კაპუჭურ-ჰუნზურის ერთ-ერთ ვარიანტს) ნ კლასის ნიშანი დაუკარგავს (მაგრამ შემორჩენილია კლასის ნიშნის თანმხლები ხმოვანი). ახვახური ენის ლანობურ დაილიტს მეტათეზური კლასის ნიშნის წინ ‡ განვითარებია ტუხვი ფაქტობრივი მასალის ფონზე ‡ ბგერის განვითარება აქ რელიფურად გამოიყურება).

XI. ხუნ. ჭეჩ ‘ვაშლი’ ძირეულ მასალად ჩ თანხმოვანს ავლენს, ეს ძირი საერთო იბერიულ-კავკასიური ძირია. ჭე- მარცვალი წარმოადგენს გრამატიკული კლასის ნიშნის თანმხლებ ხმოვანსა და მის წინ განვითარებულ ‡ ბგერას (შდრ. ქართ. ვა-შ-ლ-). კლასის ნიშანდ ამ სიტყვას ხუნძურ-ანდიურ ენებში შესაძლებელია ნ ჰქონდა (შდრ. ბოთლის. და სხვა ანდიურ ენათა ინ-ჩუ ‘ვაშლი’. ი-ნ-ჩ-← \*ნი-ჩ-). ეგვევ ძირი უნდა იყოს ჭიმალურში არა მხოლოდ ე-შ(← ე-ჩ ‘ვაშლი’). სიტყვაში, არამედ მი-ზჩ-შიაც, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს (ამ სიტყვის შესახებ ცალკე გვქონდა საუბარი).

XII. საერთო იბერიულ-კავკასიური ძირი აქვს ხუნ. ჭუნკა ‘თაგვი’ სიტყვას:

ხუნძური	ჭ-უნ-კა (სიუხური თქმა ჭ-უნ-ტი)	‘თაგვი’
ანდიური	ჰ-ინ-კაუ	"
ბოთლისური	ჰ-ინ-კაშ-ა	"
(ლოდობერიული)	ჰ-ე-ქაშ-ა	"
კარატული	ჰ-ე-კაშ-ა (დიალ. ჰ-ე-რ-კაშ-ა)	"
ჭამალური	ჰ-ე-კაშ-ალ	"
ტინდიური	ჰ-ე-ქაშ-ედ-ე, ჰ-ე-ქაშ-ა	"
ბაგვალური	ჰ-ე-კაო-ჩ-ა	"
ახვახური	ინ-კაუ-ტ-ი (ლანობ. დიალ. ი-კაშ-ა)	"
დიდოური	ა-ტ	"
ხვარშიული	ა-ე-ყუ-ა	"
კაპუჭურ-ჰუნზური	ა-ე-ყო	"

ძირეული მასალა ყველგან ლაბიალიზებულია (ოლონდ ანდიურში, ბაგვალურში, ახვახურსა და კაპუჭურ-ჰუნზურში ლაბიალიზაციის ელემენტი შერწყმული ჩანს მომდევნო დეტერმინანტისეულ ხმოვანთან, რის გამოც კაშ-ა || კაშ-ა → კაუ || კაო || ყო). დიდოურში ძირეული ხმოვანი სულ დაკარგულა და მისი ლაბიალიზაციალა შემორჩენილი. ის, რაც ძირს მოსდევს, დეტერმინანტი სუფიქსია, რომელიც რიგს ენაში თანხმოვნის შეკვეცის გამო ხმოვნის სახითაა წარმოდგენილი. პრეფიქსული მარცვლები (ჭუნ-, ჰინ-, ჰე- , ინ-, ა-, ან-, ან-) ერთი და იმავე ოდენობის ფონეტიკურ ვარიანტებსა წარმოადგენენ. ამოსავალი უნდა ყოფილიყო ხუნძურისათვის ნუ-<sup>1</sup>, ანდიური ენებისათვის ნი- || ნე- , ხოლო დიდოური ენებისათვის ნა- კლასის ნიშანი.

<sup>1</sup> იქნებ ხუნძურისთვის ნუ- კი არა, ნი- || ნა- კლასის ნიშანი უნდა გვევარაუდა. ნი- || ნა-ს შეეძლო ნუ- მოეცა იმ ძირისეულ უ-სთან ასიმილაციის შედეგად, რომელიც უხუნძურს კა თანხმოვნის ლაბიალიზაციის სახით უთულდ უნდა ჰქონდა (ე. ი. ნი-კაუ || ნა-კაუ—ნუ-კაუ → ნუ-კა). შდრ. შენიშვნა, გვ. 326. ანალოგიური ფაქტების შესახებ—ცალკე.

შეტათეზური წყობის შედეგადაა მიღებული უნ-, ინ-, -ენ, -ან (|| უნ-, ინ-, ენ-, ან- ნ-ს დასუსტებით, ან უ-, ი-, ე-, ა- ნ-ს სრული გაქრობით). ამის შემდეგ ხმოვნის წინ ხუნძურში განვითარებულია ჭ, ხოლო ანდიურ ენებში (გარდა ახვასურისა) -ჸ.

პირდაპირი წყობის გრამატიკული კლასის ნიშანი ამ სიტყვასთან დაუკავს რიგ კავკასიურ ენას, მაგ., ქართ. თა-გუ-ი, ბაცბიური და-ხე 'თაგვი'<sup>1</sup>. საგულისხმო ფორმა შემოუნახავს არქიტექტურას: ნო-ყონ 'თაგვი' (← ნა-ყუ-ონ?). აქ რეალურადაა წარმოდგენილი ის ნ თანხმოვნიანი პირდაპირი წყობის კლასის ნიშანი, რაც ხუნძურ-ანდიური ენებისათვის იყო ნავარაუდევი.

XIII. ჭბგერა განვითარებული ჩანს ხუნ. ჭაჭარ ('უშობელი') სიტყვაში. ანდიურ ენებში ეს სიტყვა წარმოგვიდგება ჭარა-ს სახით, მაგ.: ანდ. ჭარა, ბოთლ. ჭარა, კარატ. ჭარა და მისთ. სიტყვის ფუძეა ჭარ-, ხუნ. თავ-სართი ჭა- მიღებული უნდა იყოს ბა-საგან: კლასის ნიშანი (თანხმოვნიანი) დაკარგული, ხოლო დარჩენილი ა-ს წინ განვითარებულა ჭ: ანდიურ. ენებში ამ სიტყვას კლასის ნიშანი არა აქვს.

### დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1. ხუნძურ-ანდიურ ენებში პრეფიქსული გრამატიკული კლასის ნიშანი ლია მარცვლის სახით წარმოგვიდგება (თანხმოვნი + ხმოვანი). წინათ გრამატიკული კლასის ნიშნის ამგვარი აგებულება შეიძლება საერთო მოვლენა ყოფილიყო იბერიულ-კავკასიური ენებისათვის.

2. გრამატიკულ კლასის ნიშანს ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ახასიათებს მოშლის ტენდენცია. ამ მხრივ გასარჩევია ორი ძირითადი შემთხვევა: I. გრამატიკული კლასის ნიშანი კვდება (1. იგი ქვავდება და უხორცდება სათანადო სიტყვას, 2. აფიქსად რჩება, მაგრამ იცვლის ფუნქციას). II. გრამატიკული კლასის ნიშანი იკარგება (1. იკარგება მთლიანად ლია მარცვლი, 2. იკარგება კლასის ნიშნის თანხმოვნური ელემენტი, მისი თანხმლები ხმოვანი კი შემონახულია).

3. გარდა პირდაპირი წყობის კლასის ნიშნებისა (თანხმოვნი + ხმოვანი), დასტურდება შექცეული, შეტათეზური წყობის გრამატიკული კლასის ნიშნებიც (ხმოვანი + თანხმოვანი).

4. როცა სიტყვას შეტათეზური კლასის ნიშანი აქვს, ან როცა პირდაპირი წყობის კლასის ნიშნის თანხმოვნური ელემენტი იკარგება, სათანადო სიტყვა ხმოვანზე დაწყებული გამოდის. ამგვარი ხმოვნის წინ სხვადასხვაგვარი შემართვის შედეგად ვითარდება ც, ჰ, ჭ, ჸ, ჴ (იშვიათად სხვა თანხმოვნიც). სიტყვის თავში მარცვლების დართვა, რაც ხუნძურ-ანდიურ ენებშია გავრცელებული, ამგვარი პროცესის შედეგი ჩანს.

5. ანალოგიური ფაქტების გათვალისწინებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ხუნძურ-ანდიურ ენებში სიტყვათა ისტორიის გასათვალისწინებლად.

<sup>1</sup> იბ. ჩვენი: ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრების შესახებ: საქართველოს სსრ. შეცნ. აკად. მოამბე, 1954, ტ. XV, № 10, გვ. 705.

Т. Е. ГУДАВА

# О НЕКОТОРЫХ ФОНЕТИЧЕСКИХ ИЗМЕНЕНИЯХ ПОКАЗАТЕЛЕЙ ГРАММАТИЧЕСКИХ КЛАССОВ В АВАРСКОМ И АНДИЙСКИХ ЯЗЫКАХ<sup>1</sup>

## Резюме

1. В аварско-андийских языках в качестве префиксальных показателей грамматических классов выступают слоги открытого типа (согласный + гласный). Слоговая структура классных показателей, повидимому, являлась характерной для всех иберийско-кавказских языков.

2. На определенной ступени развития языка показатели грамматических классов обнаруживают тенденцию к отмиранию. В этом отношении следует различить два основных случая:

I. Показатели грамматического класса остаются (т. е. 1. в окаменевом виде срастаются с основой слова, напр. аварск. *raq* 'сердце', или же — 2. сохраняются в виде форманта, но с изменением функции, напр. аварск. *dir* 'мой...').

II. Показатели грамматического класса отпадают (1. отпадает открытый слог целиком, 2. отпадает только согласный элемент классного показателя). Более подробно нами рассматривается этот последний случай.

3. Полное исчезновение показателя грамматического класса (открытого слога) наблюдается преимущественно в аварском языке. Формы с классными показателями сохраняются в основном в андийских языках:

## Аварский язык

t - e - ze 'оставлять'

səw-i-ne 'тухнуть'

l' - uω - i - ze 'кончать'

s̪ - o - n 'год'

## Андийские языки

Андийск. b'e-t-ṭu, ботлихск. be-t-i, чамалинск. be-t-la, тиндийск. b e - t - i - l'a, багвалинск. be-t-i-la.

Ботлихск. t i - šəw - i ( $\leftarrow$  bi" - šəw - i  $\leftarrow$  bi - šəw - i"), чамалинск. bi - səw - ā - pa, тиндийск. bu - šə - i - l'a, багвалинск. bu - šə - a", ахвахск. bi - sə - u - rul'a.

Андийск. bu - l' - i - du, ботлихск. bu - l' - i (годоберийск. bu - l' - i), каратинск. bo - l' - i - l'a, чамалинск. bu - l' - la, тиндийск. bu - l' - i - l'a, багвалинск. bu - l' - a - u - la, ахвах. bo - l' - u - rul'a.

Андийск. re - š̪ - i n, ботлихск. re - s̪ - i, каратинск. re - š̪ - i n, чамалинск. je - h - i", тиндийск. re - š̪ - e n (собств. тинд. говор re - h - e n), багвалинск. re - h - e n, ахвахск. re - š̪ - e n.

<sup>1</sup> Доложено на V (XI) научной сессии Института языкоизучания АН Грузинской ССР (11 июня 1954).

## Аварский язык

~~х~~е<sup>р</sup>-а<sup>б</sup> ‘старый’

## Андиjsкие языки

Андиjsк. бе-хог, ботлихск. ба-хаг-а, ка-  
ратинск. бе-хаг-о<sup>в</sup> (тукитинск. диал. би-  
хаг-о<sup>в</sup>), чамалинск. бе-ха-л'-идда, тин-  
дийск. бе-хаг-а<sup>в</sup> (акиадск. говор бе-хег-  
-а<sup>в</sup>), баgвалинск. ба-hаг-у<sup>в</sup>, ахвахск. ба-  
гэгэг-.

4. Нередко теряется один лишь согласный элемент классного показателя, а гласный звук, сопровождающий его, сохраняется:

Срв. формы с классным  
показателем

Тиндийск. е-шə-i-l'a, чама-  
линск. i-sə-la ‘ткать’.

Ботлихск. i-kə-i, андиjsk.  
-i-չə-i-du, арчинск. говор карат.  
языка e-kə-a-q-a, чамалинск.  
i-չə-i-la, баgвалинск. i-k'-i-la  
(срв. аварск. չə-eze) ‘дать’

Аварск. o-c'.. ‘бык’

Чамалинск. a-kw-ıa, тиндийск.  
-a-kw-i-l'a, баgвалинск. a-kw-  
-a-la ‘жать’.

Аварск. бe-sə-i-zē, андиjsk. бe-  
-šə-du.

Каратинск. бe-կə-a-l'a (срв. так  
же дидойск. ne-l'-a || te-l', ар-  
чинск. du-l'-os ‘давать’).

Тиндийск. mu-s'-a

Каратинск. ga-kw-a-l'a, ан-  
тидск. говор тинд. языка ba-kw-  
-i-la.

5. После утери согласного элемента перед оставшимся гласным развиваются звуки (‘хамза), һ или ω (редко и другие согласные: hə, k...) в силу различных приступов. Наличие в начале слова ‘лишних’ слогов, широко распространенное в аварско-андийских языках, можно считать результатом указанного процесса.

6. Наблюдаются также перемещенные формы классных показателей (гласный + согласный). В этом отношении особенно ясно прослеживаются случаи перестановки классного показателя n: напр.: чамалинск. i-s'a || -i-s'a ‘сыр’ ← \*pi-s'a, срв. аварск. pi-s'o, лацк. pi-s, лезгинск. na-su, даргинск. nu-se’ и др. Следы такого процесса обнаруживаются в некоторых именах числительных аварско-андийских языков (напр. аварск. an-p-l'-go ← \*na-l'-go ‘шесть’, an-c-go ← \*na-c-go ‘десять’ и др.).

7. Вследствие приступа перед таким (перемещенным) классным показателем могут развиваться (?), һ, ω и др. звуки:

Аварск. ү и n կə ‘мышь’ ← \*un կə ← \*pi կə || (← ne-կəw-, ni-կəw)

Срв. арчинск. no-q-o-n, бацбийск. da-xk, грузинск. ta-gw- ‘мышь’.

Ботлихск. hincəu ‘дверь’ ← \*inçəu ← \*pi-cəu. Срв. аварск. ni-cəa, лацк. ni-z ‘дверь’.

Ботлихск. hanq u ‘дом’ ← anqu ← \*na-q u. Срв. арчинск. no-čə, аварск. ru-q (грузинск. q-u d-, мегрельск. 'u d-e ‘дом’).

8. Учет аналогичных фактов имеет определенное значение для уяснения истории слов в аварско-андийских языках.

ევა. ჯეირანიშვილი

კითხვების დაცვისას გენერალური მინისტრი (კიურული) ჯგუფის ენერგეტიკული მინისტრი

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან დაღინტენის სამხრულ-აღმოსავლური ჯგუფის — ლეზგიური (კიურული) ჯგუფის ენებში (ლეზგიურში, ანუ კიურულში, უდურში, ტაბასარანულში, წახურულსა და ოუთულურში...) ყურადღებას იქცევს ნაცვალსახელები ფუძის აგებულებითა და ბრუნების სისტემით; ამ მხრივ ერთგვარად რთულსა და თავისებურ სურათს ქმნის, კერძოდ, კითხვითი ნაცვალსახელები.

წინამდებარე ნარკვევში არის ცდა დასახელებული ენების „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელთა შედარებითი ანალიზისა.

\* 12

ლეგიონი ჯგუფის ენათა ნაცვალსახელების, მათ შორის კითხვითა ნაცვალსახელების, შედარებითი ანალიზი სპეციალურად არავის მოუკია. ცალკეული ენის მიხედვით მასალები მოცემული აქვთ სხვადასხვა მკელევარს.

3. უსლარი თავის 1896 წელს გამოქვეყნებულ „კიურულ ენაში“<sup>1</sup> მსჯელობს რა კიურული ანუ ლეზგიური ენის ნაცვალსახელების შესახებ (გვ. 59—85, გვ. 82—118), გვაწვდის ცნობებს კითხვითი ნაცვალსახელების შესახებაც (გვ. 102—108). 3. უსლარი წარმოგვიღებს ამ ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმებს, აღნიშნავს წარმოებით ძალათან დაკავშირებულ ზოგიერთ-სიტყვასა და იძლევა ცნობებს მათი გამოყენების შესახებ. უსლარის ცნობები, რომელთაც ჩვენ ვეყრდნობით ლეზგიური (კიურული) კითხვითი ნაცვალსახელების შესახებ მსჯელობისას, მოცემული გვაქვს ქვემოთ.

ლეზგიურ კითხვით ნაცვალსახელებზე ზოგიერთი ცნობა მოცემულია აქვთ.  
ლ. შირქოვსაც<sup>2</sup>:

უდური კითხვითი ნაცვალსახელების („გინ“, „რა“-ს) შესახებ ცნობება აქვთ: ა. შიფნერს — შრომაში „ცდა უდური ენის გამოკვლევისა“ (1863 წ.) და ა. დირს — „უდური ენის გრამატიკაში“ (1904 წ.). მმ. აგტორთა ცნობები ძირითადად არ განსხვავდება ერთი მეორისაგან. დასახელებულ შრომებში მოცემულია „გინ“ და „რა“ ნაცვალსახელთა ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვების ფორმები უდური ენის ვართაშნული დიალექტის მიხედვით; სახელდობრ: „გინ“ — ნაცვალსახელისა: სახელობ. შუ, ნათ. შირ.

<sup>1</sup> П. Услар, Кюринский язык. Этнография Кавказа, Языкоизнание, VI, 1896.

<sup>2</sup> Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, მახაჩ-ყალა, 1941.

შიც. შუ, აფექტ. შუ ხ (ა. შიცნერით) || ბრალდ. შუ ხ (ა. დირით), აბლატ. შუ ხო, კამიტატ. შუ ხოლ, ტერმინატ. შულ, ინსტრუმ. შინ.

„රා“ නායුගල්සාකේලිසා: සාක්ෂෙලුව්. ගුඩ, නාත. ග්‍රීඛ, මිටු. ග්‍රීඹ,  
ආයුද්ධ. ග්‍රීඹ ත (මිගුනේරිත) || දරාලද. දර. (දිකිරිත), අඛ්‍යාත්. ග්‍රීඹ ත ම, ගු-  
මිත්. ග්‍රීඹ ත ම, තේරුම්බිනාත්. ග්‍රීඹ ම, මිස්ත්‍රිජුම. ග්‍රීඹ ත.

ა. შიფნერსა და ა. დირს მოცემული აქვთ აგრეთვე დასახელებულ ნა-  
ცვალსახელებთან წარმოებით დაკავშირებული სიტყვებიც<sup>1</sup>.

უდური კითხვითი ნაცვალსახელები განხილული აქვს პროფ. ვლ. ფანჩიიძე-  
საც მონოგრაფიაში „უდური ენის გრამატიკული ონალიზი“ (წარმოდგე-  
ნილია სხვა ნაცვალსახელებთან ერთად აღნიშნულ ნაცვალსახელთა ბრუნების  
სქემა, მოცემულია მსჯელობა ამ ნაცვალსახელის ზრუნვათა ნიშნების შე-  
სახებ...).

ტაბასარანული ენის „გინ“ და „რა“ ნაცვალსახელების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ა. დირი — „ტაბასარანული ენის გრამატიკულ ნარკვევში“ (1906 წ.)<sup>2</sup> და ს. უირკოვი — „ტაბასარანულ ენაში“ (1848 წ.)<sup>3</sup>. დირისა და უირკოვის მასალებზე მითითებული გვაქვს ქვემოთ —ამ ენის კითხვით ნაცვალსახელებზე მსჯელობის ღრუს. რუთულური და წახურული კითხვითი ნაცვალსახელები გათვალისწინებული აქვს ა. დირს „რუთულურ ენაში“ (1911 წ.)<sup>4</sup> და „წახურულ ენაში“ (1913 წ.)<sup>5</sup>.

၁။ დირი რუთულური კითხვითი ნაცვალსახელების შესახებ მსჯელობისას იძლევა ცნობებს ორი აულის — რუთულისა და შინაზის—მეტყველების მიხედვით. იგი წარმოადგენს ამ ნაცვალსახელთა ბრუნების დაახლოებით ისეთსავე სქემას, როგორიც ქვემოთ ჩვენცა გვაქვს მოცემული. ၂. დირი აღნიშნავს რა კითხვითი ნაცვალსახელების სახელობითის ფორმებს — „უშ, უშ(ი) უკინ?“, „ში უშ, შივ „რა?“, „შუდგ „რომელი“..., „შენიშვანის, რომ ირიბ ბრუნვათა ფუძეებად გამოყენებულია ჰალ და ჰალ, რომ მრავლობით რიცხვში უშ უშ ნაცვალსახელს იშვიათად იყენებენ (უუშპრ). შემდეგ წარმოდგენილია ძირითადი და თანადგებულიანი ბრუნვების ფორმები...

წახურული ენის კითხვითი ნაცვალსახელები ა. დირს წარმოდგენილი აქვს  
 „შემდეგნაირად: „ვინ“ — ნაცვალსახელი — მს. რ. ჰ. ჰაშუნა, ჰაშუნა,  
 მრ. რ. ჰაშბუნა; მიცემ. შატუს(დხ), აფექტ. შატუსებნა, ერგატ.  
 შატუნა, შატანა, კოშიტატ. შავუქტანა, აბლატ. შავუქნა...  
 „რა“—ნაცვალსახელი — (ჰუ)ჯონა, (ჰუ)ეონა, (უ)ეონა, უჟონ; მიცემ-  
 იშისენნა, ნიშისდა; ინსტრუმ. ნიშინნა, აბლატ. ნიშიენნა...

<sup>1</sup> A. Schiefner, Versuch über die Sprache der Uden, 83. 22, § 83...

А. Ди́рр, Грамматика удинского языка, 83: 33—34.

<sup>2</sup> А. Дири, Грамматический очерк табасаранского языка, СМОМПК, XXXIII.

<sup>3</sup> Л. И. Жирков, Табасаранский язык. Грамматика и тексты.

<sup>4</sup> А. Дирр, Рутульский язык, 83. 41—43; § 19.

<sup>5</sup> А. Ди рр, Цахурский язык, 83, 39, 40.

ამ ნაცვალსახელებში ა. დირს სამართლიანად აქვს გამოყოფილი - ნაცვალების როგორც კითხვითი ნაწილაკი.

ამასთანავე ადგილზე შემოწმებით დასტურდება, რომ დირსის ცნობები უმთავრესად მიქიქური დიალექტის მასალას მოიცავს და არა წახურულისას; გარდა ამისა: ბრუნებასთან დაკავშირებული მისი ცნობები ზოგ შემთხვევაში დაზუსტებას საჭიროებს (შდრ. ქვემოთ).

ლეზგიური ჯგუფის ცალკეული ენის კითხვითი ნაცვალსახელების შესახებ ზოგიერთ ცნობას გვაძლევენ ფრ. მიულერი, რ. ერკერტი, გ. დიუმეზილი...

აკად. ივ. ჯავახიშვილი კაპიტალურ „შრომაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937 წ.) საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ქართულ და კავკასიურ ენათა ნაცვალსახელებს; კერძოდ, ეხება ლეზგიური ჯგუფის ენათა კითხვით ნაცვალსახელთა საკითხებს, უდარებს-რა მათ მეზობელ ენათა სათანადო მონაცემებს (ამ მხრივ ზოგიერთი შენიშვნა იხ. ქვემოთ).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობები ლეზგიური ჯგუფის ენათა კითხვითი ნაცვალსახელების შესახებ მეტ წილად არ არის სრული და ზუსტი; რიგ შემთხვევაში მასალა არ არის სათანადოდ აღქმული და განმარტებული.

## I

1. წახურული კითხვითი ნაცვალსახელებია ჰი შუნა || ვუ შუნა „ვინ“ და ჰი ჯონა „რა“.

„რა“ ნაცვალსახელის („ჰიჯონა“-ს) შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა. „ვინ“ ნაცვალსახელი კი წახურულსა და მის კილო-კილოკავებში შემდეგს სურათს გვაძლევს.

საკუთრივ წახურულში „ჰი შუნა“-ს პარალელურად (სპორადულად) ვუ შუნა ნაცვალსახელიც იხმარება; სოფელ უუმის მეტყველებაში<sup>1</sup> მეორე ვარიანტია უფრო გავრცელებული. ამ ორი ვარიანტით წარმოდგენილი ეს ნაცვალსახელი შემდეგნაირად იბრუნვის<sup>2</sup>:

სახელობ.	ჰიშუნა    ვუშუნა
ერგატ.	შაენა    შავანა (შაჟანა)
ნათეს.	შავუნა?    შარუნა
მიცემ.	შავუსნა    შავუს (შაჟუსნა)...

წახურულ „ვინ“ ნაცვალსახელს სახელობით ბრუნებაში აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმაცი: ჰი შბუნა || ჰი შბუვ<sup>3</sup>. მრავლობითში ორი ვარიანტით წარმოდგენილ ამ ნაცვალსახელს „ირიბი“ ბრუნების ფორმები არ გააჩნია, გამოიყენება მხოლობითის ალნიშული ფორმები.

წარმოებით „ვინ“ ნაცვალსახელთან დაკავშირებული სიტყვებია:

ჰი შუ ჯა არ „არავინ“ (მხ. რ.), ჰი შუ ჯა ბ „არავინ“ (მრ. რ.),

<sup>1</sup> ყუმ/ი კახის რაიონშია (აზერბ. სსრ). ყუმელები ძირითადად წახურულ კილოზე მეტყველებენ.

<sup>2</sup> მოგვყავს ძირითად ბრუნებათა ფორმები.

<sup>3</sup> მრავლობითის ამ ფორმების მსგავსად მხოლობითშიც დასტურდება „ვინ“ ნაცვალსახელების ვარიანტები: შავანა — შავაში || შავაშ, ოლონდ საკუთრივ წახურულში მეორე ვარიანტია: იშვიათად იხმარება.

შავათი (—შავათდი — შატათდი) „ვინც არ უნდა იყოს, ვინგინდა-რა“  
შავანაჯარ (მხ. რ.) — შავანაჯაბ (მრ. რ.) „არავინ, არც თუ ვინმე“

დიალექტებში აღნიშნული ნაცვალსახელი ბრუნების მიხედვით სხვადა-  
სხვა ვარიაციით წარმოგვიდგება, ამოსავალი ფურცე კი ყველგან თითქმის ერთა-  
და იგივეა; კერძოდ:

მიშელშერში:

სახელობ.	ჰაშუნ/ე	შატნა	ჰაშუნა
ერგატ.	შავან/ე	შატნა/ე	შეუნა    შავანა
ნათეს.	შავუნ/ე		შეუნა    შავუნა
მიცემ.	შავუს/დე		შეუსლე/ე...

უურდულურში:

სახელობ.	ჰაშუ	ჰაშუ	ჰაშუ
ერგატ.	შავა	შავა	შავა
ნათეს.	შავუნ/ი		შეუნა
მიცემ.	შავუს/ი	შაუს...	შაუზე...

ბრუნვათა დაპირისპირება, დიალექტოლოგიური მონაცემები, წარმოე-  
ბით კითხვით ნაცვალსახელთან დაკავშირებული სიტყვები გვიჩვენებენ, რომ  
წახურულში „ვინ“ ნაცვალსახელი მარტივი აგებულებისა არ არის და იშლება  
შემდეგნაირად.

მხ.: ჰი-შუ-ნა, ვუ-შუ-ნა (დიალექტებში: ჰა-შუ-ნა, ჰა-შუ-ა);

შავა-ნა — შატა-ნა, შა-ტ-ნა (დიალ.: შე-ტ-ნა, შა-ვა-ა...);

მრ.: ჰი-შ-ბუ-ნა, ჰი-შ-ბუ-ა (დიალ.: ჰა-შ-ბუ-გ-ნა, ჰა-შ-ბუ-ა...).

ბოლოსართი -ნა, -ა, რონელიც ნოსდევს ბრუნვის ან მრავლ. რიცხვის-  
ნიშანს, კითხვის ნაწილაკებია (დიალექტებში მას -ნა, -და || დე ენაცვლება) —  
შერ.: ნაპარნა, უგრანა? — როგორ (ხარ)? კარგად (ხარ)? — უგრა! — კარ-  
გად!

თავსართი ჰი, -ჰი- წახურულში იმავე დანიშნულების ნაწილაკია, რა-  
დანიშნულებაც ამგვარივე ელემენტებს იბერიულ-კავკასიური წრის სხვა-  
ენებში აქვს; სახელდობრ: რუთულ.: ჰე-: ჰემი (-ჰე-მი) „აი ეს, სწორედ  
ეს“ (მი უეს), ჰეთი (ჰე-თი) „აი, სწორედ ის“ (თი „ის“)... უდურ.: ჰა-:  
ჰამე, ჰაქა, ჰატე „აი, სწორედ ეს, ეგ, ის“ (მე „ეს“, ქა „ეგ“, ტე „ის“);  
ჰამდა, ჰაქა, ჰატდა „აი, სწორედ აქ, მანდ, იქ“ (მდა „აქ“, ქა „მანდ“, ტდა  
„იქ“); ჰამეთპრ, ჰაქათპრ, ჰატეთპრ „აი, სწორედ ასე, ეგრე, ისე“ (მეთპრ  
„ასე“, ქათპრ „ეგრე“, ტეთპრ „ისე“)... ხუნდ.: ჰა-, ჰე-: ჰა-დატ, ჰა-ლატ,  
ჰა-ლ'ხაუ || ჰე-დეუ, ჰე-ლეუ, ჰე-ლ'ეუ „აი ის“... ეგივი ფაქტი ჩანს ქართველურ-  
ენებში: ა- || ე, \*ჰა- || ჰე-: ქართ. აგი\* ჰაგი „აი-ის“—ა-ონა || ე-თენა „აი -ის“<sup>1</sup>

<sup>1</sup> სუნძური და ქართველური ენების ამ მონაცემთა შესახებ იხ. არნ. ჩიქობავას „ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში“: ენიმკის მოაშბე, XII, 1942, გვ. 32; „ქანძურის გრა-  
მატიკული ანალიზი“, 1936.

ჰა-, ჰე-, ჰი-, ა-, ე- დასახელებულ ენებში თავსართი-ნაწილაკებია, რომელიც სიტყვის მნიშვნელობას კატეგორიულ მნიშვნელობის მომენტს უქმნიან და გამოხატავენ იმას, რასაც სიტყვები: „აი“, „სწორედ“, „მაინცადამაინც“<sup>1</sup>.

ამ ნაწილაკებისა და კითხვის ნაწილაკის ჩამოცილების შემდეგ წახურულ „ვინ“-ნაცვალსახელის ფუძეში რჩება შავ (— შატ), შუ, შ (დიალ.: შევ — შეტ)<sup>2</sup>. მრავლობით რიცხვში ამათგან რიცხვის სუფიქსის (-ბუ — -ბგ) ჩამოშორებით შ რჩება. ზოგჯერ ეს ძირეული თანხმოვანი ელემენტი გემინატი-ბგერის (resp-მაგარი არტიკულაციის მქონე ბგერის) შთაბეჭდილებასაც ტოვებს. ისე, რომ სპორადულად ამ ნაცვალსახელის შავ (შატ) || შევ — შეტ ფუძეში შ ვა- რიანტიც დასტურდება.

თავის მხრივ შავ — შატ (დიალ.: შევ — შეტ) ფუძეც მარტივი აგებულებისა არ არის, ნაწევრდება ასე: შავ — შატ (შევ — შეტ), რომლის შა- (შე) ნაწილი იგივეა, რაც სხვა შემთხვევაში გამოვლენილი შუ, შ ძირეული ელემენტი, ხოლო -ვ — უ გრამატიკული კლას-კატეგორიის (ადამიანის კლასის) მაჩვენებელია. ეგვე ითქმის ამ ნაცვალსახელის ვარიანტის ვუ შუ ნა-ს ფუ-ელემენტის შესახებაც: „ვუ“-ც გრამატიკული კლასის ნიშანია, ოღონდ პრე-ფიქსად წარმოდგენილი<sup>3</sup>. გრამატიკული კლას-კატეგორიის მქონე იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონზე ამ მონაცემთა ასე გააზრება სრულიად ბუნებრივი ჩანს (შდრ.: ხუნდ.: ში-უ „ვინ“ (I), შიბ „რა“). ბუნებრივი ჩანს, აგრეთვე, თავად წახურული ენის შესაძლებლობების მიხედვითაც: ვ — უ, ბ(— მ)-ს პარალელურად გამოხატავს ადამიანის კლასს მრავლობით რიცხვში; მხოლოდ ბით რიცხვში კი ამ მხრივ სხვა მდგომარეობაა: <sup>4</sup>; მაგ.: ზას ცუქან აედრ-დექრ „მიყვარს დედა და მამა (დედაც-მამაც)“... (შდრ. ზას ცეან დექ „მიყვარს მამა“, ზას ცექან აედ „მიყვარს დედა“...); ში ტობაზ „ჩვენ ვართ“ (შდრ. ზე ტორნა, ღუ ტორნა... „მე ვარ, შენ ხარ...“).

მაშასადამე, „ვინ“ ნაცვალსახელი წახურულში წარმოადგენს რთულ ფუძეს: ჰი-შუ-ნა || ჰი-შუ-ნა... შა-ტა-ნა..., ჰი-შ-ბუ-ნა || ჰი-შ-ბუ-ა..., სადაც ძირეულ ელემენტად გამოიყოფა ზოგჯერ მარცვალი -შუ-, -შა- (დიალ.: -შე-: იხ- ზემოთ), ზოგჯერ კი — თანხმოვანი შ, ან შ.

რა- ნაცვალსახელი წახურულში, როგორც ითქვა, ალინიშნება „ჰიჯონა“ სიტყვით, რომელსაც საკუთრივ წახურულში და დიალექტებში ვარიანტები მოეპივება: ჰიჯონა, ჰიჯო, ჰიკონ აულ წახურში დადასტურებული ვარიანტებია; ხოლო დიალექტებში ამ მხრივ ასეთი სურათი გვაქვს: აულ მიშლეშ-ის მეტყველებაში — ჰიჯონა, ჰიჯონ, ჰიკონ, ჰიკონ, ჰიკონ, ჰიკონ-ის მეტყველებაში — ჰიაჟონა, ჰიაჟონ, ჰიუჟონ, ჰიუჟონ,

<sup>1</sup> ცალკეა განსახილებული განსხვავებულ ხმოვანთა -ჰა, -ჰე, -ჰი, ა-, ე ურთიერთ-მი-მართების საკითხი. წინასწარი ვარაუდით, აქ ამოსავალი უნდა იყოს ჰა-.

<sup>2</sup> ამ შემთხვევაშიც საეციალურად უნდა გაირკვეს ხმოვნების (ჰა-, შე-) საკითხი.

<sup>3</sup> შ ა- ვ — შა-ტ და ვუ - შუ — უშ - შუ განვითარების სხვადასხვა პერიოდის წარმონაქმია: მეორე ვარიანტი უფრო არქულია, ვიდრე —პირველი (ერთ-ერთი საბუთი: პრე-ფიქსაციის ფაქტი...).

<sup>4</sup> მხოლოდითში ადამიანის კლასი ალინიშნება რ (დიალ. ღ) ნიშნით; რაც, რასავირველია, მეორეული მოვლენაა ამ ნიშანთა რეინტერრეტაციის შედეგად მიღებული ის. ე ვგ. ჯეორგი შვილი: გრამატიკული კლასები წახურულსა და რუთულურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953).

ჟო; კირ-მიწ'ისაში — ჰაჯი ვაჲ, ჰადვოჲ, ჰაჯი ვა, ჰადვო; ყურდულის მეტყველებაში კი ჰაჟოჲ, ჰაჟურეჲ<sup>1</sup>.

წახურული რა- ნაცვალსახელის ბრუნების სურათი ასეთია<sup>2</sup>:

სახელობ. ჰიჯონა...

ერგატ. ნიშინა, ნიშინ (დიალ.: ნიშინი)

ნათეს. ნიშინა, ნიშინი

მიცემ. ნიშინა (დიალ.: ნიშისძე/ე...)

ამ ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის (კილოური) ვარიანტებისა და ბრუნვების შედარება გვიჩვენებს, რომ:

1. „ვინ“ ნაცვალსახელის მსგავსად ეს ნაცვალსახელიც რთული აგებულებისაა: ჰი- ჟო- ნა...; 2. ბრუნების ღროს ხასიათდება ფუძის მონაცვლეობით, შდრ.: ჰი- ჟო- ნა... — ნიშ- ინ- ნა, ნიშ- ინ- ი... 3. „ვინ“ ნაცვალსახელის მსგავსად დაერთვის: ა) კითხვის ბოლოსართოვანი ნაწილაკი (- ნა/შ, - დ შ/ე), ბ) ჰა-, ჰი- დაღასტურების, კატეგორიულობის თავსართოვანი ნაწილაკი. 4. „ვინ“ ნაცვალსახელისაგან განსხვავებით არა აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა. 5. თავსართ-ბოლოსართოვანი ნაწილაკებისა და ბრუნვის ნიშნების ჩამოცილების შემდეგ „რა“-ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფურცელი რჩება ჯო, ხოლო „ირიბ“ ბრუნვებში — ნიშ-.

წარმოების მიხედვით „რა“ ნაცვალსახელთან დაკავშირებული სიტყვები მიუთითებენ იმაზე, რომ „ირიბ“ ბრუნვათა ფუძეც მარტივი აგებულებისა არ არის და იშლება ასე: ნი-შ-; შდრ.:

ნი შ ე გ ა = ნი-მეგა „რა-ოდენი“. შდრ.: შენი-მეგა „იმოდენი, იმოდენა“, მანი-მეგა, ჰინი-მეგა „ამოდენი, ეგოდენი...“

„ნ ი“-ს შესაბამისი ნ ე- და ნ ა- ელემენტებიც აქვს წახურულს:

ნ ე ნ ი = ნ ე- ნ-ნი: ნ ე ნ-ვახტალ „როდესაც, რა-დროსაც...“ = რის-დროზე, შდრ. შენი-ვახტალ, მანი-ვახტალ... ნ ა ც ა ს ნ ა (დიალ. ნაცასდა, ნაცასლე/ე) „რატომ, რისთვის?“.

ნ ე ნ ა - ნ ა-ნა „სადა (სად არის?)“, დიალ.: ნ ა ც ა რ ი (მხ.), ნ ა ც ა ბ ი (მრ.) „სად გარის, არიან“ (ყურად); ნ ა გ ლ ა ა რ ი, ნამლაბი (კირმიწ.)

ნ ა გ ა რ ნ ა || ნ ა გ ჟ ა რ ნ ა: ნა-ჟარნა... „როგორ (ხარ?)“...

ნი-, ნე-, ნა- ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ერთნაირი მნიშვნელობით იქმარება და ყველგან „რ ა“-ს ცნებას უკავშირდება.

ამ ფაქტებთან შედარება გვაძლევს საშუალებას, წახურული „რა“ ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა „ნ ი შ“ ფუძე დაგშალოთ ასე: ნი-შ-, სადაც „რა“-ს რაობაზე მიუთითებს ნი- ელემენტი; სხვანაირად: -შ ელემენტი ნი-ს დართვით გვაძლევს ნივთის კლასისთვის შესაფერი კითხვითი ნაცვალსახელის („რა“-ს) ფურცეს.

„რა“-ნაცვალსახელშიც („ირიბ“-ბრუნვათა ფუძეში) გამოიყოფა -შ- ელემენტი.

<sup>1</sup> ჟ — ჟ, ნა — ნა — ნა... ჩვეულებრივია წახურულისა და მისი დიალექტების ფორტუკურ სისტემაში...

<sup>2</sup> „ირიბი“ ბრუნვების მხრივ დიალექტებში ერთნაირი მდგომარეობაა.

2. რუთულურში „ვინ“ ნაცვალსახელია ვეშა, ვუშ, უშ; — დიალექტებში: ვუში (მუხრეკის მეტყვ.), ჰუშუ, ჰუშ (შინაზურში).

ამ ნაცვალსახელებიდან იწარმოება უარყოფითი ნაცვალსახელები: ვუშნი „არავინ“ || დიალ. (მუხრეკ) ვეშნა.

„რა“ ნაცვალსახელია შივშ || შივრ.

აღნიშნული რუთულური კითხვითი ნაცვალსახელების ფუძეც მარტივი აგებულებისა არ არის — ნაწარმოებია თავსართ-ბოლოსართებით: აქ ვე — ვუსათანად გრამატიკული კლასის მაწარმოებელია, შდრ.: წახ. ვუ-შუ-ნა...; რუთულ. ვუჯ, ვლჯ „თვითონ“ (კაცი) მაგრაც: რიჯ „თვითონ (ქალი)“: წახ.: ვუჯ „თვითონ (ქაცი)“ — რიჯ „თვითონ (ქალი)“...

-ძ || -რია კითხვის ნაწილაკია რუთულურში (ფუნქციით წახურულ -ნა, რებ/ე ნაწილაკთა ბადალი); ამასთან: ჰუ- თავეკლური ელემენტიც ზემოთ აღნიშნულ ჰა- ჰე-, ჰი- ნაწილაკ-თავსართთა რიგისაა.

ამ აფიქსთა თუ ნაწილაკთა ჩანცცილებით, წახურულის მსგავსად, რუთულურშიც ვინ ნაცვალსახელის ამოსავალ ფუძედ (ძირიად) შუ- შრია, შ-გველინება.

რა ნაცვალსახელს რუთულურში აქვს ის ფუბე, რაც „ვინ“-ს: შივრ = = ში-ვრ... (დიალ.: შივ — შიტ, ში-ვგ — ში-ტე). „რა“-ს მნიშვნელობით რუთულურში დასტურდება შუ- ძირიც. ეს ვარიანტი დაცულია წარმოებით ამ ნაცვალსახელთან დაკავშირებულ სიტყვებში: შუნა „როგორ“, შუნავა „როგორც“ არ უნდა იყოს“, შუდგ „რომელი (-რისა)“, შუდას „რამდენიც“ || შუმურ (I, II კლ.), შუმუბ (III კლ.), შუმუდ (IV კლ.) „რამდენი“; შუმურნა რა (I, II კლ.), შუმუბნარა (III კლ.), შუმუდნარა (IV კლ.) „რამდენიმე“.

შივ-რ: შივ — შივ ( || ში-ვგ)- ნაცვალსახელში -ვ — უ || ვგ გრამატიკული კლასის ნიშნად გვესახება (შდრ.: ვუ-შ-, ვგ-შ...). ადამიანის კლასისთვის დამახასიათებელი ნიშანი გამოყენებულია ნივთის კლასის აღმნიშვნელ ნაცვალსახელში. ამ შემთხვევაში ვ — უ (ვე — ვუ)- პრეფიქსების გამოყენება ზეორეული მოვლენაა — გრამატიკული კლასის ნიშანთა რეინტერპრეტაციის შედეგია. წახურულის მსგავსად თანმედროვე რუთულურში აღრეულია ამ კატეგორიის სისტემა: ამ შხრივ ნორმები დარღვეულია, ყალიბი მოშლილი: ამა თუ იმ გრამატიკული კლასის მაწარმოებელი შესაძლოა მოექცეს იქ, სადაც იგი სულაც არ არის მოსალოდნელი<sup>1</sup>.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს რუთულურში ერთი ფაქტი: „რამდენი“-ს აღმნიშვნელი სიტყვა აქ დიფერენცირებულია გრამატიკული კლასების მიხედვით:

შუმუ „რამდენი (ქალი, კაცი)“ — ერგ. შუმუნია  
ნათეს. შუმუნიდე  
მიცემ. შუმუნის...

შუმუბ „რამდენი (ცხოველი)“ — ერგ. შუმდირა  
ნათეს. შუმდიდ  
მიცემ. შუმდის...

შუმუდ „რამდენი (საგანი, მოვლენა)“ — იბრუნვის როგორც „შუმუბ“.

<sup>1</sup> მეგ. ჯვეირან იშვილი, გრამატიკული კლასები წახურულსა და რუთულურში: იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, ტ. V, 1953.

რასაკვირვევლია, ეს ნაცვალსახელიც რთული აგებულებისაა: შუ-მუ-  
შუ-მუ-ბ, შუ-მუ-დ. აქ მ(მუ) ამ ნაწარმოები თუ კომპოზიტური ფუძის მეორე  
შემადგენელი ნაწილია და აღნიშნავს „ოდენ, ოდენი“-ს (-შდრ.: წახ. ნი-მე-  
ეგა = ნიმეგა „რამდენი“ (იხ. ზემოთ). უდ.: ე-მა, ემო — ე-მა-ო „რამდენი“; -  
მე-მა, ქა-მა, ტე-მა... „ამდენი, მაგდენი, იმდენი“...).

შუ- (შუ-მუ) ნაცვალსახელური ელემენტია; უექსპონენტოდ ადამიანისა  
კლასს გამოხატავს (შესაძლებელია, ამ კლასის ნიშის კვალი აქ -უ იყოს);  
ეგვევ ფუძე -ბ (უბ) სუფიქსით („შუმუ-ბ“) III კლასისად გაიგება, ხოლო -დ-ს  
(უდ) დართვით—IV კლასისად („შუმუდ“), შდრ.: ში-უ „ვინ“; ში-ბ „რა“...

ერთი სიტყვით, შუ ფუძის მნიშვნელობის კონკრეტიზაცია ამა თუ  
იმ კლას ის მიხედვით სათანადო მაწარმოებლის დართვით ხდება.

ეს ფაქტიც ადასტურებს რუთულურში ვ — უ, ვგ — ვუ აფიქსთა ნივთთა  
კლასისთვის განმყენების მეორეულობას.

„შუ მ უდ“ // „შუ მ უბ“ ნაცვალსახელის შესაბამისად შივრ ნაცვალ-  
სახელშიც მოსალოდნელი იყო -დ // -ბ-ს არსებობა; აღნიშნული ვითარებისა  
(რეინტერარეტაციის) გამო არა გვაქვს.

ყურადღებას იქცევს რუთულური ვგში და შივრ ნაცვალსახელთა  
ბრუნება:

სახელობ. ვგში „ვინ“	შივრ „რა“
ერგატ. ჰალ	ჰალირბ
ნათეს. ჰალ-დგ	ჰალი-დ
მიცემ. ჰალ-გს...	ჰალი-ს...

ბრუნებისას, როგორც ამ ნიმუშებიდანაც ჩანს, რუთულური კითხვითო  
ნაცვალსახელები ფუძემონაცვლეობით ხასიათდებიან: ვგ ში — ჰალ... შივრ —  
ჰალი-.

მონაცვლე ფუძე „ირიბი“ ბრუნვებისა იგივეა, რაც III პირის ნაცვალ-  
სახელები რუთულურში; შდრ.:

ჰა, ჰალ „იგი (I, II კლ.)“	ჰალ „იგი (III, IV კლ.)“
ერგ. ჰანიებ	ჰალირბ
ნათეს. ჰანიელგ	ჰალილ
მიცემ. ჰანიეს.	ჰალის...

აღსანიშნავია, რომ ვინ ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა ფორმებად  
გამოყენებულია III პირის ნაცვალსახელი, დამახასიათებელი ადამიანის კლა-  
სის სახელებისათვის, ხოლო რა ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა ფუძედ  
და ფორმებად კი ნივთის კლასის სახელებისათვის დამახასიათებელი ნა-  
ცვალსახელი. ამასთან აღსანიშნავია ამ მონაცვლე ფუძის რთული აგებულებაც

ვინ ნაცვალსახელში:

ერგ. ჰა-ლ (შდრ. III ჰ. ნაცვალსახ.: ჰა-ნიებ	
ნათეს. ჰა-ლდგ — ჰა-ლდგ	ჰა-ნიელგ
მიცემ. ჰა-ლგს...	ჰა-ნიეს)

რა ნაცვალსახელში:

ერგ. ჰა-დირბ	(შდრ.. III ჰ. ნაცვალსახ.: ჰა-დირბ
ნათ. ჰა-დიდ — ჰა-დიდ	ჰა-დიდ — ჰა-დიდ
მიცემ. ჰა-დის...	ჰა-დის).

დასახელებულ ყველა შემთხვევაში საერთოა ჰა, ოომელიც ძლიერ შოგვაგონებს წამურულ კითხვით ნაცვალსახელებში გამოვლენილ თავსართო-უან ჰა, -ჰი — ნაწილაკს. მეორე ნაწილის შესახებ კი ზოგიერთი ცნობა ქვე-მოთ გვექნება მოცემული.

3. უდური კითხვითი ნაცვალსახელებია: შუ „ვინ“ და ეკა (ვართაშ-ჩულში), ჰიკა (ნიჯურში) „რა“.

შუ ნაცვალსახელის ბრუნება ასეთ სურათს გვაძლევს:

ერგ. შინ  
ნათეს. ში  
მიცემ. შუ(ხ)...

უდურში ვინ ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვის ფორმა არა აქვს. რიცხვის მიხედვით არ იცვლება რა ნაცვალსახელიც სახელობით ბრუნვაში (იცვლება „ირიბ“ ბრუნვებში).

ამ ნაცვალსახელთანაა დაკავშირებული სიტყვები: შუყაშუ (შუ-ყა-შუ) „ვინა და ვინ, რომელი“; შუკალ „არავინ“ (სახელობ.), შუკალენ „არა-ვინ“ (ერგ.)...

უდურში „ვინ“ ნაცვალსახელის ფუძედ (ძირად) გამოიყოფა შუ || შ ელე-შენტი, რომელსაც შეიძლება დაერთოს კითხვის ნაწილაკი -ა: შუ - ა „ვინაა?“ (შდრ. მანო „რომელი“ — მანო „რომელია?“...).

თანამედროვე უდურს გრამატიკული კლასები აღარ მოეპოვება და, მა-შასადამე: ამ ნაცვალსახელის ფუძეშიც სათანადო აფიქსის არსებობა გამო-რიცხულია, არც გაჭვავებული სახითაა შემონახული, არც კვალი ჩანს (თუ ასეთად ამ შემთხვევაში უ წმოვანი არ გვეყვლინება: შუ).

ფუძის აგებულებითა და ბრუნებით ყურადღებას იქცევს უდური რა ნა-ცვალსახელიც:

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
სახელობ. ეკა	—
ერგატ. ეტინ	ეტლონ — *ეტუხენ
ნათეს. ეტა(ჲ)	ეტლო(ჲ)
მიცემ. ეტუ(ხ)...	ეტლო(ხ)...

ფუძის მონაცვლეობა ამ შემთხვევაშიაც თვალსაჩინოა: ე-კ-ა — ე-ტ-ინ..., ეტლონ — \*ე-ტ-უხ-ენ...<sup>1</sup>

მონაცვლე ფუძებში მხოლობითსა და მრავლობითში საერთოა თავკი-დური ე-ა. ამ ე-ს ნიჯურში შეესაბამება ჰი--. ფშვინვიერ შემართვიანი ვა-რიანტი ნიჯურში რა ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვათა ფორმებსაც გასდევს, შეინიშნება აგრეთვე წარმოებით ამ ნაცვალსახელთან დაკავშირებულ სი-ტყვებში.

უდური (ნიჯური) ჰი- და რუთულური (ირიბ ბრუნვებში გამოვლენილი) ჰა- შესაბამის ოდენობებად წარმოგვიდგება; აღნიშნული ე- კი ამის განარ-ტივებული ვარიანტი ჩანს.

<sup>1</sup> უს მრავლობითი რიცხვის ნიშანია უდურში, შდრ.: ადამარ „ადამიანი“, ადამარ-უს „ადამიანები“... უს ნიშნის -ე ელემენტი, ორგორც წესი, ხმოვნებს შორის მეღერდება და გვაძლევს ლ-ს (ვლ. ფანჩევიძე). ეს მოვლენა მეტ-რაჭლებად დამახასიათებელია ლეზგიური ჯგუფის შეხვა ენათათვისაც.

რა ნაცვალსახელს უკავშირდება რიგი უდური სიტყვა: ეკა (← ეკა - ეკა) !! ჰიკა „რაგინდარა, რაც-კი“, ეკა ლუ(ხ) „რატომ, რისთვის“; ეთ პრ ॥ ჰეთპრ „როგორ, ვითარ“ (შდრ.: მე-თპრ „ამგვარად“, ქა-თპრ „მაგვარად“, ტე-თპრ ॥ შე-თპრ „იმგვარად“...); ევ ასტ, ჰევასტალ „როდის, რა დროს“ (შდრ.: ტევასტ „იმ დროს“...); ეყარა ॥ ჰემა „რამდენიც“, რაოდენიც(ც)... ეჯურს „როგორი, რანაირი“ (შდრ.: მეჯურს, ქაჯურს, ტეჯურს — „ამგვარი, მაგნაირი, იმგვარი...“); ენეს „უკვე, ამის უმდეგ (— \*რას)...

ყველა დასახელებულ სიტყვაში გვაქვს „რა-ს ცნებასთან დაკავშირებული ელემენტები ეკა-ს ან ე-ს სახით: ე და ეკა ბადალი მნიშვნელობით გამოიყენება:

სხვა მაგალითები: ე ადამარა? „რა კაცია? როგორი ადამიანია?“ ე განეხა? „რა ადგილისაა?“ ე. ი. რომელი კუთხიდანაა, ქვეყნიდანაა, მხრიდანაა? ე მუჭაა! „რა ტებილია! როგორი ტებილია!“...

უნდა შევნიშნოთ, რომ მსაზღვრელი ეს ნაცვალსახელი ეკა-ს სახით არ გამოიყენება (ე შავატაა! „რა ლამაზია!“ და არა ეკა შავატაა!..), რაც შემთხვევითი არ არის: სხვა ნაცვალსახელებისა და ატრიბუტული სახელების მსგავსად ეს ნაცვალსახელიც, გართულებული სხვადასხვა ელემენტით და დასმული ამა თუ იმ ბრუნვაში, სუბსტანტივადაა გაგებული).

უ- ელემენტის მოცილებით „რა“ ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფუქეში რჩება -კა და „ირიბი“ ბრუნვებისაში - ტინ, -ტა(ხ), -ტუ(ხ), ხოლო მასთან დაკავშირებულ ადვერბიალურ სიტყვებში - თპრ, -კალუ(ხ), -ნე(ხ)...

-ინ, ა(ხ), უ(ხ) ბრუნვის ნიშნებია<sup>1</sup>, „-კა-ს - ა კითხვის ნაწილაკია (შდრ. შუა „ვინაა?“ მა — მა-ა „სადაა?“); ზოგჯერ ეს - ა გრძელ, ხმოვნად ისმისა ეკა; შესაძლებელია: ეკა — \*ე-კა-ა; აქ ირიბულ ელემენტად კა გამოიყოფა თითქოს; მის მონაცვლედ „ირიბ“ ბრუნვებში -ტ- გამოდის.

სხვა ცნობები იხ. ქვემოთ.

4. ლეზგიურში (კიურულში) „ვინ“ ნაცვალსახელის ძირეული ელემენტი წახურულ-რუთულურსა და უდურში (სხვადასხვა ხმოვნით) დაცული შ ძირის მელერი გარიანტითაა წარმოდგენილი: ვუ შ=ვუ-შ; ხოლო „რა“ ნაცვალსახელისა -ჩ აფრიკატის სახით: ვუ ჩ=ვუ-ჩ.

ამ ნაცვალსახელებს ლეზგიურშიც არ ეწარმოებათ მრავლობითი რიცხვის ფორმა<sup>2</sup>.

ორივე კითხვითი ნაცვალსახელი მონაცვლე ფუქებით იბრუნვის:

<sup>1</sup> უდური კითხვითი ნაცვალსახელები იბრუნვიან იმავე ნიშნებით, რითაც სხვა სახელები, მათ შორის — რითაც არსებითი სახელები (იგულისხმება ამა თუ იმ ელემენტით გართულებული, ხვეულებრივი ერთმარცვლიანი არსებითი სახელები), მაგ.: ზანგ „ზარი“ — ერგ. ზანგ-ენ, ნათ. ზანგ-ნ-აჲ, მიცემ. ზანგ-ნ-უ(ხ)... აშ „საქმე“ — ერგ. აშ-ენ, აშ-ნ-აჲ // აშ-ლ-უნ, აშ-ნ-უ(ხ) // აშ-ლ-ა(ხ)...; შდრ., აგრეთვე: თურ „ფეხი“ — ერგ. თურ-ინ... ვიჩი „ძმა“ — ნათეს. ვიჩემ — ვიჩი-აჲ (დიალ.: ვიჩად)...

<sup>2</sup> ვყრდნობით (აქაც, სხვაგანაც) პ: უსლარის ცნობებს (II. ც ს ა რ ქირინსკის ქავიკ, გვ. 75: «Во мноожественном числе whyк неупорядоченное...»); თუმცა პ უსლარივე შენიშვნას: არის შემთხვევა ამ ნაცვალსახელის მრავლობით რიცხვში ხმარებისათ: აქტალეტ-ხაბურ, ვუჟარ (wyжар) და „ამ სახლში მყოფი ვინ (მრ.) არიან?“ (დასახელ. შრ., გვ. 75).

ვუშ „ვინ“	ვუჩირა „რა“
ერგ. ნი	ქმუ
ნათ. ნი-ნ	ქმუ-ნ
მიც. ნი-ზ...	ქმუა-ზ // ქაჭებ <sup>1</sup>

სახელობითის ფუძე ორივე, შემთხვევაში მარტივი აგებულებისა არ არის: ვუ=ვუ-შ; ვუჩ=ვუ-ჩ. ამ უკანასკნელს შეიძლება დაერთოს კითხვითი ნაწილიკი -ა: ვუჩ-ა.

-უ, -ჩ, როგორც ითქვა, ძირეული ელემენტებია; ვუ- ← უ „ვინ“ ნაცვალსახელში ადამიანის კლასის სახელებისათვის დამახასიათებელი პრეფიქსია— გაქვავებული. სახით შემონახული<sup>2</sup>. „რა“ ნაცვალსახელში ასეთივე ვუ-( ← უ) ელემენტის არსებობის შესახებ იგივე ითქმის, რაც ამავე მნიშვნელობის გ — უ (ვუ- // ვე)-ს შესახებ ითქვა რუთულურ „რა“ ნაცვალსახელთან დაკავშირებით.

ლეზგიურ კითხვით ნაცვალსახელებშიც დასტურდება ბრუნვათა ის მაწარმოებლები, რაც სხვა სახელებს, კერძოდ, არსებით სახელს აქვს<sup>3</sup>.

ყურადღებას იქცევს ლეზგიურში როგორც „ვინ“, ისე „რა“ ნაცვალსახელის ერგატიული ბრუნვის წარმოებაც: ჩვენი ვარაუდით, ორივე შემთხვევაში ეს ბრუნვა წმინდა ფუძითაა წარმოდგენილი: ნი „ვინ“ (ერგ.), ქმუ „რამ“ (resp. „რა“)<sup>4</sup>.

რა ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა ფუძის ძირეული ელემენტი ქსლეზგიურში ბერითად და მნიშვნელობით შეესაბამება უდურიში დეფაქტურად (მხოლოდ სახელობით ბრუნვაში) შემონახულ რა ნაცვალსახელის კ. ელემენტს (უდ.: ე-კ-ა — ლეზგ. ქ-უ-ი). ლეზგიურ-უდურის ამ მონაცემთა შესაბამისი ძირეული ელემენტები დაცული უნდა ჰქონდეთ წარმოებით რა. ნაცვალსახელთან დაკავშირებულ სიტკებში ლეზგიური ჯგუფის მეზობელ ენებსაც, სახელდობრ, ლაკურს, სადაც მყოფობისა და მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისართებში შემონახულია ქი // გი ძირები<sup>5</sup>; ხუნძურს: ქინ „როგორ“, ქინაუ „რომელი — I კლ.“, ქინა კლ „რომელი — II კლ.“, ქინალ „რომლები“<sup>6</sup>...

ლეზგიური ვინ ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა ფუძე (ნი-), რუთულური „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელების „ირიბი“ ბრუნვების ფუტეთა ანალოგიურად, III პირის ნაცვალსახელი უნდა იყოს გენეტურად და იგი ბერითად და მნიშვნელობით უნდა უკავშირდებოდეს ლეზგიურივე მითითებით. ნაცვალსახელში — ვა ნიმა — ში — დაცულ ძირეულ ნი-სა და უდურიში (ზმნაში) შემონახულ ნე ნაცვალსახელს („იგი“-ს).

<sup>1</sup> П. Услар, დასახელ. შრ., გვ. 69.

<sup>2</sup> შდრ. ზემოთ აღნიშვნული წახურულ-რუთულური ვუ-შუ, ვუ-შ... ნაცვალსახელები: ლეზგიური ვუ(უ) და წახურულ-რუთულურის აღნიშვნულ ნაცვალსახელის ვუ- ელემენტთა იგივეობა ემცენ არ უნდა იწვევდეს.

<sup>3</sup> აქაც, უდურის მსგავსად, უთუოდ იგულისხმება რაიმე ელემენტით გართულებული ფუძე: შდრ.: ბაბა „მამა“, ბაბადი „მამამ“, ბაბადინ „მამის“, ბაბადი-შ „მამას“...

<sup>4</sup> სპეციალურ ლიტერატურაში -ი // -უ (უა) ხმოვანი ერგატივის სუფიქსადაცა მიჩნეული, რაც არ უნდა მართლდებოდეს ფაქტობრივ: -ი // -უ (უა) ჩვენი ვარაუდით საბრუნებელი ფუძეის ან მართლდებოდეს ელემენტის კუთხილებაა (ზოგიერთი შენიშვნა იხ. ქვ.).

<sup>5</sup> 11. Услар, Макский язык, გვ. 65—68.

<sup>6</sup> П. Услар, Аварский язык, გვ. 104.

ვ ა ნ ი მ ა -ს ბრუნვათა ფორმები ასეთია:

მხოლ. რ.: მრავლ. რ.:

სახელობ. ვაწიმა „ის, იგი“	ვაწიბურ „ისინი, იგინი“
ერგატ. ვაწიდა	ვაწიბურუ
ნათეს. ვაწიდა(ნ)	ვაწიბურუნ
მიცემ. ვაწიდა... <sup>1</sup>	ვაწიბურუზ...

ამ ნაცვალსახელის ბრუნება გვიჩვენებს, რომ - მა ელემენტი, რომელიც შის ფუძეს ახლავს სახელობითში, ძირეული ელემენტი არ არის; მხოლობით-მრავლობითის ფორმათა შედარება კი ცხადს ყოფს, რომ არც -და (-დან, -დაზ...) წარმოადგენს ასეთ მონაცემს. ფუძის უცვლელ ნაწილად რჩება თითქოს განი- (ჟანი-).

სავარაუდოა, რომ აქ ვა ← ჟა ისეთივე პრეფიქსია, როგორიც ლეზგიურ ვუ-ჟ, წახ. ვუ-შუ-, რუთ. ვე-შ—(ან: წახ. შა-ჟა- → შა-ვა-) ფუძეებში: იგი გრა-მატიკული კლასის გაქვავებული ნიშანი ჩანს. ძირისად რჩება ნი, რომელიც უდური ნე-ს მსგავსად სათანადო პირის ნაცვალსახელური ფუძეა.

უდური ნე-ს შესახებ ზოგიერთი ცნობა ის. ქვემოთ ამასთან, ჩვენი ვარა-უდი ლეზგიურის მიხედვით სარწმუნო გახდებოდა. თუ გავითვალისწინებდით საყურადღებო ფაქტს ლაკური ენიდან, რომ ერთი და იგივე ფუძე გამოხატავს კითხვითი ნაცვალსახელისა და პირისა თუ უკუჩეცევითი ნაცვალსახელის შინშვნელობას (ცუ = ვინ || იგი, თვითონ (сам); ცუ, „ირიბ“ ბრუნვებში: ცი = თვითონ II, III კლ.: сама, само || ცი „რა“<sup>2</sup>...). ამგვარად: ნი, ნი-ნ, ნი-ზ პირის ნაცვალსახელია, დასმული ამა თუ იმ ბრუნვაში და გა-მოყენებული ვინ ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვათა ფუძედ თუ ფორმებად.

5. ტაბასარანულში კითხვითი ნაცვალსახელები ფუძის აგებულებისა და ბრუნვათა წარმოების მხრივ ერთგვარი თავისებურებით ხასიათდება. ამ ენის „ვინ“ ნაცვალსახელია ფ. უ ჟ, „რა“ ნაცვალსახელი—ფი || ფ უ. ორივე ამ ნაცვალსახელს აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა: ფ უ ე ა რ, ფ ი ა რ.

ფ უ ჟ ნაცვალსახელი ტაბასარანულშიც მონაცვლე ფუძეებით იბრუნვის (მხოლობით რიცხვში):

ა. დირის მიხედვით: ლ. ქირკოვის ნიხედვით:

სახელობ. ფუჟ	ფუჟ
ერგატ. შილე	შლი
ნათეს. შილე-ნ	შლი-ნ
მიცემ. შილე-ზ... <sup>3</sup>	შლი-ზ... <sup>4</sup>

მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში ამოსავალია მრავლობითობის აფიქსით გართულებული სახელობითის ფუძე:

ფუჟ-არ „ვინ (მრ. რ.)“:

ერგ. ფუჟარ-ი
ნათ. ფუჟარ-ი-ნ
მიცემ. ფუჟარ-ი-ზ... <sup>4</sup>

<sup>1</sup> П. Услар, Лакский язык, გვ. 62, 63, 405, 410, 421.

<sup>2</sup> А. Дири, Грамматический очерк табасаранского языка, გვ. 36...

<sup>3</sup> А. Жирков, Табасаранский язык, გვ. 103...

<sup>4</sup> А. Дири, Грамм. очерк. табас. яз.

Л. Жирков, დასახ. მრ., გვ. 103, 104.

ტაბასარანულშიც, როგორც ვხედავთ, სახელობითის ფუძეს „ირიბი“ პრუნვების ფუძე მონაცვლეობით უპირისპირდება: ჭუჟ — ში-ლ- (ლ. უირ-კოვის გამოთქმით: სახელობითს ენაცვლება სუპლეტიური ფუძე შილ)).

ეს მონაცვლე ფუძე ა. დირისა და ლ. უირკოვს განსხვავებულად აქვთ წარმოდგენილი: ა. დირი ურედუქციონ ვარიანტს გვაძლევს (შილ: შილე, შილინ, შილიზ...), ხოლო ლ. უირკოვი — რედუცირებულს (შლ-: შლი, შლინ, შლიზ...), თუმცა ამ ნაცვალსახელის ბრუნვის შესახებ მსჯელობიდან ჩანს, რომ ურედუქციონ ვარიანტი არც ლ. უირკოვს დარჩა შეუმჩნეველი<sup>1</sup>.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ა. დირის ცნობები ტაბასარანულის უფრო ძველ ვითარებას ეყრდნობა: შეკუმშული ვარიანტი აღნიშნული ნაცვალსახელის ფუძისა მიღებულია ურედუქციონ ვარიანტისგან: შლ- — შილ-. ეს ფუძე ისევე, როგორც სახელობითის ფუძე, რთული მონაცემია: შლ: შ-ლ || ← ში-ლ- (-ე? -ნ, -ზ ბრუნვის ნიშნებია — ის ნიშნები, რაც სხვა სახელებშიაც გამოიყენება).

ტაბასარანული ქუჟ: ვინ „ნაცვალსახელის ძირეული ელემენტი უ-ჟ, ლეზგიურის მსგავსად, ამ ჯგუფის სხვა ენებში გამოვლენილი შ-ს მუღერი ვარიანტი ჩანს; მისი კორელატია თვით ტაბასარანულში „ირიბ“ ბრუნვებში გამოყოფილი შ-ც (ში). ოლონდ საკითხი ისმის: რატომ შემოგვინახა ენამ სახელობითში მუღერი და სხვა ბრუნვებში ყრუ-ფშეინვიერი ვარიანტი? სახელობითში უნდა გვქონოდა ბოლოხმოვნიანი ფუძე; სხვანაირად: ძირეულ ელემენტს შ-ს-უნდა ხლებოდა ხმოვანიც (ქუ-ჟი ← ვუ-ჟი) — ისეთი, როგორიც მის შესაბამის შ-ს აქვს „ირიბ“ ბრუნვებში (ტაბასარანულშივე): ში-ლე... და მომიჯნავე ენებში, სადაც კი ეს ფუძე დასტურდება (შდრ., წახ. შა, შუ-, რუთ. ში-, უდ. შუ-, ში-); ხოლო ხმოვნებს შორის მოქცეულმა \*შ-მ მოგვცა-ჟ: ჭუჟ ← ვუშ ← \*ვუ-ში → ვუჟი. ხმოვნებს შორის ბგერათა გამუღერება ჩევულებრივია ლეზგიური ჯგუფის ენებში.

რაც შეეხება ჭუ-ს, ესეც მეორეული მოვლენა ჩანს ფონეტიკურად: ჭუ- ← \*ვუ- გ-ს გაფშეინვიერების შედეგად<sup>2</sup>. „ვინ“ ნაცვალსახელის ფუძეში ადამიანის კლასისთვის დამახასიათებელი ამგვარი პრეფიქსის არსებობა სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია (შდრ.: წახ. ვუ-შუ-, რუთ. შუ-შ-; ლეზგ. ვუ-ჟ-; აგრეთვე: ხუნდ. ში-ჟ...).

რაც შეეხება -ლე, -ლენ, -ლეზ || -ლი, -ლინ, -ლიზ ელემენტებს, რომლებიც „ირიბ“ ბრუნვებში ახლავს ძირეულ შირი-ს, რა თქმა უნდა, ძირის კუთვნილება არ არის. ტაბასარანულში ეს ელემენტები ისეთივე მონაცემი ჩანს, როგორიც ზემოთ რუთულურ კითხვით ნაცვალსახელებში გამოვლინდა

<sup>1</sup> სახელდობრ. ლ. უირკოვი აღნიშნავს: „...Местоименное ф. уж имеет в акт. и других падежах особым супинативным основой III (и) II.„ (დასახ. შრ., გვ. 103).

როგორც ლ. უირკოვიც აღნიშნავს, ა. დირი ეყრდნობა ტაბასარანულის ჩრდილოერ დიალექტებს, ხოლო თვითონ ლ. უირკოვი სალიტერატურო ტაბასარანულსა თუ ამ ენის სამხრული დიალექტების მონაცემებს, ამასთან მისთვის ცნობილია ჩრდილოერი დიალექტებიც. მაშასა-დამე, აღნიშნულ შემთხვევაში გვეძლება ცნობები ტაბასარანულის სხვადასხვა დიალექტიდან; განსხვავება დასხელებულ ავტორთა ცნობებში ამით უნდა აისწავს.

<sup>2</sup> ამ შემთხვევაში ხომ არა ვგავს. ტაბასარანულში სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი დისიმილაციური გამუღერების ანალიგიურად თუ საპირისაიროდ რომ ვთქვათ, დისიმილაციური დაყრუება-გაფშეინვიერების პროცესი? — ამ მოვლენას ცალკე დაკვირვება დასჭირდება.

-ლ, -ლდე<sup>1</sup> ← ლგდნ, -ლგს || -დირბ, -დიდე, -დის ელემენტთა სახით. რუთულურ-ტაბასარანულში აღნიშნული შონაცემები გამოდის იძვე ფუნქციით, რითაც შპ, შინ, შინი, შის წახურულში და -ტინ, -ტაჲ, -ტუნ უდურში.

რა ნაცვალსახელის ბრუნება ასეთია ტაბასარანულში:

მხოლობით რიცხვში:

ა. დირის მიხედვით:

სახ.	ფი
ერგ.	ფი-დე
ნათ.	ფი-დე-ნ
მიც.	ფი-დე-ზ... <sup>1</sup>

ლ. ჟირკოვის მიხედვით:

ტუ	ტ-ტი
ტ-ტი-ნ    ფ-დი-ნ	ტ-ტი-ზ    ფ-დი-ზ... <sup>2</sup>

მრავლობით რიცხვში:

სახ.	ფი-არ
ერგ.	ფი-არ-ე
ნათ.	ფი-არ-ე-ნ
მიც.	ფი-არ-ე-ზ... <sup>3</sup>

ტაბასარანულში „რა“ ნაცვალსახელს წარმოებით უკავშირდება სიტყვები: ფიჯურ „როგორი“, ფუყან „სადამდე, რა მანაბილამდე“, ფატინდა „როგორ, რით, რა გზით“, ფიცი „როგორ, რანაირად; როგორი“, ფიციბ, ფიცირ „რომელი“, ფიხდარ „რომელნი“, ფუნუ „როგორ, როგორი“, ფუნუბ „რომელიცი“...<sup>4</sup>.

ტაბასარანულ რა ნაცვალსახელთან დაკავშირებით რამდენიმე მომენტი იქცევს უურადლებას: 1) ეს ნაცვალსახელი ტაბასარანულშიც წარმოდგენილია მართულებელი ელემენტებით: -დე, -დენ, -დეზ || -ტი, -ტინ, -ტიზ. 2) ამ ნაცვალსახელის ფუძეშიც დასტურდება იგივე ელემენტი, რაც ტაბასარანულისავე ვინ ნაცვალსახელშია გამოვლენილი: ფუ- (იხ. ზემ.). 3) ტაბასარანულში (დიალექტებში) ფუ-ს ფი ვარიაციიც აქვს.

ამ მომენტებთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები: 1) რა ნაცვალსახელის გამოშესტველი ფუ || ფი ი იგივეა თუ არა, რაც ვინ ნაცვალსახელის ფუ- (← \*კუ-); მაშინ ბორ არ დაისწის საკითხი „რა“-ს აღმნიშვნელ სიტყვაში-ძირეული ელემენტის დაკარგვის შესახებ<sup>5</sup>; 2) ასეთი ელემენტები ხომ არ არის შემონახული წარმოებით ამ ნაცვალსახელთან დაკავშირებულ სიტყვებში: ნ || დ || ტ ან ჯ, ც-ს სახით? (იხ. ზემოთ).

<sup>1</sup> ა. დირი, დასახელ. შრ., გვ. 36.

<sup>2</sup> ლ. ჟირკორი, დასახელ. შრ., გვ. 104.

<sup>3</sup> მრავლობითში ამ ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმა წარმოდგენილი გვაქვს ა. დირის მიხედვით; ლ. ჟირკოვს ამ ნაცვალსახელთა ბრუნების ფორმები მრავლობითში მოცემული არა აქვს, თუმცა იგი ერთგან ამბობს: Будучи же самостоятельными, вопросительные местоимения имеют полное склонение и формы имп. ч исла» (დასახელ. შრ., გვ. 108. ხაზი: ჩვენია — ე. ჯ.).

<sup>4</sup> მაგალითები მოგვყავს ა. დირისა და ლ. ჟირკოვის ზემოთ დასახულებულ შრომების მიხედვით.

<sup>5</sup> სიტყვაში ძირეული ელემენტის დაკარგვა. შეინიშნება კხვა შემთხვევებშიაც.

არ არის გამორიცხული ისიც, რომ აქ ოუთულტრ-უდური (ნიჯური)<sup>1</sup> ჰა, -ჰი-ს შესაბამისი ტი || ტუ გვქონდეს; აქ უნდა ვიგულის სმოთ პ ელემენტისაგან ლაბილიზაციის გზით ტ-ს წარმოქმნა: ჰ → ჰე — ტ (რაც ლეზგიურ ენებში სხვა ფაქტებითაც დასტურდება)<sup>2</sup>. ანასთან კითხვა ისმის იმის შესახებაც, თუ რა მიმართებაშია უ და ი სმოვანი რა-ს აღმნიშვნელ ტუ || ტი-ში<sup>3</sup> (ხმოვანთა მეშვეობით ხომ არ ხდება სათანადო გრამატიკული მნიშვნელობის გაახრება?)<sup>4</sup>.

## II

6. ზემოთ ცალ-ცალკე მოცემული გვაქვს ცნობები ლეზგიური (კიურული): ჯგუფის ენათ „ვინ“ და „რა“ კითხვითი ნაცვალსახელების აგებულებისა და ბრუნების შესახებ.

აღნიშნულ ენათა კითხვითი ნაცვალსახელების ერთმანეთთან შედარება: გვიჩვენებს, რომ: 1) „ვინ“ ნაცვალსახელს ყველა ამ ენაში ერთი და იგივე ან ერთმანეთის შესატყვისა ფურა (ძირი) აქვთ:

- |                           |                                 |
|---------------------------|---------------------------------|
| ა) წახურ.: შ (შა, შე, შუ) | ბ) ლეზგ.: ჟ                     |
| რუთულ.: შ (ში)            | ტაბას.: ჟ    შიი („ირიბ“ ბრ-ში) |
| უდურ.: შ (შუ, ში)         |                                 |

დასახელებული ენები ამ მხრივ სიახლოვეს იჩენენ მეზობელ ენებთან: მაგალითად, ეგვე ფურა (ძირი) აქვს შესაბამის ნაცვალსახელში ხუნდურს (ში-ჟ „ვინ—I კლ“, ში-ჟ „ვინ — II კლ“), ლაკურს (შში-), დარგუშლს (ში- „ირიბ“ ბრ-ში)...<sup>5</sup>

2) ლეზგიური ენა თითქოს განცალკევებით დგას: აქ კითხვით ნაცვალსახელთა ფურქში არ ვლინდება შ (ან: შა-, შე-ში, შუ-) ძირი; მხოლოდ სახელბითში დასტურდება ამ შ-ს შესაბამისი ძირი და ისიც ფონეტიკურად სახელ-ცვლილი: ვუ-ჟ („ვინ“), ვუ-ჩ („რა“). მაგრამ ლეზგიურს გააჩნია წარმოების მიხედვით ამ ნაცვალსახელთან დაკავშირებული. (აგებულებით რუთულურის სათანადო მონაცემთა მსგავსი) სიტყვები, სადაც მეღავნდება დასახელებული შ(შუ) ძირიც: შუ მუ დ „რამდენი“: შუმუდ ლოლ „რამდენი დღე“, შუ მუ: შუმუ თიმ „რამდენი ადამიანი“; შუ მუ და რა „რამდენჯვერ“...<sup>6</sup> შაბასადამე, ლეზგიური ჯგუფის სხვა ენათა კითხვით ნაცვალსახელში დადასტურებული ძირი (შ) საკუთრივ ლეზგიურშიც იჩენს თავს, ოლონდ სხვაგვარ ვითარებაში.

3) გარევეულ შემთხვევაში ს ა.ჩ ი.ა.რ.ო ფურე აქვს ვინ და რა ნაცვალსახელს;<sup>7</sup> ეს ფაქტი დასტურდება, კერძოდ, რუთულურში: ში-ვ-რ („რა“) —

<sup>1</sup> საკითხი ლეზგიური ჯგუფის ზოგიერთი ენის მასალების მიხედვით წარმოდგენილი გვაქვს შრომაში, „წახურული და რუთულური ენების ფონეტიკის ძირითადი საკითხები“ (წაკითხულია მოხსენებად თ. ს. უ. კავკას. ენათა კათედრის სხდომაშ 1954 წ. დეკემბ.).

<sup>2</sup> უ და ი სმოვანთა სებამნტიზაცია თუ გრამატიზაცია შეინიშნება თითქოს ლეზგიური ჯგუფის სხვა ენებშიც: შდრ.: რუთულ.: ვუ ვუ თვითონ — I კლ. ლამ — ვიჯ თვით. III კლ. ლამი || რიჯ თვითონ. II კლ. ლამა; წახურ.: შენღუნ „მის (კაცის)“ — შენღინ „მის (ქალის)“... ბუ აქ სხვა მოვლენასთან არა გვაქვს საქმე.

<sup>3</sup> ხუნძურში „ირიბ“ ბრუნვებში შ-ს მონაცემედ გამოყენებული ლა-ჟ-ც პირველის (შ-ს) ფონეტიკური ვარიანტი ჩანს (ილ. ცერცეაბე).

<sup>4</sup> 11. უ ც ა რ, ქიორისკის ქავიკ, გვ. 473, 602.

<sup>5</sup> შდრ.; მეგრ ჭან; მინ „ვინ“ — მუ „რა“, რომლებიც „ერთი და იმავე“ შუდის ვარიანტებს წარმოადგენენ“ (ან. ჩიქობავა).

ტუ-ში-ა, ტუ-შ-ბ („ვინ“). აქ გვაქვს ხუნძურისა და ლაკურის ანალოგიური ეითარება: ხუნძ.: ში-ტ, ში-ა „ვინ“ — ში-ბ „რა“; ლაკ. ც-უ „ვინ“ — ც-ი „რა“<sup>1</sup>.

სხვა შემთხვევაში თითქვს საზიაროა მაწარმოებელი — ასეთად არ ჩანს ფუძე; მაგ. ტაბასარანულში: ფუ || ფი „რა“ — ფუ-უ ( $\leftarrow$  ვუ-უ  $\leftarrow$  \*ვუ-ბ) „ვინ“:

საზიარო ფუძე აქვთ წახურულ ვინ ნაცვალსახელს ყველა ბრუნვასა (ჰი-შუ-ნა, ვუ-შუ-ნა, შა-ტა-ნა...) და ო ა ნაცვალსახელის „ირიბ“ ბრუნვებს (ნი-შ...).

ამ მხრივ ერთგვარად განსხვავებული მდგომარეობაა საკუთრივ ლეზ-ვიურსა და უდურში (იხ. ზევ.)

7. ადამიანის კლასი „ვინ“ ნაცვალსახელის მიხედვით ღიფურენცირე-ბული არ არის მამრობითი სქესისა და მდედრობითი სქესის ადამიანთა ჯგუ-ფუძეად, დიფერენციაცია არ ხდება არც ასაკის მიხედვით (შირ.: ხუნძური ში-ტ „ვინ“ — I კლ.; ში-ა „ვინ“ — II კლ.; ში-ბ „რა“ — III კლ.), თუმცა ჩვენ-თვის ამეამად საინტერესო ჯგუფის ენათაგან წახურულსა და რუთულურში მხოლობით რიცხვში გარჩეულია ოთხი გრამატიკული კლასი (I კლ.: მამრ. უქ. ყველა ასაკის ადამიანი, II კლ.: მდედრ. სქ. ყველა ასაკის ადამიანი, III კლ.: ცხოველები და ზოგიერთი საგანი, IV კლ.: საგნები და ზოგი ცხო-ველი)<sup>2</sup>; ხოლო ტაბასარანულში — ორი (გონიერთა და არაგონიერთა) კლასი<sup>3</sup>.

მეორეულ მოვლენად მიჩნეული ვინ კლასის ბიფურკაცია არ ხდება ლეზგიურ ენებში, როგორც ეს, მაგალითად, ხუნძურშია მომხდარი (ში-ტ ვინ — I კლ. — ში-ა ვინ — II კლ.<sup>4</sup>). ამ მხრივ ლეზგიური ენები ქართუ-ლის ანალოგის გვიჩვენებენ. ლეზგიური ჯგუფისა და ქართველურ ენათა მდგომარეობა მეორდება ხუნძურის მონიჯნავე ანდიურ ენაშიც, სადაც ვინ — ნაცვალსახელი გამოხატავს ადამიანის კლასს ზოგადად — აქ ემ? „ვინ“? „დაქსმის კითხვად ადამიანის ყველა კლასს განურჩევლად სქესისა“<sup>5</sup>.

8. ლეზგიური ჯგუფის კითხვით ნაცვალსახელებს წახურმოებათ მრავლო-ბითი რიცხვის ფორმა. ოლონდ ამ მხრივ ამ ენებში ერთნაირი მდგომარეობა არ არის: „ვინ“ ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში იხმარება წახურულში (სახელობითში), ტაბასარანულში (ყველა ბრუნვაში); იშვიათად (სახელობითში) ლეზგიურსა და რუთულურშიც; უდურში — სულ არა.

„რა“ ნაცვალსახელს მრავლობითში აწარმოებენ: ტაბასარანული — ყველა ზრუნვის ფორმით, უდური — მხოლოდ „ირიბ“ ბრუნვებში; არ შეინიშნება წახურულში, რუთულურსა და ლეზგიურში.

<sup>1</sup> П. Услар, Лакский язык, გვ. 69; Аварский язык, გვ. 103.

<sup>2</sup> А. Дири, Иахурский язык (§ 5), Рутульский язык §§ 4, 5; ე ვ ბ. ჯ ე ი რ ა ნ ი -შ ვ ი ლ ი, გრამატიკული კლასები წახურულსა და რუთულურში: იბერიულ-კავკასიური ენათ-მეცნიერება, V, 1953.

<sup>3</sup> Л. Жирков, Табасаранский язык, 1948; А. Дири, Грамм. очерк табассаран-ского языка, 1905, გვ. 9, § 4.

ტაბასარანულის მსგავსად ორი კლასია გარჩეული წახურულში მრავლობით რიცხვში, ფურთ კლასადაც წარმოდგენილი ყველა ჯგუფი მრავლობით რიცხვში რუთულურში (იხ. ზევ. დასახულ. შრ.).

<sup>4</sup> ხუნძურის შესახებ იხ. პროფ. არნ. ჩიქობავას „ნაცვალსახელთა ბრუნვება ხუნ-ძურში“: გნომის მ., XII, 1942.

<sup>5</sup> ი ლ. ცერც ც ვ ა ძ ე, კითხვით ნაცვალსახელთა ფუძეები ხუნძურში: იბერიულ-კავკა-სიური ენათმეცნიერება, IV, 1953.

იქ, სადაც მრავლობითის ფორმა არ დასტურდება, სათანადო შემთხვევებისთვის ამ ენებში გამოყენებულია მხოლობითის ფორმა.

აღნაშნული ვითარება ლეზგიური ჯგუფის ენებისა, ვფიქრობთ; მიუთითებს იმაზე, რომ მრავლობითი რიცხვის წარმოება კითხვით ნაცვალსახელებში სრულიად ა ა ლ ი, მეორეული მოვლენაა (ალბათ, სხვა ნაცვალსახელთანალოგით გაჩენილი).

9. ბრუნვის ნიშნები ლეზგიური ჯგუფის კითხვით ნაცვალსახელებში თითქმის ისეთივე, როგორიც სხვა სახელებში: ზოგიერთი გამოინაკლისის გარდა, აქ მეორდება თითქმის კველა ის ნიშანი, რაც არსებით სახელებში ან სხვა ნაცვალსახელებშია დამოწმებული<sup>1</sup>.

კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნვების ზოგიერთი თავისებურების შესახებ (კერძოდ, ლეზგიურში ამ ნაცვალსახელის ერგატიულ ბრუნვასთან დაკავშირებით) ზემოთ გვჭონდა ლაპარაკი. სხვა თავისებურება (ფუძეთა წარმოქმნა), რომელსაც ბრუნვებისას იჩენენ ეს ნაცვალსახელები, გამოყენებაშია. თავისებურება გამოიხატება ორი მომენტით: 1) კითხვითი ნაცვალსახელები ბრუნვებისას იჩენენ ფუძე-მონაცვლეობას; 2) ეს მონაცვლე ფუძეები ავლენენ ბრუნვების თავისებურ ტიპს (იხ. ქვემოთ).

10. ლეზგიური ჯგუფის ენებში ატრიბუტული სახელები (ზედსართავსახელები, რიცხვითი სახელები, კუთნილებითი და მითითებითი ნაცვალსახელები...) არ იცვლიან ფორმას არც ბრუნვებისა და არც რიცხვის მიხედვით (ზოგ ენებში ცვლა ხდება მხოლოდ გრამატიკული კლასების მიხედვით — იმის შესაბამისად, თუ რას საზღვრავს იგი). ამ ენებში დასტურდება ფორმა-ცვლელი მსაზღვრელები. მეტყველების დასახელებული ნაწილი (ნაწილები) ფორმაცვლებადნი ხდებიან; თუ გაიგებიან. სუბსტანტივად. ატრიბუტივთა გასუბსტანტივება ხდება ამა თუ იმ სპეციალური ელემენტით, რომელსაც მოსდევს ბრუნვის ნიშნები. ეს ფუძის გამართულებელი ელემენტი, დასახელებულ ენებში მრავალფრთხო ვარ ია; ამგვარ ელემენტთა ნაირსახეობა ქმნის ბრუნვების სერიებს. კველა ამ სერიის აქ გათვალისწინება შორს წაგიყვანას: შემოვიფარგლებით ამ მხრივ კითხვითი ნაცვალსახელებით.

„რა“ ნაცვალსახელის ბრუნვების ხასიათის გასარკვევად შევუდაროთ: „რა“-თანთანეთს წახურული და უდური ენების სათანადო მონაცემები:

„რა“.: ჰიჯონა	უდ.: ეკა.	„რა“
ერგ. ნიშინ	ეტინ	„რამ“
ნათ. ნიშინ(ი)	ეტა(ხ)	„რის“
მიც. ნიშის... <sup>1</sup>	ეტუ(ხ)	„რას“....

ზემოთ აღნაშნული გვაქვს, რომ სახელობით ბრუნვაში „რა“-ს გამოიმხატველია ჯ(ო) ძირეული ელემენტი; ჰი- და -ნა ნაწილაკებია: ჰი — (ჰა-ს ჰალელურად) დადასტურების, კატეგორიულობის აღმნიშვნელი თავსართოვანა ნაწილაკია, ხოლო -ნა კითხვისა.

<sup>1</sup> იხ. II. უსარ, ქირინის ენა; A. დირ, ცახურის ენა, რუტულის ენა; გრამატიკა უძინვის ენა; გრამატიკა ტაბასარის ენა; ლ. ჯირია, ტაბასარის ენა.

უდურში სახელობითში - ა კითხვის ნაშილაქია; ეკ ან ე- „რა“-ს რაობაზე მიუთითებს; ე-ს კ ელემენტის გარეშეც აქვს ეს მნიშვნელობა: ე- გამოხატავს „რა“-ს შინაარსს ყველა ბრუნვაში. ამია ბადალია წახურულში „ირიბი“ ბრუნვების ფუძეში გამოვლენილი ნი- თავსართოვანი ელემენტი (დასტურდება ამ ნაცვალსახელთან წარმოებით დაკავშირებულ სიტყვებშიც. იხ. ზემ.). წახურულში „ნი“-სა და უდურში „ე“-ს ჩამოცილებით ფუძეში რჩება: -შინ, შინ(ი), შის... (წახ), -კ, -ტინ, ტა(ა), ტუ(ხ)... (უდ...). ეს ელემენტები ერთნაირი მნიშვნელობის „დანართებად“ წარმოგვიღებიან. არც ერთი ამათგანი არ არის ფუძის (ძირის) კუთვნილება.

ერთ შემთხვევაშიაცა და მეორეშიც ამ ელემენტთა გამოყენების არე „რა“ ნაცვალსახელით არ განისაზღვრება:

- შინ (განსაზღვრულ შემთხვევაში შპ-ს პარალელურად), - შინ(ი), შის..., გვხვდება სახელთა მრავლობით რიცხვში ბრუნვებისას და მხოლობით რიცხვში III კლასის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებში: ნიმუშები:

- |                            |                            |
|----------------------------|----------------------------|
| ა) დექტრ მამები“ (მხ. დექ) | ბ) შენგ „ისინი“ (მხ. შენა) |
| ერგ. დექტა- ← დექტრ-შა...  | შენგზა    შენგშინ          |
| ნათ. დექტონ                | შენგშინ                    |
| მიც. დექაშის...            | შენგშის...                 |

- გ) ხამნა „დიდი, ბევრი (ცხოველი)“  
ერგ. სააბგნშა || ხააბგნშინ  
ნათ. სააბგნშინ(ი)  
მიც. ხააბგნშის...

უდურში -ტინ, ტა(ა), ტუ(ხ)... „დანართად“ გვხვდება ყველა ნაცვალსახელში, ზედსართავ სახელში, რიცხვით სახელში<sup>1</sup>...

ნიმუშები:

- |                 |                   |              |                     |
|-----------------|-------------------|--------------|---------------------|
| ა) შენო „ის“    | ბ) კიშკე „პატარა“ | გ) კო „ხუთი“ | დ) ელალ „მომსვლელი“ |
| ერგ. შეტინ      | კიშკეტინ          | კოტინ        | ელალტინ             |
| ნათ. შეტა(ა)    | კიშკეტა(ა)        | კოტა(ა)      | ელალტა(ა)           |
| მიც. შეტუ(ხ)... | კიშკეტუ(ხ)        | კოტუ(ხ)      | ელალტუ(ხ)...        |

რას წარმოადგენენ ეს მართულებელი ელემენტები?

<sup>1</sup> აღნიშნულ „დანართებს“ უდურში გვერდით უდგას ასეთი დანართიც: -ნაა (ნათეს.), ნუხ (მიც.) — მოწმდება ერთმარცვლიან სახელებში (მაგ.: ზპნგ-ნა(ა) „ზარის“, ზპნგ-ნუ(ხ) „ზარს“...).

წახურულში ასეთ დანართად გამოიყენება აგრეთვე: ა). I კლ. -ლუშ (ლუ), -ლუნ (ლუნ), -ლის (ლუ)... || II კლ. -ლუ (ლუ), -ლინ (ლინ), -ლის (ლის)... (ადამიანის კლასის გამოხატველ ნაცვალსახელებში, ზედსართავ და რიცხვით სახელებში...). ბ) -ჩინ, -ჩინ(ი), ჩის... (ცხოველთა და საგანთა აღმნიშვნელ ნაცვალსახელებში, ზედსართავ და რიცხვით სახელებში...); მაგ.: შენ-ჩა || შენჩინ, „მან“, შენ-ჩინ (ი) „მის“, შენ-ჩის... „მას“, ხაადგნ-ჩინ (ი) „დიდის“, ხაადგნ-ჩის „დიდს“...

ანალოგიური „დანართები“ დასტურდება ლეგიურში, ტაბასარანულში... (რიგ შემთხვევაში ფონეტიკურად განსხვავებული, ხოლო ფუნქციურად ერთგარი). ამათგან რიგი „ჩანართი“ (ფუნქცია და ბრუნვის ნიშანს შორის გაჩნილი მარცვალი) შემჩნეული აქვს აკად. ი.ვ. ჯ ავა-რი შვილს: „ნაცვალსახელის კანკლედობის თავისებურებას კი ის შეადგენს, რომ ფუნქცია და

პროფ. არნ. ჩიქობავა ხუნდური ერგატივის წარმოქმნის ისტორიის საკითხებზე ხუნდურ-ანდიური და დალისტნის სხვა ენათა მასალების მიხედვით მსჯელობისა აღნიშნავს: „... ყურადღება უნდა მიექცეს ერგატივის დაბოლოების წინამავალ<sup>1</sup> შ- და ლ- თანხმოვნებს... ეჭვი არაა, ეს შ იგივეა, რაც ხუნდური -ს, ერგატივის დაბოლოება I გრამატ. კლასის სახელებში: ვაც „მძა“ — ერგ. ვაცა-ს... ერგატივის პირველადს ნიშანს -შ (← ს)... დართვია -დი“<sup>2</sup>.

ამ მისაზრების კვალდაკვალ ტ. გუდავაც მიუთითებს ბოთლინეურისა და ლოდობერიულის მიხედვით -შ- ჩანართიან ბრუნვებზე; იგი კერძოდ, აღნიშნავს: „ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის -შ-უ ელემენტი ჩა ე რთვის (ზაზი ჩვენია — ე. ჯ.). შ იდინდელი ერგატივის ნიშანია (შდრ. ხუნდ. -ს), უ — ჩანართის ხმოვანია“.

ცნობილია იბერიულ-კავკასიურ ენებში სახელთა ბრუნების ორფუძიანობის პრინციპი. ცნობილია ისიც, რომ ამ შემთხვევაში ამოსაგალია ერგატიული ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები ფუძე (ზოგ შემთხვევაში ამას გვერდით უდგას ნათესაობით ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები ფუძეც) — ასეა დალისტნის ენებში, ასეა ეს ქისტურ-ბაცბური ჯგუფის ენებშიც...<sup>3</sup>

ამ ფაქტთა არსებობის მიუხედავად, შ (ში...), ისევე, როგორც ფუნქციურად მისი შესაბამისი სხვა ელემენტები, ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული „ჩანართის“ რიგის (ერგატივის) მაწარმოებელი არ არის: იგი ნაცვალსახელური ძირია, დასმული ამა თუ იმ ბრუნვაში.

ამგვარივე ნაცვალსახელური დეტერმინანტი - ელემენტი ჩანს უდური ტ-ც, რომელსაც მოსალევს ბრუნვის ნიშნები<sup>4</sup>.

ა. შიგნერი აღნიშნავს: „როდესაც ზედსართავი სახელები და მიმღელობა (ლაპარაკია უდურ ზედსართავისა და მიმღელობაზე — ე. ჯ.) სუბსტანტივად არიან გაგებულნი, მაშინ იმგვარად იბრუნვიან, რომ მიცემითის ნიშნად ფუ გამოდის, ხოლო ნათესაობითს დაბოლოებად აქვს ტაჟ“<sup>5</sup>.

დაბოლოებას შორის 1 სქ. ლუ, 2 სქ. ლე, ხოლო 3 და 4 სქ. ჩი მარცვლები ჩნდება“ (ქართ. და კავკას. ენ. თავდაპ. ბუნება და ნათესაობა, გვ. 541).

აღნიშნული ელემენტები წახ. — შინ (წა), შინ(ი), შის და უდ. -ტინ, ტა, ტუნ დანართთა რიგისანი არიან და ქმნიან თავისებური ბრუნების ტიპის სერიულ ნაირსახეობას, რომლის შესახებაც ზემოთ გვჭრნდა ლაპარაკი. — დაწერილებით ამის შესახებ იხ. ჩვენი — „ბრუნების სისტემა წახურულსა და რუთულურში“ (1953 წ.) — წაკითხ. მოხს. ო. ს. უ. კავკასიურ ენათა კათედრის საჯარო სხდომაზე — 1954 წ. ივნ.

1 მხედველობაში გვაქვს -დი და -ტი დაბოლოება.

2 ა რ. ჩი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნდურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, გვ. 105; 1948.

3 ა მ მხრივ მოსაზრებები გამოთქმული აქვთ: ხუნდურ-ანდიური მასალების საფუძველზე ა რ. ჩი ქ ო ბ ა ვ ა ს დ ა ი ლ. ცერ ც ვ ა ძ ე ს, ქისტურ-ინგუშურისა — დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ს. და ბაცბიური მასალების საფუძველზე რ უ ს. გ ა გ უ ა ს.

<sup>4</sup> ლენგიური ჯგუფის ენებში, კერძოდ, წახურულ-რუთულურში, უდურსა და ტაბასარანულში ასეთი ფუნქციით გამოყენებულია ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე, ხოლო ფონეტიკურად სხვადასხვა ნაცვალსახელური ელემენტები. ამგვარ (ბგერითად განსხვავებულ) ნაცვალსახელებით უნდა იყოს. შეპირობებული ატრიბუტულ სახელთა, მათ შორის ნაცვალსახელთა, დეტერმინაციისა თუ ბრუნების ტიპთა ნაირსახეობა (ზოგიერთი ნიმუში იხ. ზემ.).

<sup>5</sup> A. Schieffner, Versuch über die Sprache der Uden, 1863, გვ. 20, § 67.

აღნიშნულ ბრუნვათა ნიშნად ზედსართავსა და მიმღეობაში ტუ და ფაც (ნუ, ნაც და სხვა ნიშანთა გვერდით) გამოყოფილი აქვს ა. დირსაც<sup>1</sup>.

ა. შიფნერისა და ა. დირის ეს ცნობები საგულისხმოა. თუმცა ავტორებს სათანადო ინტერპრეტაცია არ მოუკითა.

პროფ. ვლ. ფანქიძე ამ ცნობებთან დაკავშირებით დასძენს: „ამ დებულებას სჭირდება დაზუსტება იმ მხრივ, რომ -ტ- ელემენტი არ უნდა წარმოადგენ ბრუნვის ნიშნის კუთვნილებას<sup>2</sup> (ხაზი ავტორისა — ე. ჯ.), იგი ცალკე ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს, ხოლო ბრუნვის ნიშნებად უნდა გვევლინებოდეს ჩვეულებრივი აფიქსების ნათეს. -აც ( $\leftarrow$  აი), მიცემ. -ტ- უ (?)...<sup>3</sup> ...შემდეგ პროფ. ვლ. ფანქიძე ამბობს: „...-ტ- ელემენტი გვხდება მიცემით-სუბიექტიან ზმნათა მესამე პირში (ა-ტუ-ესა ‘ხედავს’), სადაც „უ“ ხმოვნით (მიცემითი ბრუნვის ნიშნით: უ  $\leftarrow$  ა?) მესამე პირის ნიშანს წარმოადგენს. -ტ(უ) ელემენტი უკავშირდება დღევანდელ ტუ ჩვენებით ნაცვალსახელს (იხმარება მხოლოდ მსაზღვრელად)<sup>4</sup>, ხოლო მისი მესამე პირის ფორმანტად გამოვლენა უნდა იმაზე მიუთითებდეს, რომ წარმოშობით იგიც წარმოადგენს 3 პირის პირველად ნაცვალსახელვან ფუძეს“<sup>5</sup>.

პროფ. ვლ. ფანქიძის დასკვნა ასეთია: „ტ“-ს აქვს სადეტერმინაციო ფუნქცია, წარმომავლობით ნაცვალსახელ ური ძირია, პოზიციურად ჩანართს წარმოადგენს.

ამასთან: უნდა აღინიშნოს შემდეგიც: სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უდური უღვლილებას სისტემისათვის დამახასიათებელია პირის კატეგორია პირის ნიშნები გენერურად სათანადო პირის ნაცვალსახელებს წარმოადგენენ. — კერძოდ, ნე და ტუ(b) ( $\leftarrow$ \*ტე-უბ...) ნაცვალსახელი, რომელიც ზმნაში პირის resp. III პირის აღმნიშვნელად გამოიყენება, სათანადო კონსტრუქციის ზმნებში ბრუნვაცვალებად ნაცვალსახელად გვევლინება მაშინ, როდესაც ცალკე მსაზღვრელად ხმარებისას შესაბამისი მითითებითი ნაცვალსახელი ტე უცვლელ მსაზღვრელს წარმოადგენს:

შდრ. ტე კოჯ „ის სახლი“

ტე კოჯრუბ „ის სახლები“

ტე კოჯენ „იმ სახლმა“

ტე კოჯროლონ „იმ სახლებმა“

ტე კოჯინ „იმ სახლის“

ტე კოჯროლო(დ) „იმ სახლებისა“

ტე კუბ(b) „იმ სახლს“...

ტე კოჯროლო(ხ) „იმ სახლების“...

ეგვე ტე ბრუნვაცვალებად ნაცვალსახელად ვლინდება ზმნაში; შდრ. ა. III 3.: შენო ბუ-ნე „არის“ II 3.: უნ ბუ-ნუ „ზარ“ I 3. ზუ ბუ-ზუ „ვარ“

შეტინ ბე-ნე „მან აკეთა“ უნ ბე-ნუ „აკეთე“ ზუ ბე-ზუ „ვაკეთე“<sup>6</sup>:

<sup>1</sup> А. Дири, Грамматика удинского языка, 1904, გვ. 28...

<sup>2</sup> ვლ. ფანქიძე, მხოლოდითი რიცხვის III პირის ნაცვალსახელი -ნე II-ტუ უდურში: ენიმების მ., X, გვ. 265.

<sup>3</sup> დასახელ. შრ., გვ. 262—265.

<sup>4</sup> იგულისხმება ასეთი ფაქტი: მე ადამარ „ეს კაცი“, ქა ადამარ „ეს კაცი“, თე ადამარ „ის კაცი“...

<sup>5</sup> დასახელ. შრ., გვ. 268.

-ნე სახელობითსა და ერგატივში დასმული პირის გამომხატველი ნაცვალსახელია, ზმნაში სათანადო პირის ნიშნად გამოყენებული.

- b. III პ. შეტუ აბა - ტუ(ხ) „შან (=მას) იცის = \*მას მცოდნე — მას“  
 II პ. ვა აბა - ვა(ხ) „იცი=შენ (თენე) მცოდნე—შენ (თენე)“  
 I პ. ზა აბა - ზა(ხ) „ვიცი=მე (მჩე) მცოდნე—მე (მჩე)“...

-ტუ(ხ) მიცემით ბრუნვაში დასმული ნაცვალსახელია, III პირის ნიშნად გამოყენებული აღქმა-მგრძნობელობის გამომხატველი ზმნის ფუძეში.

- c. III პ. შეტა ბუ-ტა „აქვს=მისი მყოფი—მისი“  
 II პ. ვი ბუ-ვი „გაქვს=შენი მყოფი—შენი“  
 I პ. ბეზი ბუ-ბეზ(ი) „მაქვს=ჩემი მყოფი—ჩემი“...

-ტა ნათესაობით ბრუნვაში დასმული ნაცვალსახელია, III პირის ნიშნად გამოყენებული კუთვნილების გამომხატველ ზმნებთან.

ზმნათა ამ კონსტრუქციის შიხედვით პირის ნაცვალსახელთა (resp. პირის ნიშანთა) ასეთი სქემა გვეძლევა<sup>1</sup>:

I პ.: სახელ.	II პ.: ტუ	III პ.: ნუ (უნ)	III პ.: ნე
ერგ.	ზუ	ნუ	ნე
ნათ.	ბეზი	ვი	ტა
მიც.	ზა(ხ)	ვა(ხ)	ტუ(ხ)

I და II პირის ბრუნვათა ამგვარი ფორმები მუღავნდება ზმნაშაც და ცალკეც იხმარება, III პირისა კი მუღავნდება ზმნაში და ცალკე აღარ იხმარება.

ზმნის უღვლილებაში პირის ნიშნის ფუნქციით შემონახულ ნაცვალსახელთა ფორმები რომ შევუდაროთ ჩენონთვის ამჟამად საინტერესო სახელთა ფუძის მართულებელ ელემენტებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

სახელ.	ნე	— ეკა „რა“
ერგ.	ნე (    ტინ <sup>2</sup> )	ე-ტინ
ნათ.	ტა(ხ)	ე-ტა(ხ)
მიც.	ტუ(ხ)	ე-ტუ(ხ)... <sup>3</sup>

ზმნისა და გასუბსტანტივებულ სახელთა შედარება ააშკარავებს; რომ აღნიშნულ სახელებში გამოვლენილი 『-ტინ』 resp. ნე, ტა(ხ), ტუ(ხ)... იგივე ელემენტებია, რაც ზმნის სხვადასხვა კონსტრუქციის შიხედვით დადასტურებული პირის აღმნიშნელი ნაცვალსახელები<sup>4</sup> — ერთი განსხვავებით: ზმნაში I და II პირს მსგავსად III პირშიც სახელობითი და ერგატივი დიფერენცირებული არ არის, სახელში კი ამათი დიფერენციაცია ხდება<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ვითვალისწინებთ მხოლობითი რიცხვის ფორმებს.

<sup>2</sup> შეტა: შე-ტინ „მან“ — შენი ← \*შე-ნე-ო „ის“...

<sup>3</sup> როგორც აღვნიშნეთ, ამ პრინციპით იბრუნების მსახლვრელად ნახმარი ყველა სახელი (ზოგიერთი მაგალითი იხ. ზ.).

<sup>4</sup> აღნიშნული ფაქტი ერთი მაჩვენებელთაგანია იმისა, რომ ბრუნებისა და უღვლილების სისტემაში უდურიში (resp. ლეზგიური ჯგუფის ენებში) სიტყვათა დიფერენცირებული ფუძეები ან მაწარმოებლები არ არის გამოყენებული.

<sup>5</sup> რა თქმა უნდა, ზმნა უფრო ადრინდელ ვითარებას გვიჩვენებს, ვიდრე — სახელი.

ამგვარად, უდურში დასტურდება ბრუნვაცვალებადი ნაცვალსახელით დეტერმინირებული ფუძები — დეტერმინაცია ხდება -ტინ ("მან"), ტარ („მის“), ტური ("მას")... ნაცვალსახელებით.

წახურული -შინ || შპ, შინი, შის... ელემენტებიც იმავე დანიშნულებისა ჩანს, რაც აღნიშნულ უდურ დეტერმინანტ-ნაცვალსახელებს აქვთ. წახურულ-უდურ მონაცემთა საფუძველზევე ამ ელემენტთა ჩაცვალსახელური წარმომავლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს: მხედველობაშია გენეტური კავშირი ამ (შინ || შპ...) ელემენტებისა და III პირის ნაცვალსახელისა: შენა (წახურულში)<sup>1</sup> და შენო, შპ (უდურში)<sup>2</sup>.

აღნიშნული ნაცვალსახელი (შენა, შენო...) ნარტივი აგებულებისა არ არის: შენა = შე-ნა, შენო = შე-ნო ← \*შე-ნე-ო, შპ ← \*შე-ო... — ორივე შემთხვევაში ძირებული ელემენტია შე-; -ნე || ნო ← \*ნე-ო მაშარმოებელია. წახურულში ამავე ძირით იწარმოება ზმინისართი შპ ← შა-ა ← \*შე-ა „იქ“, იმ მხარეს (გდე?)<sup>3</sup>. ამავე მნიშვნელობის ზმინისსართი შაბ || შაბ ა ჯა ფორმით დადასტურებული აქვს ა. დირსაც („შაბ... ვა, მა თი სივრცე“)<sup>4</sup>...

უდურში ა) შენო || შონო (ვართაშნ.) და შპ ← შე-ო(ნიჯ.) ვარიანტების შედარებაც ცხადს ჰყოფს პირველი ვარიანტის ფუძის რთულ ხასიათს: შე-ნო ← შე-ნე-ო<sup>4</sup>. გარდა ამისა: ბ) „ირიბი“ ბრუნვებიც იძლევა ამ ფუძის დაშლის საშუალებას. შე-ტინ „მან“, შე-ტავ „მის“, შე-ტურ „მას“... გ) ეგვე ძირი ვლინდება უდურ ზმინისართებშიც: შეთპრ = შე-თპრ „ისე, იმგვარად“ (სინონ.: ტე-თპრ; შდრ.: მე-თპრ „ასე, ამგვარად“, ქა-თპრ „მაგნაირად“...) შორ || შორ—შ-ორ, შ-ორ ← შე-ორ „ისე, იმნაირად“...

წახურულ შენ ა - ს „-ნა“-ც იმავე მნიშვნელობისა ჩანს, რა მნიშვნელობისაც უდური -ნო ← ნე-ო: -ნა დე ტე რ მინან ტი სუფიქსია წახურულშიც<sup>5</sup>.

ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული ნაცვალსახელის (შე-ნა, შე-ნო, შპ ← \*შე-ო) შე და -შინ, შპ || შპ (შა-ა), შინი, შის... მონაცემთა შ ელემენტი ერთი და იგივეა. გარდა მატერიალური იგივეობისა, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს: 1) უდური ენის ზემოთ ნაჩვენები ფაქტები (მნიშვნელობისა თუ ფუნქციის ერთნაირობის თვალსაზრისით); 2) თვით წახურულში დამოწმებული ერთი საგულისხმო ფაქტიც: როგორც ზემოთაც (შენიშვნაში) ითქვა, განსაზღვრული ჯგუფის წახურულ სახელებში III და IV კლასის გა-

<sup>1</sup> დასტურდება ყველა დიალექტში.

<sup>2</sup> ა.მათგან: პირველი ვართაშნულ დიალექტში, ხოლო მეორე ნიჯურში დასტურდება.

<sup>3</sup> A. Д и р р, Цахурский язык, гл. 25.

<sup>4</sup> შაბ || შაბ ა ჯა-ას არსებობა წახურულში (resp. მიქიქურში) ჩვენთვისაც ფაქტია, ოღონდ დირისეული თარგმანი არ არის სწორი: შაბ ა ჯა მიქიქურ დიალექტში ისაა, რაც წახურულში შენა („შე-ავა“) „იქით, იმ მხარეს, იმ მხრისკენ თუდა“) -ავა მიმართულებითი ბრუნვის ფორმაა.

<sup>5</sup> ვლ. ფაქტიდეს ახსნილი აქვს, რომ უდურში -ნო ← ნე-ო დე ტე რ მინან ტი ი სუფიქსია. ქართველურ ენათა ნაცვალსახელების აგებულების შესახებ არა. ჩიქობავას დასკვნებები დაყრდნობით, ვლ. ფაქტიდეს ვარაუდობს, რომ უდურში აღნიშნული -ნო ← \*ნე-ო იმავე ლირებულებისაა, რა ლირებულებისაც -ნა ქართველურ ენებში (თქვენა, შენა, ჩვენა, მენა... მეგრ.: ენა, თენა, ინა, თინა...).

<sup>6</sup> აშერაა ხუნძურისა და ქართველურ ენათა ანალოგია: „დუნ-მუნ („მე-შენ“—ე. ჯ.) ნაცვალსახელებში, ბოლოვიდური -ნ ძირებული არა... დეტერმინანტს ჰგავს (იმ რიგისა, როგორიცა ქართული მე-ნა, შე-ნა-ს -ნა)... — არნ. ჩიქობავას დასკვნებები დაყრდნობით, ვლ. ფაქტიდეს ვარაუდობს, რომ უდურში აღნიშნული -ნო ← \*ნე-ო იმავე ლირებულებისაა, რა ლირებულებისაც -ნა ქართველურ ენებში (თქვენა, შენა, ჩვენა, მენა... მეგრ.: ენა, თენა, ინა, თინა...).

მომხატველ აღიერებულ სახელმძიმე საბრუნებელ ფუძეს ერწყმის ჩით ელემენტი, რასაც მოსდევს ერგატივიდან მოყოლებული ამა თუ იმ ბრუნვის სუფიქსი; ვიღებთ ჩს, ჩინ, ჩინი, ჩის—ფუძის გამართულებელ ელემენტს; მაგალითები:

- ა) ეგზენ „ჩემი“ (ძროხა, ქვაბი, საქმე...) ბ) გერგენ „ყველა“ (პირუტყვი... საქმე...)  
 ერგ. ეგზენ-ჩს გერგენ-ჩს  
 ნათ. ეგზენ-ჩინი გერგენ-ჩინ  
 მიც. ეგზენ-ჩის... გერგენ-ჩის...

გ) ხაზღუნ „დიდი“ (კოვზი, საქმე...) დ) სა „ერთია“  
 ერგ. ხაზღუნ-ჩინ სან-ჩს  
 ნათ. ხაზღუნ-ჩინი სან-ჩინ  
 მიც. ხაზღუნ-ჩის... სან-ჩის...

აღნიშნული -ჩიბ, ჩინ, ჩის... წახურულში იმარება სხვა ფუქებთან შე-  
რწყმის გარეშეც, დამოუკიდებელ სიტყვებად; მაგალითად:

„მას ყუთია ვობნა, ჩილ ო(ყალ) ხინჯალ ვოდენ — ეს სკივრი არის  
გასზე (თავისზე) ხანჯალი არის“.

„ხდდა ოდხანან, ჩის სა გვარ — ბევრს ჭამს, იმის თვის (იმი ტომ) აქალაა“.

„ჩილე კილა ეჭუშენა — ყადგეთ — იმის (თავის) [—იმაზე] შემდეგ  
მეტს ალარ ლაპარაკობდა“...<sup>1</sup>.

ჩინ „მან, თვითონ“, ჩინგი „მის, თვით-მისი“, ჩის „მას, თვით-მას“ (ono-само, его-самого, ему-самому)... ნაცვალსახელური ფორმები ჩვეულებრივი ვია წახურულშიაც და მის დიალექტებშიაც. ამის ანალიგიები გვაქვს ლეზგიური ჯგუფის სხვა ენებშიც: უდ. იჩ — „თვითონ, იგი“ (იჩინ, იჩენ — „თვითონ, მან“; იჩუ(ხ) — „თვითონ, მას“...); ლეზგ. ვუჩ „თვითონ, იგი“ (მრ. ჩებ.). . .; ტაბასარან.: ჩან, უჩ „თვითონ, იგი“...<sup>2</sup>

ამ საიღუსტრაციო ნიბუშებიდან ცხადად ჩანს, რომ ჩა, ჩინ, ჩინგი, ჩის ნაცვალსახელებს წარმოადგენენ, ხოლო -შა, -შინ, -შის მათი შესაბამისი მონაცემებია და აქვს ის მნიშვნელობა, რაც უდურ -ტინ, ტა(ხ), ტუ(ხ) ნაცვალსახელურ ელემენტებს<sup>3</sup>.

ბრუნების ასეთივე ტიპი უნდა ვიგულისხმოთ ტაბასარანულსა და რე-თულურშიც: ჩვენი ვარაუდით ტაბასარანულში: ფ-დე, ფ-დენ, ფ-დეზ // ფ-ტი ფ-ტინ, ფ-ტიზ („რამ, რის, რას“), // ში-ლე, ში-ლენ, ში-ლეზ // შ-ლი, შ-ლინ, შ-ლიზ („ვინ, ვისი, ვის“) და რეტულური: ჰა-ლ  $\leftarrow$ \*ჰა-ლუ, ჰა-ლდგ  $\leftarrow$  ჰა-ლგს („ვინ, ვისი, ვის“), ჰა-დირბ, ჰა-დილ  $\leftarrow$  ჰა-დილგ, ჰა-დის („რამ, რის, რას“); წარმოადგენენ რა ისტორიულად

<sup>1</sup> მაგალითები მოგვყავს ა. დირის „Цахурский язык“-იდან.

<sup>2</sup> შელა, აგრძელებს: კანცური მ უ ქ, მეგრული მ უ = მან (ომ), თვითთან (cas) — ა რ ნ. ჩ ი ქ ა- ბ ა ვ ა, კანცურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 224.

<sup>3</sup> გამორიცხული არ არის, რომ ჩს, ჩინ, ჩინია, ჩინ და შა, შინ, შინი, შის ერთი და იგივე ოდენობაც იყალს, ფანეტიკურად სახეცვლილი: ჩს → შა (სპირანტიზაციის გზით) ან: შა → ჩს (აფტრიკატიზაციის შედეგად); მასალადნელი კია უფრო პირველი შემთხვევა. ამას სპეციალური შესწავლა დასჭირდება ამ ენათა შედარებითი ფანეტიკის საფუძველზე.

შესაბამისი ელემენტით გართულებულ ფუძეებს, გვიჩვენებენ იმავე მდგომარეობას, რასაც წახურული და უდური.

უნდა ვივარიაუდოთ, რომ ეს ნაცვალსახელები და ტაბასარანულ-რუთულურში აღნიშნულ ფუძეებთან შერწყმული ელემენტები ერთმანეთთან გენეტურად დაკავშირებულნი არიან სწორედ იმ სახით და იმ მნიშვნელობით, როგორც წახურულსა და უდურულში დაუკავშირდა სათანადო მონაცემები: - დ ი, - დ ი ნ, - დ ი ზ // - ტ ი, - ტ ი ნ, - ტ ი ზ<sup>1</sup> და - ლ ე, - ლ ე ნ, - ლ ი ზ // - ლ ი, - ლ ი ნ, - ლ ი ზ (ტაბასარანულში), - ლ — ლ უ, - ლ გ დ გ, - ლ გ ს და - დირბ, - დიდგ, - დის (რუთულურში) დეტერმინანტი ნაცვალსახელებად გვესახებიან.

ამგვარად, კითხვითი ნაცვალსახელები ისევე, როგორც მსაზღვრელი სახელები, ამ დეტერმინანტი ნაცვალსახელების მეშვეობით იქცევიან ბრუნვა-ცვალებად სახელებად.

ამის კვალად: გამოირიცხება ჩანართის საკითხი (თუნდაც ერგატივის მნიშვნელობით ან ნაცვალსახელური ძირის ჩანართად გამოყენების გაგებით). აქ საქმე გვაქვს დანართ ნაცვალსახელებთან დეტერმინანტის ფუნქციით, რაც სქემატურად ასე უნდა წარმოვიდგინოთ: სახელთა ფუძე+ბრუნვა-ცვალებადი დეტერმინანტი ნაცვალსახელი. სხვანაირად: აქ გვეძლევა ბრუნების ის ტიპი, რომელიც ნავარაუდევი აქვს არნ. ჩიქობავას ხუნძური ენის ჰიდური კილოს მონაცემთა საფუძველზე; სახელდობრ: არნ. ჩიქობავა იძლევა-რა დასახელებული დიალექტის III პირის ნაცვალსახელის ბრუნების სქემას: ჰიდური დო—დოუ; ერგატივში: დვ-ა-ს — დო-ა-ს, დვ-ა-ლ<sup>2</sup> — დ-ო-ა-ლ<sup>2</sup>, მრავლ. სახ. დვ-ა-ლ — დო-ა-ლ, ერგ. დვ-ა-ზ — ლო-ა-ზ... აღნიშნავს: „თუ ეს ასეა, ერგატივის ნიშნად უნდა გამოიყოს -ას, -ალ<sup>2</sup> და არა ს, ლ<sup>2</sup> დოს // დოლ<sup>2</sup>-ში ფორმანტების თავიდური ა დაკარგულად უნდა ვივარუდოთ: დო-ას=დოს; დო-ალ<sup>2</sup>=დოლ<sup>2</sup>... მაშინ ერგატივის საწარმოებელი ფორმანტები აღმოჩნდებოდა ჩვენებითი ნაცვალსახელი აუ, ავ ერგატივი ისევე იქნებოდა ნაწარმოები, როგორც ქართულ საზოგადო სახელ ებზე: კაც-მ. ან: დო+ას — დოს; დო + ალ<sup>2</sup> — დოლ<sup>2</sup>...“<sup>2</sup>

ჩვენი ვარაუდით, ლეზგიური ჯგუფის ენები ბრუნების სწორედ ამ სახეობას ადასტურებენ; კერძოდ, იგი დასტურდება ჩვენთვის ამჟამად საინტერესო კითხვით ნაცვალსახელებში.

Е. Ф. ჯეირანიშვილი

## ВОПРОСИТЕЛЬНЫЕ МЕСТОИМЕНИЯ В ЯЗЫКАХ ЛЕЗГИНСКОЙ (КЮРИНСКОЙ) ГРУППЫ

Р е з յ ո ւ

1. В языках лезгинской (кюринской) группы (в лезгинском, удинском, табасаранском, цахурском, рутулиском...) вопросительные местоимения, имеющие в определенных случаях варианты фонетического характера, за-

<sup>1</sup> ტაბასარანულში ეს მართულებელი. ელემენტები შესაძლოა სულაც ერთი და იგივე მონაცემი იყოს: ტი ← დი.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში, ენიმების მ., XII (1942); გვ. 35. (ჩაზი ჭველგან ჩემია — ე. ჯ.).

исключением удинского местоимения „кто“ — šu ზუ и табасаранского местоимения „что“ — fi || fu ფი || ფუ, имеют сложное строение основы: 1) основа местоимения «кто» расчленяется следующим образом: нахур.: ha-šu-na || hi-šu-na, ha-šu-j, ša-wa-na || še-w-la პა-შუ-ნა || პი-შუ-ნა, პა-შუ-ნა || შუ-ტ-ნა...; рутуль.: wu-š-i || wu-ši-j გუ-შ-ი + ტუ-ში-ე; лезг. wu-ž-შუ-ე; табас. fu-ž ფუ-ე...

2. основа местоимения «что» состоит из следующих элементов: нахур.: hi-žo-na || ha-žo-na; рутуль. ši-w-i ში-ვ-ი; лезг. wu-č-a || wu-č-შუ-ჩ-ა || ტუ-ჩ-ა...

Значение выделенных элементов определяется следующим образом: а) префиксальный элемент ha || hi პა- || პი- выражает указание или категоричность; б) wu ტუ является префиксом грамматического класса resp. класса человека (наличие этого же аффикса в местоимении «что» — вторичное явление, результат реинтерпретации классных показателей); в) суффиксальные элементы -па ნა, -ა ი, -i ი, j ა представляют собой вопросительные частицы (иной раз суфф. па ნა употребляется в качестве детерминанта, и тем самым он выступает как омоним вопросительной частицы па ნა). г) Элементы — § მ (ša, še, ši, šu პა, ზუ, ში, შუ), ž(—\*§) ქ(—\*მ), ხ ხ ხ являются исходной основой (корнем) в указанных местоимениях.

3. Вопросительные местоимения в языках лезгинской (кюринской) группы в большинстве случаев при склонении меняют основу; здесь чередование основ двоякого рода: 1) основа местоимений «кто», «что» «косвенных» падежей в некоторых случаях сходны с основами местоимений III лица; 2) основа в «косвенных» падежах представляет собой сложную основу, которая состоит из двух компонентов: «чистая» основа вопросительного местоимения + слитое с ней склоняемое личное (указательное) местоимение. Это последнее выступает в роли субстантивирующего элемента — местоименного детерминанта. — Выявляется особый тип склонения вопросительных местоимений (что наличествует также во всех определительных именах и в имени существительном множественного числа). На такой-же тип склонения на основе диалектных материалов аварского языка указывает А. С. Чикобава<sup>1</sup>.

4. Вопросительные местоимения в языках лезгинской (кюринской) группы при склонении используют те же падежные окончания, что и другие имена, в частности, имена существительные.

5. Упомянутые вопросительные местоимения в определенных случаях употребляются и во множественном числе, что для языков лезгинской группы не является характерным: это — новообразование.

6. Вопросительное местоимение «кто» в указанных языках одинаково употребляется для класса человека — здесь не происходит бифуркации этого местоимения на группу мужчин и на группу женщин.

<sup>1</sup> А. С. Чикобава, ქ склонению местоимений аварского языка: ИЛИМК XII, 1942; стр. стр. 31—50.

А. А. МАГОМЕТОВ

МЕСТОИМЕННАЯ АФФИКСАЦИЯ В ГЛАГОЛАХ  
ТАБАСАРАНСКОГО ЯЗЫКА\*

§ 1. Среди иберийско-кавказских языков представлены языки в которых глагол не спрягается ни по грамматическим классам, ни по лицам (лезгинский, агульский языки), языки с классным спряжением, но без личного спряжения (языки аварско-андийско-дидойской группы), языки с классным и личным спряжением (языки даргинский, лакский, табасаранский, абхазский, башкийский), языки с одним только личным спряжением (картвельские, адыгские языки)<sup>1</sup>.

Лезгинский, агульский языки не сохранили классного спряжения, но и не развили личного спряжения.

В языках с классным спряжением лицо в глаголе не выражено, но в глаголе отражается грамматический класс субъекта или объекта в зависимости от переходности глагола: непереходные глаголы изменяются по классам субъекта, переходные—по классам объекта.

Так, в аварском языке:

ე მ ე ბ ფ ა ბ ა е თ ე ნ ვ ა ჭ ა п ა — отец пришел,

ი ხ ს უ ც ა ხ უ რ ბ ე ტ ხ ა ბ ა i n s u c a x i r b e t s a n a — отец вспахал поле.

В непереходном глаголе ფ ა ბ ა ვ ა ჭ ა п ა —‘пришел’ классный показатель ფ w согласуется с реальным субъектом ე მ ე ბ е თ ე н —‘отец’, стоящим в именительном падеже.

В переходном глаголе ბ ე ტ ხ ა ბ ა ხ ე ტ ს ა п ა —‘вспахал’ классный показатель ბ b согласуется с прямым объектом ხ უ რ ხ ი რ —‘поле’, также стоящим в именительном падеже. Что касается реального субъекта ი ხ ს უ ც ა i n s u c a —‘отец’, стоящего в эргативном падеже, то он в глаголе не выражен. В языках с классным спряжением глагол, как непереходный, так и переходный, является одноклассным (‘одноличным’).

В картвельских и адыгских языках, в которых, на нынешней стадии их развития, грамматические классы не различаются, представлено только личное спряжение глагола. Глагол изменяется по лицам, но не изменяет-

\* Доложено на заседании отдела горских иберийско-кавказских языков Института языкоznания АН Груз. ССР 26 X 1954 г.

<sup>1</sup> Ари. Чикобава, Категория грамматических классов и некоторые вопросы спряжения глаголов в грузинском языке, Иберийско-кавказское языкоzнание, V, Тбилиси, 1953.

ся по грамматическим классам. Полиперсональность переходного глагола достигается при помощи показателей лица. Например, в грузинском языке: მ-აქებ-ს m-akeb-s—‘хвалит он меня’, მ m—показатель объекта, стоящего в 1 лице ед. числа, ს s—показатель субъекта 3-го лица.

В языках, где наряду с классным спряжением представлено и спряжение по лицам, в непереходном глаголе как префикс, так и суффикс указывают на субъект, в переходном глаголе префикс указывает на реальный объект, суффикс на реальный субъект<sup>1</sup>.

Спряжение глагола, например, в даргинском языке дает следующую картину.

#### Непереходный глагол

დუ ფახულ-და du wax'ul-da—я (I кл.) иду  
 უ ფახულ-დე u wax'ul-de—ты идешь  
 იდ ფახულ-სა-უ id wax'ul-sa-w—он идет  
 ნუსაა დახულ-და nussa dax'ul-da—мы идем  
 უშაა დახულ-და ušaa dax'ul-da~вы идете  
 ითე ბახულ-სა-ბ itəe bax'ul-sa-b—они (I, II кл.) идут  
 ითე დახულ-სა-დ itəe dax'ul-sa-d—они (III кл.) идут.

Префикс, классный показатель ფ w, в непереходном глаголе единств. числа ფ-ა ხულ-და w-ax'u l-da—‘иду’ указывает на грамматический класс субъекта დ უ du—‘я’, суффикс -დ დ -да является показателем лица того же субъекта.

Так же и при субъекте во 2-ом лице в глаголе ფ-ა ხულ-დე w-ax'u l-de—‘идешь’ классный показатель ფ w указывает на класс субъекта, суффикс -დ დ -de является показателем 2-го лица единственного числа (უ u—‘ты’).

При субъекте 3-его лица в форме глагола настоящего времени в суффиксе представлен показатель грамматического класса, так же как и в префиксе. Оба классных показателя указывают на грамматический класс субъекта.

В глаголе множ. числа показателем грамматического класса для 1 и 2 лица служит დ d, для 3-го лица -ბ ბ (для I и II кл.) и დ d (для III кл.). При субъекте множ. числа показатели 1 и 2 лица в глаголе настоящего времени совпадают, что вызывает совпадение и глагольных форм 1 и 2 лица множ. числа.

#### Переходный глагол.

დუდილ პალ ბიყულ-და dudil qal biqul-da—я строю дом  
 უდილ პალ ბიყულ-დე udil qal biqul-de—ты строишь дом  
 იდილ პალ ბიყულ-სა-უ idil qal biqul-sa-w—он строит дом  
 ნუსადდილ პულბე დიყულ-და nusəaddil qulbe diqul-da—мы строим дома

უშაადდილ პულბე დიყულ-და ušaa addil qulbe diqul-da—вы строите дома  
 ითეადდილ პულბე დიყულ-სა-ბ itəaddil qulbe diqul-sa-b—они строят дома.

<sup>1</sup> Имеем виду глаголы, имеющие классный показатель.

В переходном глаголе **δ-бүл-да** *b-i qu-l-da* префикс **δ** **в** является классным показателем, указывающим на грамматический класс реального объекта **жол** *qal*—‘дом’, стоящего в им. п.; суффикс **-до-да** является показателем лица субъекта **журдо дудил** *dudil*—‘я’, стоящего в эргативном падеже.

При субъекте в 3-м лице классный показатель в суффиксе указывает на грамматический класс субъекта. Следовательно, в суффиксе переходного глагола даргинского языка может быть выражено лицо (1 и 2 л.) или грамматический класс субъекта (при 3-м лице).

ქართველურ ენათა საანალიზო ფუძეების (მწევალ-, -ფხე-ს) სხვა იბერი-ულ-კავკასიურ ენათა მასალასთან შედარებაში გვიჩვენა, რომ ქართველურ მწევ... ფხე ( $\leftarrow$ \*ფევ) მარტივ ფუძეებში უნდა გამოიყოს -ევ, -ე ( $\leftarrow$ ე) სუფიქ-სები, როგორც საკუთარ ქართველური. ამით დასტურდება, რომ აღნიშნული ფუძეები (მწევ... ფხე  $\leftarrow$ \*ფევ) ქართველური ფუძეებია და, რომ ისინი ამ ენებში არ არიან შეთვისებული, ნასესხები. რაკი ეს ასეა, კიდევ უფრო სარწმუნო ხდება ის მოსაზრება, რომ მწევალ-სა და -ფხე-ში თაცსართები მ-, ფ- და ბოლოსართი -ალ ქართველური სახელის ფუძისათვის. დამახასია-თებელი აფიქსური მასალა (პირველი ორი გრამატიკული კლასის გაქვავებუ-ლი პრეფიქსი, ხოლო მეორე დეტერმინანტი სუფიქსი.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ერთი რიგის ფუძეებადაა მიჩნეული. მეგრ. ბატკი ‘ერთი წლის თხა, დედალი’, ქართ. ბატკი (გურ.) „შემო-დგომაზე ნაშობი შინაური საქონელი“ (ილ. ჭყანია)<sup>1</sup>, ქართ. ბატკანი.

არნ. ჩიქობაგას დასკვნით „ბატკ-ში იგივე ფუძე გვაქვს, რაც ბატკან-ში. მათ მნიშვნელობაც აკავშირებს; ეჭვს გარეშეა ბატკან- შეიცავს -ან სულთანიქს: ბატკ-ან-“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ილ. ჭყანა, სიტყვის კონა, 1910, გვ. 6.

<sup>2</sup> არნ. ჩიკობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, 83. 15.

— მასალობრივები ამავე ფუნქციებთან უნდა იყოს კუშირში მეტ. ბატ-ი-ა, ბატ-ი-გ ‘კამერის კოშკი’<sup>1</sup>. მათში კ დაკარგული უნდა იყოს: ბატ←ბატკ-.

ამგვარად, ამოსავალი აქ წარმოდგენილი ფუძეებისათვის არის ბატკა, რაც პირვენდელი სახით შემონახულია ბატკა-ნ-ში.

როგორც გარეულია, ბატკან- და თ იკან- ფუძები ერთსა და მშვე  
ძირს შეიცვენ, მასთან ბა- კლას-კატეგორიის ნიშანია (ივ. ჯავახიშვილი)<sup>2</sup>.  
არნ. ჩიქობავა ამ ფუძეთა შესახებ წერს:

„ბა-ტკ-ან←ბა-თქ-ან←ბა-თიყ-ან: [ქართული ენისათვეს] უჩვეულო -თქ-  
ჭრიშტლექს შეენაცვლა ჩვეულებროვი -ტკ-“<sup>3</sup>.

ამგვარად, ბა-ტკან- და თიკან- ფუქსებისათვის საერთოა -თიკან- შპრტი-  
კი ფუქსები: ტკან-თრკ. ბა- კლასკატეგრაიის პრეფერენციალ მიიჩნევა, -ან- დეტერ-  
მინანტ სუფიქსად.

შეიძლება თუ არა -თიკ- მარტივი ტუშე დაიშალოს? როგორც გარეკვეულია, ქართველურ ენებში ძირად ცალი თანხმოვანი უნდა გვქონდა. ასეთ ძირს ამ შემთხვევაში კ უნდა წარმოადგენდეს. თ- ნივთის გრამატ. კლასის პრეზიდენტი ჩანს, — მიღებული და-საგან: თი-კ-←\*დი-კ (\*ბა-თი-კ-ან-←\*ბა-დი-კ-ან, ბა-ტ-კ-ი-←\*ბა-დ-კ-ი). ასეზო პრეზიდენტი ნივთის გრამატ. კლასის ნიშანად ქართველურ ენებში საკმაოდ ცნობილია. აღსანჩნავია ისიც. რომ ის გაქვავებული ისახით საკმაოდ ხშირად გვხვდება ცხლოება სახელის ფუძეებშიც. შლრ.:

ქართ. დ-ლ-ე, მეგრ. დ-ლ-ა, სვან. ლა-ლე-ლ

ჭან. ლი-ცხ-ირ, მეგრ. ზი-სხ-ირ... სვან. ზი-სხ... ქართ. სი-სხ-ლ-ი<sup>5</sup>

მეგრ. ლა-შქა, ჭან: ლი-შქა || ლი-შქა, ქართ. შე-შა←\*სე-შა<sup>6</sup>...

ପାରତ. ହୁଣ-ତୁ-ଗୁ-ର, ପର୍ମାନ. ଲୁହ-ଶିଳ-ଶ୍ରୀ ॥ ଲୋ-ଶିଳ-ଶ୍ରୀ (ଲୁହିବ.), ପୂନ. ଥ-ତୟ-ତା-ଗ ॥ ତୟ-  
ତ-ଗ, ମେଘର. ତୟ-ବ-ତ-ଗ<sup>7</sup>.

ଶ୍ରୀ. ଲାଲ-ମି-କ୍ରିସ୍ଟ || ଲୁହ-ମ-କ୍ରିସ୍ଟ, ମେଘର. ଜ୍ଞାନ-ଜ୍ଞାନ-ଶ୍ରୀ || କ୍ରିସ୍ତ-କ୍ରିସ୍ତ-ଶ୍ରୀ, ଜାରତ. ଖର-ମଧ୍ୟ-ଏଲ-୦ (→କ୍ରି-ଅନ-କ୍ରି-ଏଲ-୦)<sup>8</sup>.

მეგრ. ზე-სქ-ვ-ი ( $\leftarrow$ \*ძე-სქ-ვ-ი  $\leftarrow$ \*დე-სქ-უ), ჰან

3 (შა-შ-უ-ი) ← \*სა-შ-უ<sup>9</sup>.

სუან. ჭაველა, მეგრ. თ-ხ-ალ...წართ. თ-ტ-ი<sup>10</sup>.

<sup>1</sup> И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, словарь, 1914.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველური და კავკასიური ენების თაცდაპირველი ბურჟება და ნაფასაძე, გვ. 191—192. არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უწევლესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 15. მისივე, ჭანურ-მეგრულ-ქართველი შედარებითი ლექსიკონი, გვ. 84—85.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძის უძვ. აგებ. ქართვ. ენებში, გვ. 15.

Digitized by srujanika@gmail.com

<sup>b</sup> օյցՅ, 83, 51, 172.

६ वृज, ४३. १७।

Digitized by srujanika@gmail.com

<sup>8</sup> იქვე, გვ. 173.

Digitized by srujanika@gmail.com

<sup>1</sup> օյջ, 83. 16.

<sup>2</sup> ପ୍ରେସ, ୧୩- ୧୭୭.

ଶ୍ରୀ. ଅମାବ୍ସେ ଦିଲୋଲ

6. ල'වී, දැඩ. ල'ඕෂාය, ල'වී, කාපුක්. තිරා ( $\leftarrow$ \*ලුතිර), සුන්දිගඹ. තිරා ( $\leftarrow$ \*ලුත්ං) ... තුන්ද. තිරා-උ; අනුද.

For more information about the program, contact the Office of the Vice Provost for Research at 404-341-2000 or [research@gsu.edu](mailto:research@gsu.edu).

ცხადია. თიკ- ფუძის აქ წარმოლგენილი სახით დაშლის შემცხვევაში \*ბა-თი-კ-ან ( $\rightarrow$ ბა-ტკ-ან) ფუძეში გრამატ. კლასის ორი პრეფიქსი გამოიყოფა: ბა- და თი-: ბა-თი-კ-ან, შეგრამ ორივე ნივთისა! რამდენად ბუნებრივია ერთ ფუძეში გრამატ. კლასის ორი ასეთი ნიშანი?

მსგავსი ფაქტები ქართველურ ენებში ცნობილია. შედრ.: ქართ. დ-ლ-ე, მეგრ. დ-ლ-ა — სვან. ლა-ლე-ლ<sup>1</sup>

ჭი-ნ-ჭე-ელ-ი ( $\leftarrow$ \*და-ნ-ჭე-ელ-ი) — ბუ-ჭუ-ნ-ჭე-ელ-ი  $\leftarrow$ \*ბუ-ჭი-ნ-ჭე-ელ-ი

ბუ-ნ-ჭე-ელ-ი  
(გ. როგავა)<sup>2</sup>  
ტკუ-არ ( $\leftarrow$ \*დ-კუ-არი)

— მ-ტ-კუ-არ-ი<sup>3</sup>  
ს-კ-ა  
— ცუ-ტ-კ-არ-ი ( $\leftarrow$ \*ბუ-ლ-კ-არ-ი) შდრ.

ჭან. ბუ-ტ-კ-ოჯ-ი ‘უუტკარი’<sup>4</sup>

სუბსტანტივებში გრამატ. კლასის კატეგორიის ორმაგი პრეფიქსთა წარმოება დამახსასიათებელია საერთოდ იმ იბერიულ-კავკასიური ენებსათვისაც, რომელთა სტრუქტურაში გრამატ. კლასი დღესაც მრქმედია. აფრენთა თანამიმდევრობა ამ ენებშიც ისეთია, როგორიც ქართულში ბატკანის შემთხვევაში გვაქვს, ოღონდ და-ს ადგილას აქ, შოლოდინისამებრ, ន არის წარმოდგენილი. შედრ..:

ხუნდ. რო-ხ- ‘ტკუ’ — ლაკ. მუ-რ-ხ- ‘ხე’

უდური ბეა-ლ ‘მზე’ — ლაკ. ბა-რ-ლ ‘მზე’

ტაბას. ლეზგ. რა-ლ არჩ. ბა-რ-ჯ

ხუნდ. ბა-ყ

კაპუქ. ბო-კ დარგ. ეა-რ-პარ

ჭიდ. ბუ-კ ჭახურ.-რუთ. ვი-რუ-ლ<sup>5</sup>

ქართ. ბ-ლუ-არ-ი ‘დღე’

ხო-ე, ბოთლიხ. ახვახ. ხუ-ახ; ტინდ. ხე-აი, ჭამალ. ხო-ახ... დარგ. ხუ-ე, ხუ-ი... ტაბას. ხუ-ე, ჭახურ. ხო-ა, უდური ხ-ა-ა, ალტლ. ლუ-ა... ხ და ჲ თანხმოვნიანი ფორმებისათვის ამოსალი დ, ლ-თანხმოვნიანი მასალა ჩანს (ხუნდ. ტშე-ლ-ლუ-ა... ბოთლიხ. ახვახ. ხუ-ახ-ლ-ლუ-ა...). ამ უკანასკნელის ძირეული დ, ლ-კი ლაბიალიზებული უნდა ყოფილიყო. შდრ. შ. გაფრინდაშვილი, სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმების წარმოება დარგულსა და ლაკურში: ჩიხერ.-კავკას. ენათმეცნ. V, 1953, გვ. 223.

<sup>1</sup> არნ. ჩი ქობავა, „ჭან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკონი“, გვ. 204.

<sup>2</sup> ფაქტი დადასტურებული აქვს გ. ალავიძეს ლეჩხუმურში. იხ. გურული, ზემოიმერული; და ლეჩხუმური ლექსიკონი, 1938 წ., გვ. 141.

<sup>3</sup> H. M a p p, Непочатый источник истории Кавказского мира. ИАИ, 1917, გვ. 330.

არნ. ჩი ქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 176.

<sup>4</sup> ი. ცერცევაძე, ფუტარ- და სკა- ფუძეთა აგებულებისათვის ქართულში, 1948. არნ. ჩი ქობავა, ჭან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკონი, გვ. 115.

<sup>5</sup> იხ. არნ. ჩი ქობავა, ეტიმოლოგია ძეველი ქართული ტერმინებისა „ბლუარი“, „სამზარი“: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, გვ. 67.

ხუნდ. მოწა ‘მთვარე’	— ლაკ. ბა-რ-ზ. ‘მთვარე’
	ანდ. ბო-რ-წიში ”
ხუნდ. ბა-წაად ‘სუფთა’	— ლაკ. მა-რ-წ. ‘სუფთა’
	ანდ. ბე-რ-წომ
	არჩ. მა-რ-ცაუს
ქამალ. ბე-ჩა ( $\leftarrow$ ბე-ქა) ‘გველი’	— ხუნდ. ბო-რო-ბ’ ( $\leftarrow$ ბო-რო-ბ’ $\leftarrow$ ბო-რო-ქა $\leftarrow$ ბო-რო-ქა)
	ანდ. ბე-რ-ჩა ( $\leftarrow$ ბე-რე-ჩა $\leftarrow$ ბე-რე-ქა) <sup>1</sup>
ტინდ. ბეცი ‘კავი’	— ხუნდ. ფუ-რუ-ც ( $\leftarrow$ ბუ-რუ-ც)
კარატ. ბეცე	ბოთლ. ფე-რ-ცუ ( $\leftarrow$ ბე-რ-ცუ)
ღოღ. ჭამალ. რეცი	ბაგვალ. ფე-რე-წა ( $\leftarrow$ ბე-რე-ცა) <sup>1</sup>
ანდ. რეცუ (მუნის მეტყვ.)	

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ორმაგად ნაწარმოებ მასალაში იშვიათად ჩანს როგორც დ, ისე ნ და ლ-ც. დ თითქოს არც იყო მოსალოდნელი, რაյო ის ამ ენგბში რ || ლ-შია გადასული... ლ იშვიათი ექსპონენტია საერთოდაც: ზოგ ენაში თუ გვხვდება მხოლოდ<sup>2</sup> და, ბუნებრივია, თუ ორმაგებში. ხშირად არაა წარმოდგენილი. რატომ არა გვაქვს ნ?

ის დაკარგული უნდა იყოს: მისგან უნდა გვქონდეს მიღებული ნაზალი-ზაცია ფუძეთა ხმოვნების ერთი გარკვეული წყებისა.

ფონეტიკურად რამდენადაა შესაძლებელი ნ-საგან იყოს მიღებული ხმოვანთა ნაზალურობა?

ასეთი ფონეტიკური პროცესი დამახასიათებელია თითქმის ყველა ანდიურ-დიდოური ენა-კილოებისათვის. გარკვეულია, რომ დეტერმინანტი სუფიქსის ნ თანხმოვნის დასუსტების შედეგია ანდიურ ენათა მრავალ ფუძეში ხმოვანთა ნაზალიზაცია.<sup>3</sup> ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე საკმაოდ ხშირად დიდოურ ენებში (კაპუჭურ-ჰუნზიბურსა და ხვარშიულში<sup>4</sup>).

დასუსტების პროცესი უნდა შეხებოდა გრამატ. კლასის ნ თანხმოვან-საც ორმაგ კლასნიშნიან ფორმებში, როცა მის წინ გრამატ. კლასის აფიქსი-სეული მასალა ზის. ცხადია, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ნ-ს წინ მოქცეულ ხმოვანს ნაზალური ელფერი მიეღო,— ნაზალიზებულ ხმოვნად ქცეულიყო. ეფიქრობთ, ამ პროცესის შედეგია, მაგალითად, ნაზალიზებული ხმოვნების არსებობა ფუძეებში:

ხვარშ. ჰინ-ო-შ (საკ. ხვარშ.) $\leftarrow$ *ჰი-ნო-შ ‘ვაშლი’
ცენ-შ (ინხ. დიალ.) $\leftarrow$ *ცე-ნ-შ ”
კაპუჭ.-ჰუნზ. ცენ-შ $\leftarrow$ *ცე-ნ-შ ”

<sup>1</sup> ილ. ცერცერა გე, ანდიური ენის ფონეტიკის საკითხები: იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, ტ. V, გვ. 301.

ავტორი ორსავე შემთხვევაში ბ და რ თანხმოვნიან-პრეფიქსებს ფუძეს შეხორცებულ კლასნიშნებად მიიჩნევს.

<sup>2</sup> მაგალითად, ხვარშიულ ენაში IV გრამატ. კლასის რ ნიშნის ადგილას ჩვეულებრივ ლარის წარმოდგენილი. რ იშვიათად თუ შეინიშნება (გვაქვს ჩვენებით ნაცვალსახელებში).

<sup>3</sup> იხ. ტ. გუდა ვა, მესამე გრამატ. კლასის ნიშნის ერთი ვარიანტი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში: იბერ.-კავკ. ენათმეცნ., IV.

<sup>4</sup> ამ ჯგუფის ორ სხვა ერთეულში: ჰინ უ ხ რ ს ა და ლ ი დ ო უ რ შ ი ნაზალიზებული ხმოვნები არ მოგვეპოვება.

შდრ. დიდ. ჰე-ნე-შ <sup>1</sup>	‘ვაშლი.’
ანდ. ი-ნ-ჩი	”
ბოთლიხ. ი-ნ-ჩუ	”
არჩ. ა-ნ-შ	”
დარგ. ჰაი-ნ-ზ	”

ყველაზე სრული სახისაა დიდოური მასალა: ჰე-ნე-შ. ამ ფორმაში გრა-მატ. კლასის ორი აფიქსის გადმონაშთი შეინიშნება: ჰე- და ნე-<sup>1</sup>. ეს ნიშნები ნაკლებ ხელშესახებად, მაგრამ მაინც დაცულია საკ. ხვარშიული დიალექტის მასალაშიც: ჰიე-ო-შ←\*ჰი-ნო-შ.

ნ თანხმოვანი ცოცხალია ანდიურში: ი-ნ-ჩი; ბოთლიხურში: ი-ნ-ჩუ, არ-ჩიულში: ა-ნ-შ, დარგულში: ჰაი-ნ-ზ.

დიდოურისა და ხვარშიულის ჰე-, ჰი- პრეფიქსისეული მასალა ზოგ ენაში ცე-, ცი-ს სახით დაჩნდება. აღნიშნულ ერთეულებში ჰე და ც განვითა-რებული ბგერებია: პირველი—ხმოვნის ფშვინვიერი შემართვის ნიადაგზე<sup>1</sup>, ხო-ლო მეორე—ხმოვნის მაგარი შემართვის ნიადაგზე. ე, ი ხმოვნები გრამატ. კლასის ოდინდელი პრეფიქსის ხმოვნითი ელემენტებია (თანხმოვანი პრეფიქ-სისა დაკარგულია)... აღნიშნული პრეფიქსი მესამე კლასისა უნდა ყოფილიყო:

ჰე-ნე-შ←\*ჰე-ნე-შ... ჰიე-ო-შ←\*ჰი-ნო-შ.

გრამატ. კლასის მეორე ნიშანი ნე, გარდა დიდოური ენისა, ან გაქრო-ბის გზაზეა, ან თითქმის გამქრალია<sup>2</sup>. ამ აფიქსის ხმოვნითი ნაწილი დაცულია საკ. ხვარშიულ დიალექტში, მაგრამ თანხმოვანი ნ წინა ხმოვნის ნაზალობის სახითაა შემორჩენილი (ჰიე-ო-შ←\*ჰი-ნო-შ). ანდიურში, ბოთლიხურში, -არჩი-ულსა და დარგულში თანხმოვანი ნ შემონახულია, ხოლო ხმოვანი დაკარ-გულია: ი-ნ-ჩი, ი-ნ-ჩუ, ა-ნ-შ, ჰაი-ნ-ზ. სხვა ენებშიც, გარდა იმისა, რომ აღ-ნიშნული აფიქსის ხმოვნითი ნაწილი (ე, ი) სრულიად არ ჩანს. თანხმოვ-ნითი ნაწილიც წინა ხმოვნის ნაზალური ელემენტის სახითაა შემონახუ-ლი (შდრ. კაპუჭ. ცე-შ, ჰუნგ. ცე-შ, ხვარშ. ცე-შ, ცი-შ...), ჰინუბურ-ში, ხუნდურში, ანდიური ჯვალის უმრავლეს ენებშიც და სხვაგან არც ეს უკა-ნასკნელი ჩანს (შდრ. ჰინუ. ცი-ში, ცე-ში, ლოდობ. ი-ჩუ, კარატ. ცე-ჩე, ცე-მ-ჩე, ახვახ. ცე-ჩე, ბაგვალ. ცე-ჩ, ჰამალ. ე-შ-ი, ტინდ. ე-ჩ-ი... ხუნდ. შე-ჩ... ლაკ. ლეზგ. ი-ჩ, ქართ. ვა-შ-ლ-ი, მეგრ. უ-შე-ურ-ი, სვან. ჟი-ს-გუ...).

<sup>1</sup> შდრ. მსგავსი აღნაგობის მასალა: დიდ. ცო-ნო-ჩუ... აგრეთვე: ჰინუ. ცო-ცო-ცუ, ხვარშ. ცრანჩუ←\*ცრანჩუ←\*ცრანჩუ... ანდ. ცულუცა ‘ქათამი’. შდრ. ტ. ცულდავა, ქართულ-ხუნძური ლექსი-კური შეხვედრების შესახებ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 10, 1954.

<sup>2</sup> ნე ელემენტი შემორჩენა დიდოურში (ჰე-ნე-შ) განსაკუთრებით საინტერესო ფაქტია დიდოურ ენაში (ისე, როგორც ჰინუბურში, ხუნდურში, ლაკურში...) ნ-ს დასუსტება და ამ ნიადაგზე ს მ ო ვ ა ნ თ ა ნ ა ზ ი ა ც ი ა ა რ ა გ ვ ა ქ ვ ს (ნაზალიზებული ხმოვნები აქ საერთოდ არ მოგვეპოვება!). რაკი ასეა, ცხადია, გამორიცხულია შესაძლებლობა ეს ნ იყოს დეტრმინანტი სუფიქსის ნ,—დასუსტების გზით გადმოსული ძირული მასალის წინ და შემდეგ შექცევითი აროცესის (ხმოვნის დენაზალიზაციის) შედეგად კვლავ განვითარებული ნ-დ.

იქნებ დიდოურისათვის დეტრმინანტი სუფიქსის ნ-ს დასუსტება, გადმოსმა, ხმოვანთ. ნაზალიზაცია და სხვ. განვლილი საფეხური იყოს და ნე ამ ხანის გადმონაშთს. წარმოადგენდეს?

ამგარი დასკნისათვის ჯვრჯვერობით საფუძველი არა გვაქვს.

ხომ არ შეიძლება დეტრმინანტისული ნ დიდოურში დაუსუსტებლად იყოს გადმოსული ძირებული მასალის წინ?

ცხადია, დეტრმინანტისული ნ-ადგილს თუ გადმონაცვლებდა, მოსალლდნელი იყო

28. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII.

როგორც ვხედავთ, ამ ფუძეებში ჯერ III გრამატ. კლასის პრეფიქსი გვქონია, შემდეგ IV კლასის ნ-თანხმოვნიანი ნიშანი<sup>1</sup>, მომდევნოდ—ძირეული მასალა და ა. შ.

ტინდ.	მუ-ს-ა ← *მუ-ნ-სა	‘ხარი’
ბოთლიხ.	უ-ს-ა ← *უ-ნ-ს-ა	„
ახვახ.	უ-ჩა   ← *უ-ნ-ჩა	”
ხვარშ.	ცი-ს (საკ. ხვარშ.) ← *ცი-ნ-ს	„
	ცე-ს (ინხ. დიალ.) ← *ცე-ნ-ს	„
კაპუჭ.-ჰუნწიბ.	ცო-ს ← *ცო-ნ-ს	„
შდრ.: ანდ.	უ-ნ-ს-ი	„
ლაკ.	ნი-ც <sup>2</sup>	„

საანალიზო ერთეულთა შორის შედარებით სრული სახითაა წარმოდგენილი ტინდიური მასალა: მუ-ს-ა ← \*მუ-ნ-ს-ა. აქ გრამატ. კლასის ორი ნიშანი გამოიყოფა: მუ- და ნ-.

მუ- მიღებულია \*ბუ-საგან მომდევნონ ნაზალურ ხმოვანთან ბ- თანხმოვნის ნაწილობრივი ასიმილაციის ნიადაგზე: მუს-ა ← \*ბუს-ა<sup>3</sup>.

მუ- აფიქსი არა სრული სახით,— ბ თანხმოვნის გარეშე,— გამოიყოფა სხვა ენათა ფუძეებშიც; შდრ. ანდ. უ-ნ-ს-ი, ბოთლიხ. უ-ს-ა, ახვახ. უ-ჩა..., ხვარშ. ცი-ს, ცე-ს, კაპუჭ.-ჰუნწიბ. ცო-ს, ხუნძ. ო-ც-, დიდ. ი-ს, ჰინუს. ციი-შ. ზოგ ენაში, მაგალითად ლაკურში, ის სულ არა წარმოდგენილი. შდრ. ნი-ც ‘ხარი’.

გრამატ. კლასის მეორე ნიშანი -ნ ანდიურსა და ახვახურში. ამეამადაც მოგვეპოვება: შდრ. ანდ. უ-ნ-ს-ი, ახვახ. უ-ჩ-ჩა, სხვაგან კიდევ სრული გაჭრობის გზაზეა,— წინა ხმოვნის ნაზალიზაციის სახითოდ დაჩნდება ფუძეში. შდრ. ტინდ. მუ-ს-ა, ბოთლიხ. უ-ს-ა, ხვარშ. ცი-ს, ცე-ს, კაპუჭ.-ჰუნწიბ. ცო-ს.

მისი სწორედ ამ სახით გადმოსცდა (რაკი ნ-ს დასუსტება ამ ენაში არა გვაქვს), მაგრამ დამტკიცებას საჭიროებს: ბოლოვიდური ნ-ს ამგვარი გადმოსმა საერთოდ არის თუ არა დამახასიათებელი დიდოური ენისათვის?

— პასუხი დადგებითიც რომ იყოს, აუბსეჭლი დარჩება: რატომაა, რომ დიდოურსა და საკ. ხვარშიულში ნ-ს ხმოვნებიც აღლავს: ჰე-ნე-შ, ჰიო-შ-ჰე-ნო-შ. რატომ გვაქვს ეს ხმოვნები ამ სრულხმოვნიან ენებში, რომელთათვისაც ხმოვანთა თავმოყრა არ იყო დამახასიათებელი?

ჩვენ მიერ გამოყოფილი ნე, \*ნ-სა და მისთ. ასენის თვალსაზრისით მეტად საყურადღებო მასალას წარმოადგენს ზმნური ფუძეების ჩვენება (იხ. გვ. 443—446), სადაც ნ გარკვევით ძველი გრამატ. კლასის პრეფიქსია (და არა დეტრმინატორისეული გადმოსმული სუფიქსი).

\* აქ და შემდეგაც ნ ექსპონენტის IV გრამატ. კლასის ნიშანდ მიჩნევა პირობითია. პირობითად ჩება ის მანამ, სანამ არ დამტკიცებულა, რომ აღნიშნული ნ მიღებულია IV გრამატ. კლასის დ-საგან ან მისი მონაცემები ასეთი ფონეტიური გადასცდა არ დადასტურდება, ბუნებრივია, დაისცეს საკითხი: დადესტნურ ენებს ოდინდელ წარსულში ხომ არ ჰქონდათ V გრამატ. კლასი, რომლის ნიშანდ ნ იყო გამოყენებული? (მმ თვალსაზრისით შდრ. გვ. 443—447).

\* ამ ფუძეთა ძირის შემცველ სხვა ენათა მასალაში ხშირად ნ ან მისგან მიღებული რ არ მოიპოვება. შდრ.: ჰინუს. ციი-შ, ხუნძ. ო-ც-, დიდ. ი-ს, ბაგვალ., ჭამალ. მუ-ს-ა... აფხაზ. აცი-სარი.

<sup>3</sup> ტ. გუ და ვა, მესამე გრამატიკული კლასის ნიშნის ერთი ვარიანტი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში. იბერ.-კავკ. ენათმეცნ., IV, გვ. 140:

ზოგ ენაში კი ის სრულიად არ ჩანს: შდრ. დიდ. ი-ს, ბუნდ. ლ-ც, პინუბ. ჭიი-ში...<sup>1</sup>

გრამატ. კლასის აქ წარმოდგენილ ნ-ს თან უნდა ხლებოდა შტოვანიც, რაც დაკარგული ჩანს, ამაზე მიუთითებს ლაკური მასალა, სადაც ის შემსრული ხულია. შდრ. ნი-ც ‘ხარი’.<sup>2</sup>

ამგვარად, გრამატ. კლასის პირველი აფიქსი სრული საჭირო ტინტიურ-შია დაცული: მუ-, ←\*ბუ (მუ-ს-ა), მეორე—ლაკურში: ნი-(ნა-ც), ეს ორი აფიქსი წარსულში ერთად უნდა გვქონოდა ზემოთ საანალიზოდ წარმოდგენილ ყველა ნაზალიზებულ ხმოვნიან ფუნქცი. ყოველ მათგანში პირველად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ბ (→ნ)- თანხმოვნიანი აფიქსი (III კლასისა), შემდეგ—ნ თანხმოვნიანი აფიქსი (IV კლასისა), მომდევნოდ—ძირეული მასალა და ა. შ.

ამგვარი ალნაგობის ფუნქცი, ცხადია, სხვაც არა ერთი მოიპოვება. მათ აქ ვერ გამოვუდგებით<sup>3</sup>. უკვე წარმოდგენილი მაგალითებიც საკმარისი უნდა ჩანდეს იმის საჩერებლად, რომ გრამატ. კლასის ნიშანიც ორმაგად ნაწარმოებ ფორმებში ფაქტია.

საყურადღებოა, რომ მითითებულ მაგალითებში წარმოდგენილი ნიშნები ორივე ნივთის გრამატ. კატეგორიისა: ბ (→მ) და რ, ნ. ამავე დროს, მესამე გრამატ. კლასის ნიშანი ბ (→მ), როგორც წესი, წინ უსწრებს მეოთხე გრამატ. კლასის ნიშანს—რ-სა და ნ-ს, რაც იმაზე მეტყველებს. რომ ჯერ რ, ნ-ს გაქვავება მომხდარა, ხოლო შემდეგ ბ-სი. გამოდის, რომ გველი და ზოგი სხვა ცხოველი რ, ნ (IV კლასში ყოფილა, ხოლო შემდეგ ბ (III) კლასში გადასულა.

გრამატ. კლასის ნიშნების—ბ და რ, ნ-ს ან ბ და დ-ს მონაცემებია ერთსა და იმავე ფუნქცი ძირითადად გამოწვეული უნდა იყოს საკლასიფიკაციო (აღსანიშნი) ობიექტების გადაფასებით. სხვანაირი ახსნა შეუძლებელი ჩანს: ბ ნიშანი რ-სა და დ-ს ვერ შეენაცვლებოდა,—სხვადასხვა კლასის აფიქსებია, ამავე დროს, მათი ფონეტიკური ურთიერთ გადასვლაც არაა სავარაუდო.

ამგვარად, არის ყოველგვარი საფუნქციელი \*ბა-თი-კან→ბატკან) ფუნქცი ბა-თი... (ბა-ტ...) გრამატ. კლასის ორმაგ ნიშან მივაჩნიოთ.

ალნიშნული -თოც- ფუნქცი მოიპოვება დაღესტნის ანდოურ-დიდოურ ენებში; შდრ.:

კაპუქ. ტიგა მამალი თხა’, ‘ვაცი’

ჰუნშ. ტიგა ” ”

პინუბ., ხვარშ., დიდ. ტექა, ტიქა... (ინხ.) ” ”

ანდ. ბოთლის. კარატ. ახვაბ. ტუქა ” ”

ლოდ. ტუქა ” ”

ტინდ. ტუქა ” ”

ტინდ. ლოდ. ტუქა ფუნქცი მიღებულია ტუქა-საგან. (ტ. გუდავა)<sup>4</sup>.

<sup>1</sup> შდრ. მსგავსი მაგალითი: კაპუქ. ცაც-გა (←\*ცა-ნ-გა) და ანდიურ ქრათა ნი-ქჩ-ა, ნი-ქჩ-, ნი-ქუ, ნი-ქო, ბუნდ. ნა-ქო ‘მუხლი’ (იხ. გვ. 436).

<sup>2</sup> დაწვრილებით მათ შესახებ სხვა დროს გვექნება მსჯელობა.

<sup>3</sup> ტ. გუდავა, ტინდიური ენის ფონეტიკური მიმოხილვა. იბერ.-კავკ. ენათმეცნ., V, გვ. 339—340.

როგორც ვხედავთ, ამ ენებში საანალიზო ფუქსების მნიშვნელობა რამდენიმედ განსხვავებულია: გაღმოსცემენ არა თიკანს, არამედ მა მალ თხას, ვაცს. ამავე ღროს, ეს ფუქსები, როგორც ქართული თიკანი, ბა კლასიზის გარეშეა წარმოდგენილი. ძირეულ კ-ს ადგილას მათში გ, ქ ( $\rightarrow \dot{\zeta}$ ) გვაქვს; მეტია ა ბოლოებიდური ხმოვანი.

საანალიზო ფუქსები ასე შეიძლება დაიშალოს: ტი-გა, ტე-ქა, ტუ-ქა... აქედან ძირეულ მასალას გ-ა, ქ-ა წარმოდგენს, ტი, ტე, ტუ აფიქსები ჩანს<sup>1</sup>.

ძირეული გ, ქ გენეტურად ქართველურ ენათა კ-ს უნდა უქავშირდებოდეს. რა იძლევა ამგვარი ვარაუდის შესაძლებლობას?

არის რიგი შემთხვევები, როცა ქართველურ ენათა კ ძირის ადგილას ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში გ, ქ არის წარმოდგენილი. აქ შესაძლებელია ზოგ მათგანზე მივუთითოთ.

ქართ. ბა-რ-კ-ალ-ი — კაბუჭ. ცაც-გ-ა, ტინდ. ნი-ქუა (აქნ. ანლ.), ნი-ქუ-მეგრ. ბო-რ-კ-ი	ბაგვალ. ნი-ქუ, ლოდობ. ნი-ქუ, ხუნდ. ნა-ქო 'მუხ-ლი', ანდ. ნი-ქვო 'ფეხი' <sup>2</sup>
--	--

<sup>1</sup> საანალიზო ფუქსის ამგვარი დაშლისა და ფუქსედ გ, ქ-ს გამოყოფის შესაძლებლობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს დაღესტურ ენებში თხას თან დაკავშირებული ასეთი ფუქსები: ლაკ. წუქუ- 'დედალი თხა', 'თხა', ლიდ. ცეკი, ხვარშ. ჩიკი, ჩიკე, ბეკ, ჩუნჩიბ.. ჩიკე 'თიკანი'... ტინდ. წიკარ, წიკერ, წახურ. ოქწიგ, ტაბას. წიპ 'თიკანი', ხუნდ. წომ-ქო 'თხის ტყვია'.

აღნაგობის მიხედვით ეს სახელები ორი ფუქისაგან შედგენილი კომპონიტები ჩანს: წუ-ქუ, წომ-ქო, ცე-კი... წი-კარ, წი-კერ, რეწი-გ, წი-ჰ. წ, ც, ჩ-თანხმოვნიანი ფუქსები: ხუნდ. წ-ე 'თხა', ხუნძურის ანწუს. დიალექტ. ც-ამა (ჭადაქ.), ჩ-ამა (ტოხ.) 'ერთი წლის თიკანი', კაბუჭ. ც-ან, ჟუნს. ც-ან, ჟინურ. ც-ან, ხვარშ. ც-ან ლიდ. ჩ-ან, ჩ-ანია 'თხა', ...ტაბას. წ-ენი, წახურ. წ-ეც (შდრ. ქართ. ვა-ც-ი..., მეგრ. ო-ჩ-ი 'ვაცი!').

წარმოდგენილ ფუქსთა ძირეული მასალა ისტორიულად ერთგვარი უნდა ყოფილიყო ტაბას. წ და წახურ. წ იგივეა, რაც ხუნძური წ. დიდოური ჯგუფის ენებშიც ხუნძური წ-ს. კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი ც არის (ხუნძურ წ-სა და დიდოურ ენათა ც-ს შესატყვისობის შესახებ ის. ტ. გუდავა, დ. იმანაშვილი, ე. ლომთაძე, ზ. მაკომედეკოვა და ი. ცერ-ცვაძე, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ბერძათშესატყვისობისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად-ენათმეცნიერების ინსტიტუტის III (IX) სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1952).

<sup>2</sup> ნ ი-ქ ჲა და მსგავს მაგალითებში ნი- გრამატ. კლასის არეფიქსია, ასევე, ცაც-ც (ცაც-გა). ამ უკანასკენში თავკიდური თანხმოვანი დაკარგულია, ც-განვითარებული (ა ხმოვნის მაგარი. შემართვის ნიადაგზე). ისევე, როგორც ქართვ ბა-რ, ბო-რ (ბა-რ-კალ-ი, ბო-რ-კ-ი) ცაც-ც ორ-მაგი აფიქსია: ცაც-ცა-ნ. (ცაც-გა—ცა-ნ-გა...). ტინდ. ლოდობ. და ბაგვალ. ნი-ქუ მიღებულია, ნი-ქუ-ა-საგან (შდრ. ტინდ. ნიქუა, აგრეთვე, მრავლობითის ფორმები: ტინდ. და ბაგვალ. ნი-ქუ-ბე, ლოდობ. ნუქა-ბე ← ნუ-ქუ-ბ-ტ. აღნიშვნული ენათა ნი-ქუ-ა კანონზომიერი შესატყვისია. ანდ. ნი-ქუ-ო-სი, რამდენადაც ამ ენათა ა-ს შესატყვისად ანდიურში ო ხმოვანია (ი. ცერცვაძე). ამ ო-ს ფარდი ჩანს ხუნდ. ო-ც (ნა-ქო). ასახსნელია ხუნდ. ა-სა და ანდიურ ენათა ო-ს შორის (ნაქო—ნიქო) მიმართება.

აღნიშვნული ა, ო სუფიქსისებული მასალა ჩანს; საფიქრებელია, ფუქსის მაწარმოებელი აფიქსის (დეტერმინანტის) ხმოვნითი ელემენტი იყოს. ძირეულია ქ, მისი თანმხლები უ-ქ-ს ამოსავალი ლაბიალური ქ-ს (ქი) დელაბიალიზაციის შედეგად განვითარებული ბერძაა (ქი უ-ქ-ში).

ქართ. კვ-ამ-ლ-ი <sup>1</sup>	ხვარშ.	დიდ.	გუტი	‘კვამლი’ (ტ. გუდავა)
შეგრ. კ-უმ-ა	ჰინუხ.	ქუტი (← გუტი)		
	ტინდ.	ქაუნი (← *ქაუნი ← ქაუნი)	“	
	შდრ.	ანლიდ.	ქაუნი)	“
ქართ., მეგრ. კე-ნ-ჭ-ი	—	თუნძ.	გა-მა-ჭ- ‘ქვა’ (ნ. მარი)	
სვან.	კუ-რე-ჭ- ‘კენჭხედ	კაპუჭ.	გა-მა-ჭ- ‘დიდი ქვა’	
	დიდი წრევალი ქვა’	ჰინუხ.	გა-მა-ჭ- <sup>2</sup>	”

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ამოსავალი გ უნდა იყოს: ქართველურ ენებში ის კ-ს იძლევა (გ→ქ) <sup>3</sup>, ანდიურ-დიდოურ ენებში — ქ-ს (გ→ქ)... .

ამგვარად, ვფიქრობთ, რომ არაა შეუძლებელი ქართველურ ენათა -თიკ-ფუძის ძირეულ კ-ს ანდიურ-დიდოურ ენათა ტი-გა, ტუ-ქა, ტე-ქა, ტი-ქა-ს ძირეულ გ, ქ-სთან ჰქონდეს საერთო.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ფუძებში გ, ქ-ს ა ხმოვანი ახლავს (ტი-გა, ტუ-ქა, ტე-ქა...). ის დეტერმინანტი სუფიქსის კუთვნილება ჩანს.

რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა ამ ძირების თანხმელებ თავსართებს: ტე, ტი, ტუ-ს?

ისინი IV გრამატ. კლასის გაქვავებულ პრეფიქსებს უნდა წარმოადგენდნენ. ამ აფიქსთა თანხმოვანი ელემენტი ტ მიღებული ჩანს დ-საგან (ტი←დი, ტუ←დუ, ტე←დე), განხსვავებული ხმოვნები ერთი და იმავე მასალის დიალექტურ მოდიფიკაციას წარმოადგენს:

წარმოდგენილი პრეფიქსების ამგვარი კვალიფიკაციის დროს ორი საკითხია გასარკვევი:

<sup>1</sup> ქართ. კვ-ამ-ლ ფუძეში ძირეულ კ-ს ვ თანხმოვანიც ახლავს. მას ჩევენ ძირეულ მასალასთან ერთად გამოყოფთ, რამდენადაც კვ ღდინდელი ლაბიალური კ-საგან (კვ) მიღებულად მიგვაჩინია (უკანაენისმიერთ ღდინდელი ლაბიალურობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 423);

<sup>2</sup> კენჭ-, კურეჭ, გამაჭ ფუძები კომპოზიტებია: კე-ნ-ჭ, კუ-რე-ჭ, გა-მა-ჭ-ქართვ. კვ იგივე ჩანს რაც დაღესტრური გა-. ქართ.-მეგრ. ნ-ჭ კომპლექსში ხმოვანი ჩავარდნილია, სვანურსა და დაღესტრურ მასალაში ის დაცულია. შდრ. კუ-რე-ჭ, გა-მა-ჭ, აგრეთვე, ხუნძური მა-ჭ-იუ ‘კაჭი’. ძირეულ თანხმოვანს ჭ წარმოადგენს და ის ქართველურ-დაღესტრური ენების საერთო მასალა ჩანს. შდრ.:

ღოღობ. ჭა-მუ ‘კაჭი’, ან-ჭა ‘ქვა’... ქარატ. ან-ჩა (← ანჭა), ახვახ. ინ-ჭა, ბაგვალ. ან-ჩუ-ა (← ან-ჭუ-ა) ‘ღიდი ქვა’, ტინდ. ან-ჩუ (← ან-ჭუ—ან-ჭუ-ა) ‘ღიდი ქვა’ (მასალა ალებულია შრომებიდან: ტ. გ უ დ ა ვ ა, მესამე გრამატიკული კლასის ნიშნის ერთი ვარიანტი ხუნძურ-ანდიურდიდოურ ენებში, გვ. 141. A. დ ი რ პ, მათემატიკური და მათემატიკური ენების საერთო მასალა ჩანს).

<sup>3</sup> წამყენებული დებულების თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ ზოგ ძველისტველ ნასესხებ სიტყვაშიც ქართველურ ენათა კ-ს ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში გ, ქ ცვლის:

ქართ. კატა — კაპუჭ.	გედო	‘კატა’
მეგრ. კატუ	ანდ.	გედუ
	ბოთლ.-ღოღობ.	გედუ (მრ. გიღება-ბი)
ახვახ.	ქეთუ	”
ბაგვალ.	ქითუ	”
ხუნძ.	ქეთო	”

გ- თანხმოვანი დაცული ჩანს აფაზურშიც: ა-ც-გიგ-(აშხ.) ‘კატა’.

\* შდრ. აქვე, გვ. 419—420.

1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში IV გრამატ. კლასის ნიშნად ამჟა-  
მად რ გვაქს (დალესტნის სხვა ჯგუფის ენათა დ-ს ადგილას!). გვქონდა თუ  
არა ამ ენებში დ თანხმოვანი IV გრამატ. კლასის ნიშნად?

2. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენების მხ. რიცხვები ცხოველები მესამე  
გრამატიკულ კლასშია წარმოდგენილი (ბ ნიშნით გადმოიცემა). ისტორიულად  
იყო თუ არა ცხოველები (კერძოდ, თხა) IV გრამატ. კლასით გადმოცემული,  
რომ თხის სახელის ფუძეში ამ კლასის ნიშანი გაქვავებულიყო?

დავიწყოთ პირველი საკითხიდან. დ-თანხმოვნიანი აფიქსი (მომდევნო  
ხმოვნითურთ) IV გრამატ. კლასის ნიშნად, მსგავსად დალესტნის ლაკურ-  
დარგული და ლეზგიური ჯგუფის ენებისა (ლაკური, არჩიული, დარგული,  
წახურული, რუთულური...). ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენებისათვისაც დამა-  
ხასიათებელი უნდა ყოფილიყო. ასეთი დებულების წამოყენების საფუძველს  
იძლევა სახელების, ზმნებისა და ზმნებისართების ფუძეებში გაქვავებულად წარ-  
მოდგენილი სათანადო მასალა. საილუსტრაციოდ. ჩვენ აქ ზოგ მაგალითზე  
მიღუთითებთ.

1. ხუნძ. უა-ყა, ხვარშ. უეწუ-ლ' (ხვაინ. კვანტლ.), ხეწუ-ლ' (—უეწუ-ლ'  
საკ. ინბოყვ.), ჰინუხ. უიქ'უ || უე-წუ, დიდ. უაჭუ-ლ' 'დღეს'.

ბოლოკიდური -ლ', რაც ჰინუხურსა და ხუნძურში არ მოგვეპოვება,  
აფიქსს წარმოადგენს.

გამოიყოფა საერთო თავკიდური მასალა: უა-, უე-, უი-. ძირეულ მასა-  
ლას ხუნძურში ყა- წარმოადგენს, დიდოურ. ენებში—კ-უ. ამას მოწმობს 'შემ-  
დეგი:

1. ხუნძურში დღის აღმნიშვნელია ყო ('დღეა'), რაც თავის მხრივ, რო-  
გორც გარკვეულია, მზის აღმნიშვნელ ფუძეს უკავშირდება (ბა-ყ 'მზე' — \*ბა-  
ყო. ბა- ნიეთის კლასის ნიშანია).

აღნიშვნული ყო მიღებული ჩანს ყუ ა-საგან (ისე, როგორც \*ბელო || \*ბალო  
'მზე' ფუძეში ღო—ღუ-ა-საგან. შდრ. ქართ. ბ-ლუ-არ)<sup>1</sup>, ეს უკანასკნელი კა  
\*ყა-საგან (ლაბიალური ყ+ა). უა-ყა-ს ყა-ც ან ყუ ა-საგანაა მიღებული (შუ-ს  
დაჭარგვის ნიადაგზე) ან ყა-საგან და, ამგვარად, იგივე ძირი ჩანს, რაც ყო  
'დღე' და ყ (ბა-ყ 'მზე').

2. ხუნძურ ყ-ს შესატყვისად დიდოური ჯგუფის ენებში კ ან მისი ვარი-  
ანტი კ' გვაქეს<sup>2</sup>. შდრ.:

ხუნძ. ბა-ყ 'მზე' — დიდ. ბუ-ე, ხვარშ. ბუ-კ, ბუ-კ (საკ. ინხ.), ჰინუხ.  
ბუ-კ, კაბუჭ. ბო-კ, ჰუნზიბ. ბო-კ.

ხუნძ. ყო-გო 'ოცი' — დიდ. კუ, ხვარშ. კუ-ნა (საკ. ხვარშ.), კუ-ნო,  
ჰინუხ. კ'უ; კაბუჭ. კო-ნო, ჰუნზიბ. კუ.

ხუნძ. ყედ 'კედელი' — დიდ. კ-ი-დო, ხვარშ. კვ-ოდ (ხვაინ.), კ-ოდ  
(სანტლ. კვანტლ.), კ-ედ (საკ. ინხ.), კ-ა-დ (საკ. ხუნზიბ.), ჰინუხ,  
კ-ეშუ, კ-ეშუ (— \*კ-ეშუ—\*კ-ეშუ—  
კ-ედუ)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ეტიმოლოგია ქართული ტერმინებისა „ბლუარი“, „სამხრ-  
ოი“: იბერ.-კავკ. ენათმეცნ., V, გვ. 67—70.

<sup>2</sup> ალსანიშვნია, რომ ეს შესატყვისობა დაცულია თვით მზის სახელშიც.

<sup>3</sup> იხ. ტ. გუდავა, დ. იმნაიშვილი, ე. ლომთაძე, ზ. მაჭომედ ბეკოვა და  
ი. ცერცვაძე. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ბეჭრათშესატყვისობისათვის, ენათმეცნიე-  
რების ინსტიტუტის III (IX) სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები,  
1952.

აშავე ტროს, ხუნძური ო-ს შესატყვისად ლიდოური ჯგუფის ენა-კილო-ებში ო, უ გვაქვს; შდრ.:

ବ୍ୟୁନ୍ଦ.	ଫାତୁମ୍ପି.	ଶ୍ରୀ ନଥିବ.	କାଳିଶ.	ଶିଳ୍ପି
କିମ୍ବର୍ତ୍ତମ	କେଲ୍ଲ'ଶ	କେଲ୍ଲ'ଶ	କେଲ୍ଲ'ଶ	କେଲ୍ଲ'ଶ
ନୂଳ'ଶ	କୁଲ୍ଲ'	କୁଲ୍ଲ'	କୁଲ୍ଲ'	—
କିମ୍ବର୍ତ୍ତମ	ନୂପର	ନୂପର (←ନୂପର)	ନୂପର (←ନୂପର)	ନୂପର
ପୁଗର	ପରନା (କାହିଁ) କୁ		କୁରନା, କୁରନା	କୁ
ମନ୍ତ୍ରି (← *ମନ୍ତ୍ରିଃ)	ମନ୍ତ୍ରି	ମନ୍ତ୍ରି	ମନ୍ତ୍ରି (← *ମନ୍ତ୍ରିଃ)	ମନ୍ତ୍ରି

१८०८.

ତେଲୁ'ୟ	'ସାଙ୍ଗାରକ୍ଷେତ୍ରି'
ବୁଲ୍ଲ'ର	'ଘୁମିନ'
ବୁପି	'ତାତ୍ତ୍ଵିଲି'
କୁ	'ନବି'
ଦୁପି	'ମିତରାର୍ଜ'

ასე, რომ ხუნისურ ყო-ს შესატყვევის ფუძედ ლილოურ ენა-კრლოებში მოსალოდნელი იყო გვერბოდა კუ, ან კ'უ. ასეცაა:

ხუნდ. ყო ‘ღღე’ ( $\leftarrow$ ყა. შლრ. ყა-ყა) — ხვარშ. ეფ-ტუ-ლ<sup>1</sup>, პინუს. ქბ-კ-ლ<sup>2</sup>,  
დიდ. ყა-ხუ-ლ<sup>3</sup>

ରୁ ଫ୍ରାନ୍କ୍‌ଫ୍ରିଡଶାନ୍ଦ ଏଣ୍ଟାନ ପ୍ରା- , ପ୍ରେ- , ପ୍ରୋ- ତାଙ୍କୁ କାହାରଙ୍କେ ଦେଖିଲା?

ისინი მეოთხე გრამატ. კლასის ნიშნებია

დღის გადმომცემ სახელში გრამატ. კლასის ნიშანი მოსალოდნელია, აღმოჩნდეს, რაյო გარკვეულია, რომ ამ ენგბში ის ოდინდელი მზის სახელია, რომელსაც გრამატ. კლასის ნიშნები ახასიათებდა.<sup>1</sup> ძირეული მასალა მათ წარმოდგენილია დ,—IV კლასის ნიშანი, მზისაში კი ბ,—III კლასის ნიშანი (შდრ. ხუნდ. ბა-ყ, დიდ. ბუ-ჭ, ხვარშ. ბუ-ჭ...). ძირითადად ამ ნიშნებითაა (შდრ. ხუნდ. ბა-ყ, დიდ. ბუ-ჭ, ხვარშ. ბუ-ჭ...). ძირითადად ამ ნიშნებითაა (შდრ. ხუნდ. ბა-ყ, დიდ. ბუ-ჭ, ხვარშ. ბუ-ჭ...). ძირითადად ამ ნიშნებითაა (შდრ. ხუნდ. ბა-ყ, დიდ. ბუ-ჭ, ხვარშ. ბუ-ჭ...).

დღის აღმნიშვნელ სიტყვას გრამატ. კლასის ნიშანი შემონახულია აქტებში კართველურსა და აღილეურ ენებში.<sup>2</sup> შედრ.

ଜୀବନତ.	ର-ର-୦
ଶାନ.	ର-ର-୦୩, → ର-ର-୦
ସଙ୍ଗାନ.	ରୁ-ରୁ-ରୁ
ପୂର୍ବାଧାର୍ଣ୍ଣ.	ରୁ-ରୁ-ମୁନ୍ତ୍ରେ <sup>2</sup>

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ეტიმოლოგია ძეველი ქართული ტერმინებისა „ბლუარი“, „სამხარი“, პ. 67, 69.

2 933, 33. 69.

ამგვარად, შე-კუ-ლ<sup>1</sup> და მსგავს ხუნძურ-დიდოურ ენათა მასალაში ეკ, უ, უ IV გრამატ. კლასის დ-ს ფარდი ნიშნებია: მიღებული ჩანან დე-, დი-, და-საგან.

2. ან დიური ჯგუფის ენებში რაოდენობითი რიცხვითი სახელების მაწარმოებელ სუფიქსად წარმოდგენილია -და; შდრ.:

ბოთლიბ.	ბაგვალ.	კარატ.
კე-და 'ორი'	ჰაბ-და 'სამი'	კე-და 'ორი'
ინლ'-ი-და 'უქვისი'	ბეშენ-და 'ასი'	ლ'აბ-და 'სამი'
ჰატეუ-და 'შვილი'	აზარ-და 'ათასი'	ინშთუ-და 'ხუთი'
ჰაჭა-და 'ცხრა'	—	ჰატეუ-და 'შვილი'
აბვაბ.	ჭამალ.	ტინდ.
კე-და 'ორი'	ბეცო-და 'ოთხი'	ლ'აბ-და 'სამი'
ატეი-და 'შვილი'	ინსუ-და 'ხუთი'	ჰატეუ-და 'შვილი'
ბიტეი-და 'რვა'	ანლ'-ი-და 'ექვისი'	ბიტეი-და 'რვა'
ბეშანო-და 'ასი'	აჭა-და 'ცხრა'	ბეჭენ-და 'ასი' <sup>2</sup>

დიდოური ჯგუფის ენებში, გარდა ხვარშიულისა, 'ერთის' გად-მომცემი ფუქე ერგატივისა და ირიბ ბრუნვებში, ასევე, მსაზღვრელად ყოფნისას ერგატივისა და ირიბი ბრუნვების წინ ჩეულებრივ წარმოდგენილია სიტყვა წარმოების დ-სუფიქსით. აღნიშნული დ-სუფიქსი გვხვდება: აგრეთვე ერთის ფუძისაგან ნაწარმოებ სახელებშიც. მაგალითები:

სახელ. ბრ.	ერგატ. და ირიბ. ბრ.
კაპუჭ. ჰო-ს	ს-იდ...
ჰუნწიბ. ჰა-ს	ს-გდ...
ხვარშ. ჰო-ს (ინხ. ღიალः)	—
ჰა-ს (საკ. ხვარშ.)	—
ჰინუხ. ჰე-ს	ს-ედ...
დიდ. სი-ს	—

ქილაური სიდ ჰალტეა ჰოს რაჭუა 'ქლიავი ერთ ტოტე' ერთი (ერთი ცალი) მოძის'. სიდილ-ჰოს 'ერთბანეთს', 'ერთს—ერთი' (სიტყვა-სიტყვით)... ჰოსდი 'ერთნაირი' (ტლად.)... ს გდ ბაზარლიტე მაყოლ', ყავრა ჰარვეშ დარვეშ ცან-წანლო 'ერთ ბაზარში ომ მივიღნენ, მათ ერთი მეწამლე ნახეს'... ბედდო ცილე ბაიბიხილ ბურრ მრჩე ბულ'ა ირგად: ს გდი—ჰასუნ, ს გდი—ჰასუნ

(საკ. ხვარშ.), ჰინუხ. ლ'ტ-ე-დე (—\*ლ'იე-დე...), დიდ. ლ'უ-დი (—\*ლ'უ-ი-დი—\*ლ'იი-დი...), კა-ბუჭ. უოდო (—\*ლუოდო—\*ლიოდო...), ჰუნწ. უალპ (—\*ლტადა—\*ლტადა) 'დლე'. აღნიშნულ ფუქებში როგორც ძირის მომდევნო, ისე ბოლოვიდური დეტერმინანტისეული ხმოვნები შესა-ტყვისებს წარმოადგენე (მოპყვებინ დიდოური ჯგუფის ენა-კილოთა შორის არსებულ ფონ-ტიკურ კანონს, რომლის მიხედვით საკ. ხვარშ. ა, ინხოყვრული დიალ. ო, ჰუნწიბ. ბ, კა-ბუჭ. ე, ჰინუხ. ე და დიდ. ი კანონზომიერად შეესატყვისებან ერთმანეთს). ამოსავალი მათ-თვის ა-ხმოვნიანია (იხ. გვ. 442).

<sup>1</sup> А. Дибр, Материалы для изучения языков и наречий англо-иранской группы, 1909.

„...შემდეგ ჩვენ ვიწყებთ მიწის მოხვნას რიგრიგობით: ერთს—ერთხელ, ერთს—ერთხელ“. სედის ლი ბად ცოქრო ‘ერთი ისა ეს ფული (ჰუნზ.)... სედი დიქ ნელიშ ჰეს კილოჩე გენი ‘ერთმა მე მომცა ერთი კილოგრამი მსხალი’. სედეზ თოლი! ‘სხვას მიეცი!‘ („ერთს მიეცი!“). სედა რეკუს ‘ერთი კაცი ის’. (ჰინუხ.).

კაპუჭურ-ჰუნზიბური სიდ, →სედ მიღებული ჩანს სიდი-საგან, ჰინუხური სედ—სედი-საგან. შდრ.:

სახ.	ერგა ტ.	ნათეს.	მიც.
კაპუჭ.	ჰოს ‘ერთი’	სიდი	სიდი-ს
ჰუნზიბ.	ჰას „“	სედ-ლო (←სედი-ლო)	სედი-ს
ჰინუხ.	ჰეს „“	სედი-ე	სედე-ზ

მაშ, მსგავსად ანდიური ენებისა, და დიდოურ ენებშიც ხმოვნიანი აფიქ-სია: დ←დი.

დიდოური ჯგუფის ენებში, ორგორც წესი, რაოდენობითი რიცხვითი სახელების მაწარმოებლად -ნა, -ნო, -ნუ, -ნე, -ნი, -ნ სუფიქსები გამოდიან, და-თანხმოვნიანი აფიქსი გარდა ‘ერთი ის’ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელისა, არსად არ გაგვაჩნია:

კაპუჭ.	ჰუნზიბ.	ხვარშ.	ჰინუხ.	დიდ.
ყო-ნა ‘ორი’	ყა-ნუ	ინხოყვ. დიალ. საკ. ხვარშ.	ყ‘ო-ნი (კვან.)	ყ‘ე-ნო
			ყ‘ვი-ნე (ხვაინ.)	ყა-ნო
			ყ‘უ-ნე/ი (ინხ.)	
			ყ‘ეე-ნე (სანტლ.)	
ლ‘ა-ნა ‘სამი’	ლ‘ო-ნო ჰოო-ნო	ლ‘ო-ნა	ლ‘ო-ნო	ლ‘ო-ნო
ოყე-ნა (ხაშ.) ‘ოთხი’	ცოყე-ნ	ცუცუე (სანტლ., საკ: ინხ.)	ცუცუე-ნ	იუ-ნო
ცოცენა (ტლად.) „		ცუცე-ე (კვანტლ.)		
ცოცონა (ზექ.) „		ცუ-ცე (ხვაინ.)		
ლ‘ი-ნა ‘ხუთი’	ლ‘ი-ნო	ლ‘ი-ნო (ხვაინ.)	ლ‘ე-ნა ლ‘ე-ნო	ლ‘ე-ნო
			ლ‘აგ-ნო (სანტლ.)	
			ლ‘აგ-ნო (ინხ.)	
			ლ‘უ-ნო (კვანტლ.)	

ხუნძურ ენაში მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელის მაწარმოებლად გო გამოდის:

კი-გო ‘ორი’	ანწ-გო ‘ათი’
ლ‘აბ-გო ‘სამი’	ყო-გო ‘ოცი’
შუ-გო ‘ხუთი’	ნუს-გო ‘ასი’
ანლ‘ა-გო ‘ექვსი’ ...	აზარ-გო ‘ათასი’

ამის შემდეგ ბუნებრივია, საკითხი დაისგას: რაღაა გენეტურად ეს -და, -დი სუფიქსები; რაც ჩვეულებრივ ანდიურ ენებსა და ზოგჯერ (კერძოდ, „ერთი ის“) აღმნიშვნელ რიცხვით სახელთან) დიდოურ ენებშიცაა წარმოდგენილი?

არის თუ არა ის იმავე რიგის აფიქსი, როგორიცაა ხუნძური -გო და დიდოურ ენათა -ნა, -ნო და მისთ?

-გო-ს რიგის აფიქსი ისტორიულ-ზე ის არაა. ჩ-თანხმოვნიან აფიქსება-თან მას შეიძლება ბევრი რამ საერთო ჰერნდეს თავდაპირველი ფუნქციის ხაზით, მაგრამ სანამ ამ უკანასკნელის ისტორია არაა გარევეული, გადაკრით რისამე თქმა შეუძლებელია. თვით -და, -დი-ს შესახებ კი შემდეგი უნდა ითქვას:

დაღლესტნის ლაკურ-დარგული და ლეზგიური ჯგუფის რიგ ენაში რიცხვითი სახელები მსაზღვრელად გამოყენებისას გრამატ. კლასის ნიშნებს დაირთავენ, მათ შორის დ-საც, რაკი ეს უკანასკნელი ამ ენებში მოქმედი (ცოცხალი) აფიქსია; შდრ.:

ლ-კ. ცა-ე-ა 'ერთი'	კი-ვა 'ორი'	არულ-ვა 'შვიდი'
ცა-რა	კი-რა	არულ-და (←...რა)
ცა-ბა	კი-ბა	არულ-ბა <sup>1</sup>
ა რ ჩ. მოწორსე-ა-უ 'თერთმეტი'	უჭა-უ 'ცხრა'	ვიწა-უ 'ათი'
მოწორსე-ა-რუ	უჭა-რუ	ვიწა-რუ
მოწორსე-ა-ბუ	უჭა-ბუ	ვიწა-ბუ
მოწორსე-ა-ტუ (←...*დუ)	უჭა-ტუ (←...*დუ)	ვიწა-ტუ <sup>2</sup> (←...*დუ)
ა რ ჩ. ტუ(←-დუ) აფიქსი რუ-ს ცვლის, — IV გრამატიკული კლასის ნიშანა.		

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში რიცხვითი სახელების სიტყვაწარმოებით აფიქსად წარმოდგენილი დ (შდრ. -და, -დი...) იგივე ოდინდელი IV გრამატ. კლასის განზოგადებული ნიშანია,—შემორჩენილი ამ ენებში სიტყვა-წარმოების ფუნქციით (მეოთხე გრამატ. კლასის ნიშნის განზოგადება მითითებულ ენებში, როგორც ცნობილია, კანონზომიერი მოვლენაა!).

რაღაა ხმოვნები ა, ე..., რომელიც დ-ს თან ახლავს (-და, -დი)?

ის იმავე რიგის ოდენობაა, რაც ლაკურსა ან არჩიულში გრამატ. კლასის ნიშნებს ახლავს; შდრ.:

არულ-ვა, არულ-და, არულ-ბ-ა 'შვიდი'
უჭა-უ, უჭა-რუ, უჭა-ბ-უ, უჭა-ტ-უ 'ცხრა'

წარმოდგენილი ახსნის საფუძველზე ნათელი ხდება დიდოური ჯგუფის ენებში „ერთის“ გამომოსაცემად არსებული ორი განსხვავებული ფუძის წარმომავლობისა და აგებულების საკითხიც.

კაბუჭ. ჰო-ს, ჰუნზიბ. ჰა-ს (ინხ. დიალ.), ჰა-ს (საკ. ხვარშ.), ჰინუბ. ჰე-ს... ფუძეებში თავკიდური ჰო-ს, ჰა-ს, ჰო-, ჰა-, ჰე- ჰეფიქსისეული მასალაა. მათში ხმოვნები გრამატ. კლასის ნიშნის ნარჩენია<sup>3</sup> (ისინი მატერიალურად ა ხმოვნისაგან მომდინარეობენ და ერთმანეთის კანონზომიერ შესატყვისებს წარმოდგენენ. იხ. გვ. 440). ჰ თანხმოვანი კი მითითებულ ხმოვანთა ფშეინვერი შემართვის შედეგად განვითარებული ბევრაა. ძირეულ მასილას ხ წარმოადგენს. აღნიშნული ხ- თანხმოვანი იგივე მასალაა, რაც ხ- ელემენტი.

<sup>1</sup> ვ. თოფურია, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში, ს. 176—177.

<sup>2</sup> А. Дибр, Арчинский язык, 1908, გვ. 40, 51.

<sup>3</sup> შდრ. არჩიული თ-ცს, თ-სს-ან, თ-სს-უ-შ-, რ-, ბ-, ტ 'ერთი' (იხ. А. Дибр, Арчинский язык, გვ. 43—45, 172).

ფუძეებისა: ს-ი-დი, ს-უ-დი, ს-ე-დი. ამ უკანასკნელთა ხმოვნები: ० (→) — ე დე-ტერმინანტის კუთხინილება ჩანს, მასალობრივად ერთმანეთის კანონზომიერი შესატყვისი ხმოვნებია<sup>1</sup>. -დ-ც(←-დი, დე) ოდინდელი გრამატ. კლასის სუფიქ-სია. ამგვარად, სახელობითის ფორმები და ერგატივისა და ირიბი ბრუნვის ფუძეები ერთი და იმავე ძირისაგან არიან ნაწარმოები: პირველი—გრა-მატ. კლასის პრეფიქსის საშუალებით (რაც ამჟამად არასრული სახით და-გაქვავებულადაა წარმოდგენილი), მეორე—გრამატ. კლასის სუფიქსის საშუ-ალებით (რაც ამჟამად სიტყვაწარმოების ფუნქციის მატარებელია). ერთი—როცხვით სახელებში გრამატ. კლასის პრეფიქსული წარმოების დროის ნაშ-თია, ძველი ფაქტია, მეორე—სუფიქსური წარმოების დროისაა, ახალი ფაქ-ტია (გრამატ. კლასები ამჟამად, ჩვეულებრივ, სუფიქსებით იწარმოებიან და-ლესტნურ ენათა რაოდენობით რიცხვით სახელებში!).

აღსანიშნავია, რომ მითითებული ს-ს ან ამ უკანასკნელის შესატყვის-ც, ს-, ჩ- და სხვა ძირების შემცველ ‘ე რ თ ი ს’ აღმნიშვნელ ფუძეებს და-ლესტნურ ენებში გრამატ. კლასის ნიშანი სუფიქსის სახითა აქვთ დაცულია უქმი სუფიქსი ზოგჯერ შემონახულია უსრული სახითაც,—თანხმოვნის გა-რეშე):

ხუნდ.	ც <sup>2</sup> -ო <sup>2</sup>	‘ერთი’	ლოდობ.	ს-ე-ტ, -ა, -ბ	‘ერთი’
ლაპ.	ც-ა-ვა, -რა, -ბა <sup>3</sup>	”	ბოთლიბ.	ს-ე-ტ (ი), -ა, -ბ (ი)	”
ანდ.	ს-ე-ტ, -ა, -ბ, -რ	”	კარატ.	ს-ე-ტ, -ა, -ბე	”
ტინდ.	ს-ე-ტ, -ა, -ბ (-ბა)	”	ახვაბ.	ჩ-ე-ტე, -აე, -ბე	”
ჭამალ.	ს-ე-ტ, -ა, -ბ	”	ბაგვალ.	ს-ე-ტ, -ა, -ბ	”
არჩ.	ო-სს, ო-სს-ან	”	ლეზგ.	ს-ა-დ	”
მ-სს-უ-ტ, -რ, -ბ, -ტ <sup>4</sup> .	შდრ. მოწორ-	ტაბას.	ს-ა-ბ		
ს-ე-ა-ტუ, -რუ, -ბუ, -ტუ ‘11’	შდრ.	ს-ა-დ    ს-ა-რ			
(„ათი-ერთი“)		”	ს-ა-დ, -ბ		
წახურ.	ს-ა. შდრ. მიწა-ს-ა-რ,	”	ხინალულ.	ს-ა	
	-ბ, -დ ‘11’ („ათი-ერთი“)	”	უდური	ს-ა	
რუთულ.	ს-ა-დ, -რ, -ბ	”			

3. დიდოური ჯგუფის ენებში ერთი და იგივე მარტივი ფუძე მიცვა-შია მნიშვნელობისა სამი სახითაა წარმოდგენილი. ერთი თ-თავსართიანია, მეორე—ნ-თავსართიანი და მესამე უნიშნო,—ც-თი დაწყებული.

<sup>1</sup> იხ. აქვე, გვ. 419—420.

<sup>2</sup> დიდოური ჯგუფის ენათა ს თანხმოვნის ხუნდ. ც-სთან შესატყვისობის შესახებ, ასევე ხუნდ. ც-სა და ანოდურ ენათა ს-, ჩ-ს შესატყვისობის შესახებ იხ. ტ. გუდავა, დ. იმნაიშვილი, შ. ლომთაძე, ზ. მაპომედგერვა, ი. ცერცვაძე, სუნდურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ბგერათშესა-ტყვისობისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის III (IX) სამეცნ. სუსიის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1952.

<sup>3</sup> შდრ. კართული ც-ალ-ი (იხ. არნ. ჩ იქ-ობავა, სიტყვა „ზოგი“-ს ეტიმოლოგიისა-თვის, ენიმკი-ს მთამბე, I, გვ. 52).

<sup>4</sup> როგორც გედავთ, არ ჩ იუ ლ შ ი მოიპოვება როგორც კლასიანი, ისე უკლასნიშნო-მასალაც. უკლასოთაგან ას ს ფუძეა კლასინიშნიანებისა (ოსს-უ-ტ...). ცალკე დგას ნ-იანი ფორმა: მასალაც. აღსანიშნავია, რომ ‘ერთის’ გადმომცემი რიცხვითი სახელის საწარმოებლად ნ-სუ-ო ს ს-ა ნ. აღსანიშნავია, რომ ‘ერთის’ გადმომცემი რიცხვითი სახელის საწარმოებლად დალესტნურ ფიქსი გარდა არჩიულისა არ ჩანს არც ერთ დალესტნურ ენაში, მათ შორის თვით დიდოურ ფიქსიც კი, სადაც ნ-იანი აფიქსებია რაოდ. რიცხვითი სახელების მაწარმოებელი.

თ-თავსართიანი ფორმები გვხვდება ხვარშიულში, ჰინუხურსა და დი-დოურში, არ გაგვაჩნია ის კაპუშურ-ჰუნზიბურში. ნ-თავსართიანი ფორმები გვხვდება ყველა დიდოურ ენაში, გარდა ხვარშიულისა. ამ უკანასკნელში ნ დაკარგულია და მის ადგილას ც არის განვითარებული (ხმოვნის წინ). ამ-გვარად, ამ ენაში ორი ფორმა ზმნისა მაინცაა გარჩეული: გვაქვს თ და ც თავსართიანი ფორმები. ორივე ჰირვანდელი ფორმა, როგორც თ-თანხმოვნიანი, ისე ნ-თანხმოვნიანი დაცულია ჰინუხურსა და დიდოურში.

ფუნქციის მიხედვით თ-თავსართიანი ფორმები გაღმოსცემენ მიცე-მას,—გამოიყენებიან იმ შემთხვევაში, როცა ირიბ აბიექტად მესამე პირია წარმოდგენილი (სულ ერთია, რომელ რიცხვშია ის, ან რომელ კლასში):

ხვარშ.	თი-ლ'-ა (საკ. ხვარშ.)	'მისცა'	თი-ლ'-ა	'მიცემა'
	თი-ლ'-ი (ხვაინ.)	"	თი-ლ'-ბ	"
	თუ-ლ'-ი (საკ. ინხ.)	"	თუ-ლ'-ბ	"
	თი-ლ'-ი (სანტლ.)	"	თი-ლ'-კ	"
	თუ-ლ'-ი (კვანტლ.)	"	თუ-ლ'-ბ	"
ჰინუხ.	თო-ლ'-იი-შ	"	თო-ლ'-ა-ე-აზ	"
დიდ.	თე-ლ'-სი	"	თე-ლ'-ა <sup>1</sup>	"
	(←*თელ'-ი-სი)	"		

ნ- და ←-ც-თავსართიანი ფორმები გაღმოსცემენ მოცემას,—გამოიყენებიან იმ შემთხვევაში, როცა ირიბ აბიექტად I და II პირია წარმოდგენილი: ხვარშ. ცი-ლ'-ა (საკ. ხვარშ.) 'მომცა', 'მოგცა' ცი-ლ'-ა 'მოცემა'

ცი-ლ'-ი (ხვაინ.)	"	"	ცი-ლ'-ა	"
ცი-ლ'-ი (საკ. ინხ.)	"	"	ცი-ლ'-ა	"
ცი-ლ'-ი (სანტლ.)	"	"	ცი-ლ'-ა	"
ცი-ლ'-ი (კვანტლ.)	"	"	ცი-ლ'-ა	"
ჰინუხ. ნე-ლ'-იი-შ	"	"	ნელ'-ა ...	"
დიდ.	—	—	ნელ'-ა <sup>2</sup>	"

კაპუშურ-ჰუნზიბურში, როგორც აღვნიშნეთ, თ-თავსართიანი ფორმები არ მოიპოვება,—ნ-თავსართიანი ფორმები გაღმოსცემენ მიცემასაც და მოცემასაც,—გამოიყენებიან როგორც I და II პირის, ისე III პირის ირიბი აბიექტის გაღმოსაცემად (მიუხედავად რიცხვისა და კლასისა):

კაპუშ. ნი-ლ'-ი-რო (ხაშ., ტლად.) 'მომცა', 'მოგცა', 'მისცა'—ნი-ლ'-ალ 'მიცემა', 'მოცემა'

ნი-ლ'-ი-ო (ბეჭ.)	"	"	—ნი-ლ'-ალ	"
ჰუნზიბ. ნე-ლ'-ა-რ	"	"	—ნელ'-ა <sup>2</sup>	"

<sup>1</sup> ხვარშიულსა და ჰინუხურში ეს ზმნა გაყიდვის მნიშვნელობითაც იხმარება, მაგრამ ეს მეორეულია.

<sup>2</sup> ხვარშიულში, ჰინუხურსა და დიდოურში, როგორც ვხედავთ, მიცემა ზმნას I და II პირის ფორმები გარჩეული აქვთ III პირის ფარმისაგან. განსხვავებას ქმნის თავსართები: თ-და ნ- (ც). თ მესამე პირთან იხმარება, ნ (ც) I და II პირთან: ამის მიხედვით შეიძლებოდა კაცს ეთქვა: თ ირიბი აბიექტის III პირის ნიშანია, ნ (ც) ირიბი აბიექტის I, II პირისაო. ვინიცობაა ამგვარი ვითარება გვენებოდა ზმნათა ერთ რიგში მაინც, შეიძლებოდა აღნიშნულ წევებში პირის ნიშნების არსებობაზე გვეთქვა.

აღნიშნული ფაქტი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ თვალნათლიც გვიჩვენებს რა გზით:

თავკიდური თო-, თი-, თგ-, თუ-, თე- აფიქსებია. ამაზე მიუთითებს ხვარ-შიული ფორმები: ცილ'ა (საკ. ხვარშ.), ცილ'ი (ინხოყვ.) ‘მომცა’, ‘მოგცა’, ნ- თავკიდურიანი წარმოება. და, ბოლოს, ამ ზნის სრულიად უპრეფიქსო ფორმა ხუნძურისა: ტე-ზე ‘მიცემა’.

პრეფიქსები თო-, თგ-, თუ-, თე- მატერიალურად ერთი და იმავე მასალის სახესხვაობას წარმოადგენს და მორფოლოგიურად ტოლფარდი ჩანან ნი-, ნგ-, ნე-სი. ნი-ს რიგისაა ცი- ელემენტიც (ცი-ლ'-ა, ცი-ლ'-ი), ოლონდ აქ ძველი თავკიდური ნ თანბმოვანი დაკარგულია და მის ადგილას ც არის განვითარებული. მატერიალურადაც აღნიშნულ აფიქსთა ხმოვნები ერთი და იგივენი ჩანან. განსხვავებული თუ- მიღებულია თი-საგან (შდრ. თუ-ლ'ი ‘მისცა’—ცი-ლ'-ი ‘მომცა, მოგცა’...). ხოლო თო-—თე-საგან (შდრ. ჰინუხ. თოლ'იი-შ ‘მისცა’—ნელ'იი-შ ‘მომცა’, ‘მოგცა’, თოლ'ა-ე-აზ—ნელ'ა ‘მიცემა’).<sup>1</sup> თანხმოვნითი ელემენტების სხვაობა, ხოლო ხმოვნითი ელემენტების იგივეობა ჩვეულებრივია გრამატ. კლასის ნიშნებისათვის საერთოდ დიდოურ ენებში.

ფუძეთა ძირეულ თანხმოვანს ლ' წარმოადგენს. გარდა ზემოთ გამოყოფილი აფიქსებისა ამაზე მიუთითებს ხუნძური მასალა, საღა-ც ძირეულია ტა (ტე-ე-ზე). ხუნძურ ტა-ს დიდოური ჯგუფის ენა-კილოებში ლ' შესატყვი-სება. შდრ.:

- ხუნძ. ანტიგო ‘შვილი’ — დიდ. ცო-ლ'-ნო, ხვარშ. ცო-ლ'-ა (საკ. ხვარშ.), ცო-ლ' (ინხოყვ. დიალ.), ჰინუხ. ცო-ლ'-ნო, კა-ჰუჭ. ცა-ლ'-ნი, ჰუნზ. ცო-ლ'-ნუ
- მიტეგო ‘რევ’ — დიდ. ბი-ლ'-ნო, ხვარშ. ბა-ლ'-ა (საკ. ხვარშ.), ბა-ლ' (ინხ. დიალ.), ჰინუხ. ბე-ლ'-ნი, კაპუჭ. ბე-ლ'-ნა, ჰუნზიბ. ბე-ლ'-ნა, ბა-ლ'-ნო.
- ბეტიზე ‘ხვნა’ — დიდ. ბი-ლ'-ა, ხვარშ. ლო-ლ'-ა (ხვაინ.), ლო-ლ'-ა (ინხ. სანტლ. კვანტლ.), ლა-ლ'-ა (საკ. ხვარშ.), კაპუჭ. ბო-ლ'-ალ, ჰუნზიბ. ბა-ლ'-ა.
- ტიინ ‘ზამთარი’ — ხვარშ. ცი-ლ'-ნო (ხვაინ.), ცუ-ლ'-ნუ (კვნტლ.), ცე-ლ'-ნუ (საკ. ხვარშ.), ინხ. ცინუხ. ცი-ლ'-ნე // ცე-ლ'-ნო, კა-ჰუჭ. ლ'-ილმა (ხაშ. ბეჟ.), ლ'-ინე // ლ'-ილმა (ტლად.), ჰუნზიბ. ლ'-ინი // ლ'-იმო.

ამგვარად, უდავოა, რომ საანალიზო ფუძეში ძირეულ მასალის ლ' წარმოადგენს, ხოლო თი-, თგ-, თუ-, თე- ისე, როგორც ნი-, ნგ-, ნე... IV

---

შეიძლებოდა გრამატ. კლასის პრეფიქსული ნიშნები პირთა გამასხვავებელ ნიშნებად ჩამოყალიბებულიყო, —პირის ნიშნებად ქცეულიყო. ამავე დროს, ის მაგალითია იმისიც, რომ გრამატ. კლასის ნიშნების ამგვარად გამოყენების შემთხვევაში I და II პირი შესაძლებელია ერთად მოექცეს, ხოლო მესამე—ცალენ.

<sup>1</sup> ის სხვაობა, რაც აქ წარმოადგენილ სხვადასხვა მასალაში ხმოვნთა შორის არსებობს კანონმიერია ამ ენების ხმოვანთა შორის არსებოლი შესატყვისობის მიხედვით: ხვარშიული ენის ინხოყვ. დიალექტისა და კაპუჭურ-ჰუნზიბურის ი (→ ე)-ს, ხოლო საკ. ხვარშიული ი | ე-ს ჰუნზიბისა და დიდოურში ე შესატყვისება (იხ. ზემოთ, გვ. 419—420).

<sup>2</sup> ის. ტ. გუდავა, დ. იმანიშვილი, ე. ლომთაძე, ზ. მაკომედევოვა და ი. ცერცვაძე, ხუნძურ-ანდოურ-დიდოურ ენათა ბევრათ შესატყვისობისათვის (თეზისები).

გრამატ. კლასის პრეფიქსებია (შდრ. კარატ. ბ-თავსართიანი ფორმა: ბ-ექცე  
მივეცი', ბოთლიხ. იქნა 'მიცემა'... სადაც ძირეული მასალა ისტორიულად  
იგივე ჩანს, რაც დიდოურ ენათა ლ': ლ'—ქა...). გაქვავებულ პრეფიქსად სხვა  
აფიქსი, გარდა გრამატ. კლასისა, დიდოური ჯგუფის ენებში არაა მოსალოდ-  
ნელი,—ისტორიულად ზმნას პრეფიქსად მხოლოდ გრამატ. კლასის ნიშანი  
ჰქონდა.

გამოყოფილ პრეფიქსთა თ თანხმოვანი დ-საგან მომდინარე ჩანს (თ←დ):  
ეს უკანასკნელი მომდევნო ფშვინვიერი ლ'-ს გავლენით უნდა იყოს დაყრუე-  
ბული: თი-ლ'-ა←\*დი-ლ'-ა... წარმოდგენილ მასალაში მეოთხე გრამატ. კლა-  
სის ეს ნიშნები მათი განხოგადების საფუძველზე შემორჩენილი ნიშნებია...<sup>1</sup>  
მიცემა ზმნა წარსულში გრამატ. კლასებს განარჩევდა.

როგორც ვხედავთ, IV გრამატ. კლასის დ ნიშანი ზმნაშიც დასტურ-  
დება.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში ისტორიულად IV გრამატ. კლასის  
დ ნიშნის არსებობის დასამტკიცებლად კიდევ მრავალი მაგალითის წარმო-  
დგენა შეიძლება. ჩვენ აქ სხვაზე ვერ შევჩერდებით<sup>2</sup>.

ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი მასალაც კი გარკვევით მიუთითებს  
იმაზე, რომ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენა-კილოებში ისტორიულად მეოთხე  
გრამატ. კლასის ნიშანად დ გვქონდა.

ამის შედეგ გასარკვევი რჩება მეორე საკითხი: რამდენად შესაძლებე-  
ლია დაყუშვათ დ კლასის ნიშნის არსებობა ცხოველის სახელში?

ცნობილია, რომ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში, როგორც წესი, ცხო-  
ველი მესამე კლასშია,— ბ ნიშნით გადმოიცემა. ამიტომ, თითქოს, მართლაც,  
მოსალოდნელი იყო ცხოველის სახელის ფუქეში ბ ნიშანი გვქონდა გაქვავე-  
ბული. ჩვენს საანალიზო ფუქეში ასე არაა: ნიშნად დ (IV კლასის ნიშანი)  
გვაქვს. გამოღის, რომ ცხოველი (მამალი თხ) IV კლასში შედიოდა. იყო თუ  
არა ასე?

არის ფაქტები, რომელნიც მიუთითებენ, რომ ცხოველი არა მარტო მე-  
სამე კლასში შედიოდა, არამედ მეოთხეშიც (მაგრამ უსულო საგნებთან ერთად  
ორსავე შემოხვევაში!). ასე, მაგალითად:

1. მეოთხე გრამატ. კლასის დ და მისი კორელატი რ გაქვავებული სა-  
ხით გვხვდება ცხოველთა სახელებში. შდრ.:

ბოთლიხ. თ-ნ-წა (←\*და-ნ-წა) ჭიანჭველა'

ხუნძ. წუ-ნ-წარა (←\*დუ-ნ-წ-რა)

1 შდრ. მსგავსი მასალა სახელებშიც:

ხუნძ. (ანწუხ. დიალ.): დ უ-რ-ს, კაპუჭ. დ უ-რ-ს ა (ბეჭ.), ჰინურ. დ უ-რ-ს ა 'სიძე'.

და ხუნძ. (ანწუხ.) ნ უ-ს 'რძალი'.

დ უ-რ-ს... და ნ უ-ს' ფუქები ერთმანეთთან ისეთსავე მიმართებაში ჩანს, როგორშიც  
ხუნძ. ვ ა-ც-ა-ც 'ძმა', 'და', ვ ა-ს—ვ ა-ს' 'ვაჟიშვილი', 'ქალიშვილი' და მისთ. ამ მასალის მი-  
ხდებით, თითქოს, არაა შევალებელი დ და ნ ისევე განხვავებული კლასის ნიშნები იყოს; რო-  
გორც დ და ა. ალნიშვნული ნ-სტებური კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ნ თავსართებს ნ უ ს'-ის ტი-  
პის სახელებში: ხუნძ. ნა-ქო 'ზუბლი'... ანდ. ენების: ნი-ქუა, ნი-ქუ, ნი-ქუ, ნი-ქო 'მუხლი'... ლაკ.  
ნი-ც 'ზარი'... ლეზგ. ნა-სუ 'ყველი'...

2 საკითხი დაწყრილებით სპეციალურ წერილში გვექნება. წარმოდგენილი

დიდ. რე-ც-ენ<sup>1</sup>

ჰუნწიბ. ჰუ-ც-ო<sup>2</sup>

მეოთხე გრამატ. კლასის ოდინდელი დ-ს შემცვლელი ექსპონენტები: რდა ნ გვეხვდება ისეთ ფუქტებში, რომელთაც გრამატ. კლასი გარკვევით ორ-შაგად აქვთ ნაწარმოები:

ა. კამალ. ბე-ჩა (← ბე-ქა) — ხუნძ. ბო-რო-ხა (← ბო-რო-ქა ← ბო-რო-ქა), ანდ. ბე-რ-ჩა (← ბე-რე-ჩა ← ბე-რე-ქა) ‘გვი-ლი’ (დაწყრ. იხ. გვ. 432).<sup>3</sup>

ამგვარი აგებულებისა უნდა ყოფილიყო ანდ. ჰო-რ-ჭინ ‘ლეკული’, ასევე, კარატ. ჰე-რ-კუჭ-ა, ანდ. ჰი-ნ-კუ (← ჰი-ნ-კუ), ბოთლიბ. ჰი-ნ-კუჭ-ა, ახვახ. ი-ნ-კუ-ტი (← \*ი-ნ-კუ-ატი), ხუნძ. ჰუ-ნ-ქა (← \*ჰუ-ნ-კუ), კაპუჭ. ცა-ყო (ტლად. ← \*ცა-ნ-ყო), ჰუნწიბ. ცა-ყო (← \*ცა-ნ-ყო) ‘თაგვი’...<sup>4</sup> (დამატებით იხ. გვ. 434—435).

საკითხის გადასაწყვეტად ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საყურადღებო შემდეგი ფაქტი:

მამალი ცხვარი ამეამად ანდიურ ენებში ბ (III) კლასშია, მაგრამ ამ ცხოველის სახელის ფუქტები IV გრამატ. კლასის რ ნიშანია გაქვავებული:

ბოთლიბ. რი-ხა ‘მამალი ცხვარი’ ‘ფარა ცხვრისა’

ღოღობ. რი-ხა ” ” ”

კარატ. რი-ჰა ” ” ”

რი- რომ აფიქსური მასალაა, დასტურდება დიდოურ ენათა უპრეფიქსო ფორმებითა და კომპოზიტებით. შდრ.

კაპუჭ. ხ-ო-ხ (მრ. ხ-ო-ხ-ბო) ‘მამალი ცხვარი’

დიდ. ბეტ-ღუ ” ” ”

ხვარშ. ბეტ-ყუ (საკ. ხვარშ.), ბეტ-ყუ (ინხ., სანტლ.),

ბეტ-ყუ (ხვაინ., კვანტლ.) ” ” ”

ჰინუხ. ბეტ-ყუ ” ” ”

ისტროიული თვალსაზრისით დიდოური ფუძის ღ-უ (ბეტ-ღუ) და სხვა-თა ყ-უ. იგივე ძირის შემცველი ჩანს, რაც ანდიურ ენათა ხ-ა და კაპუჭური

<sup>1</sup> ბოთლიბური და ხუნძური მასალა მომაწოდა ტ. გუდამ, ხოლო დიდოური — დ. იმნა-რშვილმა, რისთვისაც მათ მაღლობას მოვაჩენება.

<sup>2</sup> შდრ. ქართ. ჰინჭველი — ← \*დი-ნ-ჭვ-ელ-ი, ქართ. ფუ-ტ-კ-არ-ი და სხვ., სადაც გრამატ.: კლასის ნიშნად დ (→ ტ) გვაქვს!

<sup>3</sup> ხუნძურ ფუქტები რი ბო-რო-ხ) ილ. ცერცვაძეს გრამატ. კლასის ნიშნად აქვს მიჩნე-ული, ანდიურში ამავე ფუნქციის აფიქსად -რე-ს გამოყოფს (\*ბე-რე-ქა —> ბე-რ-ქა —> ბე-რ-ჩა). ული, მისი: ანდიური ენის ფონეტიკის საკითხებისათვის: იბერ.-კავკ. ენათმეცნ., გვ. 277, იხ. მისი: ანდიური ენის ფონეტიკის საკითხებისათვის: იბერ.-კავკ. ენათმეცნ., გვ. 277, 300—301.

<sup>4</sup> შდრ. არჩ. ნო-ყ-ონ ‘თაგვი’; აგრეთვე, კაპუჭ. ცა-ყ-ო (ჩაშ. ბექ.), ხვარშ. ცა-ყ-ვ-ა (საკ. ხვარშ., სანტლ.), ცა-ყ-ვ-ა (ხვაინ., ინხ., კვანტლ.), ჰინუხ. ცა-ყ-ვ-ე, დიდ. ცა-შ (→ ცა-ყ-შ-ი)... ლაქ. კ-ულუ, ‘თაგვი’... დამატებით იხ. ტ. გ უ დ ა ვ ა. ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრების შესახებ, გვ. 706.

<sup>5</sup> რ-ს ინარჩუნებს. მრ. რიცხვის ფორმებიც: ბოთლიბ: რი-ხ-ე, ღოღობ. რი-ხ-ე, კარატ; რი-ჰ-ე-ვ-ე.

-ხ-ო (ამოსავალი სწორედ ლ-თანბმოვნიანი ოდენობა უნდა ყოფილიყო: \*ლა—ხა—ხო—ხო...).

ბეტ-ხ-, ბუტ-ხ- ფუძე მატერიალურად სხვა რიგის ფუძეა: ძირად აქ ფა გამოიყოფა: ბე-ტ-ხ-, ბუ-ტ-ხ-. ბე- გრამატ. კლასის ნიშანია. ეს ფუძე მა-მალი ცხვრის გადმოსაცემად ცალკეც გვხვდება დიდოურ ენებში. შდრ:

ხვარშ. ბე-ტ-ხ (საკ. ხვარშ.) ‘დაკოდილი ბი-ტ-ხ (სანტლ.) ‘ცხვრის ფარა’  
მამალი ცხვარი’

დიდ. ბე-ტ-ხ ”

მეოთხე გრამატ. კლასის რ პრეფიქსი დასტურდება მამალი ცხვრის ახ-ვახურ სახელშიც: რუ-ცაუ (ნიშანავს ცხვრის ფარასაც). სხვა ანდიურ-დიდო-ურ ენებში ის ბ კლასითა შეცვლილი. შდრ:

ბაგვალ. ბე-ცაურ ‘მამალი ცხვარი’ ‘ფარა ცხვრისა’

ჭამალ. ბო-ცა-ტ-დან ” ” ”

ტინდ. ბო-ცა-არ ” ” ”

კაპუჭ. ბო-წი ’ცხვარი’, ” ” ”

აქ წარმოდგენილ რ-პრეფიქსიან მაგალითებში, ჩენი აზრით, ისეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე, როგორიც ლაქურის დუშ ('გოგო', 'ქალიშვილი') ფუძეშია დადასტურებული: გოგო, ქალიშვილი ლაქურში ამჟამად მესამე გრამატ. კლასშია მოქცეული, მაგრამ მათი აღმნიშვნელი სახელის ფუძეში მე-ოთხე გრამატ. კლასის და ნიშანია გაქვავებული<sup>1</sup>.

შეიძლება ეჭვი გაჩნდეს: საანალიზო სახელები მამალი ცხვრის გარდა ცხვრის ფარასაც გადმოსცემენ. იქნებ ამ სახელების პირველადი მნიშვნელობა ეს უკანასკნელი იყოს და, შესაბამისად ამისა, რ პრეფიქსი მრ. რიცხვის II კლასის ჩვეულებრივი ნიშანი იყოს, —ცხვოველებისთვის რომაა გამოყენებული?

ასე არ ჩანს. ანდიური ჯგუფის სხვა ენებში: ბაგვალურში, ჭამალურში, ტინდიურში, ასევე, ახლობელ დიდოურ ენებში: კაპუჭურ-ჰუნწიბურში, ხვარ-შიულში ცხვრის ფარისათვის ბ კლასინშინით წარმოდგენილი სახელებია გამო-ყენებული, რაც მხოლოდითი რიცხვის III გრამატ. კლასის ნიშანია. ამგვარი ფორმების პირვანდელი დანიშნულება, როგორც აქედან ჩანს, უნდა ყოფი-ლიყო მამალი ცხვრის (მხოლოდითი რიცხვის სახელის) აღნიშვნა და არა ცხვრის ფარისა.

მსგავსად ამისა, რ-თანხმოვნიანი მასალაც თავდაპირველად მხოლობი-თისა უნდა ყოფილიყო. ცხვრის ფარის აღსანიშნად ის შემდეგ უნდა იყოს გამოყენებული. გარდა აღნიშნულისა ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ საანა-ლიზო ფორმებს მრავლობითი რიცხვის ნიშანი არ გააჩნიათ, მხოლობითის ფორმებს წარმოადგენენ (ისეა, როგორც ქართულში გვაქვს: ცხვარი ‘ერთი ცხვარი’—ცხვარი ‘ცხვრის ფარა’)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იბ. ვ. თოფურია, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში; გვ. 180.

ся группой языков) он естественно обязан владеть этим языком (языками), чтобы быть в состоянии самостоятельно не только анализировать данный текст, разбираться в грамматических формах, но и уметь «экспериментировать» (переводить единственное число во множественное, действительный залог в страдательный, где такой имеется, воспроизводить падежи имен, времена глагола, подбирать к имени грамматический класс и. т. д.), — словом, знать язык не только теоретически, но и практически, интимно чувствовать систему языка. Список слов и фраз, парадигмы склонения и спряжения, составляемые путем опроса, естественно, не могут рассматриваться, как серьезное исследование языка.

Инженер по образованию, П. Услар ясно представлял себе задачи историко-сравнительного языкоznания, то новое, чем оно отличалось от донаучных сравнений языков. В этом отношении характерны суждения П. Услара о том, какое место занимает изучение грамматического строения языка, как должен анализироваться словарь.

«В прошлом веке и в первой четверти нынешнего — пишет П. Услар, — считалось возможным доставить понятие о языке посредством сборников слов. Теперь на составление их можно смотреть, как на невинное и приятное препровождение времени, в роде гранильника или подбиранья стишков на заданные рифмы»<sup>1</sup>.

«Кто хочет трудиться на пользу [сравнительного языкоznания], тот должен обратить внимание на исследование грамматического строения языка или на подготовление материалов для такого исследования»<sup>2</sup>. «Грамматические исследования, подлежащим образом направленные, открывают возможность собирания материалов для настоящего *сравнительного словаря*. Ни сходство, ни разность слова в сравниваемых языках ничего не доказывают. Сходство можно приписать заимствованию; разность — разнообразию выражения одного и того же понятия, как-то: *собака* и *пес*, *конь* и *лошадь*... Сравнивать должно корни слов. Если слово заимствовано из чужого языка, то оно не имеет корня в почве, на которую пересажено; так, напр., фотография, фотографический, фотографировать, фотограф, но корня этого слова в русском языке нет»<sup>3</sup>.

«Отыскывание корней не всегда легко; большую частью невозможно открыть их иначе, как сравнительными исследованиями нескольких родственных языков. Один язык помогает другому...»<sup>4</sup>. «Сшейте сотню сборников [слов] вместе, из них не выйдет и тени похожего на сравнительный словарь!»<sup>5</sup>.

П. Услар подчеркивает, что не словарный состав, а грамматика определяет лицо языка: «В официальной переписке времен Петра Великого русский язык паводнился иностранными словами. Известные нам сборники

<sup>1</sup> П. Услар, Об исследовании кавказских языков (1862 г.) — см. Чечен. яз., стр. 132. Разрядка наша — А. Ч.

<sup>2</sup> Там же, стр. 16.

<sup>3</sup> Там же, стр. 17.

<sup>4</sup> Там же, стр. 18.

<sup>5</sup> Там же стр. 18.

непременно приняли бы этот язык за ветвь латинского или французского или голландского, и не знаю какого, но он все-таки был русский: слова-приемчиши склонялись, спрягались, располагались, развивались по-русски. Филолог не усомнился бы признать этот язык за русский. Итак, главнейшая особенность языка заключается не в мертвой материи его [имеется в виду словарь—А. Ч.], а в Грамматике. Может ли какой-либо язык не считаться за язык потому только, что в нем половина слов заимствована из другого? Заимствована ли в нем также и половина чужой грамматики? Если это действительно так, то язык этот *несмыслинное диво*, вроде сиамских близнецов»...<sup>1</sup>.

Столь ярко выраженные формулировки П. Услара не нуждаются в пояснениях: принципиальные установки историко-сравнительного изучения языков представлялись П. Услару с полной ясностью.

В понимании сущности языка П. Услар стоял на позициях натурализма, впервые обоснованного А. Шлейхером в 1850 г. (в работе «Сравнительно-лингвистические исследования», ч. II.); чувствуется также влияние идей В. Гумбольдта.

В подтверждение сказанного приведем лишь несколько выдержек: «В каждом языке есть два элемента: во-первых, корни слов, звуки, мертвая материя, — во-вторых, духовная сила, которая оживляет эту материю, пронаикает ее насквозь, делает ее способною к выражению всех видоизменений человеческой мысли. Посему каждый язык есть вполне органическое целое, запечатлен характером совершенства. Жизненная сила проявляется в бесконечном разнообразии живых существ, животных, растений; точно также: жизненная сила слова проявляется в бесконечном разнообразии языков; жизненную силу, напр., растений наука смысля раскрыть, следя за нею во всех ее бесконечно-разнообразных проявлениях; жизненную силу слова наука тщится разъяснить, следя за нею в бесконечном разнообразии языков. Эта наука есть *сравнительное языкознание*»<sup>1</sup>. Все это — в духе В. Гумбольдта, которого П. Услар считает основателем сравнительного языкознания (повторяя в данном случае неверную мысль, разделяемую многими языковедами и поныне). Данные положения П. Услара представляют ныне лишь исторический интерес.

«Для филолога [=лингвиста—А. Ч.] нет языка незанимательного, подобным образом, геологу окаменелая раковина, отпечаток водоросля повествуют о тайнах землездания»: <sup>2</sup> это — положение натурализма; и в этом положении точка зрения сравнительного языкознания («сравнительной филологии», как его часто называли) противополагалась точке зрения филологии, изучавшей один лишь письменные языки (в первую очередь, древние, классические, языки, древне-греческий и латинский).

Считая язык народа источником истории народа, П. Услар писал: «Но ни языка, ни местности подделать нельзя. Это суть правдивые, неисчерпаемые выводами летописи; таковыми летописями обладают все кавказские народы, как и все народы на земле»<sup>3</sup>. «Язык невозможно подделать» —

<sup>1</sup> Там же, стр. 16. (Разрядка наша—А. Ч.). См. также стр. 49.

<sup>2</sup> Там же, стр. 15.

<sup>3</sup> Письмо к А. Берже от 26 марта, 1859 г.—Чеч. яз., стр. 7.

это известное положение А. Шлейхера—было им высказано в 1850 году. Воззрения инженера П. Услара стояли на уровне достижений современного ему историко-сравнительного языкознания.

Изучением языков Кавказа интересовался и Кавказский Отдел Географического Общества, основанный (как это отмечено в начале данной статьи) в 1851 г. Отдел этот обратился в 1853 году в С.-Петербургскую Академию Наук с просьбой о «начертании программы для исследования столь важных в лингвистическом отношении языков и наречий Кавказа».

По поручению Академии программу составили академики І. Цегрен, Броссе, Дорн, Бетлинг и адъюнкт Шифнер.

Вопреки намерениям Отдела составить «сравнительные и полнейшие словари главнейших языков и наречий Кавказа», Академия Наук сочла «более полезными и более сообразными с требованиями современной науки—исследование и раскрытие самого грамматического состава языков и внутреннего их устройства». Предложение Академии Наук обсуждалось на заседании Кавказского Отдела 15 февраля 1855 года. По предложению члена Отдела И. А. Бартоломея вопрос был решен в пользу составления сравнительных словарей, и то—анкетным способом: возобладала установка времен Гюльденштедта-Палласа с «коррективом»: «вместо 200 слов включить в него примерно до 2000, и более». Составление Словаря было возложено на А. Берже. Было постановлено: «При издании словаря дать ему заглавие: «Сравнительный словарь главнейших Кавказских языков и наречий с присовокуплением их употребительнейших пословиц, поговорок, песен и проч. Из разных материалов, поверенных на месте, составил по поручению Кавказского Отдела И. Р. Г. Общества, А. Берже»<sup>1</sup>.

Подыскать заглавие для словаря было, конечно, несравненно легче, чем составить Словарь: лет пять спустя (18 марта 1860 г.) А. Берже официально просил освободить его от возложенной на него обязанности. Просьба была удовлетворена, но от намерения составить «сравнительный словарь»—анкетным способом путем перевода словарника—всех же не отказались: был «составлен Комитет» из действ. членов Отдела «И. А. Бартоломея, П. Ф. Риса, И. И. Григорьева и В. Г. Трирого娃 для составления нормального русского словаря, который должен быть принят в руководство при переводе его на туземные языки и наречия»<sup>2</sup>.

— В лице И. Бартоломея донаучное сравнительное изучение языков продолжало главенствовать в единственном научном учреждении Кавказа тех времен (в Кавказском Отделе Географического общества), когда П. Услар во всеоружии современной ему историко-сравнительной лингвистики закладывал основы научного изучения горских иберийско-кавказских языков. П. Услар—основоположник научного изучения горских иберийско-кавказских языков.

<sup>1</sup> Записки Кавказ. Отд. И. Рус. Геогр. Общества, кн. III (1855), стр. 251—5.

<sup>2</sup> Там же, кн. V (1862), II, стр. 70.

Из затеи И. Бартоломея, конечно, ничего не вышло. Но сама эта попытка любопытна (подробно об этом—особо). Восемнадцатый век в лице И. Бартоломея, кстати, сильно досаждал П. Услару в его исследовательской работе.

ପ୍ରାଚୀନ କବିତା ଓ ପ୍ରକଟଣାକାରୀ

ენა ომეცნიერების სახელმძღვანელო სომხურ ენაზე. Պրոფ. ქ. Բ. Աղայան  
«Հեղիսաբանության ներածություն», Երևան, 1952.

1950 წლის ზაფხულში გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე მოწყობილი დისკუსიისა და ი. ს ტალინის საენათმეცნიერო შრომების გამოქვეყნების შემდეგ საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა სათანადო სახელმძღვანელოს შექმნა. ახლად შექმნილი პროგრამის შესაბამისად 1952 წელს რუსულ ენაზე გამოიცა პროფ. არნ. ჩიქობავას შრომა „Введение вязыкознание“<sup>1</sup>, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დაშვებულია სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების სახელმძღვანელოდ.

1953 წლს გამოქვეყნდა ამავე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი ლ. ბუ-  
რთა ხორცის აკტორობით<sup>2</sup>.

1952 წელსვე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსცა პროფ. არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავლის“ მთლიანი კურსი ქართულ ენაზე”.

ამავე წელს ვ. მოლოტოვის სახელობის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სომხურ ენაზე გამოცემულ იქნა პროფ. ე. ა. ღაიანის „ენათმეცნიერების შესავლის“ მთლიანი კურსი ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის.<sup>4</sup>

სახელმძღვანელო, რომელიც საფუძვლიანად განსხვავდება 1949 წლის  
პირველი გამოცემისაგან, შეიცავს 632 გვერდს და შეიძი თავისაგან  
შედგება.

პირველ თავში (გვ. 9—113) დაწვრილებით განხილულია ენისა და ენათ-  
მეცნიერების ზოგადი საკითხები, როგორიცაა: ენათმეცნიერება და მისი ამო-  
ცნები, ენა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, ენა და აზროვნება, ენა,  
ცანები, ენა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, ენა, ცოცხალი და  
დიალექტი და უარგონი, სასაუბრი და სალიტერატურო ენა, ცოცხალი და  
მკურარი ენები, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და ნ. მარის ოთხელემენ-

<sup>1</sup> Проф. А. С. Чикобава, Введение в языкознание, часть I, Государственное  
учебно-педагогическое издательство Министерства просвещения РСФСР, Москва, 1952,  
даты 1953.

<sup>2</sup> Л. А. Булаховский, Введение в языкознание, часть II, 1953.

• ქ. ა. ბულახოვსკი, ვარნათმეცნიერების შესახალი, 1952.

ტოვანი ანალიზის მეთოდი, ენათმეცნიერების კავშირი მომიჯნავე მეცნიერებებთან და სხვ.

ენის სწორგადოებრივი ბუნებიდან ამოსვლითა და მარქსიზმის კლასიკო-სების ცნობილ დებულებებზე დაყრდნობით ავტორი ნათლად და დამაჯერებლად წარმოგვიღებუნს ენის თავისებურებებს, მის სპეციფიკას სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისა და ზედნაშენისაგან განსხვავებით. ანალიზს უკეთებს რა ენის განვითარების კანონზომიერებას და ენის უდიდეს როლს საზოგადოების ცხოვრებაში, ავტორი სწორად ასაბუთებს ძირითად თეზის იმის შესახებ, რომ საკომუნიკაციო ფუნქცია (ურთიერთობის საშუალებად ყოფნა) ესარის ენის რაობის განმსაზღვრელი ფუნქცია. საფუძვლიანადაა გაკრიტიკებული ნ. მარის არამარქსისტული ვულგარულ-მატერიალისტური დებულებები ენის ზედნაშენური ხასიათისა და ენის „კლასობრიობის“ შესახებ. და ბურჯუაზიულ ენათმეცნიერთა იდეალისტური შეხედულებანი ენის რაობისა და მისი განვითარების შესახებ. კრიტიკულადაა დაფასებული ამავე საკითხების გარშემო ფსიქოლოგისტურ-ინდივიდუალისტური მოსაზრებანი, ნატურალისტურ-ბიოლოგიური მიმართულებანი, სტრუქტურალიზმი, სოციოლოგიური სკოლისა და ე. წ. სემანტიკური იდეალიზმის წარმომადგენელთა შეხედულებანი.

ვრცლად არის დახასიათებული ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. აქვე მოცემულია ვრცელი კრიტიკა ნ. ნარის ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთოდისა და გამოაშეარავებულია მისი ანტიმეცნიერული არსი.

სახელმძღვანელოს მეორე თავი (გვ. 113—196) დათმობილი აქვს ფონეტიკას. ამ ნაწილში ავტორი დაწვრილებით აღწერს მეტყველების ორგანოებს, საარტიკულაციო აპარატს, სამეტყველო ბერებს, ბერათცვლილებების. ძირითად სახეებს. ცალკე მონაკვეთი აქვს მიძღვნილი დამწერლობის ისტორიას.

მესამე თავში (გვ. 197—279) წარმოდგენილია ლექსიკოლოგია, სადაც საკმაო სისრულით განხილულია სემანტიკისა და ეტიმოლოგიის პრობლემები, ენის ლექსიკური შემადგენლობისა და მისი განვითარების ძირითადი საკითხები. კონკრეტული ენობრივი ფაქტების ანალიზით გამოაშეარავებულია ნ. მარის ე. წ. სემანტიკური კანონებისა და პალეონტოლოგიური ანალიზის უსაფუძლობა. გადმოცემულია რა ი. სტალინის მოძღვრება ენის ძირითადი ლექსიკური ფონდისა და ლექსიკური შემადგენლობის შესახებ, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება ცვლილები ლექსიკურ შემადგენლობაში და როგორ მდიდრდება თანადათანობით იგი. ვრცლადაა განხილული საკითხები სიტყვისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ყურადღება ექცევა ისეთ მოვლენებს, როგორიცაა: სიტყვის მნიშვნელობის განვითარება, სიტყვათა შეცვლა ხმარების პროცესში, სიტყვის მნიშვნელობის. გაფართოება და დაივიწროება და სხვ.

ამავე თავის მეორე ნაწილში (ლექსიკოგრაფია) მოცემულია სხვადასხვა. ტიპის ლექსიკონების მოკლე დახასიათება. განხილულია ფილოლოგიური ლექსიკონების სახეები, როგორიცაა: განმარტებითი, თარგმნითი, ანუ პარალელური, დიალექტოლოგიური, ეტიმოლოგიური, შედარებითი, ისტორიული, სინონიმური და სხვა ლექსიკონები.

მეოთხე თავი (გვ. 280—412) მიძღვნილია გრამატიკის საკითხებისადმი (ცორფოლოგია, სინტაქსი). ცნობილია, რომ „ენის გრამატიკული წყობა და-

მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი შეადგენს ენის საფუძველს, მისი სპეციალის არსებობის „(ი. სტალინი)“. ამიტომაც ავტორი სამართლიანად დიდ ადგილს უთმობს გრამატიკისა და ლექსიკის საკითხებს. ხელმძღვანელობს რა მარქსისტული დებულებით იმის შესახებ, რომ „გრამატიკა აღმიანის აზროვნების ხანგრძლივი, აბსტრაქციის მომხდენი მუშაობის შედეგია, აზროვნების უდიდეს წარმატებათა მაჩვენებელია“ (ი. სტალინი), ავტორი გრამატიკულ მოვლენებსა და გრამატიკულ კატეგორიებს განიხილავს ისტორიულ ასპექტში, ეხება მათი წარმოშობისა და განვითარების საკითხებს და საფუძვლიანად აკრიტიკებს ნ. მარის მცდარ შეხედულებებს გრამატიკის შესახებ.

სახელმძღვანელოს მეხუთე (გვ. 413—451) და მეექვსე (452—547) თავებში განხილულია ენის წარმოშობისა და განვითარების საკითხები. მარქსიზმის კლასიკოსთა გამონათქვამების საფუძველზე ავტორი ენის წარმოშობას განიხილავს ადამიანის წარმოშობის მთელი პროცესის შემადგენელ ნაწილად.. ამ მიზნით იგი ითვალისწინებს არა მარტო ისტორიისა და სოციოლოგიის, არამედ მასტიან ერთად ანთროპოლოგიის, ანატომია-ფიზიოლოგიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის სათანადო მონაცემებსაც.

ყურადღებას იქცევს ენისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხები, ავტორი სამართლიანად შენიშვნავს, რომ ეს საკითხი ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. იგი სწორად აკრიტიკებს მცდარ შეხედულებებს როგორც ენისა და აზროვნების იგივეობის შესახებ, ისე იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ენასა და აზროვნებას. შორის არავითარი კავშირი არ არსებობს.

ბოლო—მეშვიდე—თავში (გვ. 548—589) წარმოდგენილია ენათა გენეალოგიური და მორფოლოგიური კლასიფიკაცია. კრიტიკულად განხილულია აგრეთვე ენათა სტადიური, ფსიქოლოგისტური და სხვა კლასიფიკაციები.

სახელმძღვანელოს ბოლოს დართული იქნება 700-მდე ენის სია და საკუთარ სახელთა საძიებელი..

შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ე. ალაიანის „ენათმეცნიერების შესავალს“ გარკვეული წვლილი შეაქვს საენათმეცნიერო-სასწავლო ლიტერატურაში და სასარგებლო როლის შესრულება შეუძლია სომხურ ენაზე მოსწავლე სტუდენტობის ენათმეცნიერული ცოდნით აღჭროვის საქმეში.

ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, სარეცენზიონ სახელმძღვანელო არ არის თავისუფალი რიგი ნაკლოვანებებისაგან; მათგან შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

სახელმძღვანელო ამომწურავად ვერ უპასუხებს ახლად შექმნილ პროგრამას. მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ დიდი მოცულობისაა (632 გვ.), მასში სრულიად არაა განხილული ენათმეცნიერების რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

არაა განხილული სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი: სახელმძღვანელოში, მართალია, აქა-იქ გვხვდება ზოგიერთი ცნობა სტილისტიკის შესახებ, მაგრამ ეს შენიშვნები თავისთავად არაფრის მთქმელია. მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი ჩვენში არაა საკმარისად დამუშავებული და ამის შედეგად ჯერ კიდევ არ არის გარკვეული მისი აღგილი ენათმეცნიერების სხვა დარგებს შორის, ავტორს მაინც შეეძლო მოეცა როგორც ისტორიული ცნობები, ისე დაესვა და განეხილა სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილი ტირითადი საკითხები სტილისტიკის შესახებ.

სტილისტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ენათმეცნიერებისა. ენათმეცნიერული სტილისტიკის გარეშე შეუძლებელია სემინტიკისა და სინტაქსის ურთიერთობისა და ენის, როგორც გამომხატველობითი საშუალების, შესწავლა. ამიტომ ჩვენ გაუმართლებლად გვეჩვენება ავტორის ასეთი დამოკიდებულება სტილისტიკის საკითხებისადმი.

სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი წინარემეცნიერული—ფილოლოგიური და რაციონალური—გრამატიკული შესახებ. სულ არაა ცნობები ლინგვისტური გეოგრაფიისა და მისი პრინციპების შესახებ. არაა მოცემული მეტყველების ნაწილების ტრადიციული კლასიფიკაცია და მისი ნაკლოვანებანი. აქვე დავძენთ, რომ გასაზიარებელი არაა ავტორისეული კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც მეტყველების ნაწილები ერთსა და იმავე დროს დახასიათებულია სემანტიკური და მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით (გვ. 353).

შესახებია სახელმძღვანელოს ის ნაწილიც, რომელიც სინტაქსის საკითხებს ეხება.

საბჭოთა საენათმეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, დიდი ყურადღება ექცევა ფონოლოგიას. სამწუხაოოდ, სახელმძღვანელოში არ არის დასმული ფონეტიკასთან ფონოლოგიის დამოკიდებულების საკითხები და არც ფონოლოგიის თეორიული საფუძვლებია განხილული.

არაა განხილული აგრეთვე ბგერათა შესატყვისობის საკითხი მონათესავე ენებში.

სახელმძღვანელო პროგრამას არ გასდევს საკითხების დალაგების მხრივაც; მაგალითად, სულ სხვადასხვა ადგილასაა განხილული ზოგადი საკითხები ენის შესახებ. მეზუთე თავი, რომელიც ეხება ენის წარმოშობას, და მეექვსე თავი, რომელიც მიძღვნილია ენის განვითარების საკითხებისადმი, უნდა ზოსდევდეს პირველ თავს, სადაც ენის ზოგადი საფუძვლებია მოცემული. ამით ენის შესახებ თეორიული საკითხები გაერთიანდებოდა და ამავე დროს თავიდან იქნებოდა აცილებული განმეორებები, რასაც ხშირად ვხვდებით სახელმძღვანელოში; მაგალითად, ენის განვითარების საკითხები ვრცლად განხილულია როგორც მეექვსე, ისე პირველ თავში. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საკითხი სხვადასხვა ადგილას განმეორებულია ერთნაირი სათაურითაც კი (იხ. უსური მარტივისაკან თხოისტერის ქადაგის მასწავლისა და საკითხების გვ. 421 და თავი VI, გვ. 455).

სახელმძღვანელოში არაა ერთნაირი სიღრმითა და მოცულობით დამუშავებული ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები. გვხვდება აგრეთვე შეუსაბამო ადგილები, და ფაქტობრივი შეცდომები.

არასრულადაა წარმოდგენილი, მაგალითად, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. მონათესავე ენათა ოჯახების მიმოხილვაში, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც სლაურ ენებს ეხება, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არავითარი ცნობები არ არის მოცემული ამ ენების აღმოსავლური ჯგუფის შესახებ, რომელშიც რუსული, უკრაინული და ბელორუსული ენები შედის. სრულიად არაფერია ნათქვამი რუსულ ენაზე დაწერილი უძველესი ძეგლებისა და რუსული ენის დიალექტების შესახებ და სხვ.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მონათესავე ენათა სხვა ჯგუფების შესახებაც სახელმძღვანელოში ძალიან მცირე ცნობებია წარმოდგენილი. მეტილ შემთხვევაში: მხოლოდ ენებია ჩამოთვლილი. შედარებით ვრცლად

მსჯელობს ავტორი მხოლოდ სომხური ენის შესახებ. მეტად სქემატურად არის. წარმოდგენილი იბერიულ-კავკასიური ენები. ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ჩამო- თვლილია ენები და ისიც არასრულად. ამ ოჯახში შემავალი ენები დაჯგუფე- ბულია არა იმ პრინციპის მიხედვით, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათ- მეცნიერებაშია მიღებული, არამედ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, რაც რიგ უხერსულობას იწვევს. ვფიქრობთ, ამის შედეგია, რომ ავტორი- სეულ კლასიფიკაციაში აღილი არ აღმოჩნდა, მაგალითად, ისეთი მნიშვნე- ლოვანი ენისათვის, როგორიცაა უდური.

სახელმძღვანელოში შეცდომით დამოუკიდებელ ენებადაა გამოცხადებუ- ლი მეგრული და ჭანური (გვ. 567), რომლებიც ნამდვილად ერთი ენის — პი- რობითად ზანურის — დიალექტებს წარმოადგენენ.

გაუგებრობის შედეგია ავტორის შენიშვნა, რომ სამხრეთ-კავკასიურ, ანუ ქართველურ ენებში შედის ქართული, მეგრული, ჭანური, სვანური და ჩრდილოეთ კავკასიის რამდენიმე ენათ (იქვე, ხაზი ჩვენია.—ა. მ.). ქართვე- ლურ ენებში, როგორც ცნობილია, გარდა ქართულის, მეგრულ-ჭანურისა და სვანურისა, არც ერთი სხვა ენა არ შედის.

ვფიქრობთ, ავტორს შეეძლო მოეცა ზოგიერთი ცნობა მაინც ქარ- თველური ენების შესახებ, კერძოდ ქართულის შესახებ, რომელსაც, ისევე რო- გორც სომხურს, უკველესი ძეგლებით დოკუმენტირებული თხუთმეტსაუკუნო- ვანი ისტორია აქვს და რომლის შესახებაც ავტორისათვის ხელმისაწვდომია საქმაო რაოდენობის სპეციალური საენათმეცნიერო ლიტერატურა არსებობს.

იბერიულ-კავკასიურ ენათა კლასიფიკაციაში ეხვდებით სხვა შეუსაბამო- ბასაც. დასავლურ-კავკასიურ, ენებს, ავტორის ცნობების მიხედვით, ეკუთ- ვნის ადილეური ენები, რომელთა ჯგუფში შედის აფხაზური, ყაბარდოული, უბისური, აბაზური და სხვა (გვ. 567). ამის მიხედვით აფხაზური, უბისური, აბაზური გამოცხადებულია ადილეურ ენებად.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აფხაზურ-ადილეურ ენათა ჯგუფში შედის სამი ენა: აფხაზური, ადილეური (ანუ ჩერქეზული) ყა- ბარდოულითურთ და უბისური. ადილეური თავის მხრივ მოიცავს როგორც ზემოადილეურს (ანუ ყაბარდოულს), ისე ქვემოადილეურს (ანუ კაბურეს). ისიც ცნობილია, რომ აბაზური დამოუკიდებული ენა კი არა (როგორც ეს სახელ- მძღვანელოს ავტორს ჰქონია), არამედ აფხაზურის დიალექტია.

აღმოსავლურ-კავკასიურ ენათა ჯგუფში ჩამოთვლილია მხოლოდ შემდეგი ენები: ლეზგიური, ტაბასარანული, აღულური, დარგუული, ლაკური, ავარუ- ლი, ანდიური, ბოთლისური, დიდოური, კაპუქური. გამორჩენილია: კარატუ- ლი, ტინდიური, ხვარშიული, წახურული, რუთულური, არჩიული...

სახელმძღვანელოს ნაკლად მიგვიჩნია, რომ არ არის წარმოდგენილი მო- ნათესავე ენათა ოჯახების საერთო დახასიათება, თუნდაც ენათა ისეთი ოჯა- ხისაც კი, როგორიცაა ინდოევროპული ენები, რომლებიც საფუძვლიანადაა. შესწავლილი.

ვფიქრობთ, უფრო კრიტიკულად უნდა, ყოფილიყო მიმოხილული ენათა: სტადიური კლასიფიკაცია 6. მარისა. ცნობილია, რომ ენათა სტადიური გან- ვითარების იდეა უშუალოდ დაკავშირებულია 6. მარის მოძღვრებასთან პირ- ველადი ელემენტების შესახებ, ამიტომ, ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა. თხელემენტოვანი ანალიზის შესახებ ცნობები ენათა სტადიურ-კლასიფიკა- ციასთან ერთად ყოფილიყო მოცემული.

სახელმძღვანელოში ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის საკითხები დამატება ყოფილებლადა გაშუქებული, მაგრამ რატომდაც არაა მოცემული ამ კლასიფიკაციის ზოგადი შეფასება. მართალია, გაკრიტიკებულია მორფოლოგიური ტიპების ვულგარულ-სოციოლოგისტური ინტერპრეტაცია (მაქს მიულერი), მაგრამ არ არის შენიშვნული თვით მორფოლოგიური კლასიფიკაციის ნაკლოვანი მხარეები.

მორფოლოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისით ავტორს ტრადიციულად ენები დაყოფილი აქვს სამ ჯგუფად: **ანგასთაკანი** (იზოლირებული), **ჰეთი** (აგლუტინაციური), **ქართველი** (ფლექსიური). საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით, ვფიქრობთ, აჯობებდა ენათა დაყოფა ორ ჯგუფად: უაფიქსო ენებად და აფიქსიან ენებად. აფიქსიანი ენები თავის მხრივ დაჯგუფდებოდა აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენებად.

სახელმძღვანელოში შევხედებით ისეთ ადგილებს, რომლებიც ზედმეტია უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოში; მაგალითად, მე-9 გვერდზე, სადაც ლაპარაკია ენათმეცნიერებისა და მისი ამოცანების შესახებ, ავტორი აღნიშნავს, რომ მშობლიური ენა ისწავლება დაწყებითი სკოლიდან მოყოლებული, მაგრამ შეიძლება თუ არა თქმა იმისა, რომ დაწყებით ან საშუალო სკოლაში მოსწავლეები შეისწავლიან ენათმეცნიერებას? ავტორი, რასაცირკელია, ამ კითხეას უარყოფით პასუხს აძლევს... მაგრამ რა საჭირო იყო აქ ასეთი ცხადი საკითხის შესახებ მსჯელობა?!

ზემოაღნიშნული ხასიათის ნაკლოვანებები, ვფიქრობთ, საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული სახელმძღვანელოს შემდეგს გამოცემაში.

პ. მარტიროსოვი

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ნიზამის სახელობის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტის შრომები (საენათმეცნიერო სერია), ტომი VI, ბაქო,  
1954 წ. გვ. 5—192

ი. სტალინის საენათმეცნიერო შრომების გამოქვეყნებამ შექმნა ღრმა საფუძველი ენათმეცნიერების განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის საენათმეცნიერო დაწესებულებებში ამჟამად ფართო მუშაობა მიმდინარეობს. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შექმნების შემთხვევა სხვადასხვა საენათმეცნიერო პრობლემა, კონკრეტულ ენათა გრამატიკის საკითხები.

ამ მიმართულებით გაცხოველებულ მუშაობას ეწევიან ჩვენი მოძმე აზერბაიჯანის ენათმეცნიერებიც. მათი მუშაობის შედეგების გაცნობა შეიძლება აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ნიზამის სახელობის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტის „შრომების“ მიხედვით (საენათმეცნიერო სერია). დღემდე გამოსულია ამ კრებულის ექვსი ტომი.

პირველი ტომი გამოვიდა 1947 წელს. იგი მცირე მოცულობისაა და უმთავრესად აზერბაიჯანული ენის ლექსიკის საკითხებისადმია მიძღვნილი. მომდევნო ტომებიც ძირითადად სხვადასხვა ხასიათის სალექსიკონო მასალას შეიცავს.

o. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრებამ ძირფესვიანად გარდაქმნა აზერბაიჯანელ ენათმეცნიერთა მუშაობა. ამას აშკარად მოწმობს აღნიშნული კრებულის უკანასკნელი ტომები. ისინი გამოირჩევიან არა მარტო საკვლევ ინტერესთა სიფართოვით, არამედ, აგრეთვე, ძიების მეთოდოლოგიური გამართულობით და კვლევის ორორიული დონით. ყურადღებას იქცევს ზოგადი პრობლემების გაშუქება o. სტალინის საენათმეცნიერო შრომათა შუქშე და აზერბაიჯანული ენის მონაცემთა გამოყენება მათი დამუშავების დროს.

ამ კრებულთა შორის ყველაზე სრული 1954 წელს გამოსული VI ტომია<sup>1</sup>, რომლის განხილვაც ჩვენ ამჟამად მიზნად დავისახეთ.

## I

1. ეროვნული ენის ჩამოყალიბების საკითხებს ეხება 6. მამედოვის წერილი „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ეროვნული ენის წარმოშობის შესახებ“ (გვ. 62—80). ნაშრომში გადმოცემულია მარქსიზმის კლასიკოსების გამონათქვამები ენის შესახებ. ეროვნული ენის წარმოშობის საკითხი o. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების შუქშეა განხილული. ამავე თვალსაზრისით მოკლედ დახასიათებულია აზერბაიჯანული ეროვნული ენის წარმოშობისა და განვითარების გზა. მოშველიებულია გ. სანქეევის წერილი დიალექტებისა და ეროვნული ენის ურთიერთობისა და ეროვნული ენის ჩამოყალიბების შესახებ. ავტორი მოკლედ გვაცნობს აგრეთვე. დემოკრატიულად მთაზროვნე მწერალთა დამსახურებას აზერბაიჯანული ენის სრულყოფისა და განვითარების საქმეში.

2. მ. ჯაჭანგიროვის სტატიაში „o. ბ. სტალინის მოძღვრება ძალით ასიმილაციის მიმართ ენის დიდი გამძლეობისა და ძლიერი წინააღმდეგობის შესახებ“ (გვ. 81—92). მარქსისტული ენათმეცნიერების ამ ერთ-ერთი ძირითადი დებულების პოზიციებიდან დახასიათებულია აზერბაიჯანული ენის დიდი გამძლეობა და წინააღმდეგობა არაბი, სპარსი და თურქი ასიმილატორების მიმართ. აქვე მოკლედ საუბარია იმ შედეგებზეც, რაც მოჰყვა აზერბაიჯანული ენის ურთიერთობას არაბულსა და სპარსულთან; აზერბაიჯანულმა შეითვისა ბევრი არაბული და სპარსული სიტყვა, დაუმორჩილდა ისინი. საკუთარ კანონებს და ამით გაიმდიდრა ლექსიკური შემაღებელობა. ასიმილატორთა ცდები მთლიანად მოენელებინათ აზერბაიჯანული ენა უშედეგოდ დამთავრდა. ენის გამძლეობა, წერს ავტორი, როგორც ცნობილია, აისხსნება ენის გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით. ამ დებულების საილუსტრაციოდ მ. ჯაჭანგიროვს მოჰყვას ნაწყვეტები სხვადასხვა პერიოდის აზერბაიჯანული მწერლების ნაწარმოებებიდან.

3. „ზოგიერთი შენიშვნა ენათმეცნიერებაში შედარებით-ისტორიულ მეთოდის შესახებ“ (გვ. 130—135). ასევე სათაური აქვს შ. სადიევის წერილს. ავტორი გადმოსცემს o. სტალინის მსჯელობას 6. მარის ოთხელემენტოვანი ანალიზის ანტიმეცნიერულობაზე, შედარებით-ისტორიული მეთოდის ლირსებებზე და მის დანერგვაზე ენათმეცნიერებაში. შემდეგ ლაპარაკია იმაზე, თუ რის მიხედვით დგინდება ენათა ნათესაობა; მონათესავე ენათა

<sup>1</sup> ეძენის ვა დას ინსტიტუტუნუ ასერქარი (მთაცილი სერია). ტ. VI, ბაქო, 1954 გვ. 5—192 (კრებულში სულ თოთხმეტი წერილია წრმოდგენილი).

უძველესი ელემენტების განვითარების შესწავლა,—აღნიშნავს შ. სადიევი, — და მათი თავდაპირველი სახის გამოვლენა მხოლოდ შედარებით-ისტორიული მეთოდის საშუალებითაა შესაძლებელი.

შემდგომ, ეხება რა არამონათესავე ენათა ურთიერთობის საკითხს, შ. სადიევი შედარებით მეთოდს მიიჩნევს, როგორც საუკეთესო ხერხს არამონათესავე ენებისა და ხალხების ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად (გვ. 133).<sup>1</sup>

ჩვენი აზრით უფრო სწორი იქნებოდა ავტორს ერთმანეთისაგან გაემიჯნა შედარება და შეპირისპირება. შედარებით-ისტორიულ მეთოდზე ლაპარაკის დროს არამონათესავე ენები, არ ივარაუდება ყოველ შემთხვევაში. უფრო მეტი სიფრთხილე და სიზუსტე აჯობებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული საკითხის დამუშავებისას არავითარი დამხმარე ლიტერატურა არ არის გამოყენებული.

4. ე. ალიბეიზადეს წერილში „ენის საკითხები უურნალ „მოლა ნასრედინის“ პირველ ნომერში“ (გვ. 93—101) ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ იბრძოდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოლვაში ჯალილ მამედგულუზადე აზერბაიჯანული ენის სიწმინდისათვის.

აზერბაიჯანული არაბულისა და სპარსულის დიდ გავლენას განიცდიდა არაბულ-სპარსული ელემენტების დამკვიდრებას განსაკუთრებით ხელს უწყობა დნენ მაღალი წოდების წარმომადგენლები.

ჯ. მამედგულუზადე იმთავითვე გამოდიოდა აზერბაიჯანული ენის სიწმინდის დამცველად, იბრძოდა იმისათვის, რომ ენა ხალხისათვის გასაგები გახეადა. ამ ბრძოლის გაფართოებას ხელი შეუწყო 1906 წელს უურნალ „მოლა ნასრედინის“ დაარსებამ. ამ უურნალის პირველსავე ნომერში ფართოდ იყო წარმოდგენილი ჯ. მამედგულუზადე, როგორც მებრძოლი აზერბაიჯანული ენის სიწმინდისათვის.

5. კრებულში წარმოდგენილი ე. ალიბეიზადეს მეორე წერილი „ჯალილ მამედგულუზადეს როლი აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის განვითარებაში“ (გვ. 158—170) პრინციპულად არაფრით განსხვავდება ამავე ავტორის ზემოთ განხილული შრომისაგან. აქაც თითქმის იმავე საკითხებზეა მსჯელობა, ისევ უურნალ „მოლა ნასრედინში“ დაბეჭდილ ჯალილ მამედგულუზადეს თხზულებათა მიხედვით. განსხვავებას ის თუ ქმნის, რომ აქ წინ არის წამოწეული (ავტორის მოკლე კომენტარების დართვით) მწერლის ისეთი გამონათქვაშები, როგორიცაა: „უნდა ვწეროთ ისე, რომ ადვილად გაიგოს მთელმა ხალხმა; სიტყვა ბალხს ეკუთვნის, ამიტომ გაუფრთხილდეთ მას და გავამდიდროთ იგი; მეზობელი ხალხების ენებიდან შეგნებულად ნასესხები ფასეულია სალიტერატურო ენისათვის“.

## II

კრებულში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი აზერბაიჯანული ენის გრამატიკის ცალკეული საკითხების კვლევას. სულ ამ დარგიდან ხუთი, წერილია წარმოდგენილი.

6. მ. ჰუსეინზადე თავის წერილში „მსაზღვრელ-საზღვრულის (მეორე სახეობის) შესახებ თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში“ (გვ. 21—41) იხილავს. ე. წ. იზაფეთის ამ ერთ-ერთ სახეს. ეს მეორე წერილია ავტორისა იზაფეთის. შესახებ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> პირველი წერილი ამ კრებულის 1953 წლის V ტომშია დაბეჭდილი.

ცნობილია, რომ ამ ტიპის მსაზღვრელ - საზღვრულში ორივე წევრი სახელია. მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, საზღვრული III: პირის კუთვნილებითს აფიქსს დაირთავს: მათებ დირექტორები 'მშექთბ დირექტორუ' (სიტყვა-სიტყვით), 'სკოლა დირექტორი მისი' ანუ 'სკოლის დირექტორი'. შინაარსობლივად ეს კონსტრუქცია გამოხატავს სკოლის დირექტორს საერთოდ, ზოგადად და არა რომელიმე კონკრეტული სკოლის დირექტორს.

ავტორს ეს ცნობილი დებულება სწორადა აქვს გადმოცემული და ილუსტრირებული, გაგრაშ აშით არ კმაყოფილდება, ცდილობს ახლებურად შეუდგეს საკითხს და იძლევა ამ ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის დაჯგუფებას შინაარსის მიხედვით. შინაარსობრივი ვარიანტები (მა' ან ვარიანტები) მანავრიანთლარუ) ძალიან მრავალფეროვანია, — წერს ავტორი და 24 ჯგუფი აქვს ჩამოთვლილი (გვ. 21). თუმცა საკითხის კონკრეტული კას მხოლოდ 21 ჯგუფი აქვს მოცემული. ესენია:

1. მსაზღვრელი საზღვრულის ზოგადობას გამოხატავს: კოში საქთოსუ ქიში ფალთოსუ 'კაცი პალტო მისი' — 'კაცის პალტო'.

2. მსაზღვრელი გამოხატავს საზღვრულის მიზეზს, წყაროს, მატერიალურ საფუძველს: არ ისა ადაგ სხსი 'ფეხი ხმა მისი' — 'ფეხის ხმა'; მავут გოყის მაზუთ გოხუსუ 'მაზუთი სუნი მისი' — 'მაზუთის სუნი'.

3. მსაზღვრელი საზღვრულის მოვალეობრივ ურთიერთობას გამოხატავს: კოჯივი იავრი კოლხოს სხდრი კოლმეურნეობა თავმჯდომარე მისი' — 'კოლმეურნეობის თავმჯდომარე'.

4. გამოხატულია საზღვრულის ურთიერთობა უნიკალურ და საზოგადო სახელებით გადმოცემულ მსაზღვრელთან: კუნაშ ისახეს გუნეში იშვლე 'მზე სინათლე მისი' — 'მზის სინათლე'.

5. გამოხატულია მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის არსებული მუდმივი და დანახასიათებელი ურთიერთობა: გარდა კომეშ გარდაშ ქრმშაი, ძმა დახმარება მისი' — 'ძმური დახმარება'.

6. მსაზღვრელსა და მსაზღვრულს შორის არსებული სოციალური ურთიერთობა: კოჯივი აშავი კოლხოსშე აღლის 'კოლმეურნე' ოჯახი მისი' — 'კოლმეურნის ოჯახი'.

7. მსაზღვრელსა, და საზღვრულს შორის არსებული მიზნობრივი და გამოყენებითი ურთიერთობა: იავრი კუყის სხქე გუთუსუ 'არჩევა ყუთი მისი' — 'საარჩევნო ყუთი'.

8. მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის არსებული ეროვნული შიკუთვნებულობა: ავერნაშია დაშ აზტრბაფუზნ დილი 'აზტრბაიჯანი ქნა მისი' — 'აზერბაიჯანული ქნა'.

9. მსაზღვრელი გამოხატავს საზღვრულის კერძოობით სახელწოდებას: ქეპის ირდენი ლენინი არდენი 'ლენინი არდენი მისი' — 'ლენინის არდენი'.

10. მსაზღვრელი საზღვრულის სქესხე მიუთითებს: გადა თაქფას გადა თადასეგ, 'ქალი სქესი მისი' — 'ქალთა სქესი'.

11. მსაზღვრელი შედარების სუბიექტია; საზღვრული — ობიექტი: უკავიარებს უმიღდ ჩრდალგ 'იმედი ჩირალდან' მისი' — 'იმედის ჩირალდანი'.

12. მსაზღვრელი საზღვრულის სიმბოლურობაზე მიუთითებს: ყვან ნაშროვა უსახნ ზარალგ 'აჯანყება დროშა მისი' — 'აჯანყების დროშა'.

13. მსაზღვრელი საზღვრულის ლოგიკურ ობიექტს გამოხატავს: ქარც

31. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII.

ნათელანმას დას ბაშლანმას გაკვეთილი დასაწყისი მისი — 'გაკვეთილის დასაწყისი'.

14. მსაზღვრელი საზღვრულის ლოგიკურ სუბიექტს გამოხატავს: ნაშა არყის ბაზ ალრუს თავი ტკივილი მისი — 'თავის ტკივილი'.

15. მსაზღვრელი საზღვრულის მდგომარეობა-ვითარებას გამოხატავს: ჯავა ხასთა პალუ 'ავადმყოფი მდგომარეობა მისი' — 'ავადმყოფის მდგომარეობა'.

16. გადმოგცემს დროულ მიმართებას მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის: უშავანაგ შილდა უშაგლეგ ფოლდაში 'ბავშვობა შეგობარი მისი' — 'ბავშვობის მეგობარი'.

17. გამოხატავს მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის არსებულ სივრცობრივ მიმართებას: იამნაგ თარლას ფამბეგ თარლასი 'ბამბა პლანტაცია მისი' — 'ბამბის პლანტაცია'; რედ კლყნ ქვენდ ქლუბუ 'სოფელი კლუბი მისი' — 'სოფლის კლუბი'.

18. მსაზღვრელი საზღვრულის იარაღობრიობას გამოხატავს: იამნაგ ქარას გვლენჩ დარასკ, ხმალი ჭრილობა მისი — 'ხმლის ჭრილობა', ნახმლევი.

19. გამოხატავს მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის არსებულ მოქმედებით ან ვითარებით ურთიერთობას: კეთვი კვარკე გეთმაჯ ლუზუმუ წასვლა საჭიროება მისი — 'წასვლის საჭიროება'.

20. მსაზღვრელი სიმრავლის გამომხატველ საზღვრულის სახეობაზე მიუთითებს: იოიო ცყრყც გოდუნ სურატს 'ცხვარი ფარა მისი' — 'ცხვრის ფარა'.

21. მსაზღვრელი გამოხატავს საზღვრულის მიმართებას ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვასთან: „ჩყარა“ ამრე ჰუჯუშმ ემრი 'შეტევა' ბრძანება მისი — 'შეტევის ბრძანება'.

როგორც ვხედავთ, ავტორი თავისებურებად აყენებს საკითხს: ის ცდილობს დაჯგუფოს ამ ტიპის მსაზღვრელ-საზღვრული მასში შემავალი სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით. რომ, მაგალითად, ხმის გამოცემის მიზეზი ფეხია, ეს მეორე ტიპის იზაფეთის, როგორც გარკვეული სისტემის, გარკვეული გრამატიკული ფორმის დახასიათებას არ წარმოადგენს; იგი მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული ფორმით ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობის გადმოცემაა. მეორე ტიპის იზაფეთის თავისებურების დადგენისას აუცილებელია მესამე ტიპის იზაფეთის სპეციფიკის გათვალისწინება. მეორე იზაფეთის არსებობა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც არსებობს მესამე ტიპი და პირიქით.

უნდა ილინიშნოს, რომ მ. ჰუსეინზადეს უფრო აინტერესებს მსაზღვრელ-საზღვრულის შინაარსის მიხედვით დაჯგუფება, ასეთი კლასიფიკაცია კი საინტერესო ჩანს იზაფეთის სწავლების შეთოლიკის თვალსაზრისით.

7. ასპექტის კატეგორიისადმი მიძღვნილია ზ. ალიევას წერილი: „ასპექტის კატეგორია აზერბაიჯანულში“ (გვ. 42—61).

ასპექტი, — აღნიშნავს ავტორი, — აზერბაიჯანულში სხვადასხვა საშუალებით გამოიხატება: 1. ანალიტიკურად — ძირითადი ზმნის აბსოლუტივი + დამხმარე ზმნა. 2. სინთეტურად — რეფლექსივის ფორმანტებით. 3. ზმნის დროის ფორმებით. გამოყოფილი აქვს ხუთი ასპექტი: 1. მოქმედების ხანგრძლიობა. 2. მოქმედების განვითარება. 3. რაიმე მდგომარეობაში მოსვლა. 4. მოქმედების დასრულება. 5. მოქმედების განმეორება.

საესებით მართლია ავტორის დებულება, რომ ასპექტს დროის ფორმებით მართლიანი უნდა იყოს ისიც. რომ რიგ შემთხვევაში ასპექტი

## შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი ზემოდან   ქვემოდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
21	—	1	VX
69	—	2	ლიტერატურული ძიებანი, III, 1943
107	21	—	მოიდა, წამოიდა
116	—	17	გადმივედი
230	—	16	ჰი
230	—	18	ჰეი
232	—	1	ქულის
233	21	—	მაქსა
233	—	5	დუხსა
333	—	10	ყიარყიასა
234	12	—	განზ-სა
241	—	3	აქეს
244	23	—	دعوات
246	23	—	ლიკი ← ლიკიo ← ლიკიo ← ლიჭიი ← ლიჭი
248	—	5	უ-უ) — უ(←უ)
250	17	—	თაქტბაყიღ
258	10	—	(ბოგოროდეცი)
287	—	2	„ქვასთან“
338	1	—	კირ-მიწისაში
357	—	2	бифуркации
361	—	2	аулав
361	—	9	я сижу
381	17	—	тогда
381	18	—	т. е. —
386	19—20	—	კინაუნუჩუბურუ
397	5	—	131
403	—	10	ipurdij-g
404	—	2	языка
424	—	1	‘ქარი’
431	—	16	ქართ. ბ-ლუ-არ-ი ‘დღე’
440	—	3	ა-ხმოვნიანია
441	—	14	ცურ'ყი
443	—	11	ანოლურ ენათა
444	19	—	ნ-და ← -ც
450	—	8	ა-პ-ხ-ა ‘თეილი’
459	20	—	ფარმატი
459	—	4	თი ჩელვა
476	—	14	ჭარაჭალულ

საუსებით მართალია ავტორის დებულება, რომ ასპექტს დროის ფორმები გამოხატავს. მართალი უნდა იყოს ისიც, რომ რიგ შემთხვევაში ასპექტი ზმნის სპეციფიკური, რთული ფორმით გამოიხატება.

სადაც ძიგვებინია ავტორის დებულება, რომ ასპექტს რეფლექსივის მაწარმოებელი აფიქსი გამოხატავს. ასპექტი უნდა გამოხატავდეს დასრულებელ ან დასრულებულ მოქმედებას. რეფლექსივს კი დიამეტრალურად განსხვავებული ფუნქცია აკისრია. იგი, ჩვეულებრივ, ერთვის გარდამავალ ზმნას. და აქცევს მას რეფლექსურად; ასეთ შემთხვევაში ზმნით გამოხატული მოქმედება სუბიექტსავე მიემართება. გაუგებარია, სადღაა აქ მოქმედების განმეორების გამოხატვა: ყრაში... ყარისა და ურაში... ყარისა და ურაში ჩრდილო გული მისი... სცემდა (გვ. 54).

ასევე საეჭვო ჩანს იმის მტკიცებაც, თითქოს ერთი და იმავე ზმნის ერთი და იმავე ფორმის რამდენჯერმე განმეორებას შეუძლია მოქმედების ხანგრძლიობა გამოხატოს (გვ. 50). ასპექტის, როგორც გრანატიკული კატეგორიის გამოხატვა, გარეულ გრამატიკულ ფორმასთან არის დაკავშირებული და ერთი რომელიმე ფორმის ზმნის რამდენჯერმე განმეორება (იგულისხმება დროის რომელიმე ფორმა) ვერ გამოხატავს მოქმედების ხანგრძლიობას.

ზედმეტი ჩანს ხუთი ასპექტის გამოყოფაც. მოქმედების ხანგრძლიობა, განმეორება და მისთანანი სხვა არაფერია, თუ არა უსრული ასპექტი. ასე, რომ ზ. ალიევასეული ხუთი ასპექტი თავისუფლად შეიძლება დავიყვანოთ ორ, უსრულ და სრულ ასპექტამდე.

8. კრებულში წარმოდგენილია წერილი „დასავლეთ აფშერონის კილოების სინტაქსური თავისებურებანი“. (გვ. 102—117). წერილის ავტორს ა. ვალიევს აღნუსხული და დახასიათებული აქვს აღნიშნული კილოების სინტაქსური თავისებურებანი. სპეციფიკური მომენტები გამოყოფილია ამ კილოების სალიტერატურო აზერბაიჯანულთან შეპირისპირების საფუძველზე. მოვლენები სწორადაა დაქმერილი და კვალიფიცირებული. შრომა მთლიანად აღწერითი ხასიათისაა. უფრო სრული სურათის წარმოსადგენად სასურველი იქნებოდა, რომ ავტორს გამოეყენებინა არსებული სპეციალური ლიტერატურა, სადაც ის იპოვიდა ცნობებს მის მიერ დასავლეთ აფშერონის კილოებში შემჩნეულ ზოგიერთი მსგავსი მოვლენის შესახებ.

9. ზ. თაღიზადეს წერილში „ზოგი აფიქსის განვითარების ისტორიიდან აზერბაიჯანულ ენაში“ (გვ. 118—129) წარმოდგენილია აფიქსთა ორი ჯგუფის — მოქმედი და უქმი აფიქსების განხილვის ცდა. სხვადასხვა პერიოდის წერილობითი წყაროებიდან მოყვანილი მაგალითების საფუძველზე ავტორი ცდილობს დაადგინოს ამა თუ იმ აფიქსის მოქმედების პერიოდი და აღრინდელი ფორმა.

ეხება რა აორისტის გაწარმოებელს (პ—ვ რ—ზ) და მის უკუთქმით ფორმას (...მა—ვ მა—ზ). ავტორი, რატომლაც, იქვე ასხელებს აწყობ-განსაზღვრული დროის უკუთქმით ფორმასაც (... მირ მირ) და აღნიშნუს, რომ XVIII საუკუნეში ... მაა გაზ ფორმანტის გვერდით ... მირ მირ აფიქსიც იწყებს მოქმედებას (გვ. 126). როგორც ჩანს, ... მაა მირ და მაა მშ ზ. თაღიზადეს ერთი და იმავე დროის ფორმებად მიაჩნია, მათ შორის კი იმ განსხვავებას ხედავს, რომ მაა უფრო ბევრი წარმოებაა. ნამდვილად, კი ესენი სულ სხვადასხვა ფორმებია.

10. თანამედროვე აზერბაიჯანული ენის სინტაქსის ერთ-ერთი საკითხი-სადმი მიძღვნილია პ. ბაირამივის „წერილი „რთული თანწყობილი წინადადება თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში“ (გვ. 136—144).

რთული თანწყობილი წინადადება, ალნიშნავს შრომის დასაწყისში ავტორი, დამოუკიდებელი წინადადებებისგან შედგებათ. ცოტა უფრო ქვემოთ, თანწყობილის შემადგენელ წინადადებათა ურთიერთობაზე მსჯელობისას, იგი უარყოფს ადრე გამოთქმულ აზრს და ეკრდნობა ლ. შჩერბას, ვ. ვინოგრადოვისა და ნ. პოსპელოვის გამონათქვამს—რთული წინადადების შენადგენელი წინადადებები დამოუკიდებლობას კარგავენო (გვ. 139). რთული წინადადება შეიძლება იყოს რთული თანწყობილიცა და რთული ქვეწყობილიც. ამასთან, რთული ქვეწყობილის შემადგენელ წინადადებათა ურთიერთობა სხვა პრინციპზეა აგებული, ხოლო რთული თანწყობილისა—სხვაზე.

თანწყობილი წინადადების რაობაზე მსჯელობის დროს გარკვეულობა წერილის ბოლოში მოცემულ განსაზღვრასაც აკლია. ავტორი წერს: რთული აზრის გადმოსაცემად ამა თუ იმ შინაარსობრივ კავშირში ორი ან მეტი წინადადების თანწყობის გზით შეერთებას რთული თანწყობილი წინადადება ეწოდებათ (გვ. 144). ამ განმარტებაში, როგორც ვხედავთ, ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ერთი მხრით, წანადადების, როგორც გარკვეული შესიტყვების, განსაზღვრა, მეორე მხრით კი რთული თანწყობილი წინადადების, როგორც შესიტყვების ერთ-ერთი სახეობის, განსაზღვრა..

### III

კრებულში გარკვეული; ადგილი უქავია აზერბაიჯანული ენის ლექსიგის საკითხებს. ამ დარგიდან ოთხი შრომა წარმოდგენილი.

11. რ. რუსთამივის წერილი: „საბჭოთა ხელისუფლების წლებში აზერბაიჯანული ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრება რუსული ენის გავლენით“ (გვ. 5—20).

რუსული ენის გავლენა აზერბაიჯანულზე,—წერს ავტორი,—ძირითადად ორი ნიმართულებით წარიმართა:

1. აზერბაიჯანული ენის ლექსიკური შემადგენლობა გამდიდრდა რუსულიდან ნასესხები სიტყვებით.

2. აზერბაიჯანულ ენაში იხმარება რუსული გრამატიკის შესაბამისად აგებული ფორმები (გვ. 6).

ამ უკანასკნელიდან ერთი ჯგუფი სიტყვებისა,—წერს ავტორი,—აგებულია სათანადო რუსული სიტყვის ანალოგით, მეორე კი რუსული სიტყვის თარგმანს წარმოადგენს.

პირველ ჯგუფში შეტანილია შემდეგი ნიმუშები:

1. მასალა აზერბაიჯანულია: ვარნაი ზარბაზი: ‘დამკვრელი’;

2. აზერბაიჯანულ მასალაზე აგებული შესიტყვებანი: დახმალ თივართ დახილი თიჯარეთ ‘შინაგანი ვაჭრობა’.

3. ჯერბაიჯანულ მასალაზე აგებული კომპოზიტები: ცყაჲსევარ სულჰე-კარ: მშვიდობისმოყვარე’.

4. აზერბაიჯანულ-რუსულ მასალაზე აგებული შესიტყვებანი: ცყაჲ შარ-თა სულჰ ფაქთ მშვიდობის პაქტი’.

5. რუსულ-აზერბაიჯანულ მასალაზე აგებული შესიტყვებანი: თართული მარტოფის ფართიდან მარიტიული განათლება’.

მეორე ჯგუფში შეტანილია და სათანადო რუსული მასალის თარგმანად მიჩნეულია ისეთი სიტყვები, სადაც ფუქი ნასესხებია, აფიქსი კი აზერბაიჯანული: კართული ფართიდან „პარტიული“.

ცალკეა გამოყოფილი კოშპოზიტები და შესიტყვებანი, რომელთა შემადგენელი ნაწილები რუსულიდანაა ნასესხები: კოვეტ კარიორტი სოვეტ ფასტორთუ „საბჭოთა პასპორტი“. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომი კარგი გამოკვლევაა, რომელსაც საფუძვლად უდევს სათანადოდ შერჩეული და შესწავლილი ფაქტობრივი მასალა.

ვფიქრობთ, რომ შეიძლებოდა ერთმანეთისაგან გამიჯნულიყო კალკი და უბრალოდ სიტყვის სესხება. წინააღმდეგ შემთხვევაში ანალოგიას არ მიეწერებოდა ისეთი მაგალითები, როგორიცაა ვერაცი ზერბაზი. „დამკვრელი“ (კალკი) და ცუაჲ პარტი სულპ ფაქტო „შეიძლობის პაქტი“ (სიტყვათა სესხება); ან კიდევ თარგმანად არ მიიჩნევდა სიტყვათა სესხების ისეთ ნიმუშს, როგორიცაა კართული ფართიდან „პარტიული“ და სხვ.

სხვა შემთხვევაში (გვ. 20) ლაპარაკია რუსულის გავლენით აზერბაიჯანული ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრებაზე და მოტანილია ისეთი მაგალითები, რომლებიც საეჭვოა, რომ რუსული იყოს, ან რუსულიდან შემოსული: მაგ., თექილიარი თეხნოლოგი ტექნოლოგია.

12. ა. ასლანოვის წერილში „საბჭოთა პერიოდში სალიტერატურო აზერბაიჯანული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მომხდარი უმთავრესი ცვლილებები“ (გვ. 145—157) გადმოცემულია ი. სტალინის დებულება ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა ხასიათისა და მიზეზების შესახებ. ამ საფუძველზე ა. ასლანოვი გამოკვითს ცვლილების სამ სახეს:

1. სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრება თვით აზერბაიჯანული ენის საკუთარი შესაძლებლობებით და რუსული ენიდან შეთვისებული მასალით.

2. ზოგიერთი სიტყვისა და გამოთქმის მნიშვნელობის ცვლა.

3. ზოგი მოძველებული სიტყვის გადავარდნა ხმარებიდან.

ცვლილებათა ყველა ეს სახეობა სათანადო მაგალითებით არის ილუსტრირებული. წინააღმდეგ რ. რუსთამოვისა ა. ასლანოვთან, მაგალითად, კართული ფართიდან „პარტიული“ სამართლიანად განხილულია იქ, სადაც სიტყვათა სესხებაზეა ლაპარაკი.

მთლად გამართლებული არ უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობათა და ნასესხობის ერთ სიბრტყეზე დაყინება, თუ კი გავითვალისწინებთ თითოეული მათგანის ხვედრით წონას ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრებაში.

13. კრებულში შენიშვნის სახით დაბეჭდილია ფანაპი მაკულუს სტატია „აზერბაიჯანული სიტყვები სპარსულ ენაში“ (გვ. 171—183), სადაც აღნუსხული და სათანადო მაგალითებით დასურათებულია აზერბაიჯანულიდან სპარსულში. შესული 129 სიტყვა.

14. რ. სულეიმანოვის წერილში „რამდენიმე, სიტყვის ეტიმოლოგია“ (გვ. 184—192) მოცემულია აზერბაიჯანული ენის დიალექტებში ხმარებული რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგიური კვლევა. ასე მაგალითად: ajama ახაშა „მეტსახელი“, ძანე დამძა უწყლო ადგილი, და სხვ.

აქვე, ალბათ, სალექსიკონო მასალის თავმოყრის მიზნით ავტორს შეტანილი აქვს ზოგიერთი გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე სიტყვაც: რეზა გეჯბერავი გეჯბერალ „ციცინათელა“, გურუთ გურუთ „ხაჭო“ და სხვ.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი ქ. ღ თ ა თ ი ძ ე

გამომც. რედაქტორი დ. ნ ა თ ი შ ვ ი ღ ი

კორექტორი ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი

ტექნიკური ა. თ თ ღ უ ა

გადაეცა წარმოებას 10.8.1955; ანაზონბის ზომა  $7 \times 12$ ; ხელმოწ.

დასაბეჭდად 31.12.1955; ქაღალდის ზომა  $70 \times 108^1/_{16}$

ქაღ. ფურც. 15,25; საბეჭდ ფურც. 41,78; საავტორო

ფურც. 35,5; საალრ.-საგამომც. ფურც. 36,15;

შეკ. 1332 უ 01010; ტირაჟი 1000

ფასი 23 მან.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა  
თბილისი, ა წერეთლის ქ. 3/5